


119

19.62

3



მეტეორები



11

1 9 6 2

მნათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უმრავლესობის

წელიწადი 39-ე

№ 11

ნოემბერი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწირობის კავშირის ორგანო

Handwritten number 2658

შინაარსი

Handwritten mark

გიორგი ლეონიძე — ლექსები	3
სერგო კლდიაშვილი — ერთი დღე ბეთანელის ცხოვრებაში. მოთხრობა	5
შალვა აფხაიძე — ლექსები	13
რევაზ მარგიაანი — ლექსების წიგნიდან „ისევ ახალი“	17
ლევან გოთუა — ცხოვრება იწყება წყალდიდობით. მოთხრობა	19
ლადო სულაბერიძე — ლექსები	39
ლადო მრტლაშვილი — ყაზახი. რომანი. გაგრძელება	41
გურამ გოგიაშვილი — ბიდი. მოთხრობა	61
სიმონ წვერაყა — ძელქვის ქვეშ. მოთხრობა	67
კალევალა. ფინური ეპოსი. თარგმანი შოთა ჩანტლაძისა	73
ჯონ სტეინბეკი — ზამთარი ჩვენი მღვლეარებისა. რომანი. გაგრძელება. თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ქვიციანი	77

● აუზალიცისტიკა

გერასიმე ფირცხალავა — სოციალიზმის დიდი მონაპოვრები	94
--	----

გორიძინოს ბაჰოდის 150 წლისთავის გავი

ნოდარ ნაკაშიძე — საბელოვანი ფურცელი რუსი ხალხის წარსულიდან	103
--	-----

1837 ილია შავჭავჭავაძე 1862

შალვა რადაიანი — ილია ქავეჭავაძე და ახალი ქართული ლიტერატურის პრობლემები	109
ვლადიმერ ზამბახიძე — ძმადნაფიცნი	117
ბეჯან ბარდაველიძე — პორტრეტი ილია ქავეჭავაძის პროზაში	127
სიმონ ვაჩიჩილაძე — ი. ქავეჭავაძის „გუთნის დღის“ გაგებისათვის	134
ალექსანდრე კალანდაძე — ილია ქავეჭავაძის უცნობი ფსევდონიმები და ნაწერები	138

(იხ. მე-2 გვ.)



ირაკლი ანდრონიკაშვილი — საუკუნოვანი საიდუმლოს ამოცნობა	146
გიორგი ლომიძე — დავა საბჭოთა ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარების გზა- ზის შესახებ, დასასრული	156
ვეფხისტყაოსნის გარშემო	
ვიქტორ ვახეტიანი — „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაბის გავებისათვის	166
მ. გუგუშვილი, ლ. ძიწენაძე — ვეფხისტყაოსნის 281-ე სტროფის შესახებ	170
წარსულიდან	
გ. მიხეილიძე — ცოტა რამ ვალაქტიონ ტაბიძეზე	173
სეთი იაშვილი — ნახული და გაცონილი, დასასრული	180
წიგნების მიმოხილვა	
ნანა დვინევაძე — წიგნი ზეეს თანამედროვეზე	185
გრ. ნუცუბიძე — „ნაქადლები და წყაროები“	187
მიხეილ ზართოვანი — ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილების კრებული	188
ზურაბ აბაშიძე — შტეტან ცეაიგი ჭართულად	190
ასალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე
პრ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63, ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-62. ქაღალდის ზომა 70 X 108, ანაწყობის ზომა 7 1/4 X 12 1/2.
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 09290
ტრაჟი 6000 შეკვეთა № 1994.

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.



გიორგი ლონია

ილია ჭავჭავაძეს

— ნუ დაიფიწყებ დედის საღმობას,
გვითხარ, — ბედი აქვს გადაღობალი...
მე მახსოვს შენი გამოხალ ება
და შენს წინ ერი პირდამხობილი...

ვეფხო, ბრძოლებში მიხლილ მოხლილო,
შეუპოვარო, და რა გულდალით,
ჩაგძინებოდა ტოტზე, მოღლილო,
წყლულზე გდიოდა ერის კურცხალი...

შენ პირველ ქართველს გეძახდა ერი,
მის გულისცემას ხარ ჩაქსოვილი,
შენ ვესეოდა ათასი მტერი,
ათი-ათასი გკმენდა ზოილი.

თუ საქართველოს დროშა გიგინეს,
შენ თვითონ გახდი დროშა მძლეველი;
გარდემალა მრავალ გვირგვინებს,
შენი გვირგვინი თვალ-უქციველი.

უგუნურებმა გესროლეს ტყვია
და საქართველოს მოარტყეს გულში!
ჭრილობა შენი დღესაც გვატყვია,
ისევე სწორია, ვით იყო გუშინ...

უქცივეთესი უფსკრულის ფსკერი
მინდა,

ჩემილო სირცხვილი ჩვენი!
მინდა, წაეღეყო ცრულის ნაქქერით,
წიწამურის გზა ლალატის მჩენი...

ვით ზღვა, გვეძახის შენი სახელი,
ჩვენი ბრძოლა ხარ, ჩვენი დიდება,
აზოი ხარ ლექსში გადასახსნელი,
მისთვის სიკვდილი არ დაიდება!

გარდმოიხილე და ვენახს ჩვენსას,
მიღლით დაჰხედე დღესაც, ილია!
თუ მოგაგონებს შენს მკლავის
ძღვენსა,
თუ დასხმულია, ხომ მოვლილია?

თუ შევასრულეთ, რასაც ნატრობდენ
წინაპართ ძვლები დანატრულებით?
ვაზის რქის ზრდაში მოგვეპატრონე,
და ნუ იქნები დანამღურები,—

რათა კვლავ ლექსი შენი მოგვებრო,
გისმენდეთ მოსეს ხმებით
მ. რგვინაძე, —
შენ — საქართველოს უკვდავ-ფეოლო,
მისთვის ყველაზე საგვირგვინარო!

ზ ლ ვ ა

როგორც დანდური უზარმაზარი,
გოლიათისგან აღღრებული, —
ნღერის შივი ზღვა, მკერდის/ზანზარით,
აჩქეფებული, აღვარებული...

ზღვსაც მჭონია ჭალაჩა თმები,
სწორედ ამ წუთას გამოიშინა...

ერთიც შექმნულა ველური ხმებით,
თითქოს სიბერის ხანი იჩივლა!

ზღვაო, ადრეა ნბცოვანის დრონი,
შემოქედის გზა არ დაგილააავ;
შენ არ იცნობდი თ. მარის რონინს,
არისტოტელეს ტვინს არ ინახავ!

ო ლ ო ლ ე ბ ი



ჩამოწურული ოქრო თბილისის დაისისა,
 ქაშუეთის გუნბათზე ნელი-ნელ გაიცრია...
 რუსთაველზე წინაზდა შავთვალათა ტკბილი ხმა
 და ბინდებში შესცურა ზომაღლივით თბილისმა...
 აბღღვრიალდა ქალაქი, ზღვა შეიმღვრა ყვითელი...
 მანქანები დარბიან. ვით დაქრილი სკვითები...
 სადღაც. ზვირთი შეჩერდა, თვით წაწამზე უმაღლეს...
 ვხედავ შორით ხეობას,—მთვარის და მღუპარეს.
 იქ, ვაღაცა გასიახის ვიღაცა სხვას, მეორეს:
 — ვერ იპოვნე?
 — ვერა, ვერა!

ხმა აკვნესებს ხეობებს...

ოლოლები არიან! ეძებენ, ვერ იპოვნეს!...
 ოლოლებმა ოლედან სცვდა შემომიმოსოლეს...
 მე ვიპოვე? ვეძებდი, დიდი ხანი ვეძებე.
 — ვერა, ვერა და ვერა! მოლოდინს შევეწებე!
 ეპ, იქნებ, მანქანის ქვეშ, მისთვისაც ჩაისრისა,
 ჩამოწურული ოქრო თბილისის დაისისა!

ბევრჯერ მოვწურავთ მწიფე ბროწეულს

გათქვრეს ქართლი, როგორც ტრამალი
 აზვარცმულს,
 ჯვარცმულს,
 რა არ უწევდა?
 ერთი დავი იი,
 ერთი თამარი!
 ორ სააკაიეს ვერ გაუძლებდა!
 მიწა დიხა,
 ერი დანთქა,
 კვლავ სციოცხლობს

ქვეყნის გასაოცებლად...
 ბევრჯერ მოვწურავთ მწიფე ბროწეულს,
 ბევრჯერ შევტყორცნით ცაში ოცნებას;
 ბევრჯერ ვიზღვრებთ, კიდევ, რაც გვახსოვს,
 რაც სციოცხლეში გულმა მოტეხა;
 და წვეინახავთ მარგალიტნაქსოვ
 თამარის კაბას დაუძონებლად...

საკრედიტო

ერთი ღმრთიანი ცხოვრებაში

ეს ამბავი, რომ ელიცო სარიშვილმა თავისი პროფესორი ირაკლი ბეთანელი დაითანხმა და სოფელში სტუმრად წაიყვანა, ყველას სასწაულად მიაჩნდა.

ბეთანელმა დათმო სამუშაო ოთახი და, თუნდაც ერთი დღით, ქალაქიდან შორს გაემგზავრა? მართლაც, ძნელად დასაჯერებელი იყო იმათთვის, ვინც ახლო იცნობდა!

მაგრამ ეს საკვირველება მაინც მოხდა.

ბეთანელმა იცოდა, რა უსაზღვროდ მისი ერგული და პატივისმცემელი იყო ელიცო, აღარ დაწყვიტა გული და უარი ვერ უთხრა წვეოდა მის მშობლებს.

— ისინი უბრალო ადამიანები არიან, მაგრამ კარგად ესმით, რა ამავი გასწიეთ ჩემზე. თქვენი ნახვა ბედნიერებას მინიჭებს მათ, — ეუბნებოდა ქალიშვილი. — მგზავრობა კი ნუ შეგაშინებთ. კარგი გზაა და თანაც ისეთი ბუნებით შემკულია, რომ სიამოვნებას იგრძნობთ.

სექტემბრის დამდეგს ერთ შაბათს, დღით აღრე, მეცნიერის სახლს მიადგა ავტომანქანა, რომელშიაც მასპინძელი და დოცენტი ვალერიან ბიბილური ისხდნენ. ისინი არ უმხელდნენ ერთმანეთს, თორემ შიში ჰქონდათ რომ ბეთანელმა წუხელ გადაიფიჭრა წამოსვლა. ელიცო მოუსვენრად მიშტერებოდა ბინაში შესასვლელ კიბეს და მხოლოდ მაშინ გაუნათდა სახე, როცა გამოჩნდა პროფესორი სახაფხულო პალტოში გამოწყობილი და ხელში პატარა ჩემოდნით. შეწითლებულ თვალებზე და ფერმკრთალ სახეზე ემჩნეოდა, ძილი აკლდა. დადლილი

ადამიანის ნაბიჯით მივიდა მანქანასთან და შოფერის გვერდით ისე ჩამოჯდა, თითქოს საწამებლად მიჰყავდათ.

ბეთანელი რომ უგუნებოდ იყო, ამას აღვილად ამჩნევდნენ თანამგზავრები, რომელნიც მის მოკმუნებულ შუბლს თვალს შეაველებდნენ ზოლმე. ცხადია, ნანობდა, რომ ხათრი გასწია, სისუსტე გამოიჩინა და უარი არ თქვა.

— გასეირნება თქვენთვის სასარგებლოც იქნება, — გასამხნეველად მიმართა ვალერიანმა. — მგონი, არასოდეს არ ყოფილხართ სოფელში შემოდგომაზე და, აი, ნახავთ, რა კეთილად იმოქმედებს იქ გატარებული რამდენიმე საათიც!

ბეთანელი ამასწინათ დაბრუნდა კურორტიდან, სადაც სპეციალური აბაზანები მიიღო, სვა მინერალური წყალი დაწესებული რაოდენობით, მკრუნალობის კურსი ჩაატარა და ახლა ვერ გავგო, ამის შემდეგ რაღად სჭირდებოდა სოფლის პაერი?

ის კი ფიქრად არ მოსვლია, რომ ბიბილური საკუთარ თავზე უფრო ზრუნავდა; არ იცოდა, რომ ვალერიანს სოფელური სუფრა ენატრებოდა და, ამ მოლოდინით გახალისებულ, არაფრად აგდებდა შინაყუდა უფროსი კოლეგის უკმაყოფილებას.

მაგრამ ეს ამბავი ოდნავადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბიბილური საერთოდ ანგარიშს არ უწევდა თავის მეტრს. პირიქით, ისეთი თავყვანისმცემელი იყო მისი, რომ ჩაცმულობაშიც კი ბაძავდა. ახლაც, გზაში, ისინი ერთნაირად მორთული იყვნენ. ბეთანელის მსგავსად ვა-

ლერიანსაც მოყვითალო რქის სათვალე-
ების რკალურა ადგა კეხიან ცხვირზე.
ისეთივე ნაცრისფერი ფეტრის ქუდი
ეხურა და კოსტუმიც ორივეს ერთნაირი
ეცვა. მაგრამ დაკვირვებული თვალი უმ-
ალვე შეამჩნევდა, რომ ერთი ნაჭრიდან
და ერთიდანვე ხელოსნის მიერ შეკე-
რილი ტანსაცმელი მაინც განსხვავდუ-
ბოდა ერთმანეთისაგან. ბეთანელის
მკრთალ, ნაოქებით დაღარულ სახეს-
თან სავსებით შეხამებული იყო ნაცრის-
ფერი და პატრონივით სვედიანი ჩანდა,
ხოლო ბიბილურის პიჯაკი, თითქოს მისი
ჩამცმელის დაქვადეა ლოყების სხივი და-
ნათლად, ცოცხლად და ხალისიანად გა-
მოიყურებოდა.

მანქანა მალე გასცილდა ქალაქს. გო-
რუებანს ჯერ კიდევ შენარჩუნებულ
ჭკონდა კავშირი ბუნებასთან. ალაგ ჩან-
და ხეხილიანი ეზოები, ბაღა, სიმწიფე-
ში შესულ მზესუმზირას ყვითლად გაბა-
დრული თავთავები, მაგრამ აქა-რქ ამარ-
თული იყო მრავალსართულიანი შენო-
ბების აგურის კედლები, რაც უკვე იმის
მაცნე იყო, რომ, კიდევ ცოტა ხანი და,
აღმოსავლეთის მხრიდან მომდგარი დო-
დი ქალაქი აქაც საბოლოოდ მოშლიდა
ბუნების კვალს და ბალახით ამწვანებულ
ადგილს ასფალტით დაგებული ქუჩები
დაიკავებდა.

გარუებანიც უკან დარჩა და მერე
ერთბაშად გამოჩნდა გორაკები; მინდო-
რი, გადატრუსული ნაპურალი.

— დაინახეთ? ძველი ციხე-კოშკის ნა-
ნგრევია! აი, იქ, მთის წვერზე! — ხელი
გაიშვერა ელიკომ.

ქალიშვილი ამჩნევდა, რომ პროფესო-
რი მოწყენილი იყო და მის გართობას
ცდილობდა.

— დიხ, დიხ... კარგია... — ჩაიბუ-
ბუნა ბეთანელმა. მაგრამ ის უფრო
ზრდილობისათვის შეეხმინა, თორემ
სრულიადაც არ აინტერესებდა, სად იყო
მთა და სად ნანგრევი.

ამის შემდეგაც, როცა თანამგზავრე-
ბი შეეცდებოდნენ ხოლმე რაიმეზე შე-

ეჩერებით მისი ყურადღება, მხოლოდ
წამიერად შეატრიალებდა თავს და მერე
ისევ თვალდანისლული მიმჭრებლად
სივრცეს, რომელიც კაბინის სარკმელი-
დან ჩანდა.

თანდათან იღვიძებდა დღე. გზის ნა-
პირებზე ტოროლები აფრთხილდნენ.
ქედნების გუნდმა ველზე გადაიფრინა.

ბირველი ხევი გაიარეს, გავიდნენ ვე-
ლზე, გამოჩნდა მტკვარი, მაგრამ ბეთა-
ნელს თვალები ეხუჭებოდა და არც და-
უნახავს, როგორ მიჭროდა მანქანა მდი-
ნარის გასწვრივ გაქიმულ გზაზე; ესმო-
და მხოლოდ მოტორის გუგუნნი და ეს
ხმა თვლემას გვრიდა.

ვალერიანმა კარგად იცოდა პროფე-
სორის ხასიათი და ლაბარაკით არ აწუ-
ხებდა. სამაგიეროდ ელიკო ტიტინებდა
და ისე გაიკრიფა ენად, რომ, ბოლოს,
თავი მოაბეზრა ბეთანელს. პროფესორს
კიდევაც უკვირდა ქალიშვილის ქცევა—
ეს ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი, რო-
მელსაც აქამდე მხოლოდ ლაბორატო-
რიაში შუშებს შორის ჩამოდაბრს ხედავ-
და, ახლა ბევრს ყბედობდა მთებზე, ტყე-
ზე, ჩქერალების სილამაზეზე. როგორ-
ღაც ეუცხოვებოდა, რომ მისი ასისტენ-
ტი ბუნების დიდი მოტრფიალე იყო...
ამგვარი გატაცება, რა თქმა უნდა, საძ-
რახისი არაა, საქართველო რომ ლამაზია,
ყველასათვის ცნობილია, მაგრამ რა სა-
ჭიროა ამაზე ბევრი ლაპარაკი?! კაცმა
რომ სიმართლე თქვას, არც არაფერია
ამდენი საქაქანო—მთა ყველგან მთაა,
მიწის გროვა, ხოლო ხევი და კლდე
სრულიად ჩვეულებრივი გეოლოგიური
მოვლენაა რომელსაც მრავალ ქვეყანა-
ში ნახავთ...

მანქანის მონოტონური გუგუნნი და ქა-
ლიშვილის ტიტინი არ სიამოვნებდა ბე-
თანელს. გარემოსადმი გულგრილს, ქუ-
დი შუბლზე ჩამოეთხატა. გამოაქუყვტდა
ხოლმე თვალებს მხოლოდ მამინ, როცა
მანქანა გლეჯით გაიწედა წინ ან მოსა-
ხვევში ძლიერად შეანჯღრევდა... ისევ

მინდორი, ისევ მთა, უსაზღვრო უდაბ-
ნოდ გადმობურული ცა...

• • •

ნაშუადღევი იყო, ავტომანქანამ შე-
ნელებული სვლით ჩაიარა სოფლის
ორღობეები და, ბოლოს, ელიკოს ხმა
გაისმა:

— აი, ჩემი საბლიც.

მანქანა გაჩერდა მაღალი მესერით
შემოვლებულ ეზოს კიშკართან.

სტუმრებს გამოეგებნენ ჭმუხი, წაბ-
ლისფერწვერიანი მამაკაცი და თავსაფ-
რიანი ქალი.

— მაღლობა მოიხსენებია, რომ გვო
კადრეთ და გაგვხარეთ, — გულწრფე-
ლად მიესალმა მათ ელიკოს მამა, სარ-
დიონი, და სახლისკენ გზა უთავაზათ.

— რა საუცხოო ეზოა! — უმაღვე
აღტაცებით წამოიძახა ვალერიანმა, რო-
გორც კი ჰიშკარიდან ფეხი გადადგა. —
რა გიგანტი ხეები! განსაკვიფრებელია,
ბატონო ირაკლი, არა?

ბეთანელმა წამიერად თვალი შეაე-
ლო იქაურობას, მოიწონა, მაგრამ ბიბი-
ლურის აღტაცება მაინც გავლიაღებუ-
ლი ეჩვენა... მართალია, გიგანტებია,
ოღონდ რა საჭიროა ასეთი ხმაშაღალი,
დამაყრუებელი შეძახილი...

სარდიონს ესიამოვნა, რომ სტუმარ-
მა ეზო შეუქო.

— ასე მოგახსენოთ, — უფრო გაბე-
დულად აღაპარაკდა ის, — პაპაჩემი-
საგან გამივონია, მისი ბავშვობის დრო-
საც ამ სიმაღლის ყოფილან...

— დიახ, დიახ... — თავს აკანტურებ-
და ბეთანელი, რომელიც არც თუ ყურს
უგდებდა მასპინძელს და არ იცოდა, რას
უდასტურებდა. აქამდის ყურში ჩარჩე-
ნოდა მორტორის ხმაური და ეჩვენებო-
და, თითქოს მანქანა ახლაც ანჯღრევდა.

მამაკაცები გარეთ ხის ძირში დასხდ-
ნენ. გლეხი მორიდებულად იყო ქალა-
ქლებთან და საუბარი ვერ აეწყო. ჩა-
მოვარდნილ სიჩუმეს ისევ ბიბილური
არღვევდა. სარდიონი გრძნობდა, რომ
ბეთანელი უფრო საპატიო პიროვნება
იყო, მაგრამ მაინც ვალერიანი უფრო
იზიდავდა. მოსწონდა ეს ჩასუქებული,

პირსავსე კაცი, რომელსაც გულმკერდი
მოღეღილი ჰქონდა და იქაურობას ხა-
ლისიანად გასცემოდა.

მასპინძლის გული საბოლოოდ შეინა-
ღირა მან იმის შემდეგ, როცა თავის ნე-
ბით დაიარა ეზო. დობის პირზე ჩაყო-
ლებული იყო ლედვის, მსხლის, ვაშლის
ხეები. დამწიფებული ატამი ტკბილ სუ-
რნელს აკმევდა ბროწეულის პირდა-
მსკდარი ნაყოფი წითლად ღუფდა. ხე-
ხილს სათითაოდ ჩაუარა ვალერიანმა,
ყველგან დაკრიფა და შეექცა. სქაშდა
და ხმაშაღლა გამოთქვამდა აღტაცებას.

სუფთა აივანზე გაშალეს. ბეთანელ-
საც კი გვირგვინი ეჩვენა საუზმე. მაგრამ
სარდიონს არ სიამოვნებდა მისი აზი-
ზობა და ისე ეგონა, რომ ის გემოს ვე-
რაფერს ატანდა. ამიტომ იყო, ერთი-
ორჯერ მოხთდიშვებით მიპართა:

— ქალაქის საქმელებთან, რა თქმა
უნდა, არ მოგეწონებათ ჩვენი ნაცოდ
ვილარი, მარა, იმედია, არ გეიზრახავთ...

ზედმეტი შეპატყებით არ აწუხებდა.
ფარული სიბრაღულით გადახედავდა
ხოლმე ამ ჭანგატეხილ კაცს, ხოლო ვა-
ლერიანს და შოფერს კი ხშირად სთავა-
ზობდა, თუმცა ეს საჭირო არ იყო, —
ისინი ისედაც სახარბელო მადას იჩენ-
დნენ.

— ამბროზია, ღმერთების საქმელი
და პირისგემო! — ხშირად გასძაბოდა
მკლავებდაკამიწებული ბიბილური, რო-
გორც კი ახალ კერძს გასინჯავდა. ხე-
ლებით გლეჯდა ხორცს, ტყვრდა
ძვლებს, უხვად ისხამდა ბროწეულის
წვენით შეზავებულ საწებელს, დოქი-
დან თითონ ისხამდა ღვინოს და კიქას
კიქაზე სცილიდა.

— თქვენ, ჩემო კეთილო, ეპიკურე-
ლი ხართ... დიახ, ეპიკურელი! — გადა-
ხედავდა ხოლმე ბეთანელი, ამით თით-
ქოს ერთგვარ საყვედურს ეუბნებოდა
თავშეუკავებლობისათვის, მაგრამ გუ-
ლის სიღრმეში, ცოტა არ იყოს, შურდა
მისი მადიანობა. ეპიკურელთან შედარე-
ბა კი მოსწრებულ ენამახვილობათ ეჩ-
ვენებოდა და, ამით კმაყოფილი, ჩუმიად
ბთიბთებდა.

საპატიო ქალაქელების მოსალხენად მასპინძელს რამდენიმე მეზობელი მოეწვია. როცა ისინი მოვიდნენ, გრძელი სუფრა გაიშალა.

სადილი გახანგრძლივდა. დაბინდდა. ბეთანელი დაღლილი იყო, მიიბოდიშა და მისთვის გამზადებულ ოთახში შევიდა. საწოლ ტახტს თვალი გადაავლო და მიხვდა, რომ ახლა ფიქრიც ზედმეტი იყო ქალაქში ჩვეულ კომფორტზე, ისევ გაუელვა თავის თავზე უკმაყოფილებამ, — რა რჯიდა ასე შორს წამოსასვლელად! — მაგრამ როგორც კი დაწვა, იგრძნო, რომ დღეს აღარ დასჭირდებოდა დასაძინებელი ფხვნილის მიღება. აიენიდან აღწევდა ხოლმე გიტარის ქლარუნი, სიმღერა, ბიბლიურის როყიო სიცილი, მაგრამ ხმაური ახლა არ ანერვიულებდა. ფანჯარა ღია იყო და როცა დროდადრო სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ეზოდან კალის ძილისპირული ესმოდა. ეს ხმა სიმშვიდეს გვრიდა და თან მოგონებდათ ბურანში ხვევდა. მესხიერებაში გაცოცხლდა თითქოს სიზმარში ნანახი რომელიღაც სოფელი, ბავშვობისას იქ გატარებული შემოღვომის რამდენიმე დღე, როცა მამასთან ერთად სადღაც სტუმრად იყო... აქამდე ეს არასოდეს მოჰკონებია. საკვირველი იყო, ამდენ ხანს როგორ შეენახა მესხიერებას... იყო კი ნამდვილად, თუ უბრალო მოლანდებაა? მაგრამ თუ მოლანდებაა, საიდან ახსოვს გორაკზე ყვითლად შეფენილი ტყე, საიდან და როგორ ჩარჩა ყურში საწნახელის ღარიდან ყურანის წვენიან თქრიალი, მაცვლის ბუჩქიდან აფრენილ შაშვის ქახქახი, მამლების ყვილი განთიადზე?!

სადღაც ღამის სიღრმეში კოტი აკუნესდა. ფანჯრის წინ ციციანთელამ ჩაიბრა...

• • •

მთელი ღამე ღრმა, ნამდვილი გულისძილი ჰქონდა. ძალიან ადრე იყო, როცა გაეღვიძა, მაგრამ საწოლში ველარ გაძლო და ადგომა ამჯობინა.

სახლში ყველას ეძინა. არავის გაუგია, როგორ ჩავიდა ეზოში. გარშემო ზედავდა მწიფე ნაყოფსახმულ ტო-

ტებს. ხეზილს გულგრილად ჩაუარა, ბოლოს მაინც წასძლია სულმა, დედვი მოწყვიტა და შექაპა. მაგრამ ციციანთელამ და არც თუ ეპა. მიმოიარა იქაურობა, ჭიშკრიდან გაიხედა და, ანგარიშშიუცემლად, გზაში ჩადგა.

აღიონის სიგრილე დაბურძვლავდა ხოლმე, ორღობის ნაპირებზე ამოსულ ბალახზე და ბუჩქებზე ცვაიი ეყარა. საქარიდან გადმოზრილ შტოს უცაბედად გამოედვა და სახეზე ნაშმა დააწვიმა ჩირველიდან ავარდა დამფრთხალი მწყერი, გადასერა შარა და სადღაც ვენახში ჩაიშალა. საშოვარზე გამოსული ქორი სოფლის თავზე ირაოს ავლებდა. რამდენიმე სახურავზე სვეტებად აპართულიყო ახლად გაღვიძებულ კერხას კვამლი. ეზოებიდან ქათმების კრიახი ისმოდა. თავსაფრიანი დედაკაციები ძროხებს წველიდნენ. ბიჭებს ქართახიდან პირტყვი გამოჰყავდათ და საძოვრებზე გასარეკად თავს უყრიდნენ. სიჩუმე იყო, სიმშვიდე.

ნელი ნაბიჯით მიდიოდა. მისთვის უცხო საამო განცდას შეეპყრო. ამ ნახევარი საათის წინ ოთახიდან რომ გამოვიდა, აზრადაც არ ჰქონია ებეტიალნა, ახლა კი სიარული მოუნდა. ერთხელაც არ უკითხავს თავის თავისთვის, რად წამოვიდა აქეთ-არც ის უგრძქვნია, რომ მარტო იყო, თუქმ არავინ ახლდა. ახა, არაკითარი მარტოობა პირაქით, ისეა, თითქოს მახლობელი მეგობარი მხარში ამოგდგომია და ხალისით საესეკ ახალგაზრდობის თავგადასავალს გაამბობდეს...

მხნედ გრძობოდა თავს. ისევ წინ მიიწევდა. ჩათავდა შარა, ორღობეები, გამოჩნდა პატარა მინდორი და შემდეგ ხევი, საიდანაც მღინარის ჩხრიალი მოესმა. უკანასკნელად თვალი შეავლო ტყიან ფერღობს, მთის წვერზე აპართულ ძველ ციხე-კოშკის ქონგურზე და სვენებულ ნისლის ნაფლეთს, მეტი არა იყო რა სათვალთვალო და შინ დაბრუნება დააპირა, მაგრამ უშაღვე იქვე შედგა გაოცებული... ბეთანელმა ჯერ იგრძნო, მერე ცხადად დაინახა, გარშემო როგორ ერთბაშად შეიცვალა ყველაფე-

რი ვერც მოასწრო გარკვეულიყო, თუ რა მოხდა, როცა მთავრების ზემოთ წითელ მარჯოდ გაიშალნენ ცაში სხივები და მერე თითონ მზეც ამოვიდა. ამობრწყინდა გაბარებული, ჯანსაღი, სუფთა და მთელ გარემოს სასიცოცხლო ფერი მისცა.

სანახაობით მოზიბლული ბეთანელი ერთ ხანს იქაურობას გაკუყრებდა. ბოლოს, მისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით მოტრიალდა და სოფლისკენ გაბრუნდა. ხალისიანად მიაბიჯებდა, უნდოდა შინ მალე მისულიყო და სხვისთვისაც გაეზიარებია თავისი კარგი გუნება. მოაგონდა ოდესღაც წაქითხული, რომ შორეულ წარსულში წარმართები შეძახილით და გალობით ეგებებოდნენ მზის ამოსვლას და თავიანთ სიკეთეს როგორც ღვთაებას. თუ რატომ ასეთი შარაყენდელით მოსაუდნენ, ახლა გასაგები გახდა მისთვის და პირველყოფილი აღამინის გულუბრყვილობად აღარ მიაჩნდა მნათობის ამგვარად განდიდება. განა ისინი მართალნი არ იყვნენ? დიას, ნამდვილი ღმერთია, ოღონდ ხილული, მახლობელი და კეთილისმყოფელი...

ამ წუთში თავისი თავიც იმ ძველ წარმართად წარმოიდგინა, კიდევაც ჩაიღილინა, მაგრამ მაშინვე ჩაჩუმდა და გულში გაეცინა, — გრძნობდა, რომ სმენა არ ჰქონდა და მისი ღიღინი შორეულადაც არ ემსგავსებოდა მზის საგალობელს.



შინ დაბრუნებისას ყველა ფეხზე დახედა.

ელიკომ, როგორც კი თვალი მოჰკრა ეზოში შემოსულს, ჩაირბინა კიბე და უბზოდ შეეგება. მასპინძლები და ვალერიანი შეფიქრიანებული სახით შორიანბლოდან მისჩერებოდნენ და მისვლას ვერ ბედავდნენ.

— რამდენი ხანია დაგეძებთ, ბატონო ირაკლი! — შეშფოთებული ხმა ჰქონდა ქალიშვილს. — სად არ მოგიკითხეთ, მაგრამ...

ის დარწმუნებული იყო, რომ შინაყოფიდან მცენიერი შეაწუხა სიფხულში ყოფნა და თუ განმარტოვდა და გატყინებოდა, ალბათ, იმისათვის, რომ გული მოეოხებინა. მაგრამ როგორი იყო მისი გაკვირება, როცა ბეთანელმა უცერად ხელები გაშალა და გრძნობამორტყულმა შესძახა:

— რომ იცოდეთ, რა სიამოვნება გაცივად! მინდა მადლობა გითხრათ, რომ აქ ჩამომიყვანეთ. თქვენ ნამდვილი ბედნიერება მომანიჭეთ!

ასეთი სიხარულის გამოჩენა უჩვეულო იყო ბეთანელისათვის და ამგვარი მოულოდნელი ფერიცვლებით გაოცებული ელიკო თავის თვალს არ უჯერებდა, რომ ახლა იმ კაცს ხედავდა, რომელსაც, მისი აზრით, სიცოცხლის ნაღისი დაწლენგებული ჰქონდა.

აქამდე მდუმარე, საგონებელში ჩავარდნილ ბიბილურს სახე გაუნათდა, ხამალა გაეცინა, არობრობდა, აივანზე გაშლილ სუფრას მიუჯდა და სხებიც ისე თამამად მიიპატიჟა საუბრეზე, თითქოს მასპინძელი თითონ ყოფილიყო:

— აბა, რაღას ვუცდით, გაცივდა ყველაფერი!



ქალაქისკენ საღამო ხანს უნდა გამგზავრებულიყვნენ, დრო ბევრი რჩებოდათ და ბუნებაში გავლა გადაწყვიტეს.

— არა, თქვენ არა! ჩიჩერონე ახლა მე უნდა ვიყო! — ბეთანელი წინ უძლოდა ელიკოს და ვალერიანს.

ჩაიარეს ორღობეები, მცირე ხნით შეჩერდნენ და გაესაუბრნენ ვენახში მყოფ მოხუცს, რომელიც მათ ყურანით გაუმასპინძლდათ. ალერსიანი იყო შემოდგომის მზით გამთბარი ღლე, საოცრად ნათელი და გამჟვირვალე. სიმწიფის ფერი გადაჰკრავდა მტევენებით დახუნძულ ვახებს, აჭრილ ყანებში ჯერ აუღებელ მსუქან კვახებს. ღობეებში წითლად ღვოდა ასკილი. ტოტებზე მძივებათ ასხმული კუნელა შავად ჩაშაქრულიყო და უკვე შესეოდნენ შაშვები და ბელურები. გამამდარი წიფობელები

მძიმედ დაფრინავდნენ სოფლის თავზე. ბეთანელი გახალისებული იყო. სრულიად უბრალო რაიმეც, რასაც თანამგზავრები ყურადღებას არ აქცევდნენ, მის აღტაცებას იწვევდა. საუბრეზე სამი ქიქა დაცალა, ამდენს შინაც სვამდა ყოველთვის, ტონუსის ასაწვებად, როგორც ექიმმა უჩიჩია, მაგრამ ახლა თუ ავზნებულ გუნებაზე იყო, ღვინისგან კი არა, რაღაც სხვა სინაზურისგან იყო გამოწვეული.

— რატომაა ეს? საიდანაა? — დაეკითხა თავის თავს, მაგრამ უმაღლეს მოიშორა ფიქრი, მკრეხელობად ეჩვენა ეს რაღაც ანალიზი, თითქოს შეშინდა, რომ ამის შემდეგ ის ბედნიერი განცდა არ დაქარგვოდა.

ელიკო კარგად ამჩნევდა ცვლილებას, ისე სიამოვნებდა ამის დანახვა, რომ თავი ვერ შეიშავრა და შემოეხეცია. ავგვარი გათამამების უფლებას აძლევდა უფრო ის ამბავი, რომ აქ, ბუნებაში, აღარ გრძნობდა იმ ზღვარს თავის თავსა და პროფესორის შორის, რომელსაც ინსტიტუტის კედლებში მუდამ შებოჭილი ჰყავდა.

— დღეს თქვენ სულ სხვანაირი ხართ, სულ სხვანაირი! — თვალბში შეჰყურებდა ქალიშვილი. — მამ ალარ მისაყვედურებთ, რომ აქ წამოგიყვანეთ?

ბეთანელს სიამოვნებდა, რომ მასპინძელი ქალიშვილი გულის სითბოთი ეპყრობოდა, მთელი სახით უღიმოდა, თანაც ისე ეჩვენებოდა ხოლმე, თითქოს ეს სხვა ელიკო იყო. რამდენიმე წელიწადია შეჩვეული იყო, რომ მას ყოველთვის თეთრი ხალათი ეცვა, ახლა კი ხედავდა ცისფერი ჩითის კაბაში და ბევრად უჭრო ახალგაზრდას, თითქმის გოგონას.

სოფლის ბოლოში ტყე დაიწყო. სიჩუმეში წყლის დუდუნი მოისმა. ხეობის ვიწროებიდან გამოსულ მთის მღინარეს ვაკეზე კალაპოტი გაეშალა და წყნარად მიედინებოდა. მივიდნენ თუ არა ნაპირზე, ელიკომ თავი ხილაბანდით წაიკრა, ვალერიანსაც გაიხადა და ორივენი მდინარეში გადაეშენენ. ქალმა მხა-

რულით გააბო კალაპოტი. ვალერიანს ბაყაყურით შეეცადა დაწეოდა, მაგრამ სუნთქვა შეეკრა და გაჩერება აქვინებინა ილგა მდინარის შუაგულში, ჩაყვინთავდა ხოლმე, უმაღლეს ამოყოფდა თავს, შადრევანივით ამოუშვებდა პირში დაგუბებულ წყალს, ფრუტუნებდა სელაპივით, აქნევდა თავს, ისწორებდა შეზღზე ჩაპოშლილ თმას და შეშინებული თვალბით იხედებოდა გარშემო. ელიკო უყურებდა და თავშეუქავებლად იცინოდა. მისი ხმა შორს ისმოდა და საღლაც ხეშვიც მეორდებოდა.

— ალი, მდინარეთა ჭავიარი! — მოხიბლული გაჰყურებდა ბეთანელი.

აქომინებული ვალერიანი მალე ამოფოფხდა მდინარიდან. ელიკომ უკანასკნელად კიდევ დაატყა წრე და ამოვიდა. სველი პერანგი შემოკვროდა სხეულზე. ბეთანელმა უნებურად მოაქცია ყურადღება ქალიშვილის ოდნავ ამღლებულ მკერდს და კენარ ტანს. რამოდენა ცისფერი თვალბები ჰქონია! სახეზე ორი მინდვრის ყვავილი ხარობდა ასეთი თვალბებით, ალბათ, ბევრად მეტს შეხედაი, რასაც ხვეულებრივით...

ბეთანელმა პირველად დაინახა, რომ ელიკო საოცრად ლამაზი იყო. დაინახა და ეუცხოვა, რომ ჭერ კიდევ ორი დღის წინათ ის ლაბორატორიაში სინჯარებს ჩაიკრიკტებდა. თეთრი ხალათი იქ თითქოს მალავდა მას, თითქოს კიდევაც ამხინჭებდა, მოაგონდა და რაღაც დანაშაული იგრძნო მის წინაშე. ისე ეჩვენა, რომ ძალით მოწყვეტა მის ნამდვილსამყაროს და საწამლავიანი შუშებით საგსე საყანში ჩაქეტა...

შეუტრებდა და უკვირდა, რომ აქამდე არც კი შეუშინებია, თუ რა დიდი მადლი მიენიჭებია მისთვის ბუნებას... ასეთი სილამაზე შეუძლებელია სიბრძნითაც გამოჩნეული არ იყოს... წამიერად იმ ფიქრსაც გაუეღვა, რომ ქალიშვილს მრავალი უპირატესობაც ჰქონდა მასთან შედარებით... რომ შეიძლებოდა, რა სინაზურით გაცვლიდა თავის დამსახურებას, მეცნიერებაში მოხვეჭილსახელს მის ახალგაზრდობაში და სილამაზეში...

— მამაკაცებო, უნდა ჩაეცვა! — მოესმა ხმამაღალი ხალისიანი შეძახილი.

მღინარიდან რომ ბრუნდებოდნენ, ბეთანელი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ძალა შემატებოდა. მოაბიჯებდა უფრო მჩატედ, მხნედ და თითქმის ბედის წყალობათ თვლიდა, რომ ასეთ მშვენიერ ქალიშვილს გვერდით მოჰყვებოდა.

ერთ ადგილას, როცა თხრილზე გადადიოდნენ, ელიკოს ხელი ჩაკიდა მკლავში და შემდეგ ერთხანს ასე ხელგაყრილმა განაგრძო გზა. უნდოდა კიდევ ევლო ამგვარად, მაგრამ რატომღაც შერცხვება და მოცილდა. თითქოს შეშინდა, რომ ქალიშვილი მიხვდებოდა, თუ რა სიამოვნებას გვრიდა მისი სხეულის შეხება. მოცილდა და წამიერად გაუღელვა ფიქრმა, რომ თავისი ცხოვრების დიდი მონაკვეთი სიცალიერეს წარმოადგენდა, რომ იქ ღრმა, ამოუცხებელი უფსკრული დარჩა...

გაიფიქრა და უეცრად, სრულად ანგარიშმიუცემლად, წამოიძახა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, ბედნიერი ხართ, ელიკო! ცხადია, ძალიან ბედნიერი! არც შეიძლება სხვაგვარად იყო!

უნდოდა გაეგრძელებია ამაზე სიტყვა, ელაპარაკა დაწვრილებით, მაგრამ ისევ შეშინდა, ზედმეტი არაფერი ვთქვაო-გაჩუქდა და გულში ისევ გაჰყრა ექვშე: მართლა ხომ არ მოუძღვის რაიმე დანაშაული იმის გამო, რომ ის აქაურობას მოწყდა და ლაზორატორიის მოშხამულ ჰაერში ჰყავდა ჩაქეტილი?

ეს აკეთებულე ფიქრი რომ მოეშორებინა და, თითქოს იმ განზრახვითაც, რომ მთავარი დანაშავე სხვაგან გამოენახა, ბიბილურს მიმართა:

— თქვენც ხომ არ გვონიათ ზოლმე, რომ, შესაძლოა, საპირო არაა ის ჩვენი ლაზორატორიები, ჩხიკინი ვითომდა ბუნების საიდუმლოებათა გამოსაცნობად? ვარღვევთ მის კანონზომიერებას, ვისწრაფვით შეეცვალოთ მისი ბუნებრივი განვითარება, მაგრამ რისთვის? ბუნება ბრძენია, აღუცხებელი საწყაული სიყვითისა და, დე, დარჩეს ისეთი, როგორიც არის!

ვალერიანისთვის სრულად მოულოდნელი იყო ბეთანელისგან ამის გაგონება, შორეულადაც ვერ მიუხვდა, რატომ ეუბნებოდა და, გაევირეებულმა, მხოლოდ წაიღულღულა:

— ამას ამბობთ თქვენ, ჩვენი დიდება, ფიზიკის ქაღოჭარი!

— რა შეუთია აქ ფიზიკა! — უყმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი ბეთანელმა. — უპირველეს ყოვლისა, მე ადამიანი ვარ, ჩვეულებრივი სისხლით და ხორციით და, თქვენი პირიმიე, ამას ნუ დაივიწყებთ. მე მინდა ბედნიერი ვიყო აი ისეთივე ბედნიერი, როგორც მოხუცი, რომელიც ამ დღით ვენახში მომუშავე ვნახეთ. მის სახეზედაც ნათლად ჩანდა, რომ ბედნიერია. და იცით, როგორ მიაღწია ამას? იმით, რომ არასოდეს მომწყდარა ბუნებას, იმიტომ რომ განუყოფელია მისგან. პრიმიტივიო, მარტივი ცხოვრებაო, იტყვიოთ თქვენ. ეხ, თავი დაანებეთ, თქვენი პირიმიე!

ლაპარაკის გუნებაზე დადგა, მაგრამ უეცრად თვალი მოჰკრა, რომ ელიკო გაოცებით უცქერდა, უმაღვე ხმა ჩაუწყდა და გაჩუქდა. მაშინვე უსიამო გრძნობაც დაეხადა, რომ ზედმეტი თქვა... რალაც ლაქლაქი იყო და სხვა არაფერი... ამასთანავე შეაწუხა ფიქრმა, — ხომ არ გაამტლავნა თავისი თავი, ხომ არ მიხვდარა ქალიშვილი, თუ რატომ თქვა ეს და სად იყო ამის სათავე?!

* * *

სადამო იწყებოდა, როცა ქალაქისკენ გაბრუნდნენ. ბეთანელი გულთბილად დაემშვიდობა მასპინძლებს და შოფერის გვერდით თავის ადგილზე ჩამოჯდა. მანქანამ ნელა გაიარა ორლობეები და მალე დიდ გზაზე გავიდა. ჩამავალი მზე წითლად ლებავდა ცისსიმაღლეში გაჩერებულ ღრუბლის ნაჯღეს, ეპოტივებოდა მთის წვერს, ეს უკანასკნელი მომავდავი შუქიც იღებდა და მწუხრი თანდათან ეფინებოდა გარემოს.

სადილზე ბიბილურმა სასიამოვნოდ მოიღვინა, ბევრი დალია და ეს აწეული გუნება აქამდე გამოჰყვა. თავისუფლად

ეკირა თავი, ხუმრობდა, და ხშირად ისე მოსწრებულად, რომ ელიყო და ბეთანელიც გულიანად იცინოდნენ.

სანამ კიდევ ჩანდა გზა, ბეთანელი დროდადრო გადაულაპარაკებდა ხოლმე თანამგზავრებს, ცდილობდა მხარი აეხა მათთვის, მაგრამ როგორც კი ღამემ ბნელში დაფარა სივრცე და ფარები აინთო, უცბადვე მიუჩნდა. ახლა უფრო მკაფიოდ ესმოდა მოტორის გუგუნის და მაინც ისე ეჩვენებოდა, რომ მანქანა ერთ ადგილზე იტყუპნებოდა.


მხიარულად გატარებულ დღის შემდეგ დაქანცულ ბიბლიურს, როგორც კი ჩაბნელდა მანქანაში, ჯერ გაუთავებელი მოჭნარება აუტყდა და მალე კიდევაც ჩაეძინა. გაჩუმებული იყო ელიკოც. ეს დუმილი, როგორც ბეთანელს ეგონა, კიდევ უფრო აგრძელებდა გზას. უფრო და უფრო შემაწუხებელი გახდა მოტორის ხმაური, ჭანჭალა და თავი დანეე მუნჯად მყოფი შოფერიც კი, რომელიც დაძაბულად, თითქოს შიშნარევად, მიშტერებოდა გზაზე გაწოლილ ფარების შუქს, რომელსაც მისდევდა და ვერაფრით ვერ დასწეოდა.

მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერ სატანჯველად გადაეჭა მოულოდნელად გაელვებული ფიქრი, რომელმაც შემდეგ მოსვენება აღარ მისცა: ისე ეჩვენა, რომ მთელი ამ დღის განმავლობაში მისთვის შეუფერებლად ეკირა თავი...

—როგორც უზნეო ბავშვს!— შეაერეოლა და კინაღამ თქვა ხმამალა.

რცხვენოდა თავისი თავის წინაშე, რცხვენოდა თანამგზავრების, — ამის შემდეგ რა წარმოდგენა ექნებათ მასზე?.. მართლაც რომ ბავშვივით დაეხარბა სოფლის ბუნებას, აყვა რაღაც მოჩვენებითი ცდუნებას, დაივიწყა მდგომარეობა, ასაკი და თითქოს ვიღაც პირტიტველა ქაბუკი ყოფილიყო, თავის ასისტენტ ქალიშვილს ქათინაურებს ეუბნებოდა... სამარცხვინოა, სხვა აზრად ვერა!

ნერვიულად ჩამოიფხატა შუბლზე ქუდი, იჭდა გასუღრული, მოღუშული და იმაზედაც გული მოსდიოდა, რომ კიდევ დიდხანს უნდა იჯანჯოლოს და იწვალოს, სანამ დიდი ქალაქის სინათლეს დაინახავდეს.



მადეა აშხანიძე

ღ ე ქ ს ე ბ ი

• • •

ცა არის ლურჯი, ისეთი წმინდა,
რომ მასში თითქოს
კიდევ სულ სხვა ცის ჩანს ანარეკლი,
თითქოს უხილავს უხვი ბარაქით
და სასწაულით ის დაეფიჟქოს.
აი, ეს ცა, რომ ჩადის სულში
ჯადოქრულ დილის ზარების რეკვით.
როცა მას ვხედავ
ასე მგონია, ეს ლურჯი ფერი
ასე უმანყო, ასე მაღალი,
არა მილიარდ წლების წინ გაჩნდა,

არამედ გუშინ,—
ისე წმინდაა, ისე ახალი.
ეს ცა დამცქერის უთვალავ თვალთ...
გვერდით კი სუნთქავს ტყე ყვავილებით,
სალამოს სიო ბალახში მღერის,
მე ამ ბალახის ხასხასით ვთვრები.
და მეჩვენება: ფიჭვნარის ტყეში
ხეულ ფიჩხს აგროვებს
ბროლის ეთერი...
სიო კი მღერის, სიო კი მღერის
ბროლის ეთერის ნათელ უბეში.

მ, რა დარია!

ო, რა დარია!
ფირუზ-ზურმუხტის ნიაღვარია!
პატარ პატარა ფთილები ღრუბლის,
ასე მგონია, ცის გედებია.
ამ ცის შეილი ვარ, - ეს მიხარია
და გახსნილი მაქვს სინათლით შუბლი!
ძირს ყვავილები გზას არ მითმობენ.
მუხის ფოთლები ტანს მედებთან,
მარმარილოს ცა დამცქერის კდებით,
უნდა გამოვტყდე, ეს მიხარია, —
ღიმილით ვ ვედები.
აი, დაბერა მზიანმა ქარმა,
რალა ცს-ამის დამეცა ზვაეი
და გულის ყველა უჯრედში ჩაწვა, —
მე სამოთხეში მგონია თავი!
შევედივარ ტყეში, თან მომდევს სიო,
ფიჭვი წიწვებით მთელ ტანს
მიცხრილავს.

ფიჭვნარის იქით ნელი შრიალით
ჩრდილებს მაწვდიან მუხა და
რცხილა,
და მესმის, მესმის, როგორ იღვრება.
მზე ჩემს სხეულში სხივთა ჩუხჩუხით
და როგორ იცავს
მომოზღოურ მიწას
ფესვები მუხის.
ვხედავ მიდამოს: მაღლი გადადის,
მე ვფიქრობ ჩემთვის,
მოჩვენებაა ეს თუ სიცხადე!
ვსასი-ობ-ჩემს ცას აღარ მოაკლდეს
შუქი მარადი, მაღლი მარადი.
ო, რა დარია!
ფირუზ ზურმუხტის ნიაღვარია.
ეს ბევრჯერ თქმულა:
ჩემი ქვეყანა ზღაპრულ ედემის
შესაღარია.

• • •

მთელი დღე წვიმდა,
გადაუღებლად წვიმდა... და წვიმდა,
ბოლავდა ნისლი... შენ კი არ ჩანდი.

დღე იყო მქიმე, მძიმე ვით ტყვია...
შენ იყავ წმინდა,
შენ იყავ დარდი,

შენ იყავ ჩემი ოცნების ია.
გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა.
და ჰქროდა ქარი,
მოთქვამდა ქარი, იყო ღვართქაფი,
ალარ მესმოდა შენი ხმის ზარი,
ძალას ართმევდა წვიმების ქაფი.
ჩემს ცივ ფანჯარას
რთავდა, ამკობდა წვიმის მარშში,
წვიმის წვეთები მიკაკუნებდნენ
სველ ნისკარტებით სველ ფანჯარაში.

იყო ელვა და იყო ქუხილი,
ქუხილი სვედის და... სიყვარულის,

მხოლოდ შენ ერთი მენატრებოდი,
შენ კი არ ჩანდი,
შენ წვიმის ნისლში შეფარებული
იყავი დარდი.
შენ შორს იყავი... ვწუხდი, გელოდი,
და რომ არ მოდი,
ვფიქრობდი ჩემთვის:
ნეტავ არ ექნება ბოლო ამ ლოდინს.
ის მირჩევნია თავსხმა წვიმაში
ვიყო შენს ცდაში,
შენ განაფხულის გელოდო იას,
ვიდრე გამიქრეს ოცნება წმინდა
და გავატანო იმედი ნიავეს.

ს ა ვ შ ო ბ ლ ო ჩ ე მ ო

მე ესუნთქავ მხოლოდ შენ თბილ უბეში.
შენა ხარ ჩემი ერთი ნუგეში
და ჩემი თვალის სინათლევ შენ ხარ,
ჩემს ძარღვში სისხლის მიმოქცევა ხარ,
გულის ფეთქვა კი—ესეც შენა ხარ,
მზად ვიყავ მარად სულის ნაპრალი

და უფსკრულები ვადამელაბა,
ოლონდ დიდება შენი მენაბა,
მენახა შენი ოცნების ალი,
და ასეთს გხედავ:
თითქოს ყვაილის რხევა შენა ხარ
და სიყვარულის ენაც შენა ხარ,
სამშობლო ჩემო!

ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი

ა

ვზივარ ტყის პირას ბებერი მუხა
ჩრდილს მითათუნებს სახეზე წყნარსა.
მიზიდავს რაღაც... რატომღაც ვწუხვარ,
ფოთოლთ სამყარო არ იძვრის არსად.
ოცნება ამ დროს ჰქრის შორ ცისავენ,
იქ, სადაც ისმის ხშირი გუგუნე
არა ქუხილის და არა ქართა,
არამედ სადაც მიაჩნევს ზეფირს
და აღუშინის ფრთებით მიამსხერვეს
ბროლის ლურჯ სარკეს
მოტორასხული ეპოქის გული,
სადაც სიფრცეებს გონება მართავს,
სადაც დროს ებრძვის ოცნება კაცის.
და მიუფლება ფიქრი მღელვარე:
აღამიანის მუღმივი სწრაფვა,
მისი მუღმივი ძიების ცეცხლი
როგორ გაღვივდა, გახდა წარმტაცი,
იღებს შეტევით ვარსკვლავთა არეს.
იქ, სადაც დღემდე დაუღლეელი
იყო სიწყნარე თითქო სამარია.

აღამიანი დაჰქრის მფრქვეველი
იმედის სხივთა,
ფერთა, სურნელთა იასამანის.

ბ

დასაბამიდან ჩვენ კაცთა მოდგმას
ბუნების მონის ედგა უღელი.
ბოლო არ ჰქონდა მის ტანჯვას,
მოთქმას,
ცრემლი სდიოდა მას დაუღლეელი.
ცრემლში ზღაპრული ზეგნა იქარო
და გამოასხა ფრთები სანთლისა,
ცად რომ ეფრინა,
ქვეყნად სინათლე გადმოეფინა,
აღთქულ სამოთხის შეელო კარი.
მაგრამ გაბედულ პირველ ოცნების
თითონვე გახდა მსხვერპლი პირველი...
შემდგომიც ქუხდა, დუღდა გონება,
რომ გაერღვია წყვილი სველი
და შეეღწია ვარსკვლავთ წიაღში,
აეხსნა მისი იდუმალება,
წილი დაედვა მიწიერ ბაღში...



მაგრამ ცის კიდეს წვდებოდა ოდ-
ხანს

ინკვიზიციის კოცონი შკაცრი,
ცეცხლში იწვოდა ოცნება კაცის,
ბნელეთი ნათელს ფერფლად აქცევდა.
თილისმურ ჯვართ, სიყალბის

კვერთხით

მზის შუქს ებრძოდა ცრუმორწმუნება,
კაცის სულს ფლობდა ველური სევდა,
შიშის ჯრუანტელს გვრიდა ბუნება.

8

საბჭოთა კავშირს მარად დიდება,
მარად დიდება კაცის გონებას,
შრომას, ოცნებას,

ჩვენ სინამდვილეს—თითქოს და
გრანეულს?

ცეცხლი ხალისის გულს შეკიდება.
სიტყვას ვერ ვაგნებ აღტაცებისას,
გრძნობა მერვეთა თაგბრუდაზეუღს,
ყოველი დილა რომ იკოცნება
და თან შემოაქვს რაღაც ახალი,
სიხარულია ყველგან უღვი.

გვირტყანს სიცოცხლის ტალღა მაღალი
და დრო საესეა სასწაულებით.

აი, მიარღვევს სივრცის სიღრმეებს
საბჭოთა გმირი გონების ალით,
იქ, საღდაც ელავს ცოდნის ლაზვარი,
რაღაც ზღაპრულად ზუსტი და მალი.
ეს მან შეალო კოსმოსის კარი,
მიმოაფრქვია მზის ნაკვერცხალი,
ჩვენი პლანეტის გასცილდა მიჯნებს
და ვარსკვლავთ გზებზე დადგა პირველი,
ცათა მიულწვე იღუმალებას
შეახო ხელი.

აქედან ვხედავთ, კაცთ სიამაყე
გულიდან გულში ვით დააბიჯებს.
მე ვხივარ მართო. იქ კოსმონავტი
რწმენის ზიროდნით განათებული
ზის კაბინაში.

დასცქერის თავის მშობლიურ ტყეებს,
ყვავილთა მინდვრებს,
უსახლვრო ველებს, ბაღებად გაშლილს,
დიდი თაობის ლტოლვის მემკვიდრე,
წუთითაც არ წყვეტს
იმათთან კავშირს.

ო, რა მანძილი გადაღვლია!
გმირობის დროა, ოცნების დროა —
სასწაულია!

დ

სასწაულია:
შუქი დიდების წაერთვა ღმერთებს,
თვით კაცი იქცა კავშირი ღმერთად,
ჩვენს პლანეტაზე რომ არ ეტყვა,
და მან გასულმა შორ ორბიტაზე
ახლა კოსმოსზე იწყო შეტევა.
რწმენის ხალისი სულს ეუფლება,
სიამის დროშა მეხვევა ტანზე.
ვინ გაუდგება ამ დღეებს განზე!
სასწაულია:

ადამიანმა აგერ ჩვენ თვალწინ
დაშალა რთული ატომის გული,
თითქოს შეძლირა სივრცეთ მანძილი,
კაცი პლანეტას წუთებში უღლის,
მთვარეს დაუფრთხო მარადი ძილი, —
ის ახლა ცურავს საბჭოთა გერაით.
დიდ დროში ვცხოვრობ.

ეს მიხარია, თაფლად ვიდვრები.
სასწაულია:

თითქოს პლანეტა დაპატარავდა,
სხვა მანძილი აქვს მერიდიანებს
(ეს მანძილები კაცის გულს წვავდა).
დღეს თბილისში ხარ,
ხვალ წინ გეშლება აფრიკის ხედი,
გადაუქროლებ აზიის გულმკერდს,
და დედამიწა მეტიც არ არის, —
დრომ მოგვიზომა ასეთი მედი,
აზრმა დაიპყრო სივრცე სივრცეთა
და სიხარული ჩვენს სულში
წვეთავს. —
სინამდვილეა, — არა ზღაპარი.

ე

სასწაულია:
კაცმა უდაბნოს სიცოცხლე მისცა,
შეღება იგი სხვადასხვა ფერი
და მის მშვენიერს გონებით იცავს.
ქარს შეუცვალა მიმართულება,
მდინარეებიც სხვა გზით წარმართა,
არა ზღაპრული რაღაც თქმულება,
არამედ საქმე კაცის გულს მართავს.
მან შექმნა ზღვა და ტალღა-მაღალი,
ბუნების ძალებს დაეპატრონა.
რა დროში ვცხოვრობ, —
დღეს სიხარული მთელ ტანში
ქონავს.

3

სასწაულია;
 მიჰქრის რაკეტა,
 მიჰქრის ხომალდი
 კაცის გონებით გაზომილ გზებით,
 წარმოუსახველ რაღაც სისწრაფით,
 და მის ამშვენებს საბჭოთა გერბი.
 მიჰქრიან ერთად ციური ძმები,
 მათთან ვართ მთელი გულით და
 სწოაფვით.

მათი გმირობით გაბრუნებულ
 მე აღგილიდან ველარ ვიძვრები.
 ვზივარ ტყის პირას. ბებერი მუხა
 ჩრდილს შითათუნებს ალერსით
 წყნარსა,
 ვიღიმი ჩემთვის და აღარ ვწუხვარ,
 მიულწვევლობის აღარ მღრღნის სევდა.
 ჩემი ოცნება იქ დაჰქრის ცაში
 და ვბედავ, ვბედავ,
 ძმადნაფიცები
 როგორ შევიდნენ უკვდავებაში.

რეპუზ მარხინი

ღმქმების წიგნიდან „ისევ ახალი“

ეს გაუმარჯოს...

ეს გაუმარჯოს ვისის და რამის!
სიყვარულს ძლიერს,

ძელქვაზე მაგარს.

ეს გაუმარჯოს მთვარიან ღამეს,
სიყვარულისთვის გაჩენილ მთაბარს.

ეს გაუმარჯოს სიყვარულს, რომლის
უძლიველ ძალას

საზღვარი არ აქვს!

რისთვისაც ცაში ციმციმებს ხომლი,
რისთვისაც მტკვარი იხუტებს არაგვს!

ეს გაუმარჯოს

ელვარე ალვას

და ალვის შუქურ-ვარსკვლავთან

ტრფიალს,

სიყვარულისგან კენწერო დამწვარს,
ტოტზე შეყრენილ ბულბულს და ნიავს.

ეს გაუმარჯოს სიყვარულს ძლიერს,
მოუსვენრობას და ღამისთევას,

გულს გაუმარჯოს—ჭაბუკს თუ ხნიერს—
სიყვარულისთვის დაწურულ მტევანს.

ეს გაუმარჯოს

სიყვარულს, რომლის

აღზე ყოველი სულდგმული იწვის,

ეს გაუმარჯოს

ზეცაზე ხომლის,

მიწაზე—ჩვენი თვალების ციმციმს.

ეს გაუმარჯოს ვისის და რამის!

სიყვარულს ძლიერს,

ძელქვაზე მაგარს!

მიჯნურთა იმედს—მთვარიან ღამეს—
და სიყვარულის საოცარ ზღაპარს.

...

უენგუროდ გაეძღებ განა?

შეგძლებ მამულს ვუერთგულო,

რა იქნება ეს ქვეყანა

უმთებოდ და უენგუროდ?!

უსვანეთოდ გაეძღებ განა?

ჩირადანად როგორ ვენთო?

რა იქნება ეს ქვეყანა

უსეთნულდოდ, უსვანეთოდ!

უარაგვოდ გაეძღებ განა?

სულექსოდ და უარაკოდ?

რა იქნება ეს ქვეყანა

უმთებოდ და უარაგვოდ!

უმამულოდ გაეძღებ განა,

მაშინ ვისლა ვუერთგულო...

რა იქნება ეს ქვეყანა

უსენოდ და უენგუროდ?



8678

ისევ გვალდა, გვალდა...



ისევ გვალდა, გვალდა,
მჭრელზე—მჭრელი ცელი;
სიყვარულის გარდა,
მე არაფერს ველი.

ცივი, ცივზე ცივი,
რუ და წყაროს თვალი,
ოცნებაში ლევიის
ჩემი სალოცავი.

პური, ქერის პური,
ერთხელ ანა ერი.
გული შენიღბული,
ნაკრიანი კვერი.

ცელი—ბასრი, მწველი,
ყველაფერზე მკვეთრი.
შენი თეთრი ხელი,
ყველა ხელზე თეთრი!

შენი ბროლის ხელი,
წინწამები მფრთხალი,
თვალი მწველზე მწველი,
მოციმციმე თვალი.

თივა, ხმელი თივა.
ხალახები სველი.

კაკაბივით შცივა,
ბულულებში გული.

ცაზე ღრუბლის ფთილა,
რუხი ვერძის ფერი,
ფოცხი მრავალკბილა—
თივის საეარცხელი.

ისევ გვალდა, გვალდა,
დაბინდების ჯამი,
მარწყვით სავსე კალთა,
მოცვით სავსე ჯამი.

სათიბების ბოლოს
დაწინწკლული ფერდი —
დაფნტული გოლო,
როგორც სისხლის წვეთი.

ისევ გვალდა, გვალდა,
მჭრელზე მჭრელი ცელი.
სიყვარულის გარდა,
მე არაფერს ველი.

ცივი, ცივზე ცივი,
რუ და წყაროს თვალი,
ოცნებაში ლევიის
ჩემი სალოცავი.

• • •

ლექსი რა არის ბოლოს და ბოლოს,
რომ მისით არსად არ მესვენება?
ლექსი რა არის თუ არა მხოლოდ
მივიწყებული დღის გახსენება!

ლექსი რა არის?

— დილის საარი,
უხმოდ შეჭრილი სულში ნადველი,
აღმოღებული გულის ხმა არის,
სიხარულივით გაღულახველი.

ლექსი ოცნების წმინდა ცრემლია,
ის, რაც შორეულ შუქში ლივლივებს,
ის, რაც მალაზოდ დაგვიფენია,
რაც გიჟივდება დარდს და ტკივილებს.

ლექსი რა არის?

— წვა და წვალემა,
ცეცხლი მარტოდენ?
ალის ბრიალი?

მიყუჩებული დვეღფის თვალემი,
თუ ჩანჭქერების კლდეზე ჩქრიალი?

იქნებ მარტოდენ ხმა საამური
და მოციმციმე ციციანთელა?
თუ სულში რაც გაქვს გადაშალული
და მორიდებით გინდა გამხელა?..

ლექსი რა არის ბოლოს და ბოლოს,
რომ მისით არსად არ მესვენება?
ცეცხლის აღია მხოლოდ და მხოლოდ,
თუ მივიწყებულ დღის გახსენება?!

ლევან გოთია

ცხოვრება იწყება წყაღიღობით

იმ დღის განთიადი, სხვა განთიადებთან საგან არაფრით არ განსხვავდებოდა. ალბათ, არც გაზაფხული იყო სხვაგვარი.

მტკვრის ხეობაში საამო ნიაფი ჰქროდა. გაღმა-გამოღმა ჩაყოლილ ქედებს ცა მწვანე, უსწორ-მასწორო ჩარჩოში ჩაესვა. მათ გადაღმართში კი უკვე მზე იგრძნობოდა. უჩინარი სხივების მოგვირგვინებული ნაშუქი ბაციფრად გაჰქროდა ღრუბლებს, ნისლს, მდინარეს...

არწივმა დაასწრო მნათობს. მზე თითქოს მის ფრთებზე ამოდიოდა.

საარმაზოში, ღრმად ჩაჭრილ მტკვრის ტყიან მოსაბრუნებში, ჯერ ღამის ჩრდილი იდო. ჭოტის ხმა ისმოდა, მაგრამ უკვე ყიოდა ხოხობიც.

აქ, ვიწროებში, ყველაფერი ჩასწვრივ, შერეულად და ერთი-მეორეში გადასულად მიიკლავებოდა. რკინიგზა, გზატკეცილი, მათეულების ქსელი, მდინარე, მთები, შემორჩენილი ტყე და ქალა.

ლიანდაგის ახლოს, ყრუდ და ბიამანად მიჩნეულ ქალიანში დიდი ბერტირფი იდგა. მისი ღრუმრავალი ტანი მტკვარზე ჯერ გადაწოლილად, მერმე აკუთხულად აზიდულიყო. თავისი ახალ-ნაყრებითა და ძირზე ნაზარდებით უცარი უღრანი შეექმნა, ხოლო მის ირგვლივ მთელი სატირიფოს სამყარო შეყუთულიყო.

სულ მაღლა, ღრუში, თავიდა ბუიჭდა. თავის ბახალებს ფრთებს უფრატუნებდა და იძახოდა, გაკიოდა გაუკითხავად.

კენწეროს ჩხაში, მოშლილ ბუდესთან

გახევებულად ატუხული წერო ქანდაკებას უფრო ჰგავდა.

ქვევიდან მოფრენილი ყვავიცი ტირიფზე შემოჭდა და სატირიფოს გადასჩხავდა. ბუმ აღმამრუდედ ახედა მჩხავანას და შეუტია..

— ყვანჩალავ! არ გათეთრდა შენი ჯიში. რა დღეს გვითენებ! რას დაგეჩხავი?.. ნუ გვაშფოთებ საბუეთს!

— არც შენ ხარ თეთრი, ბნელეთის ბაიფუში! — ახლა აქეთ მოაჩხავლა ყვავმა, — ყველას რომ თავისი ჰგონია ქვეყანა! ნამდვილი პატრონი კი ჯერ არსად ჩანს!.. ეს კი სატირიფოა და არა საბუეთი! ყვა, შე ყვავის ლუკმავ!

— ლუკმადაკარგულ! თეთრი ბუ კიდევ არის, თეთრი ყვავი კი აბა სად გავგონილა ამ შევიწროვებულ ქვეყანაში?! დიხაც ბუ ვარ! დი არც სხვანუ ნაკლები ფრთოსანი! განლაგართ დაბრძენებული!.. დამეში გაძეგებული!.. ამიტომ ბოროტად და მხაკვარ მტაცებლად მთელიან.

— ქოდა არა თუ?

— ნამდვილად კი დედამიწაზე ორი დიდი მტაცებელია — არწივი და ადამიანი! სხვებიც არიან, ამათ მე დღე წამართვეს. მაგრამ შენისთანები აბა რაღა სახსენებელია, შავრეგვენო!

— ხეობაში მე ყველაზე უხუცესი ვარ! აქ წინათ სხვა, უფრო დიდი და ახოვანი ტირიფი იდგა. ტყეც უღრანი იყო. ეს ოქროს დღეც უფრო ლაღად სჩქედდა... არც ლიანდაგი ჰკვეთავდა არეს... გესმის, თვალუბცეციავ!

მატარებლის გუგუნმა და ელმავლის საყვირის ხმამ გაბმით გადაუარა სატირიფოს.

— მესმის! — ყბამრუდედ გაეპასუ-

ხა ნაწყენი ბუ, — მზე რომ არწივს ამოაფრენს, ამ ღრუში შევძვრები და აქედან შემფოთებით ვუმზერ ქვეყანას. კიდევ კარგი, რომ ამ ჩვენს ბუნავს აღამიანმა ჯერ არ მიაქცია ყურადღება. მხოლოდ არწივი გვძალავს. მზეზედ წეროს, ჯერაც ვერ მოუგლოვე-ბია ბუღის მოშლა!

— ეჰ, მეც ასე ვარ. მარტოხელად დავეხებები! — აბა ხეირი ნახეთ! ყვა! ყვა! მეც მყუღრო კუთხეს დავეძებ და ვერ მიპოვნია! — ყვავი აფრინდა და მტკვრის ღენას ისევ აწყვა.

მზე გადმოადგა ქართის მთას. ქედებზე გასხლიტა დილის სხივი ქვევით ხეობაშიაც უწყვდინა. შეაღვიძა მტკვრის ნაპირიც.

შეხიანდა ქალა. ძირბებში აკაენდნენ და ამხეტრდნენ ფეხწითელა კაცბები. სატირიფოსთან, კლდის შუროში, უღარო წყაროს თავთან, ყვილით აფრინდა ხობობი, ტირიფის ტოტზე შეხტა და თავბოლო კოპწიად მოიღერა.

— დილაშვიდობისა, სატირიფოე!.. თქვენც წერობ-ბუებო, ბატი-კვატებო!

ტირიფის გამოშვიღებული ფესვების ბოლათში აწყუშპალავდნენ გარეული იხვები. თავ-ტანი ჩაიბანეს ბრტყელი ნისკარტებით ჩაივარცხნეს ფრთაბოლოებო და აყიყინდნენ...

— კვატ-კვატ! გამარჯობათ!

— ვაშა და გამარჯობა! — დაბურულ ღვიას წიწვნარიდან გადმოკახვანდა შაშვი, კლდეს გადმოველო და სურომორეულ ხეზე შექდა. — აქა მშვიდობა და კარგად ყოფნა, ყველას ერთობლივ! — მერმე სუროს ჩრდილში შებუღრებულ ფრინველებს შეუძახა: — ჩხიკე-კაქკაუბო! დღეს რალაც გაგიტებათ ძილი? ყვავმა კი დაგვასწრო, დაგვჩხავლა და გაგვეცალა!

— შევ-ჩობოსანს ჩხი და გამარჯობა! — მიაძახეს სუროდან და ბროწლიანიდან გამოშვრალმა ჩხიკეებმა, ზედაც ერთი ჩხივილი და მიფრენ-მოფრენა შექნეს.

— დახე მაგასა! მე ოფოფი მეგონა!

ეს კაქკაუელა თავისი კაქკაუენებით არ ჩამოგვისახლდა სატირიფოში!

— ჩხი! ჩხი! მაგას აქ რა ხელი აქვს! ხილს ქვევით არის საკაქკაუო!

— აღარ არის, თორემ... აქ რა მინდოდა?! — თავი ჩაძახარა დედა-კაქკაუმა.

— თქვენ იქაც ვინ რას გერჩით, ან ვინ რას დაგაკლებთ?!

— მეზობელო ლმობიერო! ძლივს გამოვასწარით... თქვენი ხიზნები ვართ! შეგეწყნარეთ! თქვენც ხომ არწივები, ან აღამიანები არ ხართ! რალას მაკაქკაუებთ?! — აკაპასდა კაქკაუი და თავის დაფრენილ ბარტყებს ბოლო ვადააფარა.

ჩავლილ ელექტრომავლის ხმას გაღმიდან ხარირემი გაეპასუხა. ყველამ მტკვრისაკენ მიიხედა. ჩხიკვი კი სულ ნაპირა ტოტზე გადაქდა:

— იმ უზედურს თავისი დაკარგული ცალი ჰგონია!

— კი არ ჰგონია, აგონდება!.. ამ მატარებელმა არ მოუკლა! ჯერ შექით დააბნია, მერმე გასრისა! — ამოიგმინა ბუმ, — რას არ მოიგონებს აღამიანი.

გაღმიდან ირემი მოცურავდა. ბურჩხარტებს მოარწევდა. ერთ-ერთ როკზე მოშია შემოჯდომოდა და ფრთებს იქნევდა.

— არიქა, ირემო! შენც მომხმარე... ფეხები აფხაკუნე, თორემ დაგავლებ და გაგიფრინდები! მერმე იკითხე. დახრჩობას თუ გადაჩი, ხილსქვევით ჩაგიტანს. მერმე ნახე, როგორ გაგატყვევენ, რტებს დაგაცლიან, საყასბოში ჩამოგკიდებენ!

— მერმე შენ რა იცი, სად არის საყასბო?

— ხილსქვევით არის, ქა! ხილსქვევით!

— ჰოდა გეხმარები, რაც შემიძლია! ცოტა სული მომათქვევინე, სატირიფომდე გავატან. შენც გაგიყვანს.

ზემოდან, მტკვარ-მტკვარ, გარეული ბატი მოფრინავდა. მას უეცრად გაჩენილი არწივის ჩრდილი დაედევნა.

— ჰაიო! არიქა!... ჰაერში არწივი!..

არწივი! — აკრიახ-ჩაკრიახდნენ ფრინველები. ყველა შეეფარა და გაინაბა...
 ბატმა პაერშივე წაიგრაძელა კისერი, ფრთები მოაპყარა და ტირიფის ახლო, ჩრდილდაკრულ მტკვარის ტალღას მიაშურა. ჩაპყვინთა.

არწივმა ჩამოუჭროლა, ჰვანგი გაპყრა წყალს და გაწბილებული ისევ ამლდა. წყლის წვეთები აიყოლა.

— გადარჩა! გადარჩა! — გულზე მოეშვა ყველას. ახლა ჩხიკვები და კაჭკაჭები პაერში აპყვნენ არწივს. მტაცებელმა კი უეცრად ირაო დაპყრა, პაერშივე შეტრიალდა, ჩხიკვ-კაჭკაჭები მოიგერია და ტირიფის ჩრდილში განაბულ ობეებს დაეცა. ერთ-ერთს გაპყრა კლანჭი. აიტაცა. ქარმა მთელ სატირიფოს მოსდო იხვის ბუმბული და განწირული ხმა.

ქალაში შეიქნა ფოთოლთ შრიალი და ჩქამი. წყაროს თავზე, კლდის შუროში, დათვი გადმოდგა.

— წაილო?

— კიდეც წაილო!... გაიტაცა! — აყიყინდნენ გადარჩენილი იხვები... — ვინ დაგვიხსნის ამ მტაცებლისაგან?

გადარჩენილმა ბატმა კი თავი ამოიყო და ტირიფის ფესვებთან ამოაჯბაჯდა. მღელვარებისგან ვერც სიტყვა ამოილო, ვერც აპისინდა.

მალე წავიცი ამოძვრა წყლიდან. ბეწვი ვაიბერტყა და ბატს გადარჩენა მიულოცა.

— ბატ-ბატონო! შენცა და მეც ახლად დაბადებულად უნდა ჩავთვალოთ თავი!

— სო.. სო.. სო.. სწორია! — ძლივს ამოისინინა გულშემოყარლმა.

ბუმ ყური მოპყრა მათ საუბარს, ღრუდან ფრთა დაუქნია:

— შენ წყალმძრომელაყ: წუხელ ისევ ქვევით წახვედი?

ხილზე ვიყავ! აღამიანების ხილზე! რა და რა რკინის მხეცები და პუნაგები არა ვნახე!

— აბა თუ შენ ხაფანგში არ მოხვდე! გირჩევნია, შენ ტყავში დაეტო!

შენს კვალზე ჩვენც არ მოგვავნონ! საერთო თავსატეხია!

— მეც საერთოზე დავალ! ბრძენ-პოტო! გადასახვეწის ძებნაში ვარ! აცერა ხედავ? არ გესმის?

ისევ გუგუნნი და მატარებლის საყვირის ხმა გადაეველო სატირიფოს.

— ჩაიარა მატარებელმა!

— კიდეც კარგი, რომ ჩაიარა. აქეთ არ გადმოუხვია, როგორც არწივმა! — აყიყინდა ბატი, ფრთები ჩაიწმინდა, ოქროს წინწკლები ჩამოიყარა, — მე კი, დაფეთებული, ისევ ოქროს ლამში მოვხვდი.

ბუმ ხელად ყური სცქვიტა:

— არწივის ბრჭყალებს ახლა ეგ გერჩიოს. მაგრამ მიხვეტ-მოხვეტე აქაურობა, ნიშანი რამ არ დაგრჩეს! მატარებელი აქ რას გადმოუხვევდა, თავის ლიანდაგზე მიდის. ოქროს ლამი კი ისევ წყალში ჩაპყარე, თორემ თუ მოაგნო აღამიანმა, — დედა-ბუღიანად გადაგვთხრის!

სატირიფოში ისევ შოშმინი ჩამოპყარდა. ბატმა ოქროს ლამი ფრთებით ისევ წყალში გადააპყეტა და უკვე დანა ხმა ამოილო:

— ეპ, ყველა რომ თავის ლიანდაგზე დადიოდა, რა გვიჭირს! ყველას ეყოფოდა ადგილი. ქვეყანაზე არ იქნებოდა ამდენი უბედურება და ძალიან!

ტირიფთან, ნაპირ-ნაპირ, მელამ ამოიარა. ბატმა თვალი მოპყრა და წყალში გაერიდა. მელამ მეტისმეტად იწყინა..

— არა, ბატ-ბატონო! თავს ნუ მარიდებ. თავი ნუ მომიკვდებ! როგორ გეკადრებ! განა შინაური ბატები ცოტაა, შენ რომ არ შეგაწუხო? აგერ, სულ ახლო, არმაზში, ვეება საქათმეა გაშენებულო!

— მერმე, შე მსუნავო, შინაური და გარეული, - მით უფრო შექმის ღროს, რამ გაარიდა? — ხიდან გაუჯავრდა ხოხობი.

მელია კუდიანად დაიგრიხა

— ჩემო კეკლუცო, შენც თუ ფიქრობ, რომ ცხოვრებაში შექმე არის

მთავარი? გადაგვარდა სახობხეთიც? მე ზნეობის დამცველი ვარ და გულს ნუ გამიტეხ, შენი ჭირიმე... ანჩხლი თვალით ნურც გადმოიშხედავ!

— აი შე კუღაბააა! დახე, როგორ მელოზღვება კიდევაც! — გაინახა და გაჰკლულა ხობობიც.

ტირიფის კენწეროზე გაშეშებული წერო უტბად შეირხა და ყელი წაიგრძელა:

— ხმა გაიკმინდეთ, ბედერულებო!... რალაც ხმა ისმის!

ყველა სმენად იქცა. სწორედ ამ დროს თავისებური კვეს-კვესით შემოფრინდა კოდალა, ტირიფის ტანს მიასკუპდა და ნისკარტი აარაკრაკა.

— კოდალავ, იქაც შენ იყავ? — ჩამოეკითხა წერო.

— არა, იქ ვილაც დიდი კოდალაა! ხმა-რაყრაკიც სხვანაირი აქვს!

ნადირთ ბილიკით შემოვარდა დაფეთებული კურდღელი:

— ვილაცა მოდის! მოხზიანობს... მოილაჩება! ტყიურის ხმას არა ჰგავს, არა!

— სულ ასეთი გულის ხეთქაში უნდა ვიყოთ? — ისევ ყელამდე წყალში ჩაღვა ირემი. გაღმა გასაცურად მოემზადა. ყველა გაინახა. გაფაციცდა წეროც.

— ვგონებ, სულ დაიღუბა ჩვენი სატირიფოს მყუდროება!

ბუმ ფრთა ჩააფარა თავის ბახალბეს, ღრუში ჩააძვრინა, ხმა დახშულად, მაგრამ სხვების გასაგონადაც, ჩურჩულით აქადაგდა:

— ახლა ალლო იკრიფეთ! ალლო! არ წავავთ თავიცა და სატირიფოც! მოდგმას გაუფრთხილდით... თქვენ-თქვენ მოდგმას. ქვეყანაზე ყველას თავისი მოწოდება აქვს. ბოროტების გარდა ყველა დასანანი!

განაბულ სატირიფოში გაისმა ცულობით ჩეხვის ხმა.

— ზეებს სჭრის, ჰკაფავს ვილაცა! — ყუბები წინ წამოჰყარა ირემმა.

— ეს უკვე აღამიანია! — შეშფოთდა და ყველა შეაშფოთა ბუმ, — ტყუილად კი არ დაგჩხავლა ყვავმა!

ფერდის ძეძვნარში რალაც მოძრაობა

შეიქმნა. ვილაც კაფვა-კაფვით მოიკვალავდა საეალს. მომდგარი ძეძვების ალყას გამოატარა, ჭინჭრები გაფრთხელა, მისხეპ-მოსხეპა... მხეზე ალაპლაპებული მოქნეული წალდის ნასხივმა თვალები დაუბასრა ჩაღარაჩებულ ტყიურთ. მერმე ბიჭი გამოჩნდა. უკაფ-ნაკაფმ გამოაღწია და ბოლოს ძეძვების ჯაგნარს დაერია, მუსრი გაავლო.

განაბულ სატირიფოში კი შეშფოთებამ იმატა. წალდის ყოველ მოქნევაზე, ახალ ძეძვის მოჭრაზე, უფრო დაბლა, მიწაგაკრულად იბნიდებოდნენ მიჩიხული ქალის სულიერნი.

მელიამ გაპბედა, თავი გამოჰყო, უფრო ახლოდან დახვერა და დაყნოსა ვი თარება. ცოტა გული მოიხალვათა, სხვებსაც იმედმოცემულად გადაუჩურჩულა.

— მოზარდია... ტანატარა ჩანს! ვგონებ, არც ისე დიდია საფრთხე.

— პატარა აღამიანი — პატარა უბედურებაა, დიდი აღამიანი — დიდი უბედურება! — ისევ აბუბუნდა ბუ.

— გვაცალე! აღრევე გულს ნუ გვოხეთქავ! შენ ყველაფერს ღამის თვალით ჰხედავ. ჯერ მხოლოდ ძეძვებს ჰკაფავს! ეკალ-ბარდს გვაშორებს, — ირემი ისევ ამოვიდა წყლიდან და უფრო ახლოდან გაპხედა მოსულს.

— ჰო, ჰო! ეგრე იწყება. ჯერ ძეძვები, მერე ძეწნები! ჯერი ამ ტირიფზედაც არ მოდგეს! — დარდიანად აღუღდუღდა ღამის ფრინველი.

— აბა, სმენა და სიფრთხილე! გამოჩნდება, რაც სწადს! როცა ძალა არ გაგანია, მაშინ მოთმინება ყველაზე უმჯობესი იარაღია! — წერო უფრო ქვევით ჩამოდაბლდა და ხშირ ფოთოლნარში შეიშალა.

მოზარდმა კი ძეძვნარში გააფართოვა სავალი. ახლა კარგად გამოუჩნდა სვანური ქუდით ვერ ჩაფარული დიდი შუბლი.

ბოლო ძეძვის ბუჩქი სულ ერთიანად ამოჰკაფა ბიჭმა. ძირიც მოუთხარა.

— რა შევეამირა მიწა?! — ხელით მოაფხვიერა გაჩენილი ორმო. ძირები

და ნაკაფი მტკვარში გადაჰყარა და გავიდა ტირიფთახა.

— ამას დამიხედდე, როგორ გადაწოლილა მტკვარზე! დედასავით არ გადაჰფარებია!

ტირიფს ძირებში გაუძვრა, მოუსინჯა, — ეჰ, ფესვები მოღობია ტირიფს!

ახლა ტირიფის გადაწოლილ ტანზე შედგა ფეხი. ხავსი მიწმინდ-მოწმინდა. სოკო და ეკალი გააცალა, ამოსული ტოტები გადაუხნიქა და მტკვარს თავზე გადაადგა.

— რა ადგილია! აი ბუნების მყუდრო კარი და კუთხე! ჩემია! არავისი იყო! ვიპოვნე და ჩემია! — ფეხი დაჰკრა ტირიფს. თითქოს მთელი სატირიფო შეზანზარდა. განაბულ-განართხული ფრინველ-ცხოველები შეძრწუნდნენ და ტირიფის თავ-ღრუში მიმალულ ბუს შეჰხედეს. მანაც თავის ქნევით გადმოიხედა.

— ჰმ, ჭერ ხეირიანად არც მოსულა და უკვე იჩემებს!

მოზარდმა კი ისევე წალდი ამოიბრუნა, ტოტები მისწო-მოსწია, განზე გათხედა, წყარო-ნაკადი დაინახა.

— ეჰე! წყაროც ყოფილა! მართლაც ზღაპარივით ადგილ-ამბავია! ჩემია და მხოლოდ ჩემი!

— დახე! დახე! წილსაც არ გვოდებს! — ჩურჩულმა ჩაიბზინა განაბულთ შორის.

მოზარდმა კი ხელები დაიკაპიწა და ტირიფის ძირზე ამოსულ ერთ-ერთ კარგ ნაყარს თვალი დაადგა.

— ფრთხილად, ჩიტო-გვრიტო! ვგონებ, ეს პირდაპირ ტირიფიდან... შენი ბუდიდან იწყებს ყველას ბუდის შლას!

ჩიტო-გვრიტი უფრო გაინახა თავის ბუდეში, ჭერ ყვეთელნიცკარტა ბარტყებს გადაეფარა. მთელი სატირიფო ახლა მას უმზერდა და დეღავდა.

მოზარდმა კი წალდი შემოჰკრა ნაყარს. ერთ-ორი მოუნაცვლა. ნაფოტები პირდაპირ მტკვარში ცვიოდა. ახლა თევზები ააფორიქაჰა.

— აქ თევზიც ბლომად ყოფილა! — გაეხარა ყმაწვილს, ახლა სხვა მხრივ

ჩასტრა ნაყარი და ხმელეთისკენ გადაწვინა

ჩიტო-გვრიტი შეძრწუნებულ-წიაფით გადაფრინდა. ბარტყები კი უშწოდ გადამოცვივდნენ.

— ჰაიო! ჰაიო! — უეცრად მრავალხმიანად აგნიასდა სატირიფო.

ბიჭი შემობრუნდა. ისევე ყველამ ჩაიკმინდა ხმა, გარდა აქრიახებულ ჩიტო-გვრიტისა.

— ეს რა მიქნია! — ჩამოვარდნილი ბარტყები შენიშნა ბიჭმა, მივიარდა, ხელში აიყვანა. ტირიფის მოჭრილ ნაზარდზე ბუდე შეამჩნია, დაუბიანებლად მოაშორა.

ახლა უფრო დიდ ნაყარზე გადაიტანა, ჩაამავრა და აჰყივლებული ბარტყები შიგ ჩასვა. თავად კი ისევე მოჭრილ ნაყარს სწვდა, ტოტები ზოპიერად შეესხება და ნაძეძვარ ორმოში მაგრად ჩასვა. წყაროს წყალიც ზედ მიუშვა.

— საირმეთს ვფიცავ, აქ რალაც სხვა ამბავია! — წაუჩურჩულა რქოსანმა გრძელყუროსანს...

— ბუს ვკითხოთ! მაგან უფრო იცის აზრის ამხსნა!

— სხვა ამბავი?... დალუბვის პირია და ის არის!

— მოიცა! მოიცა!.. ბუ-ჭიუტავ, ვერა ჰხედავ, ბუდე ახალ ადგილზე გადაუტანა! — ჩამოსძახა წერომა..

— არც ტირიფი მოსტრა! პირიქით, ახალი ნერგი დარგო! — კოდალა ბერ ტირიფიდან ახალდარგულზე დიად გადაფრინდა და თავისებურად მიუჯაქუნა...

— სალია! ძირებს გაიდგამა, დაფესვიანდებამ!

— ეგ უფრო ეშმაკი რამე ჩანს! — ეფთა მოიქეცა ბუ-ჭიუტამ, — ძეძვი კი მოსტრა, მაგრამ ჭერ არა მჭერა, ამოიყარის? რაც ძეძვი ბუნებაში, ის ადამიანია ცხოვრებაში!

— შენ სულ ეგრე იცი, უჯერ-მაჯერავ! — აყიყინდნენ ბატ-კვატები.

ბიჭმა კი ახლა წყაროს მიაშურა, პირი მოუწმინდა, ქვერო გადაჰყარა, ლაქაშები გაუგლიჯა. შემხმარ ხეს ქერტი გააცალა, ღარად დაუღო, ზედ დაადო

ნა, შესეა და სული სიამით ამოიღო...

— ოქროს წყარო ყოფილა!

— ოქროსიო?!... ოქროსიო?! — ჩურჩული ჩაიკლაკნა ტყიურთ შორის, — იგრძნო? გემოზე მიხვდა?!... ეს რა გრძნეული გული ჰქონია!

— რაღაც იყნოსა! მავას ჩემზე უფრო გრძელი კული უნდა ჰქონდეს! აბა, ერთი გამასინჯინეთ! გამოცოცხლდა მელია.

— სხვამ არაფერ ამკლავნოს თავი! მან რაღა გეხსნის!.. შენ კი გაიტყუე სადმე, ვითომ დაჭრილი ხარ!

მელია მიწაზე გაბოხდა, წყაროსთან ბალახებში შედგრა და კული აბზიკა, გამოაჩინა. ბიჭუნამ დაინახა, აუჩქარებლად მობრუნდა:

— რომელი ხარ? კულს ვხედავ და მელას ვერა!

მავრამ ამ დროს მიწას ისევ დიდფრთიანმა ჩრდილმა გადაუარა.

— ფრთხილად! ჰაიო!... — წამოიძახა წეროვ, — ყველამ ჩვენ შემოგვიტია: ციდან არწივმა და მიწიდან ადამიანმა! ნეტა უარესთ შორის რომელია ჩვენთვის უმჯობესი?

— გამოაჩენს, საქმე გამოაჩენს! — ასძახა ირემმა.

არწივმა კი ისევ ჩაუქროლა სატირიფოს. ხიდან გადაფრენილ ხობობს გაედევნა, მავრამ ხობობმა წყაროს მიამურა, იქვე მაცვლის ბუჩქში შედგრა. არწივმა ახლა ბალახებიდან ამოწეული კული შენიშნა, მას გაჰკრა ქვანგი და მელია ამოატრიალა.

— ჰეჰე, არწივო, რა ხელი გაქვს?!

— მოზარდმა ქვას დასტაცა ხელი და გამეტებით სტყორცნა, — აქეთ აღარ დაგინახო! აქ ყველაფერი ჩემი სამფარველოა, ხობობიცა და მელაც. გაიგე?!

არწივმა ქვა აიციდინა. თვალბრილად ჩამოჰხვდა ბიჭს.

— კრა! კრა! შენ ვინდა გამოჩენილხარ?! როდის გამოიჩნე? კრა! კრა! კიკო! კიკო!

— კრა, კრა კი არა, ბაქურ! ბაქური ვარ და აქედან ვამეცალე! — ახლა ჯოხს დასტაცა ხელი და შესტყორცნა შემობრუნებულ არწივს. ვერც ის უწვდინა,

და გაგულისებულად მიამძახა: — დახე ამ მტარვალსა როგორ დათარეშობს!

ბიჭი დამფრთხალ ხობობს და მელას მიუბრუნდა: არწივმა კი კლდეა მოუფრა და ახლა ზურგიდან შემოუტია მოზარდს.

— ჰაიო! არწივი! ბაქურ-კიკო! — პირველმა ბუმ ასტეხა ყვილი. მერმე ყველა აჰყვა.

ბაქურმა მოასწრო შემობრუნება და დროზე წახრა. არწივმა კლანჭი გაჰკრა და ქვანგებში მხოლოდ ბაქურის ქული შერჩა. ბიჭმა კი ქვევიდან მოასწრო წალღის ამოქნევა. ნიღრი ფრთის ბოლოში მოსდო, ბუმბული გააყრევინა.

— გაჰკენწლა! გაჰკენწლა! — აერიამულდნენ ჩხიკვ-კაჰკაჰები.

არწივმა ერთიკ დაამორაალა ფრთადიდი და სატირიფოში ჭარი ააყენა. ისევ ბაქურს შემოუტია გიქურად.

— ჰაიო! მოვიდა! არიქა! — ახლა უკვე მთელი სატირიფო ახშიანდა და საფრებიდან გამოიშალა. ბაქურთან ყველაზე აღრე წერო და ირემი მიგარდნენ და წინ გადაეფარნენ. ზედვე ატოტილი დათვი გადმოდგა კლდეზე. წაიფებებში გაუძვრა ბაქურს და მის დასაცავად მოიზიდა. ფრინველები ჰაერში შევიარდნენ და ჭრიახ-კრიახით რაკალად დაუარეს ბაქურს. ბუც კი გადმოძვრა ღრუდან და ფრთები აასავსავა.

ბაქურმა წალღი შეამზადა და მდგრად დახვდა არწივს.

— ქული დამობრუნე, თორემ... მაინც მოგაგნებ! მიწაზე ხომ ჯდები სადმე!

არწივი ჰაერში შედგა, შემადლდა და ყვილით გადმოსძახა

— დამაცალე, მიწახობიავ! ქულს კი არა, თავსაც დაჰკარგავ! გიტირებ დედმამას!

— ვნაბოთ, ბოროტო! დედ-მამას კი ველარ მიტირებ. აღარა მყვანანს!..

არწივმა მალალი ირაო დაჰკრა და სატირიფოს ცას შორის გასცილდა. ბაქურმა თვალი გააყოლა. თავი რომ დახარა, ირგვლოვ შემომდგართ შეჰხედა, დინჯად შეათვლიერა.

— თქვენ საიდან გაჩნდით?! ახლა თავებს ვხედავ და კულებს ვერა თუ ეს

სატირიფოს ზღაპარია?! თქვენც მებრძვით?!
 ტირიფქვეშ ისევ სინთმე ჩამოვარდა.

— არა, ჩვენ არავის არ ვებრძვით! კრუ! კრუ! ჩვენ კი ყველა გვებრძვის, გვჩაგრავს! არწივი კი ყველაზე უფრო... შენ კი, კიკო-კიკო, ბაკურ-კიკო, გვეშინია! — ტირიფიდან, ყველას მაგიერ, გადმოსძახა ბუმ.

— ეგ არის თქვენი ქალის ბრძენი? ბუ-ბელადი?

— არა ჩვენ ყველანი ჩვენ-ჩვენთვისა ვართ! არც ვინ უფროსი გვყავს და არც ვის ვუფროსებთ! ვის რა აზრი, ნიჭი და მოხერხება გააჩნია! — არეულად და ერთდროულად უბასუხა ყველამ.

— მეც ასე ვარ!.. ტყის მეგობრებო! არავისანნო! არწივის კი ნუ გეშინიათ, ნურც ჩემი. მე ვიქნები თქვენი მწე, მე მოვერევი არწივს! გაიზრდები და გავხდები, სიკეთისათვის მებრძოლი კაცი ომში დაღუპული მამაჩემივით, და სათნო, როგორც მამის დარდს გადაყოლილი დედა!

— სიკეთისათვის მებრძოლი! სათნო!.. — ანურჩულდნენ ტყიურნი და უფრო ახლო მოდგნენ.

— რომ მოგტყუვდეთ?! — ფრთხილად ჩააწვეთა ბუმ...

— მე თქვენთვის ჯერ არაფერი დამიშავებია!

— შენმა მოდგმამ დაგვიშავა. შენც აღდამიანის მოდგმისა ხარ!

— შენც ბუების მოდგმისა ხარ, მაგრამ აი როგორ ექვიანად დაბრძენებულხარ?

— ცხოვრებამ გამაფრთხილა, გამომიყვანა!

— მეც გამომიყვანეს! მე არ მეშინია ცხოვრებისა, არც თქვენთან, არც თქვენს იქით!

— ხილქვეითაც?! — თათშემოკრულად აწუწუნდა წავი.

— ხილის ქვეითაც, წავ-წანწლავ! მე-ნდეთ და ნუ ვიქნებით შეშინებულ-

გაბუტულები! ეს თქვით წყარო, მე-გობრობის წყაროდ ვაქციეთ!

თქვით ხსენებაზე ტყიურნი შესჩქვით ფლნენ და უკან დადრკნენ. ურთიერთს გადახედეს. მერმე ყველამ ზევით ბუსა-კენ ახედა. მაგრამ იგი გაბუტულად სდუმდა.

— ამ სიტყვის შიგნით, კრუ, კრუ, ხომ არაფერი იმალება?! — აკრუჟლდა წყარო.

— არა, ისევე როგორც ამ წყაროს შიგნით. ორივე ანკარაა!

— ანკარა! ანკარა! — უეცრად გადაიხარხარა ბუმ, მას მთელი სატირიფო აჰყვა. ხარხარებდნენ ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, მთელხმინად და ჩაეუქუქებოთ. გაბმით, კვეთილად, გადაფიჩინებოთ, ასლოკინებოთ...

— ჰოდა, ასე, ხალისიანად! — ოდნავ გაკვირვებულად გადახედა ტყიურთ ბაკურმა და უშუალოდ ირემს შეეკითხა, — შენ ურჩინ-მარჩინო?

ირემმა რქები მიწას გააკრა და ხარხარით უბასუხა:

— მუუ... ბაკურ-კიკო! გენდობი!.. მუუ!

— შენ, ხოხობო, კულ-ცისარტყელავ? ხოხობმა ბოლო უფრო ააფრიალა, მართლაც, ცისარტყელას ამსგავსა.

— კო-კო-კო-კო! ბაკურ-კიკო!

— ბატო გენიოსავ?

— რატო გენიოსავ? კრუ, კრუ! — შეეკითხა ბუ.

— სსუ! რატომაც არა! იწყინა ბატმა,

— სიარული ვიცი? — ვიცი! ცურვა ვიცი? — ვიცი!

— ვიცი! — ხმა აუწყეს აქეთ-იქიდან.

— ფრენა ვიცი? — ვიცი! — ხმა აღიმალა ბატმა, თავდაც ამალდა.

— ვიცი! ვიცი! — უფრო ახმიანდნენ და ახარხარდნენ ტყიურნი.

— ყურყუმალი ვიცი? — უკვე ჩხუბად გაიწია ბატმა.

— ვიცი!.. იცის... იცის...! შინც —

არწივი რომ მოსდევს ყველაფერი იცის გენიოსამ!

— კარგი, კარგი, ჩხუბი კი არ იყოს!

— წარბები შეიკრა ბაკურმა და ხელად კლდეზე ააგდო სიტყვა: — დათუნიავე! შენც ხომ არ გეშინია? აქ ჩამობრძანდი!

— მეშინია არა! მოვგორავ და ფეხებში არავინ გამომეჭულიტოს!

— არა! არა! — ფრინველებმა ძლივს მოასწრეს ხეზე შეფრენა, ცხოველებმა

— განზე გახტომა. დათვი გორგლად მოდგა და კლდიდან გორებით ჩამოვიდა, ზედ ბაკურის ფეხებთან მოადინა ზღართანე.

— ჰოდა, მეც აქა ვარ! ნდობითა და პატივითა! დათვიური სამსახური მუდამ ჩემზე იყოს!

— შენც მელა-ჯორავა-კუდ-ბომბორავი თავით-ბოლომდე დამენახვე! კუდს მოგჭრი, თუ ამიერით კბილს რამე ბუმბულიანს გააკარებ!

— არა, ბაკურ-კიკო-ბატონო ამიერით შენი მონა ვარ და ფაფიქამია!

— მე მონა არ მესაჭიროება, მით უფრო ქლესა და მლიქველი! — ახლა სხვებს მიუბრუნდა ბაკური, — აბა, თქვენც ჩხიკე-კაჭკაჭებო, კოდალ-კაკებო, კურდღელ-მაჩვებო, სხვა ტყუიროსო ყველა ძველებურად, სიკეთით ჩვენ-ჩვენთვის ვიყოთ, მაგრამ ბოროტებას კი ერთობლივ ვებრძოლოთ! ვიყოთ თავისუფლად, პატიოსნად და ბედნიერად!

— აბა, ერთდროულად ეს რომ არ გავმოდის, არა! — თავი ჩაიქნია ბუმ, — შენ მეზღაპრე და მეოცნებე ყოფილხარ!

— ჩვენ გამოვიყვანოთ, ვცადოთ!

— პირველი წყალდიდობა ყველაფერს წალეკავს და ხიდს ქვევით ჩაიტანს!

— კეთილი! პირველ წყალდიდობამდე იყოს!

მზე უკვე მაღლა ცაზე ასულიყო. მდინარის თავზე ნავლი ზეობდა. გაღმა კლდე თითქოს კაბას იხდიდა. ღვიჩაყოლილ ნაკეთებს აჩენდა. კლდის უხილავ თავიდან რალაც ხმა გამოდიოდა. ლო-

დები მოგორავდა. ქვა-ლორლი პირდაპირ მტკვარში ცვივოდა და ერთი დგა-ფან-შხულილი იდგა.

— რა ამბავია? — იკითხა ბაკურმა.

— არწივი ჯაბრობს. შენი გაკენწილი ფრთით კლდეს ლეწავს. ჩარბსა და კლანკებს იღესავს.

— გამოეცალეთ ყველანი! არვინ დამარცხდეთ!

— გამოეცალეთ, მუ! გამოეცალეთ! — ხმა გაღმა უწვდინა ირემმა.

გაღმიდან ირმის ჯოგი ჩამოდგა წყალში. მას სხვა ნადირ-ფრინველიც აპყვა. გუნდ-გუნდად მოფრინავენ კაკებები, შაშვები, მოლალურები, მელეღვიები, მწყერები. შეხუნზლეს ბერ-ტირიფი. სატირიფო აიგისო მათი ხშიანითა და სტვენა-ქლურტულით.

— რა ბედნიერებაა აქ, თქვენთან ყოფნა! ეჰ, ერთი თქვენსავით ფრთებიც მქონდეს! იმ არწივისაც სულ ადვილად დავამარცხებდი!

— კიდევ? — შეეკითხა ბუმ, — კიდევ რად გინდა?

— მთელ ქვეყანას მოვინახულებდი, სიკეთისათვის უკეთ ვიბრძოლებდი.

— შენ მთავარი არა თქვი, არა!

— მაინც რაა მთავარი?

— ტოლ-ფარდს, დიასახლისს უფრო მაღე იპოვინდი!

— მე რად მინდა დიასახლისი?... სახლი არა მაქვს და კარი! ბუდე და სორო! მეგობრებად კი თქვენ მეყოფით!

— იჰ, არ გეყოფით, არა! — უეცრად აღელდა წერო. — შეილ-ძირი და ოჯახი ყველა სულიერს ასულიერებს... უმდაბლესსაც კი... — აზრი აღარ დაამთავრა, წყაროსთან მიდგა და ცრემლიანი თვალები მოიბანა...

— მაგალითად?

— მაგალითად, ადამიანს, ორფეხა მცოცავეებს და ჩვენც — ფრთოსნებს! — მაინც გაპკენწლა ბუმ...

— განა თქვენა ხართ ბუნების რჩეულნი?

— იქნებ აღმნიანები გგონიათ? თქვენ რომ ურთიერთის დამონება და ომი იცით? — ოჯახის მიგდება და ლალატი? ბუნებაში არც ერთ ჯიშსა და ჯილაგს ასეთი უგუნურება და ბოროტება არ ახასიათებს! არწივიც სხვას ანადგურებს, თორემ არწივეთში კი მშვიდობა არის!

— ახლა ნუ მარცხვენთ — მე რომ აღმნიანი ვარ, ისიც მოზარდი და არა დაბრძენებული ბუ!.. ტოლ-ფარდსა და დიასახლისს კი არ დავეძებ!

— ზღაპარია! ის თავად გეპოვინებდა. ან ახლავე, ან ხილქვევით — დიდ ცხოვრებაში!.. — ისევ აღელვებულად წამოვარდა წერო.

— მე სულ აქ ვრჩები — ამ ზღაპარში!..

— ზღაპარი... და პირველ წყალდიდობამდე! ახლა ჩვენ ყველა ჩვენ-ჩვენ ოჯახებს მივხედავთ და შენ რას იზამ?

— მე აქ წყაროსთან დავრჩები, „დედაენა“ მაქვს წასაკითხავი.

— „დედა ენა! — გაიკვირვა წერომ, — ჩემი ოჯახი გამინადგურა არწივმა. მეც აქ, შენთან დავრჩები!..“

— „დედაენა“!.. — ხელად გაიმეორეს, გაამრავლეს აქეთ ჩხიკვებმა, კაჭკაჭებმა, იხებმა და სხვა ფრინველებმა, იქით ირემმა, მელამ, დათვმა, წაგმა და სხვათა. და დიდხანს, დიდხანს სატირიფოში გაისმოდა ათას კილორხეულად ნამეორები ჯადოქრული ძალის სიტყვა „დედაენა“.

— კი, მაგრამ მეც ხომ „დედაენა“ ვარ? — აიბუზა ბუ და მართლაც „დედაენაში“ დახატულ ბუს დაემსგავსა...

— მეც! მეც! ჩვენც! ყველა! — ახალი ძახილი შეიქნა სატირიფოში.

— არა, შენ, თქვენ... ერთობლივ ყველა — „მამა ბუნება“ ხართ მეც დედაენისა და მამა-ბუნების შვილი მინდა და გრჩე ხიდს ზევითაც და ხიდს ქვევითაც! — ბაკური მობრუნდა და წყაროს მია-

შურა. — აბა, ჩვენ-ჩვენ საქმიანობას შევყოთ ხელი. მე აქ წყაროსთან ქოხს და ვიდგამ... აი აღარც არწივის ბოროტება ისმის.

— მით უარესი, ახლა სავერაგოდ ლესავს ჭვანგებს. წავალ მოენახე... აი უკვე ჩემი დროც დგება!.. ბუს დრო! მზემ კი დიდი ხანია გადაუარა სატირიფოს ახლა დასავლეთით აქლემის ყელის მთას ცაწითელა კამარად დაადგა.

ბაკური ტოტების ქოხმახის დადგმას შეუდგა ყველამ შეგლა მისცა, წერო ხუროთმოძღვარი გამოდგა. დათვმა ხეები მოუთრია, სარები ჩაურჭო. ღვლუკი დაუხვია. წაგმა ისლი მოუჭრა, კონებად შეუჭრა, ირემმა რქები ორთითებად გამოიყენა, კონები მალა, თავანზე შეუყარა. კაკაბ-ხოხბებმა და ჩხიკვ-კაჭკაჭებმა ქოხი ისლით დაუხურეს. მელამ შინ და გარეთ მიუხვეტ-მოუხვეტა. კურდღელმა და კოდალამ შესავალთან ხის ანატკეჩი დაუკიდეს, სარაკუნა გაუკეთეს.

ბაკურის ქოხიც გასრულდა და ბუც მოფრინდა, თავანზე ჩამოჯდა და ფიქრინად აათვალ-ჩაათვალიერა.

— კრუ! კრუ! ვნახე! ეპოვინე არწივი! ლიანდაგის თავზე, წოწოლა კლდეზე წამოქდარა. ქურუხად სდუმს. შენი ქულცი იქა აქვს!

— შულამემდე შენ უღარაჯე, მერმე შეგეცვლები! აბა, ღამე მშვიდობისა, ახლო მგობრებთ!

— ძილი ნებისა! ძილი ნებისა! — ახმინანდენ ტყუილნი და წვილ-წყვილად წასვლა-წამოსვლა იწყეს.

ბუმ ბაბალეები სათითაოდ გადაკონა და ისევ საღარაჯოზე გაფრინდა. ბაკური ქოხში შევიდა და ბალახზე წამოწვა. წერო სარაკუნასთან, თავანზე ცალ ფეხზე შედგა და ისევ გაშემდა...

სატირიფოს ცაზე ახალი მთვარე ამოინამგლა. ბულბულებმა ღამის პანგები დაქარგეს და დათაფლეს. მტკვარი თითქოს შავსპილენძა ჯავშანში ჩაჯდა. მდინარის დაყოლებით ერთმონაბერმა ქარმა გადაინგარდა, დაჩქამა და

ააგნიასა მისი სამყაროს ქალის ნარჩენი.

ახლა სხვა, გარეგუენი შემოიჭრა, დაუფლა ყველაფერს.

ელმავლის წინა შუქმა ვეება მაკრატელივით გასჭრა და გადაუარა სატირიფოს ბინდს, ერთ წუთს მთელი ქალა თავისი ბერტირიფითა და წოწოლა ქიშით გაღმა კლდეზე ლანდად გამოიხატა, შემოძრავდა და უკუღმა სვლით გაუჩინარდა. მალე თვით მატარებელიც, მწკრივში ჩამდგარ ციციანთელეზივით, ხეობის ვიწროში ჩაიგრიბა, ქართის მთას დასასხრულ ცეცხლის ქაშად შემოეკლო და ჩაუარა.

უკარო ქოხში, თვალდახუჭულად განაბულ ბაყურს ყურთან წაფი მიუჭდა და ტყიური ხმაურის მნიშვნელობა წვრილად აუხსნა.

— ვიცო, მაინც არ გძინავს. ძილფხიზლობა მეოცნებესათვის უბედნიერესი წუთებია! სატირიფოსაც აქვს თავისი „დედა-ენა“. ეს, ალერსიანად მსუნთქავი ხმა — ქარშიალია! ზენა! ხვალ დარი იქნება! ეს კი თქვენებური ხმაა. მგორავი ზეავ-ქუხილა „ქალიჭამია“. აი რკინის გველწყვილზე რომ მოგროზუნობს! ესეც, ალბათ მისი „დედა-ენაა?“

— საყვირია და არა „დედა-ენა“! „ქალიჭამია“ კი, ვგონებ, მართლაც არის

— ეს კი ირმის ბოხია! აბა მოუსმინე. ჭერ კიდევ მოელის პასუხს!...

უეცრად სულ სხვა ხმა გადაეხირა ირმის ბლავის.

— ეს კი ისევ კლდის ნგრევის ხმაა! მაგრამ, არა მტკვრის მზრიდან! რალაც მოკედლიზე ეცემა ქვა და ლოდ! ნეტავი რა უნდა იყოს?

ზედაც აქოშინებული ბუ მოფრინდა ფრთადაფეთებით. წეროსთან მიიჭრა.

— არიქა! არიქა! წერო-ქალბატონო! სარაკუნა აახვიანე! ყველა შეპყარე დღისა და ღამის ფრინველები და ცხოველები!

— რა იყო, რამ დაგაფეთა? — ფრთის ქვევიდან თავი ამოიღო წერომ, ორივე ფეხზე ჩამოღვა: — ვიწვით?!

— ვიწვით?! — შეფთქილდნენ ახლო-მახლოს ხობხები და კაკებები...

— არა!

— წყალდიდობაა? — მიმოიხედა წერომ და ნისკარტი სარაკუნას წაავლო.

— წყალდიდობა! — აჩხავლდნენ ჩხიკები და კაკებები...

— არა, უარესი!

— გამქლავნდა ჩვენი საიდუმლო?

— ადამიანები მოდიან! — ახმიანდნენ ბატი-კვატები და სხვანი.

— სუ! ჩუმად არც ესა! ლიანდაგზე კლდე ჩამოანგრია არწივმა. გათენებოსას კი სახალხო მატარებელი ჩამოივლის!

— იპი სულ ესაა?! „ქალიჭამია“ ჩამოივლის, მხეც-ბოროტა ადამიანებით საესე მატარებელი?!.. ლეში, მართლაც, ბევრი იქნება! — თვალები დაჭუტა მელამ...

— ისინი თუ მხეცები არიან, ჩვენც ხომ არ უნდა გავმხეცდეთ?!—სულ გაკაბასდა ბუ, — შიგ ბაყურ-კიკოსთანა მოზარდებიც ბლომად იქნებიან!

წერომ სარაკუნას შემოპყრა, დაახმიანა. მთელი სატირიფო შეპყარა.

— გადავარჩინოთ. მაგრამ როგორ? როგორ გავაჩეროთ მატარებელი?!

— არიქა! მატარებელი მალე ჩამოივლის! უნდა მოვესწროთ — ახმიანდნენ ტყიურნი. და ბაყურის ქოხს მიესიგნენ.

...და ჰა მიჭქრის ირემი, ზედ ბაყურ-კიკო ზის, ბიჭუნას მზარზე ბუ შეუსკულებია. იგიც ფრთის მიმართულებით გეზს აძლევს.

უკან მოსდევენ, ფრენითა და სრბოლით, სატირიფოს ტყიურნი. დღისა და ღამის ფრინველები და ცხოველები... ნამგალა მთვარის შუქზე, გალანდულან მათი მოძრავი ჩრდილები. ქალა თითქოს გაცოცხებულია და ზუზუნ-შრიალი გააქვს.

ლიანდაგზე, კლდის ძირში კი ქვების ცვენაა. შეუწყვეტი გრიალი. არწივი სულ ჰყრის და ჰყრის ლოდებს.

— კლდეზე! — ჩურჩულებს ბაყური და ირემს ფრიალო კლდისაქენ მიპპარ-

თავს. შიბილან შიბზე, სულ აღმაღლა ნახტომებით მიჰქრის ირემი, რქებში ჩაქიდებულ ბაკურს მიაფრენს.

ბუ კი ჩამოვარდა, ველარ დამაგრდა მხარზე. ისევ ფრენით დაეწია...

— აი, იქ, — ზევით! იქ უფალი კლდეა — ირემიც ვერ ავა! ფრთებიცაა საჭირო, ფრთები!

— წერო და ჩხიკვ-კაჭკაჭები!

— აქა ვართ! აქა! — ფრენა-ფრენით შემოადგნ წეროც და ჩხიკვ-კაჭკაჭებიც.

ბაკურმა ზელი გაჰკრა, ფიქალი აუშალა კლდეს. ქვები ჩამოუტირია ფრინველთ.

— აფრინდით მაღლა კლდეზე და არწივზე მაღლა! ბნელაში ვერ გაზიანებთ! ქვები დააყარეთ ზევიდან! გააფრთხეთ არწივი!

ირემი მიუფალ ფრიალოს მიასკდა და შედგა. ფრთოსნები კი გაეფარნენ კლდესა და ღამეს.

აი წოწოლა წვერო, ზედ არწივი... ჩარბითაც და კლანჭებითაც შლის ფიქალს, ბობოქრობს. მოგორავს ქვის შეავი.

უეცრად თვით არწივს ქვა დაეცა მაღლიდან. ერთი, ორი, სამი... არწივმა ერთიც გასცხო კლანჭები კლდესა და ფრთები გაშალა. ჰაერში წავიდა.

ქვევით ქვებთან ერთად მიგორავს ბაკურის ქუდიც, ლიანდაგამდე გააღწია, ქვებთან ერთად იქვე ჩარჩა.

ლიანდაგზე კი რკინიგზის მცველ-მეისრის ჩრდილი გამოჩნდა. ქანაობს, ბეუტავს მისი ლიფლიფა და ძლივს-ღიანდება თავჩაბრაღი სხეული.

მოულოდნელად ქვების ნაშევას წაიღვა, გაკვირვებით ზელები შეჰყარა. ლიანდაგზე კიდევ რამდენიმე ქვა ჩამოგორდა, ფოლადის რონებს ნაპერწყლები გააყრევინა. მებისრე სულ დაფეთდა, წინ წაღვა და შუა ლიანდაგზე ქუდი იპოვნა, აიღო, ლიფლიფას შუქზე დაათვალიერა. უეცრად მთავარი ნაშეავი და ჩამონგრეული კლდე შენიშნა.

— ვაი დედა! — საათს შუქი მიუნათა. გათენების ხუთი საათია, — მაღე სა-

ხალხო მატარებელი ჩამოვიღის! — მებისრემ ლიანდაგზე დაღვა ლიფლიფა, წითელი შუქი უმარჯვა. თავად ქვებს ეცა, ზოგი გადაავორა, ზოგი ვერც დასძრა, გული და ძალა შეალია.

ჩამობრუნებული ბაკური და ტყუიერი ზედ წაადგნენ მებისრეს. გაიანაბნენ.

— მებისრე! უნდა მივეშველოთ! — შეშვრთალ ტყუიერებს წასმურჩულა ბაკურმა. მებისრეს არც არავინ შეუმჩნევია, თავგზააბნეულმა თავადაც ხელი აიღო მარტოხელა, ამოი ცლაზე.

— მაშველი, მხოლოდ მაშველი მანქანები და მუშები თუ მოერევიან ამ კლდეს! — მებისრემ შეავის წინ წითელი მამხალა ანთო, დამატებით, წითელშუქიანი ლიფლიფაც და თავისი ჩანთაც ლიანდაგზე დასტოვა. მხოლოდ ნაპოვნი ქუდი წაიღო და ლიანდაგ-ლიანდაგ თავის ჯინურისაკენ გაიქცა.

— ახლა კი ჩვენი რიგია! აბა, ყველა ერთად! — ბაკური პირველი შევარდა ლიანდაგზე და ქვას სწვდა, მიღმა გადაავორა. ტყუილთ კი წერო და ირემი წაუძღვათ. ყველა შეავს შეესია. მცირე ქვები და მიწა ფრინველებმა გადაჰყარეს. უფრო დიდი ლოდები ბაკურმა, ირემმა, მელამ, წაემა დაითრიეს. მაგრამ შეხვდათ ისეთებიც, რომლებსაც მგრა ვერ უყვეს.

— არიქა, დათუნია! მისი თათია საჭირო, მისი თათი! — შესძახა ბაკურმა.

წერო და კოდალა გაფრინდნენ, კლდის ხაროში დათვის ბუნავში შეიჭრნენ, შეხშიანდნენ.

— არიქა, მაღე! მატარებელი მოღის! ბაკური გეძახის, ბაკური!

— დამაცალეთ! რა ყოფაში ხართ! შეძინება! „ქალიქამია“ კი სულ მიღის და მოღის, ვიდრე ჩვენც არ გავკვრესავს და შეგვკვამს!

მაგრამ ძილი ვინდა აცალა. კოდალა შუბლზე მიუჭდა და დაუკაყუნა. წერომ კი თათებში დასცხო გრძელი ნისკარტი.

— მაღე, შენი თათია საჭირო! ქვა ვერ დავძარი! ბაკურ-კიკომ გვაფრინა!

— ჰოო! თუ ასეა. მოვალ! არა მანც-

ხომ არ მატყუებთ? მარტო კოდალას არ დაუეჭვებდით. მაგრამ წერო — პატროსანი! აბა, ჰე! თქვენ გაგისწრებთ! მეტი რაღა გზა მაქვს!

ლიანდაგზე კი გაშმაგებული შრომა გრძელდებოდა. მამხალა წითლად იწვოდა და მის შუქზე ტყიურთ მამოთადი ოფლში იწურებოდა.

შორიდან უკვე გუგუნის ისმოდა. ხოხობმა თავი დაადო ლიანდაგს და მიაყურადა.

— უკვე მოდის! მესმის! მესმის!
იქვე ცუცქად მჭდარი მელა შეელიზღვა...

— მე აგერ შენს გვერდით ვარ. საიღერსოდ გეჩურჩულეები და ჩემი არ გეშინის, ასე შორს კი გაიგონე?

— უიმე, არცა სჯერას. ყური დაადე, ყური და არა კუდი!

მელამ დაადო ყური და უმალ წამოვარდა.

— მართლაც ისმის! მოდის „ქალი ჰამია!“ მოდის!

ბაკური და ირემი დიდ ლოდს ამოდ შეეჭიდნენ. სხვებიც მიეშველნენ. ბალაბოვან კალთაზე კი დათვი ჩამოგორდა, ლიანდაგზე შეხტა.

— გამეცალეთ! ძილ-ფხიზლად მოვალ! — მივარდა ლოდს, ერთი დაბოყინა და აავგორა, ლიანდაგს იქით გადააყურდა. — აბა ახლა რა გადავებრუნო!

— შენ თავად გადადი ლიანდაგიდან! ახლა მატარებელი არ გადააბრუნო! — ბაკური მამხალა ამორა ლიანდაგს. — გზა ხსნილია! აბა, წერო-პატროსანი! სატირიფო არ დაგეოწვას ამ შუშხუნამ! მტკვარში გადააგდე!

— ჩემზე იყოს! — წერომ ნისკარტი წაავლო მამხალას და აფრინდა, მთელი სატირიფო გადაანათა. მტკვარს მიადწია და მორევიში ჩაავდო. შიგ ჩაშრიტა. ბაყაყები დააფრთხო.

— ყი, ყი... ეს რა ვარსკვლავი ჩამოვარდნილა?

— სწორედ ქვეყანა იქცევა და ის არის! თავს ვუშველოთ! — მამხალას ახლა ბაყაყებიც გადაჰყენენ წყალში.

სატირიფოში კი ისევ განთიადის დილაბინდი დამყარდა.

ბაკური მამხალას ლიანდაგს წითელი შუქი ყვითელით შეუცვალა, ლიანდაგის გვერდით დადგა.

— გზა ხსნილია!
— გზა ხსნილია! — სხვადასხვა ხმაზე, ჩაყოლებით გაიმეორეს ტყიურებმა.

— თენდება კიდევაც! მატარებელიც სადაც არის. — მოვა! — აბუტბუტდა და ჩრდილებს მიეკედლა ბუ. ტყიურნი „ქალიჰამია“, — მატარებლის მოლოდინში გაინაბნენ.

ჭიბურის საარკმელში გამოჩნდა მესრის ხელი, ტელეფონის ზარის აჩქარებული წკრიალი მღელვარედ მოედო ჭიბურის მიდამოს, ზუზუნად მიყვა მავთულებს.

მავთულებზე კი ფრინველები სხედან და სთვლემენ. მელეღვიები, ყაბყაბები, შოშიები, მერცხლები. განთიადის სხოვიც გაეკრა მავთულებს.

ტელეფონის წკრიალი და მავთულთ ზუზუნი აღწევს ფრინველთ სმენამდე, მათაც აფორიაქებს. მიწყობილად, წყება-წყებად აიშლებიან ხრლმე საგანთაოდ ცაში.

— შენ გეუბნები! სასწრაფო! საგანგაშო! — მესრის ხმა ჰფარავს ყველა ხმას.

— არ გამოუშვათ. არ გამოუშვათ. სახალხო... უკვე გამოსულია? მერმე რაღა ეშველებათ?! ლიანდაგი დაზიანებულია! კლდე ჩამოშლილა! კლდე!...

მავთულებიდან კი სულ ფრინველიან მელეღვიები, შოშიები, ყაბყაბები, მერცხლები.

მატარებელი უკვე ნათლივ ჩანს. მისი შუქურები კიდევ ბასრავენ განთიად-შებებულ ჰაერს.

ბაკური შეფერმკრთალებული ლიფლიფა შემობრუნებულ წეროს მისცა ნისკარტში. თავად ყვითელი ალამ-ნიშანი აღმართა. სხვა ტყიურნი კი ლიანდაგის მახლობლად, მიფარებულ ხევის პირში მიჯდნენ, ოფლი მოიწმინდეს და „ქალიჰამიას“ მოახლოებას კრთომით დაელოდნენ.

მატარებელმა კი გრიალით ჩაუარა ნაშვავარ ადგილს. მიჰქროდნენ განათებული და ჩამქრალი სარკმელები. ფარდიანი და უფარდო, ღია და დაბურთული.

ერთ-ერთ ღია სარკმელში, რაფაზე გადმობრილმა მოზრდილმა გოგონამ, მიდამო საამო მთქანარებით მოათვალიერა. თავისტოლ მისრესა და მის თანმსლებ წეროს დანახვაზე თვალეზი სწყყიტა. გაცვირვებული ხმა აღმოხდა.

— დილაშვილობისა, თანატოლებო! ვინ ხართ? — ხელიც მოიბრუნა, მავიდაზე მდგარ მიხაკის აკოკრილ ნერგს დასტაცა და ქილიანად გადაუგდო მოზარდ „მეისრეს“. შემთხვევით ცხვირსახოციც გადააყოლა ყვავილს.

მატარებელმა შეუფერხებლად ჩაუქროლა ნაშვავარს. მისი ბოლოც ჩასცილდა ბაკურს. ბიჭი მხოლოდ ახლა დასწვდა ქილაშეტეხილ მიხაკს.

— ესეც ჩვენი ჯილდო — ყვავილი!... მაგრამ ეს რაღა არის? — ცხვირსახოციც აიღო და გაშალა. შიგ მატარებლის ბილეთიც იღო.

— არიქა, დავეწითო! მატარებლის ბილეთი გადმოგარდნია გოგოს! დააჯარიმებენ!

ბაკურმა წასულ მატარებელს მიაშურა.

— შენ რას დაეწევი უჩემოდ? — ირემი ამოხტა ხევიდან და ზურგი მჭუშვირა.

ბაკურმა მისრის ნივთები მყისვე დაჰყარა, ყვავილი და ბილეთი აიტაცა, გოგოს ცხვირსახოცი ააფრიალა და ირემს ზურგზე მოახტა.

ირემი გაიწვართა ლიანდაგის გასწვრივ ბილიკზე.

მიჰქროდა მატარებელი და მისდევდა, თანდათან ეწეოდა ირემი და მისი მზედარი. ხშიანობდა მატარებლის საყვირი, პასუხს აძლევდა ირემი და „ირმოსანი“... მათ უკან კი ტყიურნი მოჰქროდნენ, მოფრინავდნენ... მოგნიასობდნენ.

უკვე საკმაოდ ინათა, მგზავრებმა შეამჩნიეს უცნაური მღვეარი და მისი ამაღლა. სარკმელებში გამოჩნდნენ შემფთოთ-

ბული, გაკვირვებული, შუშებზე მიკრული სახეები.

ირემი დაეწია მატარებელს... ირი, ბოლო, აი შეუწელი მატარებლისა. გუგუნს ახლა ხალხის ფრამულიც შეემატა.

— რა ამბავია? ეს ვინ მოგვდევს? ზღაპარია თუ სინამდვილე? ეს რანაირო თთხეხი თანამგზავრია!... ნახეთ, ნახეთ—უნახავი რამე!

ღია სარკმელებში გამოჰყვეს თავები, ქალებმა, კაცებმა, ბავშვებმა. თითქოს შიშნაკრავ თვალეს, ღია პირებს, გაშლილ ხელებს მიაქროლებს მატარებელი.

აი ის გოგონაც სარკმელში გადმობრილა, თითქოს გადმობტომას აპირებს, დიდი ბაფთა და ხეჰქუქალალა ნაწინავი ქარზე უფრიალებს.

— არ ჩამოვარდე! არ გადიჩეხო!.. სად მიჰქრინხარ? სად?

— შენთან! ბილეთი გადმოგივარდათ!.. ყვავილთან ერთად! — მიამხა ბაკურმა, ბილეთი და ხელსახოცი აუფრიალა...

— მატარებელმა არ დაგამარცხოს! ბილეთი აღარ მჭირდება, აღარ! მე ახლა ჩამოვდივარ არმანში!

— არმანში?

— არმანში! არმანში!.. ყვავილი კი შენ გაჩუქე! შენ!

— მე — რატომ?

— მომწონე... კეთილი ჩანხარ! ირგვლივ საზღაპრო ადგილია და შენც თათქოს ზღაპარი ხარ! ირემოსანო!... სახელი მითხარი, სახელი!

— ბაკური გაიგე?!

— ბაკურ-კიკო! ბაკურ-კიკო! — ათასს სხვადასხვა ხმაზე გაიძახიან წამოწეული ტყიურნი.

— ბაკურ-კიკო! ბაკურ-კიკო! — გაქანებულ სარკმლიდან სარკმელში გადადის არანაკლებ ათასხმიანი ძახილი.

— შენ რაღა გქვია! შენ! — ახლა ბაკურმა გაჰვედა შეკითხვა.

— მე კი ნანა!

— კიკი-ნანა! კიკი-ნანა! — ახმიანდნენ ფრინველები.

— ელექტრომავალმა საყვირი აახმიანა. მატარებელი მცირე ზიდზე შეგრიალდა.

ირემა შეანელა სვლა. მერმე ჩადრეკილ ბილიზე ჩაიბინა. ხევა გადაახტა. იქით გაგანარი დახვდა, არცთუ შორი მტკვრის ფლატე. უეცრად მიიჩინა სავალი.

მატარებელი უკვე შორის იყო. არმაზის ბაქანს უახლოვდებოდა.

ირემი მტკვრის პირზე მიიჭრა და წყალს დაეწაფა. მერმე ტირიფისაკენ გაბრუნდა. ბაკური უკვე ფეხით მოდიოდა და ირემს ეფერებოდა. ტირიფთან მალევე მოგროვდნენ სატრიფოს ბინადარნი. ახლადდარგულ ტირიფთან ბაკურმა ისევ მოთხარა მიწა, გააფხვიერა და ყველას დახმარებითა და თანდასწრებით წაშუქარი მიხაკი დარგო...

— სიყეთისა და სიყვარულის ყვაველია! შენ გულის გრძნობასთან ერთად გაიზრდება ეს ყვაველი, ბაკურ-კიკოც!... და აბა თუ შენზე დიდი არ გაიზარდოს! ბუტბუტებდა ბრძენ-ბუ და წეროსთან ერთად ნისკარტით წყალი მოჭქონდა, ყვავილს რწყავდა. და იყო ფრინველთ ბორიალი მტკვრიდან ახლანარგავ ყვავილამდე.

ლიანდაგიდან გადმოყრილ ქვებზე კი წრიულად ისხდნენ რკინიგზელები. ხის ტოტები და ჩამოვდგარი მატარებელი — სახელოსნო ხშავდა სამუხრის და ჩანდა წრიულად მსხდომთა მხოლოდ ფეხები. ქალაქური ფეხსაცმელები, სირვიანი შარვლის ტოტები, ჩექმები. წრის შუაში იგდო ბაკურის ქუდი. იქვე დიდი ქანჩები, წვერმიხვილა უროები. ამწეს ყელის ჩრდილი გადასწოლოდა ლიანდაგს.

მათ ირგვლივ კი უვლიდა, ცაში მფრინავი არწივის ჩრდილი.

რკინიგზელების საერთო ხმიანი დაჰფარა მკახე ხმამ:

— ბოლოსდაბოლოს ვინ, ჩამოშალა კლდე?

— არ ვიცი! სალამოს პირას კლდის თავზე არწივი იჯდა, რომ ავიარე ლიანდაგზე არაფერი იყო.

— მე არწივს ვერ ჩაეწერა ოქმში! თვალებს ნუ მიხვევ! მებისრევე!

— რომ ჩამოვიარე, ნაშვავები დამხვდა. და იქვე ეს ქუდი! —

— ვისია თუ იცი? — ფეხი გაპკრა ქუდს.

— არ ვიცი! იქნებ ბაკურისა?

— ბაკური ვინდა არის?

— უპატრონო, ობოლი... იმას უყვარს ტყე-ღრეში ხეტიალი!

— ქუდი საბუთია! თორემ არწივი ცაში! რამდენი წლისაა ეჭვიპიტანილი?

— თორმეტისა.

— ბავშვა?... იქნებ ისიც დაიღუპა?

— არსად ჩანს... მოკათვალეირე!

— კი, მაგრამ... ვინ გასწმინდა ლიანდაგი? ვინ გადმოავგორა ასეთი ლოდები? ვინ გადააჩრინა, ამდენი ხალხი?

— არ ვიცი... სასწაულია!... მე ვერ დავძარი, — ახლა ხელი დაადო ქვას...

— ოქმში მე სასწაულს ვერ ჩაეწერა! შენ ამბობ — ავანთეო, მერმე ვინ ჩაქრო წითელი მამხალა? ვინ იღვა ყვითელ შუქითა და ალამინშანით?

— არ ვიცი... სულ დაბნეული ვარ! ჩემთან არმაზში შევიღიშვილი ჩამოვიდა ამ მატარებლით... გოგონა. ის ამბობს. ვილაც ირმოსანი მოსდევდა მატარებელს... სულ ზღაპარია! ხალხი კი გადაჩრა! ეს არის მთავარი!

— მე ოქმში ვერც „ირმოსანს“ შევიტან. ხალხი რომ გადაჩრა, — ეს სრულიადაც არ არის საკმაო! სწორი ოქმი არის საჭირო! ზუსტად და სათანადოდ გაფორმებული. გესმის, სათანადოდ და არა შენი ზღაპრები! ბოროტგანმხრახველი კი ამ ქუდში ზის და ჩვენი საქმეც ქუდშია!

უეცრად ფეხების რკალში წეროს მალაშა ფეხმა გადმოაბიჯა, აკრუალდა, ყელი წაიგრძელა.

ფეხები უნებურად გაწი-გამოწიეს რკინიგზელებმა. წეროს ბაკურის ქუდს დასტაცა ნისკარტი, ერთი რიხიანად აკრუალდა და აფრინდა, ცას გაეკრა. ახლა რკინიგზელთა ქუდები დაცვივდნენ მიწაზე.

წერო კი გაფრინდა და ბაკურის ქუდიც გააფრიალა.

— ერთადერთი საბუთიც!... ვისი ბატი?

— არ-ვიცი... ეს წეროა და არა ბა-

ტი! მაგრამ ბატსაც ხომ ვერ შეიტანდით სათანადო ოქმში?

— ვერა... ვერც არწივს, ვერც წეროს, ვერც ბატს... და რა მოვისაზროთ? ბოლოსდაბოლოს, შენა ხარ მემისრე და ისევ შენა ხარ დამნაშავე! ბრძანებით გაძევებ სამსახურიდან!

— მთავარია — ხალხი გადაჩია! მე კი ისევ მანქანის მძღოლად წავალ არმაზის საფრინველოში!

წერო კი მტკვრის დინებას ცა-ცა ჩაჰყვია. სატირიფოს მიაღწია და ბაკურს ზევიდანვე გადასძახა.

— აჰა შენი ქუდი! იქ კი დაგეძებენ, კლდის ჩამონგრევას შენ გაბრალებენ! არწივი კი ახალ ბოროტებას აშხადებს. არმაზის ლელე გადმოაგდო, საფრინველოს გზა აატალახა.

გზისა და ლელის გამყოფი ბელტები გადაჰყარა, კორდი მოარღვია არწივმა, შემღვრეული ღვარი გზა-გზა წამოვიდა და გუბე-გუბედ დადგა. არწივი კი გადაფრინოლ ზოზობს დაედევნა, ბუჩქებში შეაგდო. ახლა წაეს მოჰყარა თვალი, შეუტია, მაგრამ იმანაც შეასწრო ბროწელის ბუჩქში. ახლა უფრო ამალდა არწივი. მალე კი ისევ ცის ტატნობს გაეკრა და სატირიფოს გადაუარა.

ბაკურმა მუშტი დაუქნია ქვევიდან.

— ჰეჰეი... წუნკალო მტაცებელი! დამაცალე!

— კრა, კრა! მე არწივი ვარ და არა წუნკალი მტაცებელი...

— შენ ძერა ხარ და არა არწივი! ვინ გაგზარდა ასეთი?

— ასეთმა ცხოვრებამ... კრა! კრა! შენ ლაპო, შენა!

— მერმე დედ-მამას რა პასუხს აძლევ?

— ჩვენ დედ-მამამ გამოგჩეკა და მთელი ქვეყნის წინაშე ტიტველ ბარტყებად დაგვაგდო! კრა! კრა!... დიდხანს ვითმინე შიმშილი და წყურვილი.

— მერმე შენზე უფრო უძლური დამა ბაბალები შექმამ... კრა, კრა!... არა? გაძერავდებოდი აბა რა მოგივიდოდა! — ნიშნი მოუგო ბაკურმა.

არწივი აირია და უფრო გაჟყრა.

— კრა! კრა! მე არც ვაქცაობა მაქვია, არც ძაღლონე, არც სილამაზე! მაგრამ აბა რა უნდა მექნა ფხოლს? ახლა რა გქნა? მე ცხოვრება მინდა!

— შენ ბოროტი ხარ და არა თბოლი! უნდა ებრძოლო ავ ცხოვრებას! სიყვეთისათვის უნდა იბრძოლო! თუ ბარტყობისას არ გესმოდა, — ახლა ხომ გესმის! ბოროტების გზა ყველაზე ადვილი გზაა! სწორედ დედისაგან გამოვიჩინა! მაგრამ შენ ადვილად ცხოვრება გინდა! შენისთანები უნდა მოისპონ ცა-შიაც და დედ-მამაზეც! — ბაკურმა ჯოხი სტყორცნა, ჩამოდაბლებულ არწივს, მაგრამ არწივმა აიციდინა, ჰაერშივე გაჰკრა ჯოხს ნისკარტი, ჭვანგებში ჩასტეხა და უკან გადმოაყარა ბაკურს.

— შენ ვერ მომერევი მე! ქვეყანა ჩემი და ჩემისთანების არის! შენ ვერ არც იცი, რა არის ცხოვრება, ყვინჩილავ! მოიცადე, თუ მე გადამიჩნია, ხიდს იქით მოხვდები და მერმე ნახავ!

— ბოლოს მაინც მოგერევი, ხიდს აქეთაც და ხიდს იქითაც! იმ ცხოვრებასაც ენახავ! მამამ მითხრა — ცხოვრება კეთილ გაბედულობით არის!

არწივი სულ მღლა-მღლა აჰყვა ამაველ ქროლვას. უფრო და უფრო გაიშალა თვალსაზრეუნი და გარემოზედი. შორს, ბულში გაცრინდა და მტკვარში არეკლილად გამოჩნდა დიდი ზიდი. მის ირგვლივ და ქვევით, მარჯვენა თუ მარცხენა ნაპირებზე — გზატკეცილები, ლიანდაგები, ანძები და მილები, შენობები.

ზიდი გადმოვლო, გზას აღმა ამოჰყვა სატირითი მანქანა. ზედ შინაური ფრინველებით სავსე ვალები.

ტალახიან გზაზე, შემღვრეულ შეფუბი ფრთებად და კალთებად დგებოდნენ და წებოდნენ. მოსახვევში კი სულ ლაფში მოხვდა მანქანა. შეჩერდა, თვლებშია ზუზუნით აზილეს ტალახი. მაგრამ წინ ველარ წაიწია მანქანა, ზუზუნებს და გვერდულად ტოკავს.

გუბიდან ამომძვრალი ბაყაყები და კუები გაკვირვებით შეჰყურებდნენ ცას. ნაშხეფი კი შორს იშლებოდა და უფრო ატალახებდა გზას.

— ბაყა-ყი-ყი-ყი! ტალახის წვიმა მოდის, ქუხილი კი სხვანაირია! ცა სულ მოწმენდილი!

— არა, არა! — თავსა და ფეხებს იჭნეგდნენ კუები, — ეს აღამიანის მოგონილი „სასყულტელა“... ისიც გუბეში ჩარჩა! დიდი ძალა ჰქონია გუბეს!

— აღარც ჩვენს წუმბეში ვეასვენებენ აღამიანებს? — აყიყინდნენ ბაყაყები.

— არა, გზად მოდიოდნენ! ეს ბორბორი არწივის შავი ნასაქმარია! ყველგან ურევს! — თავი გაიქნია დედო-კუმ.

მანქანის თვალი კი ზუზუნებს და ბრუნავს. უფრო და უფრო ეფლება ტალახში. მანქანის ყუთებში: ქათმები, იხვები, ციკრები, ბატისა და ინდაურის ქუეები, წიწილები.

კაბინიდან გაიხმა მესაქის ხმა:

— ვერ ამოვალთ! ტრაქტორი უნდა მოვიყვანო! ნანა აქ დარჩი, ჩემს მოსვლამდე წიწილებს უყარაულე!... — კაბინის კარი ხმაურით გაიღო, მამამ მხარზე შეისვა ნანა. სახე არც ერთს არ გამოსჩენია. მზე მხოლოდ გოგონას დიდ ბაფთასა და წითელ მაშვიებზე აკაფდა. მამამ დიდი ჩექმების ფლატუნითა და ჭყაბა-ჭყუბით გადავლო გუბე, შეიღო გზისპირა ბექზე დასტოვა, თავად კი გზა განაგრძო.

გოგონამ ჯერ ყვავილები ჰკრიფა, მერმე გუბის მახლობლად მიჯდა და გვირგვინის წუნას მიჰყო ხელი. მალა, ცაში მონაჯარდე არწივის ჩრდილი კი გარს უვლიდა გზაზე ჩარჩენილ წიწილებიან მანქანას.

ყუთებიდან მზირალ ფრინველებს წყურვილისაგან პირი დაეღოთ და ერთი წიწე-წიწივი გაჰქონდათ.

ბუჩქებიდან გამოძვრა მსუნავად პირდაღებულ მილა. მიყნოს-მოყნოსა იჭაურობა, ნერწყვებიც ბევრი ყლაპა და ენაგაქრულად წყალი სვლაპა გუბიდან...

— რა მოგივიდა, მელაკუდავ, რა ხანა გიშრება? წყალი გწყურია, თუ წიწილების სისხლი და ბორბი? — გუბიდან თავი ამოჰყო ბაყაყმა.

— უი, ქა... ყიყინავ, შენ ხარ? მე არა და ამ ქათამ-წიწილებს, — კუდით მან-

ქანაზე მიუჩვენა მელამ, — მართლაც სწყურიათ! დახე, დახე, რა ხანა დაუღიათ? ეს რა საცოდობა ტრაქტებს! გუბეში იყვნენ ჩარჩენილი და წყალს ვერ სწყვდებოდნენ! მე კუდი მქონდეს, თქვენ — წყალი და ესენი ასე იტანჯებოდნენ!

ბომბორა კუდი წყალში ამოავლო, ამოასველა და ყუთებზე შებტა, კუდი შიგ ჩაუწურა. წიწილები მიესივნენ ნაწურ წყალს.

ნანამ შეაჩნია მელა, შეკრთა.

— შენ მანდ რა გინდა? წიწილები არ დამიფრთხო!

— როგორ გეკადრებათ! მათი ცოდვით დავეწვი... წყალს ვასმევ!

— მელის კუდით ნასვამი წყალი — ყელზე არ დაადგეთ წიწილებს!

— ეპ, აბა აქაც რომ არ მიფასებენ გულწრფელობასა და სიკეთეს? — მანქანიდან გადმოხტა მელა, — წყალ, ჩვენს ბაკურ-კიკოს შეეჩვილებს! აბა, რა გაუთ, წიწილებო!

— ბაკურ-კიკოს? — ყური სცქვიტა ნანამ, მაგრამ შეკითხვა ველარ გაბედა.

— მაგათი დარდი ნუ გექნება, მე ვასმევ წყალს! — გოგომ წითელი მაშვიები წაიყარა, გუბეში შესტოპა, მანქანიდან კასრი გადმოიღო, გუბეში ამოუსვა. წყალს ერთი ბაყაყიც ამოაყოლა.

— შენ საიდან გაჩნდი?

— გუბიდან... ეს ჩენი გუბე-წყალია! მალე სხვა ბაყაყებიცა და კუებიც ამოძვრნენ გუბიდან და გოგონას გარს შემოადგნენ...

— მე შენ არას გერჩი! არც თქვენს! — დანარჩენებსაც მიუბრუნდა, — თქვენ ნუ შერჩით! გაიხარეთ თქვენს გუბეში! — კასრიდან წყალი გადაღვარა, ბაყაყი გადაახტუნა და ახლად ამოიღო წყალი.

— არა კიკი-ნანა! არა! არ გერჩით! ჩვენ მშვიდობიანები ვართ!

— თქვენ რაღა იცით, ბაკურ-კიკომ მე რომ კიკი-ნანა დამარქვა? — გოგომ ყუთებს ჩამოუარა ფრინველებს წყალი, ყუთებშივე ჩაყოლებულ გეჭებში ჩაუსხა. ბაყაყები კი უფრო თამამად აყიყინდნენ...

— ვიცით! ჩვენ ყველაფერი ვიცით! გზის გუბასანი ვართ ყო-ყოი.

— ბაკურ-კიკოსაც ვიცნობთ! ჩვენი კეთილის მსურველია ყო-ყოი ვაყაყა!

— არწივსაც ის ებრძვის, ჩვენი მფარველი! — ვაყა-ვაყა

არწივის ჩრდილმა კი გუბესაც და მანქანასაც გადაუარა. ყველამ ზევით აიხედა.

— თუშკა მანქანის ეშინია, მაგრამ წიწილები შენიშნა და ახლა არ მოგვაყვებნებს! ყო-ყოი!

არწივი ფრთადაკრულად დაეშვა და შორიახლოს მდგარ, ძირფუტურო ვერხვის კენწეროზე დაჯდა.

მელამ თვალი მოჰკრა არწივს, მიწას გაეკრა, ისე მიეპარა ხეს და მის ჩრდილში კუდი ღროშასავით ასწია.

ბაყაყებმა და ბაყაყუნებმა დინახეს, ნანა მოახედეს.

— ხედავ! ხედავ! კუდი აუწია ნიშნად! არწივთან მიიღს, წიწილების ამბავს ეტყვის რასმე!

არწივმა დაინახა თუარა მელიას კუდი, ფრთები მოსწურა, მაგრამ მელამ დაასწრო, ხის ღრუში შეტვრა, თავი ზევით და კუდი ქვევით გამოჰყო. ასე მოფარებულად გავსაუბრა არწივს:

— დიღო ბატონო! არწივთ-არწივო! საამჟო ამბავს გაგიშვებ და ნუ მერჩი!

— კრა! კრა! — დაღარაჯდა არწივი და თავ-ნისკარტი მოიღერა. — სად დამეპალე?! — ფრთაშეკრულად ჩამოაცხრა, მაგრამ ვერ მისწვდა და ქვედა ტოტზე დაჯდა.

— დიდ გამოსარჩენს მოგახსენებ! შენ არწივის არჩივი, მე შენი სუფრის ნარჩენი! — ფარულ-ბილულად მოუთვალთმაქცა მელამ.

— არ გერჩი, ოღონდ მითხარი! — ფულუროში ჩასძახა არწივმა.

— არ მერჩი, მაგრამ ეფრთხილობ. შენს ჰვანებებს ფუტუროში ჯდომა მირჩევნია. შენ ქათამი, მე წიწილი!

არწივი უფრო ახლო ტოტზე მიუჯდა და სმენად იქცა.

— შენ რასაც ეცივი — მე ნამციცივი! — უფრო გააღიზიანა მელამ.

— თახახა ვარ! თქვი და გაათავე! შეტერის კერძო!

— ყური მომბაყარი, მაგრამ ბიჭობა გიხებდო... გვითვალთვალებენ!

— აქ გუბესთან... მანქანაში... იცი... სულ ცოცხალ-ცოცხალი ბუმბულოანება!

— ვიცი, მაგრამ შეგ ადამიანია! თანაც შუშაბრჭყვიალა უღვასი თვალს ვერ ვუშვართავ!

— იპი ღიღბაფთიანი გოგონა მარტო ხის, სულ მარტო და კანკალეხს... შუშა-ბრჭყვიალა კი რა სახსენებელია. ბაყაყებსაც არ ეშინიათ! ახლა არის შენი დღე! ოღონდ პირდაპირ ნუ მიხვალ! ფრთა გაჰკარ გოგოს!

— მაშ მე სუფრა! შენ — ნასუფრალი! — არწივი აფრინდა და მაღალი ირთო დაჰკრა, მანქანას თავს დაუარა.

გუბეში კი ბაყაყები აყიყინდნენ:

— უთხრა, დაასმინა! ახლა არწივი ჩვენ დაგვაცხრება, ყო-ყო-ყო!

— ბაკურ-კიკო! შეგუთვალთ!

— არიქა! თუ მოვასწრეთ! გზაც სახიფათოა!

— მე წავალ! ფარი მაქვს, მენა განა!.. ვერას დაჰკალეხს ვერაგი! — კუმ ფეხი დააფხაკუნა.

— ყი ყი ყი ჰე-ჰე... კუმ ფეხი გამოჰყო — მეც ახარ-ახარო!

— სანამ შენ მოხვალ, წიწილები, თუ არწივსა და მელას გადაურჩენენ, დაიხრდებიან, დაქათმდებიან, ევერტებებს დასდებენ, დაკრუხდებიან!.. — ახალ წიწილებს გამოსჩეკავენ! — აყიყინდნენ, ახარხარდნენ ბაყაყუნები.

— მე წავალ! — თავი წამოჰყო ხელიკმა, — კურდღლის ბუნაგამდე მივასწრებ. მერმე იმან იცის!

— კარგია! აბა ჰე. ყი ყი ყი!

ხელიკი გასრიალდა, ტალახ-ბალახებში მიიშალა.

მაღე კი უკვე მინდორში კურდღელი მირბოდა. არწივმა ფრთა აქეთ მოჰპართა, მაგრამ კურდღელმა ბურჩებში შეტრომა მოასწრო. იქიდან კი შაშვები და ჩხაკები აქაბქაბდნენ. აფრინდნენ და სხედასხვა გზით გაფრინდნენ სატირო-

ფოსკენ. კურდღელი წვრილი ბილაკით გააჭრა და გაისწრაფა. ჭალაში შეიქნა გნისაი...

— რა იყო? რა მოხდა! ჩხი და ჩხი! ჭახჭახ-ჭახჭახ!

— ბაკურ-კიკო! ბაკურ-კიკო! — დღესასაგან და სისწრაფისაგან ძლივს გამოსთქვა კურდღელმა. ბაკურთან სატირიფოში მოიჭრა.

— ლაფი მანქანაში ჩავარდა. ბაფთიანი წიწილი არწივის ემუქრებამ! ნანა-კიკი ყიყინებეს!

— შენ მუდამ ურევ, ყურგრძელს და თვალულამ! მინც ვასაგებია! განგაში განგაში! — გასძახა წეროს. მინაც უმალ სარაკუნას შემოჰკრა.

არწივმა კი შორიდან მოუარა მანქანას. ტყის მხრიდან წამოუქროლა. ბალახებში ჩამგდარ ნანას ბაფთას მოჰკრა თვალი. ფრთები მოსწურა და ბაფთას კლანჭი მოსდო, წაგლიჯა. ნანაც წააქცია, ლაფში ჩავდო.

ბაყაყებმა ერთი აღშფოთებული ყიყინი შექნეს.

— თავს უშველე! არიქა! არიქა! ჩვენთან გუბეში ჩამოხტი, თუ შეგიძლია! ბაყაყები ჩაბტნენ და ჩაიმაღლნენ. ნანა წამოვარდა ტალახიდან.

წინ მელა დაუსკუბდა.

— გაიქეცი კიკი-ნანავ! უკან მოუბედავად გაიქეცი ამ ბილიკით. არწივს მე დავგვდებო... არ გამოვუშვებ! თუ საჭიროა მე მელა-მგელა ვარ, მამა! ბაკურ-კიკოს მეგობარია! არ მოიხედო, არ მოიხედო!

ფეხშიშველა ნანა ტირილით გაიქცა, ბილიკს გაჰყვა... მელა-კუდა უკან მიჰყვა და მისი კვალი კედლით ფარცხა და შალა.

— უკან არ მოიხედო! არწივია! აი, შე წყეულო! სად მოხვალ! ესეც შენ და ესეც შენ! აბა, რა გეგონა! ჰაიო! — თავის კუდს თათი გაჰკრა და არწივის ნაცვლად „გააბრუნა“.

— ბაკურ-კიკოს ყველაფერი ვუთხრათ! ჩემ ამგსაც ნუ დაივიწყებთ!

ნანა დაბალ ჭანგარში შეიჭრა და მიიმალა.

არწივი კი წიწილების ყუთს წამოაქცრა, ბაფთა იქვე მიავდო და ყუთის თავი ამოამტვრია, რამდენიმე ცნცარამსკვეც გაბღღენა, დაჰკორტნა. სხვა ქათმები და წიწილები წიავე-წიავეთ გადმოფრინდნენ და მობრუნებულ, ქვევით დადარაჯებულ მელას პირში უცვივიან და უცვივიან... იგივე ზის, და თვალცრემლიანი ლულულულებს.

— ოჰ, რა ცოდვა-ბრალი ტრიალებს! — თან პირდაპირ გაუბღღენელად ყლაპავს და ყლაპავს. ზოგს აქვე თავწაწყვეტილად აწყობს და კუდს აფარებს!

შორიდან კი უკვე გაისმა მომავალთა გუგუნნი, ჩხივილ-ჭახჭახი და ძახილი:

— ჰაიო! ჰაიო!

გუბიდან თავი ამოჰყვეს ბაყაყებმა... კუბებმა და ზვლიკებმა...

— მოდიანი მოდიანი ბაკურ-კიკო მოდის!

მელამ თავისი თადარიგი დაიჭირა.

— არწივ-ბატონო! ყუთებს საკეტები გაუტეხე. წიწილები გამოუშვი, მერამე ჩვენია!... თორემ მოგვისწრო ბაკურ-კიკომ!

— მერამე რაღას ვიპოვნი ამ ბუჩქნარებში!

— მე აქ არა ვარ! დაგიტერ და მოგართმევ! პირობა პირობა! ოღონდ შენც სუ და მეც სუ! ბაკურ-კიკოსთან არაფერი წამოგედეს, თორემ შენ რა გუიქის, ცას გაეკვრები, მე კი მიწის სოროდანაც ამომიღებს!

— კარგი... ნუ გეწინია!

— ჰოდა, დაჰკარი! ბოქლომ-საკეტებს დაჰკარი! ჩვენს წინააღმდეგ არის მოგონილი!

არწივმა, მართლაც, ჩამოუარა ყუთებს და საკეტები ერთიანად დაღეწა-გააცალა. მელამ იდროვა და ჩუმად მიიმალა, უხვი ნადავლიც თან წაიღო...

ზედაც ირემი მიავდო ბაკურმა, კურდღელიცა და წიავიც მალევე მოჰყვენენ. ახლა ფარინგელები მოფრინდნენ. სულ უკან დათვი მოხაჯბაჯდა.

— ეცი და ჰაიო! ეცი და ჰაიო! — შესძახა ბაკურმა და მანქანას მიეტანა, შორიდანვე კომბალი მოუქნია. — არ-

წივმა ფრთები გაშალა და ზე შემალ-
და.

— კრა კრა.—გამარჯვებისა და რიხის
ზმა ამოიღო, უტბად დადრია ფრენა და
აფხორილი — ბაკურს ეძგერა, სისხლი-
ანი ნისკარტი მოუქნია.

ირემმა მოასწრო და რქები გადაუფა-
რა. არწივი უკან დადრია.

— არ მოგშველებოდა რქოსანი, ვნა-
ზადი შენს ძვლებს გაბნეულს!

ბაკურმა ირემსაც უტია, დაქვეითდა
და კომბალი ისევ ხელში აიტაცა. ჯი-
ქურად წინ მიეტანა არწივს...

ყველა მოჭარდა და მოჩხუბართ შე-
შობდა. — მელამაც იდროვა და უჩუმ-
რად შეერია მოჭარულთ. ყველაზე ხმა-
შაღალი ყვირილი მოართო.

— უი, ქა! ჩემ კუდისა მზემ... ეს რა
წიწილემოწყალობა მომზდარა?

არწივი და ბაკური კი ერთმანეთს მი-
უტანენ. ფრინველიც მიწა-მიწა წამოვი-
და, ფრთებით ქარი ააყენა, მიწა და
მტკერი შეაყარა სახეში მოზარდს.

ბაკურმაც მოასწრო და კომბლით თუ-
ნუქის კასრი აიტაცა, წინ ფარივით იფა-
რა. ზედ მიადგა მტაცებელს.

არწივმა ბრაზით ჩაპკორტნა კასრის
ძირი, ჩახერიტა, მაგრამ ნისკარტი შიგ
გაეჭვდა. ბაკურმაც იდროვა და ერთი
მაგრად მოსდო კომბალი. არწივი ახლა
კლანჭებით ეტაკა ბიქს, მაგრამ შეეშა-
ლა ნახტომი. ბაკურიც სხარტად გაერი-
და.

— წალდი გაპკარ! წალდი! — მია-
ძახეს სატირიფოვლმა მეგობრებმა, მაგ-
რამ არწივმა იკადრა ფრთების გაშლა
და აფრენა. თუნუქის კასრი თან აიტა-
ცა.

— ჩაეჭვდა! ჩაეჭვდა! შეშინდა! არი-
ქა, ახლა არის ჩვენი დრო! ჩხი! ჩხი! —
ახივლდნენ ჩხიკვ-კაქკაქები და მიესიფ-
ნენ. ბუმბული გააცალეს არწივს. შეიქ-
ნა ჰაერში ერთი ბურხალი.

ბაკური კაბინის კიბეზე ახტა, მანქა-
ნაზე დიდი ბაფთა იპოვნა, ააფრიალა.

— ნანას ბაფთა! თავად სად არის ნე-
ტაე?...

— აქ იყო, აქ! და არწივმა ჭვანგი გა-

პკრა ძლივს გაეპტე! — ხელად მიუ-
ცუტქდა და მიუქლესა მელამ.

— ჰეა მაგასა! — ჰაერში შესძახა ბა-
კურმა და ყველა ფრთოსანმა არწივს შე-
უსია. მაგრამ მტაცებელმა იძალა, ქვა-
ნგით წაიგლიჯა კასრი, უფრო დასისხ-
ლული ჩარბ-ნისკარტი ააჯაპკაპა, დაბო-
რიალდა. შესეული ფრინველები შემორ-
ბერტყა. კასრი კი ქვევით გასტყორცნა,
ბაკურს ესროლა, მაგრამ მის უკან ცუც-
ქად მჭდარ მელას მოარტყა.

— ვაი კუდი! კუდი მომტეხა ამ ბო-
როტმა! — აცნველდა მელა და კუდი
ფეხებში ამოიძეა.

— უბრიანია! ალალი! ალალი! გეკუთ-
ვნის! კი კი და ყი ყი! — აყიყინდნენ
გუბის ბაყაყუბი.

— რატომ? რატომ? — განცვიფრდა
და შეფიქრიანდა, თანაც უფრო გამ-
წარდა მელა, კუდი ენით მოილოკა, თა-
თით მოეფერა.

— მერმე ვარკვიოთ! ახლა მანქანა
დაეძრათ! ტალახიდან გავათრიოთ! აჰა,
ბაგირ-სათრეველა! — ბაკურმა მანქანის
წინ კაკვებზე დაბმული ბაგირი გაშალა
და გზაზე გადააწოდა. — აბა ერთად!
აბა, ერთად!

პირველ უღლად დათვი და ირემი ჩა-
დგნენ. ახლა დანარჩენები ჩაებნენ, ჩაე-
კიდნენ. ზოგი წინ, ზოგი უკნიდან მოაწ-
ვა. ზოგი ჰაერიდანაც კი ექაჩებოდა მან-
ქანას, მაგრამ ძვრა ვერ უყყენს.

ისევ მელა გამოძვრა, ოფლი მოიწმინ-
და.

— ყუთები გადმოვტვირთოთ! მანქანა
შევაშლუბუქოთ!

— მაგას წიწილების „შემსუბუქება“
უფრო სურს! — აღუღლულდა ბუ, —
ბაკურ-კიკო, მანქანაში ჩაჯექი. დააქუხე
და ერთად მოეწიოთ!

— მანქანასთან ერთად! მანქანასთან
ერთად! — აყრიამულდნენ ტყიურნი.

— მახსოვს ზოგი რამ... მამამ მასწავ-
ლა... — მაგრამ, შეყოყმანდა მოზარდი.

— ვცადოთ! ვცადოთ! ტალახიდან
სად გაგვექცევა! — აბუბუნდა დათვი,
— მაგის მოთოკვა ჩემზე იყოს, თუ
მაინცადამაინც...

ბაკური კაბინაში ჩაჯდა, ყველანი გარს შემოადგნენ. ზოგმა თავიც კი შეტყუო კაბინაში. ბიჭმა გაბეღულად ამოძრავე ბერკეტები.

— ჯერ ახას ჩართავდა. მერმე აქ დაიქერდა ფეხსა, — მანქანა აატუბუტება ბაკურმა. ყველა შეაფრთხო. — ამასაც მიაყოლებდა — აბა ჰე! — სიჩქარეში ჩააგდო. მანქანა აგუგუნდა, თვლები აბრუნდა.

— აბა, ერთად! ერთად! — ყველა მიიწევა. მანქანა დაიძრა და ტალახი გააპო, გუბებს გასცდა და გზაზე გაგორდა. სვლასაც უმატა.

— ველარ ვაჩერებ! დამავიწყდა! გაჩერებ! დამავიწყდა! — აყვირდა ბაკური. მაშველნიც აირაფ-დაირიყნენ. ზოგი ჩამორჩა, ზოგმა განზე მოასწრო გაღახტომა, დათეს კი შეაგვიანდა კიდევაც. ზედ მიაღმა მანქანა. დათვი აეტოტა და ზედ შეახტა, რადიატორს გადააჯდა. მანქანამ სვლას უმატა, დათვი — ბლაღილს...

— დავიწვი, მეგობრებო!. ყველაზე უწვევი აღგილი დამეწვა! გამაჩერეთ!

— ვერ გავაჩერებ! ვერა! — გაიძახოდა, სხვადასხვა ბერკეტს სინჯავდა ბაკური.

მანქანამ შეუჩერებლად რუს გადაუარა, მაგრა შეირბა, ჩაზანყდა. ყველა ყუთს დატეხილი საკეტი ჩამოუვარდა. ქათმებმა და წიწ-ლებმა თავი გამოჰყვეს გადმოფრინდნენ.

მანქანა მიჰქრის გზაზე, მერმე მინდორზე გავარდა, ახლა ჯაგები გაარღვია, ისევ გზაზე მოხვდა. ქათამ-წიწილები კი მოფრინავენ და მოფრინავენ. ცივიდან მანქანიდან. ჯაგებსა და ბალახებში გარბიან წიავ-წიავით.

ბუჩქებში ჩამალული მელა კი ხითხითოთ სღვეს წიწილებს, იჭერს და იჭერს.. ცაში კი არწივი გაჰყვივს მაღალ ხმაზე და თავს დასტრიალებს მანქანას.

ბოლოს, აღმართში, გაჩერდა მანქანა. დათვი გადმოგორდა და ხელად წყალსავსე რუში ჩაჯდა.

— ხომ არ დაშავდი? — კაბინის კბრი გამოალო გაფითრებულმა ბაკურმა...

— არა, ბოლოსდაბოლოს... კარგად იყო. მოდი აქ ჩამოჯექ რუშია, ალბათ შენც გეწვის! — წყალში უფრო მოხერხებულად ჩაჯდა, თათებიც მოიშველია.

ბაკურმა ხელი ასავსავა, მანქანას მოუარა. აღარც ერთი წიწილი აღარ იყო ყუთებში.

— კი, მაგრამ წიწილები?

მალე ჩამორჩენილი ტყეურნიც მოეწივნენ.

შორიდან ტრაქტორის ტუბტუხი მოისმა.

— ადამიანები მოდიან! — აღელდა დათვი, — ახლა კი კურდღლური!.. არიქა, გაიქცეთ, თორემ ახლა ჩვენ დაგვბრალებდა ყველაფერი!

ყველა გაფრინდ-გაიქცა. ბაკური და დათვიც ტყეს შეეფარნენ. ბილქს ჩაჰყვნენ.

უეტრად წაადგნენ ბუჩქის ძირას მიმალულ. ფეხშიშვილა ნანახს. მის კალთას ამოჰფარვიან წიწილები, ერთად მოჯრილი, გადარჩენილი... დამფრთხალი წიწილები.

— გოგო? — გახევედა ბაკური, — წიწილებიანი გოგო!

— კიკინანა! — წამოიძახა დათვიმა.

— კიკინანა! კიკინანა! — აჩურჩულდნენ ირემი და შემოსწრებული ფრინველები.

გოგონა უფრო გადაეფარა განაბულ წიწილებს.

— შენ ბაკურ-კიკო ხარ?

— მე ვარ! — დაბნეულად უბასუბა მოზარდმა.

— მაშინ მე აღარ მეშინია! არწივმა წიწილები დამიხოცა. ბაფთა წამართვა!

— მე ვაჩვენებ იმ არწივს! ის არის ერთად-ერთი დამნაშავე!

— არა, მეღაც...

— მეღაც? აბა დამიძახეთ! წიწილებია დასაჭერი-თქო!

ღერო სწავლებიძე

გაქვდა ცრემლებიცა

გზაში მოგონებამ
სხვაგან გამი ჯაცა...
გაუმარჯოს ცრემლებს,
ცრემლებს ჯარისკაცთა.

ომი... ეშელონი...
გზა შორი და შორი,
ხან—მთის გვირდვემოვლით,
ხან—ლარივით სწორი.

სულ პაწია ბაქანთან
ეშელონი გაქვავდა.

ამ-ვიდა ქალი,
შევაშეღეუთ ხელი,
დაღო ყუთი გოდელი,
დააფარა შალი.

მოგვესალმა წყნარად,
შეტი აოა თქვა რა.
მერე ეშელონი
კვლავ დაიძრა ჩქარა...

დაქრილები მიიწკ
არ ვკარგავდით დროს,
ეხუძრეთ: „საით?“
გვიასუხებეს: „შორს“.

მერე ვმღერიო ლალად,—
სხვა რა დავგრჩენია.
რა გქნათ.
ქალს თუ რალაც
ღარდი ვასჩენია.

მიჰქრის ეშელონი,
გზა შორია, შორი,
ხან—მთის გვირდვემოვლით,
ხან—ლარივით სწორი.

ბოლოს ციცქნა ბაქანთან.
ეშელონი გაქვავდა.

მოგვაჩერდა ქალი
ცრემლიანი თვალით:
„—მაპატიეთ, იმეზო,

ვერ აგყეუთ ლხინში,
კუმო ძამაქვს შეილის,
მიმაქვს ვაი ვიშით.

ის დავლიჯა ჭურვმა,
დედის გული—ურვამ.

მიმაქვს მამის სახლთან,
მამა მოქვლეს ქერჩპი...
დაგშორდებით ახლა,
თქვენს ლხინს რაღას ვერჩი!“

—რად მოგვკალი, რად დავკვდაგე,
გეთქვა ამდენანა!
—ნომე შეღეუთ, ფეხზე დაუდგე!—
ადგა ცალფეხაც.

ავბოგინდიო, ავიშალეთ,
კუმოს ხელი ვტაცეო.
მარებს დამცხრალი ქარიშხალი
გვაწვა ჯარისკაცებს.

ალარ გვინდა ლაზარეთი,
ჩვენ ისვე ვარსებ-ბო.
ეშელონი, დას-ვლეთით!
უჟან, ჯარისკაცები!

ჰოი, იგი პროცესია
დაქრილ მეომართა...
შე იქ გული მოხლეჩია,
იმ საფლავის კართან.

ყოვლის შემძლე დედის გულიო,
რად გვამღერე მაშინ?!
ეს მისია,
გაზაფხული.
თეთრი რომა გაქვს თმაში.

.... აი, მოგონებამ
საით გამოიტაცა.
გაუმარჯოს ცრემლებს,
ცრემლებს ჯარისკაცთა.

შორეულ ლანდთან



ნინო ზოშტარიას

რომელმაც ვინაი, ახვლედიანების გორაზე, აღმოაჩინა ჩვენს წელ-
თარღიცხვამდე მიეჭვსე საუკუნის დრთინჯული ქალიშვილის სამარ-
ხი, მაღალი ხელოვნებით გამოქერაილი ოქროს სამკაულებით.

აქ დიდხანს ერთი თეთრი ქვა იდო,
არტეოლოგმა შეახო ხელი...

და უწველესი სამარხის მკვიდრო,
განათლა შენი სამყოფი ბნელი.

შენი მზე, აჰა, კიდევ აენთო,
მე შენსკენ ღტოლვა მახეტილებს.
შენთან ხომ არა აქვთ რა საერთო,
ამ გორზე მცხოვრებ ახვლედიანებს?!

ვინ გაგიჭედა ეს სამაჯური.
ეს მკერდსაკიდი, ეს საყურენი?
თქვენ წაინცა თქვით, ნივთებო, რამე,
იმაზე, ვისაც ემსახურენით!

წამს ოქროს ძეწვეი რომ გაწკარუნდა,
ეს თითქოს შენი ხმის წყრიალია.
შენი აჩრდილი ამ მთებს წარუდგა,
გიყვარდა ალბათ ეს მთა ძალიან.

აქ ახლოს ციხის ნანგრევი არის,
შენს შერე ციხე დაინგრა ბევრი.
და წუთისოფლის ბუჭიან ქარით
აქ დაწეწილა წენი თნის ტივრიც.

შენს სამაჯურზე ოქრომჭედელი
რისთვის ძერწაფდა შველს და ირემსა?!
ორივე ხომ არ გამოქცევია
ისარმემართულ მონადირესა?!

ვამბორება ქორბუდას შველი...
სული თუ გედგა შვლის და ირმისა.
იქნებ შენ აოგებდა ისარი ცხელი,
ნასროლი იმა მოხადირისა.

ოქრომჭედელი კი სწერდა ლექსებს,—
ნაქედში სიტყვის ოქროც ერია.
შვლის და ქორბუდას ამავეი ესე
შენს სამაჯურზე დაუწერია.

სამარხზე ზამთრის ქროდნენ ქარები,
ეს ლოდი მხეხეც გახურებულა.

შენი დარდითა და მწუხარებით
ბაჯალლოც ოდნავ გახუნებულა.

გხედავ მოწყვეტილ ვარსკვლავის ციას,
ცას რომ გაეკრა, როგორც კრილობა.
ამ მთვარის შუქზე შემოგცრეცია
შენი ლამაზი ქალიშვილობა.

გოგო-ბიჭები აქეთ მორბიან,
ნივთებში შენი სული თუ მღერის.
ბაჯალლო ოქროს ზედ შედნობია
შენი სიცოცხლის მარადი ფერი.

შენი სამარხის
თეთრ ლოდთან შედგა,
შვილს ხომ არ ეძებს
ქალარა დედა?!

ხელი შეახო
და შეკრთა ლოდი,—
გაქვავებული
ოცნების ზოდი.

გაანსა კარი და დაფეთდა ბნელი,
უფრო დაეტყო დილას დილობა.
შვილს?
არა!

თითქოს წაელო ხელი
თავის გაფრენილ ქალიშვილობას.

წამოაყენა ზე შენი ლანი,
გადაგვეხვია, შეგებო ღელვით,
დაგვიდა შენი საყურე ძხათი,
დაგზურა შენი ხატისულელი.

აკრთობს შენს ნივთზე ხელის შეხება,
არსად დააჩნდეს ნათითარიო...
აწ შენს სიცოცხლეს, ირმის ფეხებზე,
სიკვდილმა ხელი ველარ დარიოს.

ქალარა ქალი გვითარგმნის ახლა,—
(გააქვთ გუგუნე მუხებს და იფნებს),—
საქართველოს და
შენი ლამაზი
ახალგაზრდობის იეროგლიფებს.

დავით გიგინეიძე

ყ ა ბ ა ხ ი *

— ზაფხულია. როცა მზე ძალიან აქერს, მაშინ იკლებს ხოლმე. რამდენი ხანია ნამი არ ჩამოვარდნილა. გუშინ საღამოს ცოტა მოიღრუბლა და იმედი მომეცა, მაგრამ დილამ გადაარეკა მთებს იქით ღრუბლები. თუ ეხლა გვალვები დაიჭირა, ვენახსაც საქშემს გაუჭირებებს და სიმინდიც გაგვიფუჭდება. მეორე თოხნა არც კი მოუთავებიათ ჩვენებს.

თალარს კედლებად ხვართქლა და სალბი ასდევდა და უცხო რამ სანახავს ქმნიდა თავისი საყვირის ტუჩა ყვავილებით შეხორხლილი. ყოველ კუთხეში ქლიავისა და ვაშლის ცალფეხა „საეარძელი“ იდგა და თავდაღმა ეკიდა საზურგეებსა და სახელურებზე დასხმული ნაყოფი.

— ახალციხისა და ვარიანის სანერგეები მომივლია, თითქმის ყოველგვარი ჭიშის ზეხილის ნერგი მიმოვინია და ამ ბაღში დამირგავს, — კუთხეში ჩამოჯდა მოხუცი. — კარგი ბაღი ჰქონდა ცხოვრებულ ტიტყოს. შენ ბაღლი ხარ, იქნებ არც იცი, რომ საავადმყოფო, საექიმო ბუნქტი და აფთიაქი რომ არის, ის სახლი იმას ეკუთვნოდა. უკან რომ ბაღი აქვს. ის ბაღი ჩემი გაშენებულია... სახლწინ კვიპაროსები იყო დარგული, პოი, რა კვიპაროსები იყო.

— მახსოვს ის კვიპაროსები, ზედ უამრავი ბუდე იცოდნენ ბედურებმა. ერთხელ საღამოთი ავიპარე ბღარტების ამოსასხმელად და გამიგო ფილიმონამ. ხომ გახსოვს, ფილიმონა რომ იყო, იმერელი, აფთიაქის გამგე?

— როგორ არ მახსოვს, — გამოცოცხლდა მოხუცი, — ეხლაც იქ არი, არ გინახავს?

— აღარ მინახავს... გამიგო და დამედევნა, ძლივს გავასწარი. ძალიან შემეშინდა. წინა წელს ეფრემიანთ ადამას თოფი ესროლა, ხართუთაზე როგორ გაბედვ ასელო.

მოხუცი სიამოვნებით ხიხინებდა და სამკეცად ანაოქებდა სუფთად გაპარსულ ყბებზე მუქად დამწვარ პირის კანს.

მოხუცმა ხალათის შეკრული საყელო გაიხსნა, ხელები წინსაფარზე ერთხელ კიდევ შეიწმინდა და თხელ წამწამა ქუთუთოებში მუქი მწვანე თვალების ვუტვით ახედა მოსაუბრეს.

— ძალიან იდგომლე სოფელში. ამბობენ, ისევე ქალაქში მიდის, დიდი კაცი უნდა გამოვიდესო.

შავლეგომ ყური ცქვიტა.

— როგორ თუ დიდი კაცი.

მეზაღემ თვალი ააჩიდა და თალარის ქერზე დაკიდებულ მტევნებს ახედა.

— რა ვიცი, ვინც მიდის, უკან აღარავინ მოდის. ეგრე სჩვევიათ ახლა ახალგაზრდებს. სოფელში დაიბუშბლენ ბიან, ფრთებს სოფელში გამოისხამენ და ფრენით კი სხვაგან დაფრინავენ.

— ქალაქში მართლაც მივდივარ, მაგრამ რა შუაშია აქ დიდკაცობა?

— ვინც კი სოფელს გასცდა, ყველამ დიდკაცობა მოინდომა. შენ გამოხაკლისი ხარ? ჩვეულებრივი ამბავია. ყველას მალა უნდა ჯდომა ორბივით რა სკამებმა უნდა გაუძლონ ამდენ მსურველს?

შავლეგომ ხალბს ერთი ყვავილი შეაცალა, ხუთად გაყო და შუა გულიდან ბუტკოებს დაუწყო წიწკნა ნელნელა.

— სურვილი და სკამები იშვიათად კვეთავენ ერთი მეორის გზებს, ძია თომავ, და როცა კვეთავენ, ისიც მცირე

ხნით. რა სახარბიელოა ხალიფად იქდე
ორი საათით?

მობუტკმა ხარაზული ჩუსტი გაიხადა,
ფრთხილად წამობერტყა შიგ ჩაყრილი
მიწა და ისევ ფეხზე წამოიკვა.

— მე თეორიებისა არაფერი გამეგე-
ბა. გლებიკაცი გლებურად მსჯელობს,
რა შუაშია ხალიფად ჯდომა? მე ვამ-
ბობ, რომა ყველას დიდჯაცობა უნდა
და გლებობა — აღარავის. მაშ, ჩვენ
როცა აღარ ვიქნებით, რა გეშველებათ
თქვენ, ახალგაზრდებს? ვინ ვის უზრძა-
ნებს, ეს მოიყვანე და ეს გააკეთეო?
ალბათ, დაერევით და ერთმანეთს დას-
ქამთ.

— დანათ მრავინ დაექამთ ერთმა-
ნეთს, ძია თომავე, სწავლით კი ყველამ
უნდა ისწავლოს, რომ თავისი ცოდნით
თქვენა და საერთოდ მუშა კაცს შეუშ-
სუბუქოს შრომა. თქვენს მაგიერ მან-
ქანებმა იმუშაონ.

ბერიკაცის ბშირ უღვაშში დიმილმა
გაიბრინა და თვალის კილოებთან ნაო-
ქები გაულრწავდა.

— ჩვენს თავიჯდომარესაც უნდოდა
მანქანით მოეხნა ვენახი, მაგრამ რო-
გორც კი მწყრივებში გაატარეს ტრაქ-
ტორი, სამი ვახიდან ორი გადათქერა და
ძირშივე გაბალთა.

— ეგ ტრაქტორისტის უცოდინარო-
ბა ან დაუდევრობაა.

— შეიძლება ეგეც არი.

მებალე წამოდგა, თალარიდან გავი-
და და ცოტა ხნას შემდეგ კალთით გარ-
გარი შემოიტანა.

შაელებომ შეატყო, რომ წინსაფრის
მოსხნას აპირებდა და არა ქნა.

— პიხდაპარ მწვანეზე დაყარე, ძია
თომავე, უფრო გემრიელად შეგვამ.

— იქნება ვინდოდა ზედ ასულიყავი?

— რა საჭიროა, ხეზე ფხობიალი,
გადაეჩვიე. დაყარე. ქალაქურად შე-
ვიტყვი.

— ამისი დედა, ცხონებული, ტიტ-
კოს ბალში იდგა. იქიდან წამოვიღე და
ჩემს ეზოში დავამყენი. დიდი ხნის ამ-
ბავია. ისეთი ვაბდა, ეხლა ხელეხსაც
ძლივს ვაწვდენ.

— გემრიელია და სიმსსოც კარგი
აქვს. ჩამოკექ, ქამე.

— მოწყენილი მაქვს, ჭირად ვახსობ
ხოლმე ხალა უამრავია, მუამელი ვინ
არი? ცხონებულ ჩემს დედაკაცს უყ-
ვარდა და ზამთრისთვისაც აფარებელს
ინახავდა. ეხლა თუ ვაყვიდი, თორემ მე
არც იგრე ვეტანები.

— სახლი კი ისევ ის შემოგრჩენია.
ვერ იმშენე მაინც? მთელი სოფელი გა-
მოცვლილია და, მგონი, ეს შენი ფიც-
რულიდაა, ძია თომავე, უცვლელი.

თომამ რამდენჯერმე ჩემად ჩაიქნია
თავი.

— რისთვის ავაშენო? შევილა მე არა
მყავს და ძირი. მოვეკვდები და ოქროს
მატრუს არავინ დამადგამს. ან რაში
მჭირდება? მე ესეც მყოფნის და ზედ-
მეტი გარჯა ზედმეტი თავის მტვრევადა
იქნება. ამ ბაღსაც ძლივს ვუვლი. დიდი
ხანია უნდა წავსულაყავ, მაგრამ
ღმერთს, ეტყობა, ახალგაზრდები უფ-
რო მოსწონს და ჩემისთანა ჩაჩანაყში
გროშადაც არ უღირს. ცოტაოდენი ფუ-
ლი მოვავროვე, არ მინდა სამადლოდ
დამშარხოს სოფელმა. ცოტა ხანიც... და
მეც იქით წავალ, საითაც ჩემი დედაკა-
ცი ვავამგზავრე. სახლი კი რისთვის მინ-
და?

ბერიკაცმა გახლიჩა გარგარი, რაკი
ქიანი გამოდგა, გვერდზე ისროლა და
ახალი აიღო.

გადაგდებულ გარგარს ფუტკარები
დაეხვიენ და გაფაციცებით დაუწყეს
სრუტეა ტყილ ნაყოფს.

— ფუტკარი ბევრი გყოლია, ძია თო-
მავე, წელან თვალი მოგვარ, თხილქვეშ
გამწკრივებულ სკებს.

— არც იმდენი. ხუთმეტი ძირია,
ტობრაკას მეტი ჰყავს, — ოცდაათი
სკა აქვს. თავიდანვე წყნული იყო ეგ
დამთხვეული. გარეთულ ფუტკარზე ნა-
ღირობდა და თავლს ფუთობითა
ჰყიდდა. აღქაჩევით დადიოდა ტყეებში.
თვალი ძალიან უჭრიდა და ბევრ ფულუ-
როსაც პოულობდა თაფლიანს.

— როგორღა პოულობდა?

— ეშმაკმა იცის მაგისი თავი. წავი-

დოდა ტყეში, წაიღებდა თავლიან ჯამსა და სადმე დადგამდა, სადაც ფურტკარს ივარაუდებდა. მოვიდოდა ფურტკარი, იღებდა თავლსა და გაფრინდებოდა. ტობრაკა თვალს გააყოლებდა, ძერასავით ხედავდა წყეული, გააყოლებდა და სადაც დაეკარგებოდა, ახლა იქ დგამდა ჯამსა. კიდევ მოვიდოდა ფურტკარი, კიდევ წაიღებდა თავლსა და ტობრაკაც უყურებდა, სადამდისაც თვლი მოუწყვდებოდა. ეგრე მასდევდა და ბოლოს ფურტკარიან ფულურის მიაღებოდა. ცულა ყოველთვის ქამარში ჰქონდა გაჩრილი. მოსჭრიდა ხესა და მოჰქონდა თავლი.

თახი მთხილი

მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა მიწურინი ავსტრიელი ბერის „ბარდას კანონების“ წინააღმდეგ, რომლებიც საფუძვლად დაედო მენდელ-ვეისმანის თეორიას, მაგრამ მას მხოლოდ ლიპენკოს ბრწყინვალე სიტყვამ შეუნჯრია ლიბო-საძირკველი ორმოცდარვა წლის ავგისტოში.

მისმა მოძღვრებამ მემკვიდრეობისა და მისი ცვალებადობის შესახებ, მცენარეთა და ცხოველთა განვითარებისა და მათი ბუნების ცვალებადობის ახალი მეთოდები აღმოაჩინა. ხოლო კულტურულ მცენარეთა ახალი ჭიშების გამოყვანის მცენიერული საფუძვლების დამუშავების შემდეგ სწრაფად დაიწყო მისი გადატანა და დანერგვა პრაქტიკაში.

თუმცა საქართველო ხორბლის უძველესი კულტურის ქვეყანა და მის სახეთა და ფორმათა წარმოშობის კერა იყო, მაინც სელექციური მუშაობა აქ გვიან დაიწყო. თბილისის ბოტანიკურ ბაღში აიღა ფეხი და ბოლოს მუხრან-საგურამოს ველს მიაღწია, სადაც მემინდერეობის საცდელი სადგურის ბაზაზე დაარსდა პირველი სახელმწიფო სასელექციო სადგური. მისი არსებობის სულ რაღაც თოთხმეტ-ხუთმეტი წლის განმავლობაში გამოვლინებული და დადგენილი იქნა ხორბლის ჭიშების სამე-

ურნეო-ბიოლოგიური თავსებურებათა, რომელთაგან მნიშვნელოვნად დროის პური აღიარეს.

ოდითგანვე იყო საქართველო საზრსთა უამრავი დინასტიისა და სელჯუკიანთა მსახვრალი ხელის საზბიელი, ყიზილბაშთა და წითელფესიანთა ხარბთვალს მაჰმადისაგან აღთქმულ სამოთხედ ეჩვენებოდა ქართლ-კახეთის ნაყოფიერი ველები და ბოლავდა ავის მომასწავებელი კოცონები გოდოლებსა და ცხენთა ჩარდახებზე. ცედებოდა ზალიბის რკინა დამაჰყურსა და ხორასნის მუზარადებზე და თითოეულ მტკაველ მიწას თავისი და მომხდურის სისხლით პოხავდა შეუპოვარი ქართველი. ინებებოდა მტკერისა და იორ-ალაზნის აყვავებული ქალები და დანახშირებულ ქიგოს უიმედოდ ეკვროდა გატუსული ვაზი.

ბოლოს მაინც ბრუნდებოდნენ ნათარეშალზე ხეობათა პირქუშ ხეეულებსა და ქვაბთა ბნელ მღვიმეებში გახიზნულნი. გროვდებოდა ცეცხლსა და მახვილს გადარჩენილი საარხო ადამიან მოდგმისა და ხელახლა იწყებდა ვაზი აყვავებასა და ჯეჯილი აბიბინებას. იღებდნენ დვრიტას თვალუწვდენი ხოდაბუნები და ლურჯ-მწვანედ ელავდნენ ზერებში ვაზთა ბრტყელი და დაკბილული ფოთლები.

მაგრამ კვლავ მოდიოდნენ უსამართლობისა და ძარცვა-გლეჯის ქვეყნიდან და კვლავ ინაცრებოდა საზრდელი კაცთა.

ისევ იგროვებდა ნახანძრალი მიწა მაცოცხლებელ წვეწა, ისევ აწოვებდა და ზრდიდა მცენარეულთ, ისევ მოდიოდნენ თავისისა და სხვისის არმცოდნენი და ასე გრძელდებოდა საუკუნიდან საუკუნემდე, სანამ რუსული ხიშტი და ქართული გველისპირული არეზს იქითა და მესხეთის მთების გადაღმა გადალავდა ირანის „უძღვევლ“ ლომსა და ოსმანთა ნახევარმთვარეს.

ალბათ მსოფლიო ისტორიაში იშვი-

ათია, თავის შემქმნელ-წარმომშობა ერის ტრაგედისათვის ისე თანაგრძნოს მცენარეს, როგორც ეს ქართულმა დოლის პურმა ჩაიღინა:

იგი უძლებდა ველ-მინდვრებზე გზისგან დანთებულ ჭიკოკონას, რათა რიცხვით ათჯერ უფრო მეტ მტერს გარიდებულ ქართველისათვის ლუქმა არ გაეწყვიტა და გვალვის ამტანობა შეიძინა;

იგი ზოგჯერ თევობით უცდიდა ოცჯერ უფრო მეტი მომხდურისაგან ნაოტები მზრუნველი ხელის დაბრუნებას, რათა მაინცა და მაინც პატრონის ნამგლის ფხაზე შექრილიყო და ზამთრისადმი გამძლეობა შეიძინა;

იგი ცდილობდა ბოლომდე შეენარჩუნებინა სისავსე სიმწიფისა, რათა სიუხვე არ მოკლებოდა მოწყვანს ყანისას და კილის სიმავრე შეიძინა;

და რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ, როდესაც ქართველს ხმლისაგან მოუცლია, ნამგალი აუღია და თოვლქვეშ უშვია ხალასი ხელგური.

ძირითადად ეს იყო მიზეზი, რომ სასელექციო სადგურმა ადგილობრივი ჯიშების შესწავლას უფრო მეტი უპირატესობა მისცა, ვიდრე შემოტანილთ და ამაზე დაყრდნობით შექმნა ახალი ჯიშები.

მიღებულ იქნა საშემოდგომო ხორბალი, რომელსაც დოლის პური 35-4 ეწოდა. მისმა მოსავლიანობამ ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ჯიშთა გამოცდის პუნქტებზე 2-3 ცენტნერით გადააჭარბა ყველა სხვა ჯიშებს. ხოლო საგარეჯოსა და წითელწყაროში 23-24,5 ცენტნერი მიიღეს.

გამოყვანილი იქნა დოლის პური 18-46, რომელიც სხვა დანარჩენთაგან მყარი მოსავლიანობით გამოირჩევა.

გამოიყვანეს აგრეთვე მაღალი მოსავლიანობის ცეზიუმი 3-10, რომელსაც მსხვილი მტკიცე ლერო აქვს და ყვითელი ენგასადმიც საკმაოდ გამძლეა.

მიიღეს მსხვილმარცვლოვანი კახური დოლი 49, ძალისურა და ცერულეს-ცენი, მიიღეს დიკა ბევრგვარი და მრავალი სხვადა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ტერიფონას ველზე დასაქართველოს ბელელში, — შირაქში ზღვრა გასკდა მოსავლისა, იმ იდეას, რომ საქართველოს თავისი თავი საკუთარი პური დაეკმაყოფილებინა, წელს მაინცა და მაინც დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

გარდა ახალი მიწების ათვისებისა და ორგანული და არაორგანული სასუქებისა, საჭირო იყო რაღაც უფრო სხვა, რომელიც წლების მანძილზე მნიშვნელოვნად ასწევდა ხორბლის მოსავალს და ბოლოს განხორციელდებოდა სანუკვარი სურვილი.

ეს სხვაც მალე გამოჩნდა. და ეს „სხვა“ იყო კახური დატოტვილი ხორბალი, რომელიც დიდი ხნის არსებულ ჯიშთა გამოცდის პუნქტებზე კი არ მიუღიათ განთქმულ სელექციონერებს, არამედ კახეთში, სადაც ჭალისპირაში გამოატყვრინა ერთმა ახალგაზრდა აგრონომმა.

პირველად ეს ამბავი ახლო-მახლო რაიონებში გახშირდა, ხოლო შემდეგ მთავრობის ყურამდეც მიიღწია.

ხალხის რჩეულნი ჯერ გაოცდნენ და უჯერ-მაჯერად ჩაიღიმეს, ხოლო, ბოლოს, რაკი მაინც საცნაურ იქნა, ამ მაშველ რგოლს ისე მიეხვივნენ, როგორც დამშვეული აბრეშუმის ქია ახალდაყრილ თუთის ფოთოლს.

თელავს ჩამოსულ მეცნიერ მკვლევართა ჯგუფებს ეურნალისტთა რაზმები მოჰყვინენ. და ლუარსაბ სოლომონის სიმადლე მოემატა. ხოლო, როცა ერთ დღეს რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მთავრობის თავმჯდომარე და სოფლის მეურნეობის მინისტრი ეწვივნენ, მძღოლს თავისი პობე და „შეაკაზმინა“ და სტუმრებს ჭალიპირისკენ ისეთი რიხით გაუძღვა, თითქოს თვითონა ყოფილიყოს მიზეზი რაიონში მათი ჩამობრძანებისა.

მოსულთ თვალეში სიხარულის სხივი ჩაუდგათ, ალაზნის პირას შეიდ ჰექტარიან საცდელ ნაკვეთზე ნიავისაგან ატალღებულ დატოტვილი ხორბლის

ზღვას რომ გახედეს. „ზღვას“ ცოცხალი იარაღის საწყობი წყლივით მოსდგომოდა და გარშემო ისე უვლიდა, როგორც ჩობანი ცხვრის ფარას.

სტუმრები მანქანებიდან გადმოხტნენ. შუაგულ კანაში შევიდნენ და როცა ტარხუნასავეთ დატოტვილმა მძიმე თეთავებმა ბეჭებზე ცემა დაუწყეს, უმაღლე მისდნენ, რომ ახლო ხანში საქართველოს თავისი პური ექნებოდა.

როგორც უმუხოდ რკო არ იქნება, ისე ეს ამბები უფროსთმოდ არ ჩაიფლიდა. საბარალო ქალი მთელი დღეები მინდორში იყო და მხოლოდ დღის ბოლოსდა უხდებოდა სახლში შეხედვა.

ამიტომაც ფრიად ნაწყენი დარჩა, როდესაც სადამო ხანა ალაყაფზე უფლებამოსილად დააკაუნეს და იძულებული გახადეს თავისი საყვარელი ყვავილების კელიდან გამოსულიყო.

სარწყავი ძირს დადგა, ჭიშკრისაკენ გაემართა და როდესაც გამოალო, უკმაყოფილო სახე უმაღლე შეეცვალა.

ალაყაფთან ქერა, მაღალი ქაბუჯი იდგა. ჩამოქვეითებულს ცხენი სადავით ეპირა და რბილი თამისაგან დაწნულ, ფოჩებიან მეცხვარულ შოლტს მაღალ ფიცრებზე ატაკუნებდა.

— მეგონა, განგებ არ მიღებდი და კინალამ მესერზე არ ავფოფხდი. როგორა ხარ, რუსუდან?

აგრონომმა წარბი შეიკრა და განზე გადაგა.

— შემოდი, შემოდი, ქაჯო. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ჩამოსვლა მთიდან და შინ შეუხედავად უკანვე გაქცევა.

ბიჭი ღიმილად იქცა, ფრთხილად მიუხაზოვდა და ლოყაზე ნაზად აკოცა.

— ნუ მიწყრები, დედი, მაშინვე რომ არ წავსულიყავ, ვინ იცის, მერე რა შარს არ მომიღებდნენ. ჩვენი და რაიონის ვეტექიმი სამ დღეში სამ ცხვარს ათავენს. ფარას კი ფერმის გამგე იგრე უვლის, როგორც ილო-პაპა ჭავჭავიანთ იასვენახს.

ქალმა უნაგირზე გადაკიდებულ ხუ-

რჯინს თვალი ჰკიდა და გამხიარულდა.

— რა მშვენიერი ლექსები შექსიმე ჩვენთვის მოიყვანე? *სახლში*

— არა, მამ ცალყურიანი ჭოპელას ჩამოუყვანდი. — ბიჭმა წარბი შეიკრა. რა უნდოდა ბოთვერასაგან ზაქროს, რატომ დაახრჩო? ძალი იმის ძალია, რომ ან კაცს შეჰყეფოს, ან საქონელსა და ან ნადირს. — ბიჭმა სუფთა ცისფერ თვალბში რისხვა ჩაიყენა და შოლტის ტარი მაგრად შემოიკრა რუხ მეცხვარულ პაჭიჭზე. — მაგას ხომ არა ჰგონია, რომ ამ ეზო ყურეს პატრონი არა ჰყავს? იქნება ფიქრობს, რომ სახლში მარტო ქალია და დაეგობრეყვებო? ფეხებზე მკილია მაგისი ფალაგნობა.

რუსუდანი შეჩერდა და გაიკვირდა.

— მაქსიმ, მაქსიმ, სად ისწავლე ასე ლაპარაკი? რა ამბავში ხარ? წამოდი სახლში და სისულელეს თავი დაანებე.

ბიჭი შედგა, გოცებულ ქალს რომ შეხედა, მერე მივიდა ახლოს, თვალბი დახუტა და ქერა-ქონჩრისანი შუბლი ლაწეზე ფრთხილად გაუსუ-გამოუსვა.

— მაპატიე, დედი, ხანდახან წამომცდება ხოლმე. ცოტა გავფიცხდი. ზენა-ნება, კარგი ძალი იყო.

— სულელო, დედას ნულარ შეძახი, რას იტყვის ვინც გაიგებს?

— რაში მენაღვლებმა? ვინც რა უნდა ისა თქვას. არა, რად გინდოდა იმ სამსამ პერანგს რომ ატანდი ვანოს? ერთი საქმარისი არ იყო? ხომ არ გგონია, ამ ზაფხულს აღარ ჩამოვა და ჩამომხედავსო?

რუსუდანმა თავი გაიქნია.

— როგორ შეიძლება, მაქსიმ, მთა არი, იქ კაცი ადვილად ჭუჭყიანდება. პერანგები აუცილებელია. კვირაში ერთხელ მაინც დაგჭირდება გამოცვლა, იქ ვინ გაგირეცხავს?

— საპონი გვაქვს, რუსუდან და წყალი ბლომად. ჩვენ თვითონ ვრეცხავთ მწყემსები.

— გაჩუმდი და ამაზე ხმა არ დასძრა, ეს მართლა ჩვენი ძალია?

მაქსიმმა ცხენი აივინის სვეტს გამოაბა და ხურჩინი მოხსნა.

— ჩენია, შენ დაგებარებინა და მეც ჩამოვიყვანე. ოჰ, რომ იცოდე, რა აშარია. ბოთფერას არ ჩამოუფარდება.

— ეს ციკანი? ესეც ჩენია? უი, როგორი პატარა რქები აქვს და ეშმაკი თვალები, ნახე, ნახე, მაქსიმ, პატარა რომ ყველაფერი საყვარელია. ხედავ? წვერიც კი ამოსვლია; უი, გაქრი, შენ აბა, ამოიყვანე, ამოიყვანე, თორემ ცოდონი არიან, მთელ გზაზე დაეხუთებოდათ ფეხები ხურჯინში ჯდომით.

— წვრილი რამ თოკი მომიტანე, ციკანს შევება, თორემ ეშმაკია, გაგვემცევა. ლევასაც წვრილი ჯაჭვი უნდა ვუშოვო, აქედანვე მიეჩვიოს დაბმას, ანჩხლი იქნება.

პატარა, ხურჯინის თვლიდან თავამოყოფილი მურა ლეკვი მოწყენილი და დაბღვერილი იზიარებოდა. როგორც კი ამოსვეს იქიდან, მაშინვე გამხიარულდა. დადგა მრუდე ფეხებზე, შეიბერტყა, კუდი კითხვის ნიშანივით მოხარა და ბარბაცით გაცუნცულდა გვერდზე.

— ახლა ამას ეშობა, რუსუდან. ქატო, ან შვადის ფქვილი თუ გაქვს, სალაფავს გაეუკეთებდი. მოიბა ეგ თოკი, ეშმაკია ეს წყვეული, საბუეში ამომიხტა და ძლივს დავიპირე.

— ესეც ჩენია, მაქსიმ?

— ჩენი თხა გაბერწდა. ეს ძია ნიკოს შემონათვალა. ქათმები და გოქები მომწყინდა და ციკანი ჩამომგვარეთო.

— მერე?

— მერე რა, აიღო და ფერმის გამგემ ერთი ჭედილა იქ მიუმატა მაგის ნოტოსა და ეს ციკანი აქ გამომატანა ყელის ჩასაწმენდად.

ქალმა ნახად გადაუსვა ხელი თოკობმულ ციკანს, რქის ძირებში მოფხანა და კუშტად განაცხადა.

— არ წაუყვანო, მაქსიმ.

მეტყვარემ თავი გაიქნია.

— არ შეიძლება, რუსუდან, ვილაც კორესპონდენტი ცხოვრობს თურმე მაგათთან. სარცხელია, რას იტყვის ის ციკი. ალბათ იმას დაუკლავს.

— შენ ნუ წაიყვან. მაქსიმ. და იმ კორესპონდენტს მე მოველაპარაკებო.

სწორედ ამგვარ ამბებს ეძებენ თითონ ისინი.

— არ გინდა, რუსუდან, შეგეგვწა მაქსიმში. — ჯერ ხომ იცი, როგორი თვლით მიყურებს და ახლა ყველაფერს მე დამაბრალებს. ჯანდაბას მაგისი თავი, სადაც სხეები გამოუხრავს, იქაც ეს ციკანი იყოს.

— სხვებიო? სხეები როდისლა? გინა როდისმე ჩამოიყვანე და მე დამიმალე?

— მაქსიმს გაეცინა.

— რა გულუბრყვილო ხარ, დეაჩენო, განა ყველას მე გამაგებინებდა ან მე გამომატანდნენ? ეს, მე მოვდიოდი სახლში და გამომაყოლეს. მეშინოდა, სიმინდს დაუფგიანდა მეორე თოხნა და არ დაბერდეს-მეთქი. როგორ არი, ხომ არ გაუქირდა ამ სიცხეში. ფერი უვარგა?

რუსუდანმა დაღლილად ჩაიქნია ხელი.

— არაფერი ვიცი, მაქსიმ, ეს ერთი ხანია. შიაც არ შენობოთა, გადამიყოლა ამ მოსავლის აღებამ. მხოლოდ დღეს მოვედი ცოტა ადრე სახლში. დანარჩენ დროს მინდორში მიღამ-ნითენდებო. ცალკე ამ კორესპონდენტებმა წამჭამეს ყურები. ათას რამეს ჩმახავენ გაზეთებში და სურათები ხომ, რა პოზებში არ გინდა. ამ სამი დღის წინ კინალამ ერთი არ ავაჭერელე მათრახით. ჯერ ბავშვი არ დაბადებულა და აპარამადა სურთ მონათლონ.

მეტყვარემ თეთრი, ქალურად მიჭრილი კბილები გამოაჩინა და ხალათის ჭიბიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო.

— მთაში ამოიტანეს, პაპაროსისთვის უნდოდათ და არ დავახევიენე. რა კარგადა სწერენ, ეგ მამაძალღებო, კითხვით ვერ გაძლები. სურათი კი ძალიან შეუწყიათ, ძლივს გიცანი.

რუსუდანი ლეკვს მიეფერა.

— შემოვა, გავხაროან, კარგი იციან. ახლა ეს მითხარი, ამოამ ამის ლოგინს რა ეტყევა? ხომ არ შეაკვივა იატაკზე ან მიწაზე?

— ეგ ნანათევი ლეკვია, არაფერი არ უნდა, იქნება აქ დისცხეს კიდევაც. მხოლოდ სალაფაისთვის მომიტანე რამე, თორემ მშვიერია ეგ საცოდავი.

აგრონომმა მარნოს კარი გააღო და მცირე ხნის შემდეგ იქიდან მჭადის ფქვილი განოატანა.

— შენ ცხენი გაიყვანე ბაღში და ამას მე მოვევლი.

მაქსიმმა ცხენს უნაგარი მოხადა, აღვირი წაყარა და მისივე ტოტები მსუქან გავაზე შემოჰკრა. ცხენი ფრუტუნითა და მწეანის მოკლე-მოკლე წაწიწკნით ბალისაკენ გავარდა.

— დაბი, მაქსიმ, თორემ ამაღამ აქეთ გამოვა და ყვავილებს განიფუჭებ.

— ნუ გეშინიან, ძილის წინ დავაბამ. ბალი რას შვრება, აღრეულა მსხალი დამწიფდა?

— დამწიფდა კიდევ და მოლიეს კიდევ.

— როგორ თუ მოლიეს, ვინ მოლია? რუსუდანი დიდრონ ჯამში ჯობს ურევიდა და თან ლეკვს აქებებდა:

— ჭამე, მურა, ჭამე. გემრიელია? მერე მეცხვარეს გახედა და სათქმელი დაამთავრა.

— ვინ იქნებოდნენ? უპატრონო საყდარივით არი სახლი თავმინებებული და სოფელში რამდენი უსაქმურია. გზას პირას ყორე გადმოუნგრევათ, იქიდან შემოსულან, მსხლის გარშემო მთელი ბალახი გაუთელიათ და იქაურობა მიუჩრეგე-მოურეგეათ.

მაქსიმს აღარაფერი უთქვამს. გავიდა სახლს უკან და დაიწყო ბაღში ხეტიალი.

სალამოს ბინდ-ბუნდში სულ ჩამოებნელებინათ იქაურობა ვეება ხეებს. იდგნენ გაუნძრევლად მთელი დღის ნასიცხნი და ახლა ფოთლების ფილტვებით სვამდნენ სალამოს სიგრილეს. ნელა შმაშურობდა აყრილი ბალახი თების გადადგმისას. მთაში მიმავალ გზაზე სიწყნარე სუფევდა. საღადაც ახლოს ცხენი ფრუტუნებდა და ძნელსა და დამქანცველ გზაზე დახარჯულ ჯანს გორაობით ილდგენდა.

მეცხვარე დაკვირვებით ვაპყვა ყორეს ძირზე. ბალის ბოლოს, ტბას მაკრული მინდვრის დასასრულთან ქვების გროვა ეყარა, უწესრიგოდ მიმოფანტული. ამოგლეჯილი მარგილი მოშორებით ეგდო, ხოლო ზევიდან გავლებული ერთი პირი ეკლიანი მავთული გაეწყვიტნათ. და მისი შორკალული ბოლოები ძლიეს მოჩანდა, ყორის თავზე გადმოკიდული.

ერთ ხანს დასცქეროდა გამწყვრალი პატრონი სითაფხედის ნაყოფს. მერე დინჯად დაიხარა, მარგილი ისევ თავის ადგილზე ჩასო და გაფანტულ ქვებს მის გარშემო დაუწყო დალაგება.

დიღხანს ეწვალა და მავთული ვეღარ გადააბა...

— აბლაბუდა ქარს ვერ დაიჭერს. უნდა ძეძვი მოეჭრა და ის გაველო მადლიდან. ახ, რატო ერთი აქ არ ვიყავი და იმათი დღე არ გაქრა!

უკან რომ მობრუნდა, სათონესთან ცეცხლი დახედა დანთებულთ. ქალს ზედადგარზე ვეება ქვაბი შემოედგა და წყალს ათბობდა.

მაქსიმმა ზედა სართულის დირეზე გადაკიდული ნამგალი ჩამოიღო და ლეკვი მოიკითხა.

— ბუნავი მიეუჩინე. ნახე, რა კარგად მოკალათდა.

სათონის კუთხეში გაშლილ ნამჯაზე არხეინად მოკვერილიყო პატარა მყეფარი და თავზე წამომდგრებს ქვეშ-ქვეშ უყურებდა.

— ეგრე უცებ ნამჯა სად გიშოვნია?

— ჩემი გამოყვანილი თეთრი სვილა მოგვეკერი და ის გავბეგვე.

— უჰ, არ ვამიკვირდა, იმ სიმაღლე სად გაქრა ნაკვეთიდან, ხომ არ დაპატარავდა-მეთქი.

— ეს უფრო ადრე დამწიფდა. ოთხ კილო ნახევარს ჩვიდმეტი გრამი დააკლდა.

— იმ ერთი მუჭიდან ამდენი გამოვიდა? — გაოცდა მაქსიმო.

— გამოვიდა.

ბიქს თვალები გაუბრწყინდა და სახე გაეხადრა.

— აი, ნახე, რუსუდან, თუ შენ იმ წიგნების ჭია-მეცნიერებს არ აჯობო, გოგო ხარ, გოგო ნამდვილი.

— მოიცა, გიეო, სად გარბინარ?

— ციკანს გამოვუთიბავ ცოტაოდენ ბალახს, თორემ, ძია ნიკო შიმშილით მოჰკლავს ამაღამ.

— მალე მოდი, წყალი გაცხელდება და იბანავ.

— ალაზანი რომ გადმოვიარე, მაშინ ვიბანავე შიგა. აი, ქონორი თითქმის ისევ სველი მაქვს.

— აბა, სისულელეს თავი დაანებე, მაქსიმე თავს შე დაგბან და მერე მარანში შენ თვითონ იბანავ.

— ოპო-პო-პო დაიწყო თავისებურად. კარგი, კარგი, თორემ ვიცი, უმაგისოდ ამაღამ ლოგინში არ დამაწყვენ.

სანამ მაქსიმე ბალახს მოიტანდა, რუსუდანს ქათამი დაეკლა და ბღღენიდა.

— შენი დაკლული ქათამი ხომ არც იჭმება, ვეღარ დამიკადე?

— შენ თუ გინდა, ნუ ჭამ, რას დაატანტურებ მაგ ხანჯალს, ვეღარ მოიხსენი?

მეცხვარემ უნებურად იტაცა ხელი ქამარზე. ოდნავ დარცხვენილად გაიღიმა და დაიღრჩია.

— ერთ რამეს გეტყვი, რუსუდან და არ გამიწყრები?

აგრონომმა ყური ცქვიტა.

— აბა, ამოშაქრე.

— ჩვენი თხა არ გაბერწებულა. ერთ ლექს მივეცი ციკანი ამ ხანჯალში. ნახე რა ლამაზია. წმინდა ფოლადია. იგეთი მსუბუქია, ქალიც მოიხმარს.

რუსუდანმა ხანჯალი ჩამოართვა და წარბი შეიკრა.

— იარაღი კარგია, მაგრამ რატომ მომატყუე? ან რატომ არ მითხარი, თუ ხანჯალიცა გვირდებოდა?

— ყველა ნამდვილ მეცხვარეს ხანჯალი აქვს, რუსუდან. დიდი ხანია ვნატრობდი, — საბრალო თვალით იციჩრებოდა ბიქსი.

ქალმა გამოიღარა.

— რა საჭირო იყო ბატკანი? თოფი ხომ გიყიდე, იტყოდი და ხანჯალსაც გიყიდი.

— განა არ ვაძლიე, რუსუდან, ფული ვაძლიე, მაგრამ ტყემა არ აიღო: ციკანი მინდაო.

— კარგი, კარგი, სულელო, ნუღარ შემომყურებ ეგრე საცოდავად. რაკი საჭიროა, რას იზამ. მეორედ კი აუცილებლად გაზარდე ციკანი.

ცეცხლთან ჩაცუცქული მეცხვარე გამხიარულდა, წამოხტა და საკმაოდ გრძელი თოკი გამოიტანა მარნიდან.

— ცხენს დავაბამ, რუსუდან, და მოვალ.

კარგა ხნის შემდეგ დაბანილ-დავარცხნილი მაქსიმე სუფთა ტანსაცმელში გამოწყობილი იჭდა მაგიდასთან და საოცარ მადას იჩენდა, როგორც ეს სჩვევიათ ნამთვეებსა და ნამგზავრებს.

ოქროსფრად მობიბინებული წვერი და უღვაში საოცრად უზდებოდა ჭაბუკის თეთრ-წითლად აღაქდაეხებულ მოგროძო სახეს, ხოლო ცისფერი სანდომიანი თვალები მადლიერებით აღესილიყო გულუხვი დიასახლისისადმი, რომელიც საუკეთესო ნაჭრებს ულაგებდა თუფშუხ თანამესუფრეს.

— ამბობენ, არჩილს ხელი მოსტეხა ჩემმა ჩამოყვანილმა ცხენმაო.

— მხოლოდ ნაღრძობი აქვს, მალე მოტრჩება, ალბათ.

მაქსიმე მაგარი კბილებით ამტვრევდა გამოწიწკნილი ბარკლის ძვალს და თავს აქნევდა.

— იმ ჰიანჭველისა და რწყილისა არ იყოს, რატომ ჯდებოდა ზედ, თუ შნი არა ჰქონდა? მთელი დღე მკადბურასავით მეღრიჯებოდა, მე შემსვი ზედაო. ვანოს რომ არ ეთქვა ვეტეკიშზე, დავრჩებოდა და ყაბახს მაინც არ გავატანდი სხვასა.

რუსუდანი მოიღრუბლა, დასწვდა ბოთლსა და ღვინით ჭიქები კვლავ შეავსო.

— მაგაზე ნუ სწუხარ, მაქსიმ, ყაბაზი უშენოდაც ჩვენი გახდა.

მეცხვარე მაგიდაზე გადაიხარა და ყბაც კი შეაჩერა.

— ეს როგორ, რუსუდან?

— ის თავზედი, რომელმაც შენი ცხენი დაიჭირა, შამრელანთ გოდერძის შვილიშვილი გამოდგა.

— ეუუჰ, ჩვენი ყოფილა, ჭალისპირელი, რალაც საოცარს ამბობენ, შენ გინახავს?

— მქონდა ბედნიერება მისი ხილვისა.

— ჰამე, რუსუდან, რატომ მოიწყინე? აი, ფრთა გიყვარს შენ, აჰა, მეორე ბარკალიც. გინდა იქაში გავტეხოთ, რუსუდან? — ბიჭმა გასუფთავებული ორყაბაზი ძვალი გაუწოდა.

— დადლილი ვარ, მაქსიმ, პურიც მოსვლისთანავე ვჭამე. — და უეცრად იკითხა: — ძალღს რა დავარქვათ?

— რომელიც შენ გინდა და მოგწონს. თუ გინდა ამასაც ბოთვერა დაეუძახოთ.

— არა, ბოთვერა არ მინდა. ამის დაძახება ყოველთვის იმ საბრალოს გამახსენებს. მურა დავარქვათ, მთელი სახე შავი აქვს და ზედგამოჭრილი იქნება.

— კარგი, რუსუდან, მურა იყოს.

...გვიან ღამით მაქსიმმა ძია ნიკოსთან ციკანი წაიყვანა. როდესაც დაბრუნდა, რუსუდანი დაწოლილი დახვდა.

მეცხვარე უჩუმრად გავიდა მეორე ოთახში, კარიც უჩუმრად გაიხურა და მალე ქათქათა ლოგინში ნებიერად გაიქიმა.

კიდევ კარგა ხანს არ დასძინებია რუსუდანს. ფიქრი ფიქრზე ისე ისხმებოდა, როგორც ვენახში გაბმულ მავთულზე ვაზის ძირები.

ძილის წინ კარს მიძხედა, — რაზა ჩაუქეტავე დარჩენოდა მაქსიმს.

ქალს არც კი უცდია ადგომა, — მეორე ოთახიდან მამაკაცის ძალუმი ხვრინვა მოისმოდა.

2

დიდად გულნაწყენი ჩანდა საბჭოს თავმჯდომარე. ათასგვარ წყევლას უგზავნიდა ხარახს ასეთი ჩიქმების შეკერვი-

სათვის. ჯერ იყო და, ვიწრო ყელი ძლივს ამოიცივა წვრილ კანჭებზე, ხალაკი ტერფებსა და თითებს ამტრეყეს მთელი დღის ნასიარულევს. შეკვეთით მაინც არ შეიკვირებინდა არა, ხვალვე უნდა აუტანოს და უფრო დიდ კალაპოტში ჩაასმევინოს იმ კუზიანს, თორემ ამ სიციხეში გავიწილა ვიწრო ჩიქმა?

ტყუილად იარა და ეძებდა დღეს სატვირთო მანქანა. ძია ნიკო უარი უთხრა და ვერც სხვაგან იშოვა. სახლი კი მოსათავებელი აქვს. ხე-მასალა, მართალია საკმარისია, მაგრამ ქვა დააკლდა ცოტა. კიდევ კარგი, რომ მოიფიქრა და ვაზი აღრევე ჩაყარა სახლის წინ, ვენახი იქვე ექნება... მაგრამ სახლი აუცილებლად უნდა მოათავოს ამ ზაფხულს, თორემ მერე დაიწყება შემოდგომის წვიმები და, თუ დროზე არ დაძხურა, იმასაც გააფუჭებს, რაც გაკეთებულია.

საჭიროა საკუთარი, ქირა როდემდის იხადოს?

საბჭოს თავმჯდომარე შედგა, წარბი შეიკრა, შარაზე უგემურად გააფურთხა და მერე დახეთქილი ტუჩები ხმელი ხელის გულით მოიწმინდა.

— სოფლის ხაზინი მე ვარ თუ ის არი? დამჭირდება — ქვა უნდა მომიტანოს და დამჭირდება — შეშა.

მაგრამ საბჭოს ეზოში ჯერ კიდევ არ შეედგა ფეხი, რომ პანტის ქვეშ წამოწოლილი ბიჭების ხორხოცმა სხვა მხრისკენ შეაბრუნა ფრიად საგულისხმო ფიქრები.

აივნის შუა დაკიდებული ელნათურა ღია-ყვითელი ფერით ჩახჩახებდა საღამოს ბინდბუნდში და მკრთალად ანათებდა მწვანე მოლზე წამომჯდარ-წამოწოლილთ.

— თქვენ რამდენჯერ უნდა ვითხრათ კაცმა, აქ მოსვლა დაიშალეთო?

ბიჭები გაიტრუნენ.

— არა, რომ აიღებთ თავსა და დავოგდებით ხოლმე, სხვაგან ადგილი არ არი?

— იქნება ჩვენ აქ გვიჩვენია, ძია ნასყიდ? — გაიღო ხმა ჩასაბერმა.

თავმჯდომარემ ჩახრილი მუხლები გაასწორა და ზიხლით დაიღრია.

— აი, შე წელსაწყვეტილო, შენა, ერთხელ ორ ნაბიჯზე ორი ვედრო კირი ვერ მოგატიანე და კიდევ ხმას იღებ? თუ ჩემს სახლთან მისვლა არ გეპოინება, არც ჩემს საბჭოში უნდა ადგაიდვ ფეხსა.

— აბა, აბა, ძია ნასყიდ, დაუკრეფავში ნუ გადადიხარ და ლანძღვასაც თავი გაანებე. ბულბულმა თითონ იცის, როდის უნდა იგალობოს, შენი საბჭო კი ნათარეულშია და იქ მოიკითხე.

მახარემ ნაბდის ქული მოიხადა, დაკეცა, ზედ დაჭდა და ფეხები თათრულად შოირთხა.

— როცა შენს ეზოში მოვიდეთ, შენ მაშინ პურმარილზე უარი გვითხარ.

ახლა კი გაჯავრდა თავმჯდომარე, ზედაც „ეპურაქვს“ სასაღილოში ნაკრავმა მწვანემ შეახსენა თავი და საკადრი და არა საკადრი ბიჭებს ზიარების სეტყვასავით წააყარა.

ჩასაბერმა დინჯად ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი, კუბოკრული პერანგის გაღვდილი საყელო გულგრილად გაიწმინდა და ინანა:

— რამდენჯერ დავაპირე ამ კაცს სადორბლეს შევეუკრავ-მეთქი და ახში არ დამავიწყდა?

— წადი, ძია ნასყიდ, — ურჩია ნოდარმა. — რომ ატროკებულხარ ამ ხნის კაცი, შენი არშოიობის თავი ვისა აქვს?

— ქურაზე რომ შემოგიწყვიტა ხელები, ფრთხილად იყავი, არ დაგეწვას.

შაშვიანთ გიგლას აივანს თეთრი ლანდი გადმოეყუდა და თავმჯდომარეს მტირალა ხმით შეევედრა.

— არიქა, მიშველე რამე, ნასყიდ, თორემ გამათვევს კაცი, კაცო. აღარც ძილია ჩემთვის და აღარც მოსვენება. ერთი ჰკითხე, რა დავუშავე, ყანა მოვუძოვე, თუ ვენახი გავუძაფე, რა უნდათ, ჩემგან, კაცო.

ნოდარი შებრუნდა აივნისკენ და იკითხა:

— შენ, ძია გიგლავ, კოლომ ხომ არ გიკბინა, რა გაღვიძებს.

— გაღვიძებით უნდა გაიღვიძოს, მაგრამ ამნაირ საღამოს ცოცხალ კაცს ვერც ადრე რა აძინებს? ჩვენ არას გიშლით, ძია გიგლავ, და შენც მოგვეშვი.

— მოკეეშვი და კაცის თავზე რვა ბუზი იანგარიშე.

— ჰოი, დაგწყველოთ ღმერთმა და ჩემმა გამჩენმა, აბა, კვი ბალღეა თქვენა ხართ. — და თეთრი ლანდი ისევ გაუჩინარდა.

— მოკავშირე მოვიშორეთ და ეხლა შენ ერთი-ღა დაგვრჩი პირისპირ. წახვალ თუ არა ზაეზე? — ოთარმა წარბები აწყია.

— არა, ზაეზე კი არა, სახლში.

— წადი, სახამ ვინმეს არ წაუყვანიხარ.

— ჰმ, ნათარეულელი კაცი მოდის და მე, ქალისპირელს მიშლის ჩემი საბჭოს ეზოში წამოიწოლას.

— კლუბის ეზოში ვართ და არა საბჭოსი, საბჭოს ეზო ამ მესერს იქით არი.

— ჰო, მართლა, რაც ძველი კლუბი დაინგრა, აქ არ გადმოიტანეს ყველაფერი?

ეზოში ვილაც შემოვიდა, თავმჯდომარეს ფრთხილად წაავლო ხელი და პანტის ქვეშ მყოფთაკენ ზურგი აქნევინა.

— გაანებე თავი, ნასყიდ, ამათთან ლაპარაკი წყლის ნაყვია.

თავმჯდომარე მობრუნდა და ძლივს იცნო მეძროხეობის ფერმის გამგე.

— შენ მე გამიშვი, ელიზბარ, სახრით უნდა ავაქრელო ეს ლაწირაკები.

მაგრამ ეზოში შემოსულმა ძალისძალად გაიყვანა იგი შარაზე.

— სულ ნიკოს ბრალია, სულ იმისი,

— ბობოქრობდა ნასყიდა, — იმან გაატუტუტა და გაუხედნელი მოზერებიერთა ჰყავს მიშველებული. ჯერ დამაყადეთ, მოვა შემოდგომა, სუყველას ჯარში უნდა გიკრათ თავი. იქ დაგამტერევენ მაგ ჩხებს.

უჩანასკნელი სიტყვები თქვა თავ-
მჯდომარემ და თვინიერად გააყვა მოუ-
ლოდნელად გამოჩენილ გულშემატკი-
ვარს.

გაიარეს ბერზევას პატარა ხიდი, გა-
ლიეს შარა და კანტორისაკენ მიმავალ
გზას გაუყვნენ.

— მე ეხლა კანტორაში ავალ, ნიკოს-
თან პატარა საქმე მაქვს, შენ კი შინ წა-
დი.

როგორც კი მოიშორა დაუბატიუბე-
ლი მეგზური, ნასყიდამ კიშკარი შეაღო
და კანტორის ეზოში შევიდა.

ცაცხვის ქვეშ ელნათურა ენთო და მა-
ლალ ფეხებიან დაფაზე გაკრულ კოლმე-
ურნეობის წვევრთა სიებს დღესავით ანა-
თებდა. სიები ბრიჯადულად იყო დანომ-
რილი და, ეტყობოდა, დიდი ხნისაჲ უნ-
და ყოფილიყო, რადგან ფერშეცვლილ
ქაღალდზე მელანი გაცრეცილიყო, ხო-
ლო გეარ-სახელი აქა-იქ გამქრალიყო
კიდეც.

საბჭოს თავმჯდომარემ ირიბად შეაე-
ლო თვალი ტოლით დახურულ ჩარდახ-
ქვეშ გაყვითლებულ ქაღალდს, ტუჩი
ათვალწუნებით აიბზუა და კანტორის
კიბეს აუყვა.

ძია ნიკოს არც გაკვირვებია სტუმრის
მოსვლა. ერთი კი ასწია თავი, სათვალე-
ებს ზემოდან ცერად გახედა და ისევ
გაშლილ გახეთს მიუბრუნდა.

ნასყიდა დინჯად დაეშვა სკამზე, ფეხე-
ბი მალა აიკეცა და შვებით ამოისუნ-
თქა.

- გიჭერს?
- გამათავა ამ სატილომ.
- ამ ზაფხულში ვის ეპრანქები, ჩექ-
შებიან სიკვდილს ფეხშიშველი სიცოცხ-
ლე არ გირჩენია?

— დღეს მთელი დღე ამ ყოფაში ვარ.
ვიარე და ვერაად ვიშოვე მანქანა.

— ეხლა მაგისტრის მომადექი?

საბჭოს თავმჯდომარემ კეზი მოიხადა,
მაგიდაზე დადო და შუბლზე ოფლით
შიწებებული თხელი თმა ფრთხილად
გაისწორა.

— მეტი გზა არცა მაქვს, ისევ შენ
უნდა მომცე.

ნიკომ გახეთი გვერდზე გადგო და
წერილი თვალების ქუტივით გახედა მო-
სულს.

— ყრუებისთვის განა ორჯერ რეკავენ.
დილას ხომ გითხარ, არა სცალიან-მეთქი.
ძნა ამოსატანია, ხორბალი ამოსატა-
ნია, ხალხი ასაყვან-ჩასაყვანია მინდუ-
რებში, კომბანისა და ტრაქტორებზე
საწვავი და ჭერია ჩასატანი, თელავში
ჩასაბარებლად ტომრებია ასატანი...

— ხომ მორჩით ჩაბარებას, გადააქარ-
ბეთ კიდეც, რალა გაქვს წასალენი?

— შენ რა, მანქანისთვის მოხვედრ,
თუ დაკითხვაზე? ვერ გაიგე? თოკს იმი-
ტომ არ გაძლევ, რომ ზედ ხორბალი
უნდა გაეფინო.

ნასყიდამ კროლა თვალეზი აახამხამა
და ყური ცქვიტა.

— რა თოკი, რის თოკი? — ოდნავ
დაფიქრდა, ხელი შუბლზე მძიმედ გა-
დაისვა და სადღაც რალაცას მიხვდა.

— სამაგიეროს მიხდი?

— არა, ქუთას გასწავლი.

— ძალიან დაიგვიანე, ნიკო. შენ მე
გაღმა ნუ მედავები და ღობე-ყორგასაც
ნუ ეღები. პირდაპირ მითხარი, რატომ
არ მაძლევ? გახსოვს, ორი ათასი მეტ-
რი ნახევარ დღემიანი მილი რომ მოგეცე
სათავედან ეზოში წყლის გასაყვანად?

ნიკომ სათვალე დაკეცა და ჭიბეში ჩა-
იღო.

— განა შენ დაგავიწყდა, საკოლმე-
ურნეო კლუბისთვის დახერხილი ხე-
ტუე ქვა-ქვიშასთან ერთად შენს საკარმი-
დამო ნაკვეთში ჩემი მანქანითვე რომ
მიგიზიდე?

საბჭოს თავმჯდომარემ თვალეზი მაგ-
რად დახუტა, მერე წარბების ერთბაში
აქნევით ისევ გამოაბუტუტა და მოსაუბ-
რეს მიაჩერდა.

— კლუბზე გამახსენდა. რათ დაანგ-
რიე ძველი, თუ ახალს არ ააშენებდი?
ეხლა მთელი ბიჭბუტობა მე მომდგომია
კარზე და საბჭოს ეზოში ნებიერობს.
კლუბი აქ არიო.

კოლექტივის თავმჯდომარემ ტყესავით აჯაგრული წარბები შეიკრა და ცივად დამარცვლა.

— იმიტომ დავანგრეე, რომ კრამიტი სტირდებოდა შენს სახლს ჭალისპირში. ნასყიდა მოიღუშა.

— მუხის კოკებიც მე მჭირდებოდა?

— არც მე დამჭირებია.

— სულ ერთია, შენმა ცოლისძმამ ხომ წაიღო.

— რა ყელში გაგეჩხირა ჩემი ცოლისძმა?

— ნურც შენ გეჩხირება ჩემი სახლი თვალეზში.

— ნასყიდი! — ძია ნიკო წინ გადმოიხარა, სქელ მინაზე მსხვილი მკლავები მძიმედ დააწყო და თვალები უფრო მეტად დაწკურა. — ვახსოვს, ქიაყელა გველს რომ დაეზმანა და გაწყდა? რას მაყვედრი და ან რას მაშინებ? ხომ იცი, ვეშაბი იგეთს არაფერს ჩაპყლაპავს, რომ ვერ მოინელოს? ქვეყანამ იცის, რომ შენ ნაფარეულშიაცა გაქვს სახლი და კარმიდამო. ჭალისპირი კურორტად ხომ არ გინდა, აქაც რომ იშენებ? ერთი ვახრეკილი ბიჭის ამარას — ორი სახლი და დაბალ-დათიას ერთი რიგიანიც არა? სამართალი აღარ არი ამ ქვეყანაზე? როგორ გგონია, იმ ბიჭ-ბუჭებსა და ზოგიერთ უქნარებს გარდა მე მუშახელი არა მყავს? ნასყიდი! ნათქვამია, იგეთი თვალეზი დაბრმავდეს, რომელმაც ვერ დაინახოსო. ამ ვახტურებულ მოსავლის აღების დროს კოლმეურნეობიდან მუშახელი რომ მიგყავს და სახლის მშენებლობაზე თავს აკლევინებ, რას აძლევ? — არაფერს! მხოლოდ მათზე ფინანგენტი-საგან გაწერილ სასოფლო-სამეურნეო და თვითდაბეგვრის არარსებულ გადასახადებს უმცირებ თვითნებურად. კანონით რაც ეკუთვნით, იმ გადასახადს კი მაინც იხდიან... ამაზე მე თვალეზს ვხუჭავ. კიდევ გინდა? გეტყვი: შარშან იოკიმიანთ ბებერს დეკუელი წაართვი გიროდ, სამ დღეს გყავდა გომურში დამწყვდეული და მერე „შიშშილით მოკვდა“. ვახსოვს, რომ ამაზედაც თვალეზი

დავხუშე? კიდევ გინდა? გეტყვი: „მოსკვიჩი“ როგორ იყიდე... კუნელს ნაყოფი ტკბილი აქვს, მაგრამ ჩხვლუტა მწარგიცის.

ნასყიდას ჩექმაც დაიწყდა და ფხის ტკივილიც.

ძია ნიკო წამოდგა, თავჩაქინდრულმა და უკან ხელეზდაწყობილმა მაგიდის გასწვრივ რამდენიმეჯერ მძიმედ გაიარა, მერე შუბლი შეინაოჭა და სოფლის მეთაურს ქვეშევეშ გააჩხედა.

— მე კიდევ ერთ რჩევას მოგცემდი: გადაეცი შენს ბიჭს, რომ თამრიკოს დაეხსნას, თორემ იმ თავის ლექსებიანად შუაზე გაგხვევ.

საბჭოს თავმჯდომარე აიბრიზა, წარბი შეიკრა და ქუდის სარჩულით ოფლიანი შუბლი შეიმშრალა.

— შენ ენუქანთ რევაზა მოამორე, თორემ ჩემი ბიჭი დიდი ხანია მოშორებულა.

ფეხზე წამომდგარი შედგა, უცებ შემობრუნდა და გახედა.

— რაო, რაო? რა თქვი, რაო?

— არჩილს დაუნახავს თქვენი ბაღჩიდან გადმომხტარი ბრიგადირი.

— მიქჩარავ, დობრლიანო!

ნასყიდამ ქუხილზე თავი აიღო და როდესაც მოსაუბრეს შეხედა, შეკრთა. კოლმეურნეობის თავმჯდომარის გადმოფართხულ ყვითელ წარბებს იქით ქრუტა თვალეზი ისე კვსავდნენ, გეგონებოდათ ნამჭაში ორი ნაღვერდალი ჩაუგლიათო.

— მართალს გეუბნები, წაბლის ქვეშ ხედებიან ღამე ერთმანეთს.

ძია ნიკო კარგა ხანს იდგა გაშეშებული, მერე თითქოს ერთბაშად მოარღვაო, შეტოკდა ხელნაკრავით, მძიმე-მძიმედ ჩაიკეცა და ბოლოს უცებ დახვავდა სკამზე.

ახლა საბჭოს თავმჯდომარის ჯერი დადგა. მოხეიშე თვალით ჩუქად გადაახედა მოპირდაპირეს, თითონაც წამოდგომა და ბოლოთს ცემა დააპირა, მაგრამ ახალმა ჩექმებმა თავი შეახსენეს და ისიც სკამს მიეკრა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ნიკომ გა-
ციებული და ჩამქრალი თვალები მოს-
წყვიტა შუა მაგიდაზე დადგმული გრა-
ფინის გამობერილ მუცელს და დაღლი-
ლი ხმით ჩაილაპარაკა:

— თუ ეს ტყუილი გამოდგა, საქმე
ჩემთან გექნება.

3

ზაქრომ ძირს ჩამოვარდნილ ნაყოფს
დახედა და მერე ხეს შეავლო თვალი.
ზედ მისი თავის ზემოთ შაშვი დამჯდა-
რიყო წვრილ ტოტზე და მწიფე თუთას
შეექცეოდა. შაშვს კისრის გასწვრივ
რუხ-მომწყვერისფრო ბუმბულსა და ნის-
კარტის სიყვითლეს ეტყობოდა, რომ
ახალდაფრენილი ბღარტი იყო. იგი გა-
ჭირვებით ყლაპავდა მწიფე თუთას და
თან დროდადრო, თავ-გვერდზე მიღრე-
ცილი, მარცხენა თვალის შავად მოკრი-
აღე მძივს ჩამოანათებდა ძირს.

ზაქროს ის დრო გაახსენდა, როცა აქ
უსაფრდებოდა ბედურებსა და შაშვებს
ხალის მწიფობისას. ჰოი, როგორი გუ-
ლისფანქვალით ექვერდა შერდულის
ტარს ხელსა და როგორი მოუთმენლო-
ბით ქიშკვდა მოქნილსა და მარჯვე რე-
ზინებს, როცა რომელიმე ტოტზე ჩიტი
დაჯდებოდა.

ახლა? ახლა ის დიდსულოვნად
და შემწყვალბლურად უცქერის ამ
გულუბრყვილო ბღარტს, რომ ჩიტებზე
ყოველ მონადირე ბაღს ხელიდან წაგ-
ლეჭდა ამ საშიშ „იარაღს“. საოცარია,
სად გაჭრა ის უზრუნველობა და ხალი-
სი, რომელიც ესოდენ ავსებდა სულ
ცოტა ხნის წინ მის სულსა და სხეულს?
ნუთუ ასე ერთბაშად ხდება გადასვლა
სიკბუკიდან ვაკეაცობაში?

ზაქრომ შეუქმნევლად გადახედა გვე-
რდზე მჭდომს და მერე წიფლის წვრილ
მორს ხელი სიფრთხილით გადაუსვა. მორ-
ი გაუთღელი იყო და მზისაგან ქერქი
ისე დახეთქოდა, როგორც გვალვიან
ზაფხულს ამომშრალი გუბის ლამიან
ფსკერს. ქერქის მოზრდილი ნაქერი
შგატეხა ხეს და მერე თავჩაღუნულმა

დაუწყო დაწვრილება და ნამუსხვევის
სროლა წკიპურტით.

ილო-პაპა გვერდზე მიბრუნებულყოფილ
და მორზე ნელა აკაეუნებდა ამობრუნე-
ბული ჩიბუხის თავს. ნაცარი გაჭირვე-
ბით ტოვებდა თავისი გამოშწვარი თიხის
ბუდეს და პაწაწკინტელა გორაკად
გროვდებოდა.

იმ ერთი გულთამხილავე საღამოს
შემდეგ ისე მიეჩვია ბიჭი მოხუცს, რომ
ახლა მოთხოვნილებად გადაექცა მასთან
სიარული. იცოდა, ყველა გზა ბოლოს
მანც რომში უნდა მისულიყო და ჰკვი-
ანი ილო-პაპა ამითი ჰკურნავდა თავგზა
დაქარგული მოჭიდავის იარას. სამაგიე-
როდ უხვად ისმებოდა ეშმაკი მეჭურჭ-
ლის გამოშრალ ხახაში საფერავი და
რქაწითელი, მწვანე და ზოგჯერ ქინძ-
მარაულიც კი, რომელსაც კუბრაქა, ვინ
იცის — საიდან და რა ზერხით შოუ-
ლობდა თავისი სასადილოსათვის. ამ ბო-
ლო დროს კი ბიჭს ფულაც შემოეღია
და ახლა მხოლოდ ძმაცაეცებთანდა მიჰ-
ყავდა თავისი სულის შესაიდუმლე. იქ
სუფრის დასაწყისში ღვინოს მიძალბუ-
ლი, ხოლო სუფრის დასასრულს ღვინო
მოძალბებული შეყვარებული საღმე გვე-
რდზე გაიყვანდა უზომო სმით გამოყე-
ყეჩებულ მოხუცს და ხელის გულზე
უდებდა თავის დამწვარ-დაფუფქულ
გულსა და ზედ აღუღებულ გრძნობებს
ასხამდა.

მაგრამ სოფელს უკვე დაშრეტოდა
ღვინის ძუძუ და თავის უძლებ შვი-
ლებს სხვა დროინდელუბრ ველარ აწო-
ვებდა. აღამიანის მარჯვენის უსაშინე-
ლესმა მტერმა—სეტყვამ, რომელიც კა-
ხეთის ასე ხშირი სტუმარია, შარშანდე-
ლი მოსავლის ორი მესამედ გაანადგუ-
რა და ჭალისპირს ადრე დაუდგა ღვინის
„ასკილის ყვავილობა“. გაძვირდა სას-
მელი და სასადილოში საუკეთესო ხა-
რისხად გადიოდა რქაწითლით შეფერი-
ლი სითხე. ნამდვილი ღვინის მუშტრებს
ენანებოდათ წყალში ფულის ჩაყრა და
სოფელ-სოფელ დაწაწვალბდნენ თა-
ვანკარაში ენის დასასველებლად. ჰა-

ლისპირში მარტოხელა საბედას-ლა აგულბდნენ, რომელიც ხუთმთვიან ქვევრს ავსებდა ყოველ წელს და ახალ მაქრობამდე უნახავდა თავის უგზო-უყვლოდ ცხრამთას იქით გადაკარგულ ერთადერთ შვილს. ქვეყანა რომ დაქცეულიყო და ყოველ თანასოფელს მკურნავ წამლად გამოსდგომოდა მისი თითო წვეთი, საბედა სრულიად გულგრილი დარჩებოდა და საჩქველს არ გადააძრობდა ზედაშეს, რომელიც მხოლოდ მისი ბიჭის გამოჩენისას უნდა დახარჯულიყო.

ამიტომაც არ გაჰკვირვებია ილუას, როცა ვანკამ თან ცარიელი ხელნაწა მოიტანა.

მღვდელმა ანათორა წამოიკალთავა, თავპირჩამომტირალი მორზე ჩამოჯდა და ხელში ნაჭერი ტურტელი მიწაზე ბოლმინანდ გააგორა.

უკან მოყოლილი მონადირე დამხედურთ მიესალმა, ორი ცალი ქედნითა და მწყერებით გავსებული თასმებიათი ჩანთა მოიხსნა, მწვანეზე დაავლო, ისიც მორზე ჩამოჯდა და თოფი ლაქებშუა ჩაიყუდა.

მეტურტლეს თვალის კილოებში შუქი ჩაუდგა. ბალნიანი ხელი გაიწოდა, ჩანთა თავისთან მიითრია, სამიოდე მწყერს ბუმბული გადაუქექა, სული შეუბერა და ხარბად მიაჩერდა.

— ცარიელა ქონია, ხორბლით არიან დასუტებულები. ეხლა ამის ქამას აღარაფერი სჯობია ამ ქვეყანაზე. აღარაფერი, საფერავის მადლმა, მაგრამ უღვიწოდ კი ძალიან ცოდო იქნება. რამდენჯერ დავაპირე ამ დალოცვილის გაშენება, მაგრამ მაინც ვერც ერთხელ ვერ მოვიცალე არც შაქრია გამომადგა მშრომელი. შეჭყრის მთელი სოფლის ბიჭბუჭებს, გაიგდებენ ბურთს წინა და გიყეზივით დასდევენ ხროვა-ხროვად იმ ჩვენს ნაფეტვარში. ვერ იქნა და ვერ გავაშენე.

მეტურტლე ახლა ქედნებს წაიტანა და ჩანთის პატრონს ახედა.

— იქნება შენ გეგულეობოდეს სადმე, კაკო.

მონადირემ უარის ნიშნად ტურტები უშნოდ დაბრიცა და პირში სივარტეტი მოიგდო.

ზაქრო თვალმოუშორებლად დააცქროდა თამის ყულუფებში კისერ გაყოფილ მწყერებს.

იქვე გაწოლილი მთელი დღის ნარბენი და მოთენთილი ძაღლი ზანტად იგერიებდა წინა თათებით, ვინ იცის, მთელი დღის გადაკიდებულ ბუზანკას, რომელიც ცდილობდა მაინცა და მაინც ცხვირში შესძრომოდა. დროდადრო წაიფრუტუნებდა, ძუნწი წაღრენით აუკაპუნებდა დუნედ ჩამოყრილ ლამებში შემალულ კბილებს და მერე დაეღმებული თვალებით უდარაჯდებოდა ლორწოიანი ნესტოებისკენ მიძალბებულ მწერს.

არავინ იცოდა და არც ვინმე დაინტერესებულა, სახელდობრ, პირველად როდის გამოჩნდა მონადირე ჭალისპირში. კარგა ხანი კია, რაც ესმოდათ ქება მისი ძაღლისა, თოფისა და მარჯვე თვალისა. ერთი უთვისტომო ვინმე ჩანდა და გარდა სანადირო ძაღლისა, ალბათ, არც ვინმე გააჩნდა ახლობელი. ორი-სამი წელია, რაც შემოდგომის მიწურულს, სოფლის ბოლოს ძველი ქვეთიკრის ნანგრევი გაშშინდა, თავზე წალამი და ჩალა გადაახურა, სიცივისაგან აკანკალებული ძაღლი შიგ შეუშვა და წვივის სიმსხო ვალოპრილი ძელებიდან ერთი წურათის სიმალღე სკამ-ლოგინი გამართა. მთელი თავისი ავლადიდება: თოფი, ხანჯალი, სავაზნე, ჩანთა, ტყვია-წამალი და სხვა დანარჩენი სანადირო მოწყობილობა, თავით, კედელზე დაიკიდა, მინდვრიდან ერთი ბულული ნაძვა მოიტანა, ძაღლი ზედ თბილად დაიწვინა, ხოლო თვითონ ქვეშ სქელი ღიაწაბლისფერ ბალნიანი დათვის ტყავები დაიგო, ზემოდან გახუნებული ფრონტული ფარჯა წაიხურა და სკამ-ლოგინზე არხინად გაიმოტა.

წვიმიანი დღე მისი ცხოვრების კალენდარში უბედურ დღედ ითვლებოდა. მაშინ ან თავის ქოხიდან არ გამოდო-

ოდა, ანდა კუბრაქსთან იჭდა სასადილოში, სახე მოჭუფრული, არასოდეს არ დაგიდევდათ ნადირობის წესებს და არც მის დამცველთ ებუებოდა.

გაზაფხულზე, როცა ალაზნის პირები და მისი მოსაზღვრე მინდვრები გადამფრენ ფრინველთა გუნდებით გაივსებოდა, სავათსა და საჩსარაყზე ნადირობდა, წეროებსა და ბატ-იხვებს ებარებოდა ფშის ლელში და ჭეჯილებში. წყევულს მგლის მუხლი ება და ზოგჯერ ნადირობნადირობით პანკისს აღიოდა ომალომდე.

ზაფხულში მწყერსა, გნოლსა და ქედანზე დადიოდა (თუმცა არც ხობობს აკლებდა ხელს, თუ სადმე გადაეყრებოდა). შემოდგომასე კურდღელს დასდევდა, ხოლო ზამთარი მისი მთავარი სანადირო სეზონი იყო.

შირაქში კაკებზე მიდიოდა. ლაგოდებში, საინგილოს ტყეებსა და ელდარის ლელიანში გარეულ ღორებს უსაფრდებოდა.

შირვანში ჭეირნის ჯოგებს მიერეკებოდა საზამთრო სამოყრებზე ჩასულ რომელიმე კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვილინით, ხოლო კახეთის კავკასიონზე დათვებსა და შვლებს უწყვეტდა ქეჩილს.

ზაქრომ ნანადირევს თვალი მოსწყვიტა, მღვდელს შეხედა უნებურად და ღიმილი ვერ შეიკავა, ისეთი ნაღვლიანი თვალით უცქერდა ანაფორიანი ხეჯ ბაფის გამომშრალ პირს.

— რაო, ვანკავ, რატო არ მოგყიდითო? — ილუამ გულისყურიანად გამოწმინდა ყალიონი და ხელახლა შეუდგა წიკოთი გაჭენას.

— აბა, რა ვიცო, ბიჭი დამიწყევლეო. მთელი ჭალისპირი რომ მარნად იქცეს და ის მარანი ჩემი იყოს, ერთ ყლუშს არ ჩავაცეცხლებდიო. შენმა წყევლამ უწია, შე სულძაღლოო.

— იმ გადაყრუებულმა საიდანდაიცის, რომ სულძაღლი ხარ?

— აბა, რა ვიცო, — მიამიტად გაფარჩხა ხელები განზე ვანკამ.

— ექვსი — შეიდი წელი ელოდებო ბიჭსა. და რომ ალარსადა ჩანს? — ცეცხლი მიტმარჯვა მონადირემ მკურტკლუნ, ილო-პაპამ ჩიბუსს მოუკრდა, ჩიბუნნიმეჯერ გემრიელი ნაფაზი დაარტყა და მერე ერთი უგემურად გააწიტა გვერდზე.

— მამ! თუ იმ ქურდსა და ყაზას ღვინო არ დაახვედრა, იგრე არ ეკაღრება ჩამოსვლა. პარამი იყოს ეგეთ კაცზე ღვინოცა და პურმარილიც. ჩემი დევე ული მაგისი მოპარულია საღანძილედან, ღვინო კი არა, უნდა გაიყვანო და სახალხოდ ჩააჭვავო. დაშინდებიან და მემრე სხვა აღარ იზამს. ეპ, რამდენი კარგი რამ იყო წინათ: არც ვუჩივლებდით, არც ვულოლიავებდით, სოფლეურად გამოვიდოდით, იქვე, რიყეში გავასამართლებდით და განაჩენიც მზად იყო. არავის ებრალებოდა სოფლის მუშუკი და მარცხენალი.

და ვანკას გარდა აზრად არავის მოსვლია: ყაღდა თუ არა ოდესმე დეკეული მიტურტლუს.

— ჩემი გათლილი მუხის კოპები მაგან არ წაიღო ტყიდან? სასამართლოზეც გამოტყდა. მას შემდეგ დაეწყვავლი. აკი დღემდის ვეღარც იბოგინა ჭალისპირში. წყევლიმც იყოს აწ და მარადის!

ილო-პაპამ უცმურად დაღმანჯა სახე.

— ზოგჯერ მთლად დედაკაცად ნუ გადაიქცევი ხოლმე, ვანკავ. ძმაკაცებში ხარ, განა შენი თეთრი გიორგის მონებში. — მერე რამდენიმეჯერ მაღიანად მოსუტა ვრთკული ყალიონი, ტარი პირიდან გამოიღო, იდაყვები გაჩაჩხული მუხლის თავებზე ჩამოიღო, ფეხებშუა დინჯად ჩააწიტა და ჩაფიქრდა.

უცებ მოკლედ გაიტაცუნა სახსლეტმა და თოფმა დაიქუბა.

შეშინებული ვანკა კინალამ ერთ მტკაველზე შეხტა.

მიწაზე რაღაცამ მოადინა ტყაპანი.

ძალი წამოხტა, თვალბად იქცა, ერთი შეპყეფა, აქეთიქით მიაწყდა და მერე მოშორებით უსულოდ დაგდებულ შაშვი მოუტანა პატრონს.

ზაქროს დაენანა ბლარტი.

— რას გიშლიდა, შე წყუელო, ვაზრ-
დილიყო მაინც.

მონადირეს ყურიც არ შეუბერტყია,
დინჯად გამოიღო ლულიდან დაცლილი
ვაზნა და დინჯადვე ჩაიღო სავაზნეში,
მერე თოფი დაკეტა და მუხლებზე ჭი-
გოსავით გაიღო გარდი-გარდმო.

ილუამ უცებ ყალიონი ტუჩებს მოა-
შორა, განზე გაღერილ ხელში გაუშეშდა
წუთით და ვაშტერდა. მერე წამოდგა,
მორზე მსხლამით ბებერი ყოჩივით გადა-
ხედა და ჩიბუხის ტარი დირიჟორივით
აუქნია.

— წავიდეთ. ამ ხელჩაფის მადლი გა-
მიწყრეს, თუ საბედსა ღვინო უფასოდ
იმის მარანშივე არ დაგაღვინოთ.

ბერხევა გაიარეს და ორღობეში შე-
ვადნენ. მხოლოდ საბედსა კარზე შედგ-
ნენ და ანაფორიანი გააფრთხილეს.

— შენ მხოლოდ ნახევარ საათში მოგ-
ვაკითხე, მღვდელო, თან ბურები მოაყო-
ლე, ამას არ ექნება, არ დაგავიწყდეს.
აბა, ეხლა კი აითესე, რომ ბაიყუშმა დე-
დაკაცმა თვალი არსად მოგკრას.

ვანკა „აითესა“.

საბედა თავისი სახლის გვერდზე ცაც-
ხვის ჩრდილში დახვდა მოსულებს. საზ-
რალოდ დედაკაცს რამდენიმე ძნა მიეტა-
ნა, ქვეშ ძველი ფარდაგი გაეფინა და
თავთავს ბეგვავდა.

— საღამო მშვიდობისა, საბედ.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშა-
ლოს, ილო. — დედაკაცმა ხის მორჩი-
ლი ურო გვერდზე გადადო და კითხვის
თვალი მოსულებს მიაპყრო.

— რასა სწვალობ, შე საწყალო შენა,
მაგრე როდის უნდა გამოფუშენა მაგდენი
ძნა. ეტყოდი, ნიკოსა, ცხენს მოგკემადა,
მოგეხმარებოდი და ერთ კალოზე მეტი
ხომ არ გამოვა, შუადღემდის გამოგი-
ლეწამდი.

დედაკაცი გაოცდა. დანაოქვებული
ტუჩის კუთხეები შეუთრთოლდა და
ჩაცვენილი თვალეზი მოუწყლიანდა.
მას შემდეგ, რაც მარჩენალი შვილი და-
ეკარგა, უსასყიდლო დახმარებას იშვია-

თად სთავაზობდნენ. თავშლის კიდუები
ყვრიმალებს იქით შეიპუქნა, კალარა
მოხშირებული კავეები გამოაჩინა და
აკანკალებული ხელებით გაბეგვილი ხო-
რბლის შეგროვებას შეუდგა.

ოდესღაც მისი შვილი და ილუა, რო-
გორც ეს ერთი ხელობის ხალხს სჩე-
ვია, მეგობრობდნენ. თავის ჭურჭელს
უმეტესად სოლიკოს ჭურახზე სწვავდა
და გააყიდადაც ერთად მიჰქონდათ.
მაგრამ მას შემდეგ, რაც საბედსა პირმ-
შოს კოკა მაინც წყლის გზაზე გაუტყდა,
ბებერი მეჭურჭლე ამ ეზოს აღარ გაპ-
კარებია. ახლა კი როგორც ეტყობა, გა-
ახსენდა ნამეგობრალ-ნამეგვირდალი და
ამ ბნელ სოროში გამოკეტულ დედაბერს
მოაკითხა.

საბედა წამოდგა და მოსულნი დერე-
ფანში მიიწვია.

მეჭურჭლე მონადირეს გადასწვდა,
კისრიდან სანადირო ჩანთა გადააძრო და
აფუსფუსებულ მასპინძელს მიაწოდა.

— აბა, შე ბეჩაო, შენა, ვინ იცის, რამ-
დენი ხანია, რაც ხორცზე კბილი არ და-
გიდგამს. აბა, გამომართვი, გამომართვი
და კარგად შეიწვი. სასირცხვილო არა-
ფერი არ არი, ჩვენ მეგრეც ვიშოვით.
დაიჭი.

გაოგნებულმა ბებერმა ძლივს გადას-
წყვიტა გამოართმევა, მერე იქვე ბოძზე
დარკმულ ლურსმანზე ჩამოკაიდა და
ოთახიდან სკამების გამოტანას შეუდგა.

ილუა არ დამჯდარა. დერეფანს ბო-
ლოს გავიდა, სახლქვეშ დატანებულ,
აქეთ-იქიდან ქვებით ამოშენებულ მარ-
ნის ჩასასვლელს მიუახლოვდა და შედ-
გა.

— გუშინდელივით მახსოვს, როცა ამ
უბედურის ქმარი, ცხონებული ტიტია
სახლს აშენებდა. ამ მარნის თხრაზე მე-
ცა ვშველოდი. ჭერ მარანი იყო და მე-
მრე მე და სოლიკომ ჭურჭლის საჭრელი
ქარხნაიც გაემართეთ შიგა. ჩარხი ჩემ-
გან იყიდა და ხელობაც ჩემგანვე ის-
წავლა. ოქროს მარჯვენა ჰქონდა იმ მა-
მაგანთლებულიშვილს. რასაც გადაგი-
დებოდა, ყველაფერი გამოსდიოდა ხე-
ლიდან.

ილო-პაპა თითო წინადადებაზე მარან-ში ჩასასვლელი კიბის თითო საფეხურს ჩადიოდა და თან ზევით დარჩენილებს ანიშნებდა: უკან მომყევითო.

ბოლოს მეჭურჭლემ კიბე ჩაათავა, დაკეტილ კარს მიადგა და რაზა ამოავლო.

— ეს კარებიც თავისი ხელით შეაბა მაშინ სოლიკომ. ეგრე არ არი, საბედ?

— არა, ილო, ეგ საწყალი ჩემი კაცის ნახელავია.

— აბა, კიდევ არ მიკვირდა, ეგრე ლამაზად რა ხელმა ჩასო ჩარჩოში-მეთქი!

ილუამ კარი რამდენიმეჯერ დაკეტა და გააღო.

— ეჰ, ეგრეა უკაცო ოჯახი. წინათ ამის ჭრიალს ვინ გაიგონებდა, ანჯამებს სულ ცხვრის ღუმით პოხავდა სოლიკო.

დედაკაცს ცა გაეხსნა. პირველად იყო, რომ სოფლელები ასე დანიტერესდნენ მარტოხელა ქვრივ-ობრითა და მის მარანსაც კი დაძხედეს. მარანს, რომლის დანახვა და შიგ ფუსფუსი შვილზე ათასჯერ მოგონებებს აღუძრავდა. აქამდე სულ წყევლა-კრულვა და გინება ესმოდა, ახლა კი, ამ დასადგომ ყურებს სითბოთი და სიყვარულით საესე სიტყვები ელაშენებოდა.

საბედა მიჰყვა მეჭურჭლეს და თან უკან ფეხგადადგმული ზაჭროც ჩაიწვია.

— მოდი, შვილო, მოდი, შენი ჭირიმე, ჩემს ქოხში შემოდგი ფეხი, შვილო. რა ვქნა, რომ უბედური დედა ვარ, მაინც ხო დედა ვარ, შვილო. მაინც ხო შვილია, შვილო.

მარანს ჭერთან ახლოს, მარჯვენა კედლის თავში ერთადერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა მიწის პირას დატანებული. იტყობოდა, ეს უნდა ყოფილიყო მთავარი წყარო სინათლისა. გატეხილ მინაზე, რომელიც მუხის გაშვებულ ჩარჩოში იჯდა, დიდი ხნიდან აღარავის ეზრუნა. მკვარტლითა და წვიმიან დღეებში ტალახიანი წყლის ნაშხეფებით ისე იყო დაფარული, რომ თუ ღია კარსაც არ მიასველებდი, შიგნით მაინც ვერაფერს შენიშნავდი.

შიგ შესულებმა მალე შეაჩვიეს სიბ-

ნელეს თვალი და თანდათან გააჩრეს მარანის სიგარძე-სივანე და იქ, მყოფ საგანთა გამოსახულებანი, მარცხნივ დაწყებული მოპირდაპირე კედლის ნახევრამდე, გასაშრობად ჭურჭლის დასაწყობი თაროები გასდევდა ორ საათულად, დანარჩენი ნახევარი და მარჯვენა კედელი კი ჭურჭლის საჭრელ მოწყობილობას ეჭირა. კედლებს შიგა და შიგ დატანებული ჰქონდა აგრეთვე თახჩები, რომლებშიაც, ალბათ, ოჯახისათვის საჭირო წვრილმანი ელაგა, როგორც დაბტოვებიანს, ისევე ხელუხლებლად იყო ჩარხი და ლამაზად გაკეთებული მარჯვე ჩამოსაჯდომი. იქვე იდგა წყალში გაქნილ თიხაში ხელების ამოსავლები ზადია, საფხევი და ჭრის დროს ჭურჭლის გაასაუფთავებელი, ეგდო აქეთ-იქიდან ძონძებდახეული სირმა ჩარხიდან ჭურჭლის ძირს მოსაკვეთად. საწერაჩქე წერნაქითა და რბილი ფუნჯით, თიხის სარჩევი დაზგა და იქვე კუთხეში გაურჩეული, დამიწებული თიხის გროვა.

ილუა ჩარხთან მივიდა, ზედ გახეშეშებული თითები გადაუსვა, თავი რამდენიმეჯერ გაიქნია და შეგობრეს გადაულაპარაკა:

— ჰაი, დედასა, რა ჩარხი გააცდინეს! ზედ რომ სოლია დაჯდებოდა და ფეხს გაკარავდა, როგორც ჭრისტეფორეს წისქვილის ბორბალი, ეგრე ბრუნავდა. ჰაი, დედასა! აფსუსი არ არი, ეს ეგრე იდგეს?... ის რო წერნაქს აიღებდა და კოკას დააჭრებდა, იმის დანახვას აღარაფერი სჯობდა. რა დაზელა იცოდა თიხისა! ერთ კენჭს ვერ იპოვიდით წამლად შიგა. ჰაი, დედასა! რა მარჯვენა გააცდინეს!..

დედაკაცის ლაწევებზე უკვე მოესწრო ცრემლებს გადმოედნა და, ყელთან მოხეჩენილი ქვითინი რომ შეეკაებინა, რაც შეეძლო მაგრად კუმავდა დამქნარ ტუჩებს. მერე რალაც მოისაზრა, გავიდა, დერეფნიდან სასმისი ჩამოიტანა და მიწის პირას მდებარე თახჩიდან ხელადა გამოიღო.

— ესლა შემომჩა, ილო, იმოდენა ვენახიდან. საეგებიოდ ვინახავდი. შენზე

უპრინია. დალიეთ და ღმერთმა შეგარგოთ.

ჯერ მეორე ჭიქა არ ჩამოეტარებინათ, რომ თრლობიდან მასპინძელს დაუძახეს. მღვდლისთვის სულს წაედლია და დანიშნულ დროზე ადრე მოსულაო.

და რადგან დარდიანი კაცის გული თანაგრძნობის შემდეგ უფრო რბილდება, მარანში ჩამოუძღვა ვანკას საბედა.

მეჭურჭლემ მღვდელს ანაფორია კალთაში უხერხულად გამოხვეული ოთხიოდე პური გაპოართვა და ღვინის პატრონს გაუწოდა.

— ამა, აილე, შე საწყალო, ვინ იცის, დღეს არც კი გაქვს გამოცხვარი.

ღედაკაცი არ მოელოდა ამას. თვალი გააპარა გამტკიცული, რბილი პურები-საკენ. ერთ ხანს ყოყმანობდა, მაგრამ მერე სიამაყემ სძლია და უარი თქვა აღებაზე.

— დიდი მადლობელი, ილო, დიდი მადლობელი. მე თავმჯდომარე თითონ უნდა გიმასპინძლებოდეთ და უქუღმა კი ხდება. მაინც უკუღმა წამივიდა ყველაფერი ამ ქვეყანაზე. ვაიმე შვილო, რატო დედა არ მოგიყვდება და აქ არა ხარ ეს-ლა!.. ეს რა დამემართა ილო, ეს რა დამემართა. ჩემზე უბედური და გამწარებული დედა კიდევ იქნება ამ ჩემი ცოდვით სასესე ქვეყანაზე?

— ნუ ამბობ, ვერც საბედ. ქვეყანა დიდია, სადმე იქნება და გამოჩნდება. იმათ რაღა უნდა ქნან, ვისაც არასოდეს არა ჰყოლია.

— ეგპ, ჩემო მახლო, ვისაც არა ჰყოლია, ის არც დაქარგავდა და ვისაც არ დაუქარგავს, ის დანაკარგის სიმწარესაც ვერ ვაიგებს. სამი წლისა დამრჩა მამის სიკვდილის შემდეგ და იგრე გავზარდე, ობლობა არ მიგრძნობინებია. რამდენჯერ ყოფილა, მთელ დღეს ლუქმა არ ჩამიდგია პირში, რომ ის მშოერი არ დამრჩენოდა. რამდენჯერ შავი ღამე თეთრად გამითენებია, რომ სხვებსაგვით ლაღ და თავისუფალი ყოფილიყო. ტანთ არა ჰკლებოდა რა და ფეხთა... ეგპ, დამწვარი დედა ვარ და უბედური.

ილუამ ძალით გამოაშლევინა ხელები და ძალითვე ჩააჩარა შიგ მოტანილი პურები.

— რას მერიდები, შე საცოდო, რომ მერიდები. შენი ქმრისთანა ამხანაგი, რაც კაცობას მოვესწარ, ამ ხელადის მადლმა, არა მყოლია და სოლიყო ხო ჩემი გაზრდილია.

საღვინე იცლებოდა და უკანასკნელი ყლუბის დაღვეა მეჭურჭლემ ჯამით მოინდომა.

ღედაკაცმა მოლიბრო ქაშანურის ჯამი გადმოიღო თახჩიდან, რომელსაც ლამაზი სახეები ცისფერი ძარღვებივით დაბლანდოდნენ ზედ. იქვე ნაღვამი სურვილიდან ცივი წყალი გამოავლო და თავისი ჭირის მოზიარეს მიაწოდა.

ბებერმა მეჭურჭლემ აიღო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, მერე ხელში გააქვა და დიდხანს დასცქეროდა ზედ თავის ქნევითა და ნახევრად მოხუტული თვალებით. მერე ერთი მძიმედ ამოიგმინა, ნიკაბი მკერდზე დაიბჯინა და მეხდაცემულივით იქვე, მიწის პატარა კოკოლის წინ ჩაიკეცა.

— მაშ, მე აქ ცოცხალი უნდა დავდიოდე და ამის გამკეთებელი საღდაც ცხრა მთას იქით უნდა იყოს გადაკარგული? ვაიმე, ბიჭო, ვაიმე, ვაიმე! მამას თავისი შვილი იგრე არ ეყვარებოდა. როგორც მე, შენ მიყვარდი. სადა ხარ, ბიჭო, სადა!

ილუას წინ გაწვიღლ აკანკალებულ ხელებში ცარიელი ჯამი ულაზათოდ ეპირა და ქეითინისაგან თავისუფალი და მხრები ერთნაირად უთახთახებდა. დროდადრო გაზინთოლი ხალათის მარჯით მიბლეტლ თვალებს იშმინდა და უშნოდა ღრეჯდა მაჩვზღარბას ეკლებქვეშ ღვინისაგან ჯერ კიდევ სველ ტურჩებს.

— ვაიმე, შვილოთ! — დაიბღავლა ღედაკაციც და ილუაც ააბღავლა.

და ჯერ ტირილი არც კი ჰქონდა მეჭურჭლეს მოთაებელი, რომ საბედამ საიდანღაც თოხი გამოაძრო, ილო-პაპას წინ მტკავლის სიმალღე კოკოლა პირში-მინდად გადაფხვია და ქვევრის თაყზე საჩქველად დადებულ სიპი გამოაჩინა.

გადახდილი ქვევრიდან გულისწამლე-
ლები სურნელი ამოვარდა და მარნის პა-
ერი ძირის-ძირობამდის გაყვინთა.

ისე მომწესხველად ლაპლაპებდა ის
დალოცვილი სითხე, ისე გიმერით
ბზინავდა, რომ მღვდელს ზრდილობა
დაიჩუყდა და შავი ანაფორის განიერი
სახელოები კინაღამ იდაყვებამდე და-
კაბიწებინა.

მონადირემ აჩქარებით მიიყუდა თო-
ფი კედელზე, აჩქარებითვე გამობრუნდა
და ქვევრის პირას ახალ მიწაყრილზე
ისეთი მოწყვეტით ჩაიჩოქა, როგორც
მარჯვე სახუნდარის წინ გარბენილმა
ტახმა.

მეჭურჭლემ ძლივს შეაჩერა ქვედა
ყბის თრთოლა და მერე განზე გაწვდი-
ლი ჯამიანი ხელი თავისთავად შებრუნ-
და და მაცდუნებელი ქვევრის პირში
ჩაიშალა.

მხოლოდ მოჭიდავე იდგა უხერხულად
და კედელზე მხრით მიყრდნობილი ვეე-
ბა ხელის გულით უნდილად იოშავდა
შავ, ხშირ უღვაშებს.

— ის ბიჭი დამილოცეთ, შვილო, ის
ცოცხლათაცა და მკვდრადაც დაკარგუ-
ლი ბიჭი, — ატირდა საბედა.

ატირდნენ დანარჩენნიც. ატირდნენ
და დროდდრო, რათა უზომო დარდით
გახურებული გული გაეგრილებინათ,
რიგრიგობით სკლოდნენ ცივ-ცივ ღვი-
ნიან ჯამს ჯამზე.

დედაკაცმა სუფთა ფიცარი დაუღო
იქვე, ხელში ნაჭერი პურები ზედვე და-
ალგა, ბაღიდან ხახვ-ნიორი მოიტანა
და ისევ ზევით აბრუნდა.

მეშვიდე ჯამზე მღვდელს თვალები
ტყუილ ჩიხირთმასავით აეჭრა. მარჯვე-
ნა კინაღამ ილიამდე დაიმკლავა და ამ-
ღვრელი თვალი ზევით ამაველ კიბეს
ააყოლა.

— მაცდურია დედაკაცი, მაცდური.
ამისმა შვილმა ქვეყანა ამოაგდო და მე
იმის სახლში პურსა ვჭამ.

— დედაკაცი კი არა, ღვინოა მაცდუ-
რი, მამაო, — სავსე ჯამი ჩამოართვა
მონადირემ. — დედაკაცს მადლობის მე-
ტი არა ეთქმის რა.

— ნურც დედაკაცსა ჰკიდებთ ცოდ-
ვასა და ნურც ღვინოს. ღმერთია მაცდუ-
რი. ხანდახან იგეთ ცოდვას წაგვტონებს,
საფერავის მადლმა, მამარქ...
ცოცხლეს გყოფნის სანანებლად, —
ქვევრის პირზე ჩამოცვენილ მიწას
სწმენდდა გულმოდგინედ ილუა, —
ადამიანი ღმერთმა გააჩინა, არა, ღვდე-
ლო, ჰოდა, ცოდო-მადლიც იმან დაანათ-
ლა ზედა. ცხოვრება ვენახია და დედა-
კაცი ამ ვენახის ღვინო.

ანაფორიანი აიმრიბა და წვრილი
მუშტი ხმელ მუხლზე გამეტებით დაიკ-
რა.

— მაშ აქ რა გინდა, შე დაწყევლი-
ლო, ქვივრში რაღად ძვრები?

— ჩუმაღ, მამაო, რათა ხმაურობ?
თათარს უთქვამს: ბუ ღუნია, ბირ ფან-
ჯარა დუ, ჰარი გელან, ბახარ გედარო,
— ეს ქვეყანა ერთი ფანჯარაა, ყველა
შეიხედავს და წავაო. მე კი მარტო შე-
ხედვა კი არ მინდა, მინდა ორმაგი ღვი-
ნითაც დავთვრე. და თუ რამ ცოდვა მა-
ღვეს კისრად ამ ქვეყანაზე, ეს ღმერთმა
ქნა და არა დედაკაცმა, — მეჭურჭლემ
ერთი ჯამი კიდევ გამოცალა, მოჭიდავეს
გადააწოდა და ნახევრადმოხუტული
უფერული თვალები ჩუმაღ გააპარა
ღვთის მოციქულისაკენ, — მინდოდა აღ-
სარება მეთქვა, შენდობა მეთხოვნა და
დაგელოცნე კიდევ. შენ კი ფიცხობ და
დედაკაცა წინ უღებებ.

მღვდელმა ყური ცქვიტა და მერვე
ჯამმა ერთბაშად მოაღბო.

— შეგინდოს უფალმა, შვილო ჩემო.
შეგინდოს და დაგლოცოს პირმა ღვთი-
სამა და ნაწილმა ზარქივისამა. აღიარე,
შვილო, ცოდვა შენი და მე მონა ღვთისა
ვეცდები სიმშვიდე და ხსნა მოვეუვლინო
სულსა შენსა ეამსა ლოცვისასა.

— გახსოვს, მღვდელი, ქრისტეფო-
რემდე ალაზნის წისკვილში მე ვიყავ
მეწიპქვილედ.

— მაშინდელი თევზის გემო ეხლაც
პირში მაქვს, შვილო, ნეტავი კი იქიდან
არ წამოსულიყავ.

— ერთ ღამეს უსაფქოდ ვიყავ. დე-

რები ჩავვეტე, წყალი ბერდარაზე მივუშვი და ჩემთვის მივეგდე ბუნხართან ტახტზე. გახურებული ომია. სოფელი დატლილია ვაჟკაცებისაგან. რაც მოგვყავს მოსავალი, ყველაფერს ფრონტზე ვგზავნით, ჩვენთვის ცოტასღა ვიტოვებთ. აქა-იქ თუ ვინმეს მოეძებნება ხორბალი, ჭერი ან სიმინდი. ისინიც ხელად გამოფტავენ და ჩემი წისქვილი უმეტესად წყალგარდაა.

ის იყო წამთვლია, რომ კარზე კაკუნი მომესმა. ყური ვკვირებ. ცოტა ხნის შემდეგ უფრო გაბედულად დააკაკუნეს. ნაცნობი რომ იყოს, სახელს დამიძახებდა-მეთქი. წამოვხტი და კარისკენ გავწიე.

ღამეა.

გარედან მარტო წვიმის შხაპუნი და აღახნის შხუილი ისმის.

გავადე, — სულიერი არსად ქაჭანებს. ის იყო დაეკეტვას ვაპირებდი, რომ დერეფნის ბოძს ლანდი გამოეყო, მოვიახლოვდა და რაღაცა მითხრა.

მე ვერა გავიგე რა, მაგრამ მივხვდი, რომ შიგ შეშვებასა მთხოვდა.

შეუძებ შეგა და ბუნხარში ცეცხლი გავდელე. რაც ჩინჩხვარი და შეშა მჭონდა ნაკვერჩხლებს დავაყარე, გავადვივე და ალი ბოლში გავურეე.

როგორც კი გაჩაღდა ცეცხლი, ჩემს ღამეულ სტუმარს ავხედე და სულო ცოდილო, — თვრამეტ-ტხრამეტი წლის გოგო არ დავინახე?! ჭერა, აღლნახეფრიაანი სველი ნაწნავები მხრებზე გადაუყარა და წვიმისაგან გალუმპული თალხი კაბა შოლტივით მოქნალ ტანზე იგრე შემოჰკერია, ყოველი ნაკეთი ცხადლოე მოუჩანს.

კუნძი მივუწიე, ცეცხლთან ახლო დავსვი და მე აქეთ, ტახტზე დავკეცი.

ცოტა ხნის შემდეგ ტანსაცმელზე ორთქლი ავარდა.

ვხივარ გაქვავებულივით, გატოკება არც კი მინდა, რომ ქალს მკვდროება არ დავურღვიო. ის კი გაყურებულა თავისთვის. ლამაზი თაფლისფერი თვალეზით ცეცხლს ჩასტკერის მიზნედილად და მალალ მკერდზე გადმოყრილ ნაწნავებს სწურავს. დროდადრო ორთქლის ოსშივარში გახვეული, იმ ფოფინა თვალებს იგრე შემომანათებს, რომ ტანზე ქიანტველები დოღს მიმართავენ.

ხანდახან ვეპვდებო:

ემშაკეული რამ ხომ არ ურევია ამაში?

მაგრამ ჰოი, ღმერთო! თუ ალი და ეშმაკი ეგრე ლამაზია, ეს ქვეყანა იმათ საუფლოდამც ქცეულა-მეთქი.

როცა გაშრა, წყალი შემოვიტანე და ფეხები დავაბანე. ოჰ, მღვდლო, ჯოჯოხეთის მყალზე ვიწვებოდე და ზევიდან ტარტაროზი ბატის ფრთით ზეთს მისეამდეს, თუ იმაზე ლამაზი ფეხები სადმე გენახოს.

როცა კარგად გათბა, ჩემკენ მოიხედა, გამიცინა და ის თეთრი, ჩაჭიკჭიკებული კბილები ამ ღვინისფერ ტუჩებს შუა გააქათქათა. შევხედე და, ღმერთო! იგეთი ნაღვლიანი თვალები შემომავება, რომ წვიმაში მოყოლილი გაგვალული ბელტივით დავიშალე.

მივხვდი, რომ შიოდა.

გავვარი ბოსტანში, ხახვი მივგლიჯ-მოვგლიჯე, თახჩიდან ხშიადის ნატეხი გადმოვიღე, იქვე ცეცხლის პირას ძირხვენის ფოთლებზე დავუწყე და მემრეჯანზე მოსასვლელად ღვინოც დავუხსი.

ის მადლიანი იგეთი მადლობით შემომყურებდა, რომა, რომ ეთქვა, ესლავე წადი და იმ ადიდებულ აღლანში შენი ტყაბუქით გადავარდო, საფერავის მადლმა, დროს მარტო მდინარემდე მისულაში დავკარგავდი.

გერაგ მომიაშვილი

ხ ი რ ი

რა იყო მაინც, რანაირ ოხერ ამინდს დაიჭერდა ხოლმე. თოვლი, ყინვა და ქარიშხალი ადამიანს კრიჭაში უდგნენ, თითქოს ყველაფერი დასაღუპად იყო განწირული.

არა, მესამე არა, როგორ არ მახსოვს, მეორე ზამთარი იდგა... გუშინდამ ტყე-ტყე მივდიოდით, ტყის პირას ფერდობზე ფეხი დამიცურდა, სათვალე გავტეხე, ბრმასავით დავდივარო, ამას იწერებოდა ბოლო წერილში მამაჩემი.

• • •

რკალგადავლებული დათოვლილი ხიდი თეთრ ცისარტყელას ჰგავდა.

იტყვი მდინარეაო, იმ ხიდქვეშ რკინიგზა გადიოდა. რკინიგზის გასწვრივ შემომესრილი იყო. შავთუნუქაქარული უზარმაზარი ჭიშკრის წინ ყოველთვის თოფიანი დარაჯი იდგა — სქელი, გრძელულეაშა კაცი, თავზე ბოხობჩამოფხატული. „რომელი ხარ!“ ყვიროდა ხოლმე უასიდად. თოფზე მეტად თავისი ბალანაშლილი მურა ნაგავის იმედი ჰქონდა გრძელულეაშა დარაჯს. „მიდი, მურა, ეცი, მურა!“ დაიდრიალებდა გრძელულეაშა, და კარგი ბიჭი იყავი, სადმე თვალი შეეწერო ნაგავს... შემომესრილში ალაგ შეშა ეყარა, დაპობილი და დასახერხი მორები, ალაგ უზღვავი ხე-ტყე იყო წყობისად მითაკრული. მატარებლები თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ, აქ დაიცლებოდნენ და კვლავ თავიანთი გზით წავიდოდნენ, ზოგი აღმა და ზოგი დაღმა.

ეს ხიდი ჩვენი ქუჩის ერთი ბოლო იყო, მეორე ზედ მტკვარზე ჰქონდა მიბჯენილი.

ხიდგაღმა უკვე სხვა უბანი იწყებოდა.

იქვე, ხიდთან, ჯერ ერთი ვეებერთელა ქარხანა იდგა, მერე რამდენიმე დაბალი წითელკრამიტიანი სახლი. ყველაზე განაპირა სახლში ტოტებჩამოღეწილი გველის ხეების მხარეს, ჩვენი მასწავლებელი ევა ბიუნხერი ცხოვრობდა. ტუზარიკი — უშვილძირო და მარტოხელა ქალი. გვარი კი ჰქონდა გერმანული, მაგრამ მაინცდამაინც არ გერმანელობდა. ერთადერთი რაც იყო (ამას ჩვენზე უფროსი ბიჭები ამბობდნენ), წყენისა და გულისტივილის ეამს, ამოიღებდა თურმე თავის ტოპრაკა ჩანთიდან ძველ, დაფურცლულ წიგნს და ჩაიბუზღუნებდა, ამ წიგნის ქართულად დამწერი კაცი, გვარად ლაისტი, და მამაჩემი საქართველოში ერთად ჩამოვიდნენო. ჩვენთვის არც არა უთქვამს რა და არც ვეკითხებოდით. ბოლო დროს მაინც სულ გამოიცვალა, თითქოს იმ აღრე ნათქვამს ნანობსო, დარცხვენილივით გვიყურებდა ყველას.

თმაშეკრუკილი ცქრანტი ქალი იყო, ამოვიჩემეთ და ქოჩორას ვეძახდით ბიჭები. კლასში გაკვეთილის დაწყებამდე შემოვიდიოდა, კალთაში ჩაიდგამდა ლურჯ ტოპრაკა ჩანთას, წაიხრებოდა, გეგონებდა, ჩანთა თავზე უნდა წამოიხოსო, და ისე სჭამდა. დაიწყებოდა გაკვეთილი და ცოტა ხანს ჩუმად იჯდა ხოლმე, სიას ჩაათვალიერებდა. ბოლოს გულნაკლული გადმოგვხედავდა: „არც

ეგრეა, ბარტყებო, ზოლოგიაში შორს ვერ წახვალთ“.

სახელით ან გვართ ან არც ერთს არ მიგვიხმობდა. ქოჩორას თვალში ყველანი ფრინველები ვიყავით, თანაც უმწეო და შეუბუღბლავე ფრინველები, ზოგნი იხვინჯა კოკროქინები, ზოგნიც კოკორა-ნა ბელურები და ბოლოსადგისა იხვები.

• • •

შევდგით თუ არა ხილზე თეხი, შავშებლა დაეომ ყვირილი დაიწყო: უყურე, უყურეო.

რას უნდა ვუყურო-მეთქი.

დაბლა ჩაიხედე, რანაირი ჯარი ჩამომდგარაო.

„ჯარი?“

შავშებლამ კოტიტა თითი გაიშვირა: „აგე!“

ხილის მაღალ მოაჯირზე, აქეთაც და იქითაც, წერილი ბადე იყო აკრული, დათოვლილი მოქარგულივით ჩანდა, რკინიგზაზე თოვლი აღარ იდო, ხელმარცხნივ ჩამომდგარ ხის ვაგონებსლა შერჩენოდა აქა-იქ. ვაგონების წინ ჯარისკაცები ირეოდნენ. რუხი უქამრო ფარაჯები ეცვათ. ფარაჯის საყელო ყველას აწეული ჰქონდა. კაცი იფიქრებდა. ცეკვავენო, ისე მოძრაობდნენ ერთ ადგილას.

„თავს მოვიჭრი, თუ გერმანელები არ არიან!“ — თქვა შავშებლამ და ბადეს ფეხი მისცხო. მერე, თითქოს ზედ უნდა აცოცდესო, ორივე ხელით ჩააფრინდა თოვლჩამოხერტყილ დაქიმულ ბადეს.

„გუტენ მორგენ, ფრიც! გუტენ მორგენ!“ ყვიროდა შავშებლა.

დაიცა, რა გაკვილებს, ჩვენები არ იყვნენ-მეთქი, საყელოში წაგავლე ხელი.

არა, ჩვენებს ეგრეთი ფარაჯები როდის აცვიათო. ჩვენებს აქ რა უნდათო, თავისაზე იდგა შავშებლა. აი ნახე, თუ არ ამოვახელო, ისინი არიან, ვიცით, თქვა და გაიქიფხა: „ფრიცი! ფრიცი!“

ისინი არიან. მართალია დაეო. ისინი

არიანო, უცაბედად დაეოს მიემხრო ფიქრი... „ამ დილით ჩამოუყვანიათ“ — სიკი არა, ორასნიც იქნებოან. ჯერ ხალხათ, აბანოში წაიყვანენ. რა იცის, თორემ ქოჩორა მოვიდოდა. ჩაუგერმანულებდა კიდევ. მაგათ, ალბათ, გაუყვირდებოდათ“.

„დაეო, გინდა ქოჩორას დაეუძახოთ!“ ვთქვი და, ჩანთა მომეცი-მეთქი, ხელი წავატანე.

ჩემი ნათქვამი არც გაუგონია. ხილქვეშ ორთქლმაგელმა ჩაიარა, დაიკვლა და აბოლდა. ბოლი სუნიანი ნისლივით შემოდო ხილს, მერე ნაფლეთნაფლეთად იქცა, გარეგანად და მატყლივით დაკვირწული ნელ-ნელა ამიღლდა. უმტკერო თოვლს ალაგ-ალაგ ქორფლივით დაეტყუო ჰვარტლიანი ბოლის ათასი ნატყრფალი.

„მოხვდა, მოხვდა, შიგ თავეში მოხვდა!“ ყვიროდა დაეო, თან ხტოდა და ტლინკებს ისროდა.

ყველაზე მაღალი ჯარისკაცი ცოტა წინ წამოდგა და ხელი დაიქნა.

რა მოხვდა-მეთქი, კისერში ვწვდი დავოს.

საშლელიო, ზედაც არ შემოუხვდავს, ისე მომძახხა და ახლა ჩანთაში დაიწყო ფათური. კომში ამოიღო, ჯერ ხელში შეათამაშა, მერე, რაც ძალა ჰქონდა, შეხტა და გაისროლა.

• • •

შავი, ტუხა ბიჭი იყო დაეო, მამასავით ტოტყი, პირბუდადი. თვლები კეერთი ციციქნა ჰქონდა. იტყვი, ჩახხლეტილი ჭაღალდი აქვს აკრულიო, ისე იტყვირებოდა.

დაეოს კოქლი, ჩითახო მამა ჩენი სკოლის ღურგალიც იყო და დარაჯიც. თანაც მტკერის პირის პატარა მიწა ეჭირა. ზამთარ-ზაფხულ ცოცხალი მწვანელი ჰქონდა. კვიმატი კაცი იყო, სიტ-

ტყვა უმპველად უკუღმა უნდა ეთქვა. ამ დღესაც წალმა-უკუღმა დაიწყო: „აი, ამ ბოთლში ზეთია, ამ ქილაში კუს კვერცხი, აქ ორი კონა ნიახურია. თქვენცა ხართ რაღა, ორი კვირია მასწავლებელი არ მოსულა და ყურსაც არ იბერტყავთ!“

ბოთლში ზეთი კი არა, ნავთი იყო; ქილაში ცოტათი მარგარინი. ქალაქში შავი პურის ორი თხელი ნაჭერი და ერთი კონა შეყვითლებული წიწმბატი შეეხვია. გვერდზე დაქარული კომშები ჩაეყარა.

წადით და ხვალ საღამოთი ჩამოდითო. როგორ იტყოდა, მალე მობრუნდით, არ დაგაგვიანდეთო.

• • •

„ცოტაც და მოხედებოდა!“ სინანულით თქვა ლაქომ, თავი გადააქნ-გადმოაქნია და კვლავ ჩანთას დასწვდა.

კომში მაღალი ჭარისკაცის წინ დაეცა. მაღალს ერთ ფეხზე ჩექმა ეცემა, მეორეზე ყელიანი ფეხსაცმელი, მუხლამდე ტოლადი ჰქონდა შემოხვეული და იმ ფეხს მძიმე-მძიმედ ადგამდა. წამით თითქოს ყველა ერთად დაიხარა, აღებით არც ერთს არ აუღია. მაღალმა ჩექმის ქუსლი ამოსცხო კომშს, იქით მეორე ჭარისკაცმა დაახვედრა ფეხი, აქეთ მესამე წაეთამაშა. ზევიდან კი ისე ჩანდა, გვეგონება, წელამდე წყალში დგანან და ზედაპირზე მოვდებული პაწაწინა ყვითელი ბურთის წასართმევად დასდევენ ერთმანეთსო.

„მაგათ არც ეცოდინებათ კომში. ფეხს ვინ ამოსცხებდა, ხელად ყელს ჩაიკოკლოზინებდნენ. ქოჩორა კომშს შუაზე გასჭრიდა. ნახევარს ძალით შეგვაკმევდა, ნახევარს თავის მაღალ ვარაყიან ქიქაში ჩააგდებდა, დაასხამდა ადულებულ წყალს და მამაშენს მაღლობა უთხარიო, ეტყოდა ლაქოს.“

შეშუბლა ლაქოს კი თავისი ფიქრი ჰქონდა. ჩანთიდან მეორე კომშიც ამოიღო და შეხტა. კომშმა ბადეაქრულ მოაჯირს გადაუარა და შუა ვაგონის ქვეშ

შეგორდა. სათვლიანი ჭარისკაცი, ვაგონის წინ რომ იდგა და ხელებს ღორთქლავდა, მოწყვეტილივით ჩაეჭყვინტა ალბათ, უცაბედად ნაპოვნ ცეცხლს მიეფიცებებოდა ასე. მერე ჩექმიანი ფეხი ვაგონქვეშ შეყო, კომში თავისკენ მიიგორა. ერთი გაიხედ-გამოიხედა, აიტაცა და წამოდგა. ის იყო ჩაქვჩა დააპირა, რომ მაღალი ჭარისკაცი ბურტყუნით მიეეჭრა. ფარაჯის საყელოში ჩააფრინდა, შეაჯანჯლარა...

„ქოჩორაც ბრახიანია, ხელად აენტება, მაგრამ გულში არ ჩაიტანს. ერთს ასი-მოცინებ და სულ ის ახსოვს... გაუხარდება, როგორ არ გაუხარდება! დაგვინახავს თუ არა, შეგცივდებოდათო, იტყვის. აცხა, ბარტყები არ შემოიშინოო, ხელს აუქნევს თავის კუდბომბორა ჭრელ კატას. ის, ალბათ, ლოგინის ბოლოში წევს. ნამძინარევი და ჩათბუნებული. მივალთ თუ არა, თავს ასწევს. ააბრიალეს თვალებს. ქოჩორას „აცხას“ აინუნშიაც არ ჩააგდებს.“

„მაღლისა ყველას ეშინია!“ თვალი არ მოუშორებია, ისე თქვა ლაქომ.

შექვამა სათვლიანს, მაგას რა უნდოდაო, ლაქოს ნათქვამს უნებურად გაეპასუხა ფიქრი... „ქოჩორა, ალბათ, არც დაიჭერებს. წასართმევად მივარდებოდაო, იტყვის. აი ნახეთ, თევზებმაც ევრე იციან ღორღალიო. პურს ფრჩხილით მოაჩიჩქნის, მივა, დანჯღრეულ კამოდზე შემოდგმულ შუშის ოთხკუთხა ქილაში ჩააგდებს. წითელი თევზები კუდს მაღლა აიშვერენ და ყველას პირი იმ ნამცეცს წასწვდება, მაგრამ ბოლოს მაინც ყველაზე დიდლაყუჩიანი დაინარჩუნებს.“

„მაღალი მაგათი უფროსია!“ რატომ აქამდე არ მიხვდი-მეთქი, ეკუთხარი.

ლაქოს არაფერი უთქვამს. ჩაეგდო ერთი კომშიც, რა იქნებოდაო, თავის მამაზე მოსდიოდა გული.

„პური გადავუვდოთ, ლაქო!“

პურიცა და მარგარინიცო, თქვა ლაქომ და დატრიალდა. პური და მარგა-

რინი ხელად ქალღმერთს გაახვია. წიწმონი ისევ ჩანთაში ჩადო. წიწმონი რა იცინა, არ შესკამენო. მერე ჰვინტგადაგლილ ტილოს ფეხსაცმელზე ზონარი შეიხსნა და ქალღმერთს კოხტად შემოუჭირა, ისე პაერში დაიშლეს.

მეორე ნომრით დიდი ტყავაქერცნილი ამერიკული ფეხსაცმელი მეცვა, თანაც ყელიანი. იმ დღეს დედაჩემს დაუძახეს და საჩუქრად მისცეს მწვანე ყვავილებიან კაბასთან ერთად. იმ კაბაში სამი დედაჩემისნაირი ქალი ჩაეტეოდა. ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო, ამბობდა დედაჩემი.

„ფრიც!“ დაევიყირე, მაგრამ ენა მუცელში მივარდებოდა.

ეგრე არაო, შეტყვირა ლაქომ და წელანდელივით გაიჭიფხა:

„ფრიც! ფრიც!“

• • •

მაღალი დაეხსნა სათვლიანს და ხოდისკენ წამოვიდა. ჯერ რალაც გვანიშნა, პაერში თითქოს ასოები გამოჰყავდა, მერე ვითომ დაწერილს შლიდა, ისე ამოძრავებდა ცალ ხელს.

ფიქრმა ამ ამბავსაც კული გამოაბა... „ისევ იმ საშლელზე ბრაზობს... ის კი არა, შარშან ლაქომ სკამი გამოაცალა ქოჩორას ეწყინა, მაგრამ ძალიან არც გასჯაერებია. არც არავისთვის უთქვამს. მერე ლისის ტბაზეც წამოიყვანა... ერთი ლიფსიტა ძლივს წამოეგო ანკესს. ლელიანი ნაპირი თავკომბალებით იყო სავსე, მთელი დღე ტყუილად ვიტორიალეთ. ლაქოს შარვალი დაეკარგა და ტიროდა. შენგან ზღვის კაცი არ გამოვა, მტირალა ყოფილხარო, სიცილით ეუბნებოდა ქოჩორა. მერე ბაზარში ზოლიანი შარვალი უყიდა. ცოტა დიდად კი ადგა...“

აქეთ მოიწი, აქეთო, მუჯლუგუნე მკრა ლაქომ და ჩანთა გვერდზე მიდგა. შენებურად მიზურგულეო.

დაბუხული ხელები მუხლისთავეებზე დავიბჯინე და წავეიკუხე.

სათვლიანის გარდა, ყველა ბილისკენ იყურებოდა. არ ვიცი, მომეჩვენათუ მართლა ისე იქცირებოდა მაღალი ჯარისკაცი. ცოტაც, და თვალები გადმოსცივიოდა. იმნაირად იდგა, გეგონებდა, ადგილიდან უნდა ისკუპოს და ამოხტესო.

„ეგ ისეთი ჩანს, რომ მარტო თვითონ შესკამს. გახსნის, ბიჭოს პურიო, იტყვის და ბრაზიც გაუვლის. რამხელაა, რა პური ეყოფა მაგას“. ჩემი ჰკუთო, ეს ერთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო.

„ლაქო, აილე და მარტო მარგარინი გადაუგდე!“

პური ჩვენ შევჭამოთ-მეთქი, აღარ ვუთხარი.

შევშუბლამ ცალი ხელი ბადეს ჩავლო და ზურგზე შემდგა.

მიდი, ჩქარა-მეთქი, ავძახე.

მაღალი, ალბათ, მიხვდა, რალაცას აბირებენო, განზე გადაგა.

სულელია ლაქო, პური არ უნდა გადაგედოთო, მეუბნებოდა გული... „პურის გადაგდება არც ვარგა“.

„ჩააგდე?“ ავძახე.

„აგე!“ თქვა ლაქომ და ჩამოხტა.

„...ქოჩორა არაფერს იტყვის, მაგრამ გულში ეწყინება. ბიჭებმა იმ დღესაც ამოაცალეს ჩანთიდან ერთი ნატეხი მჭადი. მეორე დღეს ნახევარი მჭადი მოიტანა და საკენკივით ყველას გაგვიწინწილა... არა, არაფერს იტყვის, ქოჩორას ყველანი ეცოდება. ეგენი, ალბათ, პურზე არც ფიქრობენ. აღარაფერი მახსოვს, მარტო თქვენზე ფიქრი მკლავსო, მამაჩემიც ავი ამას იწერებოდა“.

„რას ვამტერებულხარ“, — სახეში შემომამკერდა ლაქო.

ვითომაც არაფერი, ყსილიდ გაეციენ და ხელი მხარზე დაეკარი.

• • •

ზონარშემოჭერილი ქალღმერთი ნაპირა ლიანდაგთან ეგდო. ბაქანი ოდნავ შემადლებულზე იყო და მაღალი ჯარისკაცის

გარდა, ალბათ, ვერავენ ხედავდა. ისინი იქით იდგნენ.

მაღალი ადგილიდან არ დაძრულა.

გული კვლავ თავისას მეუბნებოდა: „არა, პური არ უნდა გადაგვდოთ. ღაჯომ ეგრე იცის, თითო რამ უნდა ამოიჩემოს. თუ არ წაუღებდით, თქვენ მაინც შეგვეპაათ. ქოჩორას მარტო ნავთიც გაუხარდებოდა“.

„გერმანო, ფრიიცი!“ გადასძახა ღაჯომ და თან ხელი პირთან მიიტანა, ტუჩები ააცმატუნა, იქ პურია, აილე და ქაშეო.

მაღალი გაქვავებულღვივით იდგა.

ღაჯოს რას ვეტყვოდი, თავადაც არ მიხლოდა მეფიქრა: „აი, ნახე, თუ არ გამოგვეკიდოს. მერე რამხელა ფეხები აქვს, სირბილი არ ეცოდინება თუ რა!“

უცებ მაღალმა ჯარისკაცმა კივი ხმით შეჰყვირა და მიბრუნდა. წამით ყველამ სათვლიანისკენ მიიხედა. მაღალმა ხელით ანიშნა, აქ მოდიო. სათვლიანს მაღალი ჯარისკაცის ხმის ვაგონებაც არ უნდოდა.

თითქოს მიწა ვიყავი ან ბამბა, წელანდელი ფიქრი კი წყალი იყო და ერთიანად ვიქლინებოდი: „გადმოამტვრევენ მესერს და გამოგვეკიდებიან... მერე ხიდის ჩარბენას რა უნდა. ერთს მოვკურცხლავთ და ქოჩორაც აქვეა. ის რა, ამოდენა ჯარს მოერევა? ვერ მოერევა, მაგრამ ჩაუგერმანულებს, რა ქორებივით გამოჰკიდებიხართ ბარტყებს, ნამუსი რა უყავითო. შერცხვებათ და გაჩერდებიან... ლისის ტბიდან რომ მოვდიოდით, მაშინაც გამოგვეკიდა კაცი, რაკი გზაადგილია, განა თქვენთვის დავრგე აღუბლებიო. რა იყო, ორი მარცვალიც არ მოგვიწყვიტია. ქოჩორამ შავი დღე აყარა, ერთი მუქა აღუბლისთვის რა ქორად იქცეო, სირცხვილიაო... მერე იცის ქოჩორამ გერმანული?“

„წავიდეთ, ღაჯო!“ წამოვიძახე და შიშით არ შემატყოს, სალაპარაკო არ მივცე-

5. „მნათობი“, № 11.

მეთქი, ხელად გასაქარწყლებელი მივაყოლე:

„რა ვიცი, როგორც გინდა!“
„ღაჯო, ცოტაც ვუყუროთ და წავიდეთ“, შემეხვეწა ღაჯო.

მაღალი ჯარისკაცი ლიანდაგზე გადახტა, ზონარშემოჭერილი ქალაღლი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა და სათვლიანისკენ წავიდა. სათვლიანი ახლა კი მაგრა დაუხვდა. ჯიბიდან ის კომში ამოიღო და სახეში ესროლა, თან ხრინწიანი ხმით რაღაცას უყვიროდა. მაღალს ცხვირიდან სისხლი წასკდა. ჯერ ფარაჯის სახელო გაისევა, ცოტა ხანს ასე იდგა, ალბათ, სათვლიანს უსმენდა, მერე ზონარშემოჭერილი ქალაღლი ძირს დაანარცხა და ხიდისკენ მობრუნდა.

„ახია!“ ჩაიბურტყუნა ღაჯომ.

სათვლიანი მართალია-მეთქი, კვერა დაეუკარი.

ღაჯოს, ეტყობა, არც გაუგონია ჩემი ნათქვამი, კვლავ თავისთვის ჩაიბურტყუნა: „ყველაზე ახია!“

მოსახვევში მატარებელი შემოვიდა, ნელ-ნელა გაისწორა კუდი, თითქოს გაიზმორაო.

ფიქრი ახლა მატარებელს აედევნა... „ვინც იმ მატარებელში ზის, ყველას აბანავებენ. სანამ ცხელ ბულში არ დაითუთქებიან, ფეხს არ გადაადგმევენებენ ქაღალქში... წინა კვირას მე და ღაჯომ ამ მატარებლით ჩამოვედით სოფლიდან. ძალაზე არიან, გინდა თუ არა, უნდა იბანაო. ზამთარში ჯანდაბას, ზაფხულშიც უნდა იბანაო“.

„თუ გინდა, წადი!“ მომიბრუნდა ღაჯო და, აჰა, აილეო, ჩანთა მომწოდა.

„ალბათ, დარჩენა უნდა“, ვიფიქრე, მაგრამ ლაქო აღარც იქ დარჩენას აპირებდა.

„მიუტანე ნავთი და წამოდი, ჩანთაც წამოიღე!“ ნაწყენივით თქვა ლაქომ. ის იყო პირი დავადე, მარტო არ წავალმეთქი, უნდა მეთქვა, რომ ვაგონქვეშ ბალანშლილი მურა ნაგაზი გამოძვრა, თავი მალა ასწია და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. ბოხობხამოფხატული გრძელულვაშა დარაჯი ზევიდან, ვაგონების გასწვრივ მოდიოდა.

„მიდი, მურა, ეცი მაგ მამაძაღლებს, მიდი, მურა!“ იკაშებოდა გრძელულვაშა და თოფიან ხელს მალა, ხიდისკენ იშვერდა.

ძაღლმა მიწას დასუნა და ალაზე დავა. ხან ერთ ჯარისკაცს შეხედავდა, ხან მეორეს. არ ვიცი ყრუ იყო და პატრონის ძახილი არ ესმოდა თუ რა, ზევით ერთიე არ ამოუყვფია.

ხიდისკენ მარტო სათვლიანიდა იცქირებოდა. ჭერ მეგონა, ალბათ, მეჩვენებდა, ეგრეთი სახე აქვს-მეთქი, მაგრამ სათვლიანი ნამდვილად ილიმებოდა. თვალს არ გვაშორებდა, გვიცქეროდა და ილიმებოდა.

„ნეტავი სათვალე არ გაუტყდეს. ნეტავი სათვალე არ გაუტყდეს!“ ვნატრობდი გულში.

ლაქომ თითები პირზე ჩაიტენა. სტვე-

ნა იცოდა, ცხრა მთას იქით გაიგონებდა კაცი.

ძაღლმა და მალაშმა ჯარისკაცმა წამით ერთმანეთს შეხედეს და... ისკუბეს. მალაშმა მოასწრო და ჩექმიანი ფეხი დაადგა ზონარშემოკერულ ქაღალდს.

დარაჯი ველარც ახლოს მისულიყო და ყვირილითაც აღარაფერს ყვიროდა. აღარც თოფიან ხელს იშვერდა ხიდისაკენ. უკვე გვიან იყო. სათვლიანის გარდა, ყველანი ერთად მისეოდნენ საცოდავ ნაგავს.

„არა, თევზები ეგრე არ იზამენ... ხან ტყუილიც იცის ქოჩორამ“. დანახულს კვლავ კუდს აბამდა ფიქრი... და ბოლმადქეული ყელში მეზვინებოდა.

„უყურე ამას რა გატირებს, ბიჭო!“ გეგონება დიდია და პატარას ტუქსავსო, შემომიბთია ლაქომ, ცრემლიან თვალზე გათოშილი ხელი ჩამომისვა და თითქოს იმ ცივ ხელს შეაშრა სათვლიანი ჯარისკაცის ღიმილი, ჩემს ცრემლში წედან უთვალავ ოქროსფერ ნამცეცად რომ იქცა.

• • •

იმ საღამოთი ლაქო ბათუმში გაიპარა. აღრე ბათუმზე ჩემთვის არაფერი უთქვამს, გზაში კი ისე მითხრა, აი ნახავ მალე წერილს ყველაზე დიდი გემიდან მოგწერო.



სიონ ნუკავა ძეძქის ქვე*

ზორიდან ტოტებგაშლილი ძეძქვა გამოჩნდა. მის ახლოს გასო მშველძე თავისი შვილით და ბრიგადის წევრებით სიძინდს თოხნიდა.

იმ უსსოვარ დროინდელი ძეძქვის დანახვამ, სადაც ჩემი ბავშვობა და ბიჭობა ყანების ხენათესავსა და თოხანში გაპიტარებია, გული კინაღამ ამიწუყა, ბევრი რამ მომაგონა, ბევრი რამ წარმომიდგინა თვალწინ. საოცრებაა პირდაპირ, სადაც კაცს ფეხი დაგიდგამს, სადაც ოფლი გიღვრია და, სადაც მიწასა და ცხოვერებას შეხმობარ გუთნით, თოხით, ბარით და ფიქრით, იგი შეხსიერებიდან აღარ ამოდის. თვალს შევკლებ თუ არა იმ ადგილს, ხუცებ ძვილ კრილობასაპით გაიხსნება შენს გულში სიხარულა და მწუხარება, ვამარჯვება და დამარცხება, წინაგლა და უკან დახევა.

იმ ძეძქვას, რადაც დიდი იმედით შევეუბრებოდი, შეიძლება იმიტომ, რომ დედა გვეტყოდა ხოლმე ხშირად, შეიღებო, იმ ძეძქვასავით მაგრებო ღუნდა იყოთ, რომ გაუძლოთ ყოველგვარ გასაჭირსო. მოგვეცეთ ღებნა, ჩვენ დიდი გაჭირებება გვადგა თავს.

ჰოდა, იმ შევეუბრებოდი იმ ტანსხვილ, უხარზნარ ძეძქვას, როგორც მამას, როგორც ძმულთამძლე წინაპარს, რომელსაც ვერაფერი ვერ გატებდა წელში. გულუბრუნვით მჭეროდა, თუ დიდი გასაჭირისას იმ ძეძქვას მოვივინებდი, თუ მის ტოტებშივე დაეღებოდა, მაშინ ყოველგვარი სიძინელე ვადალახული იქნებოდა. არა მარტო ყანაში მუშაობისას, არამედ სხვა დროსაც. ყანაში რომ არაფერი გვესაქმებოდა, მაშინაც მოვდიოდით მის სანახავად.

წიშმა იყო თუ შვე, ქარიშხალი თუ მშვენიერი დღე, ის იყო ჩვენი სულის დამამშვენიებელი, ჩვენი ნათესაუდელი, ჩვენი დამცველი და საფარი, ჩვენი ალერსი და ჩვენი სიცოცხლე.

როცა ზოგჯერ გვერდზე წასული ფეხებები გამოუჩნდებოდა, მაშინვე მიწას დაეყრდითო, ვინმე მის ახლოს ჩაღის ღებრებს რომ მოგროვებდა და ცეცხლს წაუთიღებდა, წყალს და-

ვასხამდით, ტოტები არ შეეუბრებოდით, ცეცხლს როგორ წაეყარებდით, როცა ჩვენი ცეცხლის გამხვლებელი და მხსნობის მომცემი ის იყო? რაც მახსოვს, სულ ასე ძინარავარი და ასე მკლავებმეაოუწვდენელი იყო, ტანი სულ დამარღვეული და ალაგ-ალაგ ამობურთული ჰქონდა, ნამუშევარი გლუხის დაყოფრილ ხელისგულებით.

მე რა ვარ! რაც ჩემს წინაპრებს ხსოვებია, სულ ასე ძვალსხვილი მდგარა, ფეხებები ღრმად ჰქონია გადგმული მიწაში, ათასი კაცი რომ გასულიყო ზედ, ერთს არ შეირჩეოდა, ამაყად იდგა, ზოგჯერ ვინმე უგუნური კაცი ტოტებს რომ შესკრიდა, გული ამიღუღლებოდა.

ერთხელ კიდევაც დაეინახეთ მწყემსმა ბიჭებმა ის ბოროტი კაცი, რომელმაც ნაჯახი მოუქნია. იმდენი ვსდით, იმდენი ვეძებეთ, მის ნაფებურს მაინც მივაკვლიეთ, ტუის ახლოს მივიშვედით, შევკოვებ და ვცებეთ. ვეითხრა, ძეძქვა რენახავით მავარია და ურმის თავტაბიკისთვის მინდოდაო, თავტაბიკისთვის როგორ შეაჭერი ტოტობქვა, — მოვაჩახეთ და ერთი კიდევ მაგარად ვუთავიზეთ.

ერთი თვის შემდეგ კიდევ უფრო უარეს სურათს წააწყვდით: ვიღაც ბანჯგელიანი კაცი დიდი ნაჯახით მისდგომოდა ძეძქვას და ფეხებს აჭრდა. ომოკონივით უწნო, ამხმხი და მღვთივით ღონიერი იყო. ვეცანიოთ, ვინც იყო, ამისთანა დიდგულა, ბოროტი და დაუხდობელი კაცი ჩვენს სოფელში მეორე არ დადიოდა. სოფელში მკვლელის სახელი ჰქონდა გავარდნილი, მაინც არ შევეუბრებოდით, ახლოს მივედიო და ვეითხეთ. რას ერჩი იმ ძეძქვას, რატომ აჭრი ფეხებს-თქო. — რატომ და გახმება და მეგრ მისგან სახლის კედლებს გამოჭრიო, ძეძქვის კედელი არასოდეს არ დაღებოდა.

ჩვენ მასთან რას ვაუბრებოდით. სოფელს მივაშურეთ, მთელი სოფელი წაშოვიდა, ფეხზე დადგა. ეს რომ იმ ბოროტმა კაცმა დინახა, ნაჯახიანად ვადიარავა სადაც. ერთ თქვს სოფელში არ ვამარჩინია, თურმე ჩემი სახე კარგად დაუხსოვებია.

ერთ გვიღვიან დღეს, როცა ნამოროდებ სიძინდს ერწყავიდი ყანაში, ზურგიდან წამოშობა-

* ნაწყვეტი წიგნიდან „ჩემი სოფლის სურათები“.

რა, ხელი დამტაცა და ქორი რომ წიწილს მოიტაცებს, ისე ამიყვანა, იმ ძელქვასთან ზომართა. მერე მიწაზე დამახეთქა, მცემდა და მიყვიროდა ამ ძელქვანზე უნდა ჩამოვცილო ფეხებითო. მე კინაღამ ვავიციდი. აღარ მახსოვს კარგად, ჩამდევვერ და რა ძალით ვიყვირე. ეს კია, უცებ ხელი შემიშვა, წიხლი ერთხელ ვიდგე დამაყოლა და მერე საღლიც დამეკარგა თვალთაგან.

უაბეგვილმა და ნაცემმა გადაეწყვიტე, როცა გავიზარდები, უთუოდ დავიბერ, ამ ძელქვასთან მოვათრევე, ცემათ ვაგებუთქვე და მერე ზედ ფეხებით დავკიდებ-მეთქი, მაგრამ აღარ დამაცალეს. ვიღაცამ როგორც ქურდი, როგორც ბროკრი და კაცის მკვლელი, ცხენისწყლისპირას ნაქურდალ საქონელს რომ შირკავდა სამეგრელოსკენ, მაშინ დავიბირა და საღლიც, რომელსაც ზეგში ჩააძალა.

რას ერჩოდა ძელქვას, რას უშავებდა? ის ხომ ათის ქარაშხალსა და ქარამბრში იყო გამოვლილი? ბევრჯერ შეუღლეწით მისი ტრტეში, მაგრამ მაინც კლდესავით მდგარა.

სულ ამ ძელქვანზე ვფიქრობდი, დედაჩემის სიტყვა აღარ მავიწყდებოდა, ძელქვასავით მაგარი უნდა იყო. თვითონაც პატარა ტანის ქალი იყო, მაგრამ იმ ძელქვასავით ვაჭირებვას არ უშინდებოდა.

დიხა, სულ ძელქვანზე ვფიქრობდი. ერთხელ კართული ვინს მასწავლებელს კითხვანზე ვუპასუხე, საქართველო იმ ძელქვას მაგონებს, სულ რომ თავს ესხმოდნენ, ღმრღენ, ფესვიანად ამოთხრას უპირებდნენ, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ, ძელქვასავით ტრტემწელეწილი იყო. მაგრამ ვიღაც სპობდნენ-მეთქი.

მასწავლებელს ჯერ ვთუქვარდა მერე ვაბხარდა და იმ დღეს იმ ძელქვის სანახავედ გქსკერსია მთაყუცო. სიხარულისაგან რა შექნა, აღარ ვიცი. მე ძელქვა, რაღაც ისე უბრალოდ, სტიქორად წამომცდა, მასწავლებელმა კი იმ დღიდან მოყოლებული ის სიტყვა ამოიჩემა და ისე ახალ ვაცუთილს ის ასხნიდა, ძელქვა არ ესხნებინა, ცხადია, როცა საქართველოზე უნდოდა ჩამიხს თქვა.

ჰოდა, ახლა ის ძელქვა ისევ აქ ღვას, ათას უბედურებაში გამოვლილი, გლვკაცის მუხლოვით მტკიცე და შეუვალი და მერე აღარ მოვინახულო? ეს როგორ შეიძლება? — წამოვიძახებ ჩემთვის და სარდიონისკენ ვაიხებდეს სარდიონი კი რაღაცას ჟანჯლობდა.

— არა, ვერ წამოვალ! ბუბუტისთან მივდივარ. თქვენც იქ უნდა მოხვიდეთ, ხომ შეგატყობინეთ?

— კი, მართა, ჟერ ხომ არ მოსულა ის კაცი, მოვალე აბა რას ეხანათი—მესმოდა ვასოს და სარდიონის ლაპარაკი. მე მაინც იმ ძელქვის მოგონებებში ვიყავი გაართული, რომ ვასომ

შვილს რაღაც ანიშნა თვალით და წინ გაავიძღვა.

ვასოს შვილმა მთონებულებთან მიჩიბინა. უცებ ბიჭებმა თოხები დააჩრქვეს. მტკიცე შოგმა კალათი, ზოგმა დიქი, ზოგმა ბოთლი დაიჭირა და ყველანი ძელქვისკენ ვაიშურნენ. მერე იმ ძელქვას ქვეშ ათას რამეს ყვებოდნენ, სიტყვას ბირიდან გლეჯდნენ ერთმანეთს.

ვასო მშველიძემ სინდისი და ეს ძელქვა დამიწმინა, დოფიდა და სამჯერ ვაიმეროა, ეს ძელქვა ბევრი რამის მოწმეაო. ივანეს სახე გაუფითრდა, თავი ჩაღუნა და ღრმად ჩაფიქრდა. დიდხანს იყო ასე, რაღაცას იხსენებდა, რაღაცას თითქოს ხედავდა, მაგრამ ჩვენ კი ვერ ვხედავდით ამ რაღაცას, მერე თავი მალღვა ასწია და თქვა:

— მართალი ხართ თქვენ, ბიჭებო. ეს ძელქვა ბევრი რამის მოწმეა, აქ დადებული ბირობა გაუტეხელი უნდა იყოს!

— უნდა იყოს, უნდა იყოს — ყველამ ერთხელ დასძახა.

— ვასოს სიტყვამ ერთი ამბავი გამახსენა. — დოწყო ივანემ, — ჟერ 1905-ში და მერე ნიკოლოზის ვაღპოვების შემდეგ, ამ ძელქვის ქვეშ ვიკრიბებოდი, სამი-ხუთი კაცი ძელქვანზე ავიღოდა და იქედან გვიცავდა თოფებით. ერთხელ მენშვეიკების დროს, დაძაბულად რომ ვიღმუნდით ცენტრიდან მოვლინებულ კაცს, სტეენა შემოგვესმა; ეს იმის ნიშანი იყო, რომ ვიღაც გვეპარებოდა, ვიღაც კი არა, არ ვასულა ზეთი წუთიც და ვვარდილები შემოგვეხვიდნენ ირგვლივ. ატყდა სროლა, ჩვენი ვესროლეთ განწოყვეტლად. საქმე რომ გაიბრუნდა, ამ ძელქვას ამოვუღარეთ და იქედან დავიხებთ, ზოგი ავირ ამ წყალში ჩაწვა და იქედან ისროლა...

— მერე, მერე?

— ვითხრათ სიმაართე, ამ ძელქვამ ასი კაცის საქმე ვაკეთა, ტყვია მას ხედებოდა, მაგრამ რას ვაძანა? ჩვენც მის შერთე მხარზე ვიყავით მოფარებულნი. მერე მუცლით ვიხიხეთ დამეში და იმ თხმელის ფშიარებში მჩვი-მალეთ. სამი კაცი ტყვედ ჩაივდეს, სწორედ ისინი, ზევიდან რომ ვვიცადდნენ. ის უბედურ-ბები აწამეს, სცემეს. მაგრამ სიტყვაც ვერ დაავდივინეს ჩვენი ვინაობის შესახებ, ჩვენ კი, ავირ რატიანების ტყე რომ არის, იმაში შევეცივდი...

— მერე, მერე?

— საერთოდ, ჩვენ ამ ძელქვას ბევრ რამეში ვიყენებდით. აღიხანოვი რომ შემოესოა ჩვენს სოფელს, ამ ძელქვასთან ვიყავით ჩასაფრებულნი და აქედან ვესროლეთ შვარაზმელებს. ეს ძელქვა იყო ჩვენი მფარველი და დამცველი. ერთხელ, ისევ მენშვეიკების დროს, კულაშისა და სამტრედიისი აწაცება რომ დაინიშნა, აქ უნდა მოგვეყარა თავი. თუ ამ ძელქვანზე ვვა-

ლოს ტომარას დაენახადით გადმოვიდებულს, ეს იმის ნიშანი იყო, რომ დანიშნული აქანება მოხდებოდა და აქ უნდა მოგვეყარა თავი ხონელ ბოლშევიკებს.

ალბათ, კიდევ ბევრ რამეს გავიხსენებდით, მაგრამ ახლა ვასომ აღარ დავაკალა. გაშლილ სუფრასზე მივიწვიო.

— მე სხვისი ჩიინი რად მინდა, — მოულოდნელად დაიწყო ვასომ, — ბევრს რომ ვიშრომებ და ბევრს მოვიწვევ, ამით ჩემს ოჯახს უფრო არ გავზარებ? ზარმაცი თავისი მტერია, ბევრით კი თავის მოყვარე. კაცმა კაცს თუ არ ვუჯონა, ისე მიწა რას გავგონენს? მიწასაც თვალს და ყური აქვს. დაგინახავს — შრომობ, არ დაიშურებს შენთვის, შენი კეთილისმღებელი იქნება. მიწა რომ დაგინახავს, გულგაღებულად შრომობ, ივრე თავის გულს ვალაგისლის, გიტყვიც, ამა მიერთე, ღედის რძესავით შეგვრგებავ.

პოდა, მიწა თუ თავის მკერდს გადაგიღებდა, გულს გადაგისხნის, ნუ დაიზარებ, ჩახედე შავ, ამოწიწი მისი სტატო, მიწა რომ ასე გიერთვლებს, შენი მამინ ხელები გულზე უნდა დაიწყო და არ გაანძრო? მერე რა ტყვილი წვენი აქვს, ბიჭო, მიწას ლორთქით სიმინდის ღერო ხომ გავტყობა, როგორი წვენი გამოდის! მერე სიიდან აქვს იმ სიმინდის ღეროს ის წვენი? საიდან და მიწიდან, მიწასაც მკერდი აქვს, იმ მკერდზე რაით გატენილი ძემტებია ასე? სიმინდიც იქიდან წოვს, რძეა, აბა, რაა მისი წვენი? მერე და რას მოგეტყვს მიწა, თუ არ მომლაშე და არ ვასტყე? ამას ხომ შრომა უნდა! ამას ხომ ხელის განძრევა უნდა, ამ მკერდ-გახსნილ მიწის მოვარება და აღვარსი უნდა! მიწა ხომ ჩვენი ღებდა, მერე დედის ღლაბი შეიძლება? მაშ გიბოძელ კიდევ ვთქვით ამ ძელქვის ქვეშ. რომ აქ დადებულ ფიქს არ გავტებთ, აღებულ ვალდებულებებს შევასრულებთ.

— შევასრულებთ, შევასრულებთ! — კიდევ ერთხელ გაისმა მათი ვაჟკაცური ხმა.

• • •

უკვე იელისია, მაგრამ უკვლავ თითქოს მისისებური სტრენილი სცემა, გაღვიძებული ბუნებას წიაღში ადამიანი ეს არა, ავრ მკენარეც ლოდლ ზარობს, გაზაფხულს თავის ნედლ ანოღებში ადრიაინადე სიციცხლე ჩასტკობია, ზატხლონათვის თავისი სიციცხლე გდოუცია, მოწინდელ ცას ლილისფერ ზღვაში ფრთები გაუღია და მშვიდად დაჰყურებს ცხენაწყლის პირას ტყვეთოდ აფსტესებულ აზამიანებს. ამათგან ზოგი მუხების ჩრდილქვეშ დგას, ზოგს კი წყარობისაყენ ვაუვაება, ხოლო მარჯვნივ, სადაც ვასტლ წელს ბუხტიმ

ქვარნალი გასტეხა, სიმინდის ყანების გახურებელი თონა.

სიმინდებს გავხედვ. თვითველი-მცენარე ისე ჟანსლად, ისე ლონივრად გამოიყურებოდა, გვგონებოდათ ბოსტანში სილაზისათვის ჩაოცნილი რამდენიმე ძირი სიმინდი არისო, სინამდვილეში კი რამდენიმე კი არა, ორმოცი პექტორი სიმინდის ყანა ზღვასავით ღელავდა. თვითველი პექტარზე ორმოცი-ორმოცდახუთი ათასი ძირი სიმინდი იყო.

მიწის წვენით დაბერილი სიმინდის ფესვები, რომელნიც ღრმად მიიწვედნენ ნიადაგში, რაღაც წარმტაცი სანახავი იყო. თუ როგორ უხილავდ, თვალის შეუმჩნეველად აწოვდა ნოყიერ წვენი თითოთელი მისი ფესვი და ჩვენს თვალწინ როგორ იფლებოდა გემრთელი საკვებით იჯრ ამას კითხვა აღარ უნდოდა. ნიადაგიც გულდაგულ დაძვეებულ იყო, არც ეს იწვევდა აქვს იფანეც და ჩვენც ისე გულგობრვით შიგ როგორც მზარად ნახავში ახალ ნაწივარზე არც იმს უნდოდა კითხვა, რომ მიწა მომლაშე იყო იყო, მს მოწითალო, თიხანარევი ღერი კი არ დაჰყავდა, არამედ მოშავო-მონაცრისფრო. ვასაგები იყო, რომ ბუხტიც, ამ ყოველ ქვარნალსა და ქვენარში, შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის პირასაც მიუშვია წყალი. ვარდა მიწის ფერისა, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ მთავარი ფართობი პატარ-პატარა არხებით იყო დაქსევილი, ხოლო თვითველი არხი, შლამით სავსე, ფსკერზე მიწა აღარ ჩანდა.

ამ უჩვეულო სანახაობის შეცნობისთვის წიგნი და მისი მეცნიერული საფუძვლების მოკვლევა აღარ იყო საჭირო, თავად იყო იგი ცხოვრებაში განხორციელებული მეცნიერება და კარგად დაწერილი წიგნიც. მთავარი ახლა ის იყო, ვადაგეზალი ეს წიგნი და ჩაგვებდა შიგ შრომასა და სიციცხლეს შევარებულ ადამიანს თვალთ. ეს ფრთაშესაძელი წიგნი, მართლაც, ჩემს წინ იყო გადაშლილი ბუხტიცის სახით.

შევონა, მის გულში კარგად ეყავი ჩაბეღული. თუ რაიმე მჭონდა კიდევ ამოსაცნობი, აღარ ვთქვობდნი. ახლა კი ვხედავ, რომ ეს წიგნი მთლიანად არ წამიციოხავს, თურმე მისი პირველი თავფურცელი ამომიციოხავს, დანარჩენი კი არა.

ახლა როცა ამ ბევრთად დამუშავებულ მიწაზე, ამ უჩვეულო, მისი აკისათვის შეუფერებელ სიმინდის ყანას ვხედავ, ვრწმუნდები, რომ ბუნებრივ ფერო რთული და ბევრად უფრო მრავალფეროვანი ადამიანი ყოფილა, ვიდრე მე ვიცნობდი, მაგრამ ახლა იმთავით ვარ კმყოფილი, რომ მთავარი ძარღვისათვის მაინც ჩამივლია ხელი მის ხასიათში. ის მთავარი და ძირითადი მერე კიდევ უფრო განვითარებულა და იმ სახით წარმოიშვა, როგორსაც ახლა ვხედავ. შეიძლება, ეს განვითარება არც ახლა იყოს

დასრულებული, შეიძლება, ის მომავალ წელს კიდევ უფრო უკეთესი გვეჩვენოს და ისე უწყვეტლად იზარღოს და იზაროს მასში კარგი აღმშენებლის კარგმა თვისებამ. ამ თვისებებს ხომ ვერც შლამით და ვერც ქიმიური სასუქებით განაყოფობდნენ და ამოზარდი აღმშენებლის გულბლან? მაშ, ვინ ვამოსჭედა იგი ბუხურის სულში, მის ორგანიზმში?

მოდ, ახლა ამას თავი დაეინებოთ, ნულარ ჩაეყვებით ქვეით-ქვეით, სჭობს აგერ ივანეს, ამ ძველ, გონიერ კაცს მივსდეთ, როგორ განცვაფრებულნი შევსურებებს იგი თვითველ სიმინლის ღეროს, შერამდენევერ მოიდრიკა წელში, შერამდენევერ გამოტრინა სიმინდს ფესვები და მიწა წაყვარა.

ველარ ვაყვებ, სულ წინ-წინ მიდის, კი არ გავუტრებებს, მივსდეთ თუ არა, მიაბიჭებს და მიაბიჭებს ეს წვერიანი, ნაცრისფერ ჩოხიანი მოხეცი, მიაბიჭებს შავრად, და ისე მგონია, თითქოს მასზე ვიყო თოკით გამობმული, მივსდევ და მივსდევ, ის კი შინაღ მიდის წინ. აი ვაყვია ბოლოში, თავს გადაადგა კბოღეს, ქვევით, უფსკრულში, ცხენისწყალი მიგრიალებს, მიხმარობს, ტალღებს ტალღებზე უტყვამს.

უცებ კბოღე მოირღვა და ხრიალხრიალით ჩაეშვა შიგ. ერთი წამი ღა, აღბათ, ორივენი იმ აქაფებულ ტალღებში მივეყმდით თავს, ბუხურტარ სწრაფი ნახტომი რომ არ გაეკეთებინა და მისი ღონიერი მკლავების ძალა არ ვევერჭნო.

საოცარია პირდაპირ! მე აღმშენებლის ღერი არ შედგ, ივანეს კი არაფერი ვტყობოდა კიდევ წინ მიიწედა. ამქარად შავრად ჩავაფრინდი ჩოხის კელთაში და უკან დაესწიე, ისიც დამწებდა, ბლარ ვამიძალიანდა.

— რა იყო, ბიჭო, ასე გიყვარს ეს ვადაფრეხებული ბერიკაცი?

— როგორ გეკადრებათ, ბიძა ივანე, შენი ერთი სიტყვა ჩვენთვის ყველაფერია — დამსწრო ბუხურტიმ.

— შარტლა, ბიძიყო?

— შარტლა, შარტლა — ეფთხარი ივანეს და თვალში ჩაეხედ. სიღრმეში წასული მისი თვალებიდან, ცხოვრების დიდ დარჯავში გამოვლილი აღმშენებლის ჭერ კიდევ ჩაუშკრალი ცეცხლის ნაქარწყლები ცვიფოდნენ. შეჩვენებოდა, რე ამ ცეცხლოვანი თვალებით ვადასუქებოდა ხეობას, მიგნებებოდა, თანდათან ფარაოვებოდნენ ეს თვალები და უფრო შორსმჭერბეტლანი ხდებოდნენ.

• • •

ისევ ბუხურის უანსაკენ ვიბრუნეთ პირი, ეს ადგილი მე შარშან ვნახე, სულ ჭავჭარი იყო, იმაზე უფრო მეტად ვკადარბებოთ საეესე, ვინემ ეს პირველი ნაკვეთი, რომლიდანაც

ამ მოვლევანა ბუხურტიმ. მაშინ კარგად ვხედავდი ამ ჭავჭარს, კიდევაც მიხედოდა, მასკენ მიბიჭვა ბუხურტისათვის, შავრამ შემეცუდა, ნამშენტიანი არ დავდარო, თვითონ მიხედება, როდის გატეხა-შეთქი, ხედავ ახლა რა ვაუკეთებია? სწორედ ის ჭავჭარი ვაუტრინია!

ბუხურტი მიაბიჭებდა, სტუმარს რაღაცას უხსნიდა და თან გულში ფიქრობდა, ამ ახლად გამოროდებულ სიმინდს ახლა ისე დამოყვანიან, რომ ბელშეორედ გასათობნი გამიხდებო, მაგრამ არც ასე იყო საქმე, ფრთხილად აღვამდენე ფხს, თუმცა ნამშენევი მიწაში ფეხებუ ეფლოზობდათ და სიმინდები ალაგ წალამდის და ალაგ მყარდამდის სწევდებოდათ.

სიმინდის ძირების ღეროებო, მისი სიმსხო, აღნავობა, წყლიანობა, ფოთლიანობა და მუხლიანობა, მაღალი მოსავლის დიდ ოსტატეს, რომელშიც გასულ წელს ორასი ცენტრერი სიმინდი მიიღო მექტარზე, თავისთავად ეუბნებოდა ყველაფერს. იგი გონების თვლით ერთ წუთში თავის ყანას წარმოიდგენდა, ხოლო მეორე წუთში, აგერ მის წინ გადაშლილი სიმინდის ტევრს ხედავდა ველარ შეატყობდით, საით მიუწევდა გული, რომელი ხიზლავდა და იტაცებდა მის ბეგრის მნახველ თვალებს.

რაიკომის მდივანიც ამ იყო. იგი მოხერხებულად იქცეოდა, ორივეს ერთმანეთზე უბიძკებდა, აქებებდა, შავრამ არა შოროტელ, არამეოთ სასიკეთოთ, ისე, მეტი ენერჯიის გამოსაყვანად. მათ შორის უფრო მეტი ინტერესთა კიდილის გამოსაწეევად.

შეაქო რა ორივე მესმინდე — ბუხურტი და აკვირობებოდე, მივიამთა თქვა:

— სიმინდი ძვირფასი კულტურაა, შევობაუბო...

— ვითომ? — ვაისმა ვიდაცის წამოძახილე.

— ვითომ კი არა, ნამდვილად ასეა, ამხანაგო! — იუწია ხმას მიხეილემა.

— საქართველოში სიმინდის წარმოებას დიდი ისტორია აქვს, ამას წინათ ერთ წერტილში წაიცილობე: „სიმინდი წარმოადგენდა ჩვენს ქვეყნის მოსაზღვრის, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მშრომელთა არსებობის ძირითად წყაროს. სიმინდი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საზღვარგარეთ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებით. შარტო ქუთაისის გუბერნიიდან ყოველწლიურად ექვსი მილიონი ფუთი სიმინდი გაჰქონდათ გასული საუკუნის 80-90 წლებში. რუსეთიდან ვატიანი სიმინდიც მთელი რაოდენობიდან იმ დროს საქართველოზე მეოთხედი მოდიოდა. საქართველოში მოწეული სიმინდის ბარისხა ყველაზე მაღალი ყოფილა“.

— ზედავ რა აშეებია? ბიჭო, ამდენ სიმინდს თუ იწევენან მაშინ და საზღვარგარეთ გაჰქონდათ, ახლა, ჩვენი ტექნიკის დროს, უფრო მეტი არ უნდა მოვიწიოთ? ექვს მილიონ ფუთს

ებნებები შენ? ისიც მარტო ქუთაისის გუბერნიიდან— გაოცებული იყო ბავრათი, აღარ სჯეროდა ამ ცნობის, მაგრამ რადგან მდივანი ამბობდა, მამასადამე ტუტული როგორ იქნებოდა. ასეთ ფიქრებში იყო ის, რომ ივანემ ხელები ფარითად გაშალა.

— ვაჟიშვილო, გუშინწინ მეც ამოვიყიბებ ერთ ვახუშთი ასეთი ამბავი; იქ კიდევ უფროს სანტერესო რამ იქნება: „1862 წელს ლონდონის მსოფლიო გამოფენებზე სპატიო დახასიათება მიუღია სოფელ ყვარლიდან წარგზავნილ სიმინესს“.

— აა, კიდევ მტუტვით, აღარ ვაიყვიროს! კაცო, ლონდონში და ისიც ამა წლის წინ? პოდა, რატომ მეტუბნები შენ, მუზობელი, არ გაოცდეთა, შეისმინე რა თქვა? — ელაგებოდა ბავრათი ვისილ მშველძებს.

— განა ვასო არ ტყვირდა, ძალიანაც უყვარდა, მაგრამ ამიტომ იყო გაყურებული, ეგებ კიდევ რაიმე ახალი თქვას მოხტემაო.

— თქვენ რას იტყვიან, მდივანო? — რატომღაც უფლის გასაკვირად შეეკითხა ბავრათი მიხეილს. მდივანს ვაეციანა და თან ვახუარდა, რომ ლაპარაკის საზაბი მიეცა, მას კიდევ ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ შაშინ ივანემ შეაწყვეტინა, ახლა კი მიინც იტყვიან თავის სათქმელს, აი კიდევაც მოეშადა.

— ივანემ სწორი ცნობა მოიყვანა. ეს მართლაც ასე ყოფილა. აქედან რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? ის, რომ სიმინდი, მართლაც დედოფალთა და მეფეც ყოფილა, მას წინათაც დიდი დღავსება ჰქონია და ახლა ხომ აქვს და აქვს, ამიტომაცაა, რომ ახლა საქარბველში მარცვლულ კელტურებს შობის სიმინდის ნახევარი ადგილი უქირავს. წელს საქარბველში სამოციანთასი უხემოსავლიან ნადავებთან თითოეულ პეტრარზე სამოცი ცენტერი უნდა იქნეს მიღებული ეს პატარა საქმე როდია. წელს ჩვენ რაიონში ფართოდ გამოვიყენეთ ჰიბრიდული, დარაიონებული და დავალირებული თესლი. სიმინდს სამჭარ გავითონით, სასუქს აღარ მოვაკლებთ, არავერს დავიშურებთ იმისაფვის, რომ ნაყისრი ვაღებულეებები ვაინაღდოთ! — რაღაც მოხსენებისებური გამოუყენდა მიხეილს, მაგრამ იგი, როგორც მდივანი ასეთ შემთხვევას როგორ ვაუწყებდა ზელიდან, რომ რაიონის გეგმები აღარ შეეხსენებინა კომმუნარებებსათვის. უნებ, თითქოს რაღაც გაახსენდოა, უცნობრად ვახუდა ბუხუტის, მერე მხრებზე ხელი დაჰკრა, მარჯვენა აჯაკის ვადახლო და უთხრა:

— იციო თქვენ, რა ვაიყეთა წელს ბუხუტში?

— არ ვიცი, ამხანაგო მიხეილ.
მან გამოიკონა თრმჭკრავად სათესი მანქანა, რომელიც ერთსა და იმავე ღროს სინინდის მარცვლასა და სასუქს, გნებათ შლამს, ერთად

უშვებს მიწაში. მერე, იცი ეს რამხელა საქმეა? ძალიან დიდი ერთი რომ, ზღვიერ მხოლმას-მეტირებს საგრძობლად. მერეც, მერეს ვაწყვეტრების უნებარი საშუალება, ხომ ასეა, ამხანაგებო! — მიმართა ირველივ შეკრებილო.

— ასეა, ასე! — დაემოწმენ ყველანი ერთად.

— გასაკვირებელია ჰირდაპირ!
— რაა გასაკვირებელი, ვასო?

— ისე მეკითხები, თითქოს შენ მაგ საქმის პროფესორი იყო, რაა და ბუხუტის მაგ გამოგონება. არ ვასოსეს, შენმა ერთმა მეზობელი, ვახუე ქუსლის წამოგებაც რომ არ იყოლა? ამ კაცმა კი ერთი ვაღლებით რაი მჭკრევი ჩათესა, ისიც სასუქთან ერთად. ახლა იღუ შენ, შლამს თუ სასუქს რადერ მოშვირინედ ხარჯავს, პირდაპირ გასაკვირებელია, მარა ვითომ მართლა მისი გამოგონებაა?

— აბა, ვისია?

— არა, ისე ვამბობ, სხვისაგან ხომ არ ვაღმოდია-მეთქი! — კიდევ დაჰკვირებულად თქვა ვასო შევლიძემ.



მიხეილი ახლა ჩაის პლანტაციებიდან ამ ერთი თუ ორი საათის წინ მოსულიყო, იზოლდა წოწონავაც თან მოეყვანა. მას ახლა სულ შეუანედ მოჩარდახებული ჩაის ბუჩქები ევდა თეაღწინ.

იზოლდას ძალიან ენანებოდა აქ წამოსვლა, მაგრამ მდივანს ხათრი ვერ ვაღტეხა. პოდა, რაკი იზოლდაც, ამ კოლმეურნეობის წვერაც აქ იყო მათ შობის, მიხეილმა ახლა არც ჩაი დასატრევა უფროადებოჯ. დასტოვა კი არა, გვიან ღამით, რომ ჩაინება, სიმშარშიაც იგი ეღანდება. მაის-ივნისის გეგმა რახანა შეისრლა ჩაიონში, მაგრამ გეგმა რაის ახლა გეგმა კი არა, ვაღებულეება და ვაღებულეებაზე კიდევ წარმატება კანონად ქაედალი. ცეცხლი აქვს შენთებული! უთენია ჩაის ფართობებშია, ხან ერთ სოფელი ამოყოფს თავს და ხან მეორეში. ისეთ ღროს წაადგება თავს ჩაის მკრფაეებს, ფაქრშიაც რომ არ არიან, აბა, ასე თუ არ მოიქცა, წელს გეგმაზე ზევით ზეთის ტონა ჩაის მიღება რომ იესირა, რახანა რად შეასრულებს?

ღუედაღამე გასწორებული აქვს მიხეილს, ამიტომ მოსულა აქ შესიმინდეებთან, ამიტომ შემოიარა ამ დილით ყველა უბნების ჩაის ბუჩქები.

პატროსანი, აეკარვინი, ნამუსიანი კაცია. ასეთ კაცს სულ ერთია, ზღმძღვანელი იქნება იგი თუ არა, თავისივე გულის სიმწინდე და პატროსნება უმსუბუქებს შრომას, ჩანაირი ძნელიც არ უნდა იყოს იგი, რაც უნდა დაღლილი მოვიდეს შინ, რაკა მთელი დღის ნა-

ქოლფარის გადახედვას, გაყვებულსა და გადწვეტილს, თავის გულში ნადიქრალს შეაღარებს, და მათ შორის ვერავითარ ზმარსა და ხინსს ვერ აღმოაჩენს, იგი მაშინ მშვიდად გრძნობს თავს, ხეაღინდელი დღისათვის ფიქრები აღარ შორდება, მაგრამ მაინც მშვიდდება, მაინც ისვენებს, რადგან თავის გულთან და ხელხთანაც პირნათელი და მართალია.

განა უცხოა მისთვის სიმინდის, ჩაის თუ ვენახისათვის შრომა? განა თვითონ არ უღერია ოფლი ვახუტებულ მიწაში? მოსწავლე იყო და თავის სოფელში ყოაბ-ბიჯს ემსახურებდა, სტუდენტი გახდა და პროფესორები თვალრიდნარ იმორბუბლებდნენ, მასწავლებლები იყო და დიდი და პატარა მასწავლებლებს ემსახურა, ოწი იყო და ჭარისკაცები სულში აძვრენდნენ, მაიორის წოდებით დაბრუნდა და ისევ სკოლას მიაშურა, პირველი მდივანია და ყველას ვულისძაფებს უხმინებდა, სასიამოვნოდ ეწვევა ყველას ბეჭითი შრომისაკენ, რომელმაც ცხოვრების ამ დიდ შარავნაზე გამოიყვანა.

იგი არ ეკუთვნის იმ აღაშინებს, რომელნიც მაღალ თანამდებობებს მიიღებენ თუ არა, თავს მაღლა სწევენ, მან კარგად უცხს - დედაენიდან, თავს მაღლა ეინ სწევს. იცის და ამიტომაც ახლა ამ ხალხში თავმდაბლად, შინაურულად დატრიალებს, სიმინდის ზღვის უყურებს და ჩაიხე ელაპარაკება მის ირგვლივ თავმყარდით, ისოლდაზე ლამაზაობს და სარდომან უხუზრის, სარდომანი კი ვახარებელია, რომ კოლმეურნეობაში ისეთი ჩაის მკრეფავი ჰყავს, რომელსაც იშვიათად მოუძებნება ბადალი.

• • •

უკვე მოსაღამოვდა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მე და ბუბუტიმ ფეხით ვადმოვივრით ვანები. მოვიდოდა და ყოველ ფეხის ნახაფზე ბავშვობას ვიგონებდი, ფიქრებში წასულს რაღაც გულზე შემომაწვია, ბევრი რამ მომაგონდა ამ ატეხილ ქალებში, წყაროების ახლოს. წამოშლილმა მოგონებებმა თავისი გლეხური ტრიალით, აქ გატარებული უსიხარტლო დღეებით, მიწასთან ბრძოლით, ცხოვრებასთან კიდლით, ბევრი რამ გამახსენა. ბოღმასივით შემომიწვია ის რაღაც ყელში, მაგრამ ყველაფერი გადამაიწვია უცებ. წყაროებთან ზემო ძეკული შეხოხობდი, ას ცხრა წლის მოხუცი, სარდომან ქვათელაძე დაივინახე, მაშინვე მისთან გაენდით, ამ ბრძანსა და დავრდომილს, ცამეტი წელია სინათლე აღარ უნახავს, აღმათ, კოდეც ვადამიწვია რა ფერი აქვს ცასა და ამ მიწას, სადაც დღეობად ოფელს ლერია იგი. თურმე ბავშვივით აღრეგებია, წყაროები და ცხენისწყალი მაჩვენებ სიყვდილის წინო და მისწუ-

ლებს აქ მოეყვანათ, წყაროს წყალი დავდგინებიათ, მერე ცხენისწყლის ხმარულ ჯოგე-გონა მის ნახართან მისვლა ეთხოვა ბიჭებისათვის. იმათაც გული არ დაეწყვიტათ მოხუცისათვის.

ბრმამ ხელების წყალში ჩადება მოითხოვა. ჩავადებინეთ, დიდხანს ჰქონდა შიგ დამკენარი, დაღველა, სულ ძარღვებად და ძელებად ქცეული ხელები. ძლივს ამოვიყვანეთ, დამკერხას პეშვით შეისხა წყალი, იქიდან კი სიმინდის ყანაში გვითხოვა აყვანა, ესეც შევესრულეთ. აქეთ-იქით ვედქვით მხრებში. ხელებს იფთხებდა. რაღაცას ეძებდა სიმინდს, რამ წაველო თითქმის, ფეხებიდან დაწყებული ფთხებამდე დიდხანს უსვია, მერე ის ლორთქო ფთხელები ლოყაზე მიიღო და გაიტრუნა, სული განაბა. შევეშინდით, ხომ არ გთავდა ბერიკაციქო, ნელა შევანძრიეთ, ისიც შეირხა, გამოგვეხმარა, ცოტა კიდევ მიცალეთო, ისევ გაიტრუნა, თითქმის რაღაცას ენერჩნულებოდა სიმინდებს, ტუნებს აემაცუნებდა. მერე გარღმა წავაჯა რამ დაუბერა და მუხის ვანიერმა ტოტებმა შრიალი დაიწყეს, თავი წამოწია და იკითხა:

— ეგი რაა, ბიჭებო?
— მუხაა!

მაშინ იგი ზაფქრდა და ისევ გაყურდა. მერე თითქმის მესხიერებაში რაღაც აღადგინაო, წამოიყვანა:

— მიმიყვანეთ, ბიჭებო, ხელი მომაკიდებინეთ!

ძლივსწლივობით მივიყვანეთ. აქ რაღაც ტყნაურა ამბავი მოხდა: დამკენარი, ძირს ჩამოვიარდნილი მკლავები ახალგაზრდასივით ვაშალა და ბავშვივით შემოვხვია მუხას, ველარ მოვაშორეთ: უხეოდა, სუტყუნებდა, კენსოდა და მიფშუტულ თვალებში ცრემლი სდიოდა.

ჩვენც კინაღამ აეტირდით, რაღაც კინაღამ, თვალბოდან ცრემლები წაგვსვლა სტიქიოდ, რაღაცამ ისე დავერია ხელს, ისე შევევარყვია და ისე დავბარბაცდით, რომ ფეხზე ძლივს დაედქვით.

მაღე მოხუცი შინ წაიყვანეს. მე და ბუბუტი კი ისევ სოფლისკენ გამოვეშტრეთ.

ბუბუტის თობი მხარზე გავლეთ და ისე მოვდიოვით ორთვენი, ზოგერც ეს ჩემი ბიჭობისას მიყვარდა.

ცხენისწყალი ისევ ხმარობდა, ჩემი გული მის ხმარს დედის ჩურჩულივით გრძნობდა. მესმოდა მისი ომაზიანი ხმა, ვგრძნობდი მასში მშობლიური კეთხის სიბობს და მეც მსუბუქად ვაღვამდი ფეხებს ჩემი ქარხნაბის მაღლიან მიწაზე, რომ ამ დალოცვილ მიწას ჩემგან არაფერი ეტკინოს-მეთქი!

კ ა ლ ე ვ ა ლ ა

ფინური ეპოსი*

კუნა პიკველი

მე ამიტანა სურვილმა ერთმა,
მე ფიქრი ერთი აღარ მასვენებს,
ზინდა დაეწყოს სიმღერა მელაგრი,
ზინდა დიდება ვუმღერო გმირებს,
ვით უმღეროდნენ მამანი ჩვენი,
უკვდავნი ბრძენნი და გმირნი თავად.
აჰა, ილტვიან სიტყვები გარეთ,
ზოისწრაფიან სიტყვები მძლავრი,
აჰა, დნებიან ბაგეთა ზედა,
დიდებულ ამბად იძვრიან უკვე.

მახლობლო და ძვირფასო ძმაო!
სწორფერო ჩემთა ბავშვობის დღეთა!
სიმღერებს ერთად ვიმღერებთ ორნი,
ამოგაშუქებთ გულიდან სიტყვეს.
ერთმანეთს ვხედებით ძალიან ძვირად,
ძალიან ხშირად გადიან წლებიცი;
ახლა კი ორი დაეტოვეთ მხარე
და ერთმანეთი ვიხილეთ ბოლოს,
სადაც გაშლილან სივრცენი შწირნი,
ყინულის მხარე გაშლილა სადაც.

მომეცი მძლავრი ხელები შენი,
მაგრად ჩაგვიდოთ თითები თითებს,
სახელგანთქმული ჰანგები ვტეკოთ,
მოდი, დაეწყოს ყველაზე კარგით.
ჩვენი სიმღერის მომხიბლავე ხმაზე,
დე, მეგობრები გადიქცნენ სმენად,
უბირთა ყრმათაჲ მიაპყრან ყურნი
და წინაპართა შეივრინონ სიბრძნე-
აჲ, კალევალის სივრცეთა შინა,
სადაც მრავალი გაშლილა მდელიო,
მე მოვეუყარე თავი იმ სიტყვებს
და შევავროვე ჰანგები იგი,
ვეინემეინენა რომ ქონდა წელზე,
ილაპარაკენს კი ქურაში ცხელში,

კაუკომელის ნაჯახსა ზედა,
უკაოხაინენს ისრების პირზე.

მაჲ მამაჩემი მღეროდა, მახსოვს,
ტარს ნაჯახისას რანდავდა ოდეს,
მათ მასწავლიდა მშობელი დედა,
ძაფს თითისტარზე ართავდა ოდეს.
მე მათ ფეხებთან ვფორთხავდი მაშინ
და ვეჩვეოდი სიარულს ფრთხილად,
რამეთუ ბავშვი ვიყავი მცირე
და ჩემი საზრდო რძე იყო მხოლოდ.
სამზოზე მღერდნენ მშობლები ჩემი,
ცბიერ ლოუხის ჯადოზე მღერდნენ
და ბერდებოდა ამბებში სამზო,
ხოლო ლოუხის ლუპავდა გრძნება,
ვიპუნენს კლავდა სიმღერა მძიმე,
ლემინკაინენს ისარი მჭრელი.

შემომინახავს სიტყვები ბრძნული,
შემომინახავს საკმაო ცოდნა:
ზოგი მათგანი ვიპოვე გზაზე
და მანანაზე მოვტეხე ზოგი;
ზოგი კი დიდხანს ვავროვე ველად
და მოვამტვრიე პატარა ბუნჩებს.
ეს მოხდა მაშინ, როს ვიყავ ბავშვი,
როცა პატარა მეჯოგედ ვიყავ
და ფეხშიშველი მივსდევდი ხოლმე
დამწეულ ძროხებს — ზურკის, კიმოს,
სადაც გაშლილან ველები თაფლის,
ოქროსფერია ველები სადაც.

ყინვამ მომითხრო სიმღერა ბევრი,
ჩამომიტანა ზეციდან წვიმამ,
ქარმა მომხერა ჰანგები უცხო,
შემომთავაზეს ზვირთებმა ზათქით,
ჩიტებმა ლექსი გამიწყვეს უკებ,
სიმღერის ნიჭი მომადლეს ხეთა.

ეს სიმღერები ერთ თლიან კონად,
ერთ ურღვევ მორგვედ შევკარიმ კიციდ
და მივაგორე მაჩხილთან მორგვი
და შევაგორე მარხილზე ფრთხილად.

* ფინურ ეპოსს „კალევალას“, რომელიც
თარგმნეს მ. მაკავარიანმა, გ. ძნელაძემ და შ.
ჩანტლაძემ, სცემს გამ. „საბჭოთა საქართველო“

იგი სახლისკენ წავიდე შემდეგ და მივიტანე არდემულთან იგი, სპილენძის ყუთში ჩაეზღე მარად, დაემაღე ბედლის იდუმალ ბანზე.

ეს სიმღერები უქნად და უხმოდ ზამთრის ყინვაზე ეყარა დიდხანს. ხომ არ აჯობებს პანგების ყუთი წავილო სახლში და დავდო სკანზე, სახლში, რომელსაც კარგი აქვს ერდო, რომელსაც ერთობ უხდება ქერი. აწ ყუთის გახსნა ჯობია იქნებ, ჯობია სკივრი ავხადო სწრაფად და მორგვის გორას გამოვკრა ხელი და მორგვი იგი დაემალო ისე?!

თუ მომიტანეს ახლი ლუდი და შავი პურის ნატეხი მცირე, მაშინ სიმღერებს ვიმღერებ მძლავრად და ყველა მსმენელს სიამეს მოვფერი. თუ არ მომართვეს სასმელი რამე, პურის ნატეხიც არ მომცეს ვაჯაკს, გამშრალი ყელით ვიმღერებ მაშინ, ანდა გადავიღო მარტოდენ წყალზე, რათა საღამო გავიდეს სწრაფად, სწრაფად წავიდეს წყვილიდი ღამის, რათა გათენდეს სოფელში აღრე და სიხარულით დაიწყოს დილა.

• • •

მომისმენია ღალადი მძლავრი, სიმღერის შექმნის ვყოფილვარ მოწმე. ცალად მოდიან ღამენი ჩვენთან, აქ თითო-თითოდ მოდიან დღენი, ვეინემეინეც, გრძნეული დიდი მომღერალი და—მკყრობელი პანგთა ამ ქვეყანაზე მოვიდა მარტო ცალად მოვიდა ამ ქვეყნად იგიც. ის დიდებულმა დაბადა დედამ— ის იღმატარმა გარიცა ზღვაზე.

ზეციერ სივრცის ასული კობტა, შემოქმედების ტანადი შვილი, ქალწულთა შორის ცხოვრობდა დიდხანს და იქ ქალწულად რჩებოდა თურმე, სადაც უსაზღვრო სივრცეა მხოლოდ, მწუხარე სივრცე გაშლილა სადაც.

ბოლოს მოსწყინდა ამგვარი ყოფა, უცნაურობად ჩასთვალა ბოლოს, განმარტოებით ცხოვრება მძიმე,

წმინდა ქალწულად დარჩენა მარად, სადაც გაშლილა საუფლონი ზეცის, სადაც დუმილი მეუფობს ოღუნი.

დაბლა დაეშვა ასული მაშინ და გადაეშვა ტალღებში ზღვისა, შიშველი ტანით ვანერთხო ტალღებს, ზღვის ხერხემალზე გადაწვა ტანით. უცებ სასტიკმა დაბერა ქარმა, აღმოსავლეთით დაბერა უცებ, ზღვა მოკამკამე აიძღვრა ქაფით, ცად აღიშართნენ ტალღები მღვრიე.

მაგრად ანჯღრრა ასული ქარმა, გაუტყლაშუნა ტალღები ტანზე, დააქანებდა მოქნეულ ზღვაში და ქაფორეულ ტალღათა ზედა, ქარმა შთაბერა ნაყოფი ასულს, მისცა სისაესე ზღვამ ბორცნეულმა.

შემოქმედების ასული ნაზი, დაატარებდა უძძიქს ნაყოფს; დაატარებდა წელიწადს შეიდასს—, ცხოვრებას ცხრასა ადამიანის. აღარ დგებოდა დღე იგი მაინც, აღარ ჩნდებოდა ნაყოფი მძიმე.

ეხეტებოდა წყლის დედა დიდხანს, უსაზღვრო წყლების ოთხივე მხარეს, შემოიარა კიდენი ზეცის, ნახა ციური ქვეყანა ყველა. უწმინდეს საშოს სისხვის გამო, მას ტკივილები სტანჯავდა დიდი. დღე იგი აღარ დგებოდა მაინც, აღარ ჩნდებოდა ნაყოფი მძიმე.

მწარედ ატირდა ასული მაშინ, ჩუმად ატირდა ასული ბოლოს: „ევი, მე—დევენის სასტიკი ზედით, მოხეტიალეს მღელვარე ზღვაზე! იმით რაიმე მოვიგე განა, პაერიდან რომ გადმოველ წყალში?! რომ მძიმედ, მანჯღრრეს ტალღები მღვრიე,

რომ მერევება გრიგალი მძაფრად, მდინარემაზე გაშლილი წყლების, ასე უსაზღვროდ გადახანილ ზღვაზე?!

არა, დარჩენა ნამდვილად ჯობდა პაერის ტურფა ასულად ცაში, ვიდრე ამ ცივ და უსაზღვრო წყლებზე ამავე წყლების უბედურ დედად. აქ, სიცივე და ნამია მხოლოდ, აქ, ძნელი არის გაძლება ძლიერ.

ო, უკოვ, ღმერთო უზენაესო!
ვინაც ატარებ ანხელა ზეცას!
მღელვარე ზღვაზე დაეშვი წამით
და განაწამებს ნუფემად მექმენ!
შენ განარიდე ტკივილი ასულს,
წამებისაგან იხსენი ქალი,
ნულა აყოვნებ მოვედ, ო, მოვედ,
ო, მოვედ, მოვედ მეოხად ჩემდა!"

ამ ლოცვის შემდეგ სულ მცირე
ხანი,

სულ ერთი წამი გავიდა ალბათ,—
ლამაზი იხვი გამოჩნდა ცაზე,
მოარღვევს ჰაერს ლამაზი ფრთებით
და ზღვაზე საყრდენს დაეძებს ყველგან,
რომ გაიკეთოს ლამაზი ბუდე.

ზღვის ზედაპირზე დაფრინავს
სწრაფად,

მოივლის ზღვების ოთხივე მხარეს
და ვერ პოულობს შესაფერ ადგილს,
მცირე ადგილსაც ვერსად პოულობს,
რომ გაიკეთოს ლამაზი ბუდე,
რომ აიშენოს პატარა სახლი.

გაფრინდა, თვალი მოავლო
ირგვლივ,

დაფიჭრდა წამით, წარბოსთქვა ასე;
„თუ ქარიშხალზე დავიდგვი ბინა,
თუ მცირე ბუდე დავწინი ზღვაში,
მას ქარიშხალი გაჰფანტავს უცებ,
უშალ წაიღებს მოძრავი ტალღა“.

დღედას მოესმა სიტყვები მისი
და ილმატარმა ასულმა ნაზმა
სიღრმიდან მუხლი ამოყო ზღვაზე
და ცალი მხარი ასწია ზევით,
რათა ფრინველმა დაიდგას ბინა,
ლამაზმა იხვმა დაიწნას ბუდე.

შემდეგ გაფრინდა ლამაზი ჩიტი
და საოცრება იხილა შემდეგ:
ცისფერ ტალღებში მღელვარე ზღვისა
წყლის დედის თეთრი მოჩანდა მუხლი,
მუხლი კოლბოხად წიღო უცებ
ამწვანებულად ჩასთვალა კორდად.

მიმოიხედა, მიფრინდა ახლოს,
კობტად ჩამოჯდა ასულის მუხლზე,
იწყობ კეთება ლამაზი ბუდის,
და უმცირესი კვერცხების დება,
მან ეწვია კვერცხი ოქროსი დადო
და რკინის დადო მეშვიდე კვერცხი.
ის დიდხანს იჯდა კვერცხებზე კრუხად

და მონდომებით ათბობდა კვერცხებს,
იჯდა დღე ერთი, იჯდა დღეორთხუთხუთ
ქა, მესამე დღეც, საცააგავნო
და ილმატარმა შეიგინო უცებ
სასტიკი წვა და ტკივილი მუხლში,
თითქოს და მუხლი მოიცვა ალმა
და უშალ გალღვა ყოველი ძარღვი.

წყლის დედამ მუხლი გაწია განზე
და შეარბია სხეული მთელი
და მოიტაცა კვერცხები ტალღამ
და მიიზიდა კვერცხები სიღრმემ,
მიმოიფანტნენ მღელვარე ზღვაში
და ნამსხვრევებად გარდიქცნენ უშალ.

არ დაღუპულან კვერცხები
შლამში,

არც ნამსხვრევები ტალღებში ზღვისა,
მაგრამ თანდათან გამოიცვალნენ
და გარდაიქცნენ უცნაურ რამედ:
ლამაზი კვერცხის ქვედა ნაწილი—
იქცა სოველ და მორბიო მიწად,
ლამაზი კვერცხის ზედა ნაწილი—
წამოიშართა თაღებად ზეცის
და კვერცხის გულის ზედა ნაწილი—
მზედ განეფინა ზეცასა ზედა
და კვერცხის ცილის ზედა ნაწილი—
მიმოიფანტა მთიებად ირგვლივ,
ლამაზი კვერცხის ზნელი ნაწილი
გამოგვეცადა ღრუბლებად ცაზე.

და წელიწადი წელიწადს მისდევს
და ქვეყნად ასე გადიან ღრონი,
მზე ახალგაზრდა ანათებს ქვეყნად,
ანათებს ქვეყნად ქალწული მთვარე.
წყლის დედა ცურავს უსაზღვრო ზღვაში,
ნაზი ასული ცივ წყლებში ცურავს,
რომლებიც მარად დგანან და თვლემენ,
შემოხვევით რომელთაც ნისლი.
ასულს ტალღები უგია დაბლა
და ლურჯი ზეცა ახურავს თავზე.

ბოლოსდაბოლოს წელიწადს
მეცხრეს,

როცა მეთვლე დაიწყა წელი,
ასულმა თავი აზიდა ზღვიდან,
ამოიტანა სიღრმიდან სახე,
და ქვეყნის შექმნას შეუდგა მაშინ
ის ქმნილებათა შეუდგა შექმნას,
იგი იღწვოდა მღელვარე ზღვაზე,
ზღვის ხერხემალზე იღწვოდა იგი.
ასულმა ხელი აღმართა მაღლა—

და აღიზარებენ კონცხები უცხო;
სადაც დააღვა ასულმა ფეხი,
იქ, დაიბადა დარანი თევზთა
და სადაც ფეხით შეეხო სიღრმეს
იქ, გააღრმავა ასულმა ფსკერი.

სადაც კი ფერდით შეეხო მიწას,
იქ, დაიბადა ნაპირი სწორი,
სადაც კი მიწას შეეხო ფეხით,
იქ, გააჩინა თევზების სარჩო,
სადაც კი თავი დახარა დაბლა,
იქ, გააჩინა ყურენი მცირე.

ასული ნაპირს განმორდა
სწრაფად,
ციხფერ ტალღებზე შეჩერდა შემდეგ,
კლდეების შექმნას შეუდგა ზღვაში,
წყალქვეშა კლდეთა შექმნას შეუდგა,
სადაც ზომადი დაჯდება მიძიმედ
და შეზღვაურნი პოვებენ სიკვდილს.
აი, შეიქმნენ კლდეები ბლომად,
ზღვაშიც დამკვიდრდნენ კლდეები უკვე,
ქართა სვეტები ავარდნენ ცაში,
შეიქმნა მიწის ქვეყანა ყველა,
თვალისმოგმწეოდ აქრდნენ ქვები
და წყალთა ქვევე კლდეები იშენენ,
არ იბადება ამ ქვეყანად მხოლოდ
ვეინემეინენ გრინეული დიდი.

ვეინემეინენ მოხუცი ბრძენი,
ეხეტებოდა საშოში დიდხანს,
იქ, ოცდაათი ზაფხული დაჰყო
და ამდენივე ზამთარი კიდევ,
ზღვა ბობოქარი დელავდა ირგვლივ,
თავზე ნისლევი ეავია ჯარად.

ვეინემეინენ მოხუცი ბრძენი
მოიდრუბლა და დაფიქრა ასე:
რა ვიღონო და ვიცხოვრო როგორ,
ამ გამოკეტულ წყევლიადში ნეტავ?
სადაც ვერ ატანს სხივები მზისა,
სადაც ვერ ატანს ნათელი მთვარის.

ვეინემეინენ მოხუცი ბრძენი,
დაღონებული იტყოდა ასე:
„მანათობელო მთვარეო, მზეო,

დათვის ვარსკვლავო მზრწყინავო ცაში
ვიწრო საკანი გამიღეთ ჩქარად!
გამომიყვანეთ საკნიდან გარედ!
თავისუფლება მომეცით მოხუცს,
ბავშვსაც მომეცით თავისუფლება,
რათა ნათელი ვიხილო მთვარე,
მზის ბრწყინვალეობით დაეიტკაბოს ხედვა
ვათვლიერო ვარსკვლავი დათვის
და ვარსკვლავისგან მოვიღო სიბრძნე!“

თავისუფლება არ მისცა მთვარემ,
არ გამოუშვა ბრწყინვალე მშენაც,
ტანჯვად გარდიქვა ცხოვრება მისთვის,
მის გაუჭირდა გაქლება ძლიერ:
მიადგა ქიშკრის ურდულს ვაქეცაი
და არათითით გასწია მაგრადა;
დიდი წვალეებით გააღო ბოლოს
მარცხენა ფეხის მოქნილი ნეკით;
იგი ხელებით მოფორთხავს ზღურბლზე,
იგი მუხლებით მოყვება ერდოს.

იგი უეცრად ჩავარდა ზღვაში
და ჩაათრინდა თითებით ტალღებს,
ვაქეცაი ტალღის ამარა დარჩა,
ზღვა უსასრულოდ დელავდა ირგვლივ.
ზღვაზე მან ხუთი იცხოვრა წელი,
მეექვსე წელიც არწია ტალღამ,
შემდეგ მეშვიდე და პერვეც შემდეგ
და მოამუო ნაპირებს ბოლოს.
ბოლოსდაბოლოს იხილა მიწა
და გამოვიდა ნაპირზე იგი.

ნაპირს მუხლებით დაეყრდნო
მაგრადა,
ხელებით მძლავრად დაეყრდნო ნაპირს,
წამოდგა რათა იხილოს მთვარე,
მზის ბრწყინვალეობით დაეიტკაბოს ხედვა
ათვლიეროს ვარსკვლავი დათვის,
და ვარსკვლავისგან მიიღოს სიბრძნე.
ასე მოვიდა ვეინე ქვეყანად,
მომღერალი და გრინეული ბრძენი,
შემოქმედების ასულის პირმშო,
იმ იღმბატარის ნაყოფი მწარე.

თარგმანა შ. მ. ტაბატაძის მიერ.

ჯონ სპინგუი

ზამთარი ჩვენი მღვდვარებისა*

თავი მორა

მერი ლუმელს მოშორდა და ქმარს სანოვაგით სავსე ერთი დიდი ჩანთა გამოართვა.

— იმდენი რამე მაქვს სათქმელი შენთვის, ველარ მომისვენია.

ქმარმა აკოცა, და ქალმა ერთბაშად იგრძნო მისი მშრალი ტუჩები.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ცოლმა.

— დავიღალე.

— აკი სამი საათი გქონდა დაკეტილი.

— საქმეს რა გამოლევს.

— რას მოიღუშე?

— დღეა მოღუშული.

— დიდებული დღე იყო. ჟერ დაიცა,

ზოგი რამე გაიგე!

— ბავშვები რა იქნენ?

— ზემოთ არიან, რადიოს ისმენენ.

იმათაც აქვთ რალაც სათქმელი.

— ცუდი რამე?

— ნეტა საიდან მოიგონებ?

— მე თვითონაც არ ვიცი.

— ავად ხომ არა ხარ?

— შენც ერთი... ნულარ გამიწყალე გული.

— იმისთანა სასიხარულო რამე უნდა გიფარა... ჟერ ვისადილოთ. მაშინ ნახე, პირს როგორ დაადგე.

ალენი მერი და ელენი კიბეზე ჩამობზრილდნენ და სამზარეულოში შეეპარდნენ.

— მოსულა! — შესძახეს მათ.

— მამი, „პიკის“ არა გაქვს მაღაზიაში?

— შენ ალბათ კორნფლესკი გინდა, ალენ. როგორ არა მაქვს.

— მოიტანე რა, ცოტა. მაგის ყუთებიდან ვაკეთებთ ხოლმე თავვის ნიღაბს.

— რალა დროს შენი თავვის ნიღაბია! ელენმა თქვა:

— კოლოფის ზუფს ათცენტრიანი უნდა დაადო და გაგზავნო: მიიღებ რალაც სათამაშოს — მუცლით მეზღაპრობისათვის რომ გამოადგება კაცს, და — ხმარების წესსაც. ეს წუთია რადიოში გადმოსცეს.

მერამ თქვა:

— მამასაც უთხარით, რას აპირებთ.

— კონკურსში უნდა ჩავებათ — „მე მიყვარს ამერიკა“. პირველი პრემია — ვაშინგტონში წასვლა, პრეზიდენტთან შეხვედრა... მშობლებიც იქვე იქნებიან... და კიდევ ათასნაირი პრემია.

— დიდებულია, — მიუგო ითენმა, — მერე? რა არის მაგისთვის საჭირო?

— ჰერსტის ვაზეთის ოინებია, — შესძახა ელენმა, — მთელს ქვეყანას მოსდეს. თხზულება უნდა შეადგინო — რად გიყვარს ამერიკა. ვინც გაიმარჯვებს, ტელევიზორში გამოიყვანენ.

— დიდებული საქმეა, — თქვა ალენმა, — ვაშინგტონში წასვლაზე რას იტყვი — სასტუმრო, თეატრები, პრეზიდენტთან შეხვედრა და ათასი რამე! ჰა, არ არის დიდებული?

— მერე სკოლა?

— ეს ზაფხულში იქნება. ოთხ ივლისს აცხადებენ ხოლმე გამარჯვებულებს.

— კარგად ყოფილა საქმე. მაგრამ მართლა ამერიკა გიყვართ, თუ ჭილდოების სიყვარული გაქვთ უფრო მეტი?

— კარგი, მამა ბატონო, — უთხრა მერიმ, — ნუ ჩაუშნამებ ამ ბავშვებს.

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 10.

— მე მინდა, ნამდვილი კორნფლესკი თაგვის ნიღბისაგან განვეასხვაო. მაგათ სულ აურდაურის ყველაფერი.

— მამი, რას იტყვი, სად უნდა მოეძებნოთ?

— რა უნდა მოძებნო?

— რაც სხვადასხვა ხალხს უთქვამს...

— შენს დიდ პაპას ჰქონდა მშვენიერი წიგნები. სხვენზე ყრია.

— რა წიგნები?

— რა ვიცი... ლინკოლნის სიტყვები, დანიელ უმბსტერისა, პენრი კლეის... თორთასაც იქ ნახავ და უოტ უიტმენსაც, ემერსონს... მარკ ტვენსაც. სულ სხვენზე ყრია.

— შენ წაგიკითხავს, მამა?

— შენი დიდი პაპა ჩემი პაპა იყო. მიკითხავდა ხოლმე შიგადაშიგ...

— იქნებ თხზულების შედგენაში მოგვეხმარო.

— მაშინ ხომ თქვენი აღარ გამოვა!

— კარგი, — უთხრა ალენმა, — პიკსის მოტანა ხომ არ დაგაფიქრდება? ბოლოს და ბოლოს, რკინაა შიგ და ბევრი სასარგებლო რამე.

— ვეცდები.

— კინოში არ წავიდეთ?

— აქ სააღდგომო კვერცხების შეღებვას აპირებთ. უკვე იხარშება. ნასადილევს პარმალზე შეღებეთ, თუ გინდათ, — უთხრა მერიმ.

— სხვენზე არ ავიდეთ წიგნების სანახავედ?

— ოღონდ შუქის ჩაქრობა არ დაგავიწყდეთ. ერთხელ მთელი კვირა ენთო. შენ დატოვე, ითენ.

ბავშვები რომ წავიდნენ, მერიმ თქვა:

— არაგინბარია, კონკურსში რომ ჩაეჭმებიან?

— რა თქმა უნდა. ოღონდ კარგად უნდა გააყეთოს.

— ერთი სული მაქვს, მანამ გეტყოდე... დღეს მარჯიმ შირჩია... სამჯერ გაშალა კარტი — ჩემს დღეში ამისთანა არაფერი მინახავსო. სამჯერ, წარმოგიდგინია! მე თვითონ ვხედავდი, რა კარტი მოხდიოდა.

— ოჰ, ღმერთო!

— ჯერ მომიხსენიე და მერე ამოიხარე. მაღალ-მაღალ შავგვრემან ხალხს შენ მუდამ მასხრად იგდებ ხოლმე... აბა, თუ გამოიცინობ, რა მითხრა. აბა, სინჯე! ქმარმა უთხრა:

— მერი, გაფრთხილებ, რომ...

— გაფრთხილებ? შენ არც კი გეგმის. მთელი ჩემი ცხოვრება შენა ხარ.

ქმარმა კბილებში საშინელი გინება გამოსცრა.

— რაო?

— ვერ მოგართევს-მეთქი, — უთხრა ქმარმა.

— ეს შენა გგონია ასე, კარტი სულ სხვა რამეს ამბობს. სამჯერ გაშალა.

— კარტი რაღას ამბობს?

— კარტს რა გამოეპარება, — მიუგო მერიმ, — ხომ მე გამიშალა, მაგრამ სულ შენზე კი გამოვიდა. ყველაზე საპატიო კაცი გახდები მთელს ქალაქში... აი, მე მითქვამს — ყველაზე საპატიო კაცი. დიდი ხანიც არ მოუნდება. ხელად მოხდება ეს. რამდენი კარტი არ გადმოიღო, სულ ფული და ფული გამოდიოდა. ნახე, რა მდიდარი გახდები.

— ჩემო საყვარელო, — უთხრა ქმარმა, — მე შენ გამაფრთხილებინარ.

— სარფიან საქმეზე უნდა დააბანდო ფული...

— რა ფული?

— ჩემი ძმის ფული!

— არა! — შესძახა ქმარმა — ხელსაც არ ვახლებ. შენი ფულია და შენს სახელზევე დარჩება. ეს შენ თვითონ მოციგონე, თუ...

— მარჯის კრინტიც არ დაუჭრავს. არც კარტში მომსვლია ასე. ივლისშივე დააბანდებ ამ ფულს, და მოგებას მოგებაზე ნახავ, სულ აივსები ფულით. კარგი არ იქნება? მთელი შენი სიმდიდრე ითენიაო, ასე მითხრა. ერთბაშად გამდიდრდება და მაგისთანა საპატიო კაცი მთელს ქალაქში მეორე არ იქნებაო.

— ჩანდაბამლისაც გზა ჰქონია. ნეტავინ ეკითხება.

— ითენ!

— ნეტა თუ ფიქრობ მაინც, რეებს აკეთებს? ან შენ თვითონ რას აკეთებ, იმას თუ უფიქრდები?!
 — მე იმას ვფიქრობ, რომ კარგი ცოლი ვარ, ის ქალი კიდევ კარგი მეგობარია. ჩხუბს ვერიდები — არ მინდა ბავშვებმა გაიგონონ. მარჯი იანგ-ჰანტისთანა მეგობარი მე ჯერ არა მყოლია. ისიც ვიცი, რომ შენ გძულს ის ქალი. იმიტომ, რომ მშუდამ ასე მოგდის — მეგობრებზე ეკვიანობს ხოლმე... აი, რას ვფიქრობ, მართალი თუ გინდა. დღეს სწორედ გაზარებული ვიყავი, და უსათუოდ უნდა ჩამაშხამო! ასე როგორ იქნება!

ბრაზისა და იმედისგაცრუებისაგან სახე წითელი ლაქებით დაეფარა მერის. ერთბაშად შურისძიების გრძნობამ მოიკვია, რომ ცხადში შეკოწიწებული ზმანება ასე ხელადვე დაუფუშეს.
 — როგორ არზვიანად წამოვიძულხართ, ბატონო ჭკუისკოლოფო, და ხალხს ერთი ბეწოთიც აღარ ინდობთ! იქნებ მარჯის ოინები გგონია?! არაფერიც — მე თვითონ მოვჭერი სამივეჯერ კარტი... მაგრამ თუნდაც მარჯის საქმე იყოს, ამას ზომ მეგობრობითა და ცოტადღენი დახმარების სურვილით გააკეთებდა?! ჰა, რას იტყვი, ბატონო ჭკუისკოლოფო? რაღას უცდი — ბარემ გამოქმნე რავე ბინძური მიზეზი!

— ნეტა კი მართლა მიმაგნებინა, — მიუტოვო ქმარმა. — მავნე აღამიანია და მეტი არაფერი. ქმარი მავას არ ჰყავს, საქმე მავას არა აქვს... რაღა დარჩენია — რავე ბოროტება უნდა მოიგონოს და გააკეთოს.
 მერამ ხმას დაუწია და ზიზღით უთხრა:
 — რომელ ბოროტებაზე ლაპარაკობ... ცხვირპირში რომ შემოაფეფეთოს ბოროტება, მაშინაც კი ვერაფერს გაუგებ. შენ რა იცი, მარჯი რა დღეშია. რამდენი ფაქტონი ბრძანდება ამ ქალაქში, რომ გასაქანს არ აძლევს. დიდდიდი ხალხი, ცოლშვილიანებო, კულში დასდევენ და აღარ ეშვებოიან... საძაგლობა! ზოგჯერ ისეთ დღეში ჩავარდება, რომ აღარც კი იცის, როგორ დაუსხ-

ლტეს. ამიტომაც სჭირდება ჩემი სიბოლოვე, საერთოდ ქალთან მეგობრობა, ეჰ, რამდენი რავე გაუნდვია ჩემთვის შენ არც კი დაიჯერებ. ზოგს ხალხში ისე უჭირავს თავი, თითქოს ძალიან ეჯერებოდეს, ჩუმ-ჩუმად კი მოსვენებას არ აძლევს, ტელეფონით ურევავს, პაემანს უნიშნავს. ფარისევლები! პირზე მაღალი ზნეობა აკერიათ, საქმით კი ამისთანა რამეს სჩადიან. და კიდევ მავნეაო, დაგიყინია.

— იმასაც გეტყოდა, ვინ დამდევსო.
 — არა, არ უთქვამს. ესეც მისი კი ქალობის ნიშანია. ზომ აძლენ ბოროტებას იტანს, მაინც არავის უკეთებს სიგლახეს. ეს კი მითხრა — ერთი ისეთი კაცია, შენს დღეში ვერ დაიჯერებო. რომ გაიგო, ამ წუთში თმა გაგიფეთრდებაო.
 ითენმა ღრმად ჩაისუნთქა ჰერი და მერე გაგრძელებული ზენემით ამოუშვა.

— ნეტა გამაგებინა, ვინ არის, — განაგრძო მერამ, — ვიდაც ჩვენი ახლობელი კი უნდა იყოს, როგორც შევატყვე, მაგრამ ჩვენ, ალბათ, ვერც წარმოვიდგენთ, ვინ არის.

— საქმე საქმეზე რომ მივიდეს, უსათუოდ იტყვის, — მშვიდად თქვა ითენმა.

— თუ აიძულე, კი. თვითონვე თქვა ასე. ან ღირსების დაცვა რომ დამჭირდესო... ან პატიოსნებისაო... შენ მაინც ვინა გგონია?

— მგონი, ვხვდები.
 — ვითომ ვინ?
 — მე.
 მერამ პირი დაალო.

— ფუჰ! ტუტუცი! მაინც ასეა — ერთი წუთი რომ მოვაშორო თვალი, ხელადვე მიმუბთლებ. თუშეცა ცხვირის ჩამოშვებას ისევე ესა სჯობს.

— სერიოც ამას ჰქვია! ქმარი ცოლს გამოუტყდება — შენს გულითად მეგობართან შევცოდებო. ცოლი კი სასაცილოდ იგდებს.

— სხვა ველარაფერი ნახე სალაპარაკო?

— ქმარს, ალბათ, შორს უნდა დაეჭირა ეგ მაშინ უფრო აღირსებდა ცოლი გუვის გამომეტლავნებას. ჩემო საყვარელო, თუკი რამე წმიდა გამაჩნია, ყველაფერს ვფიცავ, რომ მარჯი იანგ-პანტისთან არც სიტყვით, არც საქმით არ შემიცოდავს. ახლა გჯერა ჩემი ღალატი?

— შენი?!

— მაშ, ისე გამოდის, რომ არც სიტყვა-პასუხი მიყარა, არც გარეგნობა... ერთი სიტყვით, ღმერთს არ ვუქნავარ.

— ხუმრობა მიყვარს, შენც კარგად იცი... მაგრამ ეს ვერაფერი სახუმაროა. სულ გადააქოთებდნენ ბავშვები იმ სკივრებსა არაფერს თავის ადგილზე არ დადებენ.

— ერთხელ კიდევ უნდა ვცადო, ჩემო მშვენიერო ცოლო. ვილაღ ქალი, რომლის ინიციალებია მ. ი. ჰ. ვასაქანს აღარ მამძღვეს, ირგვლივ სულ მახეები დამიგო, მაგრამ რატომ — მის გარდა კაცია არ იცის. დიდი საშიშროების წინაშე ვდგავარ, რომ იმ მახეებში არ გავებმა.

— რატომ მომავალზე არ დაფიქრდები. ივლისიო, კარტმა მითხრა... სამჯერ გამიმეორა... ჩემი თვალით ვნახე. ფულიანი გახდები. თავსაყარი ფული გექნება. რატომ ამაზე არ ფიქრობ?!

— ასე გიყვარს ფული, ყურცქვირტა?

— ფული გიყვარსო? ვერ გაიგე, რას მეუბნები.

— ნუთუ ისე ხარ გამწარებული ფულზე, რომ აღარც მარჩიელობას ვერიდები, არც მანსობას, არც ჯაღოქრობას* და არც სხვა ბნელ საქმეს?!

— პირველი ხომ შენ თქვი შენი წამოწყებულია. ამ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ვერ დაფარავ შენს დანაშაულს. ფული თუ მიყვარს? არა, ფული არ მიყვარს. მაგრამ არც ამდენი გაჭირვება მიყვარს. მეც მესიამოვნება, ცოტა თავაწეული ვიარო ამ ქალაქში. ვერაფერი სასიამოვნოა, სულ დაჩაგრულს ვხედავდე ჩემს ბავშვებს, მხოლოდ იმის გამო, რომ ხეირიანად... რომ სხვებივით ვერ

ჩაუცვამთ. მეც მიინდა ცოტა უფრო მაღლა ავწიო თავი.

— მერე ფული სადაურბიჭვო ნახევ?

— ფული დამცინავ ღიმილს ჩამორეცხავს იმ შენს წმიდა მეგობრებს.

— ჰოულის დაცინვა ჯერ არავის გაუბედავს.

— ასე გეგონოს შენ ვერაფერს ვერ ამჩნევ.

— ალბათ იმიტომ, რომ ისე თავგამოდებით არ ვაკვირდები.

— გინდა სულ მომიღო ბოლო მაგ შენი წმიდა ჰოულის გვარით?!

— არა, ჩემო ძვირფასო. ამისთანა იარაღი უკვე აღარაა გასავალში.

— კიდევ კარგი, რომ მაგას მაინც მიმხედარხარ. ჩვენს ქალაქში — და სხვა ქალაქებშიაც — ნოქარი ჰოული უბრალო ნოქარია და სხვა არაფერი.

— კაცს რომ საქმემ არ გაუმართლოს, უნდა გაჰკიცხო?

— არა. ეგ არც მიფიქრია. ლაფიდან ამოსვლას რომ აღარ ცდილობ, იმისთვის გკიცხავ. ეს მოძველებული და ყბადაღებული კუდაბზიკობა რომ არ გიშლიდეს ხელს, აქამდე ამოძვრებოდი. ყველა შენ დაგცინის. რაღა უფულო აზნაური და რაღა მიწანწალა... თითქოს შემთხვევით წამოცდა ეს სიტყვა, და, დარცხვენილი, მაშინვე გაჩუმდა.

— რა გაეწყობა, — თქვა ითენმა, — მაგრამ კაი გაკვეთილი კი მასწავლევ... ბარე სამი გაკვეთილი ერთბაშად, ჩემო ყურცქვირტა. სამი რამისა არასოდეს არა სჯერათ — სიმართლისა, იმისა, რაც შესაძლებელია მოხდეს, და იმისიც, რაც სავსებით ლოღიკურია. ახლა უკვე ვიცი, სად უნდა ვიშოვო ფული, რომ ისევ წაღმა შევიბრუნო ჩემი ცხოვრება.

— სად უნდა იშოვო?

— ბანკს გავძარცვავ.

ლემელის თაროზე პატარა ზარმა მძიმედ ჩამორეკა.

მერიმ ქმარს უთხრა:

— წადი, ბავშვებს დაუძახე, სადილი უკვე მზადაა. სინათლე არ დარჩეთ. — და ქმრის ნაბიჯებს მიუგდო ყური.

თავი მესამე

ჩემი ცოლი, ჩემი მერი, ისე ხელად იძინებს, თითქოს საკუქნაოს კარი მიგეხუროს, და მორჩა. რამდენჯერ შეურათ დავევირვებოდა. ჯერ დაიკლავნება, თითქოს აბრეშუმის ქუბრია და პარკში უნდა გაეხვიოსო. მერე ერთს ამოიხენეშებს და თვალები უკვე დახუჭული აქვს, უშფოთველ ტუჩებზე კი ძველი ბერძენი ღმერთების ბრძნული და რალაც შორეული ღმირი დასთანაშებს. მთელი ღამე იღიმება ძილში, სუნთქვა ყელში ებჯინება ხოლმე, მაგრამ კი არ ხერხინავს — კნუტივით ჯრუტუნებს. ერთბაშად სიცხე მოაწვება, მეც კი ვგრძნობ ლოგანში მისი სხეულის სიმხურვალეს, მერე ხელადვე გაუფელის და თითქოს საღდაც შორს წავა. მე თვითონ არ ვიცი, სად, რომ ჰკითხო. სიზმრებს არ ვნახულობო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ნახულობს. არ აწუხებს, ალბათ, ეგ სიზმრები, ან არადა ისე მაგრად აწუხებს, რომ მანამ გაიღვიძებდეს, ავიწყდება კიდევ. ძილი უყვარს და ადვილდაც იძინებს. ნეტა მეც ასე ვიყო. მე მუდამ ვებრძვი ხოლმე ძილს, რაც არ უნდა თვალები მებლიტებოდეს.

მე თვითონ მიფიქრია, რატომ ხდება ასე: ჩემი მერი დარწმუნებულია, რომ მუდამ ცოცხალი იქნება, რომ ამ ქვეყნიდან ისევე უღრტვინველად გადავა მგორე სიცოცხლეში, როგორც ძილიდან იღვიძებს ხოლმე. ამას მთელი თავისი არსებით გრძნობს, და, ღრმად დარწმუნებული, აღარც კი უფიქრდება, როგორც სუნთქვას არ ვუფიქრდებით. ასე რომ, აღარსად ეჩქარება — ძილის დროცა აქვს, მოსვენებისაც და არსებობიდან ცოტა ხნით გამოთიშვისაც.

მე სულ სხვანაირად მომდის. მე ძვალ-რბილში მაქვს გამჭლარი იმის შეგნება, რომ, ადრე იქნება თუ გვიან, უსათუოდ უნდა მოვკვდე, და ამიტომაც თავგადადებით ვებრძვი ძილს, თუმცა თან ერთი სული მაქვს, მანამ დავიძი-

ნებდე. რას არ მოვიგონებ ხოლმე, რომ მალე დამეძინოს. ჩემი დაძინება ერთი ტანჯვა და წამებაა. ამას კარგად ვგრძნობ, რადგან ზოგჯერ მომხდარა, იმავე წუთში გამოძლიძობია და თავი მაგრად ნაცემი მგონებია. რომ დავიძინებ, მერეც ვერ ვისვენებ. ისევ დღიური საზრუნავი მაწუხებს, ოღონდ უფრო სულელურად მეჩვენება და თავი რქებასხმულ და ცხოველების ნიღაბაკრულ მოცეკვავე აღამიანთა ფერხულში ჩაბმულად წარმომიდგენია.

ძილით, მეროზე გაცილებით ნაკლები მძინავს, ის მიმტკიცებს, მე ბევრი ძილი მჭირდებაო, და მეც ვეთანხმები, რომ მე არა მჭირდება ამდენი ძილი, თუმცა გულში ასე როდი ვფიქრობ. ყოველ სხეულში განსაზღვრული რაოდენობითაა დაგროვილი სასიცოცხლო ენერჯია, რაც რა თქმა უნდა, საკვებით ივსება. ზოგი მალე ხარჯავს ამ ენერჯიას, იმ ბავშვის მსგავსად, რომელიც ერთბაშად შესანსლავს თავის შაქარყინულს. სხვები კი დაზოგვით წუწნიან. მუდამ აღმოჩნდება ხოლმე პატარა გოგონა, რომელიც თავის შაქარყინულს დაზოგვითა ქამს და, როცა ღორმუცელებს დიდხანია შეუსანსლავთ თავიანთი წილი, იმას მაინც რჩება საცუქნავი. ჩემი მერი, ალბათ, ჩემზე გაცილებით უფრო დიდხანს იცოცხლებს. შემდეგისათვის დაზოგავს თავის სიცოცხლეს. აბა დააკვირდით, ქალების უმრავლესობა მამაკაცებზე უფრო დიდხანს ცოცხლობს.

წითელი პარასკევი მუდამ ამწრიალებს ხოლმე. ჯერ კიდევ ბავშვობაშიც მომეწურებოდა გული, როცა წარმოვიდგენდი, როგორ ყველამ მიიტოვა ჯვარცმული, თვითონ წამების გამო კი იმდენად არ მეცოდებოდა. აქამდე გამომყვა ის სევდა, გულში მათეს სიტყვებით ჩაწერილი, რომელსაც ახალ-ინგლისელი ჰაბიდა დებორი ცივი და მშრალი ხმით მიკითხავდა.

წელს განაკუთრებით მომეძალა სევდა. უნებურად საკუთარ თავზე გადმოვავქვს ყველაფერი, თითქოს ჩვენ თვი-

თონ ვიყოთ იმ დღეში ჩავარდნილი. დღეს მარულომ გადამიხსნა გული და პირველად გავიგე საქმოსნობის მთელი საიდუმლო. ცოტა ხნის შემდეგ კი პირველი ქრთამი შემომადილეს. სსსაცილოც კია, ამ ხნის კაცი რომ ვამბობ ამაჲ, მაგრამ ამისთანა შემთხვევა სხვა არ მახსოვს. ახლა ეს მარგი იანგ-ჰანტი! ნეტა, ბოროტი სულია? რას გადამეკიდა? აკი რაღაცას შეშპირდა და დამეშუქრა, თუ ბედს არ დავმორჩილე, ცუდად წავივა საქმეო. კაცმა თვითონ უნდა იფიქროს თავისი ცხოვრების მოწყობაზე, თუ ისე მიპყვეს, როგორც მოუვა?

რამდენი ღამე გამითენებია თეთრად და ჩემი მერის კრუტუნი მიამენია. დიდხანს თუ ჩამსტერდი სიბნელეს, თვალწინ წითელი ლაქები აგიცეკვდება და დრო უსაშველოდ გაჰიანურდება. მერის ისე უყვარს ძილი, რომ მუდამ იმის ცდაში ვარ, სიმშვიდე არ დავერღვიო, თუნდაც კანს ელექტროდენი მიწვადეს. გამოვძვრები თუ არა ლოგინიდან, ხელად იღვიძებს. შევიწინდება ხოლმე. იმიტომ რომ უძილობას მუდამ ავადმყოფობას მიაწერს, და ავად ვგონივარ.

იმ ღამეს აღარც ლოგინში მიდგებოდა გული და, საერთოდ, არც შინ. მერი მშვიდად კრუტუნებდა და მის სახეზე იმ არაქულ ღიმილს ვხედავდი. იქნებ სიზმარში ბედმა გაუღიმა და ნახა, რა ფულის ზვეტა მელოდა. ამაყი ქალი გახლავთ.

უცნაურია, როგორა სჯერა კაცს, რომ რაიმე ამოჩემებულ ადგილას უფრო კარგად შეუძლია ფიქრი. მეც მაქვს ამოჩემებული ასეთი ადგილი. რამდენი ხანია მაქვს, თუმცა ფიქრით სულაც არ ვფიქრობ იქ, უფრო გრძობებებსა და განცდებს ვეძლევი, მოგონებები გამოიტაცებს ხოლმე. ეს არის ჩემი მყუდრო საყუდელი — ალბათ, ყველას აქვს ასეთი ადგილი, მაგრამ ჩემს დღეში არ გამოიკონია, ვინმეს ეთქვას. თავისუფალი მოძრაობით ისე არ ვაღვიძებ მძინარეს, როგორც ზედმეტი სიფრთხილითა და ფეხის წვერებზე სიარულით. ამას გარ-

და, დარწმუნებული ვარ, მძინარე ხალხი სხვის ფიქრთა დენას წვდება და გეზულობს. საყუთარ თავს დაეუწყე დარწმუნება, საპირფარეოში გასვლა მჭირდება-მეთქი, ხოლო როცა დავარწმუნე-ავდექი და გამოვედი. იქიდან კი ფეხაქრევით ჩავიარე კიბე, ტანააცემლი თან ჩავიტანე და სამზარეულოში ჩავიცვი.

მერი დამცინის — შენ სხვათა ძნელი მუშხარება გტყენს გულს, რაც სინამდვილეში სულაც არ არსებობსო. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ უცებ მართლაც წარმოვიდგინე ერთი სავარაუდო სცენა — მერის გაუღვიძია, ჩემს ძებნაში მთელი სახლი დაუძვლია და ახლა სანახავად ჩაბნელებულ სამზარეულოში შევიდა, საშინლად შეწუხებული. მე წვრილმანი ხარჯების დაეთარს ფურცელი მოვახიე, და დავწერე: „ჩემო საყვარელო — შინ არ დამიღმა გული. ქუჩაში ვაგვიარე. მალე დავბრუნდები“. ქაღალდი მგონი სამზარეულო მაგიდაზე დავდე, შუაში: სინათლეს რომ აანთებს მერი, მაშინვე თვალში ეცემა.

მერე სამზარეულოს გარეთა კარი გამოვადე და პაერი შევიტყუე. ციოდა, ნიავს მიწაზე მიკრული ყინვის სურნელი შემოჰქონდა. პალტოში გავხევი და ყურებზე მეზღვაურის ნაქსოვი ქუდი ჩამოვიფხატე. სამზარეულოს ელექტროსაათმა დაიგუგუნა. სამს თხუთმეტი აკლდა. თერთმეტიდან მოკიდებული, მთელი ოთხი საათი გწოლილვარ სიბნელეში და წითელი ლაქების ცეკვისათვის მიცქერიო.

ჩვენი ქალაქი — ნიუ-ბეიტაუნი — კოპნია ქალაქია, ძველი ქალაქი, მთელს ამერიკაში ერთერთი პირველთაგანი, რომელსაც სამართლიანად აქვს დამსახურებული ნამდვილი ქალაქის სახელი. დარწმუნებული ვარ, მისი დამფუძნებლები და ჩემი წინაპრები იმ მოუსვენარ, თავხეხილადებულ, მუხანათ და დაუნდობელ მეზღვაურთა შვილები იყვნენ, ვისგანაც ელისაბედის მეფობის დროს, ევროპას თავი მოძულებული ჰქონდა,

კრომველის დროს დასავლეთი ინდოეთი თავის საკუთრებად მიაჩნდათ, მერე კი, ტანტზე დაბრუნებულ კარლოს სტიუარტის სიგელმომარჯვებულებმა ჩრდილო სანაპიროებზე დაიბუდეს. მარჯვედ შეახამეს ერთმანეთთან მეკობრეობა და პურიტანიზმი; თუმცა, უფრო ღრმად თუ ჩაწვდები საქმეს, ეს ორი რამე დიდად არც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ვერც ერთი და ვერც მეორე წინააღმდეგობას ვერ იტანს, ხოლო სხვის დოვლათზე ორივეს ერთნაირი სიხარბით უქირავს თვალი. შეკავშირების შემდეგ მათ გამოიყვანეს გამძლე და მაგარი მიმუნების ჯიში. ეს ყველაფერი მამაჩემისგან გამოვიდა. მამაჩემი ძალიან გატაცებული იყო წინაპრების ამბებით. მაგრამ რომ ვაკვირდები, წინაპრებით ასე გატაცებული ხალხი ყველაზე ნაკლებად ემსგავსება თავიანთ წინაპრებს. კეთილშობილი კაცი იყო მამაჩემი, რბილი, ნაკითხი, მაგრამ მოქარაფშუტო, თუმცა ზოგჯერ მიინც ვაჰკრავდა სიბრძნის ნაბერწყლები. მოდგა და ყველაფერი დაკარგა ამ მარტოხელა კაცმა, — მიწა, ფული, ძალა-უფლება, მომავალი... ერთი სიტყვით, რაც კი პოულებსა და აღენებს ასეულ წლობით დაეგროვებინათ, ყველაფერს წირვა გამოუყვანა, გარდა სახლისა. და მეტი, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი აინტერესებდა. როგორც თვითონ უყვარდა ხოლმე თქმა, „საგვარეულო გაკვეთილებს“ მაძლევდა. იმიტომაც ვიცი წინაპრების ამბავი ასე კარგად. და ნოქრადაც, ალბათ, იმიტომ ვუდგევარ ვიდაც სიცილიელს სწორედ იმ უბანში, რომელიც ძველად პოულების საკუთრება იყო. ნეტავი შემეძლოს, ასე ახლოს არ მივიტანო გულთან ეს ამბები. განა კრიზისმა და გაქირვებამ აღგვავა და გავგანადგურა.

ნიუ-ბეიტაუნის ლამაზი ქალაქი-მეთქი, რომ ვახსენე, იმან მომავლანა ეს ყველაფერი. მარცხნივ აღარ გავყოლივარ თელების ქუჩას, მარჯვნივ შევეუხვიე და სწრაფად გავედი პორლოკზე. პორლოკის ქუჩა კი თითქმის პარალელურად

მიჰყვება მთავარ მაგისტრალს. ჩვენი ჩასუქებული კონსტებლი — ეფილი კონდრის კაცი — ახლა, ალბათ, პოლიციის მანქანაში ყვინთავს, მთავარ მაგისტრალზე, და სულაც არ მესალისება მასთან მუსაიფში გავატარო ეს ღამე. „რამ გამოგიყვანა, ით, ამ შუალამისას? კაი ნაქერს ჩაავლე სადმე?“ სწყინდება ხოლმე „ქონდარა უილის“ და გამოლაპარაკება უყვარს, მერე კი სხვას უამბობს შენთან ნალაპარაკებს. ბევრი ბინძური ქორი გაუფრცულეს უილის ამ მოწყენილობის გამო. დღის მორიგე კონსტებლი სტონჟოლ ჯექსონ სმითია. შერქმეული არ გეგონოთ, ნათლობის სახელია — სტონჟოლ ჯექსონი! — და ამითვე გამოირჩევა იგი სხვა სმითებისაგან. არ ვიცი რატომ, მაგრამ როცა ქალაქს ორი პოლიციელი ჰყავს, ისინი ერთმანეთის საცხებით საწინააღმდეგო ხასიათისანი არიან. სტონი სმითი დიდი ყვეყნი ვინმეა. რომ ჰკითხო, დღეს რა დღეაო, ვერასდიდებით ვერ ათქმევინებ, თუ სასამართლოში არ მიიყვანე და ფიცი არ მიადებინე. სმითი ქალაქის მთავარი პოლიციელია, და მთელს სულითა და გულითაც ემსახურება ამ საქმეს, გაფაციცებით ადევნებს თვალყურს უახლეს შეთოდებს, ვაშინგტონში სპეციალური სკოლაც კი დაამთავრა. ნამდვილი პოლიციელია — მალალ-მალალი, უენო, თვალეზი ლითონივით უელავს... რამე ბოროტმოქმედება თუ გავიზრახავთ, მაგ მთავარ პოლიციელს უთუოდ უნდა მოერიდოთ.

ეს ამბები იმიტომ გამახსენდა, რომ სწორედ იმ ქონდარა უილის ავარიდეთავი და პორლოკ სტრიტისკენ შევეუხვიე. რაც ნიუ-ბეიტაუნში ლამაზი სახლებია, სულ პორლოკზედა დგას. საქმე ისაა, რომ მეცხრამეტის დასაწყისში ასზე მეტი ვეშაპებზე სანადირო გემი ჰქონიათ აქა. წავიდოდნენ სანადიროდ ანტარკტიკასა და ჩინეთის ზღვებში, ერთი

¹ „სტონჟოლ-ჯექსონს“ (ანუ ქვის ვალავანივით მავარ ჯექსონს) გენერალ თომას ჯონათან ჯექსონს ეძახდნენ.

ორი წლის შემდეგ კი თევზის ქონითა და ყოველგვარი სიმდიდრით დატვირთულები უკანვე ბრუნდებოდნენ. უცხოეთის ნავსადგურებიდან თან მოჰქონდათ როგორც უცხო ნივთები, ისე უცხო იდეები. ამიტომაცაა, რომ პორულოკის სახლებში თქვენ ამდენ ჩინურ ნივთებსა ხედავთ. იმ გემების პატრონ-კაპიტანთაგან ბევრს კარგი გემოვნებაჲ ჰქონდა. ფულიც ხომ ბლომად მოეძებნებოდათ და სახლების ასაშენებლად ხუროთმოძღვრები ინგლისიდან მოჰყავდათ ხოლმე. ამიტომაცაა, რომ პორულოკ სტრატზე სულ ადამის სტილისა და კლასიკიზმის დროინდელ სახლებს ხვდებით. ინგლისში მაშინ ასეთი მოდა იყო ვაჟყვებული, ოღონდ ნახევარწიგდ გამოქრილი საკმელებისა და ბერძნული კოლონების გვერდით, სახურავებზე, ე. წ. „ქვირვის ბილიკებს“ მაინც სტოვებდნენ. ეს იმ მიზნით, რომ ოჯახის ერთგული და ქმრების მოსიყვარულე ცოლები ასულიყვენ და ეთვალთვალბინათ — გემები როდის დაბრუნდებოთ. ვინ იცის, ზოგი იქნებ უთვალთვალბდა კიდევ. ჩემი-გვარი — ჰოულები — აგრეთვე ფილიპსები, ელგამები და ბეიკერები ყველაზე ძველები არიან. ისინი სულ თელის ქუჩაზე ცხოვრობენ და სახლებშიც ეგრეთ წოდებული ძველ-ამერიკული უდგათ — წოწოლა სახურავი და გემის ყავრებით შეფიცრული კედლები. ასეთივეა ჩემი სახლიც, ჰოულების ძველებური სახლი. ეს ბუმპერაზი თელებიც სახლების ხნისანი არიან.

პორულოკ სტრატზე კვლავ გაზის ფანრები შემორჩენილა, ოღონდ მათში ახლა ელექტრონათურებია ჩადგმული. ზაფხულობით ტურისტები ჩამოდიან, რათა არქიტექტურითა და, როგორც თვითონ ეძახიან, — ჩვენი ქალაქის „სიძველეთა მომხიბლაობით“ დატკბნენ. რატომ მაინცდამაინც ძველს უნდა ჰქონდეს მომხიბლაობა?

აღარ მახსოვს, ვერმონტელი აღენები ჰოულებს როგორ დაუნათესავდნენ. ისე კი რეკოლუციის დამთავრებისთანავე

მოხდა ეს. ამის შემოწმება ძნელი არ იქნებოდა. სხვენზე უსათუოდ ეგდებარამე საბუთი. მერი საშინლად გაბნებოდა ჰოულების ისტორიით, ამიტომ ჩემთვის საფსებით გასაგები იყო, რატომ ითხოვა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ — ეს ქაღალდები სხვენზე დავალაგოთო. სხვისი საგვარეულო ისტორია თავისმომამზერებელია. მერი ნიუ-ბეიტაუნის მკვიდრიც კი არ არის. წარმოშობით იგი ირლანდიელია, ოღონდ არაკათოლიკი. ამას მუდამ საგანგებოდ იტყვის ხოლმე. ულსტერის გვარისა ვარო, თავი მოაქვს. ბოსტონიდან ჩამოვიდა.

თუმცა არა — კი არ ჩამოვიდა, მე თვითონ ჩამოვიყვანე ბოსტონიდან. ახლაც კი ვხედავ ჩვენს თავს, და იქნებ უფრო თვალნათლივაც, ვიდრე მაშინ: ორი დღით შევბუღებაში ჩამოსული ვანერგიულებული და დამფრთხალი უმცროსი ლეიტენანტი ჰოული და ნაზი, დაწვებშეფაცლული, სურნელოვანი საყვარელი გოგონა, რომელიც ომისა და თავისივე სინორჩის წყალობით სამჯერაც უფრო საყვარელი და ლამაზი ჩანს... რა სერიოზულები ვიყავით, რა უღმერთოდ სერიოზულები! მე მოსაკლავად ვარ განწირული, ის კი მზად არის მთელი სიცოცხლე ერთგულად შესწიროს დაღუბული გმირის ხსოვნას. ასეთივე განწყობილებით იყვნენ მაშინ მილონობით მწვანე მუნდირიანები და ჩითისკაბიანები. და აქაც ყველაფერი სულ იოლად შეიძლებოდა დამთავრებულყო: ტრადიციული წერილი — „ძვირფასო ჯონ“... და მორჩა. მაგრამ ამ გოგონამ მართლაც იშვიათი ერთგულება გამოიჩინა თავისი გმირი მეომრის მიმართ. ყველგან თან დამდეგდა მისი წერილები — კოხტად გამოყვანილი მრგვალი ასოები, იისფერი მელანი, ცისფერი ქაღალდი... მთელი ძველი ცნობდა ამ წერილებს და რატომღაც ყველას გულთან მიჰქონდა ჩემი სიხარული. კიდევ რომ არ მდომოდა მერის შერთვა, მისი სიმტკიცე და ერთგულება მაიძულებდა ან-

გარისი გამეწია ხალხის საუკუნოებრივი ოცნებისათვის, რაც ტურფა და ერთგულ ქალებზე აქეთ შექმნილი.

არც შემდეგ შეცვლილა მერი, როცა იძულებული ვახდა თავის ირლანდიურ-ბოსტონურ მამულს მოშორებოდა და ჰოულების ძველებურ სახლში გადმოსულიყო, თელის ქუჩაზე. ვერაფერა ვერ გატეხა — ვერც ჩემი საქმეების სულ უფრო და უფრო უკუღმართად წასვლამ, ვერც ბავშვების გაჩენამ, ვერც ჩემმა ამდენი ხნის ნოქრობამ. დიდი მოთმინების პატრონია — ამას ახლა აშკარად ვხედავ, მაგრამ იმასაც ვატყობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინების ფილაც ვესება. უწინ ერთხელაც არ შეშინებდავს თავისი სურვილები გამოემქლავნებინოს, რადგან ჩემი მერისათვის უცხო ვახლავთ დაციენვაცა და ზიზნარევი საყვედურებიც. გასაჭირისათვის ერთხელაც არ მოუხრია ქედი. და ახლაც იმიტომ ვახლავ მისი ნაღველი შესამჩნევი, რომ წინათ სულ არ შეშინებდავს, და დაჩვეული არ ვიყავი. რა ფიქრები არ მოგივა ხოლმე თავში, როცა ღამით ქუჩაში მიდიხარ და დაქირხლულ გზაზე შენივე ფეხის კრაქუნნი გესმის!

ხალხისათვის თავის არიდება, გამთენისას, ნიუ-ბეიტაუნის ქუჩებში სულაც არ არის საჭირო. მარტო ქონდარა უილი თუ წაიხუნჩეხეს, თორემ დანარჩენები, დილის სამ საათზეც რომ მნახონ სანაპიროსკენ მიმავალი, სათევზაოდ მიდისო, იფიქრებენ და ყურადღებასაც არ მომაქციევენ. ჩვენს ხალხს სულ ნაირ-ნაირი მოსახრებები აქვს თევზაობის საკითხებზე, ხოლო ზოგიერთ საიდუმლოს ისე თვალისჩინივით ინახევენ, როგორც საოჯახო რეცეპტს — და დიდ პატივსაც სცემენ ამისთანა რამეებს.

ჭირხლით დაფარული გავზონები და ტროტუარები ისე ბრწყინავდნენ ქუჩის ფანრების სინათლეზე, გეგონებოდათ ალმასის მილიონობით პაწაწკინებულ ნატეხები მოუხნევიათო. ასეთ ჭირხლზე გამოკვეთილად აჩნდება ხოლმე ნაკვალევი, მაგრამ ახლა წინ არავითარი ნაფეხუ-

რი არ ჩანდა. ბავშვობიდან დამჩემდა — ასე გადაქათათებულ ყინულსა თუ თოვლში რომ გამოვალ, ტყინაუჩანდამო ტოკდება ხოლმე გული. თითქოს რაღაც ახალი სამყაროს კარები შეგელოს, ისეთი სიხარული მოგიცავს; თითქოს ახალი, სპეტაკი, შეურყვინელი და შეუბღწავი რამე აღმოგეჩინოს. ღამის განუყრელ მოგზაურებს — კატებს! — ვერაფრად ებიძნავებათ ჭირხლზე სიარული. მახსოვს, ერთხელ სანაძლოდ ამისთანა ყინულზე გავიარე ფეხშიშველად, და ტერფები ისე ამეწევა, თითქოს ცეცხლში ჩამედგას. ახლა კი თბილი წინდები და კალოშები მეცვა და არხეინად ვსერავდი ამ შეუბღწავლავ სიქათათეს.

იმ ადგილას, საცა პორლოკი ტორკისა სჭრის, ზედ ველოსიპედების ქარხანასთან, ჰიქსის ქუჩაზე, ქათქათა ჭირხლი ვილაც ჩლახუნით მავალ კაცს დაესერა. ვინ იქნებოდა, თუ არ დენი ტეილორი, მოუსვენარი და დაუღებარი მაწანწალა. რომელსაც სულ სადღაც მიუწევს გული და, იქ რომ მიჩლახუნდება, იქაც ვეღარ მოუსვენია. დენი — ქალაქის ლოთი. მე მგონი, ყველა ქალაქს ჰყავს ასეთი ვინმე. დენი ტეილორი! რამდენი ქალაქელი გადააკანტურებს ხოლმე თავს მის დანახვაზე — ძველი გვარიშვილი, კარგი ოჯახიდან გამოსული, გვარის უკანასკნელი ნაშეირი, ნასწავლი მგონი, რაღაც შეეშთხვა არა სამხედრო-საზღვაო აკადემიაში? მას მერე ვერ იქნა და ვეღარ გამართა წელი? თავს ილუბავს ამ ლოთობით, და ძალიან სამწუხაროცაა, რადგან დენი ნამდვილი ჯენტლმენია. პირდაპირ სირცხვილია — დენის ფულისათვის — კაცმა იმათხოვროს?! კიდევ კარგი, შშობლები ვეღარ მოესწრნენ ამ შერცხვენას. ხელად არ მოკვდებოდნენ?! თუმცა მოკვდნენ და ეგ არის. ასეთი ლაპარაკი იციან ნიუ-ბეიტაუნში.

რამდენს დავინახავ დენის, იმდენი გული ჩამწყდება ხოლმე. ასე მგონია რამე დავაშავე-მეთქი. უნდა დავხმარებოდი. განა არ ცვალე, მაგრამ ვინ ვაგვიკარა. ძმსავით შეზრდილები ვიყავით.

ტოლები ვართ და ერთად გავიზარდეთ, წონაც ერთი გვექონდა და ღონეც. იქნებ ჩემი დანაშაულიც ეგ იყოს — ძმას ყური უნდა უგდო, მე კი ვერაფერი ვუშველე. მაგრამ, რაც არ უნდა იმართლო თავი, ეგ ისეთი საქმეა, რომ სინდისის ქეჩანას ვერაფერს უშველის. ტეილორიც ისეთივე ძველი გვარია, როგორც პოული, გინდა ბეიკერი, ან რომელიც გინდა სხვა. არ მახსოვს ბავშვობაში რამე პიკნიკი, ცირკი, თამაში, შობის დღესასწაული... რომ დენი გვერდიდან მომშორებოდეს, მარჯვენა ხელივით განუყრელი იყო. სასწავლებელშიაც რომ ერთად მივებარებინეთ, იქნებ არაფერიც არ მომხდარიყო. მე პარვარდს გავემგზავრე — ენები შევისწავლე, ჰუმანიტარულ საგნებს დავეწაფე, ჩაეწვდი იმ ძველს, მშვენიერსა და უცნობს, ისეთი სიბრძნე შევიძინე, რაც ამ საბაყალო დუქანში არაფრად არ მარგია. და სულ იმას ვნატრობდი — ნეტა დენიც ჩემთან იყოს-მეთქი, ამ მიზნიდველსა და მომხიბლავ აპარეზზე. მაგრამ დენი საზღვაო საქმემ გაიტაცა. ჯერ კიდევ ბალები ვიყავით, მისი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში წასვლა რომ გადაწყდა და მოგვარდა. რამდენ ახალ კონგრესმენს აირჩევდნენ, მაშამისი სულ ამას ეჩიჩინებოდა.

სამი წელიწადი გამორჩეული სტუდენტი იყო, მერე კი აიღეს და გამორიცხეს. ამბობენ, მშობლებიც ამან გადაიყოლაო. დენი კი ნამდვილად ამას გადაყვა. მას აქეთ სულ ანე დაწინაოლებს დამლაშობით — გაუბედურებული და ბოლომოდებული — და თითო ჭიქის დასალევად ფულს თხოულობს. „წყალწალეულიაო“, ამაზე იტყვიან ინგლისელები. დაყილობს ასე დამლაშობით, გათენებას ქუჩაში ხედება, გამოვა მარტოკა და სხცოდავად დაჩლახუნობს. ფულს რომ შეგებეწეება პირის გასასველებლად, მისი თვალეები თითქოს პატიებას გთხოვენ, რადგან თვითონვე ვერ უბატიებია თავის თავისთვის. ძილით ერთ საცოდავ ქონში სძინავს, ზღვის პირად,

საცა ტეილორები ერთ დროს გემებს აგებდნენ ხოლმე. დავიხარე და ნაფეხურებს დავაკვირდი — შენაღწერ შრომის თუ შენ ბრუნდება-მეთქი. ეტყობოდა, ქალქში გამოსულიყო და ყოველ მოსახვევში შეიძლებოდა გადაეყროდი. ქონდარა უილი არ დააკავებს და არ ჩასვამს. ანკი, რა აზრი აქვს?

მანამ ლოგინიდან გამოვძვრებოდი, უკვე ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი — საალალბედოდ არ გამოვსულყავი: აღრევე ვხედავდი იმ ადგილს, მცემდა მისი დამახასიათებელი სენი. ძველი ნავსადგური ამქამად უპატრონოდაა მიგდებული. რაც ახალი ტალღამჭრელი ამოშენეს და ჯებირი აღმართეს, ძველი რეიდი კაცს აღარ ახსოვს, სულ სილითა და ლამით ამოივსო. ველარც ნავსაშენ ფიცარანავებს ნახავთ იქ, ველარც საქონლით გამოტენილ საწყობებს... საცა უწინ მეკასრეების მთელი თაობები ფუსფუსებდნენ და ვეშაპის ქონისათვის კარებს ამზადებდნენ, საცა გრძალად გოქიმულ ნავსაბელებს ვეშაპებზე მონადირე გემებს უცნაური ფიგურებით გამოჩუქურთმებული ბუშპრიტები გადმოაყურებდნენ, ახლა ველარაფერს ნახავ.

აქამდე შემომჩა ერთი ლითონის გრავიურა, რომელზედაც გემებით გატენილი გრძელი ნავსადგურია გამოსახული. რამდენიმე გამოხუნებული დაგეროტოპიც შემონახულა, მაგრამ რაში მჭირდება! ის ნავსადგურიც მკაფიოდ მიდგას თვალწინ და ის გემებიც. პაპაჩემი მოიმარჯვებდა ხოლმე ნარვალის რქისაგან გაკეთებულ ჭობს და დიდის გულმოდგინებით მიხატავდა ყველაფერ ამას სილაზე. გამწარებით მიტენიდა თავში საზღვაო ტერმინებს, და თითოეული ტერმინის ჩამოთვლაზე, თავის ჭობს ხიშანჯის ნაქერს ჩამოჰკრავდა ხოლმე, ეს ხიშანჯა იმას გადაერჩინა, რომ ოდესღაც პოულები ნავსაბელის ნაწილს წარმოადგენდა. შეუპოვარი კაცი იყო პაპაჩემი. თეთრი, ჩამოგრძელებული წვერი ჰქონდა. ისე მიყვარდა, რომ პირდაპირ ვიტანჯებოდი ამ სიყვარულით.

— აბა, — ისე რიხიანად გადმოძიებუნდა ხიდიდან, რომ მეგაფონი არცკი იყო სპირო, — გემის მოწყობილობა ჩამომითვალე, ოღონდ ხმამაღლა. ჩიფჩიფს ვერ ვიტან.

შეც მოვდგებოდი და ვღრიალებდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, პაპაჩემი კი ყოველი ტერმინის ჩამოთვლაზე ნარვალის ჯოხს დაატყავუნებდა ფიცარზე.

— ბობ-კლივერი, — ვღრიალებდი მე (ტყაც) — პატარა კლივერი (ტყაც) გარეთა კლივერი, (ტყაც), შიგნითა კლივერი, კლივერი (ტყაც! ტყაც!)

— ხმამაღლა! რას ჩიფჩიფებ!

— ფორ-ტრიუმფელი, ფორ-ბრამ-ბრამ-სელი, ფორ-ბრამსელი, ზედა-ბრამსელი, ქვედა-ბრამსელი... — და ყოველ სიტყვაზე — ტყაც და ტყაც!

— გროტი! ხმამაღლა!

— გროტ-ტრიუმფელი, — ტყაც!

მაგრამ რაც უფრო მოხუცებაში შევიდა, იღლებოდა ხოლმე.

— რას ჩააცვიდი მაგ გროტებს, — დამიყვირებდა, — იალქნებზე გადადი.

— ახლავე, სერ! კრიუს-ტრიუმფელი, კრიუს-ბრამსელი, კრიუს-ბრამს-ტაკელი, ბეგინ-რეი.

— მერე!

— შპანკერი!

— რითია აღკაზმული?

— ბუმითა და გაფით, სერ.

ტყაც-ტყაც-ტყაც, გაისმოდა ნარვალის ჯოხის ტყაცუნა.

ყურს რომ დააკლდა, ყველას უსაყვედურებდა — რას ჩიფჩიფებთო.

— თუ სიმართლეს ამბობ, ან თუ გგონია — სიმართლეს ვამბობო, ხმამაღლა თქვი, — იღრიალებდა ხოლმე პაპაჩემი.

სმენამ კი უღალატა სიბერეში მოხუც კაბიტანს, მაგრამ მასსოფრობა ერთი ბეწოთი არ დაჰკარგვია. ერთს არ დაფიქრებოდა, ისე გეტყოდა ყოველი გემის ტონაჟსა და სისწრაფეს, რომელიც ოდესმე ნიუ-ბეიტაუნის ნავსადგურში შემოსულა. გეტყოდა, რა ტვირთი მოიტანა, მერე როგორ გაინაწილეს ეს საქონე-

ლი... საკვირველი კი იყო, რადგან ეგზეპერის ოქროს დღეებს არც პაპაჩემი მოსწრებია. ნავთს — „წუნწუნს“ ეძახებდა, ხოლო ნავთის ღამპას — „აყროლებულ წუნწუნს“. ელექტრონის გამოჩენას გულგრილად შეხვდა, ანდა იქნებ მშინ უკვე მოგონებებით სულგამულობდა. მისი სიკედილი ელდად არა მცემია. ამაშიაც ისე გამოიწრთენა, როგორც გემების აღკაზმულობაში. მომზადებული ვიყავი შინაგანადაც და გარეგნულადაც — ღამითა და სილით ამოყვებულ ძველი ნავსადგურის მარჯვნივ, ზედ პოულუმის ნავსაბელოან, ქვის ფუნდამენტი ისე შემორჩენილიყო. ზღვის მიქცევის დროს სულ გატიტვლდება ხოლმე ეს ადგილი და ტალღები დრმად ნაგებ ქვაყრილს ეტყლაშუნებიან. იქიდან ათიოდე ფუტის მანძილზე პატარა თაღოვანი გასასვლელია — სიგანით ოთხამდე ფუტი, სიმაღლეც ოთხი და სიღრმე — ხუთი ფუტი. ვინ იცის, ოდესღაც იქნებ სადრენაჟო მილი ერთვოდა ამ გასასვლელს. ახლა მიწის მხარე ქვის ნატეხებითა და სილითაა ამოჭყებული. სწორედ ეს გახლავთ ჩემი ადგილი, ამოჩემებული აღგილი, რაც ყველას სპირდება. აქ რომ შეხვალ, კაციშვილი ვერ დაგინახავს, თუ ზღვის მხრიდან არ მოგადგა ვინმე. ძველი ნავსადგური ახლა აღარავინ ახსოვს, აქაიქ პატარა ქოხმბებს თულა შენიშნავთ — ეს ხამანწყების მძებნელთ მოუწყვიათ. მაგრამ ზამთრობით ამ ქოხებსაც არავინ ეკარება. თანაც, ხამანწყების მძებნელები წყნარი ხალხია, ცნობის მოყვარეობას არ იჩენენ. დღე ისე დამდმდება, ერთ სიტყვას ვერ დააცდენინებ — წელში მოიკაკეებიან, თვალს მიწას მიამტკრებენ და ისე დადიან.

სწორედ იქითიყნ გაემართე. ჯარში რომ მივყავდით, წინა დამე იქ გავათენე თეთრად, მერისთან დაქორწინების წინა დამეც. და ელენი რომ იბადებოდა, იმ დამის ერთი საწილიც იქვე გავატარე — მერის ძალიან გაუჭირდა. გული მომთხოვს ხოლმე იქ წასვლას. შუვალ, ჩამოვჯდები, ვისმენ პატარა ტალ-

ღების ტლამუნს და მეჩჩის დაკბილულ ქვეს გაეყურებ. ლოგინში რომ ვიწევი, მოცეკვავე წითელ ლაქებში არეული მომჩვენა ეს ყველაფერი და გულმა აქეთენ გამომიწია. დიდი ცვლილებები როცა ხდება ჩემს ცხოვრებაში, ჰამინ მომიწევს აქეთენ გული, დიდი ცვლილებები როცა ხდება.

აქედან, ნაპირისავე გასწვრივ, საუთ დევონი იწყება, და იქაურობა ქუჩის ფანრბითაა განთავსული. ეს სულ კეთილი ხალხის საქმეა, შეყვარებულებს უფროხილდებიან — ფათერაკს არ გადაეყაროხო, და ისინიც იძულებული ხდებიან სადმე სხვაგან წავიდნენ. მუნიციპალიტეტის წესდების მიხედვით, ქონდარა უილის ვეალება ყოველ საათში ჩაიაროს და დაათვალიეროს იქაურობა. ახლა კაცის ჰაჰანებას ვერ ნახავდით — კაცის ჰაჰანებას! გასაკვირიც კია — მეთევზეები აქ მუდამ ირევიან: ზოგი სათევზაოდ მიდის, ზოგი უკან ბრუნდება, ზოგი ახლა თევზაობს... გავიარე ფუნდამენტი, ხვრელში გავძვერი და ჩემს ბატარა გამოქვაბულში შევედი. ჩამოჯდომაც ვერ მოვასწარი, რომ ქონდარა უილის მანქანის თუხთუხი გაეფოგნე. უკვე მეორეჯერ ავცდი ამაღამ მისთან ლაპარაკს.

აღბათ მოუხერხებელიც ჩანს და სულელურიც ქვის ნიშში თვალებფაფხურა ბუდსავით ფეხმორთხმით ჯდომა, მაგრამ როგორღაც შეეწევე ამ ქვას, თუ ქვა შემეწეო მე!.. იქნებ დიდი ხნობით ამ ქვაზე ყოფნამ ჩემს საჯდომს თავისებური ფორმა მისცა. რაც შეეხება იმას, რომ აქ ჯდომა სულელური ჩანს, ეგ ოდნავადაც არ მიადარდება. ზოგჯერ რაც უფრო სულელურ რამეს აკეთებ, მით უფრო ერთობი, ბავშვებისა არ იყოს—ქანდაკობისა რომ თამაშობენ და სიცილით მუცელზე იფხრიწებიან. სისულელე ზოგჯერ ცხოვრების წესს შეგაცვლევინებს და ახლებურ ცხოვრებას დაგაწყებინებს. რამეზე აღელვებული რომ ვარ, სისულელეს მოვკაცები ხოლმე, რომ ჩემს ძვირფას არსებასაც არ გადა-

ედოს ჩემი აღელვება. კარგადაც ვახტრებ, აქამდე ერთხელაც არ შემეშინებია ჩემი სულიერი მდგომარეობა; ყოველ შემთხვევაში, მე არ შემინიშნავს, რომ რამე შეეტყოს. რამდენი რამე არ ვიცი ჩემი მერისა. უპირველესად კი ის არ ვიცი, ჩემზე რას ფიქრობს და რა აზრისაა. არა მგონია, მაგალითად, ჩემი ამოჩემებული ადგილის ამბავი იცოდეს. ანკი, საიდან ეცოდინება? მე ერთი სიტყვაც არავისთან დამცდენია. ჩემს გონებაშიაც კი არ შემირქმევია სახელი ამ ადგილისთვის, არც რამე რიტუალი მომიგონია და არც არაფერი. ეს არის, უბრალოდ, ადგილი, სადაც ვზივარ და ათას რამეს ვუფიქრებდი. სხვა ადამიანებისა ანკი რა გვესმის ჩვენ. უკეთეს შემთხვევაში, ვვარაუდობთ, რომ სხვებიც ჩვენა გვეგანან. ვზივარ აგერ ჩემს ამოჩემებულ ადგილას, ქარს მოფარებული, ვხედავ, როგორ ეხლებიან ჩვენი მკველი ფანრებით მერთალად განათებულ ნაპირს შავი ცისაგან ჩამუჭებული ტალღები და ვფიქრობ, ნეტა სხვებსაც თუ აქეთ ასეთი ამოჩემებული ადგილი, ან თუ სპირდებთ, ანდა, იქნებ, საჭიროებას გრძნობენ, მაგრამ ვერ უპოვნიან. ხშირად შემინიშნავს ხალხისათვის თვალეში რალაცნაირი სევდა, მწვეარდადგენებულ გამაგებული ნადირის სევდა, თითქოს მყუდრო, საიდუმლო ყურეს ეძებდნენ, საცა აფორიაქებულ სულს დაიმშვიდებენ და, განმარტობულნი, მშვიდად ასწონიან თავიანთ ყოფას. რალა თქმა უნდა, მეც ბევრი მსმენია თეორიები, თითქოს სიკვდილს ჩვენ თვითონ ვესწრაფოდეთ და გული კვლავ უკან გვეწეოდეს, დედის საშოსკენ... იქნებ ეს მართალიც იყოს, ვინმეს მართლაც მოსდიოდეს ასე, ჩემზე კი ეგ არ ითქმის, თუ ძალიან არ გავიადვილებთ საქმეს და ძნელი ამოცანის გადაწყვეტას იოლად არ მოვიწოდებთ. მე რომ მკითხონ, იმ შენს ამოჩემებულ ადგილას რას აკეთებო, „ჩემს ყოფას“ ეწონი-მეთქი, ვუბასუნებ. სხვამ იქნებ თქვას, ელოცულობო, და ისიც თავისე-

ბურად მართალი იქნება. არა მგონია, ეს უბრალო ფიქრი იყოს. თვალსაჩინოდ რომ ვცადოთ ამის წარმოდგენა, მე შევადარებდი სასიამოვნო ნიავში სველი ზეწურის ფრიალსა და გაშრობას, როცა იგი თანდათანობით იტყილება და თეთრდება. ჩემთვის მუდამ სასარგებლოა ხოლმე იქ გატარებული დრო, აღარ დავკებ — კარგია ეს თუ ცუდი.

ათასი რამე დამიგროვდა ასაწონ-დასაწონი და გასათვალისწინებელი, ისინი ჩემს წინაშე ხტოდნენ, და, როგორც ზავშევიბი გაკვეთილზე, ხელს მიწვედნენ, ყურადღება მომაქციეო. მაგრამ უცებ ძრავიანი ნავის ნელი გუგული მომესმა. სათევზაო კარქაპი იყო, ლიუნგერი. მისი მბჟუტავი სინათლე სამხრეთისაკენ მიცოცავდა, მეჩჩის გასწვრივ. ერთბაშად ყველაფერი ვადამავიწყდა და, მანამ მეჩჩის არ ჩაუარა და მშვიდობიანად გავლის ნიშნად მწვანე და წითელი შუქი არ შევნიშნე, აღარც მომგონებია სხვა რამე. მერე კარქაპის ლუზა ჩაუშვეს და ნაპირისაკენ ორი კაცი დაიძრა პატარა ნავით. ტალღები ნაპირის სილას მოეტლასუნა, დამფრთხალი თოლიები, ერთი პირობა, წამოიშალნენ და მალევე დაეშენენ ტივტივებზე.

პირველი: მერიზე უნდა იფიქროს კაცმა, ჩემს ძვირფას მერიზე, რომელსაც ახლა მშვიდად სძინავს და ტუჩებზე გამოუცნობი ღიმილი დასთამაშებს. არ მინდოდა, გამეღვიძებინა და შემეწუხებინა. მაგრამ კიდევ რომ ვაადვიძო, განა ვავრძნობინებს რამეს? არა მგონია. მე ასე მეჩჩენება, რომ მერი ბევრ რამეს არ მეუბნება თუმცა თავი ისე უქირავს, თითქოს ყველაფერს მეუბნებოდეს. ახლა გამდიდრების საქმეს მივხედოთ, მერის თვითონ სკირდება ეს სიმდიდრე, თუ ჩემთვის უნდა? იმას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ეს მოჩვენებითი სიმდიდრეა, მარჯი იანგ-ჰანტის მიერ გაურკვეველი მიზეზების გამო მოგონილი. მოჩვენებითი სიმდიდრე არაფრით არ ჩამოუვარდება ნამდიდრს, ის

კი არადა — იქნებ ყველა სიმდიდრეც ცოტად თუ ბევრად მოჩვენებითი იყოს. ფულის გაკეთება ყველა გრძნობადამიანს შეუძლია, თუკი ამას გაიხდის მიზნად. სინამდვილეში, ყველაზე უფრო კაცს უნდა ქალები, კარგი ჩაცმადახურვა და სხვებისაგან პატივისცემა. სწორედ ეს უბნევს თავგზას. დიდ ფინანსისტებს თავიანთი საქმის ხელოვნებს, — მორგანს, მაგალითად, გინდაროკფელერს, — თავგზას ვერ აუბნევ. მათ ფული უნდათ, მხოლოდ ფული, და ხვეტენ კიდევ ამ ფულს. სულ სხვა საქმეა, მერე ამ ფულით რას აკეთებენ. მე კი მუდამ ასე მეჩჩენება, რომ ისინი თვითონვე ფრთხვიან თავიანთივე გამოწვეული სულებით და მერე ცდილობენ მათგანვე გამოისყიდონ თავი.

მეორე: ფულიო, მერი რომ ამბობს, ამით მას წარმოდგენილი აქვს ახალი ფარდები, ზავშევიბის კარგად აღზრდა, თავის ცოტა უფრო მაღლა დაჭერა და, — ბარემ პირდაპირ ვთქვათ — ისიც, რომ ჩემი კი არ ერცხვინებოდეს, არამედ ეამაყებოდეს.

მესამე: მე თუ მჭირდება ფული? არა, რა ბრძანებაა. თუმცა ეს ნოქრობა ვერაფრად მეზიტნაება. ჯარში კაპიტნობას მივალწიე, მაგრამ ისიც ვიცი, რას უნდა ვუმაღლოდე. ოჯახიშვილობას და იმას, რომ კარგი წრიდან ვიყავი გამოსული. განა ჩემი ღამაში თვალები მოეწონათ. კარგი ოფიცერი კი დავდექი, სანაქებო ოფიცერი. მაგრამ მზრძანებლობის მოყვარული რომ ვყოფილიყავი და სხვების ჩემს სურვილზე ახტუნება მყვარებოდა, ჯარში დავრჩებოდი და აქამდე პოლკოვნიკობასაც მივალწივდი. მაგრამ არ დავრჩი. ერთი სული მქონდა, მანამ იქიდან წამოვიდოდი. ნათქვამია, კარგ მეომარს ბრძოლა აინტერესებს და არა ომიო. ეს უკვე სამოქალაქო ხალხის საქმეა.

მეოთხე: მარულომ კარგად ამიხსნა საქმოსნობის მთელი არსი: ეს ფულის კეთებაა. ჯოი მორფიმაც პირდაპირ მითხრა ეს, მისტერ ბეიკერმაც, იმ კომი-

ვოიაჟერმაც. მაშ რატომ მირევს გულს, თითქოს ლაყე კვერცივი ვადამეყლაპოს? ნუთუ ასე კარგი ვარ, ან ასე კეთილი ან ასე სიმართლის მიმდევარი? არა მგონია. მაშ მეტისმეტად ამაყი ვარ? სიამაყე მართლაც არ მაკლია. იქნებ ზარმაცი ვარ და ზედმეტი სიზარმაციის გამო ვერიდები საქმეში ჩაბმას? ბევრსა სჭირს ასეთი უმოქმედო სიკეთე, რაც ფაქტიურად სიზარმაცეს ნიშნავს — როცა თავისშეწყულებასა და მღელვარებას გაურბი, ხელის ვანძრევას ერიდები.

მუდამ ასეა ხოლმე — ჯერ სინათლე სად ზრის, და ჰაერში კი უკვე განთიადის სურნელი ტრიალებს. ახლაც ასე მოხდა, დილის ნიაგი დაიძრა. დასავლეთით, ჰორიზონტზე, ახალი ვარსკვლავი თუ პლანეტა გამოჩნდა. წესით, უნდა ვიცოდე, რა ვარსკვლავია ეს ან რა პლანეტა, მაგრამ არ ვიცი. იმ მოჩვენებითს გარიჟრაჟზე ქარი გაძლიერდება და უფრო აცივდება ხოლმე. სულ ასე იცის. ესე იგი, ჩემი შინ წასვლის დრო მოსულა. მეტისმეტად დაიგვიანა იმ ვარსკვლავმა, დიდხანს ციმციმი არ უწერია, დღე მოუსწრებს! ნათქვამია „ვარსკვლავები კი არ მბრძანებლობენ, რჩევას იძლევიანო“. მეც გამიგონია, რამდენი გამოჩენილი და სერაიოზული ფინანსისტი მისულა თურმე ასტროლოგებთან რჩევისათვის. ფასების აწევასაც უწყობენ ნეტა ხელს? ნუთუ „ამერიკან ტელეგრაფ ენდ ტელეფონის“ კომპანიაც ვარსკვლავებს ემორჩილება? ჩემი ბედი სულაც არ არის დაკავშირებული იმ შორეულ ვარსკვლავთან, გაცვეთილსა და გაცრეცილ კარტზე ჰკიდია, რომელსაც ვიღაც უსაქმური, ბოროტი დედაკაცი ჩითავს ხელში და თან გაშლის დროსაც გატყუილებს. კარტი რაღას შერება — მბრძანებლობს თუ რჩევას იძლევა? გზა კარტმა არ მიყო, შუალამისას რომ წამომავლო და აქეთკენ გამომაქანა? გზა კარტის საქმე არ არის, რომ სულაც არ მინდა ფიჭრი და მაინც საძუ-

ლველ საქმეზე ვფიქრობ?! მეტი რაღა ვინდა? ნეტა საქმოსნობსაც თუ შემაყვარებენ, რაც მუდამ უცხო-ყოფილნიშნის? იმას თუ მომანდომებენ, რაც გულით არ მწადიან? არსებობენ მჭამელე-ბი და შეკმულეები. ეს სიბრძნე უსათუოდ უნდა გახსოვდეს, როცა საქმეს იწყებ. ვითომ მჭამელეები შეკმულეებზე უფრო უზნეო ხალხია? ბოლოს და ბოლოს, ყველანი შეკმულეები არ გავხდებით! ყველას მიწა არ გვშთანთქავს! ყველაზე გულქვა და ყველაზე გაიძვერებიც კი ვერ გაქვცევია.

კლემ-პილზე რამდენი ხანია ყვივან მამლები. მესმის კიდეც და არც მესმის. აქ დარჩენა მომიჩნდა — აქედან შხის ამოსვლის დანახვა.

წელან ვამბობდი, ამ ამოჩემებულ ადგილთან დაკავშირებით არავითარი რიტუალი არა მაქვს-მეთქი, მაგრამ ეგ არ არის მთლად მართალი. რამდენს აქ მოვალ, ჩემს წარმოდგენაში ძველ ნავსადგურს გავაცოცხლებ ხოლმე და იმით გტკები — დოკები, საწყობები, ანძების ტყეები, გაშლილი აფრები. შევჰყურებ ჩემს წინაპრებს, ჩემს საკუთარ სისხლს — ყმაწვილები გემბანზე გამოშლილან, უფრო მოზრდილები სპარდეკზე დგანან, მოხუცები — ხილზე. ვის დესიზმრებოდა მაშინ მედისონ ავენიუ, ან კალნაბისათვის ზედმეტი ფოთლების მოცილება! კაცური კაცი ღირსებით ამაყობდა, მოხდენილობით. თავისუფლად სუნთქავდა ადამიანი.

ამას მამაჩემი ამბობს, ქარაფშუტა კაცი. ძველი კაპიტანი კი იგონებს დავლის განაწილებაზე ჩხუბს, ათასგვარ ყალთბანდობას, რათა მეტი რამე ირგუნონ, ყოველი ფიცრისა და კილსონის ექვით შეთვლიერებას, საჩივრებს, კაცისკვლას... დიახ, კაცისკვლასაც! ქალების გამო? დიდებისათვის? თუ ისე, უბრალო ხუშტურით? არაფერიც. ფულის გამო. იშვიათად მომხდარა, რომ პირველი მგზავრობის შემდეგ არ გათიშულიყენენ ამხანაგები, და ამის შემდეგ ბოლო აღ-

არ ჰქონდა შუღლსა და მტრობას. ისე რომ, მერე და მერე, ამ ჩხუბის თავდაპირველი მიზეზიც კი ავიწყდებოდათ.

ერთი მწარე ამბავი ვერასდიდებით ვერ დავეიწყებინა მოხუც კაპიტან ჰოულის; ვერა და ვერ მიეტყვებინა ერთი დანაშაული, რამდენჯერ უამბნია ჩემთვის, როცა ძველი ნავსადგურის ნაპირას ვიდგეით ან ვისხედით. სულ იქ არ ვიყავით — ისიც და მეც! მახსოვს, როგორ გაიშვერდა თავის ჯოხს.

— ამ მეჩენის მესამე ლოდს შეხედე, — მეტყოდა ხოლმე, — ხედავ? იქიდან პორტის კონცხამდე გაავლე ხაზი; იგულისხმე, რომ ზღვის მოქცევაა. გაავლე? ჰოდა, მანდღან ნახევარი კაბელის შანძილზე იდგა.

— „ბელ აღერი?“

— „ბელ აღერი“.

— ჩვენი გემი.

— ჰო. საზიარო გემი. ღუზაჩაშვებული იყო, როცა დაიწვა. რეიდზე. ვერ დავიჯერებ, რომ შემთხვევით მომხდარიყო.

— მამ დაწვეს, სერ?

— მე მგონი.

— მერე... მერე მაგას იზამდით თქვენ?

— მე ვერ ვიზამდი?

— ვინ დასწვა?

— არ ვიცი.

— მაინც რად უნდა დაეწვათ?

— დაზღვევის ამბავია.

— მაშინაც ასე იყო?

— ასე იყო.

— არაერთარი განსხვავება არ არის?

— განსხვავება მხოლოდ ადამიანშია

— მხოლოდ ადამიანში. მთელი ძალა — ადამიანია. უმისოდ არაფერი ვაკეთებდა.

მამაჩემისგან გამიგონია, მას ზემდეგ თურმე ჰმა არ გაუტია კაპიტან ბეიკერი-სათვის, მაგრამ იმისი შვილი — ბანკირი ბეიკერი — სულაც არ შეუძლებია. როგორც გემისათვის ცეცხლის გამჩენი არ

ყოფილა, ისევე სხვი ამისთანა უსამართლობასაც ვერ იზამდა პაპაჩემი.

ღმერთო დიდებულო, ახლა შინისკენ უნდა გავეშურო. და მართლაც გავეშურე. თითქმის სირბილით წავედი. მთავარ მაგისტრალს ისე მივადექი, არაფერზე მიფიქრია. ჯერ კიდევ საკმაოდ ბნელთა, მაგრამ ზღვის დასაღიერთან ნათელი ზოლი გაჩნდა და ტალღებსაც ლითონის მორთუბო ფერი გადაეკრა. ომში დაღუპულთა ხსოვნის ქანდაკებას შემოვუარე და ფოსტას გავეცი. ერთ-ერთი სახლის შესასვლელში, ვხედავ, დენი ტელიორი დგას. ამას ადრევე ვგრძნობდი. ხელები ჩიბებებში ჩაუწყვია, გაცრეცილი პალტოს საყელო წამოუწყვია და ყურებზე დაც ძველი სანადირო ქუდი ჩამოუფხატავს. სიცივისა და ავადმყოფობისაგან სახე სულ გაღურებულია.

— ით, — მომამახა, — შენი შეწუხება არ მინდოდა. ნამდვილად არ მინდოდა. მაგრამ პირი უნდა გავისველო. ძალიან რომ არ მიჭირდეს, ხომ იცი, არ შეგაწუხებდი.

— ვიცი. არა, საიდან მეცოდინება, მაგრამ მჯერა. — დოლარიანი ჩაეუღე ხელში, — გეყოფა?

ტუჩები აუთრთოლდა, ბავშვებს რომ აუთრთოლდებათ ხოლმე ტირილის წინ.

— გმადლობ, ით, — მითხრა მან — გეყოფა... მთელ დღეს გამოვიზოგებ. იქნებ დამითაც მეყოს.

ამის გაფიქრებაზე უფრო გამოცოცხლდა.

— დენი... დანებე თავი ამას. შენ გგონია დამავიწყდა? შენ ხომ ჩემი ძმა იყავი, დენი. ახლაც ძმა ხარ. რასაც კი მეტყვი, უკან არ დავიხევ, ოღონდ როგორმე დაგეხმარო.

გაცრეცილ ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა. ხელში ფული შეატრიალა — თითქოს უკვე გადაეკრას პირველი ყლუბი პირის გასასველებლად. მერე ცივი და გაბოროტებული თვალები შემომანათა.

— ჯერ ერთი, ვის რაში ეკითხება,

მე რას ვაკეთებ. მეორეც, შენ თვითონ რისი პატრონი ხარ, ით. რაღა მე და რაღა შენ.

— ჯერ მომისმინე, დენი.

— რატომ უნდა მოვისმინო? მართალი თუ გინდა, მე შენზე უფრო კარგადა ვარ. თავი ქულში მაქვს. სოფელი არ გაგონდება — ჩვენი ეზო?

— სახლს რომ ცეცხლი წაეკიდა? დამალობანას რომ ვთამაშობდით სარდაფში?

— კარგად გხსომეგია. ის ახლაც ჩემია.

— დენი, გაპყიდე ის ეზო და ახალი ცხოვრება დაიწყე.

— რატომ უნდა გაეყიდო. ცოტ-ცოტას ყრველწლიურად აპირებ ხოლმე, გადასახადების დისაფარავად. მაგრამ ის დიდი მდელი ისევ ჩემია.

— რატომ არ გინდა, გაპყიდო?

— იმიტომ, რომ ის მიწა მე თვითონა ვარ. დანიელ ტეილორი, მანამ ის მიწა ჩემია, უბატონოდ კაცი ხმას ვერ გამოცემს. ვერავითარი ნაბუშარი და ძაღლის გაგდებული ვერ დამაკარებს ხელს. გასაგებია?

— მომისმინე, დენი...

— არ მოვისმენ. შენ თუ გგონია, ეს ერთი დოლარი ქადაგების უფლებასაც გაძლევს, აჰა უკანვე წაიღე.

— შეინახე.

— კარგი, შევინახავ. მაგრამ შენ არც კი გესმის, რას ლაპარაკობ. შენ თავის დღეში არ... დამთვრალხარ. მე როდის გასწაველი, ლორის ნაჭერი ასე და ასე შეახვიე-მეთქი?... ჰა, მისწავლებაა, როდესმე? შენს გზას რომ ვაუყუებოდე ახლა, მე ვეგერ ერთი ადგილი მეგულება, ფანჯარაზე დავაკაკუნებ და პირის გასასვლელზე მსომცემენ. ოღონდ არ დავაფიწყდეს — შენზე კარგად მე ვარ ისევ. ნოქარს მაინც ვერ დამიძახებენ.

შებრუნდა და თავი ნახევრად შეღებილ კარებში შეჰყო — პატარა ბავშვი რომ მიიბრუნებს პირს და ჰგონია, მთელს ჭევეანას გავერიდეთ. მანამ არ მოვშორდები, არც მობრუნებულა.

სასტუმროს წინ, თავის შეფეროლებაში შეყუებული ქონდარა უილი შეინძრა და მანქანის მინა დაბლა დაუშვა.

— დილა მშვიდობისა, — გამოძახა, — ასე აღრიან ადგიქი, თუ დაწოლა დაგეგვიანდა?

— ერთიც და მეორეც.

— ეტყობა, კაი ნაჭრისათვის ჩაგივლია.

— იცოცხლე, უილი, სამოთხეში მოვხვდი.

— აბა, აბა, არ დაიწყო — ქუჩის კახპასთან ვიყავი!

— თავს გეფიცები.

— ხელად დაგიჭირებ! სანადღოს ჩამოვალ, ანკესი გეჭირა ხელში და თვეზობდი. ოჯახი როგორა გყავს?

— სძინავს.

— მეც სიამოვნებით დავიძინებდი. ცვლას რომ ვეღირებოდე.

აღარ ეუთხარი, ამ სიამოვნებას არც აქ იკლებ-მეთქი, ისე გავშორდი.

ფეხბარეფით შევედი ეზოს კარებიდან და სამზარეულოში სინათლე ავანთე. ჩემი ბარათი მაგიდაზევე დამხვდა, ოღონდ მარცხნივ. დაეფიცებ, რომ მე მაგიდის შუაგულში დაეტოვე.

ყავა დაეღვი და დაეჭექი, აღუღებას დაველოდე. აშიშინდა თუ არა, მერიც შემოვიდა. პატარა გოგოს ჰგავს ჩემი საყვარელი მერი, როცა გაიღვიძებს. ვერაფრით ვერ იტყვი, ორი დიდი ბავშვის დედააო. ახალმოთიბული ბალახის სურნელი ასდის. ამაზე სასიამოვნო სუნია აბა რა იქნება ქვეყანაზე!

— ამ უთენია რამ წამოგახტუნა?

— ამ უთენიაო! მთელი ღამე ზეზე ვარ. თუ არ გჯერა, ეგერ ჩემი კალოშები. ნახე, რა სველია.

— სად იყავი?

— ზღვის ნაპირად ერთი პატარა გამოქვაბული მაქვს, აბურძნულო ჭუჭულო. იქ შეძვეერი და ღამეს ვაკვირდებოდი.

— კარგი ერთი!

— ვნახე, როგორ ამოცურდა ვარსკვლავი ზღვიდან, და რაკი ჯერ პატრონი

არ გასჩენია, მე დავებატრონე — ჩვენი ვარსკვლავი იყოს-მეთქი. მერე მოვათვინიერე და საძოვარზე გავუშვი.

— ნუ სულელობ. ალბათ, ეს წუთია ადექი, და მეც იმიტომ გამეღვიძა.

— ჩემი თუ არ გჯერა, ქონდარა უფლის ჰკითხე. ერთად ვლაპარაკობდით. დენი ტეილორსა ჰკითხე — დოლარიანი ვაჩუქე.

— რატომ მერე? წავა და დათვრება.

— ვიცი. იმიტომაც მთხოვა ფული. ჩვენი ვარსკვლავი სად დავაძინოთ, საყვარელო ჩაღუნა?

— რა კარგი სუნი აქვს ყავას, არა? ძალიან მიხარია, რომ ისევ შენებურად აურიე. მტრისას, ცხვირს რომ ჩამოაფუშებ. სისულელე იყო იმ სიმღიდრეზე ლაპარაკი. არ გეგონოს, მე უბედურად ვჯობობდგე თავს.

— ფიქრი ნუ ვაქვს, კარტი არ შემცდარა!

— არ მესმის, რაო?

— არ გეხუმრები. მალე გავმდიდრდები.

— შენ ვერაფერს გაგიგებს კაცი.

— სიმართლის თქმა ყველაფერზე უფრო ძნელია ხოლმე. რა იქნება, ბავშვებს დავერიო, აღდგომის უქმის აღსანიშნავად?! პატიოსან სიტყვას გაძლევ, ძველებს არ დავუჩიქვავ.

— ჯერ პირიც არ დამიბანია, — თქვა მერიმ, — ვერასდიდებით ვერ მოვედი აზრზე, სამზარეულოში რა ბრახუნობს-მეთქი.

ის რომ სააბაზანოში შევიდა, მე მაგიდიდან ბარათი ავიღე და ჭიბეში შევინახე. მაინც ვერ მიმხვდარვარ. ნუთუ არაფერი არ ვიცი იმ ჩვენ ერთმანეთისა? ვინა ხარ, რა ხარ, მერი? მერი — გეუხრება? რა ხარ-მეთქი, რას წარმოადგენ?

თარგმანი ვახტანგ ხელიძისა.

(ვაგრძელება იქნება)

კაბიტალიზმი

გეგმაში უიკისხალავა

სოციალიზმის ღიალი მონაკოვრები

ჩვენი პლანეტის არც ერთი ქვეყნის პატრიარქ არ იცის მეორე ისეთი მოვლენა, ისეთი რევოლუცია, რომელსაც ასე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონოდა მსოფლიოს მშრომელების ზედსართვის, ყველა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებისათვის, როგორც აქვს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომლითაც კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დაიწყო ახალი ერა — კაპიტალიზმის მოსპობისა და სოციალიზმის გამარჯვების ერა.

გახდა რა თავისი ბედის ბატონ-პატრონი, მშრომელი ხალხი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შეუდგა ღიალი სოციალისტური გარდაქმნების განხორციელებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასმა კაპიტალიზმი დაამარცხა პოლიტიკურად და დაამყარა თავისი დიქტატურა. ახლა საჭირო იყო კაპიტალიზმის დამარცხება ეკონომიურად, კაპიტალისტური მეურნეობის ლიკვიდაცია და ამ არხების მოსპობა, საიდანაც კაპიტალისტური წარმოება წარმოიშობოდა, საჭირო იყო მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურად. ეს იყო უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა, რომლის მსგავსი არასოდეს არ მდგარა მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის წინაშე.

ჩვენს ქვეყანას ჰქონდა სოციალიზმის აშენების სათანადო პირობები: აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრეები, საზოგ-

ადობის გარდაქმნის მძლავრი ინსტრუმენტის — მუშათა კლასის დიქტატურა, საბჭოთა ხალხის მზარდი პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმძლე მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა საბჭოთა ხალხისადმი.

მაგრამ სოციალიზმის აშენების საქმეს წინ ელობებოდა სერიოზული სიძნელეებიც. ჯერ-ერთი, საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურამ. იგი გარემოცული იყო მტრული კაპიტალისტური ქვეყნებით. მართალია, კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო ინტერვენცია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 1918—1920 წლებში სამარცხენო კრახით დამთავრდა, მაგრამ მათ ხელი არ აუღიათ თავიანთ ბნელ განზრახვებზე — მოესპოთ პროლეტარიატის დიქტატურა, დიდი ოქტომბრის ყველა მონაკოვარი. ამ მიზნით ისინი აწყობდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიურ ბლოკადას, შეიარაღებულ თავდასხმებს, დივერსიებს, მიმართავდნენ ცილისწამებას და სხვა ბინძურ საშუალებებს.

შემდეგ, უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა ის, რომ ჩვენი ქვეყანა იყო ტექნიკურ-ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი, წვრილი გლეხური მეურნეობის ქვეყანა. ეს ჩამორჩენილობა საბჭოთა ხალხს უნდა დაეძლია საკუთარი ძალებით, გარედან ყოველგვარი დახმარების გარეშე. გარდა ამისა, არ იყო ახალი ცხოვრების შექმნის გამოცდილება, იმის პრაქტიკა, თუ რა კონკრეტულ

ფორმებში უნდა მომხდარიყო სოციალისტური გარდაქმნები. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას ამის გამოცდვლება არ ჰქონდა. საბჭოთა ხალხი კი პირველი შეუდგა სოციალიზმის აშენებას, პირველი მიიკვლევდა უფალ გზას.

შემდეგ, სოციალიზმის აშენების საქმეს გააფთრებულ წინააღმდეგობას უწყედნენ დამხობილი ექსპლოატატორული კლასები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაეკარგათ კაპიტალიზმის რესტავრაციის იმედი და რომლებსაც ენაჩრებოდნენ იმპერიალისტური საბელმწიფოები. დრომოქმელი წყობილების ეს ბნელი ძალები საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით აწყობდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს, დივერსიებს, ტერორისტულ აქტებს, საბოტაჟს, ეწეოდნენ მოსახლეობაში მტრულ პროპაგანდას.

სერიოზული სიძნელე იყო აგრეთვე ის, რომ კომუნისტური პარტიის შიგნით არსებობდა სხვადასხვა მიმდინარეობა და დაჯგუფება, რომლებიც ასახავდნენ მტრული კლასების განწყობილებას, მათი დეოლოგიას და ხელს უშლიდნენ პარტიის ლენინური ხაზის გატარებაში.

„მუშათა კლასის პარტიის, — ნათქვამია სკკპ ახალ პროგრამაში, — უნდა გამოეჩინა ბრძნული, შორსმჭვრეტელი პოლიტიკა, უნდა გამოეჩინა ურყევი სიმტკიცე და ორგანიზებულობა, საკუთარი ძალების, ხალხის ძალების მტკიცე რწმენა...“

პარტია ამ ისტორიული ამოცანის ხელმძღვანელობით მან შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის ძირეული გარდაქმნის გეგმა, სოციალიზმის აშენების გეგმა. ლენინმა მოგვცა ღრმა მეცნიერული დასაბუთება პროლეტარული საბელმწიფოს პოლიტიკისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მთელი გარდამავალი პერიოდისათვის. მან შეიმუშავა ახალი ეკონომიური პოლიტიკა (აგპ), რომელიც ითვალისწინებდა სოციალიზმის გამარჯვებას. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოოპერირება, კულტურული

რევოლუცია — ასეთია სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმის ძირითადი რგოლები.

ახალი, სოციალისტური ეკონომიკისათვის ბრძოლის საქმეში გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, პირველ რიგში, მძიმე ინდუსტრიის შექმნას თავისი წაწყვანი დარგით — მანქანათმშენებლობით, რომელიც წარმოადგენს სოციალიზმის ერთადერთ მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს. „სოციალიზმის ერთადერთი მატერიალური საფუძველი, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება იყოს მსხვილი მანქანური მრეწველობა, რომელსაც ძალუძს მიწათმოქმედების გარდაქმნა“ (თხზ. ტ. 32, გვ. 584)

მძიმე ინდუსტრია სოციალისტური სახალხო მეურნეობის გულია. მის გარეშე შეუძლებელი იყო როგორც მსუბუქი მრეწველობის, ისე ინდუსტრიის სხვა დარგების, ტრანსპორტის განვითარება, შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა, შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუზრელი ამაღლება, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა.

განსაზღვრა რა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ამოცანები, გზები და საშუალებები, შეიმუშავა რა სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული ხუთწლიანი გეგმები, კომუნისტურმა პარტიამ ჩვენი ქვეყნის შრომელები დარაზმა მათი განხორციელებაშიათვის.

საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლისა და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად ჩვენმა ქვეყანამ გიგანტური ნახტომი გააკეთა: უმაგალითოდ მოკლე დროში, 13 წლის განმავლობაში, შექმნა პირველი კლასის ინდუსტრია. ეს იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საბჭოური მეთოდის ბრწყინვალე გამარჯვება, პარტიის ლენინური გენერალური ხაზის ტრიუმფი.

„სსრ კავშირის ინდუსტრიალიზაცია, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — დიადი გმირობა მუშათა კლასისა, მთე-

ლი ხალხისა, რომელიც არ იშურებდა არც ძალბებს, არც სახსრებს, შეგნებულად იტანდა გაქირვებას, რათა გამოეყვანა ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილობიდან“.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენი ქვეყანა მანქანებით 10-ჯერ უფრო უარესად იყო შეიარაღებული, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები და 5-ჯერ უფრო უარესად, ვიდრე გერმანია, ახლა იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უმძლავრესი ინდუსტრიული სახელმწიფოა. მრეწველობის განვითარების ტენზიების მიხედვით მან დიდი ხანია გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მიხედვით მეორე ადგილზეა მსოფლიოში. საბჭოთა კავშირი ახლა უშუალოდ ზემძლავრ დაზღვებს, უზუსტეს ხელსაწყოებს, ავტომატურ ხაზებს, ელექტრონულ-საანგარიშო მანქანებს, კოსმოსურ ხომალდებს და სხვ. მანქანათმშენებელმა და ლითონდამამუშავებელმა მრეწველობამ 1961 წელს გამოლშვა 350-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე 1913 წელს, და თითქმის 1000-ჯერ მეტი, ვიდრე 1919 წელს. 1961 წელს გამოლშვებულ იქნა 160-ჯერ მეტი ელექტროენერჯია ვიდრე 1913 წელს და 650-ჯერ მეტი ვიდრე 1919 წელს. ჩვენს ქვეყანაში პირველად იქნა გამოყენებული მშვილობიანი მიზნით ატომური ენერჯია.

• • •

მაშინ, როდესაც ქვეყნის ინდუსტრი-ალიზაციის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებამ უზრუნველყო ძველ სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური რეკონსტრუქცია და ახალი, სოციალისტური მძიმე ინდუსტრიის შექმნა, რომელიც აღჭურვილი იყო უახლესი ტექნიკითა და უმაგალითო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, სოფლის მეურნეობა ჩამორჩებოდა. სოფლად გაბატონებული იყო წვრილი დაქსაქსული გლეხური მეურნეობანი, ისინი დაფუძნებულნი იყვნენ პრიმიტიულ ტექნიკასა და ხელის შრომაზე. მათ არ შეეძლოთ

მსხვილი, თანამედროვე იარაღ-მანქანების გამოყენება, ტექნიკის მიღწევათა დანერგვა და ამიტომ ძალიან ცოტა ხისაქონლო პროდუქციის იმღეროდნენ. წვრილ გლეხურ მეურნეობებს არ შეეძლოთ არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ქვეყნის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არამედ სიღარიბისაგან თავის დაღწევაც კი. ისინი მარტივ კვლავწარმოებასაც ვერ უზრუნველყოფდნენ. გარდა ამისა, წვრილი, დაქსაქსული გლეხური მეურნეობანი წარმოადგენდნენ ეკონომიურ ბაზას კაპიტალიზმისათვის.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ვიდრე ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზაა, ვიდრე კომუნისტური ბაზა. ეს უნდა დაიხსომოთ. ყველამ, ვისაც ყურადღებით უღვენებია თვალყური სოფლის ცხოვრებისათვის, ქალაქის ცხოვრებასთან შედარებით, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ აღმოგვიფხვრია და საძირკველი, საფუძველი შინაური მტრისათვის არ გამოგვიცლია. ეს უკანასკნელი ეყრდნობა წვრილ მეურნეობას და მას რომ ნიადაგი გამოვაცალიოთ, არსებობს ერთი საშუალება — ქვეყნის მეურნეობის, მათ შორის აგრეთვე მიწათმოქმედების გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე“ (თხზ., ტ. 31, გვ. 634).

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ინტერესები მოითხოვენ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას, წვრილი კერძომესაკუთრული გლეხური მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე გადასვლას, რომელიც ახალ ტექნიკაზე იქნებოდა დაფუძნებული.

მილიონობით წვრილ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა სოციალისტურ გზაზე იყო ყველაზე რთული, ყველაზე ძნელი ამოცანა იმ ამოცანებს შორის, რომელიც იდგა მუშათა კლასისა და მი-

სი პარტიის წინაშე პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ.

ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ერთადერთი სწორი გზა. მან მეცნიერულად დასაბუთა, რომ წერილ კერძომესაკუთრულ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირება წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად განვითარების, ეულაკური კაბალის, სიღატაკისა და გაჭირვებისაგან მილიონობით მშრომელ გლეხთა ხსნის ერთადერთ გზას.

კომუნისტურმა პარტიამ, მტკიცედ ხელმძღვანელობდა რა ლენინური კოოპერაციული გეგმით, უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის მილიონობით წვრილი, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის მსხვილ, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებულ კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნა.

მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნა ეულაკობა როგორც კლასი. ეულაკობა იყო უკანასკნელი, მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე მხეტური კაპიტალისტური კლასი. რომელიც საპირ ტყავს აძრობდა მშრომელ გლეხობას და გააფთრებულ აიოლს ეწეოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის. ეულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციით მოსპობილ იქნა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციის დასაყრდენი.

კოლექტივიზაციამ განაპირობა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მძლავრი განვითარება, მისი აყვავება. საკოლმეურნეო წყობილებამ მოსპო სოფლად სიღატაკე, გაჭირვება, უციცობა და გლეხობას დაუმკვიდრა შეძლებული, ბედნიერი ცხოვრება.

სოფლად საკოლმეურნეო წყობილების დამყარებით დამთავრდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, რაც საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის უდიდეს ისტორიულ გამარჯვებას, სოციალიზმის

მშენებლობის ლენინური იდეების ზეიმს წარმოადგენდა.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლის საქმეში კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები და ლენინიზმის სხვა მტრები, რომლებიც ექსპლოატატორული კლასების აგენტურას წარმოადგენდნენ. ისინი ცდილობდნენ აეცლინათ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ლენინური გზიდან, ჩეშალათ სოციალიზმის მშენებლობა, რომელიც ფართოდ გაიშალა ჩვენს ქვეყანაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ იდეურად და ორგანიზაციულად გაანადგურა ტროცკისტულ-ზინოვიევეური ოპოზიცია, მემარჯვენე ოპორტუნიზმი და სხვა ანტილენინური მიმდინარეობანი, მტკიცედ დარაზმა მთელი საბჭოთა ხალხი სოციალისტური საზოგადოების მშენებლის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის და უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უმაღალითო სწრაფი ტემპით განვითარებამ. მთელი სახალხო მეურნეობის აყვავებამ უზრუნველყო საბჭოთა აღმავანის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება.

საბჭოთა კავშირში, სადაც დიდი ხანია ლიკვიდირებულია უმრეწვერობა, სისტემატურად იზრდება მშრომელთა რეალური შემოსავალი. მაგალითად, მუშათა რეალური ხელფასი, უმრეწვერობის ლიკვიდაციითა და სამუშაო დღის შემცირების გათვალისწინებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში 5,8-ჯერ გაიზარდა, ხოლო გლეხთა რეალური შემოსავალი 6-ჯერ და უფრო მეტად გადიოდა. 1960 წელს დამთავრდა ყველა მუშა-მოსამსახურის შეიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა. შემოკლებულ სამუშაო დღე-

ზე გადასვლა განხორციელდა ხელფასის შენარჩუნებით და გადიდებითაც კი. უმაგალითო ტემპით ვითარდება ჩვენი საბინაო მშენებლობა. მარტო 1956-1960 წლებში უფრო მეტი ბინა აშენდა, ვიდრე წინა 15 წელიწადში. ახალი ბინები მიიღო დაახლოებით 50 მილიონმა კაცმა, რაც ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედს შეადგენს.

მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა მარტო პირადი შემოსავლის ზრდით, სახალხო მოხმარების საგნებზე ფასების დაკლებით და საბინაო პირობების გაუმჯობესებით როდი შემოიფარგლება. საბჭოთა აღაპიანის ცხოვრების დონის განუწყვეტლივ ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ფონდების სისტემატურ გადიდებას. ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ხარჯები სოციალურ დაზღვევასა და შეღავათებზე, პენსიებზე, მოსწავლეთა სტიპენდიებზე, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის შენახვასა და გაფართოებაზე, უფასო განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე, მრავალშვილიანი დედებისადმი სახელმწიფოს დახმარებაზე და ა. შ. თუ 1940 წელს საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე მოსახლეობის მიერ მიღებული თანხები და შეღავათები 4,2 მილიარდ მანეთს უდრიდა, 1960 წელს ამ ფონდებმა 24,5 მილიარდი მანეთი შეადგინა.

სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოოპერირებასთან ერთად აგრეთვე კულტურული რევოლუციის განხორციელებას ითვალისწინებდა. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა წარმატებით გადაიჭრა. ჩვენი ქვეყანა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სწავლა-განათლების, კულტურის მხრივ ევროპაში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო, სულ

მოკლე ხანში მაღალი, ყველაზე მოწინავე კულტურის, უაღრესად განვითარებული მეცნიერების ქვეყნად გადაიქცა. ჩვენი კულტურა ნამდვილად ხალხური, კულტურის სიმდიდრე, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა ძვირფასი მონაპოვარი, როგორც ამას ითვალისწინებდა ვ. ი. ლენინი, საერთო-სახალხო საკუთრება გახდა.

საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც გარემოსილია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მხარუნველობით, ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებები მოიპოვა და მეცნიერების მთელ რიგ დარგებში მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა კოსმოსური სივრცის გამოკვლევაში, ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში, მძლავრი რაკეტული ტექნიკის შექმნასა და მეცნიერების მთელ რიგ სხვა დარგებში საბჭოთა მეცნიერებამ დიდად გაუსწრო ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, მეცნიერებებს.

საბჭოთა ხალხმა, მისმა მეცნიერებამ ხორცი შეასხა კაცობრიობის საუკუნოებრივ ოცნებას — დასაბამი მისცა აღაპიანის ფრენას კოსმოსში. გაფრენები კოსმოსში საბჭოთა კოსმოსური თანამგზავრი ხომალდების „აღმოსავლეთი“, „აღმოსავლეთი-2“, „აღმოსავლეთი-3“ და „აღმოსავლეთი-4“, რომლებსაც მართავენ კომონავტები იური გაგარინი, გერმანე ტიტოვი, ანდრიან ნიკოლაევი და პავლე პოპოვიჩი და რომლებმაც მარად უქცნობი დიდებით შემოსეს ჩვენი სოციალისტური სამშობლო, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ტრიუმფია. იგი საბჭოთა ხალხის გენიის განსახიერებას, დიდი ოქტომბრის რევოლუციით შობილი ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალისა და ძლიერების ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციას წარმოადგენს.

სოციალიზმის უდიდესი მონაპოვა

რია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უაღრესად რთული საკითხის — ეროვნული საკითხის გადაწყვეტა.

დიდმა ოქტომბერმა მეფის რუსეთის ჩაგრულ ერებს ნამდვილი თავისუფლება მოუტანა. ჩვენში საბოლოოდ მოიხსიერა შორის შუღლი, უნდობლობა და განაქრობებლობა, რაც წარმოშობილი იყო კაპიტალიზმის მიერ, და სავსებით გაიმარჯვა ერთა ძმობის, შეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებამ. საბჭოთა კავშირში შემავალი ერები, ერთ ძმურ დიად ოჯახად გაერთიანებულნი, ახლა მთელ თავიანთ ძალღონესა და ცოდნას დაუზოგავად ახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აწინაშეს საქმეს.

თუ როგორ სწრაფად განვითარდა წინათ ჩაგრული ერების სახალხო მეურნეობა და მათი კულტურა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ამის ნათელ სურათს იძლევა საბჭოთა საქართველო. საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილ, აგრარულ მხარეს წარმოადგენდა, მრეწველობის დონე ძალიან დაბალი იყო. ძალიან ჩამორჩენილი იყო აგრეთვე სოფლის მეურნეობა. ქვეყანაში წერაკითხვის უცოდინარობა სუფევდა. მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოს სახალხო მეურნეობა მკვეთრად დაეცა, გაპარტახდა, მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ქართველი ერი კატასტროფისაგან, უცხოელ იმპერიალისტთა მიერ დამონების საფრთხისაგან ისინა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელმაც ქართველ ხალხს ისე, როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებს, ნამდვილი ეროვნული თავისუფლება მოუტანა, თავიანთი შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის გაფურჩქვნისა და აყვავების ყველა პირობა შეუქმნა, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების ფართო გზაზე გამოიყვანა.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მოკლე დროში აღ-

მოფხვირდა იქნა ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, განხორციელდა რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაცია. მრეწველობის ძველი დარგების რეკონსტრუქციისა და სწრაფ განვითარებასთან საქართველოში შეიქმნა ახალი დარგები. სოციალისტური საქართველოს ინდუსტრია ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით აწვდის ჩვენს სამშობლოს ფოლადს, თუჯს, მარგანეცს, ქვანახშირს, ელმავლებს ავტომობილებს, ფოლადის მილებს, რთულ ჩარხებს, სააოფლო სამეურნეო მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ცემენტს და სხვა საშენ მასალას, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებს, კვების პროდუქტებს, ფეხსაცმელს და მრავალ სხვა პროდუქციას.

გრანდიოზული წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებამ განაპირობა მისი განუხრელი აღმავლობა. საქართველო ახლა დიდად განვითარებული მრავალდარგოვანი, მანქანა-იარაღებით აღჭურვილი სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. რამდენიმეჯერ გადიდა ტექნიკური კულტურების ნათესები და საერთო მოსავალი. რაც დრო გადის, რესპუბლიკა უფრო და უფრო მეტი რაოდენობით აწარმოებს ჩაის, ღვინოს, ციტრუსებს, ხილს, მეცხოველეობის პროდუქტებს. ახლა იგი იძლევა საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97, პროცენტს და ციტრუსებს 88 პროცენტს. დიდად განვითარდა მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოობა და ტექნიკური კულტურები.

საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ უზრუნველყო ქართველი ერის ისე, როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ერის, კულტურის უმაგალითო სწრაფი ტემპით წინსვლა. შეიქმნა დიდად განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა. თუ როგორ მაღალ მწვერვალზე მიაღწია მეცნიერებამ და კულტურამ, ამაზე ნათლად

მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: 1920-1921 წლებში საქართველოს ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 191.581 მოსწავლე, 1961-1962 სასწავლო წელს კი მოსწავლეთა რიცხვმა 747 ათასს მიაღწია. ამ მხრივ ჩვენმა რესპუბლიკამ გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო 314 სტუდენტი, ახლა 18 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 65 ათასამდე სტუდენტი სწავლობს. უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობას მიხედვით საქართველოს ახლა მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. ჩვენში ყოველ ათას კაცზე 38 უმაღლესდამთავრებული მოდის. ერთსულ მოსახლეზე ექიმთა რაოდენობის მხრივაც საბჭოთა საქართველოს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ საუკეთესო პირობები შექმნეს აგრეთვე რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარებისთვის. 1941 წელს დაარსდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ამჟამად რესპუბლიკაში 178 სამეცნიერო დაწესებულებაა 10.187 მეცნიერთ, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მეცნიერების სხვადასხვა დარგში. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის ცნობილი ქართველ მათემატიკოსთა, ფიზიკოსთა, გეოლოგთა, ენათმეცნიერთა და სხვათა შრომები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიფურჩქნა და აყვავდა ქართული ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც შთაგონებული არიან მაღალი საკაცობრიო იდეალებით. რესპუბლიკის შემოქმედებითი მუშაეები, პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, კომუნისმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულნი, სულ უფრო ავითარებენ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან თვითმყოფად კულტურას და ღირსეული წვლილი შეაქვთ

ჩვენი დიდი სოციალისტური ქვეყნის სულიერ ფასეულობათა სავანებში. ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ნაწარმოებები გასცდა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და მკითხველთა, მაყურებელთა და მსმენელთა დიდ მოწონებას იმსახურებენ.

• • •

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ახალი კლასობრივი სტრუქტურა. მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა ექსპლოატორული კლასები. საბჭოთა საზოგადოება შედგება მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისაგან. მაგრამ მათ განიცადეს ძირეული თვისებრივი ცვლილებები. მუშათა კლასს წინათ, კაპიტალიზმის დროს, არ გააჩნდა წარმოების საშუალებები, ყოველმხრივ დაჩაგრული იყო, სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა. სოციალიზმის დროს კი იგი ფლობს, მთელ ხალხთან ერთად, წარმოების საშუალებებს. წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელ ძალას. ღრმად ცვლილება განიცადა გლეხობამ. წინათ იგი იყო კლასი წვრილმწარმოებლებისა. რომლებიც თავიანთ ნამცეც მიწას პრიმიტიული იარაღებით ამუშავებდნენ. ასეთ პირობებში გლეხობას არ შეეძლო თავი დაეღწია სიღატაკისა და უეცრობისაგან. კოლექტივიზაციის შედეგად ძირეულად შეიცვალა მდგომარეობა სოფლად. გლეხი წვრილი მეურნიდან კოლმეურნე გახდა. კოლმეურნეობამ მას ნაყოფიერი შრომის, ბედნიერი ცხოვრების ყველა პირობა შეუქმნა. ჩვენში შეიქმნა თვისებრივად ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მშრომელთა წიაღიდანაა გამოსული და რომელიც სოციალისტური საზოგადოების ორ მეგობარულ კლასთან — მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად სახელოვნად შრომობს საბჭოთა-სამშობლოს საყვითლდღეოდ. მისი ძლიერების განმტკიცებისათვის, ჩვენს

ქვეყანაში კომუნისმის აშენებისათვის. საბჭოთა კავშირში ყველა კლასი და ფენა თანასწორია. ისინი თანასწორი არიან როგორც სწავრმო ძალებისადმი, ისე სახელმწიფოსა და პოლიტიკური ხელისუფლებისადმი დამოკიდებულების მხრივ. მათ ურთიერთდამოკიდებულებაში კლასობრივი მტრობის ნატამალიც კი არ არის. ეს იმიტომ, რომ ყველა კლასისა და ფენის საარსებო ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

სოციალისტური წყობილების დროს საზოგადოების წევრებს არა მარტო მინიჭებული აქვთ უფლებები და თავისუფლებები, არამედ უზრუნველყოფილია ამ უფლებებით პრაქტიკულად სარგებლობის შესაძლებლობა. ეს არის სოციალისტური დემოკრატის ძალა და ცხოველყოფილობა.

კაპიტალიზმის დამცველები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობენ სახელი გაუტეხონ სოციალისტურ წყობილებას, ქება-დიდებას, ხოტბას ასხამენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თავისუფლებისა და თანასწორობის განსაზიერებად სთვლიან მას. თავისუფლებისა და თანასწორობის ყალბი ფრაზებით მათ უნდათ დაფარონ კაპიტალიზმის განუკურნებელი წყლულები, დაფარონ სისხლიანი ბურჟუაზიული დიქტატურა, მთაყუთონ მშრომელი მასები. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომლის საფუძველია კერძო საკუთრება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, არავითარი თავისუფლება და თანასწორობა არ შეიძლება. „ვიდრე საკუთრება კაპიტალისტების ხელში რჩება, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — ყოველგვარი დემოკრატია მხოლოდ თვალთმაქცურად დაფარული ბურჟუაზიული დიქტატურა იქნება. ყოველგვარი სიტყვები საყოველთაო ხმისმაცემაზე, საყოველთაო სახალხო ნებაზე, ხმისმაცემთა თანასწორობაზე სულ ერთიანად მატყუარობა იქნება, რადგან შეუძლებელია თანასწორობა ექსპლოატატორსა და ექსპლოატირებულს

შორის, კაპიტალისა და საკუთრების მფლობელსა და თანამედროვე დამირაგებულ მონას შორის“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 520).

უდიდესმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიურმა გარდაქმნებმა, რომლებიც განახორციელა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, განაპირობებს ჩვენი ქვეყნის როგორც ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო სწრაფი ტემპით განვითარება, ისე მისი თავდაცვითი უნარიანობის განუხრელი ამაღლება და განმტკიცება. საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოში ყველაზე მძლავრ ქვეყნად. ამის ახალი ბრწყინვალე დადასტურება იყო საბჭოთა ხალხის გამირული გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

ეს ომი, რომელიც თავს მოახვია ჩვენს ქვეყანას ფაშისტურმა გერმანიამ და რომლის მსგავსი არ იცის კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ, საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა: პიტლურული გერმანია განადგურებულ იქნა. საბჭოთა კავშირმა მთელი კაცობრიობა იხსნა ფაშისმის შავი ჭირისაგან. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვება სოციალისტური წყობილების ცხოველყოფილობისა და ძალის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო.

• • •

საბჭოთა ხალხის თავდადებული, გამირული შრომისა და კომუნისტური პარტიის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება. საბჭოთა ხალხმა გაკათა მთავარი გზა სოციალიზმისაკენ, უჩვენა მსოფლიოს ხალხებს, თუ როგორ შეიძლება კაპიტალისტური წყობილებების შეცვლა ახალი, სოციალისტური წყობილებით, რომელსაც განუზომლად დიდი უპირატესობანი აქვს კაპიტალიზმთან შედარებით. ეს არის დიდი ოქტომბრის

რევოლუციის, საბჭოთა კავშირში კომუნისტების გამარჯვების უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის მაგალითისამებრ სოციალიზმის გზით უკვე მიდის ბევრი ხალხი.

მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ფაშისტებისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურების შემდეგ, რაშიაც საბჭოთა კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა, ევროპისა და აზიის მთელი ქვეყნებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სახალხო - დემოკრატიული რევოლუციების გამარჯვებისათვის. ამ ქვეყნების მშრომელებმა, თავიანთი მარქსისტულ-ლენინური პარტიების ვარსემო მჭიდროდ დარაზმულებმა, დაამხვეს ექსპლოატატორთა ბატონობა, ხელში აიღეს ძალაუფლება და შეუდგნენ ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობას.

ამრიგად, სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ფარგლებს, და შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა. თუ წინათ, მეორე მსოფლიო ომამდე, სოციალისტური სისტემის წილად მოდიოდა დედამიწის ტერიტორიის 17 პროცენტი, მოსახლეობის 9 პროცენტი და სამრეწველო პროდუქციის 7 პროცენტი, ახლა სოციალიზმის მსოფლიო სისტემაზე მოდის დედამიწის ფართობის 26 პროცენტი, ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა ერთ მესამედზე მეტი და მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის თითქმის 37 პროცენტი.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა ყველა ქვეყნის მუშათა და კომუნისტური მოძრაობის უდიდესი მონაწილეობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი იდეების ახალი ტრიუმფია.

პროლეტარული რევოლუციების გამარჯვებამ ძირეულად შეცვალა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ბედი. სოციალისტურმა საწარმოო ურთიერთობამ, კომუნისტური და მუშათა პარტიების სწორმა ხელმძღვანელობამ,

ხალხის მასების უდიდესმა პოლიტიკურმა და შრომითმა აქტივობამ, საბჭოთა კავშირის უანგარო მხურვა დახმარებამ, სოციალისტური ბანაკის არსებობამ უზრუნველყვეს აღნიშნული ქვეყნების საწარმოო ძალების სწრაფი ტემპით განვითარება, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, მშრომელების მატერიალური კეთილდღეობის დონის განუხრელი აღმავლობა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გრანდიოზული მიღწევები ეკონომიკის, კულტურის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში სოციალიზმის უდიდეს უპირატესობათა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ძალისა და სიცოცხლისუნარიანობის ახალი ბრწყინვალე დადასტურებაა.

საბჭოთა კავშირის სახით ჩვენს პლანეტაზე შეიქმნა მშვიდობის დამცველი უძლეველი ძალა. დღიდან თავისი წარმოშობისა, საბჭოთა სახელმწიფო მტკიცედ ახორციელებდა და ახორციელებს მშვიდობის, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ზრძნულ ლენინურ პოლიტიკას. იგი დაუღალავად იბრძოდა და იბრძვის ომების, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალების, მოსპობისათვის, სრული და საყოველთაო განაირაღებისათვის, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობისათვის.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მაგალითით მთელი პროგრესული კაცობრიობა დარწმუნდა, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. მშვიდობა, ხალხთა შორის ძმობა და მეგობრობა სოციალიზმის შინაგანი ზუნებიდან გამომდინარეობს. სოციალიზმი ნამდვილი ჰუმანური საზოგადოებაა, სადაც ყველაფერი კეთდება ადამიანებისათვის, მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის. ომების წყარო კი იყო და არის ექსპლოატატორული კლასების ბატონობა. ომები მათი ორგანული თვისებაა. განსაკუთრებით მწვავე და გამანადგურებელი ხასიათი მიიღო ომებმა კაპიტალიზმის დროს.

XX საუკუნის პირველ ნახევარში იმპერიალისტებმა ორჯერ გააჩაღეს მსოფლიო ომი, რომლებმაც უდიდესი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. ახლა იმპერიალისტები ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტების მეთაურობით ახალი მსოფლიო ომისათვის გამალებით ემზადებიან. ომი მათ უნდათ სოციალიზმის ბანაკის მოსპობისათვის, ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობისათვის, ახალი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდებისათვის, ხალხების და მონებისათვის, თავიანთი მოგების გამრავლებისათვის, კაპიტალიზმის არსებობის გახანგრძლივებისათვის. მსოფლიო ომი ახლა, საომარი ტექნიკის უაღრესად განვითარების პირობებში, ატომური და წყალბადის იარაღის არსებობისას, კაცობრიობას კატასტროფას მოუტანდა. მაგრამ ახლა ძალთა განლაგება სულ სხვაგვარია, ვიდრე ეს იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების წინ. იგი შეიცვალა მშვიდობისათვის მებრძოლთა ძალების სასარგებლოდ, რომელთაც სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები. ეს ძალები, რომლებიც დღითიდღე იზრდებიან, არ აძლევენ საშუალებას იმპერიალისტ-აგრესორებს გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი. მთელი კაცობრიობის ბედნიერება ის არის, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი, რომელმაც მეცნიერებისა და ტექნიკის გადამწყვეტ დარგებში მსოფლიო პირველობა მოიპოვა და ამ უპირატესობებს იყენებს მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების ინტერესებისათვის.

• • •

ახლა ჩვენი ქვეყანა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში იმყოფება. იგი ახლა კაცობრიობას გზას უკაფავს კომუნისტურ მისაკენ.

კომუნისტური კავშირი მშვენიერად აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მტკიცედ მიჰყავს დიდი ლენინის მიერ შექმნილ და მკაცრ ბრძოლებში გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულს ჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძალისა და უძლეველობის და უშრეტელი წყარო იყო და არის მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმხრივ მოძღვრებით შემოქმედებითად ხელმძღვანელობა, ხალხის მასებთან — ისტორიის შემოქმედთან ურღვევი კავშირი, თავისი რიგების მტკიცე ერთიანობა, მონოლითურობა.

პარტიამ, რომელიც წარმატებით ახორციელებდა და ახორციელებს სკკპ XX ყრილობის მიერ დასახულ ლენინურ კურსს, დაძლია პიროვნების კულტის მანვე შედეგები, შემდგომ განამტკიცა კავშირი ხალხის მასებთან და კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმა ისინი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

პარტიის პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმხრივ მოძღვრება, მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების მეცნიერული გამოხატულებაა. საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ხალხის ინტერესებისათვის, მისი ბედნიერებისათვის ბრძოლა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. ამიტომ არის, რომ მათ მხურვალედ უყვართ პარტია, მისი უსაზღვროდ ერთგული არიან, მიჰყვებიან, მიჰყვებიან და ყოველთვის გაჰყვებიან მას.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური მშენებლის დიდებული პროგრამით შეიარაღა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, რომელიც ამ ერთი წლის წინათ, 1961 წლის ოქტომბერში ჩატარდა.

სკკპ XXII ყრილობა ეპოქალური

მოვლენა ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში. ყრილობის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან მიიღო პარტიის ახალი პროგრამა, რომელშიც მოცემულია კომუნისტების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა.

ახლა საბჭოთა ადამიანები მთელ თავიანთ ცოდნას, ნიჭს, ენერჯიას და გამოცდილებას დაუზოგავად ახმარენ პროგრამით დასახული დიდი ამოცანების განხორციელებას. სულ უფრო და უფრო ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება, რომელმაც ქუშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო, დღითიდღე იზრდება კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვერთა მოძრაობა, წარმოების ნოვატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების რიგები. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად წარმატებით სრულდება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმა. შვიდწლიანი გეგმით პირველი სამი წლისათვის ნავარაუდევია იყო სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება 8,3 პროცენტით, ფაქტიურად მატება 10 პროცენტს შეადგენს. ამ სამი წლის განმავლობაში გამოშვებულია 19 მილიარდი მანეთის მე-

ტი პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გადაჭარბებით სრულდება მიმდინარე წლის შვიდწლედის მეოთხე წლის დაეღლება. მრეწველობის მუშაკებმა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 6 თვის გეგმა 103 პროც. შეასრულეს, რაც 10 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ნაკეთობათა თვითღირებულების შემცირების გეგმები. დიდი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, რომლებიც დაუღალავად შრომობენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომა და უმაგალითო პოლიტიკური აქტივობა, მისი ნათელი გონება და დაუშრეტელი ენერჯია, მისი მჭიდრო დარაზმულობა თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო იმის მტკიცე გარანტიაა, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აშენების ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები, რომლებიც დასახა სკკპ XXII ყრილობამ, წარმატებით განხორციელდება და საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა, როგორც ეს პარტიამ საქვეყნოდ განაცხადა, იცხოვრებს კომუნისტების დროს.

ნორა ნაკაშიძე

სახელოვანი ფურცელი რუსი ხალხის წარსულიდან

150 წელი გავიდა პირველი სამამულო ომიდან. არც ისე ცოტაა 150 წელი, მაგრამ ვერავითარი დრო ვერ შეაჩვენებს იმ სიამაყის გრძნობას, რასაც 1812 წლის გმირული ეპოპეა იწვევს რუსი ხალხის გულში. ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის უწმინდესი საქმეა ერის ისტორიაში. ამიტომ არის, რომ ჩვენი სამშობლო განსაკუთრებული პატივისცემით ახსენებს გმირ წინაპართა სახელებს და ფართო სახალხო ზეიმით აღნიშნავს ამ სახელოვან თარიღს — 150 წლისთავს 1812 წლის სამამულო ომიდან.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა უდიდესი ძვრების ხანა იყო მსოფლიო ისტორიაში. ეს იყო ახლისა და ძველის, ბურჟუაზიული და ფეოდალური სისტემის სასტიკი შეჯახების ეპოქა, საიდანაც გამარჯვებული ძველთან შედარებით პროგრესული სისტემა გამოვიდა. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფუძველი მოუწვდინა ევროპის დრომოკმულ ფეოდალურ მონარქიებს, ახალი, უფრო ჰუმანური პრინციპები წამოაყენა და ევროპის ხალხთა საბრძოლო დროშად აქცია. ბრძოლის პროცესში მან შექმნა მოწინავე სტრატეგიითა და ტაქტიკით შეიარაღებული არმია, რომლის წარმატებანი ცხადყოფდნენ ამ სიახლის ეფექ-

ტურობას. ამ არმიას სათავეში ჩაუდგნენ დაბალი ფენებიდან გამოსული შესანიშნავი სარდლები, რომელთა ნიჭის გამოვლინება ისევე ამ რევოლუციის შედეგი იყო. დასასრულ, მისი წიაღიდან გამოჩნდა ნაპოლეონ ბონაპარტე, გენიალური სარდალი, იმპერატორი და დამპყრობელი, რომელმაც შესანიშნავად გამოიყენა რევოლუციური არმიის ინერცია და რამდენიმე წლის მანძილზე დაიპყრო თითქმის მთელი ევროპა.

1811 წლისათვის ევროპაში ნაპოლეონს ორი მოწინააღმდეგე დარჩა — ინგლისი, თავისი ფლოტით, ოქროთი და ნისლიანი ნაპირებით, და რუსეთი, თავისი დაუმორჩილებელი არმიით. ნაპოლეონმა ინგლისს ეკონომიური ბლოკადით დაუპირა დამოქცევა, ხოლო რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ნაცად იარაღს მიმართა: 1812 წლის გაზაფხულზე აღმოსავლეთ პრუსიასა და პოლონეთში საფრანგეთის 420-ათასიანი ბრწყინვალედ აღჭურვილი და ბრძოლებში გამოწრთობილი არმია იდგა და იმპერატორის ბრძანებას ელოდებოდა. მას სათავეში უდგნენ ისეთი გამოჩენილი სარდლები, როგორიც დავუ, ნეი, მიურატი, მაჯონაღლი და სხვები იყვნენ.

მაისში ნაპოლეონი დრეზდენში ჩავი-

და, შეამოწმა არმიის მზადყოფნა და 1812 წლის (24) ივნისს დაწყებულ რუსეთის საზღვრის მდ. ნეჰანის გადალახვა. მაღალ ბორცვზე მდგარი, ამალით გარშემორტყმული ბონაპარტე მდუმარედ გაპყურებდა მოწინააღმდეგე ნაპირს, რომლის იქით მდებარეობდა უზარმაზარი ქვეყანა, ბატონყმური რუსეთი. ისტორიამ არ იცის, რას ფიქრობდა იგი ამ დროს. ერთი კი ფაქტია: ნაპოლეონს არ შეეძლო წარმოედგინა, რომ ამ მდინარეზე გადასული 600 ათასი მხნე მეთომრიდან რამდენიმე თვის შემდეგ მხოლოდ საცოდავი ნაშთი — 30 ათასამდე კაცი დააღწევდა თავს რუსი ხალხის შურისძიებას...

„მე მზად ვარ ვიომო 10 წელიც კი, დავიხიო ციმბირში, ვიდრე მივიღო რუსეთისათვის ის პირობები, რომელშიც არიან ეხლა ავსტრია და პრუსია“, — ასეთი იყო რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის გადაწყვეტილება, რაც ზუსტად გამოხატავდა რუსი ხალხისა და არმიის განწყობასაც. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრესათვის არ იყო მოულოდნელი ნაპოლეონის შემოჭრა, რუსეთის არმია ომის პირველ ეტაპზე მეტად არახელსაყრელ პირობებში მოხვდა.

ნაპოლეონის წინააღმდეგ გამიზნული არმიის რიცხვი 220 ათას აღწევდა. იგი რამდენიმე ჩვეულებრივ დაყოფილი. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი 1-ლი არმია ჩრდილოეთ ბელორუსიასა და ლიტვაში იდგა. მე-2 არმია ვოლკოვსკის რაიონში იყო განლაგებული, ხოლო მის სამხრეთით, 200 კილომეტრზე — მე-3 არმია. რუსეთის მთავარსარდლობის, უფრო ზუსტად, პრუსიელი სამხედრო „თეორეტიკოსის“ ფულისა და ალექსანდრე I-ის თავდაპირველი გეგმით, ამ არმიებს ფლანგებიდან და ზურგიდან მოქმედებით უნდა შეეჩერებინათ ფრანგების არმია. ნაპოლეონმა შესანიშნავად გაითვალისწინა ამ გეგმის უსუსურობა და გადაწყვიტა რუსეთის არმიების ცალკადად

განადგურება. რუსეთის სარდლობა მალე მიხვდა, რომ ამ გეგმის მიხედვით მოქმედება დალუპვას უქადდა არმიის და ომის დაწყების უმაღლეს გადაწყვეტა გაეერთიანებინა არმიები. ამ მიზნით არმიებმა დაიწყეს უკანდახევა. ნაპოლეონის ნაწილები ფეხდაფეხ მისდევდნენ მათ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა მე-2 არმია, რომელსაც გარს ერტყმოდნენ დავუს, გრუშისა და ყერომ ბონაპარტეს რამდენჯერმე ჰარბი კორპუსები. მე-2 არმიის სარდალმა ბაგრატიონმა შესანიშნავი ოსტატობა გამოამჟღავნა. მან ხან სწრაფი მარშით, ხან ბრძოლებით (მირთან, სალტანოვსკასთან), ხან მოხერხებით აუარა გვერდი ნაპოლეონის მახეს და გაიყვანა არმია სამშვიდობოს. მე-2 არმიის ამ უდიდესი სამხედრო ხელოვნებით შესრულებულმა მარშმა პეტრე ბაგრატიონის სახელს კიდევ ერთი გვირგვინი შემატა და, როგორც თანამედროვენი აღნიშნავდნენ, იგი რუსეთის მხსნელთა რიგებში ჩააყენა 1812 წელს. ბაგრატიონის ამ წარმატებაში დიდი როლი შეასრულეს მისმა გენერლებმა — რაევსკიმ, პლატოვმა, კონოვნიცინმა და სხვებმა, მათ შორის არიერგრაღის ერთ-ერთმა მეთაურმა გენერალმა ივანე ფანჩულიძემ.

12 ივლისს მთავარსარდლობის უპირველესი ამოცანა შესრულებული იქნა — 1-ლი და მე-2 არმიები შეერთდნენ სმოლენსკთან. თუმცა ძალთა თანაფარდობა ჯერ კიდევ არ იყო რუსებისათვის მთლიანად ხელსაყრელი, მაგრამ უკვე შეიძლებოდა ფიქრი უკანდახევის შეწყვეტასა და ბრძოლის გამართვაზე ამას მოითხოვდა რუსეთის არმია, ამას მოითხოვდა გენერალიტეტი — ბაგრატიონი, ერმოლოვი, რაევსკი, კუტიასოვი, დობტუროვი, პლატოვი და სხვანი, ამას მოითხოვდა რუსეთის საზოგადოებრიობა. მაგრამ ამას ვერ ბედავდა რუსეთის არმიის მთავარსარდალი ბარკლაი დე-ტოლი. ასეთ პირობებში იმპერატორმა მიიღო, თუმცა ყოველგვარი

ენტუზიაზმის გარეშე, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, — მთავარსარდლად დაინიშნა ფელდმარშალი მიხეილ ილარიონის ძე გოლენიშჩევი-კუტუზოვი. მოხუცი სარდალი 18 აგვისტოს უკვე არმიაში იყო, ხოლო 22 აგვისტოს რუსეთის არმიამ შეწყვიტა უკანდახევა და დაიწყო გამაგრება სოფ. ბოროდინოს მიდამოებში.

24 აგვისტოს ფრანგებისა და რუსების მოწინავე რაზმები შეეტაკნენ ერთმანეთს. შევარდინოს სახელით ცნობილმა ამ ბრძოლამ ცხადყო, რომ გენერალური ბრძოლა სამკედრო-სასიცოცხლო იქნებოდა. მართლაც, 26 აგვისტოს გამართული ბრძოლა გამოირჩეოდა გაუგონარი გააფთრებითა და შეუპოვრობით.

ბოროდინოს პოზიციის მარჯვენა ფლანგსა და ცენტრში განლაგებული იყო 1-ლი არმია ბარკლაი დე-ტოლის საერთო მეთაურობით. პოზიციის ყველაზე სუსტ მხარეს — მარცხენა ფლანგს იცავდა ბაგრატიონის მე-2 არმია. ნაპოლეონმა სწორედ განსუკრიტა რუსების პოზიციის სუსტი ადგილი. მისი ჩანაფიქრით, ფრანგებს უნდა გაერღვიათ მარცხენა ფლანგი, შემდეგ მოეგრიათ ცენტრი და მთლიანი შეტევით გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის არმია. ამიტომ, როცა დილის 6 საათზე დალზონის დივიზიამ შეუტია ცენტრს და აიღო იგი, კუტუზოვს ეპვი არ შეპარვია, რომ ძირითადი მოვლენები მაინც მარცხენა ფლანგზე განვითარდებოდა. მართლაც, იმავე 6 საათზე დავეშეუტია ბაგრატიონს. ბოროდინოს ბრძოლა დაიწყო დილის 6 საათზე და დაბინდებამდე გაგრძელდა.

ფრანგების შეიღმა იერიშმა უშედეგოდ ჩაიარა. დღის 12 საათისათვის ამ ერთი კვადრატული კილომეტრის ფართობს ცეცხლს უშენდა 700 ზარბაზანი — 400 ფრანგული და 300 რუსული, 45 ათასმა ფრანგმა დაიწყო მერვე იერიში ბაგრატიონის 18 ათასი მეომრის წინააღმდეგ. ამ საბედისწერო წუთებ-

ში პეტრე ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა, რამაც, ერმოლოვის სიტყვით, გასტეხა რუსების წინააღმდეგობის უნარი. ფრანგებმა დაიკავეს მარცხენა ფლანგი და მიუბრუნდნენ ცენტრს, ე. წ. რაევსკის ბატარეას. ბრძოლა აქაც ცვალებადი წარმატებით წარიმართა. როცა კუტუზოვმა შეატყო, რომ ბრძოლის სასწორი ფრანგებისაკენ იხრებოდა, მან გაგზავნა პლატოვისა და უვაროვის ცხენოსნები მოწინააღმდეგის მარცხენა ფლანგის ზურგში, ამ ოსტატურმა მანევრმა აიძულა ნაპოლეონი უარი ეთქვა გვარდიის ბრძოლაში ჩაბმავზე. კავალერიის ამ რეიდმა რაჟდენივე საათით გადასდო ცენტრის დაქარგვა. დღის 3 საათისათვის ფრანგებმა, როგორც იქნა, აიღეს რაევსკის ბატარეა. მაგრამ ეს იყო მაქსიმუმი, რის გაკეთებაც შეძლეს მათ. ნაპოლეონი დარწმუნდა, რომ ის ვერ შეძლებდა რუსების არმიის საბოლოო განადგურებას და უარი თქვა შეტევის გაგრძელებაზე. ზარბაზნების დუელმა ცოტა ხანს კიდევ გასტანა. სალამოსთვის ფრანგებმა დაიხიეს პირვანდელ პოზიციებზე, რამაც საშუალება მისცა კუტუზოვს ეფიქრა ბრძოლის განახლებაზე. მხოლოდ არმიის დანაკლისის გაცნობამ აიძულა ხელი აეღო ამ განზრახვაზე. მთავარსარდლობის თათბირზე მან მტკიცედ განაცხადა, რომ უპირველეს ამოცანად თვლის არმიის შენარჩუნებას, თუნდაც მოსკოვის დათმობის ფასად. რუსეთის არმიამ დასტოვა მოსკოვი და შეუდგა კუტუზოვის გეგმის მეთოდურად განხორციელებას. ომის შემდგომმა მსვლელობამ დაამტკიცა ამ გეგმის უაღრესად შორსმჭვრეტელური ხასიათი. კუტუზოვმა გადაუჭრა ფრანგებს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულება და აიძულა ისინი მოსკოვიდან დაეხიათ კვლავ სმოლენსკის გზით, ფრანგების ცდა ძალით გაეკაფათ გზა სამხრეთის მდიდარი რაიონებისაკენ — მხოლოდ ცხადყო (ბრძოლა მალ-იარსოსლავეცთან, კრასნოესთან და ა. შ.), რომ ნაპოლეონის არმია

წელში გატყდა ბოროდინოსთან. ომის დაწყებიდან 5 თვის თავზე, 14 ნოემბერს, ნაპოლეონის „დიდი არმიის“ უზადრუკი ნაშთი, სულ 30 ათასამდე კაცი, გადავიდა მდ. ბერეზინაზე. სამამულო ომი დამთავრდა რუსი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით.

როდესაც სამამულო ომზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობთ მის სახალხო ხასიათს. „ეს ომი ჩვეულებრივი კი არ არის, არამედ ეროვნულია“, — თქვა ბაგრატიონმა და საესეებით სამართლიანად. უადრესად დიდი და მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მუსახლეობის პარტიზანული ომი დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი ბოროდინოს შემდეგ. რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა, ლიტველმა ხალხებმა უდიდესი პატრიოტული აღტყინებით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ უძლეველია ხალხი, რომელიც იცავს თავის მამულს, სახლს, თავისუფლებას.

განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ 1812 წლის სამამულო ომში რუსეთის დამცველთა რიგებში იღვა მრავალი ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი.

სამამულო ომის მატანეებში ოქროს ასოებით სწერია ინფანტერიის გენერლის პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სახელი. არაფერს ვიტყვი მის საერთო ღვაწლზე რუსეთის არმიის წარმატებებში. მართო პირველი სამამულო ომის ისტორიაც საკმარისია მის დასახასიათებლად: მე-2 არმიის სახელგანთქმული მარში, ბოროდინოს ბრძოლის ძირითადი სიმძიმე და პარტიზანული ომის მოქმედ არმიასთან კოორდინაციის იღვა, — ასეთია ბაგრატიონის ღვაწლის ზოგადი სახე 1812 წლის ომში. რუსი ხალხისა და არმიის უსაყვარლესი გმირი პეტრე ბაგრატიონი იმსახურებს იმას, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცელი შეაწავლის საგანი გახდეს.

სამამულო ომის დაწყებისთანავე 1-ლი არმიიდან გამოიყო ვრთეკორპუსი, ვიტენშტეინის მეთაურობით; რომელსაც პეტერბურგის დაცვა ევალებოდა. ამ კორპუსმა წარმატებით გაუძლო ცნობილი მარშლების — მაკდონალდის, უდინოსა და სენ-სირის კორპუსების იერიშებს და არა ერთი მძიმე დარტყმა მიაყენა მათ (ბრძოლები კლიასტიცთან, პოლოცთან, ჩაშნიკთან). ვიტენშტეინის ჯარების ამ წარმატებებში უდიდესი წვლილი შეიტანა კორპუსის არტილერიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ლევან მიხეილის ძე იაშვილმა (1768-1836 წწ.). საზღვარგარეთულ ლაშქრობაში იაშვილი უკვე მთელი არმიის არტილერიის უფროსი გახდა.

ომის მონაწილე ქართველთა შორის გამოირჩეოდა ორი ძმა ფანჩულიძე — ჩერნიგოვის დრაგუნთა პოლკის მეთაური ივანე დავითის ძე (1759-1815 წწ.), ინგერმონლანდის დრაგუნთა პოლკის მეთაური სიმონ დავითის ძე (1764-1818 წწ.).

ასევე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ორ ძმას — სერპუხოვის დრაგუნთა პოლკის მეთაურს ივანე ჭავჭავიშვილს (1763-1821 წ.წ.) და პავლოგრადის ჰუსართა პოლკის მეთაურს სპირიდონ ჭავჭავიშვილს (1768-1815 წწ.), აგრეთვე, პეტრეს ძმას რომან ბაგრატიონს (1778-1834 წწ.) და მრავალსხვას. როგორც ირკვევა, სამამულო ომის მონაწილე ქართველთა რიცხვი 100-მდე აღწევს.

ეს არასრული ფაქტებიც (და, სხვათა შორის, ამ ომის გამოძახილი საქართველოში) ცხადყოფენ, რომ 1812 წლის სამამულო ომი ატარებდა ქვეშაირიტად სახალხო ხასიათს; დამპყროველს ერთნაირი შეუპოვრობით, ერთი რწმენითა და შეგნებით ებრძოდა რუსეთის იმპერიის ყველა ერას წარმომადგენელი.

1812 წლის სამამულო ომი ბრწყინვალე ფურცელია რუსეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მალა რაინი

ილია ჭავჭავაძე და ახალი ქართული ლიტერატურის პრობლემები

ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმი ჩამოყალიბდა არა როგორც მარტოოდენ წმინდა მხატვრული მიმართულება, არამედ ის იყო გამოხატულება ქართველი ხალხის ბრძოლისა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ახალი თაობის მოღვაწენი ლიტერატურას განიხილავდნენ, როგორც პოლიტიკურ ტრიბუნას, როგორც მძლავრ იდეურ იარაღს განმთავისუფლებელ მოძრაობაში.

რეალისტურ მეთოდში მთავარი ის არის, რომ მწერლის შემოქმედება საწყისებს ღებულობს ცხოვრებაში, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანებთან, ხალხთან, საზოგადოებასთან; რეალიზმში ი. ჭავჭავაძე გულისხმობს სენამდვილის ისეთ ასახვას, რომელიც წარმოგვიდგენს მოვლენათა მამოძრავებელ მიზეზებს, ხსნის შინაგან აზრსა და კავშირუროთიერთობას მოვლენათა შორის. ცხოვრება არის წყარო, საფუძველი ხელოვნებისა. რეალისტი მწერალი განაზოგადებს ცხოვრების მასალას.

ყველა ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემას ი. ჭავჭავაძე არკვევს და სწყვეტს რეალიზმთან დაკავშირებით. მხატვრული ლიტერატურის მოვლენებს იგი განიხილავს, როგორც ცხოვრების ანარეკლს. მისთვის ლიტერატურა არის ხალხის შეგნების გამოხატულება მის ისტორიულ განვითარებაში. სწორედ

ამიტომ იგი დიდად აფასებდა იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთი ნაწარმოებებით ეხმაურებოდნენ ცხოვრებისა და ხალხის მოთხოვნილებებს. საზომი, რომლითაც ი. ჭავჭავაძე ამა თუ იმ ნაწარმოებს მიუდგებოდა, არის სასიცოცხლო სიმართლე, მაღალი იდეურობა და მხატვრულობა.

თავის მრღვაწეობის დაწყების პირველი დღეებიდანვე, ი. ჭავჭავაძე იჩენდა ღრმა ინტერესს მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისადმი, ცდილობდა გაეთვალისწინებია მისი განვითარების ხასიათი, ჩამოეყალიბებია მეცნიერება ლიტერატურაზე. მართალია, მას არ დაუწერია ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატური კურსი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან ცოტა გააკეთა ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ი. ჭავჭავაძეს სურდა შეექმნა ლიტერატურის მეცნიერება, როგორც მნიშვნელოვანი ძალა საკუთრივ მხატვრული შემოქმედების განვითარებისათვის. იგი იმ აზრისა იყო, რომ ქართული ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის დაწერა შეიძლებოდა ქართველი საზოგადოების მრავალფეროვანი ინტელექტური, კულტურული ცხოვრების ფონზე, სოციალური და პოლიტიკური მომენტების გათვალისწინებით. ი. ჭავჭავაძე

პირველი მიუღდა ქართულ მხატვრულ ნაწარმოებთა შეფასებას ჩამოყალიბებული ესთეტიკური, მეცნიერული პრინციპების საფუძველზე. მხოლოდ მასთან ვხვდებით შეხედულებათა გარკვეულ სისტემას ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ, რომელსაც იგი თვით ახორციელებდა კონკრეტულ ლიტერატურულ კრიტიკაში. ჩვენში ი. ჭავჭავაძე იყო პირველი წარმომადგენელი მეცნიერული კრიტიკისა, რომელიც ემყარებოდა მხატვრული ნაწარმოების ყოველმხრივ გამოკვლევებსა და დახასიათების პრინციპს. ილია წარმოგვიდგება როგორც ლიტერატურის ნამდვილი სწავლული ისტორიკოსი, ამ სიტყვის საუკეთესო და ფართო გაგებით. ლიტერატურულ პროცესს იგი განმარტავდა, როგორც საერთო ისტორიული პროცესის შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს.

ე. ჭავჭავაძის საწერლო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში ჩვენში ლიტერატურული კრიტიკა თითქმის არც კი არსებობდა, არ გააჩნდა რაიმე ტრადიცია. მართალია, „ცისკრის“ ფურცლებზე შეხვდებოდით თითო-ორთა წერილს (ა. ორბელიანისა, ბ. ჯორჯაძისა, ლ. არდაზიანისა და სხვ.) მხატვრულ ნაწარმოებთა შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევითი ხასიათისა იყო. კრიტიკულ აზროვნებას მაშინდელ პრესაში საერთოდ დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა.

ნამდვილი ლიტერატურული კრიტიკა ჩვენში ი. ჭავჭავაძის გამოსვლით იწყება. მან პირველმა მოიტანა კრიტიკის სრულიად ახალი გაგება, მხატვრული ლიტერატურის ახალი გაზრება. კრიტიკა ნისთვის არ იყო უსარგებლო დამატება ლიტერატურისა. მის წარმოდგენაში კრიტიკოსი იყო სრულფუნქციანი შემოქმედი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარგისა, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენდა საზოგადოების შეგნების ფორმირებასა და მწერლობის განვითარებაზე. თავის კრიტიკულ წე-

რილებში ილია ეხებოდა ლიტერატურისა და ხელოვნების ევოლუციურ პრობლემებს, იხილავდა მათ და პროზის კონკრეტულ ნაწარმოებებს, ეხებოდა ენის საკითხებს და უყურადღებოდ არ ტოვებდა დრამატურგიის, მუსიკის, თეატრის სპეციფიკურ პრობლემებსაც.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა საფუძვლიანი კრიტიკული ტრადიციების უქონლობაზე ჩვენში. იგი მთელი სიმწვავეით გრძნობდა, რომ ქართულ ლიტერატურას კრიტიკა აკლდა, და რომ ეს ფრიადსუსტი მხარე იყო ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებისა. „ლიტერატურა თავის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულები ხეავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახბუღახის თესლიცა. რაც ცხავია ხეავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის.“¹ ილია არაკვეცს, თუ „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ და არ ეთანხმება იმათ, რომლებიც კრიტიკის უქონლობას ჩვენში მიაწერენ უშინაარსობას ჩვენი ლიტერატურისას. „უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა ამკარა ტყუილიაო“, — სამართლიანად შენიშნავს ი. ჭავჭავაძე. კრიტიკის უქონლობის მიზეზებს იგი ეძებს საზოგადოებრივ ვითარებაში. ი. ჭავჭავაძე ცდილობს დასახოს ის გზები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენში განვითარდეს კრიტიკა. „აქ ყველაფერი საკუთარი ჭკუით უნდა ჰზიდოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ. თქვენს გარეთ აქ ვერას იშოვით, ვერას იშოვით, აქ სხვა უნარია საჭირო, სხვა გამჭირაბობა, სხვა ძალღონე. შეიძლება კაცს აუარებელი ცოდნა და სწავლა ჰქონდეს და აქ ერთი ფეხიც ვერ წადგას, თუ ის „სხვა უნარი“ იგია, რასაც თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან...“² კრიტიკა უაღრესად რთული და საპასუ-

¹ ი. ჭავჭავაძე ტ. III, სახელგამო. 1953 წ. გვ. 152.

² იქვე, გვ. 153-154.

ხისმგებლო საქმეა, ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და უტყუარი ფორმაა საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა.

თვით ცნებას — კრიტიკას პირველად ი. ჭავჭავაძემ მისცა ქართულ ლიტერატურაში სწორი და ამომწურავი განმარტება. „კრიტიკა არის განხილვა, განხრევა, გარკვევა, გარჩევა და დაფასება ერთად“-ო, — მიუთითებს იგი. ილია კრიტიკისგანაც იმასვე მოითხოვდა, რასაც მოწინავე მწერლობისაგან. ი. ჭავჭავაძე არა ერთგზის მიუთითებდა, რომ კრიტიკა უნდა მიდიოდეს საზოგადოებისა და ლიტერატურის ავანგარდში; იგი ნძაფრად აყენებდა საკითხს კრიტიკის ბასუხისმგებლობის შესახებ ხალხის წინაშე, ლაპარაკობდა მებრძოლად, ღრმა, პრინციპული კრიტიკის შექმნაზე, რომელიც შეძლებდა დიდ თეორეტიკულ განზოგადოებამდე ამოღებას და ამავე დროს გამოარკვევდა იმ ინდივიდუალებას, თავისებურს, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს თვითიული მწერლის შემოქმედებას. კრიტიკოსის მოღვაწეობა იმ შემთხვევაში იქნებოდა სასარგებლო, თუ იგი არ შეზოიფარგლებოდა ნაწარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეების წმინდა ობიექტივისტური განხილვით, მისი შინაარსის უბრალო მოთხრობით. ი. ჭავჭავაძე მთელი სიმკვეთრით ილაშქრებდა უპრინციპო და უფერული კრიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ნაწარმოების ანალიზისას გვერდს უვლიდა არსებითს, მთავარს. იგი დასცინოდა ყოველივე ხელოვნურს, მანერულს, რიტორიკულს კრიტიკაში. კრიტიკამ უნდა ეძიოს და განსაზღვროს კერძო მოვლენაში საერთო კანონები, ლიტერატურული ფაქტები უნდა განიხილოს, როგორც ცხოვრების მოვლენები.

ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს არ აშორებდა, ერთმანეთისაგან არ თიშავდა ლიტერატურის ისტორიას, როგორც მეცნიერებას, და ლიტერატურულ კრიტიკას. ი. ჭავჭავაძე ერთდამავე დროს არის ლიტერატურის ისტორიკოსი, კრი-

ტიკოსი და თეორეტიკოსი. მას უდავოდებულებად მიაჩნია, რომ მწერლის შემოქმედება განხილული უნდა იქნას ისტორიულ-ლიტერატურული განვითარების მთელ პროცესთან დაკავშირებით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოქმდება მართებულად მისი შემოქმედება და განსაზღვრული იქნება მისი ადგილი ლიტერატურის ისტორიაში. იგი იძლეოდა არა მარტო ცალკეული ლიტერატურული ფაქტის ინტერპრეტაციას, არამედ არკვევდა მისი განვითარების კანონზომიერებასაც.

თავის კონკრეტულ კრიტიკულ წერილებში ი. ჭავჭავაძეს მტკიცედ აქვს დაცული ის პრინციპი, რაც მას აქვს გამოთქმული საერთოდ კრიტიკის ამოცანებასა და მიზნებზე. იგი ლიტერატურულ ნაწარმოებს განიხილავს ფართო ასპექტში, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენას, გვიჩვენებს თუ სინამდვილის რა მხარეები აისახა მასში; იგი საფუძვლიანად წვდებოდა მწერლის შემოქმედებითი კონცეფციის მთელ არსს, ლიტერატურის მოვლენებს განიხილავს მათ ისტორიულ გამოვლინებაში, ცხოვრებასთან ურთიერთობაში.

ილია ლიტერატურული მოვლენის ღრმა ანალიზით მკითხველის შეგნებაში ამტკიცებდა მოწინავე აზრებს. მწერლის ნაწარმოებს იგი განიხილავდა მთლიანად, როგორც შინაარსისა, ისე ფორმის მხრივ, რადგანაც მისთვის ნაწარმოებში ეს ორი მხარე განუყოფელია. ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევს თხზულების მთლიან გეგმას, გმირების ხასიათს, აღწერებს, სიტყვიერ მასალას, კვანძსა და განკვანძას, — ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რის შექამებაც გვაძლევს მხატვრულ ნაწარმოებს, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მანამდე არ ყოფილა არაფინ, რომ ასე ყოველმხრივ და ღრმად განეხილოს ნაწარმოები, მწერლის შემოქმედება. იგი იყო დაკვირვებული შემფასებელი ახალი მოვლენებისა ქართულ ლიტერატურაში. წერდა რა ლიტერატურაზე, ამით

არკვევდა საზოგადოებრივი განვითარების მნიშვნელოვან, ძირითად საკითხებს. თავის მსჯელობაში ილია აყენებდა არსებით ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს. მისთვის დანახასიათებელია უნარი გამოიყენოს ახალი, მოწინავე და დაუბირისპიროს ის ძველს, ჩამორჩენილს.

თუ რამდენად საფუძვლიანად და ღრმად ენებოდა ილია თავის კრიტიკის საგანს, ეს ნათლად მტკიცდება „შეშლილის“ განხილვიდან. დებულებები, რომ უფრო არგუმენტირებული და დამაჯერებელი იყოს, ამისათვის იგი საკითხს ყოველმხრივ უდგება: ჯერ იხილავს კაზლოვის პოეზიის მიმართულებას, მის ადგილს რუსულ პოეზიაში, მერე „შეშლილს“ და შემდეგ მთელი თავისი დეტალებით, დაწვრილებით არჩევს თარგმანს, როგორც პოეტურ ნაწარმოებს, და მის ენობრივ შედგენილობას.

ი. ჭავჭავაძეს ფრიად მნიშვნელოვანი კრიტიკული წერილები აქვს მიძღვნილი ქართული ლიტერატურისადმი. მან მეცნიერულად განმარტა და განიხილა არა მარტო თავისი თანადროული მხატვრული ლიტერატურა, არამედ ძველი ქართული ლიტერატურაც. იგი საფუძვლიანად შეეხო „ვეფხისტყაოსანს“ და შესანიშნავად დაასაბუთა, თუ რით არის ეს ნაწარმოები უკვდავი, რაშია მისი მსოფლიო მნიშვნელობა; იგი განსაკუთრებული გულისსმიერებით ეპყრობა მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, იცავს მის დამოუკიდებელ და ორიგინალურ ხასიათს. მისთვის უაღრესად ძვირფასია ქართული ლიტერატურის ნაციონალური შეობა, სიდიადე და სიასლე.

ი. ჭავჭავაძის წერილი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ წარმოადგენს ავ. წერეთლის ლექციების პასუხს. როგორც ცნობილია, ავ. წერეთელმა თავის ლექციებში „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ გაატარა ის აზრი, რომ რუსთაველმა თავის

პოემაში გამოხატა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქართველები — მისი სიტყვით ტარიელი ქართველი, კეთანდილი — იმერელი, ხოლო ფრიდონი — ზღვის პირის ქართველი. ი. ჭავჭავაძე უარყოფს ა. წერეთლის მოსაზრებას და ამბობს: „მნელა იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩინირკედლო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზე მჭდომ ცხენთანისა.“¹ „ვეფხისტყაოსანში“ ი. ჭავჭავაძე, უპირველეს ყოვლისა, ეძებს ტიპიურს. საზოგადოს და სწორედ ამიტომაც, რომ წერს: „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი „ვეფხის ტყაოსნისა“, ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და ნაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებულნი“.² ი. ჭავჭავაძე დიდი კრიტიკული ალლოთი და საბუთიანობით ამტკიცებს, რომ რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ გადმოგვცა სწორედ ტიპიური მოვლენებით. „ვეფხისტყაოსნის“ სიძლიერისა და სიდიადის გამოხატულებად მიაჩნია ის გარემოება, რომ მასში დამახასიათებელი ადამიანური მოვლენებია ასახული. „ნუთუ მართლა ტარიელს ხასიათსა, თვისებასა და ბუნებაში, ანუ ავთანდილისაში, ანუ სხვისაში არა მოიპოვება რა საერთო კაცობრიული. იმისთანა, რომლის მეტნაკლები გამოხატვა ერთადერთი საზომია, ერთადერთი საწყაოა მწერლის შემოქმედების ძალის მეტნაკლებობის განა ამ შემოქმედების ძალის მეტნაკლებობის გამორკვევა არ არის პირველი და უკანასკნელი საგანი კრიტიკისა?“³ რუსთაველის გენიოსობა ი. ჭავჭავაძის აზრით, სხვათა შორის, იმაში მდგომარეობს, რომ მან დაგვეჩვენა „საოცარი ღრმა ცოდნა ადამიანის გულისა.

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. III. სახელგამი, 1953 წ. გვ. 168.

² იქვე, გვ. 169.

³ იქვე, გვ. 169.

ვეფხისტყაოსანი“ მას მიანიხი ქართველების ნაციონალური გენიის გამოხატულებად.

ი. ჭავჭავაძეს ვერ წარმოუდგენია ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები, რომელიც მოკლებული იყოს ნაციონალურ ხასიათს, რადგანაც ხელოვნება წარმოსახავს სინამდვილეს, ხოლო ეს უკანასკნელი არსებობს მხოლოდ განსაზღვრულ ნაციონალურ ფარგლებში და ფორმაში. მაგრამ როგორც ყოველი ერთი კაცობრიობის შემადგენელი ნაწილია, ისე ხელოვნებაშიაც ნაციონალური ხალხური ელემენტები უნდა არსებობდეს მტკიცე კავშირში საერთო-საკაცობრიო ელემენტებთან.

ქართული ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უბრწყინველესი ლიტერატურაა. ჩვენი კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში საპატიო ადგილი უჭირავს ახალ ქართულ ლიტერატურას. ეს ხანა ჩვენი ლიტერატურული განვითარებისა იწყება მეცხრამეტე საუკუნის გარეგარეზე და მოდის ამავე საუკუნის დასასრულამდე, ე. ი. ერთ საუკუნეს მოიცავს.

განსაკუთრებულ ისტორიულ გარემოში ხდებოდა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარება. ახალ პოლიტიკურ ორიენტაციას, ე. ი. რუსეთთან დაკავშირებას მოჰყვა ახალი კულტურული ორიენტაცია. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ხალხის სულიერი განვითარებისათვის. ახალი ქართული ლიტერატურა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ეპოქის აქტუალურ პრობლემებს. ახალი ქართული ლიტერატურა, რომელშიაც თავის გამოხატულებას ნახულობდა მოწინავე იდეები, დაკავშირებული იყო განმთავისუფლებელ მოძრაობასთან. მთავარი პრობლემა ამ საუკუნის ქართული ლიტერატურისა იყო სოციალური და ეროვნული თავისუფლების ძიება. ეროვნულ-განმთავისუფლებელი იდეით, პატრიოტიზმით და ხალხის პოლიტიკური, სოციალური განთავისუფლების მისწრაფებით იყო გამ-

სვეალული მისი შინაარსი. მხატვრული ლიტერატურა იმ ხალხისათვის, რომელსაც არ ჰქონდა პოლიტიკური, ეროვნულური, ნაციონალური თავისუფლება, ერთადერთ სარბიელს წარმოადგენდა, რომლის სიმადლიდანაც მას შეეძლო მოეწოდებინა ხალხი განმთავისუფლებელი ბრძოლესაც.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განხილვის დროს, ი. ჭავჭავაძის მთავარ ამოცანას შეადგენს გამოარკვეოს, „თუ რამდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამდენად შორსა სცემდა ჩვენი თვალთახედვს ისარი, რამდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა და გეშინდელი რას სთესდა და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის“. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მწერლების შემოქმედებს დახასიათებისას ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში გაბატონებულ ლიტერატურულ ქანრს ლირიკა წარმოადგენდა. მისი გაგებით ლირიკა „უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვახ, ქირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სელას და წარმატებებს“. მართალია, ამ გაგებაში ლირიკის შინაარსი ვიწროდ არის წარმოდგენილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც პოეზიის აუცილებელ დარგად მიანიხი ი. ჭავჭავაძეს. მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ქართულ ლიტერატურაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს იგი, ლირიკის გაბატონებას თავისი საფუძვლები ჰქონდა: „რა კი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ-გაშოცალა, რა კი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავისთავი და სხვა რა უქნა, რომ უსაგნო გარემოებისაგან ლტოლვილი თვალთავის საკუთარ გულში არ ჩაებუნა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთა თქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა“.

ი. ჭავჭავაძეს ახასიათებს ისტორიზმის დრმა გრძნობა. არცერთი ლიტერატურული მოვლენა, რაგინდ დიდი იყოს, არ შეიძლება განხილული იქნას იზოლირებულად წინამორბედ ლიტერატურულ

ლი განვითარებისაგან, ტრადიციისაგან. ეხება რა ალექსანდრე ქავჭავაძეს, ილია სწორად აღნიშნავს მისი პოეზიის ძირითად ლეიტმოტივს. ა. ქავჭავაძის პოეზიაში ჰხედავს მოქალაქობრივ მოტივსაც. ამ მოტივის გამოხატულებად მას მიაჩნია ლექსი „ვინ სოფლისა ამასა და მისთა მდგმურთა“.

გრიგოლ ორბელიანი, ე. ქავჭავაძის აზრით, აგრძელებს ა. ქავჭავაძის პოეზიის ხაზს. გრ. ორბელიანიმ წინ წასწია ქართული პოეზია, როგორც შინაარსით. ისე ფორმით. მან ძალზე შეამცირა ქართულ პოეზიაში აღმოსავლურ-სპარსული მოტივები. გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ მოტივად (გარდა სიყვარულისა და ტრფიალებისა), მას მიაჩნია წარსულის კულტი. გრ. ორბელიანის დამსახურებას ი. ქავჭავაძე, სხვათა შორის, ხედავს იმაში, რომ მან „დაგვანახა პირველი... საუცხოო და შეუდარებელი მაგალითი ქართული ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საპირო ლექსთა წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთწოდებულ „თეთრი ლექსთაწყობა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არა ნაკლებია რითმიან ლექსისა. მისი „მუშა ბოქულაძე“ ამ მშენიერ „მწყობრსიტყვაობის“ შეუდარებელი მაგალითია“¹.

ასეთნაირადვე უდგება ი. ქავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს. მისი სიტყვით, ნ. ბარათაშვილი ლირიაში ა. ქავჭავაძესა და გრ. ორბელიანზე უფრო ძლიერია. „მისნი გულისთქმანი, მცნნი ჰიანი და მწუხარებანი“ არ არიან „მარტო მისი საკუთარ გულისანი“². „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ქვეა-გონებას დიდი განი და სილ-

რმე მისცა“³. ნ. ბარათაშვილი დიდი მწერალია იმიტომ, რომ ეგრევე სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მეტად ფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურველს იმ თვალუწვდენელს სფეროში, რაც... დაუსრულებელი საქირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არა რწმენისა, მყოფობისა და არამყოფობისა“⁴. ი. ქავჭავაძე განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „პოეტი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს... ეს „სულისკვეთება“, ეს პირდაპირი ომი ბედთან ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო“⁵. ი. ქავჭავაძემ პირველად დაანახა ქართველ მკითხველ საზოგადოებას ნ. ბარათაშვილის პოეზიის მთელი სიდიადე.

ი. ქავჭავაძემ ფრიალ საინტერესოდ შეაფასა აგრეთვე გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, რაფ. ერისთავი, ვახტ. ორბელიანი, ი. დავითაშვილი და სხვ. აღნიშნულ მწერალთა შემოქმედების განხილვისას იგი დიდ ყურადღებას აქცევს ხალხურობისა და სისადავის პრობლემას.

გიორგი ერისთავის შემოქმედების ღირსებას ი. ქავჭავაძე ხედავს იმაში, რომ მან „ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე იმას, ვისაც კი დაეძგერება და სხვას კი ყოველთვის აფრთხილებს...“⁶ ი. ქავჭავაძის მსჯელობა დაფუძნებულა ქართული ლიტერატურის ისტორიის საუცხოო ცოდნაზე.

ი. ქავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, თუ რამდენად იზრდებოდა ქართულ ლიტერატურაში მოქალაქობრივი მოტივები, თუ რამდენად მეტი ყურადღება ექცეოდა საზოგადოების დაჩაგრულ და შევიწროვებულ ნაწილს. სწორედ ეს დემოკრატიზმი გამოაქვს

¹ ი. ქავჭავაძე, ტ. III, სახელგამი, 1953 წ.

² იქვე, გვ. 231.

³ იქვე, გვ. 211.

⁴ ი. ქავჭავაძე, ტ. III, სახელგამი, 1953 წ.

⁵ იქვე, გვ. 219.

⁶ იქვე, გვ. 216.

⁷ იქვე, გვ. 222.

შას წინა პლანზე რაფ. ერისთავს პოეზიის განხილვისას: „ჯერ ბატონყმობის (გადავარდნის) ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი... ამ სახით ვხედავთ, რომ რაფ. ერისთავმა პირველმა დასძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლებების აღსახსენლად და აღსადგენად“¹. სხვა ადგილას იგი წერს: „სამოციან წლებამდე — ალ. ჭავჭავაძემ დაწვეპული — ჩვენი პოეზია, თითო ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიანი წლების ბოლო ხანებში, დაძვუფუნებდა ჩვენი დიდკაცობის გულთა-თქმას, თითქო უკადრისობს ამით გარე რაიმე საგანი უბოგოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენი პოეზიისას თავისი ტალღა დაჰკრეს და შემომამტრეის ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაში არის ადამიანური გულთა-თქმა, რომ ამ მდაბიოთა გული იგვე ზღვავს, საცა თუ არა მეტი, ნაკლები მაგალითები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლზინისა, ძუღებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს არსების დანახვისა, ამბებდს „გამოხატვისა“². როგორც ვხედავთ, პუმანიზმსა და დემოკრატოზმს, რაც დამახასიათებელია საერთოდ ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობისათვის, იგი სხვა მწერალთა შემოქმედებაშიც ეძებს.

თავის კრიტიკულ გამოსვლებში ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ლიტერატურული ენის საკითხებს. ანტონ კათალიკოსის „კატელორიებისა“ და „თეორეტიკის“ მიმდევრების კარჩაკეტილობა და განსახლებრულობა, საეკლესიო-არქაული ჟარ-

გონი მისთვის უცხო და მიუღებელი იყო. ამიტომ მან ასე სასტიკად გააკრიტიკა მათი მოძველებული სტრლი: „როცა კეთილშობლი თარგმნილ „შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეტირებოდა, რომ ეგრეთ უენოთ ენათ ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, რომელზედაც დაიღლინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც ნ. ბარათაშვილმა მავ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები... გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავისი დედმამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულელი, რომ არ გვყავდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ პო, რომ გვყვანან, რატომ არ ვსწავლობთ იმათ მშვენიერ ლექსებში მშვენიერს ენას“¹.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძის მძაფრი კრიტიკის საგანი „ციცკრის“ მწერლობა იმიტომაც შეიქნა, რომ მასში ქართული ენა დამახინჯებული და დამდაბლებული იყო, იგი პირდაპირ წერს: „რაკი ყურადღებით გადავიხილეთ მთელი ლექსები („ციცკრისა“ — შ. რ.) 1857-1862 წ. ჩვენ შევნიშნეთ, უფრო მომეტებულნი მელექსენი უკაცრავად არიან პოეზიაზედ, არამცთუ პოეზია, ენა დამახინჯებული აქვთ, შეუბრალებლად წამხდარი“² ასე მტკი-

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, სახელგამი, 1953 წ. გვ. 223-224.

2 იქვე, გვ. 224-230.

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, სახელგამი, 1953 წ. გვ. 14-15.

2 იქვე, გვ. 456-457.

ცედ იბრძვის ი. ჭავჭავაძე ენის სიწმინდისათვის. იგი ჩაზგასმით აღნიშნავს, რომ მხატვრული სიტყვის დაშორებას ცოცხალი ხალხური მეტყველებიდან მივყევართ ხელოვნების ნაწარმოების დამახინჯებამდე.

ი. ჭავჭავაძე აცერთვე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის შესახებ საკუთარ, ორიგინალურ მოსაზრებას გამოთქვამს. ასე, მაგალითად, კოზლოვის შესახებ ის წერს: „კაზლოვი იყო კარამზინის სკოლის მწერალი. არამცთუ მართო თავის ლექსებს, კაზლოვმა შეპყრა ჰირი ამ წარბლიან სხოლის, არამედ სხვადასხვა პოეტებსაც, რომელთაც თარგმნიდა და რომელთაცა სულ არ სცივოდათ ძალად გაქიმულ პაწაწინა გრძნობის უმბრილო ცრემლი კარამზინისაგით და მის მიმყოლ კაზლოვისაგით, მიიღეთ შრომა, ვადაშალეთ კაზლოვის გაბერილი წიგნი და ყურადღებით განიხილეთ ლექსები ანდრე შენიესი, ფრანციის პოეტისა, ძლივსდა ეცნობთ კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეებში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპასაც, ქუმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა და ამით თუ არ დასცა ზარი, შეარყია მაინც თავის საფუძველში ცრუკლასიკური მიმართულება ფრანციის ლიტერატურისა. კაზლოვის თარგმანში ისე ცხადად არ ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკბოება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდველი და ნამდვილი ძგერა გული-სა, ის ჭროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსაგით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა. მაგრამ ანდრე შენიეს ლექსები კაზლოვის თარგმანში ისე ბევრნი არ არიან, და არც ისე უფერულნი, როგორც სახელოვანი მიცევეჩის „ყირიმის სონეტები“. ეგ სონეტები, ეგ უკეთესნი ყველინი პოეზიისანი, რა

რიც უსულდგმულო, უსურნელო ყველილებად შეიცვალენ კაზლოვის თარგმანში, არამცთუ კაზლოვმა არ შეარჩინა მიცევეჩის სონეტებს ფორმა სონეტისა, არამედ არ შეარჩინა თითქმის არც ის მშვენიერი სურათი, რომელშიაც ისე ნათლად გამოხატავენ წუთის გრძნობანი იმ სახელოვან პოლმელ პოეტსა! ამ ამონაწერში ი. ჭავჭავაძე სამართლიანად აკრიტიკებს კაზლოვის ლიტერატურულ მიმართულებას და ამასთან გამოთქვამს საყურადღებო მოსაზრებებს ანდრე შენიესა და ადამ მიცევეჩის პოეზიის შესახებ.

ი. ჭავჭავაძეს არა ერთგზის აქვს გამოთქმული შეხედულება რუსი ხალხის კულტურაზე, მხატვრულ ლიტერატურაზე, და რუს მწერლებზე. იგი დიდად აფასებს და პატივს სცემს რუსული ლიტერატურის სახელოვან წარმომადგენლებს.

საფუძვლიანად და თავისუფლად მსჯელობს ი. ჭავჭავაძე შექსპირის, ჰომეროსის, ლესინგის, ბაირონის და სხვა დიდ მწერალთა შემოქმედების შესახებ. ყველა მისი ეს წერილი მკითხველს იტაცებს აზრის სიღრმით, პრობლემების სიმბავილით, ანალიზის ხერხების ორიგინალობით, არგუმენტების დამაჯერებლობით.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძის კრიტიკის ძალა მის სიღრმესა, სიზუსტესა და დამარწმუნებლობაშია. თავისი წერილებით, ილიამ გამოამკლავნა დიდი ესთეტიკური გრძნობა და ერუდიცია. მან ფაქტიურად საფუძველი ჩაუყარა და განამტკიცა ისტორიულ-ლიტერატურული მეცნიერება, და თითონვე მოგვცა მხატვრული შემოქმედების პრობლემების სერიოზული დამუშავებისა და განხილვის საუკეთესო მაგალითები.

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. III, სახელგამი, 1953 წ. გვ. 8-9.

პალიმპსტოზი

ქ მ ა რ ე ნ ა ფ ი ც ე ნ ი

„მარადული და უკვდავია საქმე, რომელსაც
ილია მეთათრობდა და წინ მიუძღოდა“

ნ. ნიკოლაძე

„... შენ ჩვენი რაზმის ფალანგა გვივარდები“
ილია ს წერტილიდან ნ. ნიკოლაძის ხატში

ეს იყო 1957 წელს, საქართველო უკვე იყო
ილიას დაბადების 120 წლისთავს ზეიმობდა. ამ
შესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ წერილში
კონსტანტინე გამსახურდია სამართლიანად შე-
ნიშნავდა: „ლიტერატურის წინწყაყენას ერთი
კაცი არასოდეს უფინის, ილია თავით უჩიოდა
თავის მართობას: „მეგრამ მამულო, ჩემი
ტანჯვა მხოლოდ ის არის, ის არის მხოლოდ სა-
ვალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზე,
ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფეჭრი ვან-
დო, ვრძინობა ჩემი ვაჟებიარო“.

ილიასათვის მხარის დამწვევება შეეძლო ნა-
ყო ნიკოლაძეს“.

ასე წერდა კონსტ. გამსახურდია. მწერლის
ამ სწორ და წაითვ აზრს ის უნდა დაემატოს
მხოლოდ, რომ ნიკო ნიკოლაძე ილიას მედამ
უმწვევებდა მხარს არა მარტო მწერლობაში,
არამედ მის კოლოსალურ საზოგადოებრივ და
ეროვნულ მოღვაწეობაშიც. გასული საუკუნის
ბოლო წლებიდან ერთ უღელში შემბუნა,
ისინი ვანუყრულად, უღადგეს მკვნიებაბებითა
და თვდღუზოვავად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის
თავისუფლებისათვის, მისი ხალხის ბედნიერე-
ბისათვის, დიდი ქართული კულტურისა და
ენის ხელუხლებლობისათვის. ცარიზმის კოლო-
ნიური პოლიტიკისა და მისი ისეთი აგენტების
დათრგუნვისათვის, როგორც ყველა ჯერის
კატკოვები, ლონტივეები, მემწერსკეები და
მათი ქართული „მოხანენი“—მეხბანსკი და
სხვა რენეაბტები იყვნენ.

1861 წლის შემოდგომაზე მოეწყო პეტერ-
ბურგულ სტუდენტთა დიდი რევოლუციური
გამოსვლები, რომელშიც აქტიურად მონაწი-
ლეობდნენ ქართველი ახალგაზრდები და მათ-
თან ერთად ნიკო ნიკოლაძეც. მეფის მთავრო-
ბამ გამოსვლების სხვა მონაწილეებთან ერთად
ქართველ სტუდენტებიც. მათ შორის, ნ. ნი-
კოლაძეც დააპატიმრა და შემდეგ უნივერსიტე-
ტიდან ვარცხნიდა. დაუსწრებლად ვარიცხეს უნი-
ვერსიტეტიდან ილია ჭავჭავაძეც.

ნ. ნიკოლაძე საქართველოში 1863 წელს დაბ-
რუნდა. ეს იყო ის წელი, როდესაც ილ. ჭავ-

ჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა და-
იწყო და მისი დანიშნულებას შესახებ ეტრნა-
ლის პირველსავე ნომერში ამცნო ქვეყანას:
„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრე-
ბაა; მისი გამწობინება ჩვენი პირველი და
უკანასკნელი სურვილია... ჩვენ ისე არ ვავბ-
რაყუდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მო-
ვინდომით ცხოვრების გატარება. თვითონ
ცხოვრება აღმოშობს ბოლმე თავის თავის წეს-
სა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და
კანონსა... ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავ-
რესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თა-
ვის სრულს წარმოებითა, სრულის ვითარებე-
თა... აწინდელი ცხოვრების ვითარება არა
მარტო სადღეისო მოსაგალია, რომელიც დღე-
ვე უნდა დიხაბრვოს, არამედ მასში მომავლისა-
თვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში
ფრეია აწმყოსათვის. თუ ჩვენი ეტრნალი დაპ-
ყურებს დღევანდელი ცხოვრებას მოქმედებას,
უფრო მეტ თესლისათვის დაპყურებს, რომ ვე
გამოყრდის ხელისათვის“.

ასე გამოხატა ილიამ ეროვნული მოღვაწეო-
ბის ასპარეზზე გამოსული ამ რევოლუციური
ახალგაზრდობის მისწრაფებანი, რომლის მე-
თაფრი თვით იყო.

საქართველოში დაბრუნებისთანავე ნიკო ნი-
კოლაძემ „საქართველოს მოამბეს“ და მის ხელ-
მძღვანელს ილია ჭავჭავაძეს მიაზურა და მთე-
ლი თავის დიდა ნიკით შეებრძოლა გადაგე-
რებული წოდების იმ უმწეობასა და ბედო-
ღაობას, რომელსაც უსასტიკესი საჩაქამით
ჭეირდავდა თვით ილია.

საქართველოს მოამბის“ რედაქცია დიდი ხი-
ვეარტობა და გულმხმარებებით შეეგება
ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც უფ-
რო მოგვიანებით ასე ახასიათებდა ამ ეტრნა-
ლის ლეაქლს ქვეყნის წინაშე: „ჩაუკო ჩაშე
იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესისა
და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პა-
ტიოსანი დროშა, რომელიც მწინედ ეგავა ილია
ჭავჭავაძის... დღეს ჩვენ ყველა ვხიდავთ, თუ
რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქ-

მე, შავრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ეისმესათვის. უველა გრძობდა, უველა ხედავდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროება; სული, ეჩვევნენა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვევე სიტყვებით დალაგდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმცირესებს და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისათვის შრომას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ეხლა, ყოველ პატროსან კაცს მიანდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო ამ სიტყვების გავრცელება და მისი ძლიერების მომატება საზოგადოებაში“.

ილია ჭავჭავაძის ამ საბრძოლო პატიოსანი დროის ქვეშ დადგა თავიდანვე ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე იმ მდილი შეგნებით, რომ, როგორც თვითონ ამბობდა „ბრძოლის ველზე ერთგულენა, დისციპლინა და თავისი თავის დავიწყება და შეწირვა მთელი რაზმის სასიკეთოთ, ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება უაღრესი კანონი ყოველი პატროსანი მებრძოლისა“. როგორც ქვეყნის უფროსებში მოპირანსებულ, მან ილიას სხვა თანამებრძოლებთან ერთად უპირველეს ვალად სცნო „საქართველოს მოამბის“ „ახალი სიტყვის გავრცელება ახალგაზრდობაში“, მისთვის „ახალი დროების სულის ჩაღვრა“, „ახალი გზის ჩვენება“ და შექმნა „ახალი სასიყვარულო მიზნისა“, რომელიც „მამულის, საზოგადოების სიკეთისა და ღირსების“ დაცვას მოითხოვდა.

ახე იქცა ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძის ცხოვრებასა და პატრიოტული სამოღვაწეო გზის ერთ-ერთ მანათობლად „საქართველოს მოამბე“, რომლის ფურცლებზე ილ. ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ, მხატვრულ პროსისა და პოეზიის სწორსწავთა ქმნილებებს არ შეეძლოთ გავლენა არ მოეხდინათ ვერ კიდევ პეტერბურგში შემუშავებულ მის რევოლუციურ-დემოკრატიულ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ შეხედულებათა შემდგომ ვარსაშეებასა და განმტკიცებაზე. ამით იყო გამოწვეული, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში წამოყვებულად, ემოქის აქტუალური პრობლემები, მშაფრ გამომხატურების პოულობდნენ ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

კიდევ ერთმა დიდმა მოვლენამ განაპირობა მძღრობდელი რევოლუციური ქართული ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის შექმნა. ეს იყო პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც მთელი არსებით თანაუგრძნობდა ილია და მისი დროშის გარშემო შემოკრებილი მოწინავე საქართველო. ამ მოძრაობის დიდი გავლენა განაცხადა პეტერბურგში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე

ნ. ნიკოლაძემ. აქ, რევოლუციური გამოსვლები-სათვის გამზადებულ საიმპერიული დელეგაციის გაეცნო იგი იმ პირველ პუბლიცისტურ ფურცლებს, „წამებულს ან წამებისათვის გამზადებულს რომ ჩამოგვადა“ და რომელიც 1863 წლის აქანყება იმსხვერპლა პოლონეთში. ეს დიდი პატრიოტი იყო პირველი კაცი, რომელიც — მოკვითხობის ნ. ნიკოლაძე, — პეტერბურგში პირველი კაცური სიტყვა მოთხრა, ის სიტყვა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ ხისათს ერთბაშად მიგვიჩვენებს და უცებ იღვალისავენ აგწევს, აგაფრებს, გაავაჭრობს, აგვავსა სიტყვისათვის ვეყავ წამოსული რუსეთისავე, შისი იმდენი მიყვარდა სტუდენტობა, მისი პატრიოტი აგვრ სამი წლის განმავლობაში მეშობრს გულში“. ეს სიტყვა, რომელიც ერთბაშად იგულში ემარბა“ ნ. ნიკოლაძესაც და მის მიერ ახლად გაცნობილ პოლონულ პატრიოტს, თვით-მსყრობელობის მიერ დამონებული მათი სამ. შობლოს ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას გულისხმობდა.

ყველაფერი ეს ვასაგებს ხდის ნ. ნიკოლაძის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ჩემი მიმართულების საზოგადოებება რუსეთისად (სახლგარკავით — ვ. ზ.) ჩემს გამგზავრებამდე ადრე (ე. ი. 1864 წლის შემოდგომამდე — ვ. ზ.) მოხდა. იგი ჩამოყალიბდა 1862-63 წ. წ. აშხუბისა და ვანსაკუთრებით პოლონეთის აქანყების გავლენით“.

შეიის მთავრობამ მალე მოესწრაფა სიცოცხლე „საქართველოს მოამბეს“. ყურნალის დახურვის შემდეგ, ილია ლუშეთს ჩაღდა ხალხის სამსახურში. ნიკო ნიკოლაძე იმით შემფრთხიბული, რომ „გვი თუ უჩემოდ მოხდეს რევოლუციამ რუსეთში“ — სასწრაფოდ გვექანა პეტერბურგისაკენ. აქ იგი სათავეში ჩაუდგა ვახუთ „ნაოღნოე ბოგატსტოს“ და მის ფურცლებზე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ეყოფოდ, აფამ ვახუთში გაბედულად ილაშქრებდა „გლუბთა განთავისუფლების კომედიისა“ და იმ მხეცურ-ეროვნული ლენისა და წამების წინააღმდეგ-ომედილი შეფის მთავრობამ მუკაოივების მე-შეცობით იმ დროს აქანყებულ პოლონეთის არგვანა წილად. ამ პროპაგანდასათვის „ნაოღნოე ბოგატსტო“ მალე დახურეს, ხოლო ნ. ნიკოლაძემ „სოკრემენიკი“ ცოტა ხნის თანამშრომლობის შემდეგ, რუსეთი დასტოვა და ევროპას მიამშურა. აქ იგი „კოლოკოლი“ ეხატებოდა ანამშრომელი გახდა და თავის ნაწე-რეცხი ენერგულად და თანმიმდევრულად ატარებდა ბრძოლის იმ ხაზს, რომელსაც თავის დროზე „სოკრემენიკი“ და „საქართველოს-მოამბე“ აღწენ რუსეთსა და საქართველოში. ამ გზით მიიპრთებოდა ნ. ნიკოლაძის მთელი მოღვაწეობა ევროპაში 1868 წლის მიწურულამდე.

1869 წელს ნ. ნიკოლაძე ისევ სამშობლოშია. ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ეს იყო მეტად საინტერესო ხანა. მაშინ დაიწყო სწორად „ახალი საქართველოს მშობნარობის“ ის მძლავრი პროცესი, რომლის „ბებიად“ სთვლიდა თავის თავს სამოღვაწეო ასპარეზზე ახლად გამოსული ე. წ. „ახალი ახალგაზრდობა“. ეს ახალგაზრდობა, როგორც ნ. ნიკოლაძე ამბობდა, კარგად გრძნობდა, რომ „ხალხის გულისაყენ მხოლოდ იმას იქნეს ვახსნილი გზა, ვისაც შეუძლია უფრახებოთ, საქმით იყოს საქირო და სასარგებლო ხალხისათვის, მწუხარებით აღსავსე მის ყოველდღიურ ცხოვრებაში“. ამიტომ იყო, რომ იგი თავის მოღვაწეობაში, ძველი რომანტიკოსების მსგავსად, მარტო „ეთილი გულობა“ და „პატიოსანი სურათლები“ კი არ ფარავდებოდა, არამედ „საქმეს ეძებდა და აფასებდა“.

ამ „საქმეს“, რომელიც ჩვენი ხალხის ეროვნული და სოციალური იდეალების განხორციელებას გულისხმობდა უპირველესად, თავისი წინამძღოლი და მეთაური სწირდებოდა და ამ მეთაურად ილია ჭავჭავაძე იქნა აღიარებული. „სახლგარეგანეთიდან რო დავბრუნდი, — მოგვითხრობს ნ. ნიკოლაძე, — და ქართული ეურნალისტის ვაცხოველება განვირახე, ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ ყველა მამინდელი ახალ თაობის მომხრეში შევავსოე და დავაჭრე, დღეში იგი ავიღე, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანო და ისევ ქართულ მწერლობას დაეუბრუნეთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-შეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულეთს დღემოდს „გრაჯობა“ ქართული მწერლობისა და აღორძინების მოტრფილენი (ლუარსაბ ანუ შაქრო მაღალაშვილი, სანდრო ერისთავი („ამერიკელი“), გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წყაროვანი, აკაკი, ნიკო ლომოვრიძე და თქვენი უძმაბუნენი მონასახურე), ბერძენი დავიბატონენ: მეთაური ვაგვიხიოთ, გვიწინამძღვრეთ, ვაჟსახურეთ-თქო. როგორც ამ პატივის ინიციატორი, აგრეთვე იმ პლანისა, რომ საადგილმამულის ბანკი ვახსენათ და მმართველი ილიას ჩავაბართო-თქო, მე ვაბლდეთ“.

ხანუთებით ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძე ბანკის მეთაურობაზე ერთმახად არ დათანხმებულა და მის შეგობრებს იგი ამ დიდ საქმეში ძალითაც ჩაუბამთ. „იმ დროს (1870—1873) — წერს ნ. ნიკოლაძე, — დამიტრი ყოფიანისაგან ვამოთხელი სურვილი „ბანკი დააარსოთ“, გვალისაგან დაიწყებულ იყო და საქმე ამის თაბაზი დამიტრი ყოფიანისაგან დაწყებულ, მისი მარშლობისაგან ვადადგომის შემდეგ არქვეში იყო დამარხული (დამიტრის დროს არც გამორკვეული ყოფილა ის აზრი, თუ როგორა ბანკი დაარსდეს, ვაჭრული თუ საადგილ-მამუ-

ლო—ნ. ნ.). შაქრო მაღალაშვილს ეს ჩემი აზრი ეკამნიკა, მან და ნიკო მესხიშვილმა მხარე მომეცეს და დიდი ღვაწლი დადეს ილიას ამ საქმეში გასამხელად. გიორგი ყაზბეგიც მათ ეხმარებოდა ამაშივე. ილიკო დიდ უარზე იდგა, როდი გვიყვრებდა და.. შაქრომ (მაღალაშვილმა—ე. წ.) ის თანობით ვაბა ბანკის საქმეში“.

როცა კენჭის ყრა დანიშნული იყო ბანკის მმართველების ასარჩევად და ილიკომ ვადაქრული უარი შემოთვალა ჩამოსვლაზე და კენჭის ყრაზე, შაქრომ მიწერა: ყრილობაზე ჩსებ მომზავიდა ერთ ვადატონთან, დღეღში ვითხოვ და სეუენდინტად უნდა დამოღე, რადგან სახეშრო საქმედ არ მინდა ვაქიო ეს ვაშოწყვეო. ილიკო შეზინდა მუგობრისათვის და ჩამოიქრა. დავხევი მას მაშინ მთელი ახალგაზრდობა და ძალდატანებით თანშობა თქმევიანა“.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე შერეოთავამოდებით ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობას საქმეში საქმეში მაშინ ნიკო ნიკოლაძე მოიხობოდა, რადგან მის ძალას ამ საქმის წინამძღოლობაში სხვაზე უკეთ ეს გრძნობდა.

ილია ჭავჭავაძეს რომ ქართული მწერლობას სადაეეები ისევე ხელს უნდა აეღო, ამასაც სხვებზე უკეთესად იგივე ნიკო ნიკოლაძე ითვალისწინებდა იმ დროს. ამიტომ იყო, ამბობს იგი, რომ „გამოვართვი ილიკოს ძველი ლეგსების რეველი, მისი „მგზავრის“ წერილები“, „გლახის ნაბობი“, „აჩრდილი“ და ბერი სხვა ნაწერი, რომელიც ავტორს აკაძალელი ვგონა, და ჩემს „კრებულში“ სახეშობი დაებეღე“. შემდეგში კი—ვაგაბაძის ნ. ნიკოლაძე, — „ვაგაბაძე ბეღი, ვაღიძებული, „დროება“ და სხვა. მოსილი „კრებული“ საქართველოს ვეძღვენა და ილიკოს ხელში ჩავაბარე“.

ეს სიტყვები იმას როდი ნიშნავდა, თითქმის ის გვეუბო ახალგაზრდობისა, რომელიც თავის წინამძღოლად ილია აირჩია, ყველაფერში ერთსელოვანი და შეთანხმებულ ყოფილიყო. აზრათა და შეხედულებათა სხვადასხვაობა რომ მის შიგნით არსებობდა, ეს ახლა უკვე ცნობილი ამბავია. ამის საბუთია თუნდაც ეს კამათი. რომელიც შოგერ კნარ ფორმებში მიძინარებოდა ილიას და ნიკო ნიკოლაძეს შორის, ბოლო ერთხელ იგი, კინაღამ დღეღითაც ამ დამთავრდა. მაგრამ ამას გვეუბის მთავარ სამოღვაწეო პროგრამისათვის არავითარი ზიანი არ მოუყენებია, მისი მოქმედება არ შეუწინებია და მაინც შეუფერებია.

ეს დამიტრი დავა და შეხლა-შემობლა კი არ ასუსტებდა ამ რაბმს, არამედ ეხმარებოდა მის დასახული მიზნისათვის ბრძოლას უფრო სწორი გზებისა და საშუალებათა გამოჩენაში. ხსენებული რაბმის ყოველმა წევრმა იცოდა, რომ, როგორც ნ. ნიკოლაძე წერდა „დროება-

ში, ამწერლობას ყოველგან და ყოველთვის პირდაპირ, პირმოუხერხელი, გულწრფელი ენა სწევია, არა თუ საზოგადო საქმეების წყევანაში და განხილვაში, უბრალო ბოლშევისა და სიტყვიერებაშიც. მათ ყარგად იტოვებენ, რომ ჰემმარტების გამარჯვება მხოლოდ ამ პირმოუხერხელი და გულწრფელი ენით იყო შესაძლებელი და ამიერიდან არ ერიდებოდნენ მას თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. წინააღმდეგ ზოგიერთი ისტორიოგრაფისა და ლიტერატორის იმ მტკიცებისა, რომ ახრთა ამ სხვადასხვაობის გამოცეს გვეფი ახალგაზრდა მოღვაწეებისა თითქოს ერთი მერიის სიწინაღმდეგოდ დარაზმული დასებისაგან ყოფილიყო შეშლვარი, ნ. ნიკოლაძე წერდა: „ჩვენს (დროებისა) წრეს საერთოდ, და მე განსაკუთრებით, სრულიადაც არ გვესურვებია რაიმე კერძო ახალი წრის ან ეკლესიის დაარსება უწინდელის წინააღმდეგ... გვესურდა, რაც რამ ძალა არსებობდა იმ დროს ჩვენში (ე. ი. 1861) — 70 წწ. — ვ. ზ.), შევეყრითება და ერთად უღელნი შევეგება, საერთო, საერთოდ (გულთა) — სხვა — ეროვნული — ვ. ზ.) საქმის საკეთებლად, რასაკვირველია, ჩინებულად მესმოდა, რომ დიდი განსხვავება არსებობდა ილიას (ილია ჰავეჯაძის ვ. ზ.), აყაის, მესხის, გიორგი წერეთლისა და ჩემს მიზართულებებს შუა; რო ბევრნი მათი აზრი ჩემს წინააღმდეგ იყო; იმასაც ნათლად ვგრძნობდი, რომ ჩემს სიციცხლეში, ჩვენს მამულში ვერ მოვესწრებით ისეთი ხანის დადგომას, როცა ჩვენი აზრების წინააღმდეგობა ჩვენს შორის რადღური (ხაზი ნიკოლაძის—ვ. ზ.) ბრძოლის ატებას გამოიხშობს. წინააღმდეგობა იყო მშინ მარტო ნატარის (ხაზი ნიკოლაძის—ვ. ზ.) სხვადასხვაფერობაში, სადაც ვჯვონდა მარტო ის საკითხი, თუ რომელი ნატარა სჯობია (ხაზი ნიკოლაძის—ვ. ზ.) ილიას, აყაის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის თუ ჩემი?... ნამდვილ ცხოვრებაში კი, საქმიანობაში, ისეთ სავსეში, რომლის განხორციელება ჩვენს სიცოცხლეში მოსალოდნელია, ყველა რასაკვირველია, ერთი და იმავე აზრის და გრძნობის ვეყვიით... ჩვენ ყველას შემატრთებელი მიდრეკილება ბევრად უფრო მეტად ვჯვონდა, ვინმე ვამყოფი და წამკიდებელი... ეს არსებობს, რადღური ინტერესი იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩემში სრულიად არავითარი მწვევ საშლრაფი და წყენა არ მოუხდენია და დაუტოვებია ილ. ჰავეჯაძის ამხედრებას ჩემი აზრებს წინააღმდეგ სათავადაზნაურო ბანკის წესდების შესახებ 1876-ში“...

ის საერთო, რომელიც ამ შემბრძოლთ აკავშირებდა, ერთიანი მოქმედების გზას უნათებდა, საქართველოს, მისი ხალხის ეროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლება იყო.

იმ მრავალ პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებს შორის, რომლებშიც ილიამ უდიდესი თს-

ტატობითა და მაღალი იდეურობით გამოხატა თავისი დროის ეს დიდი მისწრაფებანი, იყო ლექსი „მესმის, მესმის“, რომელსაც ჰყვეუნას მეთაურის თანამებრძოლნი „სამარტარის“ ლექსს“ უწოდებდნენ ერთხმად.

დიდი ექსპრესიით დაწერილ ამ პოეტურ შედეგს მეტად საინტერესო თავგადასავალი აღმოაჩნდა, რომელშიც ერთხელ კიდევ ნათელყო ილიასა და ნიკოს, როგორც ერთი ჩაზმის თანამებრძოლთა ინტერესებს ერთობლიობა და კავშირი.

„მესმის, მესმის“, რომელიც 1860 წლის 20 ივლისს დაიწერა, 1871 წელს დაიბეჭდა ეჭრანლ „კრებულში“*, თავის დროზე ცენზურამ ამ ლექსის გამოქვეყნება აკრძალა, და ისიც დიდხანს უძრავად იდო ილიას ქალაქებში. ცენზურას რომ ლექსის გამოქვეყნება „კრებულისათვისაც“ არ აეკრძალა, ნ. ნიკოლაძემ იგი ისეთ ნაწარმოებად გაასალა, რომელიც ილიას თითქოს „გლეხთა განთავისუფლების“ 10 წლისთავიანად მიმდღენას. ამას გამოე. ნიკოლაძეს ცენზორისათვის უთქვამს: „მეტის მეტად ამაყი თავადი ილია არც ახლა დასწერდა ამ „სახობთა ოდას“, რომ მე არ ამომეჩემებინა — ახალი ქურნალის დაწყება საპირთა უსათუოდ ჩვენი გვირგვინოსანი შეფეგანათავისუფლებელის ქება-დიდებით შეთქმდა, ამა, გვიბრძანეთ, „გლეხთა ბოროტების მსხვერველზე“ უკეთესი რა თემა მოიძებნებოდა მეფის სადიდებლად? მით უმეტეს, რომ იმ დროს იგი ჩვენში ამირებდა ჩამოსკლას და მისი ძმა, მეფის ნაცვარი, მთავარი მიხეილი, უსათუოდ ვაეცნობდა მას ამ ლექსსო“.

ამის ვაგონებაზე ცენზორის „სიხარულის ცრემლები“ წასკლამია და ვარიბალდისადმი მიძღვნილი ამ ლექსის დაბეჭდვის ნებათავე გაცეკა, ხოლო ლექსი რომ ნამდვილად ვარიბალდის გამარჯვებისადმი იყო მიძღვნილი, ამას გვიდასტურებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მწერლისათვის — პავე ინგოროვესათვის 1926 წ. 15 იანვარს ნ. ნიკოლაძის მიერ ვაგზავნილი შემდგომ ბარათი:

„ბატონო ძაღუ! დამავიწყდა გუშინ თქვენთვის მიტყეა, რომ ილია ჰავეჯაძის ლექსის „მესმის, მესმის, სანატრელი“ და სტვ., რიცხვი, 1860 წლის ივლისი, მოასწავებს ვარიბალდიელების გამარჯვებას სიცილიაში და ნებაოლს სს.

*) ბროდ. რუსულან ნიკოლაძემ ვეიამბო, რომ მისი მამის, ნიკო ნიკოლაძის ვადმოცემით ეურისნოს სახელწოდება „კრებული“ მისი სტოლისანადგმელთათვის ნიშნავდა არა უბრალო კრეულს (Сборник) როგორც ეს ცენზურისათვის იყო ცნობილი ოფიციალურად, არამედ „შეზარბოლთა კრებულს“, „ჩაზმს“.

წელწიფოს განთავისუფლებას, რომელმაც შოულ ევროპაში აუწერელი აღფრთოვანება გამოიწვია. იმ დროს არა თუ სტუდენტობა, ჩვენ განმანსიტებივ ფორმის მოსულიდამ ფორმის მსკვნილად სულ იმ იმედით ცეცხვრობდით, თუ რა ბედნიერ ახალ ამბავს მოგვიტანდა ფორმა და განუთები იტალიის ხალხის განთავისუფლების შესახებ. 4 აპრილს 1860 წ. დაიწყო პალერმოს აჯანყება, 10 ივლისს გარიბალდი ალო მესსინა და სიცილიადამ ნეაპოლის ზეპლეთზე გადმოვიდა და იმ ზაფხულზევე დაამარცხა ნეაპოლის ხელმწიფის ჯარი. იმ ლეკსის რუსები და აზრი ამ განთავისუფლებას მოასწავებს და არა გლახობას“. ეს უსათუოდ აღნიშნეთ.

თქვენი მორჩილი ნ. ნიკოლაძე“.

ამ წერილიდან, გარიბალდის გამარჯვებით გამოწვეული სიბარტის გარდა, ნათლად ჩანს ის მტრულა დამოკიდებულება, რომელიც ილიას აკლახთა განთავისუფლების კომედიისადმი ჰქონდა თავიდანვე.

მეფის ცენსურასთან ორთაბრძოლაში ნ. ნიკოლაძემ გიმარჯვა და გახარებულს მყისვე „მერცხალივით უფრენია ცხენი ღუშეთისაკენ“. ილიას სახლთან მიახლოვებისას, მას საცენსურო ფურცლები ხელში შობრიდან შეძახილთ მიემართავს დიდი მწერლისათვის:

„გესმის, გესმის სანატრელი გამარჯვების ზმა ტყბილიო?“

ამ შეპანიწნავი გამარჯვებისა და ცენსურასათვის თვალის ახვევის გამო ილიასა და ნიკოს იმ დღესაც ბევრი უტყინათ ღუშეთს და შემდეგ შაჰ თურქმე ღუდამ ხარხარით იგონებდნენ მას.

აღსანიწნავია ისიც, რომ, როგორც ნ. ნიკოლაძეს თავის ქალიშვილისათვის, რუსუდან ნიკოლაძისათვის უამწნა, ილიას დიდებული „ტყემ მოისხა ფოთოლი“ გარიბალდის ტრიუმფით ყოფილა შთავინებული.

1873 წელს ილია პეტერბურგს იმყოფებოდა. სწორედ ამ დროს „დროების“ რედაქციაში შექმნილი ზოგიერთი გაუგებრობის გამო, ნიკო ნიკოლაძემ საქართველოს დატოვება და საზღვარგარეთ გამგზავრება ვინაზრახა. მან „დროებაში“ გამოსამშვიდობებელი ფელეტონიც კი დაბეჭდა, სათაურით, „მშვიდობით, მშვიდობით!“

„ხვალ-ზეგ — იწყებს ამ ფელეტონს ნ. ნიკოლაძე. — მე ხელახლა ეტოვებ „დროების“ ნიადავი თანამშრომლობის უმადურ და მომბეზრებელ დოაწლს. მითხვებდა თავს როდი და მოაწყენს ჩემი ნაწერის კილხვა და მსმენელს — ჩემ პირვენებაზე, ნაწერზე და ხასიათზე სქის მოსმენია. სხვა, უფრო ახალგაზრდა და გულმობიერი მწერლები ახალ საგნებზე და მოელენებზე წერა-ბეჭდვას და ბაას გამარჯვებ, და ყველაფერს, რაც კი აღაშფოთა ან შეარყია ჩემმა ნაწერმა, მიყრუების და დაიწყების მალაო წაეცხება...“

რაგორც მედროისათვის, ჩემთვისაც დასვენება ჯერ მოსვენებელი და პირუთვნელი სქის და შემდეგ, მალე, ძლიერ მალე სრული მივიწყების დრო. დალილი, დაქანცული, ილა-გაწყვეტილი ეტოვებ მე ჩვენი მწერლობის ასპარეზს დჩვენი სამშობლოს პაერს. სრული ბედნიერებით ვეოხოვეთ ყველას, ვისაც ეძლევა არ ვუყვარება, ვესალმები ყველას, ვინც მებრალება ან მიჯვარს, და მტერ-მეგობარს ნეტარებით ვეუბნები — მშვიდობით, მშვიდობით!“

ასეთია ნ. სკანდელის ფსევდონიმით ხელმოწერილი ნ. ნიკოლაძის ფელეტონი, რომელმაც მანერ მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება შეაშფოთა და მასში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ფელეტონი პეტერბურგში მყოფ ილ. ჰეგვაძეასეც წაუკითხავს და წაიკთხვისთანავე ნიკო ნიკოლაძისათვის გამოუგზავნია ის წერილი, რომელიც პაველ ინგოროყეას შესანიწნავი დახასიათებით „არის წერილი ერის წამღვილი ბელახისა“. ამ პარაწში ილია ასე მიმართავდა ნიკოს: „მშაო ნიკო! წაიკითხე შენი გამსალმება, წაიკითხე, მაგრამ წაიკითხული აქამდისაც არ მერია. ნეთუ მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი აწერია ქვეშ? ნეთუ მართლა შეუწინდი ჰიალუებს და იმათ ბზუილზე გაფრთხი? მე იმდენად შენ პატრესა ვეცემ, რომ ამის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ვერ გაეხარებით გვაჯერებ. არ დაეჯერებ, რომ შენისთანა სიძულთ კაცი მაგისთანა სულმოკლეობამ დაიბრძოყეოს... ვის ესალმები და რას ესალმები? სად მიხვალ, სად!... მერე იცი რა კბილი ზავარდება იმ რაზმს, რომელ-შიაც შენ ფალავნად გვეგულება და ყველას, ვინც კი შენი თანაზიარა იყო... პირმოთონებაში ნუ ჩამომართმევე და შენ პატრესა ვეცემდი, როგორც ნიჭიერს, რიჯიანს, გამბედავს და დაუწრომელს მოღდეაწს, როგორც კაცსა, რომელ-ზედაც კაცურ-კაცის თვლი იმდით შეჩერდებოდა და რომელთანაც დამეგობრება და ერთად უღელში შებმა სახარბიელოა... თუ მართლა გიყვარს ის, რისთვისაც ასე თამამად და უწინრად იღუწოდი... ნუ აღსარყოლებ მას, რასაც ვეცეამდი. დარჩი მაგ უბედურ ქვეყანაში: მაჯრებოლოს ნუ მოუღებ მას, რაც ვერც რიჯიანად შენ თვითონვე დაიწუგე. დარჩი და იზრომე, — და ის გქონდეს სსონაში, რომ მარტო უბედურთ უნდა შეგლა და არავის სხვას“.

ილიას ამ წერილს მოჰყვა ნ. ნიკოლაძის გამგზავრებასთან დაკავშირებული, „დროებაში“ დაბეჭდილი „წიგნები რედაქტორთან“, რომელიც ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „ჩვენ უწინონი“. პაველ ინგოროყეამ გამოარყვია, რომ ეს წერილი ეკუთვნოდა ქართველ რევოლუ-

ციონერ ახალგაზრდებს, რომლებიც თავის ბელად ილიას აღიარებდნენ და ამიტომ გამოქვეყნებამდე იგი წასაკითხად და გასასწორებლად მასთან მიუტრიათ.

თქმა არ უნდა, ნიკო ნიკოლაძის წერილი „მშვიდობით, მშვიდობით“ არ იყო წუთიერი აღფრთხილების ნაყოფი. მაგრამ წუთიერი აღფრთხილების ნაყოფი არც ილიას ბარათი იყო, რადგან აქ, როგორც პ. ინგროსევა ამბობს, „ყოველ სტრაქონში ისმის მღელვარება და გულსიტყვილი ერის შეთურისა იმის გამო, რომ ერის შეზღობულ რაზმს არ გამოაკლდეს ერთ-ერთი ყველაზე თელსაინიო წევრი“.

ასეთია ილიას საერთო დამოკიდებულება ნ. ნიკოლაძის პარონებისა და ერთგული ლეაქონადი და ამიტომ იყო, რომ „ივერია“ ამ დეპტიდში თითქმის შეოთხედი საუკუნის შემდეგაც ასე წერდა ცნობილ ქართველ პუბლიცისტზე: „ადამიანი იმითია ადამიანი, რომ შეუშეღარი არ იქნება და შეიძლება ნ. ნიკოლაძეც შეშეღარი აზრს ჰქადაგებდეს ხანდახან, მაგრამ იმას კი ვერ იტყვის კაცო, რომ გულის სიწრფელად, სინდისით და ცოცხალი აზრი აკლდეს საწერებში, როცა იგი ჩვენს საზოგადო საქმეებზე ჰქადაგებს და როცა იგი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გვიჩვენებს რასმე. ამხარის ძლიერის იარაღით აღტურვილი ნ. ნიკოლაძე ლაღად და კადნიერად მიდის თავის გზაზე და ვაი იმას, ვინც წინ გადაულობება ძლიერის იერიშით მიდის იგი და შესრის ავღებს ჩვენის ქვეყნის შინაურ თუ გარეულ მტერს“.

მიუხედავად ყველა ზემოთქმულისა, ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს მინც ვაქცეზავრა ვეროპოში, თუმც ილიას წერილმა, იმ ადამიანის წერილმა, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის სთვლიდა ერის ბელადად, უნაძველად გავლენა იქონია ქართველ პუბლიცისტზე. ვეროპოში მყოფი ნ. ნიკოლაძე ერთი წუთითაც არ ჩამოშორებია ქართულ საქმეებს და ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ისევე „თამამად და უშიშრად“ იღწოდა იქ თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ, როგორც ამას სწავლიდა იგი სამშობლოში, ილიასთან „ერთად უღელში შებუღი“. ამის დამადასტურებელია ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა მის მიერვე შექმნილ პატრიოტულ საზოგადოება „უღელში“ და ქვეტოგრაფულად გამოქვეყნულ გაზეთ „დროშაში“, რომლებიც ჩვენს ახალგაზრდობას აიარაღებდნენ თვითმწყობრობის დასამზობად და ქვეყნის თავისუფლების მოსაპოვებლად.

ორი წლის შემდეგ დაბრუნდა ამყარად ნ. ნიკოლაძე საქართველოში და „დროშაში“ გამოაქვეყნა მისთვის ჩვეული ბრწყინვალეობით დაწერილი სტატია „სალამი“, რომელშიც იგი, როგორც ქვეყნის ერთგული შვილი, დიდი მტკნებარებით ასი მიმართაოთა ქართული მოთხვედის, საყვარელ ქართველ ხალხს: „...მას აქეთ, რაც მე

ჩემს თავს ვიციონბ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა, სხვისთვის თავყვანი არ მიცია. მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შეშეღარი, როგორც კვეთა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი, ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი შეგონა. მე დამივლია მთელი ვეროპო და ბევრ ჩინებულ ქვეყანაში, ბევრ აღმტურ საზოგადოებაში გამიბრტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია — შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენთვის სარგებლობა. არც საფრანგეთის აღელვებულ და აღმტაცებულ ცხოვრებას, არც პეტერბურგის განსაცდელით მიშვიდვლ საზოგადოებას, არც იტალიის მშვენიერებას, არც შევიცარიის თავისუფლებას, არასოდეს, არც ერთი წამის განმავლობაში, არ მოუხიბლავს ჩემი გრძნობა და გული, არ შეუცდენიერად და არ მიუზღივარ, თუმცა ახალგაზრდა კაცის გულზე ვცა. რაინი გავლენა აქვს იქვართ დიდი სახელის და დიდი გავლენის იქვლ... იმის მაგიერ, რომ იქვართ ცხოვრების მივეხარე და სხვებით დამივიწყნა ჩემი ერთი ნამცევა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიდავ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე, სადაც კი ვყოფილვარ, შენთვის ცოტათენი სარგებლობა მაინც მომტრანა... სხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაზეთმეცემაი, ნიდავ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი“.

ერთდროული ფიცისა და აღსარების დიდი მღელვარებითა და ექვემდებარეული გულწრფელობით აღსაყვ ამ შესანიშნავი სიტყვების ატტორს, ცხადია, უფლება ჰქონდა მუდამ, მამინაც და შემდეგშიც, ნიდავ ილიასთან ერთად ეთქვა თავის თავზედაც:

„მარად და ყველგან, საქართველოც, მე ვარ შენთან“.

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის დიდ მებრძოლ ნიკო ნიკოლაძე ყოველთვის ილია ჭავჭავაძეს აღიარებდა. ამიტომ წერდა იგი: „დიადი პატივი — მშობელი ხალხის სალიტერატურო ძალთათვის ახალი და ღირსეული მოზნების მინიჭებისა ქართულ ლიტერატურაში წილად ზედა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ამის გამო, სრული უფლებით პირველი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქართული ლიტერატურის სათავეში... ქართველი საზოგადოების გონებრივ ცხოვრებაზე და მის მომავალ განვითარებაზე ილ. ჭავჭავაძის ლექსებმა ყველაზე დიდი გავლენა იქონიეს“.

ქართველთა ცხოვრებაზე და აზროვნებაზე

ასეთი გავლენა ჰქონდა, ამბობს ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძის არა მარტო ლექსებს, არამედ მის უკვდავ პრინციპს და ბრძოლასკენ მომწოდებელ პოემებსაცო, რომლებიც მისი მიზნდენილი დახმარებით, უმეტეს შემთხვევაში კემმარბიტად „საქრესტომატიონი“ არიან.

ნ. ნიკოლაძე, მთელ ჭარბულ მწერლობასთან ერთად, დიდი დამყვანებელი და მესობტზე იყო ილიას დამსახურებისა რევოლუციურ-დემოკრატიული სალიტერატურო კრიტიკის წინაშეც. ზენთის ცნობილია ის როლი, რომელიც „საქრთველოს მოამბეში“, „დროებაში“ და „კრებულში“ ითამაშეს ამ კრიტიკის დამკვიდრებისათვის ჩვენს მწერლობაში. ეთილი ისიც, რომ პირველი ნახიჯი ამ მიმართულებით ილიამ გადადგა და ეს აღნიშნა ნ. ნიკოლაძემ ერთ თავის წერილში, შემდეგ სიტყვებით: „პირველი, სერიოზული, დილისთფიური კრიტიკის ის ნიმუში, რომელიც ნაწარმოებთა ცალკეულ წერილში მხარეებს კი არ ეხებოდა მხოლოდ, არამედ ლიტერატურის საერთო მიმართულებას არკვევდა, ეს იყო 1861 წელს ეურნალ „ციცქარში“ მოთავსებული ილ. ჭავჭავაძის ის პამფლეტი, რომელიც ლიტერატურის იმდროინდელი მოღვაწეების წინააღმდეგ იყო მიმართული“ და „შემდეგში საერთო საფუძველი გახდა ქართული სალიტერატურო კრიტიკისა“.

ნ. ნიკოლაძის ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, საესელოდ შეესაბამებოდა ისტორიულ სინამდვილეს, რადგან ჭარბული სალიტერატურო კრიტიკის განვითარება გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მართლაც სასიცოცხლოდ იყო დავალებული იმისაკენ, რაც მისთვის ილიას დაუშრეტელმა ნიჭმა და შემოქმედებამ გააკეთა 60-70-ან წლებში.

ცნობილია, რომ ნიკო ნიკოლაძე მუდამ იყო ჩვენი მწერლობის იდეური სიწმინდისა და ესთეტიკური ღირსების ფხიზელი გუშავი. ამას ემსახურებოდა დაუღელვად მისი კრიტიკული მოღვაწეობა, რომელიც რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის პრინციპებს ემყარებოდა და მისი რეალიზაციის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა ყოველთვის. ნ. ნიკოლაძე არავის არ მოუტყუებდა ჭარბული მწერლობისადმი სულ მიტრედ უნასუსისმგებლობას ან უბრალო დაუდევრობასაც კი. ამით იყო გამოწვეული, რომ არსული თარგმანის შესახებ ვახვთ „ნოვუ ობობრენიში“ დაბეჭდილ „კრიტიკულ მიმოხალვაში“, ცნობილი ა. თხოვეციკის მან ილ. ჭავჭავაძის ლექსების თარგმანში დაშვებული სულ უმნიშვნელი ლახუსიც კი არ აბატია.

ილიაც მკაცრი მსაჭელი იყო თარგმანისა. ამას მოწმობს ის ბარათიც, რომელიც მას თავისივე ლექსების თარგმანთა გამო პეტერბურგში ნიკო ნიკოლაძისათვის მიუწერია.

ეს იყო 1883 წელს. სტაეროპოლის გადასახ-

ლებიდან 1881 წელს დაბრუნებული ნიკო ნიკოლაძე, იმ დროს სალტიკოვ-შენდრინის მიუწვევით, ეურნალ „ოტენესტეციე ზაბრეტული“ დანამშრომლობდა და ამ ეურნალის კრიტიკის განყოფილებაშიც განაგებდა.

მაშინ ნიკო ნიკოლაძე მარტო შენდრინის ორგანოში არ მუშაობდა. იგი ერთდროულად აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგის მეორე ეურნალშიც, რომელსაც „იზიანშნაია ლიტერატურა“ ერქვა. როგორც ამ ეურნალის რედაქცია იტყობინებოდა, იგი მიზნად ისახევდა „რუსი მკითხველისათვის უცხოური ბელეტრისტიკის საუკეთესო ნიმუშების მაღალხარისხიანი თარგმანები მიუწოდებინა“. ამ ეურნალის მუდმივ თანამშრომლებად ითვლებოდნენ — ი. ტურგენევი, ა. ასტროვსკი, დ. გრიგოროვიჩი, ნ. ნიკოლაძე, ა. პლეშჩევი და სხვ.

ასეთი იყო ვითარება, როდესაც ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგში ილიას ბარათი მიიღო. ილია სწერდა: „მეო ნიკო ვიგზადენი „გლეხების განმთავრულების სცენებს“ და ამასთანაც გაუწევებ, რომ მე ეგ სცენები არ ვაღამისწორებო, ხოლო გ. თუშანაშვილს წარმოსადგენად თავისებურად შეემოკლებინა და ისე შემოკლებული მე არ მომწონს. სწორედ ვითხრა, არც საჭიროება მოითხოვს. „უკაია-დამიანისც“ ვგზავნი, უკანასკნელად გამოცემულს. თუ რამ შესწორება მოუნდა ამ უკანასკნელს გამოცემაში შესწორებულთ. კორექტურის შეცდომებს კი თუითონც მიხედვები და იმედი მაქვს შეასწორებ. კორექტურის შეცდომა მრავალია.

აქ ხეირიანი მთარგმნელი არავინ მოიპვნება. ილია ბატაძე არ არის, მგონია, პეტერბურგშია. თქმა არ უნდა, რომ დიდი საქმე იქნება ჩვენი მწერლების ნაწერები რუსულ ეურნალში დაიბეჭდოს, მაგრამ ჭიჩი ეს არის, მთარგმნელი ვინ იქნება. კადევ თქვენ თუ იშოვით მანდ, თორემ აქ არავინ შეგულება. აქ თხოვეციკისათვის მინდოდა მეთარგმნინებინა ერთი რამ, მაგრამ მითხრეს ბეგრს ჟულს მთათოვსო და მოვერიოდ. მაინცა და მაინც რომ შრომა მიიღო და იკითხო შენთვის მახლობელ რედაქციებში თარგმნის ლექსში რას მისციემენ, ძალიან კარგს იხამ. მოვისაზრებ მაინც, რა დავეცივდნა თარგმანი და თუ მანდური ფასება შელავთს რასმეს მისციემს ჩვენს ციხეებს, დანარჩენს დავაუროგორც იქნება. არ იქნება პეტრი, რომ შენ თუითონ დაგვისახტელი რა და რა ლექსითხზულება უფრო შესაფერი იქნება დასაბეჭდად.

ილია ჭავჭავაძე

1883 წ. 26 თებერვალი.¹⁾

1) ეს ბარათი თავის დროზე ვადმოვეცა პირველად პავლე ინგოროვიამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებთ. ვ. ზ.

ეს დოკუმენტი მრავალმხრივ საყურადღებო და საინტერესოა, რადგან იგი ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ილიასა და ნ. ნიკოლაძის არა მარტო აღამიანურ და შემოქმედებით მეგობრობას, არამედ იმ დიდ მნიშვნელობასაც, რომელსაც ეს ორი გამოჩენილი ქართველი პოეტ-ვეფხე, სხვა ხალხთა ენებზე, კერძოდ, რუსულ ენაზე ქართული პოეზიისა და პროზის საყურათესო ნიმუშების თარგმნას ანიჭებდნენ. აქ ილია თვით წერდა ნ. ნიკოლაძეს, რომ „დიდი საქმე იქნება ჩვენის მწერლების ნაწერები რუსულს ქუჩალებში დაიბეჭდოს“.

ილია არა თუ იღწოდა ჩვენს მწერლების ქმნილებათა ცალკეული ნიმუშების სხვა ენებზე თარგმნისათვის, არამედ თვითონაც ვადმოქონდა ქართულ ენაზე უცხოური ავტორების შედევრება.

თვით ილიას ნაწერებიდან რუსულ ენაზე პირველად მისი ლექსი „შეშა“ ითარგმნა. ცნობილია, რომ ამ ნაწარმოებს, რომელშიაც მკვეთრად მოჩანს ის. ჰუმანობის რევოლუციური-დემოკრატიული იმთვლიანედელობა, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ნეტარსოვის სიტყვები:

„В труде проходит жизнь сго
И не приносит ничего“

ნეტარსოვის ეს პოეტური სტრიქონები უეკვიოდ ტონს აძლევს ილიას ლექსის მთავარ იდეას. „შეშა“, მისი ქართულად დაბეჭდვის წელსვე ითარგმნა რუსულად და გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ (1863 წ. № 96). თარგმანს ზღვს აწერს ვ. გ. — ზონი. ჩვენს ვიარაუდით იგი უნდა იყოს ვასილ კარლოსის-ძე გეორგი-ზონი, ისტორიულ მეცნიერებეთა კანდიდატი, რომელიც იმ დროს თბილისის საგუბერნიო გიმნაზიაში მასწავლებლობდა.

გასულ საუკუნეში გამოჩნდა ილიას ნაწარმოებთა პირველი უკრაინული თარგმანებიც. ლოვეში არსებულმა უკრაინულმა ქუჩალებმა „პრავდაში“, 1893 წლის იანვრის ნომერში მოათავსეს, ვინმე ო. ლ-ის მიერ ვერ კიდევ 1892 წელს თარგმნილი ილიას „გაზაფხული“, რომელსაც უკრაინულ თარგმანიზეც შენარჩუნებული აქვს ორიგინალის საოცარი პოეტური სიმსუბუქე და შესიეილობა. აი, ეს თარგმანიც:

Весна

(I. П. Чавчавадзе)

Все на сніті разцвітає,
Все сніпає на веснуі,
І в садках на сонні дльются
Слезі щастя весняні.

Зацьвілі лісі і гори,
Цьвітгом вкрилися поля,
Чом же ти не розцвітаєш,
Бідва вігчю моя?

ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ილიას ნაწარმოებთა თარგმნას უკრაინულ ენაზე.

ლექსებზე ვაიცილებით გეორგი-დარჩენილ თეოდოს პოზაულ ნაწარმოებთა თარგმნა-საქმეც კრებულ-თუ მხედველობაში არ მივიღებთ ან. ფურცელაძის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი იმ ნაწყვეტებს „აკია-ადამიანიდან“, რომელიც მას 1864 წელს „ლიტერატურის კოსტოკის“ მეათე ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში აქვს ჩართული, მაშინ ამ მიმართულებით გადამდებულ პირველ სერიოზულ ნაბიჯად უნდა ჩათვალოს ნ. ნიკოლაძის ის თარგმანი „სცენებისა გლეხთა განთავისუფლების დროიდან“, რომელიც 1883 წელს დაბეჭდა მან ქუჩინო „იზნაშნაია ლიტერატურაში“.

„სცენები“ და „აკია-ადამიანი“, როგორც ვიცით, წარმოადგენდნენ მხატვრულ ხორცს-ხმას იმ მოწინავე ლიტერატურული მიმართულებისა, რომლის მეთაერი და ფიქმდებელი ქართულ მწერლობაში თვით ილია იყო. როგორც მთელ თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე ამ ნაწარმოებებშიაც შეწარაღმა გამოავლინა თავისი რევოლუციური-დემოკრატიული სოციალური და ესთეტიკური ფილოსოფია. ამიტომ გასული საუკუნის ოთხმოცათა წლებში ამ ქმნილებათა საგანგებოდ შერჩევა თარგმნისათვის, რა თქმა უნდა, იმის მაჩვენებელია, რომ მათი ავტორი ძველბურად ერთგული რჩებოდა ამ რევოლუციური-დემოკრატიული პრინციპებისა, რომლებიც მან სამოციან და სამოცდაათიან წლებში დაამკვიდრა ჩვენს მწერლობაში.

არც ნ. ნიკოლაძისთვის იყო შემთხვევითი, რომ მან ამ ნაწარმოებთა თარგმნა იღო თავის თავზე, რადგან მისი რწმენით „მთარგმნელი მარტო ისეთი თხზულების გადმოთარგმნას უნდა კისრულობდეს, რომლის შინაარსი, დედა-აზრი და გარეგანი ფორმა მის ხასიათს და ტერინის მიმართულების ეთანხმებოდეს ისე, რომ იმას, თარგმნის დროს, იგივე გრძნობა და იგივე მიმართულება გაუქდეს ტერინში, რომელიც თვითონ მწერალს ამოქმედებდა“.

სწორედ ასე იყო ამ შემთხვევაშიაც, რადგან სათარგმნელად „სცენებისა“ და მის მსგავს ნაწარმოებთა შერჩევით ილია და ნ. ნიკოლაძე ფიქრობდნენ რუსი მკითხველისათვის ნათელიყოთ ის ბრძოლა, რომელსაც ქართული რევოლუციური-დემოკრატიული მწერლობა ეწეოდა ზღვის დასაარსებავად ქვეყნის მზავრელთა წინააღმდეგ და ეპოქის მოწინავე იდეალების განსახორციელებლად.

როგორც ვთქვით, ნ. ნიკოლაძემ ილიას „სცენები“ 1883 წელს თარგმნა. მრავალმხრივ საინტერესო იყო ეს წელი მისთვის, რომელმაც, მართალია, ზოგიერთი უსამოყენებელ შეხვედრა ქართველ პუბლიცისტს, მაგრამ არც სიამოვნება მიაკლო მას. პირველი და ყველაზე დიდა

უსიამოვნება იმ წელს ნ. ნიკოლაძისათვის ის იყო, რომ ერთნაღმა „ოტენესტეინე ზაბისკიმ“ მისი წერტილის, „ლუი ბლანი და გამპეტას“ გამო სასტიკი გაფრთხილება მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ იგი დახურეს კიდევ. სასიამოვნო კი ეს წელი უპირველესად იმის გამო იყო ქართულ მოღვაწისათვის, რომ საგაგებო დაფუძნებით, იგი პეტერბურგიდან ეხმარებოდა „ეფემისტყაისნის“ გამოცემის იმ საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც თბილისში ილია მეთაურობდა.

ამასთანავე 1883 წელმა ნ. ნიკოლაძის დიდი პირადი ბედნიერებაც არგუნა, რომელიც ძმური სიხარულით გაიზიარა ილიამ. იმ წელს, ნ. ნიკოლაძე დაქორწინდა ილია გურამიშვილზე, რომელიც უფროსი ოღლა გურამიშვილის, ილიას მეუღლის, ნათესავი იყო. ეს მოხდა 1883 წლის ზაფხულში. როგორც პირველ რესულტად ნიკოლაძე გადმოვიტყვებს მისი ბიძის და. გურამიშვილის ნაამბობს, ამ სასიხარულო მოვლენის აღსანიშნავად ილიას დიდი წვეულება გადაუხდია. საოჯახო სუფრაზე, რომელსაც თურმე თვით ილია მეთაურობდა, დიდ შწერალს მიუძღვრათეს ნ. ნიკოლაძისათვის და ასეთი სადღეგრძელო წარმოუთქვამს: „აქამდე ჩვენ მხოლოდ კალმით ვუყვიით ძმებო, ახლა კი მას ჩვენი ოჯახების დაახლოვებაც ზედ დაერთო, რადგან ცხოვრების თანამგზავრებად ჩვენ მიერ ვუღოთ არაბუღო უფროსი და უმცროსი ოლიგები ერთი ოჯახის შვილები არიან, ერთ აკვანში და თითქმის ერთი ძმუჭული აღზრდილი და ბევრ ღვთაღ დაზე სულთ უფრო მასობილენი. ამიტომ, ამ სასმისით, ამ ისტორიული „გურამიანთ სასიით“ შევსვამ ერთად სადღეგრძელოს ორივე ოლიგის, რომლებიც ამიერიდან კიდევ უფრო უნდა დაეხმარონ თერგის ტალღებში გზადალოცვილი ჩვენი ძმობის განმტკიცებას“.

ძმობის ამ გრძნობით თითქოს ერთარსებად შედუღებულნი იბრძოდნენ ისინი მხარდამხარ სიკვდილამდე სამშობლოსა და ზალხის ბედნიერებისათვის.

• • •

ნიკო ნიკოლაძე დიდი პატივისცემული იყო ილიას პიროვნებისა, მისი სიბრძნისა და უზომო შრომისმოყვარეობისა, რაც მას საერთოდ ერის კეთილდღეობის ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედად და ახალგაზრდობის მისაბამ პირველ ზნეობა რიც მაგალითად მიიჩნდა. ამიტომ წერდა ქართველი პუბლიცისტი: „...საგნის სრული უყოღინარობის გამო შეიძლება ეპატივის ვისმეს,— თითქოს ტალანტი და შრომა ერთად არ თავსდებოდნენ. შექსპირი, გოეთე, ბაირონი, სერვანტესი და სხვ., იყვნენ არა მარტო ტალანტები, არამედ ნამდვილი გენიოსებიც. მაგრამ გენიო-

სობა სრულიადაც არ უწოდია მათ, რომ მთელსა სიცოცხლის განმავლობაში ეშრომათ და ეღვაწნათ საკუთარი განვითარებისათვის და არა თუ გათანასწორობდნენ, არამედ უღრუ მღვრე და მღვარიყვნენ თავისი ეპოქის უგანაოლებულს დიდ ადამიანებზედაც კი. ისინი, ეს გენიოსები, თავისი საკუთარი ცხოვრიდან კი არ მზარდდნენ თავის აზრებსა და ქმნილებებს, არამედ კაცობრიობის ცოდნის საერთო საღაროდან, მიტომ რომ, მათ კარვად ესმოდათ, რომ წინ მხოლოდ იმას წასწევ, რასაც საფუძვლიანად იცნობ, რაც უოველმხრივ შეთვისებული ვაქვს. რამდენადაც უფრო ძლიერია ტალანტი, რამდენადაც უფრო ღრმია გრძნობა — განზნა, იმდენად უფრო დიდხანს ცოცხლობს მათში თავმოყვარეობა, გამკრიახობა, ბუნების საიდუმლოებათა ამოცნობის წუერვალი. ყოველი ცოცხალი ბუნების ადამიანის, ყოველი ორიგინალური ტყუის ეს თანდაყოლილი თვისებაა, შრომისა და გარისყვენი რომ მიზნიდავს ტლანტი“.

ნიკო ნიკოლაძე სამართლიანად შენიშნავდა, რომ ილიას სიდიადის მიზეზი მარტო მისი ბუმბეტარაზი ნიჭი და არბუელი საგნისადმი სიყვარული კი არ იყო, არამედ ისიც, რომ „იგი შეუნღლებლად ავარჯიშებდა მთელ თავის ძალღონეს, რათა თავისი ნიჭისათვის მიეცა მთელი ის განვითარება და ძლიერება, რომელიც კი მისთვის მისაწვდომი აღმოჩნდებოდა. ნებისყოფის, შეურყვევლი ხასიათისა და ცხოვრების მიზნების მყარობის, — ის არ შეუშინდა შრომას, ამ უკანასკნელის მიერ სიძაძინეს და უფერულობას. ის სწავლობდა, კითხულობდა სხვა შწერლებს, იკვლევდა ცხოვრების საკითხებს და თავისი განებრაივი განვითარებით მის თანამედროვე განათლებულ პირებს გაუთანასწორდა... შწერალი სწავლობდა, ცოდნით იჭურვებოდა და მუდამ ახსოვდა, რომ თანდაყოლილი კუთა მხოლოდ ამ გზით მოაიყვებს ბელადობას თანამედროვეობაზე, განმავლობას ჩამომავლობაზე... და მან ყოველივე ამას ზედმიწევნით მიადწინა იმიტომ, რომ თავის თანამემამულეთა შორის ის იყო თითქმის ერთად-ერთი მოღვაწე ნებისყოფით, შეურყვევლი ხასიათითა და შრომისმოყვარეობით დაჯილდოებული... ამიტომაც ის უმკველად ადამიანი, ამიტომაც ძალა“.

დაახ, ქვეყნის ძალად, მის ცოცხალ ძალთა შექმრებლად და მეთაურად აღიარებდა ნ. ნიკოლაძე ილიას. ეს აზრი დიდა დაძაფრებლობით გამოუთქვამს მას გასული საუკუნის მიწურულში, იმ მერად საინტერესო საუბრის დროს, რომლის მოწმეც პოეტი დ. თომაშვილი ყოფილა. ამბავი, რომელსაც დ. თომაშვილი გადმოვიტყვებს, ნ. ნიკოლაძის სიძის, ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, იდექსი ტიკინიძის ოჯახში მომხდარა. იმ დღეს იდექსის მამარტყებული პუოლია ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და

მისი ოჯახის სხვა მახლობელნი და მეგობრები. ვიდრე სტუმრები სუფრას მიღსნდებოდნენ, მათ შორის ის საუბარი გამართულა, რომელსაც პოეტრი ლ. თომაშვილი ასე გადმოგვცემს: „სტუმრები აიგანზე შეიკრიბნენ. ნიკო (ნიკოლაძე) ათენის რიკულთან დაბრძანდა და გელათს გაყურებდა. დაწყებული საუბრის დროს გ. წყრიელის შვილები და სხვები ხშირად ასხენებდნენ ლასალს, კაუციის, ბებელს, ეგნატეს (ნინო-შვილს) და სხვ. უფრო ხშირად კი — მარქსს, ენგელსს, ჰეგელს... ვიღაცამ მიხაილოვსკიც ვახსენა და პ. ლაეროვიც... ამოწმებდნენ ჩერნიშევსკის, დობროლუბოვს. ჩერნიშევსკის სყენებაზე ნიკომ მოიხედა, მისმა სახემ რაღაც სხვაგვარი გამომეტყველება მიიღო, რასაც უმაწვებელი ვერა გრძნობდნენ. აღეჭია (ჭიჭინაძე — ე. ზ.) მაშინვე სწვდა: აი, ნიკოლი იაკოვლევიჩ! ეს უმაწვებლები თქვენს მეგობარსაც იცნობენ, ტყვეობიდან რომ იხსენით.

— რასა ბრძანებთ? ნიკოლი ვაჭარილოვის (ჩერნიშევსკის — ე. ზ.) ვინ არ იცნობს? მას მტერიც და მოყვარეც ბევრი ჰყავს რუსეთში! საუბარი გრძელდებოდა. ვიღაცამ გოგოლი და პუშკინიც არ დაივიწყა; ბელინსკიც დამოწმებს ჩაღაცაზე.

— „მკვდარი სულების“ იღვა გოგოლიმა პუშკინს მოსტაცა — სიტყვა ვიღაცამ.

— თუ აგრე, „კაცია-ადამიანის“ იღვა ილია ჰეგეიაძემ გოგოლისაგან ისეხა; საერთოდ, ილიას ძლიერი გავლენა ეტყობა ჩერნიშევსკის აზროვნებისა და გოგოლსაც ჰმაძავს, მოისმა ბიენის ერთი კუთხიდან.

— ხომ შესაძლოა, რომ ჩერნიშევსკი და გოგოლი სულაც არ ყოფილიყვნენ ჰეგეიანაზე; ამა ერთი მიზრძანეთ, მაშინ ილია ის ილია იქნებოდა, როგორსაც დღეს ვიცნობთ, თუ არა? შენიშნა ნიკომ ზემოხსენებულ რეპლიკაზე საპასუხოდ.

— ხომ შეიძლებოდა, არც ილია ყოფილიყო? გაისმა ისევ იმ კუთხიდან.

— შეიძლებოდა!

— მაშინ?

— მაშინ, — უპასუხა ნიკომ, — სხვა ვინმე დაიკურდა მის ადგილს, თუმცა იმ სიცილიერებს, ილიამ არც ამოავსო, ვეჭვობ, სხვა ვინმე ამოავსებდა... ნამდვილ ილიობას ვერაფერ ვასწევდა (ხაზი ჩვენია — ე. ზ.), დღის კუკუა, დიდი... ჩვენს წინა კრიტიკოსებს ძლიერ უყვარია ვიღვენაზე საუბარი. ეგაა სურვილი ფინში იოლად გასვლისათ! თუ კუკუა და ცოდნა შეგწევს, თან მაშულის მსახურება დაგისახავს მიზნად, ცხოვრება ისეთი მშლავრი ოსტატია, რომ ავამოწმებდეს, და გაგაკეთებინებს, რაც საქირია ჰეგეიანათვის. საქმე მხოლოდ ისაა, რომ ჰეგეიის მსახურება ყველას თავისებურად ეცნობს: კუკუა და ცოდნა ყველას არ შესწევს, ან თუ შესწევს, სხვადასხვა ზომით... ილიას ძალაც დიდი შესწევს,

ცოდნაც ძლიერ უწყობს ხელს. სრულად დამოუკიდებელ მწერალს, მეცნიერს, ვინდ ჩვეულებრივ ხელსაწიან ვერსად იმოქმედებდა. ისეთი მხოლოდ ადამი თუ იქნებოდა... ამბობენ, ი. გოგებაშვიდმა რუსული „Родное Слово“ სთარგმნა და ქართული „დღეადიანა“ გააკეთათ გოგებაშვილი იმდენად ჰეგეიანი კაცია, რომ ასეთ სისულელეს როგორ ჩადიდნა?... მაშინ უშინსკიხედაც ხომ შეუძლიათ სიტყვან, პესტალოცი ან დესტრუფევი „სთარგმნა“ და „Родное Слово“ შექმნათ! ასეთი აზრი რომელიმე კეთილგონიერ რუსის დაებადება ვანა? მსოფლიო მოწინავე აზრების დებულებები რომ გამოიყენოს და შენი ჰეგეიის საჭიროებას მიუხადაგო იგინი, ეს გავლენა კი არა, რაღაც უფრო დიდი... დღეს ისეთ ხანაში ეცხოვრობთ, რომ ახალი იდეები ელვისებურად ვრცელდებიან, ერთის აზრსა თუ იღვას მეორისა მსხვედმბა, შეებრძვის, შენიხილდება ნიგუხალი და ახალი აზრი დაბადდება... ასეა ილიასთანაც... და ამიტომ ილია ჩვენის სამშობლოსათვის უპარველეს ყოვლისა ილია და შემდეგ ჩერნიშევსკიცა და ბელინსკიცა, პუშკინიცა და გოგოლიცა, ტურგენევიცა და შენდრინიცა (ხაზი ჩვენია ე. ზ.) — დაასრულა საუბარი ნიკომ.

* * *

1907 წლის აგვისტოში დატრიალდა წიწამურის ტრაგედია. მთელი ჩვენი ჰეგეიანა შესძრა ბოროტმოქმედთა ამ გუგუნარმა სისასტაგუმს. ქართველი ხალხის თავისუფლების დიდი გუშავის, მისი დიდი ჰერისუფლის დაკარგვის გლოვობდა და დასტიროდა მთელი ჩვენი სამშობლო, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, კაცი და ქალი.

ერის ბელადისა და პირადი მეგობრის დაკარგვის დასტიროდა ცხარე ცრემლებით ნიკო ნიკოლაძეც, რომელმაც ძაბით შემოსილ საქართველოს გასაჯონად სიტყვა იმათ საყურადღებოდ, ვინც ილიას სახელისადაც მუდამ შურითა და ღვარძლით იყო აღესილი: „ვერ ამიხსნია, საიღამ იბადება შეცდომა, ვითომ ერთის არსებობა მეორეს ბრწყინვას უშლიდეს? საქმე, ჰეგეიანა, მზე ყველას არ ყოფნის? ილია ჰეგეიანის მაგალითზე ვერ აეხილა თვალის ხალხს? რამდენი უდიდოა მის გაქრობას იმ იმედით, რომ მის მავრე გაუმტლადღებობს მოყვად ხომ! მისი ადგილები სხვებს ერგო. გაილიადა ამით ვინმე? თუ იბლად დაჩჩა საქმე, რომელსაც თავის მოადგილეებზე მაინც უკეთ უვლიდა იგი?“

ეს დაუვიწყარი სიტყვები საყვებით ბუნებრივი იყო იმ ადამიანისათვის, რომელიც მშადღეოცი დიდი მწერლის მკვლელობაში იგი ათეული წლით აღრე წერდა: „ილია ჰეგეიანა, როგორც ადამიანი არ არის უკვდავი, მაგრამ მარადიული და უკვდავია საქმე, რომელსაც იგი მეთაურობს და წინ მიუძღვის“.

ბექან ბარბაქაძის

პორტრეტი ილია ჭავჭავაძის პროზაში

„კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ერთ-ერთ პარიანტში ნათქვამია:

„მთხრობა რა არა?“

„პატარა ტილოა, ზედ ადამიანებსა ხატავენ“.

რომ არ ვიცნობდეთ ილია ჭავჭავაძის ცნობილ ესთეტიკურ დებულებებს, ამ სხარტი განმარტებულანაც ნათელია: ილიასათვის მწერლობა, უპირველეს ყოვლისა, მხატვრობაა და მისი თემა ადამიანი.

ადამიანის დახატვა კი რეალისტურ მწერლობაში, როგორც სინამდვილის ამსახველ ხელოვნებაში, მისი პორტრეტის-გარეგნობის, გამოშვებულების, ქვისტისა და პოზის ზეგნების გარეშე შეუძლებელია.

სწორედ ამნაირადაა აგებული ილია ჭავჭავაძის პერსონაჟთა პორტრეტები.

უნდა ითქვას, რომ „კაცია-ადამიანის“, „ოთხრანთ ჭვრივის“, „მგზავრის წერილების“ პერსონაჟთა სიკოცხლისუნარიანობა დიდადაა გაპრობებული ალიას, როგორც პორტრეტისტიის, ოსტატობით.

პორტრეტის აგება ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა და მასზე დავიკრებთ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს, როგორც ამ მწერლის შემოქმედების, ასევე ქართული რეალისტური პროზის ადრეული ეტაპის ზოგიერთი საკითხების გახარკვევად.

ლონარდო და ენანო რჩევას იძლეოდა, როცა რაიმეს ჩახატავს აირებ, უყურე გადმოსახატე სხეულს მთლიანად. როცა ილიას პერსონაჟთა პორტრეტებს ვაკვირდებით, გვაოცებს მწერლის კუმპარტიად სკულპტურული ჰერტა და ხატვის პლასტიკური მანერა. პერსონაჟი მკითხველის წარმოსახვაში ერთხელ და სამუდომოდ უაღიბდება გარკვეული, დასრულებული, მთლიანი სახით. ამავე დროს სახის ეს „დამრგვალება“ ხდება ისე, რომ საჭირო არ არის წარმოსახვის რაიმე განსაკუთრებული დამბევა. ალბათ, ვვლას ერთნაირად წარმოუდგება ლუჩასი და დარკანის, ოთხრანთ ჭვრივი და გოტატი. ბუისის აფიკერი და თუნდაც უმნიშვნელო „ამაშნიკი“.

ილია პერსონაჟს, პირველყოფისა, მთლიანო-

ბაში, მის ფიზიკურ გარკვეულობაში აღიქვამს: ისმენს პერსონაჟის ხმას, ხედავს მის ქვისტს, მამიკას, მოძრაობას, გარეგნობის საერთო აბრისს.

მთელ რიგ შემთხვევებში მწერლის შემოქმედებითი პროცესი ასე წარმოგვიდგება: მწერალმა „დაინახა“ პერსონაჟი, შეადგინა აზრი მისი გარეგნობის საერთო ხასიათის შესახებ და ამის შემდეგ დაიწყო პორტრეტული დეტალების ჩვენება, ასე ვთქვათ, პერსონაჟის დაზუსტება.

ხშირად, ვიდრე კონკრეტულ პორტრეტულ დახასიათებას შეუდგებოდეს, ილია ჭავჭავაძის ზოგადი გარეგნული დახასიათებით: დათოკო „ველაფერში კაი უმაწვილი კაცი იყო: მშვენიერი სანახაობისა, გულზევი, გულმარდი და ვაჟაკი...“ ცოტა უფრო ქვევით აერთი კვლავ იმეორებს: „ველაფრით ძალიან ღამაზი და მოხდენილი იყო“. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მწერალი მთლიანად დანდობილია მშვენიერებისა და სილამაზის მკითხველისეულ იდეაზე.

საერთოდ, ასეთ ზოგად ესთეტიკურ შეფასებას ილია უფრო ხშირად პერსონაჟი ქალების გარეგნობის ხატვისას მიმართავს. კესო, გიორვის შეფასებით, „ვაჩსკვლია“, „ანგელოზია“; მონის ასული „აირდილიან“—უკვილია; მწვემსი გოგონა — „სასვე შეგნების ჭადოთი, გრძნებით“.

მამაკაცთა გარეგნობაში ილიას იტაცებს ახოვანების, ძლიერების, ფიზიკური ძალის გამოხატვა: გიორგი: „ერთი ჭმუხი და ძარღვიანი უმაწვილი კაცი დადგა“. „ტანდაც ერთი ბრეკ კაცი იყო, მარჯველ მოყვანილი და ჩასმული“. ლულთ ლუნა: „ნემი მოხვეე სანახაველ ღორს იყო. იგი, თითონ ზორბად მოსულლი, იქდა ერთს პატარა მთის ცხენზედ“. მღვდელი: „იმათში შერბია ერთი მადალტანიანი, ახალგაზრდა მღვდელი“. გრიგოლ ორბელიანი: „მოხუცია იგი ჭმუხი, პირად-ბადრი, ტანდაბალი“, და ა. შ.

პერსონაჟები თავიანთი ფიზიკური თვისებების გამო ილიას წარმოდგენაში ხშირად იწვევენ ცხოველთა ასოციაციებს. სწორედ აქ მკვლავდება მწერლის დამოკიდებულება პერსონაჟისადმი ნათლად, შეუფერავად. თამარო:

„გულზე პეპას ერთი ახორბულად შადლიანი, წერიარახივით გოგო ჰყავდა...“ „ბევრი თავადისაგანის კალი იხატოვდა იმის წერიარახივით მოდერებულ ყელსა“. ეს შედარება რომ არ ატარებო ჩვეულებრივი პორტრეტული ფორმულის ხასიათს, სხვა მაგალითებითაც ვრწმუნდებით.

„კაქოა-ადამიანის“ წინასიტყვაობის ვარიანტში პორტრეტისა ნათქვამი, რომ ლუარსაში — ტახია. ...დაღვიწყე ნადირობა და ერთს ასეთს ტახის წივავლე ხელი, რომ უკეთესი არ უნდოდა“. თვით მითარბობაში ლუარსაში არის „მრავალი... როგორც კარგა ჩასუქებული კურატი“. მის გულზე კი „ლორის ქაჯარისაგანი“ აქვს მოდებული.

შოთაშვილი ცხოველის ასოციაციას იწვევს „იამშიჩის“ ყოველი პორტრეტული დეტალი: „... იმისი ოყრახული სანახაობა, იმისი მიღწე-წოდნებული ზღაპრა, უაღამიანო და პირუტყველი მიხვრა-მიხვრა“. „იამშიჩმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემსკენ მწყვალად მოაბრუნა“, ამბობს მწერალი და საბოლოოდ ამტიკებს მკითხველის წარმოდგენაში ამ პერსონაჟის ცხოველურ სახეს.

„ოთარაანთ ქვრივი“ შემთხვევით გამოჩენილი პერსონაჟი მწერლის წარმოდგენაში კვლავ ცხოველის ასოციაციას იწვევს: „რაო, ოთარაანთ ქვრივი, გვმარბა მავისა, თუ რა არის? — ჰკითხა ქოსმანსაგით გახვირულმა მელქეშემ“. ცნობილ „გამოცანებში“ თითქმის მხოლოდ ეს ხერხია გამოყენებული: ზოგი პერსონაჟი ღამემგძვარას ჰგავს, ზოგი შელას, ზოგი ზაიუშს, ზელას და ა. შ. ცხადია, მხოლოდ კანონზოებრული პორტრეტული ფორმულა არ უნდა იყოს ასეთი შედარებაც „კაკო ყაიღაღანს“: „წამოხტა კაკო ღომივით ზეზე“.

როგორც დავიანახეთ, ცხოველთა საშყაროს ჩვენი მწერალი ზნობად იყენებდა პერსონაჟების პორტრეტული თუ ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის. ეს ხერხი მას ეხმარებოდა პერსონაჟის ვარჯიშობის, მისი საერთო ფიზიკური აბრისის წარმოსახავად. ყველა ამ შემთხვევაში ხაზგასმულია ავტორის ტენდენცია, ნაწარმოების საერთო მიზანდასახულება.

სახეობი ხელოვნების მკვლევარები ადამიანის პირისახეს პორტრეტის კომპოზიციურ ცენტრად თვლიან, რადგან სწორედ პირისახეზე გამოხატება ინდივიდუალობა და თავისთავადი მნიშვნელობა პაროქნებისა. ბევრი მთავანი თვლის, რომ სწორედ სახის გამომეტყველება არის პორტრეტი. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურული პორტრეტის შესახებაც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლიტერატურული პორტრეტი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას პირისახის ჩვენების გარეშე თვითონ ლიტერატურის, როგორც სიტყვური ხელოვნების, თავისებურების გამო. ამ გარდა-

ნაირმა ყესტმა, პოზამ, ვარჯიშობის ნებისმიერმა ცვალებადობამ სივრცესა და დროში, შესაფერმა ახტურაჟმა შეიძლება შექმნას სავსაოდ სრულყოფილი წარმოდგენა მტრსაგანის ვარჯიშობის შესახებ.

ლიტერატურის ადრეულ ეტაპზე პირისახის გამომეტყველების აღწერას, საერთოდ, პირისახის ანალიზი, იშვიათად ვხვდებით. სახეზე მწერლის თავლი შერჩერდა მამინ, როდესაც უფრადლება გამახვილდა ინდივიდზე, პიროვნებაზე, როდესაც ლიტერატურაში დადგა ადამიანის ფსიქოლოგი საშყაროს წვდომის საკითხი.

პროსაში მწერლის ერთი გვირგვინი მწერლობა იმ მთელს მოხარობას შეეგუებოდა ადამიანის სახის, მისი გამომეტყველების მიხედვით. ჩერნიშევსკი წერდა: „ქეშპარტი ცხოვრება გონებისა და გულის ცხოვრებაა. იგი აღიბუჭდება სახის გამომეტყველებაზე, უფრადზე ნათლად კი — თვალში“.

თავის შესანიშნავ ყვრილებაში ქართული თეატრის შესახებ ილია ჭავჭავაძე მართალი მხატვრული სახის შექმნისათვის განსაკუთრებით ხაზს უსვამდა სახის გამომეტყველების, მიმიკის მნიშვნელობას. ილია ვასო აბაშიძეს ეწიმის როლის შესრულებისას პიესა „მეშლილი“ სწორედ ამ მიმართულებით უსაყვედურებს: „ქვრისა, რომ არც სახე ვაჯუტებინა ისე, როგორც დამქდარს მეცნიერს, სხვის უბედურების მგარძობელს და გულშემატკივარს კაცს შეეფრება...“ ხოლო კოტე ყიფიანი უფრო მოსწონს იმის გამო, რომ „მიმიკა აზრისა და სიტყვის შესაბამი იყო“.

ამ ჩვენთვის საინტერესოა ორი მომენტო: მხატვრული სახის შესაქმნელად ილიას აუცილებლად შიანია პირისახის გამომეტყველება. მიმიკა, და მისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ გამომეტყველებას, იმ მიმიკას, რომელიც ფსიქოლოგიურად, შინაგანი ლოგიკითაა გამართლებული.

გასაგებია, რომ ილია პერსონაჟის დახასიათებისას თავის გამახვილებულ ყურადღებას, პირველყოფისა, შიანკვეს ადამიანის პირისახეს. მისი ყველა მნიშვნელოვანი პერსონაჟის პორტრეტისათვის აქვდა იწყება.

ლიტერატურული ლუარსაბის ცნობილი პორტრეტო:

„თავადი ლუარსაბ თათქარიძე ვახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართული, მრგვალი-უკაცრავად არ ვიყო ამ სიტყვაზედ — როგორც კარგი ნახუი კურატი. დარბაიელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბჭყინივლებას: თავისი თვის მსხვილი, რომ თითქო იმისა სიმძიმეს მორგევივით სქელი კოსური მხრებში ჩაუძვრენიოო; წითელი თურაშაულ ვამლსავით ხაშხაში ღოყები; სამკეცად ჩამოსული ბრთივალბის აღმზნები ფიფუ-

კი დაბაბი; დიდრონი თვალეში, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყველში თოკი წაუჭებიაათო.

ასევე „გლახის ნაამბობნი“ თხზულების ყურადღებას, პირველი ნახეისთანავე, გლახის სახე მიიპყრობს; ამე შეენიშნე, რომ წამოწყებამ ძალიან შეაწუხა; თითქო ტკივილები აეშალანენო, ისე მტკივნეულად შეიკრა წარბები და დაედმოჭა გაყვითლებულნი სახე. ის იყო სრულიად დათენითილი სწეულებასაგან. ყვითელი სახე, შიგადაშიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუშებულნი ქქონდა, როგორც წყალმანკის მქონესა, თმადამორდილი კაღარაგა წვერი კუჭყისაგან... ვასტელებოდა“.

ორსავე შემთხვევაში შექმნილია პერსონაჟის ისეთი სახე, რომელიც შესაფერია მათი სოციალური ბუნებისათვის.

ამვე წესითაა დახატული მშობის პორტრეტები მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“: „ჩერკუზულა-ქუდიანი თევზმეტ-ჩვიდმეტის წლის იქნებოდა, მეორე ამ თოთხმეტისა ან ხუთმეტისა. უფროსის სახე არ იყო ძალიან მარტივიანი იმისი სხარტე და ფირფიტანი კაბი, იმისი წერტილი, სწრაფი და მოუხევენარი თვალი, ჩქარჩქარა თვალთა ხაშხაში ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გული და ძალული მეორე, უმცროსი, — უფროსსა ჰგავდა კიდეც და არც ჰგავდა: ჰგავდა ზოგიერთი სხის ასოს მოყვანილობაში, მაგრამ უფრო მარტივიანი იყო. ამისი შავი და ღრმა თვალეში იქცახედ გამოყურებოდა ნენე. წარბ შეკრა იმ იყო და გულდახურული“. ილიას გამოაქვს პოზიტიური დასკვნა: „...პირველი მისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კიი კაცის კვალზედ წვაიდოდა, — შესამსწერი არა იქნებოდა რა, ავის კაცის კვალზედ დადებოდა, ქურდ-დაპყრობის მერტ ვერაფერს ვერ შესდებოდა. მეორეს კი სხვა ნიშან-წყალი ქქონდა“.

როგორც ვხედავთ, ილია აცთებს სახის ანალებს და მის მიხედვით ხსნის პერსონაჟთა ფსიქიკას, მათ შინაგან ბუნებას.

გვიორის პორტრეტშიც პიროსახის აღწერილობას ცენტრალური ადგილი უძირავეს:

„...ერთი ყმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დაგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერულეაში დახადა უხედებოდა მის შეეგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა“. შემდეგ ხაზი აქვს გასმული თვალეში, გამომეტყველებას. „მისი დიდრონი ქორული თვალეში... მირისხანედ გამომეტყველებდენე. თვალთა

მეტყველებების ქვეყის აძლიერებდა და დაბმული წარბები. და ეს მარტივიანობას სახის ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოაჩივრებდა. პირველი თვალის მისწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდათ მის პირისახეს და თვალეებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგიო“. ამ პიროსახე და განსაკუთრებით თვალეები პერსონაჟის გარეგნობის ესთეტიკური აღქმის ძირითადი ელემენტებია.

ადამიანის სახის ანალიზისას, მის დამუშავებისას ილია სიგინგებო ყურადღებას აქცევს გამომეტყველებას, თვალეებს. ილიასთვის თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს თვალ-წარბისა თუ ტუჩ-პირის ესთეტიკურ ასპექტს, არამედ იმას, თუ რა გამომეტყველებას ანიჭებს ყოველივე ეს სახეს არ შეიძლება მკითხველის ყურადღება არ გაამახვილოს ლუარსაბის „დიდრონმა თვალეში“, ყოველთვის „დასისხლებულნი“ რომ არაა, უფროსი მისი „ჩქარ-ჩქარა“ თვალთა ხაშხაში“. გვიორის „თვალთა ქვეყამ“ და ა. შ. ამასვე მოწმობს მრავალი ვარიანტი და დამუშავებული მოთხრობაც. აქაც მწერალი პირველ რიგში პერსონაჟის სახეზე, მის თვალეებზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას და ამნაირად ვახსნის ხოლმე გვიორის ხასიათს.

გასაცვიფრებელი ოსტატობას ამჟღავნებს ილია ქვეყამზე ადამიანის სახეზე აღბეჭდილი ემოციების აღწერისას. მწერლის ხედვა საოცრად ნათელია, დაყინებული, ხოლო ზღვს მხატვრის უაღმთო გამოშუქვის თითოეული ნაკვთი, ავიღოთ მაგალითად, „კაცია-ადამიანი“. ლუარსაბი და დარეჯანი წერ არდაბალებული შეილის გამოღრბუნს. ლუარსაბი ლეონის აძაღვის კენიას: „დარეჯანმა ჩამოართო ქიქა, მაგრამ ისეთის მორცხვობით, ისეთის თვალეების ჩამხამით და ვეპირიელი ღიმილით, რომ მე შამინევე მივხვდი, რომ კენია დაუპასოვდა ვადაყარგულია. ჩამოართო და გაამხარა სასაცილო რამ იყო კენიას: ლეონი თანდათან ეკედებოდა, ღოვები აუხამხამდა კიდეც. ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ქმორდებოდა. ქვეყითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და დორბლმა დენა დაუწყაო. თვალეში აემღვრა და თანავის თვალეებზე მუქებოდა... ლუარსაბიც დაითვრა... დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და შესციროდა“.

ასე თუ ისე მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ სიტუაციაში მწერალი დაუყოვნებლივ შეეხდება პერსონაჟის სახეს და იქ ეძებს სათანადო გრძნობისა თუ ემოციის ნიშანს. გლახის შემადგენლებშია ვარგნობამ შესძრა მონადირე; აგეზილები განა, შე კიი კაციო — მკითხა დაგვეპილის ხშიო. მე ის ხმა გამოციხებ ხმად მჩვენა.

მე შევხედე და მწუხარეთუ მძღუ-
ლვარე ჩემი შემარცხვენილი ღი-
შილი დამხედა იმის სახეზედა.
მე ივარცხა და მამინე თავი დაეხარე, ვერ გა-
ვუძელი იმს თვალემს მკაცრს მერყველებსა,
ვგრძნობდი, რომ ჩემს სულმოკლეობის სირ-
ცხვილმა სახეზედ ეცხებო მომი-
კიდა».

აქ ორი ფსიქოლოგიური მომენტია დაჭერილი
და ორსავე შემთხვევაში სახე ანალიზის ობი-
ექტი: მონადირე ხედავს არა მარტო მოსაუბრის
სახის ცვლილებას, არამედ გრძნობს საკუთარ
სახეზე აღმუქვლად ემოციას.

მსგავსი მავალითების დასახელება ბევრი შე-
იძლება, განსაკუთრებით, „გლახის ნაამბობიდან“.
„ნარჩობელაზედ“, „თორაინთ ქვრივიდან“.

თუ წართლია ის, რომ აღამაინის სახე მისი
სულიერი თვისებების, მისი ფსიქიკის ყველაზე
უკეთესი მაჩვენებელია, მაშინ ილია ჭავჭავაძის
შეშვებულმა დიდ მასალას მოგვეცემს სათანადო
დაკვირვებისათვის.

პერსონაჟის საერთო პორტრეტულ დახასია-
თებას ილია იწყებს მესივე და სრულყოფს,
აზუსტებს მოქმედების განვითარებისას. მწერა-
ლი პერსონაჟის სახეზე ეჭვს გრძნობათა ანა-
რეგს, იგი ზუსტად, ფსიქოლოგიის ცოდნით
ავიწერს პერსონაჟის გამოშვებულებას (თვა-
ლებს), სახის მოძრაობას თუ შედგირლობას ამა
თუ ამ სიტუაციაში.

აღამაინი არ არსებობს ემოციების გარეშე.
ხოლო ემოციების დამახასიათებელ თვისებე-
რებას კი ის გარემოება შეადგენს, რომ მასსა-
ვით მიქცობა კავშირი სხეულთან თითქმის არც
ერთს სხეა ფსიქოლოგიურ განცდას არა აქვს,
წერს დიდი ქართული ფსიქოლოგი დ. უზნა-
ძე: „საკმარისია რაიმე მეტად თუ ნაკლებად ინ-
ტენსიური ემოციური განცდა განიღვს, რომ ამ
წამსვე სხეულში საკმაოდ ოვალსაინო ცვლილე-
ბებმა იჩინონ თავი — იმდენად თვალსაჩინომ და
იმავე დროს სპეციფიკურმა ცვლილებებმა, რომ
მათი მიხედვით ყველასათვის ნათელი ხდება,
თუ როგორია მათთან დაკავშირებული ემოციუ-
რი განცდა“. ამ სხეულბრივ ცვლილებებს, აღა-
მაინის ფსიქიკურ სამყაროსთან რომაა დაკავში-
რებული, გამოხატულად მოძრაობებს
უწოდებენ ჩვენი მეცნიერნი. გამოხატულად მოძრა-
ობებს მრეკუთვება: ენთების ენერჯის, სახის
გამომტყველება (მიმიკა), მთელი სხეულის პოზა
და ექსტემი (პანტომიმია), დ. უზნაძის აზრით,
მთხედვად ზემოაქმულისა, გამოხატულად
მოძრაობები მხოლოდ დაბლოებით შევსატყუ-
ნებან ემოციებსა თუ გრძნობებს და მათ შო-
რის ერთმნიშვნელოვანი კავშირის დაწყება შე-
უძლებელია.

მწერლობა სწორედ გარემომხატული მოძრა-
ობებით მოვეითხრობს. პერსონაჟთა სულიერ

თვისებებზე და ამ მოძრაობებს: ექსტს, პოზას,
მიმიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ხელოვა-
ნისთვის. მეტიც: ხშირად ენერჯისა და სხეულის
შეშვებულის სტილის თავისებურება.

ექსტი და პოზა წმინდა აღამაინური
თვისებებია. მწერალი მხატვარზე ან მსახიობზე
ნაკლებ როდი ზრუნავს რომ პერსონაჟის პოზა
იყოს შესაფერი, ხოლო ექსტი ტიპური, დამა-
ხასიათებელი.

ხელებითა მოძრაობა, სიარულის მანერა, თავის
დაჭერა, თავისებური გამოხედვა და ა. შ. ყვე-
ლაფერი ეს ექსტია და პოზა; რომელიც ავლენს
პიროვნებას, ხასიათს; ქმნის პორტრეტს, გარეგ-
ნობას.

ხელოვნების სხვადასხვა დარგები მერტყუ-
ბად მიმართავენ ხან ექსტს, ხან პოზას. მხატვ-
რისათვის ან მოქანდაკისათვის უპირატესად პო-
ზას აქვს მნიშვნელობა, როგორც სტატუარი
მდგომარეობის ყველაზე შესაფერ გამოვლენას.
მსახიობისათვის სახის გახსნის ერთ-ერთი მთა-
ვარი საშუალება ექსტია და სწორედ ამაში
შვლავნდება უფრო ხშირად მსახიობის ოსტატო-
ბა. მწერალიც უპირატესად მოქმედებაში გვიჩ-
ვენებს თავის გმირებს და, ცხადია, მისთვისაც
ექსტებს, როგორც მოძრაობათა ენას, მთავარი
მნიშვნელობა აქვს. თუმცა იგი მხატვარზე ან
მსახიობზე არანაკლებ მიმართავს პოზასაც.

ზოგჯერ პოზა და ექსტი ერთმანეთში გადადის
და მათი გამოჩენა თითქმის შეუძლებელია, მაგ-
რამ უფრო ხშირად ისინი გამოჩენულია და სა-
ხის ინდივიდუალიზაციის ყველაზე მოხერხებულ
საშუალებას წარმოადგენს. პოზა, ხშირ შემთხ-
ვევაში, ექსტის შედეგია, ექსტის ფიქსირება და
მწერლისთვის მას დაქვემდებარებული მნიშვნე-
ლობა აქვს.

ექსტი მხატვრული სახის შექმნის მნიშვნე-
ლოვანი საშუალებაა. გამოჩენილი რუსი მწერა-
ლი ა. ბუკინი ტ. ო. ს. ტ. ო. მას თავისი მხატ-
ვრული მეთოდის ძირითად სტრუქტურად თვლიდა:
„აღამაინში მე ვედილობ დავინახო მისი სული-
რი მდგომარეობის დამახასიათებელი ექსტი და
ეს ექსტი მიყარსაზეს ზმას, რომელშიაც გამო-
იხატება შესაფერი მოქმედება“, — წერდა ა.
ტ. ო. ს. ტ. ო. „მე ყოველთვის ვეჭვებ მოძრაობებს,
რომ ჩემი პერსონაჟები თვითონვე მოვეითხრობ-
დნენ თავის თავზე ექსტების ენით“. „როცა
თქვენ წერთ, — განავრძობდა ა. ტ. ო. ს. ტ. ო., —
თქვენ უნდა ხედავდეთ საგანს, რომელზედაც
წერთ, და ხედავდეთ მას მოძრაობაში. უძრავ
საგანებზე ბევრს ვერ დასწერთ“. უფრო მეტიც,
ექსტი მხატვრული სიტუაციის შემოქმედების პრო-
ცესის საფუძველია: „ჩვენ გვაქვს აზრი და
სურვილი. აზრისა და სურვილის კვალდაკვალ
გამოჩნდება ექსტი... ხელების მოძრაობა, გამო-
მეტყველება, სახის მიმიკა. შემდეგ უკვე ეს
ექსტი განმტკიცდება სიტუაციაში“. ლ. ე. ტ. ო.

ს ტ ო ის გენიალური ხელოვნების საიდუმლოებასაც ა. ტოლსტოი ამაში ხედავს: ლევ ტოლსტოი „სალუციანიტურად ხედავს მოძრაობას, ვესტებს და მოუღობს შესაფერ სიტყვებს“. ასევე ბალზაი, დოსტოევსკი და სხვ.

ჩამდენადაც ვადაჭირებულად არ უნდა მოგვჩვენოს ა. ტოლსტოის ახრი ექსტის ასეთი უართო გაგების შესახებ, ერთი ცხადია: ექსტი მწერლის მიერ პერსონაჟის ხედვის უტყუარი ასპექტია, იგი მკითხველს დიდ ნდობას იმსახურებს და ეხმარება ორივეს. „მწერალსაც და მკითხველსაც, რაც შეიძლება ნათლად წარმოიდგინონ პერსონაჟი. რაც უფრო ნამდვილია ექსტი, მით უფრო ზუსტია ჩვენი წარმოდგენა პერსონაჟზე. ეს შესანიშნავად იცოდა ილია ჭავჭავაძემ, როდესაც აღტაცებას გამოთქვამდა მსახიობ გამყრელიძის მიერ სეიზონ ლეონიძის როლის შესრულებაში: „ყოველი მისი აქტიონი... ყოველივე მოძრაობა, ხედვის თუ სახის ასეთი თუ ისე ხმარება — ისე შესაბამებოდა ძველს, დარბაისელს ქართველს და ამასთან დიდსულოვანს და დიდგულოვანს კაცს, როგორც სეიზონ ლეონიძეა, რომ სწორედ აყვირებდა მაყურებელს“. ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ილიას კარგად ემსახურა ექსტის მნიშვნელობა ხასიათის შესაქმნელად: სწორედ მსახიობის ექსტმა შეუქმნა მას „დიდსულოვანი“ და „დიდგულოვანი“ კაცის — სეიზონ ლეონიძის სახე.

ილია ჭავჭავაძის საუკეთესო ნაწარმოებებში პერსონაჟები დაწერილია საოცარი ხალვათ. ერთი წუთით არ შეიძლება ეგვის შეტანა, რომ მწერალს თვალწინ უდგას ლერასბის თათქარობე, ესმის ლერასბის როლი ხმა, „კბილების კრაქუნია“, ხედავს ამ პერსონაჟის ყოველ მოძრაობას, ექსტს, მიმიკას, პოზას. ა. ტოლსტოისა არ იყოს, ამაზე მწერალი თვითონ კი არ მოგვიტყობს, არამედ თვით ვმირებს აამბობინებს: ზოგჯერ ერთი უმნიშვნელო ფრაზა, ერთი პატარა დეტალი გაგვხსნის ხოლმე ლერასბის თუ ოთარაანთ ქვრივის განუყოფელ ხასიათს.

ილიას ნაწარმოებებში ექსტი, რაც შეიძლება, ზუსტად შეესაბამება პერსონაჟის გარეგნობასა და ხასიათს. ლერასბის ყოველი ექსტი დამახასიათებელია, მაგრამ აქედან რამდენიმე შიენი ვანსაყურებობით ავლენს ამ პერსონაჟის ხასიათს, არსს: ტახტზე წოლა, საერთოდ წოლა და ვადაგორ-ვადაგორება, მედიდური პოზის მიღება, ხშირი პირჭვრის წერა.

ლერასბის პორტრეტული მდგომარეობა ნაწარმოებში ხაზგასმულია და მწერალი იშვიათად თუ გამოიყვანს პერსონაჟს ამ მდგომარეობიდან:

„ნებიერბა ლერასბმა ხანდისხან ვანაზება იყოდა. ქვეშავებიდანვე ის გულგაღებული

ტახტზე ვადაგორდებოდა ერთი ქმენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რალაყევილი... მთმ, ხლარა ისე, რომ სადილობიდანაც ამ ნებიერობაში უგვიშური დრო ვაუტარებია“.

„ოთახში... რუმზსავეთი ვაგვირილი თავადი ვორავდა და, თუ ზოფხელი იყო, კერში ბუნებშია თევილიდა“.

„ლერასბმა... რადვანაც გულაღმა იწვია, თავისებურად, ტახტზედ, ერთი ფეხიე ამშვირია მალა და მანამ „ურა“ არ ვაათავა, ფეხი არ ჩამოვილია“.

ლერასბს ბუნებრივი მიდრეკილება აქვს „ვაგორებისაკენ“ და იგი ამ ჩვეულებას არ დაღატობს, თუნდაც განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტუმართან:

„... ამ დროს ლერასბიე მოვიდა ახალუბ და შარვალხაქმული, მოიკითხა ზრდილობიანად თავისი რძალი და ვაგორდა იქვე ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ...“

ასევე აქცენტრებულია ლერასბის ბოლთის ცემა და მედიდური პოზა: „...ლერასბმა შემოიყარა დოინჯი და ვამარჯეებულსავით ამაჟი შეხედულება მოილო“.

სუბ-ენიანს ლაქუცი „ლერასბს ეამა, ისე უნებლოედ ჭედი უფრო ჩაიტება, კისერი მოილტარა, წერალი, ახალ აშლილ უღვაშებზე ხელი ვადუსო, წელში ვასწორდა და მხარბეჭი მოიპარჯვა“.

„ლერასბიე, თავისი ვანუშორებელი ჩიბუხით ხელში... ბოლთასა სცემდა ვარილოშია“. ლერასბი „...სანამ სანატრელ ვახშამს მოიტანდენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა“.

„კაცია ადამიანში“ ილია უზვად იყენებს ფესტას და პოზას და სწორედ ეს აძლევს ამ მოთხრობას განუყოფელ ბლასტიკურობას. თითქოს ერთი კალმის მოსმითაა შექმნილი სიცოცხლეთა და მოძრაობით სასუ სცენა, როდესაც თათქარაიშევი ბატონუმობის ვადავარდნას ვაინდამენ ერთმანეთს. „გოგო და ბებიე ვაითხოვეს. ელსანაქმდა შემოავლო თვალი ვარემოსა და ახლო მოიწივა. დარეგანდაც უფრთან ლეჩაჭი ვადაყევა, რომ კარგად ვაივოს“.

ზოგჯერ ილია პერსონაჟის მკვეთრ პორტრეტულ უბამათებებს აღწევს ერთადერთი პოზის ან ექსტის დახატვით. „კაცია-ადამიანში“ ყალბი ფუნფუნისა შექმნილი მკითხავის მიერ მოყვარებული ორმოს აღმოჩენასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი კაცია არ იღებს მონაწილეობას ამ ორმობრივად. არც არ არს, რასა მანავდენ. — წიბობებტე რათმა თაიშინიუნებელი ყმაწვილი ბიჭმა, რომელიც შორი-ახლო იდგა და მკლავიე სანჯალზედ ებჯინა“. სხვა არაფერია ნათქვამი ამ პერსონაჟის შესახებ, მაგრამ სახე დასამახსოვრებელია და ეს მიღ-

წეულია ყმაწვილი ბიძის პოზის ჩვენებითაც.

ასევე მკვეთრი პოზია შერჩეული მოხვედრით ლენინისათვის, „ჩემს მოხვედრს ჩამოეფხა-ტა ბახგელისაი ქუდი თვალბუბუდ და ასე გარინდებული იდგა განიერ უნაგირხედ ვადა-ნოტკიცილი, ისე არხენიად და გულანდგ-რველად აყოლებდა თავის ახოვნის ტანს ცხენის ძინდელს, ისეთის დამწვინდებით და ვანჭრო-მით ამოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ ვეგონებო-დათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედაშიწო, ზურგზედაო“. ლელთ ლუ-ხისას ასეთი პოზის ჩვენებით მწერალი რამდენი-მე მიზანს აღწევს: შექმნილა პერსონაჟის ზო-გადი პორტრეტი, ნაჩვენებია მთელი გულუხი საოცარი სიმშვიდე, მიღწეულია ის ინტონი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია მწერლისა და ამ პერსონაჟის ურთიერთობისათვის.

პოზის ჩვენებით ჰქმნის ილია აგრეთვე თავ-სული მოქამაგირის სახეს „ოთარაანთ ჭვარიში“. გიორგი და მოქამაგირე წაკადნენ. „გიორგიმ ფეხი კიდევ წაკურა. მოქამაგირე-გულზე მოვიდა. წამოუტა ზეზე. გიორგის წინ აბრუნა, გულმკერდი გადმოუგდო და მიიღვივრა...“

გიორგიზე სწორედ ეს გულმკერდის მიშვება ახდენს შთაბეჭდილებას: „აჲ ექნაო, — სთქვა გულში გიორგიმ, — თუ ეს მართლა ვეცაკიცია, საქმეს არ უღალატებდა, პირტუყვს შეიბრალე-ბდა, და თუ ვეცაკიცია არ არის, რატომ ასე გაბე-ღულად მომიშვირა გულმკერდი და თავმოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართ-თაო“. მოქამაგირე ვეცაკიცის განოცდაჲ ვერ დიიქნის. მწერლის მიზანი მთი უმეტეს მიღწე-ულია: შექმნილია სახე დიდგულა კაცისა, და მკითხველს იგი თავისი გადმოგვებული გულ-მკერდით დიდხანს ასსოფს.

ეესტისა და პოზის საშუალებით ილია აღწევს აღნიშნის გარკვეული ფსიქოური მდგომარეობის დაკარის შეგრძობას. გიორგისა და კესოს პი-რისპირა უგრძელდრის სცენის დახატვისას ხა-ზი აქვს გასმული გიორგის მიერ მოძრაობის უნარის დაკარგვას. ილია რამდენჯერმე იმეო-რებს: „გიორგიმ ფეხი წინ ვერ წასდგა“; „გი-ორგიმ ფეხი არ გაანძირა“; „გიორგი მაინც აღ-გილოდამ არ დაიძრა“ და ა. შ. ამ უძრავობაზე კესოს, გვარისშეიღობის ცხაკალიერლით რომ არ ჰქონოდა გადაკეტილი გული, ყოელისმძლე გრძნობის გამოვლენა შეუძლო დახსნას.

სხვათა შორის ეს სცენა აილიამ ოსტატურად შეამზადა: ჭერ კიდევ მაშინ, სანამ გიორგი კე-სოსთან დადგებოდა მოქამაგირედ, სიყვარულის ძლიერი გრძნობა მასში ვარინდებას იწყებდა „... თავ-ჭვეშ ორსავ ხელებს ამოიდებდა და ზო-რინდებულ იდო ხრლმე მთელის საათო-ბით გულადო“. ოთარაანთ ჭვარიე რაღაც საბე-დისწეროს გრძნობს შვილის უჩვეული პოზაში. „შხარა დაგებინა ტარზედ, ბარის ტარს დაყუ-

დებოდი და გაშტერებულ დასაცქერო-დი დედამიწას ელდანიაცემიკით“.

ილიასათვის ეესტი უარესი მნიშვნელობის მატარებელია ეს შესანიშნავად ჩანს ერთ პატ-რა ეპიზოდში, როდესაც ოთარაანთ ჭვარიე აო-ჩილასა და კესოს ესტუმრება: „აჲ, ფრია არ აუშვა შენებრად, — უთხრა ღიმილით ქალმა და, თითქო ახლობელი მოყვარეაო, თავაზი-ანად ბელი დაჰქრა კალთაზედ, სკ-მიღამ ლამაზად ვადაწვილდო. ოთარაანთ ჭვრი-ვი შეიკმუნხა. როგორაც ეხამეში, ეუცხოვ-ასეთი ტრამაზანავური ქეევა ახალგაზრდა ქე-ლთავან: მი ვინა და ეეს გუნდელი ძუქუთო: ვინაო, იფებო“. აქ ეეს ჭვარის პერსონაჟთა ურთი-ერთობაში გარკვეული ცვლილება შეიქმნა. მის იმაზე მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვეუ-ლებრივ სხუელის მოძრაობას: ჭერ ერთი, ივ-კარვად ახასიათებს კესოს სოციალურ მდგომარე-ობას, მეორეც, ზუსტად უსვამს ოთარაანთ ჭვრი-ვის ხასიათის თვისებას: საკუთარ ღირსების შეგნებას, თავისებურად მკაცრ მანერებს.

ეესტი და პოზა პერსონაჟის ხატვის აუცილე-ბელ საშუალებად მიიჩნია ილიას და ამიტომ არის, რომ მის ნაწარმოებებში პერსონაჟები ბევრს მოძრაობენ, მათ ხშირი ეესტაკული ბეგის მოძრაობები. ილიას პოზაში პერსონაჟის ყოველ-სიტყვის, საერთოდ დიალოგურ მასალას თან-სდევს ეესტი ან პოზა, თევე როგორც მიმიკა-მავალიებია შეიძლება ყოველი მოთხრობიდან.

ეესტი და პოზა ილიასთან ყოველთვის გა-მომდინარეობს ხასიათთან, შეესაბამება პერსონა-ჟის ფსიქოურ და სოციალურ ბუნებას. ილია მხატვრულ ზომიერებას იჩენს ეესტისა და პო-ზის გამოყენებაში, ძუნწად, მაგრამ საჭიროებია-სამებრ მიმართავს მათ და ამინარად აღწევს დიდ-მხატვრულ ეფექტს. ნამდვილობის ილუზიას.

მუდმივი ნიშნები: ლუარსაბის დახე-სითებების მწერალი განსაკუთრებით გამოჰ-ყოფს ზოგირდ პორტრეტულ ნიშანს. განუშო-რებელი კალმუხის ქუდი და ჩიბუხი ლუარსაბის-გარეგნობის ორგანული ნაწილებია, მისი პორტ-რეტის, ასე ვთქვათ, უცვლელი, მუდმივი ნიშ-ნებია, ეს პორტრეტული ნიშნები თვალსაჩი-ნოდ გამოხატევენ ლუარსაბის შორეუნიით აი-დარბაილეს, მის თამომწონებას ქონებრივ და გვარისშეიღობით.

მწერალი სხვა მუდმივი ნიშნებსაც გამოჰყოფს ლუარსაბის პორტრეტში. შავ, ილია განსაკუთ-რებულ ყურადღებას ამახვილებს ლუარსაბის-სულიერ სიცარიელეზე, მის უკუღრუს იდიო-ტიზმზე. ეს გამოხატულია ლუარსაბის სახეზე. მის ღონიერ და გამომეტყველებაში. ლუარსაბს „სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სუ-ლელობით უცინოდა ხოლმე“, გვამცნობს მწერალი ამ პერსონაჟის პირველი გაცნობისთა-ნავე. ეენინა დარეჯანი ამ თვისებითაც ჰგავს თავის მეორე ნახევარს: „გიფეე სიზრგვალე-



„იგივე სიმსუქნე, იგივე მოციინარე პირი
და თითქმის იგივე სისულელე“.
დაქვრივების შემდეგ ლუარსაბის ვარგნობაში
ვარდატყვა მოხდა „...ამასთანაც ის თავისებური
ქანსხედეებითი მუღამი ღიმილი სახილამ
დაეკარგა“ — საფანეგზოდ აღნიშნავს მწერალი.

მთვე აქცენტირებულია ლუარსაბის სულელე-
რი გამომეტყველება: „...პასუხის მავიჯრად თა-
ვისი შინაქაში თვალები ვიყსავით შეა-
ქყიტა დაჩვენა“.

ამაშინ კი თვალები დააქყიტა, ჯერ
კიდევ სიმშრის შინის-ხარკი ისე უბნულოდა თავ-
ში, ასე რომ სულელსავით გაშტეტრე-
ბული და ფილქვანხედ გამოტალი პირლია
დარჩა.“

„დაჩვენანი წამოვდა და მხოლოდ მაშინ დაი-
ნახა, რომ ლუარსაბი გაფითრებული აფურებულ
უძრავადა ჰგვია და სულელსავით დაუ-
ქყყიტა უგუნური თვალები“.

ყველაზე მოხდენილად მიაჩნ მწერალს ლუ-
არსაბის „კბილები, კრაქუნა“ დაუქვრია. ეტყო-
ბა. ილიას იმდენად მოსწონებია ეს პორტრე-
ტული ნიშანი, რომ მას ხშირად იყენებს: კბი-
ლების კრაქუნით ლუარსაბი ხან ეაკაცობას გა-
მოხატავს და საამოვნებას, ხან აღტაცებას, მხი-
არულებას და ა. შ. მიაღიოთები:

„ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოგროშეთ,
სთქვა გულშია, რომ ჩაფრჩხილს თავისი მახე-
ში ვაბნა, კბილები ს კრაქუნით, რომელ-
საც კნენა ღიმილს ემახდა, სთქვა...“

„ლუარსაბი მიხვდა, რომ გული ატყინა და
ტყუილ-უბრალოდაც ატყინა, — და რომ ის
ვეულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა
კბილები ს კრაქუნით...“

„წამოროშა ეს და მზიარულობის ნიშნად
დააკრაქუნა კბილები თავის პირწყლია-
ნობით აღტაცებულმა ლუარსაბმა...“

„ლუარსაბი გამოსადეგლად ერთს კიდევ და-
ოკრავდა მეცელზედ ხელსა, თითქო სინჯაფსო,
კარგად არის ვატენილი თუ არა, და რა მნახა-
და, რომ კარგად არის, როგორც ცხენი, და-

აკრაქუნებდა კბილებს მეტის სი-
ამოვნებებისაგან“.

გაქვინული

„ლუარსაბმა შეხვდა პატარა...
მაე ჩვეულებსამებრ თავი აჭით მიიბრუნა. ლუ-
არსაბმა დააკრაქუნა კიდევ თავისი
ბურად კბილები საამოვნების ნი-
შნად, მითამდა სამაცდურად გაღიმა“.

„ერთი კიდევ მაცდურად დააკრაქუნ-
ა კბილები, და გამარჯვებულსავით მათად
წაივდა ისევე ბოლოს საცემლად“.

კბილებს დაკრაქუნებით პატარძლის ცდენე-
ბა, ლუარსაბის შიერ ეითომდა ენებიაზობი, გა-
მომგლავება, სატყუილო კომიზმის მეტად
ლაკონური, მაგრამ ბრწყინვალე ნიმუშია.

ეს მუღამი პორტრეტული ნიშნები ლუარსა-
ბის სახეს ანიჭებს პლასტიკურობას, რითაც ასე
გამოირჩევა ქართული კლასიკური პროზის ეს
უკუდავი პერსონაჟი.

ლუარსაბ თათქარიძე იმდენად ცოცხალია
დახატული, რომ მონაცონა და სინამდვილეს
შორის საზღვრები იშლება: ჩვენ ვხედავთ ფა-
ვიან ლუარსაბს, მის ბანჯგვლიან შერდსა და
კალმების ქუდს, გვესმის მისი ძლიისაგან ჩიხ-
რინწული ხმა, კბილების კრაქუნა და ტახტის
ჭრიალიც კი...

მწელია წამოაღივინო უფრო ცოცხალი ხა-
სითი, რაკლერი პარონებისა თუ მწერლის
ფანტაზიის შიერ შექმნილი, ვიდრე ლუარსაბი.

მ. გორკი ამბობდა: როდესაც პირველად ნა-
ხე რუბენის სურათები, ბალზაკის რომანები
გამხსენდაო: იგივე ვაბეული ხაზები, სქელი
და ცოცხალი საღებავებიო.

იგივე შეიძლება ითქვას „აკია-აღამიანის“
შესახებ: აქ ყველა ხაზი და საღებავი ისევე
თამამია, ისევე ჩქეფს სიცოცხლით, როგორც
თუთონ ბუნება, აფამიანთა ყოფა-ცხოვრება.

ილიას პორტრეტული ოსტატობა ლუარსაბის
სახის შექმნისას, მართლაც, გეტოლდება მთვე
რუბენის გენიალურ ფუნქს.

სიმონ ბარაჩიძე

ი. ჰავეზაძის „გუთნის დღის“ გაგებრსათვის

ი. ჰავეზაძე სინამდვილის მხატვრულ სურათებში სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მკვეთრ ტენდენციას ავლენს. ეს ტენდენცია, ჩვეულებრივ, უფრო აშკარად ჩანს მის ლირიკულ ლექსებში, მაგრამ მეფის ცენზურის გამო, უკანასკნელშიც ზოგჯერ იმდენად შენიღბულია, რომ მხატვრული ნაწარმოების თემის, იდეის, ავტორის ტენდენციის სისწორით გამოვლენა, მისი შექმნის ისტორიული პირობების და მთელ რიგ სხვა მოვლენათა ნათლად გათვალისწინების გარეშე, მეტად ძნელად ხდება. ასეთია, მაგალითად, მისი ალეგორიული ლირიკული ლექსი „გუთნის დღეა“. ზოგიერთ მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ რომ ჩვენ ამ ლექსს ალეგორიულს და ლირიკულს ეწოდებოდ. დღემდე, მართალია, გავრცელებულია ის აზრი, თითქმის ილია ჰავეზაძემ ამ ლექსით დაავიხატა გლეხის ცხოვრება. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქართული ლიტერატურის კრესტომათიკებში ამ ლექსთან ერთად ათავსებდნენ „გუთნის დღის“ ილუსტრაციას და გუთნას, რომელიც რვა უღელი ხარკამეჩი იყო შებეული. ათავსებდნენ იმიტომ, რომ ასე ამუშებდა და, სამწუხაროდ, დღესაც ამუშებს ამ ლექსის შინაარსს ბევრი კომენტატორი. თუ „გუთნის დღეს“ მთავარი თემა, მართლაც, გლეხის ცხოვრების გამოხატვაა, მაშინ აშკარაა, რომ შეუძლებელია მას ალეგორიული და, მით უმეტეს, ლირიკული ლექსი ვუწოდოთ. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. „გუთნის დღეა“ გვიხატავს არა გლეხის სახეს, არამედ ფეოდალური ავტორის აღმშენებლის და პროტესტს მეფისა და მისი ცენზურის წინააღმდეგ, გამოხატავს მამონდელი მმართველობის სისტემის პირფესვიანად აღმოფხვრის იდეას.

„გუთნის დღის“ ტექსტი ორი ვარიანტით არის ცნობილი. პირვეანდელა ვარიანტი 1858 წლის 4 ივნისს არის დაწერილი; მეორე ვარიანტი კი წარმოადგენს მის საბოლოო რედაქციას, რომელიც ავტორის მიერ 1863 წლის არის დათარიღებული. პირველ ვარიანტში რამდენიმე ფრაზა და ტაევი წაშლილია და შეცვლილია. ამით დასახელებული ლექსის დღესას პირველი ვარიანტი ფაქტურად ტექსტის ორ

ვარიანტს წარმოგვიდგენს. ამ ორიდან პირველია „გუთნის დღის“ პირვეანდელი ფორმა, მეორე კა — ავტორის მიერ პირველი ვარიანტის გასწორების შედეგად მიღებული ტექსტი. ასეთ გასწორებამდე, ე. ი. პირველი ვარიანტის პირვეანდელი ფორმით „გუთნის დღეა“ მთავრდებოდა შემდეგი ტაევებით:

მაშ რა ვალონებს? ვასწი ჰაპანსა,
ორი გ ვ მ ს ა ხ უ რ ე ბ თ მ ი წ ა ს ა შ ა გ ს ა ;
გ ა ვ ს წ ი ო თ ჰ ა პ ა ნ ს, ვ ი დ რ ე
გ ა წ ყ ლ ე ბ ა .
ა ნ ვ ი დ რ ე ჩ ე ე ნ თ ვ ი ს მ შ ე

გაბრწყინდება!

გასწორების შედეგად კი იმავე ვარიანტიდან ამოღებულ იქნა უკანასკნელი სამი ტაევი და

ლექსმა მიიღო ასეთი დამთარგება:
მაშ რა ვალონებს? ვასწი ჰაპანსა,
ნუ მოთალატებ ძველს ამხანაგსა.
„გუთნის დღის“ უკანასკნელი რედაქცია რომელიც 1863 წელს ეკუთვნის, აღნიშნული ლექსის უკვე ასეთ დამთარგებას ვაძლევს:
მაშ რა ვალონებს? ვასწი ჰაპანსა,
და ვაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე. მან შენ ვაცხოვროს...

ეს ფაქტი გვარწმუნებს, რომ ი. ჰავეზაძის „გუთნის დღეს“ ხუთი წლის მანძილზე (დაწერიდან გამოქვეყნებამდე) მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება განუდგია.

ცნობილია, რომ იმავე ხანებში, როდესაც „გუთნის დღეა“ დაწერა, ი. ჰავეზაძემ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მკითხველების ამხედრების მიზნით „კაცო ყაჩაღში“, „გლახის ნამბობში“ და „კაცია იდამიანში“ დაგვიხატა გლეხთა რეაქციური სიძლიერე. ამიტომ ბუნებრივია, რომ თუ ი. ჰავეზაძე „გუთნის დღეში“ გლეხის სახის გამოხატვას მოსურნობდა, რეალისტურ მეთოდს იგი არც ამ შემთხვევაში უღალატებდა. „გუთნის დღეა“ც, განსაკუთრებით ლექსის პირვეანდელ ვარიანტში, რეალისტური სახეა, მაგრამ არა გლეხის, არამედ სხვა სოციალური ქვეფენს ან წრის წარმომადგენლისა. „გუთნის დღეაში“ გამოფხვნილი გლეხი აღმურველია თეორიული აზროვნებისა და მსჯელობის, სიმართლისა და ცოდნის

ქადაგების უნარი. ეს არის ერთადერთი თვისება, რომელიც „გუთნის დედაში“ გამოყვანილ გლეხს ახასიათებს. იგი აღმშოთხებული იმით, რომ მას სიმართლის ქადაგების უფლებას არ აძლევენ, ხმას არ აძებნიან და ამით მეტყველო აღმშინის ნაცვლად პირტყვეს მდგომარეობაში აყენებენ. ი. ჭავჭავაძე, როგორც დედინახეთ, თავის ლიტერატურულ პრაქტიკაში გლეხებს რეალისტურად გვიჩვენებს. მან თორიულად იცის, რომ ორმოცდაათი წლებში ის განწყობილება, რომელსაც გუთნის დედა ავლენს, გლეხს არ ახასიათებს. ამ დროის გლეხს უნდა არა სიტყვის, კრებისა და ზეგლევის თავისუფლება, რაც მოწინავე ინტელიგენციისთვის იყო დამახასიათებელი, არამედ მიწა და ბატონისადგან განთავისუფლება. იმ აზრს, რომ გლეხი სამოციან წლებში უფრო მატერიალური მდგომარეობით არის დაინტერესებული, ი. ჭავჭავაძე უშუალოდ გამოხატავს ვრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულის“ შესახებ მსჯელობის დროს. ი. ჭავჭავაძე დამსახურებულ უფლის გრავოლ ორბელიანს, რომ უკანასკნელმა „მუშა ბოქულადში“ მანამდე დაშლულ წყლულს „სახოკადოვებურ სატკიერისს“ „თავისებური შექი მიადინა“ (ხაზი ჩემო, ს. 3.) და შემდეგ განმარტავს: „თავისებურს ვამბობთ იმით, რომ მუშა, სამოციანი წლებში პირველ-წამაწყვენებულ, უფრო ბორცვიელობის ენევე-შობას უჩივებს, და ვრ. ორბელიანის ბოქულადში კი კვენისის სულელობის შევიწროებისათვის. იქ (ე. ი. სინამდვილეში, ს. 3.) ბორცვიეობის სულელობის, იქ (ე. ი. ვრ. ორბელიანის) „მუშა ბოქულადში, ს. 3.) სულეობადი-იწვის უნევემ მყოფელობისაა“¹. ამონაწერი ცხადყოფს, რომ ი. ჭავჭავაძის სწორი შეხედულებით ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების შრომებები (მუშები, გლეხები), უპირატეს ყოვლისა, მატერიალურ სიღიწროვეს განიცდიან და ილიას მეტრ დახატულ ისეთ პირტესტანტ გმირებსაც კი, როგორც ზაქრი და კაკო არიან, ახასიათებთ არა სიტყვიერი ქადაგების სურვილი მხაგრელთა წინააღმდეგ ხალხთა მასების მოსამხადებლად, არამედ ინდივიდუალური ტერორი. შეიარაღებული, მაგრამ იმავე დროს სტიქიური ბრძოლა მთი დამტყვევლ მემამულეებთან. ეს ბუნებრივია. საწინააღმდეგო თვისებებით მათი გამოხატვა დროისათვის შეუფერებელი და ანტირეალისტური იქნებოდა. „გუთნის დედაში“ გლეხის სახის წარმოდგენის უსაფუძვლობას საუკეთესოდ აამჟიარებს ამ სახის შეფარდება მის ანტიბოლ გლახა ქრიაშვილთან. უკანასკნელის სახით ი. ჭავჭავაძე გვიჩვენებს ბატონურობის უღლადან ახალგანთავისუფლებულ გლეხს, რომე-

ლოც სულ საწინააღმდეგო თვისებებით არის წარმოდგენილი, ეინემ გათითონობებერეული, ხათლად მოაზროვნე, მკვლარი მტყვევლებს უნარით აღტყვილი და სიტყვის უფლებმყოფელი აღმშოთხებული გუთნის დედა. გლახა ქრიაშვილის სივლახე იმაში მდგომარეობს, რომ იგისრტლებით ვერ ახერხებს აზრის გამოტყვას, მისი მტყვევება, მართლაც ბუნებრივი, დავლავებელი და აბნეულია. მის „არ შეუძლია თქვას თავისი სათქმელი. ამ კაცის დახუთულ სულს აბნელებს სიტყვების კორანტელი. იგი იწყებს ერთ წინადადებას და... გადადის აზრობრივ სხვა წინადადებაზე... საქმიანი გარეშე შეუძლია ჩლის ხდის საუბრის განტყობას... თითოთ „უხანს ქუეყანს ერფს და საგონებელში ზაჯარდნილი, საქციელწამხდარი ფიქრობს, როგორ გამოიქვას თავისი სათქმელი...“¹

ამიტომ შეუძლებელია პირველი ვარიანტის აღიზნული ფორმით გამოხატულა გუთნის ე... და გლეხის სახელ მიუჩინოთ. ყველა ვარიანტში გვხვდება ქვევით მოყვანილი სიტყვები, რომელიც ნათლად ხსნის ლექსის იდეას:

შენ პირტყვე ხარ და მე მტყველი?
 ე, ჩემო ლახე, ნუ შეგშორდება,
 რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მქერილი,
 თუ სიმართლისთვის დამაძლუნდება?

ეს სიტყვები კი ახასიათებს არა გლეხს, არამედ ავტორს, რომელიც დაინტერესებული იყო სიტყვის თავისუფლებით, ზომართლის ქადაგებით და პუბლიცისტური სტატიების ბეჭდვით, რის უფლებასაც მას არ აძლევდა მეფის ცენზურა. ამიტომ, აშკარაა, გუთნის დედის სახით ი. ჭავჭავაძე გვიჩვენებს არა გლეხს, არამედ თვით ავტორის პოტიცისტ მეფის ცენზურისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე სიტყვაში „გუთანი“ გვლისხმობს შერლის ნიკს, ტალანტს, „გუთნის დედაში“ კი თვით პირტყვი ნიკს მფლობელს, რომელსაც გათვალისწინებულუ აქვს თავისი საზოგადოებრივი დანიშნულება, ბრძოლა პოტიცისტური და სოციალური მოწინააღმდეგეებთან აღმოსაფხვრელად. გუთნის შეფარდება პოტიცისტ ნიკთან, გუთნის დედისა კი — ავტორთან საყვობით ემხებია მოწინავე შერლის მოხანსა და მდგომარეობას თვითმპყრობელი რუსეთის ბატონობის დროს. ეს პარალელი გავცნობს აარეთი ი. ჭავჭავაძის აზრს ხელოვნების დანიშნულების შესახებ, რაც შემდეგში განვითარებული აქვს ლექსში „პოტიკი“.

იხადება საკითხი: თუ ჩვენი დისცენა მართებულია, მაშ რამ გამოიწვია ის, რომ „გუთნის დედის“ სახე დღემდე საწინააღმდეგო განმარტებას ღებულობდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცე-

1. ილია ჭავჭავაძე, ტომი 3, სახელგამი, 1953 წ., გვ. 230. ხაზი ჩემო, ს. 3.

1. ვ. შარაშიძე, „ფიქრები გლახა ქრიაშვილზე“, „ახალგ. კომ.“, 1957 წ., № 127.

მა და ჩვენი აზრის მოწინააღმდეგეთა არგუმენტების შემოწმება კიდევ უფრო ნათელს გახდის საქმის ეთარებას.

„გუთნის დედაში“ გლეხის სახის მოჩვენებას ზღო შეუწყო ამ მდგომარეობამ, რომ არ ყოფილა გათავლისწინებული „გუთნის დედის“ დაწერის დრო და პირობები. ზემოაღნიშნულის გათავლისწინება კი მკვლევარს აიძულებს იმის ანგარიშის გაწევას, რომ „გუთნის დედის“ დაწერის დროს და შემდეგშიც მწერალს მთავრად გამოიყენებოდა თავისუფალი აზრის სასტიკად იღვრებოდა. ასეთი რეპრესია აღმოფთვებას იწვევდა მწერლებში. მრავალი რუსი რევოლუციონერი მწერალი გამოხატავდა თავის ლექსში აღშფოთებას და ზიზღს მეფის ცენზურისადმი. ი. ჭავჭავაძე, რომლის პირველი ნაწარმოები დასაბინდა ცენზურის მიერ, ხშირად გამოხატავდა ზიზღს და აღშფოთებას უკანასკნელისადმი. ასეთი ზიზღი თვითმპყრობელი მეფისა და მისი ცენზურისადმი გამოხატულა ყველაზე მეტწილად ლექსში „ჩემი თარა-ალღი“. ეს ნაწარმოებიც იმავე ხანებშია დაწერილი, რომელსაც „გუთნის დედა“ მიეკუთვნება. ი. ჭავჭავაძე ამ ლექსში, სხვათა შორის, ამბობს:

„ჩვენ ცარი ევრას დაგვადებს“.

ცენზურისაგან თავის დაცვის უმთავრესი საშუალება მწერლებისათვის უძველესი დროიდანვე აღეგორილი ფორმის გამოყენება იყო. რაც უფრო მკაცრი იყო ცენზურა, იმდენად უფრო საჭირო ხდებოდა მხატვრული ნაწარმოების ნამდვილი აზრის შენიღბვის საშუალებათა გამოყენება. ეს საშუალება „ცენზორის ბრმა წინასწარხედვის“ გაუქმებლობის მიზნით ისე ხშირი იყო, რომ ზოგჯერ მკითხველისათვის ავტორის აზრი მიუწვდომელი რჩებოდა. შეგვიძლია, რომელიც უსასტიკეს დედის ვანიცდა მეფის ცენზურისაგან, ამბობდა, რომ მას იმდენად არ ფხენდებოდა მხატვრული ნაწარმოების შინაარსის მოფიჭრება, რამდენადც იმ ხერხების გამოხატვა, რითაც ის შეძლებდა თავისი აზრების მკითხველამდე მიტანას. ი. ჭავჭავაძეც იმდენად ბუნებრივ იყო, რომ „გუთნის დედაში“ აზრის შენიღბვის ფორმები გამოყენებია. ამას უკარნახებდა განსაკუთრებით ის გარემოება, რომ „გუთნის დედა“ შიშარათული იყო თვით მეფისა და მისი ცენზურის წინააღმდეგ, რომელიც მას აზრის გამოთქმის საშუალებას არ აძლევდა. „გუთნის დედის“ ნამდვილი შინაარსის შენიღბვის უმთავრეს საშუალებად ი. ჭავჭავაძემ საესტეტიკო მართებულად გამოიყენა ლექსის სათაური. სათაური, უმეტეს შემთხვევაში, ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ძირითად თემას ხსნის. ამის გამო საბუნებრივად „გუთნის დედა“, ლექსის თემად მართლაც სოფელი გლეხი — 1850 წლებს გუთნის დედა მოგვარჩენა. ამ ბუნებრივ ცენზურისათვის უკვე განმეღდა გუთნის დედაში თვით ავტორის წარმოდგენა, რადგან გუთ-

ნის დედა და ლექსის ავტორი განსაკუთრებით მხედველობაში თუ მივიღებთ. მწერლის მიერ აღნიშნული თემა, მეტრად უფრო მკაფიოა ილით არიან ერთმეორისაგან დაშორებული ამიტომ თავიდანვე ვაჭრა ცენზორის ცნობიერებაში იმის ეჭვი, რომ გუთნის დედაში მკითხველებს თვით ავტორის სახე დაეხსნათ. ლექსის თემა რომ მართლაც გუთნის დედაა, კიდევ უფრო განამტკიცა ლექსისადმი წამბლანებულმა ეპიგრაფმა „გადი-გამოდი გუთნაო, ღირლიტაგბანი უთხარაო“. ეს ეპიგრაფიც მხოლოდ და მხოლოდ ცენზურის თვალის ასახვევად, მისი ურთაღმდეგის გუთნაზე და გუთნის დედაზე გადატანას ემსახურება. მეტი დანიშნულება ამ ეპიგრაფს არ გააჩნია. იგი სხვა მხრივ არავითარ როლს არ თამაშობს ლექსის თემის გახსნაში და არ უკავშირდება ორგანულად ლექსის იდეას.

იყო თუ არა სხვა მწერლების მსგავსად შენიღბვის ასეთი ხერხი დამახასიათებელი ი. ჭავჭავაძისათვის? ფაქტებიდან რამდენიმე გავიხსენოთ: პეტერბურგში მეფის რუსეთის „კონგო-ში“ მოსამსახურე ქართველ მხედრებს და მთელ ლექსს, ცენზურის თვალის ახვევის მიზნით ი. ჭავჭავაძემ „იანიჩარი“ უწოდა (თვითმპყრობელ რუსეთს კი — ოსმალეთს). ასეთი შენიღბვის გარეშე ზემოაღნიშნულ ლექსს მეფის რუსეთის არსებობის პირობებში მკითხველი ვერ იხილავდა. ამას აღსატურებს სხვა მავალითებიც: როგორც ღღეს უკვე ეწობილია, ლექსი „მესმის, მესმის“ ი. ჭავჭავაძემ 1860 წელს დაწერა და მისში გამოხატა აღბაცება, რომელიც იტალიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ გამოიწვია; გამოხატა აგრეთვე იმედი და სურვილი ამ ბრძოლის ხმის საქართველოში გაგონებისა. მისი დაწერის დროს და შემდეგაც დიდხანს ავტორს ამ ცენზურისათვის მიუღებელი აზრის შესანიღბავად არავითარი საშუალება არ მოუძნაბეს. თერთმეტი წელიწადი ჰქონდა შენახული და დაწვინებული იყო, რომ ცენზურას თვალს ვერაფრით აუხვევდა. შემდეგ, როგორც ვიცით, დაეთანხმა ნიკო ნიკოლაძისგან გამოგონილ ხერხს და 1871 წლიდან ავტორის სიკვდილამდე და შეძლები 1925 წლამდე ეს ლექსი შეყვნილებოდა განმარტებით, რომ იგი გლეხთა განთავისუფლების ხანას ეკუთვნოდა (იხ. პ. ინგოროსკის განმარტება, ი. ჭავჭავაძის თხ., ტ. I, გვ. 355-356, „ქართული წიგნი“, 1925 წ.). ლექსის შინაარსის შენიღბვის მრავალგვარი ფორმები არსებობდა. ზოგჯერ, მავალითად, ორიგინალური ლექსი თარგმანად, ან მიბამებდ სადღებოდა. ასეთი გზით გახდა შენახულბული ცენზურის თვალის ახვევა და ი. ჭავჭავაძის „ბედნიერი ერის“ გამოქვეყნება. იგი XIX საუკ. პირველი ნახევრის იტალიელი პოეტის ზოზეტე ჟუსტის მიბამავად იქნა გასაღებლის; ზოგჯერ ქართული ხალხის მითაგვლის ავტორისეული იდეალ თამარის ამ დაეით აღ-

მაშენებლის დროიდან აღებულ ეპიზოდად იწოდებოდა („ქართელის დედა“). იმ ეპოქის წყარებისათვის, როდესაც ილია ჭავჭავაძე თავის ზემოდ დასახელებულ ნაწარმოებებს ქმნიდა, კალდე უფრო მეტად „აუცილებელი იყო მისივეი კავშირითიერთობანი, არანორმალური „თანაცხოვრებანი“ „ყალბი შენიღბვები“ (ე. ლენინი, „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“). ასეთი შენიღბვის წყალობით ი. ჭავჭავაძემ მოაღწია იმას, რომ მკითხველამდე მიიწვია შიგნითა ლექსის ძირითადი აზრის — სიტყვის თავისუფლების ჩახშობის საწინააღმდეგო პროტესტის საკმაოდ მკვეთრად გამოხატველი სიტყვები:

შენ პირუტყვი ხარ და მე მერყველი?
 ეგ ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება;
 რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
 თუ სიპართლისთვის დამიზღუნდება.

მიუხედავად „გუთნის დედის“ შინაარსის მკლარი გაგებისა, ამ ნაწარმოებში მკითხველის მიერ ყოველთვის იგრძნობოდა მკვეთრი პროტესტი ადამიანური უფლების ჩახშობ ტრადიციის წინააღმდეგ და ძირითადად ავტორი თავის მიზანს აღწევდა. მაგრამ პროტესტის ფორმის მკვეთრი შენიღბვის ისტორიულმა აუცილებლობამ გამოიწვია ის, რომ ი. ჭავჭავაძემ ლირიკულად გააზრებულ ლექსში მისი პირადი განცდები 50-იანი წლების ჩამორჩენილ გლეხს, გუთნის დედას მიაწერა, ხოლო იმ მიზნით, რომ ცენზორისათვის ლექსში მართლაც გულბრყული გლეხი მოეჩვენებია, წაშალა მის პირა-

ნდელ ვარიანტში მკვეთრი პროტესტისა და მოშავლისადმი რწმენის გამოხატველი ტყუილები (გაეცნათო ჭაპანს, ვიდრე გაწყდება, რა ეგრე რე ჩვენთვის მზე გაბრწყინდება!) და გუთნის დედა მოშავლის უპირსპექტივოდ, ბედის შორხილად და მასთან შერიგებულად გამოიყვანა.

„გუთნის დედის“ საბოლოო — 1863 წლით დათარიღებულ ვარიანტზე დაყრდნობამ გააძნელა გუთნის დედის სახეში თვით ავტორის დანახვა. გააძნელა იმის გათვალისწინება, რომ „გუთნის დედა“ თავისი შინაარსით ლირიკულად გააზრებული ლექსია, რომელსაც პროტესტის მნიშვნელობის მიზნით ალტერატიული ფორმა აქვს მიცემული. იდეურ-მხატვრული ანალიზისათვის მთელ რიგ საკვლევებლო ნორმების გაუთვალისწინებლობის შედეგად ლექსის სათაური და მთელი ტექსტი პირდაპირი მნიშვნელობით იქნა გაგებული. წინააღმდეგ ასეთი გაგებისა, ჩვენ დაეინახეთ, რომ „გუთნის დედაში“ გამოყვანილი გლეხი ალტერატიული მნიშვნელობისაა და იგი შენიღბული ფორმით გვიხატავს თვითმპყრობელური სისტემის ძირფესვიანად მოსპობის მიზნით ამხედრებული მებრძოლი ინტელიგენტის (და პირველ რიგში თვით ავტორის) სახეს.

„გუთნის დედის“ ალტერატიული სახის მნიშვნელობის დაზუსტება უფრო მეტ აღმზარდებლობით მნიშვნელობას აძლევს დასახელებულ ლექსს, უფრო მეტად აელენს ავტორის რადიკალურ მსოფლმხედველობას.

აღმსარება კადრები

ილია ჭავჭავაძის უცნობი ფსევდონიმები
და ნაწარმოებები

(„საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე)

1863 წლის მეოთხე ნახევრიდან, როცა ხელი-სუფლებამ გააუქმა ილია ჭავჭავაძის ეურნალის „სხვადასხვა ამბების“ განყოფილება და აკრძალა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე ორიგინალური სტატიების გამოქვეყნება, „საქართველოს მოამბის“ ყველაზე აქტიურ პუბლიცისტად გვევლინება „ბ. ვ.“, რომელიც მონეტარულად არჩევს აღნიშნულ თემებზე გადმოსათარგმნ მასალას და მარჯვე შენიშვნებით უფარდებს მათ თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამას.

„ბ. ვ.“-ს ხელმოწერით დაბეჭდა ბასტიას „მძარკველობის ფიზიოლოგია“ (№ 8, გვ. 61-67), და „ორნაირი სწავლა“ (№ 11, გვ. 73-80), ვიქტორ პიუგოს წიენი სიკვდილით დასჯის საქმეზე (№ 8, გვ. 84-92), კირაკოზ განძაკეციის — „მონღოლების ისტორია“ (№ 8, გვ. 58-75), და პრუდონის — „სლარიზმ, როგორც ეკონომიური პრინციპი“ (№ 10, გვ. 72-87).

პრუდონისა და ბასტიას სტატიები შემთხვევით არ დაბეჭდილა ეურნალში. „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო განცხადებაში ილია ჭავჭავაძე ჰპირდებოდა მკითხველს, რომ დაბეჭდავდა წერილებს პოლიტიკური ეკონომიური არაფორი დაბეჭდილთა. ამას მკითხველთა უკმაყოფილებაც გამოიწვია. „ციხისას“ 1863 წლის ივლისის ნომერში ა ფურცელად წერდა: „პოლიტიკურს ეკონომიას, ოპოლის გაქნობას ასრე ძლიერ გვეჭაღდა „მოამბე“, ყერაც სპინავს“.

ჩასაკვირველია, ევროპის მუშათა რევოლუციური მოძრაობის თვალსაზრისით, ფრანგი ეკონომისტები ბასტია და პრუდონი საუკეთესო არჩევნად ეერ ჩათვლება, მაგრამ ჩვენში ყერ ბატონაობა მძინეარებდა და მათი ნაწი-

რები ხელს უწყობდა მონური შრომისა და კლასობრივი საზოგადოების კრიტიკას. იმდროინდელ ქართველ მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა პრუდონის პათეტიკური მოწოდება: „ბოლო მოვლეთ პარაზიტობას (სხვისით ცხოვრებას)... აღებშიცემობის წარლატანო. ბაზრის ავაზაკო, ხაზინის მუწუეო, სელმდამბლო მეჭრთამევე, გაგვეკალე და შენის საზიზღარის თაიისაგან დაიხსენ თაიისუფალი შრომა... თქვენისთანების აღასარული მოდის“.

ჩვენს პრესაში აქ პირველად გაივლია პროლეტარიატის სახელმა, ცნობებმა ევროპის მუშათა კლასის მიმე მდგომარეობაზე, ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის შეურთებულ წინააღმდეგობებზე.

როცა ლიბერალები ქებით მსენიებდნენ ბურჟუაზიულ დასავლეთს, ვიქტორ პიუგოს წერილი ფარდას ხდიდა მის გარეგნულ ბრწყინვალეებას, ქართველ მკითხველს წამოუდგენდა ევროპაში გამეფებულ ძალმომრეობას.

საყურადღებოა, აგრეთვე, XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოზ განძაკეციის თხზულების თარგმანი, ვრცელო წინასიტყუებით, რომელიც გამსწვალეულია ორი მომე ხალხის ისტორიული თანაზიარობის ღრმა შევნიშებით.

„ბ. ვ.“-ს წერილებისადმი ინტერესს აძლიერებს ვრცელო კომენტარები, ჩანაფიქრები, ანგელების მიზნობრივი შერჩევა („რომლებიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას“).

პრუდონისა და ბასტიას წერილების დაწომერა გვიჩვენებს, რომ „საქართველოს მოამბეში“ განზრახული იყო მათი სერიებლ დაბეჭდვა მაგრამ ცენზურა ევეით მოჰკიდებია ასეთი ტაქტიკით გადმოკეთებულ ნაწერებს, ბევრი რამ ამოუშლია და გაგრძელებათა გამოქვეყნებაც აუკრძალავს.

სხვადასხვა წყაროებიდან დამოუკიდებლად მომდინარე ცნობების შეყერება ცხადყოფს, რომ „ბ. ვ.“ ილია ჭავჭავაძის ფსევდონიმია.

დმი. ბაქრაძე 1863 წელს პირდაპირ განაცხა-

და ეს „ციცქარში“,¹ ხოლო ზაქ. ჭიჭინაძე 1897 წელს, ილიას სიცოცხლეში, წერდა: სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძემ „ზედმიწვენით შეისწავლა პოლიტიკური ეკონომია... და... ამას ეძვირ არ უნდა, რომ ყველა ის ნაწერები, რაც კი ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა, თავის დღეში ვერ ნახავდნენ „ციცქარში“ ადგილს და ვინღ ენახათ კიდევ... მეორეს მხრივ, შეურაცხყოფაც უნდა ყოფილიყო, რომ იმ ეურნალოში დაბეჭდილიყო... პრუდონისა... და თუნდ ბასტიას სტატია“²

ბასტიასა და პრუდონის თხზულებათა თარგმანს ილიას სახელს უკავშირებს გ. თემანიშვილიც: „...მიართველად გავიგე პრუდონისა და ბასტიას არსებობა... მე ამ შემთხვევაში გამოჩაქვალისი როლი ვიყავი — ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებს გიტაცებთ კითხულობად მთელი მაშინდელი ახალგაზრდობა“³ ასეთასვე ცნობას ვაწყვიდის ვაზ. „ხაკვავაძე“ (1907 წ. № 178). ამაზე მიუთითებს, უთუოდ, გ. წერეთლის ერთ-ერთი წერილიც („ეკალი“, 1897 წ. № 46).

ზ. გ. „ს წერილების სტილისტური ანალიზი სავსებით ადასტურებს დიმი. ბაქრაძისა და სხვათა ცნობებს, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ასეთი წერილების გადმოკეთება იმ დროს ძალიან ძნელი იყო, რადგან დასაძენი იყო ტერმინები და ილიასაც სახელდახელოდ უხდებოდა მათი სასტამბოდ მომზადება. ილია მთავარ ყურადღებას აქცევდა აზრის სწორად და გასაგებად გადმოცემას; ამ მიზნით, ტექსტში აქა-იქ რუსულენის აფორიზმებიც ჩაერთავს.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე 60-იანი წლებიდანვე ვიტაცებული ყოფილა პოლიტიკური ეკონომიით, ამ დარგის წერილებიც პირველად მას გადმოუკეთებია და სათანადო ქართული ტერმინებიც შეუმოუზაიგებია (მოხმარება, კეთება — წარმოება. განწილება-განაწილება და ა. შ.).

2.

ნ. დობროლიუბოვის რევოლუციური თხზულება — „მამა ალექსანდრე გავაიცი და მისი ქადაგებანი“, რომლის დაბეჭდვა, საეცნოზრო პირბების გამო, „სოფომენიში“⁴ ვერცხვით ვერ მოხერხდა და ავტორის სიკვდილის შემდეგ, 1862 წლის შემოდგომაზე, დიდი გაქირავებით დასტამბა ცალკე წიგნად, — დაუყოვნებლივ ითარგმნა ქართულად და „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში გამოქვეყნდა.

¹ „ციცქარში“, 1863. № 9

² ზაქ. ჭიჭინაძე, ილია ჭავჭავაძე... 1897, გვ. 14, 20

³ Г. Туманов, Характеристики и воспоминания. стр. 178—182.

ძნელია ამ ნაწარმოებს ვუწოდოთ თარგმანს ამ სიტყვის მიღებული მნიშვნელობით. იგი გადმოკეთებულია დიდი მღელვარებით. უფრო ფარდობულია საქართველოს ვრცელმხარეობისათვის უფლებელი მომართობის კონკრეტულ ამოცანებთან. სავარაოთისა ითქვამს რომ „თარგმანს“ დართული აქვს 78 შენიშვნა, ორიგინალში კი მხოლოდ 5 შენიშვნაა. ეს შენიშვნები გამოიხეულია ქართული მკითხველის რეკლუციური-დემოკრატიულად გაათვითნობიერებისა და განწყობილებისათვის. დობროლიუბოვის თხზულების გადმოკეთება და ამ სახით დაბეჭდვა იმ დროისათვის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩათვალოს.

დრო. აქ კენჭოშვილმა სტილისტური ანალიზის საფუძველზე სცადა დასაბუთება, რომ „მამა ალექსანდრე გავაიცი“ ილიას მიერ არის ნათარგმნი („ლიტერატურული გაზეთი“, 1954 წ. № 31). მაგრამ მკვლევარებმა ეს მოსაზრება არ გაზიარეს. ამჟამად უმჯობესო არგუმენტებიც გვაქვს ილიას ავტორობის დასამტყობებლად.

ილიას იუბილეხანში მიძღვნილ წიგნში, რომელიც მწერლის სიცოცხლეში (1897 წ.) დაბეჭდა, ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ბევრი იუწყებანი, რომ ილია ჭავჭავაძე ბრწყინვალე მწერალია და მას არ შეეფერებოდაო, რომ ბევრს რომანი „ნა“ ქართულად სთარგმნაო. მეც, რასაკვირველია, ასევე ვფიქრობდი და ვერ წარმომდგინა, თუ დობროლიუბოვის მთარგმნელმა ეს როგორ სთარგმნა“ ამვე აზრს იგი იმეორებს მე-20, 22, 27 გვერდებზე და დასკვნის: „იმ დროს ქართულად დობროლიუბოვა (ი. ჭავჭავაძემ — ა. კ.) „საქართველოს მოამბის“ გვერდები გააბრწყინაო“.

ზ. ჭიჭინაძე პირდაპირ აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ გადმოკეთებულ დობროლიუბოვის თხზულებას იმ დროს აკციტრით ქართული ეურნალი (გარდა „საქართველოს მოამბისა“) არ დაბეჭდვებო.

დ. ბაქრაძე („ელოლიკო“) 1863 წლის „ციცქარის“ № 9-ში წერდა: ილია ჭავჭავაძემ, ამ ლიტერატურის ტალანტმა, სთარგმნა „მამა ალექსანდრე გავაიცი“... მეტი უფრო, ეს „გავაიცი“ მის სხვა ნაწერებსაც მოსცებია“. ინტერტუცილად დიდად აქებს დობროლიუბოვის თხზულებას, მაგრამ, როგორც ჩანს, იცის, რომ მთარგმნელი ილია ჭავჭავაძეა და უწუნებს მას უნას, ამისთანა მთაქვს ილია ჭავჭავაძის ენისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებსაც იგი არაერთხელ წამოსძახებდა ხოლმე „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს (მთარგმნელი მხმართს ამგვარ ფრაზებსა, რომლებსადაგვარნი „მოამბეში“ სხვაგანაც შეგვიჩინნავს „თავისუფალ ღვარამა“, „კლიერა ხმით“ და სხვ.).

გრ. ყიფშიძის ცნობითაც, ილიასვე ეკუთვნის

ამ ეტრნალში („საქართველოს მოამბეში“ — ა. კ.) რამდენიმე ხელმოწერები თარგმანი. ამაზე მივყვებით აგრეთვე გ. თუმანიშვილი თავის „მოგონებებსა და დახასიათებებში“.

ამ ენობის სტილისტიკა ანალიზიც მხარს უჭერს. ილია ჭავჭავაძის მრავალ პუბლიცისტურ წერილში დიდი სიზუსტითაა განმარტებული ის სიტყვები (და მთელი ფრაზებიც კი), რომელნიც არცერთი სხვა ქართველი მწერლის ნაწარმოებში არ გვხვდება.

ამრიგად, „მაშა აღმოსავლურ გავატი და მისი ქადაგების“ თარგმან-გადმოცემა (ყველა შენიშვნათურთ) ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის; დაინტერესებულ მკითხველს იგი ნათელ წარმოდგენას მისცემს ილიას მსოფლმხედველობაზე გასული საუკუნის 60-იან წლებში.

3.

სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ ეტრნალში საყურადღებო კრიტიკული შენიშვნებითა და ვრცელი განმარტებებით დაიბეჭდა. მეოთხეაბრთა აზრით, თარგმანი ეკუთვნის ნიკ. ლომიძე-ბერიძეს, რომელიც, 1862 წლის სარედაქციო განცხადების თანახმად, სათავეში უნდა ჩადგომოდა ეტრნალის ისტორიის განყოფილებას. მაგრამ დოკუმენტებითა და პირადი წერილებით მტკიცდება, რომ მას არავითარი წინაწილი არ მიუღია „საქართველოს მოამბეში“.

თანამედროვეთათვის 60-იან წლებშივე ცნობილი ყოფილა, რომ სულხან ბარათაშვილის ისტორია გადმოთარგმნა და შენიშვნებით დარღობილი ილია ჭავჭავაძის „ციკლის“ 1863 წ. მართის ნომერში ანტ. ფურცელაძე გადაკერით მიუთითებდა ამაზე, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, დიმიტრი პირდაპირ წერდა, ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ ი. ჭავჭავაძის გადმოთარგმნილია, — ეს „გავატი“ ს. ბარათაშვილის „ისტორიასაც“ მოსცემიაო, — დასძინდა.

ამ ფაქტის უტყუარ საბუთს წარმოადგენს, აგრეთვე, ნაშრომის პირველი შენიშვნაც: „რედაქცია თავის თავზედ იღებს, თუ რამე ვაუკეზბარი და უცანონოა არის ამ სტატიის აღნიშვნაში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის... რაც შეეხება ნათარგმნის სისწორეს ორიგინალთან, რედაქცია იმედოვნებს, რომ ავტორის აზრები გადმოცემულია ნამდვილად“...

გარდა ი. ჭავჭავაძისა, რედაქციის შემადგენლობაში იმ დროს შედიოდა მხოლოდ დავით ყიფიანი, რომელსაც შინჯვა და მანც არ ეხერხებოდა ქართულად წერა. ცხადია, რედაქციის სახელით თარგმანისათვის კატეგორიული პასუ-

ხისმგებლობის აღება მართოდენ ილია ჭავჭავაძის შეეძლო.

სულ. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიაში“, რომელშიც მეცნიერებებს მამინაცდელი დონის კვალობაზე, აღდგენილია ქართველ ტომთა უძველესი წარსულის სურათი, ნაჩვენებია მათი შეუპოვარი ბრძოლა, თავმოყრილი და სისტემაში მოყვანილი ბევრი ფაქტი, რომელიც მანამდე არაეცნო გამოყენება ქართველი ხალხის შორეული წარსულის გასაშუქებლად, — დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ნაშრომის შექმნა და დაბეჭდვა აღმავალი ეროვნულ-განათლებულ-სოფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოხატულება იყო.

80-90-იან წლებში, როცა ს. ბარათაშვილის ისტორიის მთლიანი თარგმან-გამოცემა განიზრახეს, ამ საქმის ინიციატორებმა ვადაწყვიტეს, „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ნაწილი, „როგორც ყარგი თარგმანი“, უცვლელად შეეტანათ მასში.

თარგმნისას ილიას ბევრი საყურადღებო მოსახრება აღმოჩნდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ზოგი შენიშვნებშივე გამოუთქვამს მოკლე, ხოლო მთლიანი თვალსაზრისის გადმოცემა ვრცელ ნაშრომში ჰქონია განზრახული. ს. ბარათაშვილის ცალკეულ კრიტიკულ შეხედულებებსა და დასკვნებს არ ვეთანხმებო, — წერდა ის. „ჩვენი სამშობლო ისტორია ისე დაუმუშავებელი არის და ისე ცოტა არის ნაწერი მასზედ, რომ ყოველ შრომას, სადაც კი იქნება ახსნილი რომელიმე კითხვა ხალხის წარსულ ცხოვრებადამ, რედაქცია მიიღებს დიდის მადლობით... მაგრამ, ამასთანავე... ჩვენ ვრაცობ ჩვენს თავს ვალდებულად, გამოვიყენებო ჩვენი აზრი ამ თხზულებასზედ... ამ ფაქტს... აღვასრულებთ დიდის სიამოვნებით და გამეღვით ეს დაპირება ილიამ შესრულა 80-90-იან წლებში, როცა ბევრი საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა სამშობლოს წარსულზე.“

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე იყო სულხ. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ მთარგმნელიც, რედაქტორიცა და რეცენზენტიც.

4.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაისი“, 60-იანი წლების ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების კლასიკური ნიმუში, რომელიც 1863 წელს სფირიდონ ჩიტორჯიძის ფსევდონიმით დაისტამბა „საქართველოს მოამბის“ მისიონ, ავსიონის, ივლიონისა და ავესიონის ნომერებში, 1927 წელს პ. ინაოპოყამ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა IV ტომში შეიტანა. გამოცენილი შეცნობა არ ენდო ა. ფურცელაძის ცნობას, ძირითადად გრ. ყიფიანის წერილის დამყარა და მეოთხე ტომის შენიშვნებში შეეცადა

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 1: გვ. 14. IXX.

2. ბიბლიოგრაფიის მოამბე, № 3-4.

დასაბუთებინა, რომ ჩიტორელიძის ფსევდონი-
მით ილია ჭავჭავაძე იბეჭდებოდა.

პოეტრ-ავადმიკოსი ა. გრიშაშვილი ეკვით
მოყვდა ამ მოსაზრებას. „თბილისის ლიტერა-
ტურული ბოქმის“ ერთ-ერთ შენიშვნაში იგი
მოუთითებდა: „სფირიდონ ჩიტორელიძე იყო
ფსევდონიმი არა ილიასი, როგორც ფიქრებს
„ქართული წიგნის“ გამომცემლობა... არამედ
იშვრონიძის მონაწილის მიხედვით ზაალის ძე ყი-
ფიანისა“

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა V ტომში პ. ინ-
გოროსევი უარყო თავისი დასკვნა და ჩიტორე-
ლიძე მის. ყიფიანის ფსევდონიმიად აღიარა. შეც-
დომის მიზეზად იგი გრ. ყიფშიძის ცნობას ასა-
ხელებს, ხოლო მის. ყიფიანს ავტორობის და-
შვინაობაზე საბუთად მიანიშნა, რომ 1886-1890
წლებში მის. ყიფიანი ჩიტორელიძის სახელით
„ივერიაში“ აბეჭდებდა ნაწარმებს.

აქვე დავსძენთ, რომ „ივერიაში“ ჩიტორე-
ლიძედ არც გრ. ყიფშიძე თვლიდა ილია ჭავჭა-
ვაძეს. თვლიდა ერთი გადაღლებითად ცხადია,
რომ კავკასიიდან გამოგზავნილი ეს უფროსი
კორესპონდენციები დიდი მწერლის ნახვლავი
არ არის. „აქ რელიგიურად მოჩანს წერას მან-
ნის სხვადასხვაობა, მით არ ამჩნევიათ ილიას
გამოთქმისა და სახეების ინდივიდუალური შტამ-
პი“ (პ. ინგოროსევი).

ამასობაში გამოვიდა ი. გრიშაშვილის „თბი-
ლისის ლიტერატურული ბოქმი“, რომელშიც
ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ავტორმა საყუ-
რადღებო მასალა გამოაქვეყნა.

„ამ წიგნის პირველი ნახევარი, სადაც „სფი-
რიდონ ჩიტორელიძის“ ფსევდონიმის შესახებ
ელაპარაკობთ, — წერს ი. გრიშაშვილი, — უკვე
დაბეჭდილი იყო, როცა ი. ჭავჭავაძის თხზულებ-
ათა მე-5 ტომში გამომცემლობამ გაასწორა
შეცდომა, რომელიც მე-4 ტომში მოუვლია: თუ-
მცა მეოთხე ტომის გამოცემის დროსაც არსე-
ბობდა ის მასალა, საიდანაც ნათლად ჩანს, ვაჟი
ფსევდონიმიც იყო... ჩიტორელიძე. მაგ, მის. ყი-
ფიანის გარდაცვალების გამო ილიას რედაქტო-
რობით გამოსულ „ივერიაში“ მოთავსებული
იყო ნეკროლოგი, რომელშიც ნათქვამია, რომ
„საქართველოს მოამბეში“ და „ივერიაში“ მო-
თავსებული წერილები... ჩიტორელიძის ფსევ-
დონიმიით მის. ყიფიანს ეკუთვნის... ქართული
წიგნის რედაქტორებისათვის ცხადი უნდა ყო-
ფიყოფო, რომ ცოცხალი ილია თავისთავზე ნეტ-
როლოგ ვერ დასწერდა“.

მის. ზ. ყიფიანის ნეკროლოგში („ივერია“,
1891 წ. № 48), რომელსაც ზელს აწერს „გ. გ“, ვკითხულობთ: „... 1863 წელს ეურნალ „საქარ-
თველოს მოამბეში“ დაბეჭდა წერილები ჩიტო-
რელიძის სახელით ზელმოწერილი“.

ამრიგად, ი. გრიშაშვილმა დაამაფიქრებელი სა-
ბუთო წარმოადგინა და „გ. გ“-ს წერილის სა-

ფუძველზე გრ. ყიფშიძის ცნო-
ნა უარყოფილი იქნა.

საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით
დავად, ლიტერატურული საზოგადოებრიობა
მიინ ვერ შეუბრუნა იმ აზრს, რომ „სფირი-
დონისა და თადეოზის ბაასი“ ი. ჭავჭავაძის
ნაწარმოები არ არის. საფულისსმო ფაქტია, რომ
ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ვერც ერთი მკვლევ-
არი გვერდს ვერ უღლის ამ თხზულებას და იმ
საბაბით, რომ იგი, უთუოდ, „საქართველოს მო-
ამბის“ რედაქტორის მიერ საფუძვლიანად არის
გადაშუშავებული. ვრცლად განიხილავენ მას,
როგორც ილიას ნაწარმოებს.

მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ
„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ დაწერილია
მალალი ლიტერატურული გემოვნებით, „ენა
ცოცხალია და სადა“ (ლ. ასათიანი), „შინაარსით
ძალიან ახლოსაა ი. ჭავჭავაძის წერალებთან“
„ამჟამად ჩანს, როგორც ლექსები... სტრლის
ისე თვით პრინციპულად არის ილიასეულია“.

თხზულების სტილი იმდენად ილიასეულია,
რომ V ტომის შენიშვნებშიც კი, სადაც პ. ინგო-
როსევი კატეგორიულად უარყო ილიას ავტორო-
ბა, იმულებული იყო, ჩიტორელიძის სხვა ნაწარ-
მებთან „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“
ცალკე გამოეყო და ეთქვა: იგი ძირეულად გა-
დაშუშავებულია ილიას მიერ და „ეს გადამუ-
შავება ახალი ნაწარმოების დაწერას უღრიდაო“.

მაგრამ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ არა-
ვითარ რედაქციულ გადაშუშავებას არ ძალუძს
მთლიანი, მყარია, თვითმყოფი სტილის წარმო-
ქმნა. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ ენა
არსებითად ჭანსხევედება მის. ყიფიანის რო-
გორც იშვრონიძის, ისე „ივერიაში“ დაბეჭ-
დილი ნაწარმების ენისაგან („მეფე სოლომონ
მეორეზე და მის დროს განმეგებლობასა ზედა“,
„ციცქარი“, 1859, № 12; „ჩვენის დროების გვი-
რი“, „საქართველოს მოამბე“, № 11, 12,
„წერილი ვადალიშვიან“, „ივერია“, 1889, № 272
და სხვ.).

უდავოა, აგრეთვე, რომ ამ თხზულებაში თი-
ქმის სიტყვა-სიტყვით არის გადმოწერილი
ცალკეული ადგილები ილიას იმ ხანად დიუბე-
დავ ზელნაწერითაგან, კერძოდ, ნაწარმიდან
„ციცქარი“ 1857 წელიდან 1863 წლამდე...¹

ორივე თხზულება იწყება მტკიცებით, რომ
„ქროტიკა და ლანძღვა ძალიან შორი შორს არა-
ან ერთმანეთზედა“, რომ: „შეაძლება კაცს უყ-
ვარდეს კაცი და მტერსაგით კი მოეკიდოს,
როცა მასში სიკუდეს შენიშნავს“.

შემდეგ, ორივეგან დასაბუთებულია ქარ-
თულ ენაში უცხო სიტყვების შემოტანის აუ-

1. ზელნაწერითა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის
ფონდი, № 15: 5029), ილიას ავტოგრაფი.

ცილებლობა და ორივეგან ერთნაირად არის განხილული „ციხკარში“ დაბეჭდილი ნაწარმოებები.

ილიას ავტოგრაფი რამდენიმე ვარიანტად არის დატვირთული, ხოლო ჩიტორელების წერალო ფელეტონად ვარდაქმნილი ვარიანტთაგანია.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ილია ჭავჭავაძის ეკუთვნის; მაგრამ ა. ფურცელაძის ცნობა აბრკობებდა, ხოლო „ივერიის“ ნეკროლოგი პირდაპირ შეუძლებელს ხდიდა საკითხის მართებულად გადაწყვეტას.

ა. ფურცელაძემ „ციხკარის“ 1863 წლის ივლისის ნომერში სახელდასველად განიხილა სფ. ჩიტორელების პირველი ფელეტონი (მისისა) და, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა, ფსევდონიმად გახსნა. „ჩვენ დიდის სამოყვანებით წავიკითხეთ ჩიტორელების (მის. ყიფიანის) „თადეოზისა და სფირიდონის ბაასი“, — წერდა იგი. — უნდა მოვასვენოთ, რომ ამისთანა ჩინებული ჟურნალში ენა ჯერ ჩვენი ლიტერატურაში არ შემჭვდრია... ესეც უნდა მოვასვენოთ, რომ არც თითონ სტატიაა სხვა „მოამბის“ სტატიებშივით ხეპრულად დაწერილი. ამ სტატიაში ჩანს ცოდნა საქმისა და საჭიროებისა და არა ის ცარიელი ყოინჩილობა, რომლითაც „მოამბე“ თავემორღებულ და გამოიჩინია“.

რამდენადაც შესაძლებელი იყო, „საქართველოს მოამბის“ რედაქცია ერთდროითა „ციხკართან“ პოლიმიკის გამოწვევებს. მოწინააღმდეგენი ამას რედაქტორსა და ჟურნალზე უჩვეულო თავდასხმის საბაზად იყენებდნენ; ეს კი საზიანო იყო არა მარტო ჟურნალის, არამედ საერთოდ ახალი თაობის ავტორიტეტისათვისაც.

ა. ფურცელაძე ერთმენტს უპირისპირებდა „საქართველოს მოამბის“ „თერგდალეულ“ (რუსეთში დასწავლილი) რა „მტკვარდალეულ“ (დვ. გილოზბრე) თანამშრომლებს, ხელალებით ამაგებდა პირველთ, ასევე განუსჯილთ აქებდა უკანასკნელთ (ილია ჭავჭავაძის „ციხკარში“ გადაბრუნება ისინი) და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გაეგო ფსევდონიმები.

ილიას საგანგებოდაც შეეხო ამ საკითხს „სხარტელაში“, სადაც ა. ფურცელაძე (ბაქია) პოდიშს ითხოვს რედაქტორისაგან (ი. კერესელიძისაგან): „მომიტყვი, ორი კაცი კი ვაქვ: თუღაშვილი და გ. ჩიქოვანიო“. „ციხკარის“ რედაქტორი ტრეჟნის მას, როგორ თუ აქვო. ბაქია მოიკვებს: „ეხლა ნება მიბოძეთ თავი გავიშართლო. ისინი რომ ვაქვ, უფრო მოვკარ, რომ თერგდალეულები არ ყოფილან, თორემ რათ ვაქებდი. ისინი ჩვენი საყვარელი მტკვარდალეულები ყოფილან“.

შემდეგ „ციხკარის“ რედაქტორი ავალებს ბაქიას: „ეს კი უნდა იცოდეთ, რომ შენი მახვილი

უფრო „მოამბის“ რედაქციას არ უნდა მიაწოდო, რაც შეიტყო, ამაზე შემიტყვი“.

ილიას ავტოგრაფის ერთ-ერთი ვარიანტში ბაქიანე (ანტონ ფურცელაძე) სწერია: „ტყუის, ქორიკანაობს!“

ბაქიას „მახვილი უფრისაგან“ თავდასაცვად „საქართველოს მოამბის“ რედაქციას საგანგებოდ ზომები მძლეია, ყოველი ღონე უხმარაოთ, რომ მისთვის გზავილი აებნიათ და უზრუნველყოთ ფსევდონიმების საიდუმლოება.

ჟურნალის „მტკვარდალეულ“ თანამშრომლებს თანხმობა განუცხადებიათ, რომ პოლემიკური ნაწიყება ილიას მათი სახელით გამოეკვეყნებინათ. „სხარტელა“, რომელიც ა. ფურცელაძის სტატიების, პაროდიათ, ვიორგი ჩიქოვანის ხელმოწევით დაიბეჭდა, ხოლო გ. ჩიქოვანს, როგორც ვნახეთ, ა. ფურცელაძე აქებდა.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ „ციხკარისა“ და მისი რედაქტორის წინააღმდეგ მიმართული სტატიაა და კვალის დასაფარავად „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებს ხმა გაუფრცველებიათ, სფირიდონ ჩიტორელიცე მის. ყიფიანის დსვედონიმით (მის. ყიფიანიცე „მტკვარდალეული“ იყო).

ა. ფურცელაძის წერილი, რომელშიაც ჩიტორელიცეს აქებდა, პირველი ფელეტონის დაბეჭდვისთანავეა დაწერილი და, „მახვილი უფრის“ მიუხედავად, მას მართლაც გზავილი არევიო, მაგრამ მის. ყიფიანის ჩიტორელიცეობაში, ცოტა არ იყოს, ეკვი შეზარფია და ყოველ შემთხვევისათვის, ილიასთვისაც კბილი გაუკრავს. „ერთი კი არ შეგვიპლიან უფ. ჩიტორელიცეს არ შეგისწოთ. — წერს იგი. — ის მფალითისათვის უჩვეულებს ჩვენი შურალებს — თ. ვიორგი ერისთავის და ზ. ანტონოვის ენასა და ვასაგონობის მფალითისათვის. კომედოეში, სადაც ალაპარაკებს კაცი ცოცხალს პირსა, ჯომშერბეცავათ (ილია ჭავჭავაძისათვის — ა. კ.) გამოუცდელი უნდა იყოს, რომ ისრე არ ალაპარაკოს, როგორც მართლაცდა ის ცოცხალი პირი უნდა ლაპარაკდეს“.

შემდეგ ა. ფურცელაძეც დარწმუნებულა რომ „სხარტელა“ და „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ნამდვილად ილიას იყო. ერთ წერილში ირწმუნება კიდევც — ამ ნიდაჯზე გ. ჩიქოვანსა და მის. ყიფიანს უკმაყოფილება მოეყვიდა და „საქართველოს მოამბის“ რედაქტორთან და „ციხკარის“ შემოებოხენო. მაგრამ იქვე დასძენს, „საქართველოს მოამბის“ თანამშრომელთაგან ილიას ვარდა, წერის ნიჭი არავის ჰქონდაო!

საერთოდ, 60-იან წლებში საკმაოდ გახმურებელი ყოფილა, რომ „სფირიდონისა და თა-

დეოზის ბაასის* ავტორი ილია ჭავჭავაძე იყო. ამას აღასტურებს მაინდელი ხელნაწერი ფურცლები, აგრეთვე გ. წერეთლის თხზულება „კიკლოგი, ჩიკლოგი და კედლაზიკა“, სადაც ჩიტორღელზე „საქართველოს მოამბის“ რედაქტორად გამოყოფანილი და ზუსტად ასახულია მისი მოღვაწეობა (ჩიტორღელზე ფურცლის გამოცემის წება აიღო, შერე მგვობრებში ხელმოწერა გამართა... ხუთასი ხელმოწერილი იშოვა... ჩიტორღელზე იმითომ დახურა თავისი ფურცალი, რომ სტამბა არ ჰქონდა... რომ მან მაშინვე ცოლი შეირთო და ა. შ.).

როგორც დავიანახეთ, გრ. ყიფშიძის ავტორიტეტული ცნობა უკუგდებულ იქნა „ივერიის“ ნეკროლოგის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერს „გ-გ“.

ამემაღლ დადგენილია, რომ „გ-გ“ („ვივა“) სხვა არაფერია, თუარ თვითონ გრიგოლ ყიფშიძე და „ივერიის“ ნეკროლოგიც მიხეილ ზაალის ძე ყიფიანის შესახებ მას ეკუთვნის.

ამ ბოთარებაში უკვე ახალი შუქი ეფინება ყოველთვის და ილია ჭავჭავაძის ავტორობის საწინააღმდეგო ერთადერთი არგუმენტი მისი ავტორობის დამამტყიცებელი ვადაწყვეტი საბუთი ხდება.

1890-1891 წლები ილიამ თითქმის მთლიანად საფურცლოში გაატარა (სახლის მშენებლობის გამო). იმ ხანებში „ივერიას“ ფაქტურად გრ. ყიფშიძე განაგებდა. „თან ვმდივნობდი, — ვადაწყვეტეს იგი. — და თითქმის ვრედაქტორობდი „ივერიას“... ვასწორებდი ხელნაწერებს... ვამზადებდი მათ დასაბეჭდად... ვაღვნიდი თვითველს ნომერს... ვებეჭდავდი ბიოგრაფიებსა და ნეკროლოგებს“.

მის. ზ. ყიფიანის ნეკროლოგი მისი გარდაცვალების ამბის თბილისში შიღებისთანავე (დაბეჭდილია 1891 წ. 5 მარტი) სახელდაპიროდ დაუწერია გ. ყიფშიძეს და რაკი ნეკროლოგების შედგენა-დაბეჭდვა რედაქტორთან საგანგებო შეთანხმების გარეშეც შეეძლო, დაუსტამბავს კიდევ.

ყიფშიძემ კარგად იცოდა, რომ მის. ყიფიანი ჩიტორღელის ხელმოწერით გზავნიდა კავკაიიდან წერალებს. ასოციაციით მასვე მოაწერა „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილი ფელეტონიც. ყიფშიძემ, ცხადია, მაშინ არ იცოდა ამ ისტორიის ინტიმური მხარე.

— საქმე ის იყო, რომ 1886 წელს, როცა „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, სხვაგვარი ერთად ილიამ მიხ. ყიფიანიც მოიხვედრა რედაქტორდინდრად... ვახსენეს ჩიტორღელზე ადგილი მოთქმა-მოთქმა და სალაღობად, იმ დღეთა კეთილმოსავლენად ილიამ ეს ფსევდონიმი შესთავაზა სიურმის მეგობარს („ივერიის“ თანამშრომლებს მეტწილად ილია ურჩევდა ფსევდონიმებს. ამასთან, ერთი და იმავე ფსევდონიმით სწორად რამდენიმე პირი გამოდიოდა, ასემაგ: „სხვიტორელი“ აჯაკი იყო და მისი ძმა დავითიც; „ფრონელს“ აწერდნენ თავიანთ ნაწერებს გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები და ა. შ.).

ილია ჭავჭავაძის უფურადღებოდ მისიც არ დაუტოვებია ნეკროლოგში გაშვებული შეცდომა. თამდენიმე დღის შემდეგ მან დაბეჭდა (1891, 53) წერილი მიხ. ყიფიანზე, სადაც მთლიანად გვერდს უფლის მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, მხოლოდ საზოგადოებრივ-პარაქტიკულ საქმიანობას ახასიათებს. „სფირიდონისა და თაღვოზის ბაასი“ რომ მიხ. ყიფიანისა ყოფილიყო, ამ ფაქტს ილია ჭავჭავაძე ვამოთხენებდა მისი ტალანტის გამოსახნად. მით უმეტეს, რომ ამბობს: „ბევრ კარგ საქმეთა მოქმედი მიხ. ყიფიანი ისე ცნობილი არ არის ყველასათვის, როგორც სასურველი“.

უნებლიე შეცდომის გამოსწორება თვით გრ. ყიფშიძესვე მოუხდა; 90-იან წლებში განზრახული იყო ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, რომლის ოთხი ტომი 1892 წ. გამოვიდა, ხოლო დანარჩენი მასალა მზად იყო სასტამბოდ. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა კრებულმა სათაურით: „ილია ჭავჭავაძის წერილები „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ 1863-1879 წ.წ.“. სწორედ ამ კრებულშია შეტანილი „სფირიდონისა და თაღვოზის ბაასიც“. იგი, ისევე, როგორც აქ წარმოდგენილი სხვა ხელნაწერანი, გრ. ყიფშიძის მეთვალყურეობითაა დაბეჭდილი და მის მიერვეა რედაქტირებული არა უგვიანეს 1893 წლისა, ე. ი. მის. ყიფიანის ნეკროლოგის დაბეჭდვიდან ორი-სამი წლის შემდეგ.

ტექსტში ჩართულია გ. ყიფშიძის შენიშვნები. ასე მაგალითად, 102-ე გვერდზე წარწერილია „მოღვინეური ხასიათი აქვს ძირელ. გრ. ყიფშიძე“. „სფირიდონისა და თაღვოზის ბაასში“, სადაც ნახსენებია „გომერი“, ყიფშიძე სწოლითი მიუთითებს: „1888 წლიდან, 25 წლის შემდეგ, სწერს „პომპროსსა“ და სხვ.“.

გრ. ყიფშიძე ილიას ახლო მეგობარი იყო. ილიას სიცოცხლეშივე აგროვებდა მისი ბიოგრაფიის მასალას, სპეციალურად სწავლობდა პართული ეურნალისტის ისტორიას (მას ეკუთვნის პირველი მონოგრაფიული ნაბეჭდი „საქართველოს მოამბეზე“, რომელიც ილიასვე

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი. გ. თუმანიშვილის ფონდი. № 426.
2. იხ. ე. მარქსის სახ. საქ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის „ივერიის“ კარტოტეკა და იქვე დაუცლი ე. შ. წ. ე. გ. ბიბლიოთეკისეოლი „ივერიის“ ვეზემპლანი: აგრეთვე, გ. ყიფშიძის ავტობიოგრაფია (ავტოგრაფი. ლიტ. მუზეუმი, 112 —).

შიа Адамияни?“, его лучшие стихотворения... и его критико-юмористические фельетоны „Беседа Спиридона и Тадеоа“... журнал Чавчавадзе сгруппировал вокруг себя весь цвет грузинской передовой интеллигенции... Мих. Кишани (перев. „Героя нашего времени“) ¹

ამემაღლ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ამოღებულია ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემკვიდრებებიდან, იგი აღარ იბეჭდება შწერლის თხზულებათა გამოცემებში და მიუწოდებელია მკითხველთათვის. ილია ჭავჭავაძის ამ თხზულების გარეშე ეს შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებზე. ეურნალ „საქართველოს მოამბისათვის“ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც „საპროგრამო წერილს“ „საქართველოს მოამბეზედ“. ზოგიერთი პრინციპული საკითხი მხოლოდ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ არის გადამწვეტილი. ენისა და ლიტერატურის დარგში ეურნალის პოზიცია სწორედ ამ არის ნათლად ჩამოყალიბებული. ამ არის მკა-

ფიოდ გამოკვეთილი ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი პოეზიაზე, ლიტერატურულ კრიტიკაზე, პატრიოტიზმზე, — გაღრმავებული ელფასე შეხედულებანი მხატვრული თარგმანის სფეროებზე, — მოტიანილია ვრცელი ამონაწერები ბენდისის ნაწარმოებიდან „კრიტიკის შესახებ“; ამასთან, „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ „მამათა“ ბანაკთან ილია ჭავჭავაძის პოლემიკის უშუალო გაგრძელება და დაგვირგვინებაა. მოცულობითაც იგი ილიას უველა იმდროინდელ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომს აღემატება. ქართული ფელეტონის ეს ბრწყინვალე ნიმუში გვხიბლავს არა მარტო პროგრესული აზრებით, არამედ მხატვრული სახეებით, გამოსახვის მკაფიობითა და უბაღლო იუმორით.

ამ ნაწარმოების უსაფუძვლოდ მიხ. უფიანისათვის მიკეთვება ხელს უშლის მთელი სისრულით მის გაგებასა და ლიტერატურის განვითარების პროცესში ჩართვას.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ უნდა დაუბრუნდეს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ შემკვიდრებებს.

¹ Г. Туманов. Характеристики и воспоминания. II. стр. 179.

ირაკლი ანდრონიკაშვილი

საუკუნოვანი საიდუმლო ამოცნობა

როდესაც 1885 წელს ალექსანდრე ქვეპევაძის შეილისშვილმა ნიკოლოზ დადიანმა თავის უნიკალურ ბიბლიოთეკასთან ერთად თბილისის ეროვნულ მუზეუმს საჩუქრად შინ დაცული ძველქართული ხელნაწერი გადასცა, არავის შეეძლო განეჭვრიტა, ეს მანუსკრიპტი რა ფასდაუდებელი განძი იქნებოდა კულტურის ისტორიისათვის, თუმცა ხელნაწერს მეცნიერებმა იმთავითვე „მეათე საუკუნის საუნჯე“ უწოდეს.

ანკამად ეს წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტებში ინახება, დაწერილია იგი *in quarto* პერგამენტზე. სტრიქონებს ზემოდან და ქვემოდან მიწერილი აქვს წითელი მელნით მუსიკალური ნიშნები. ესაა მეათე საუკუნის დიდი ქართველი კომპოზიტორისა და პოეტის მიქაელ მოღრეცილის მიერ შედგენილი ძველქართულ საგალობელთა კრებული. ჩვენამდე ხელნაწერის მხოლოდ ნაწილია — 544 გვერდმა მოაღწია. თავში და შუანაწილში ხელნაწერს 720 გვერდი აკლია. დაკარგულია ბოლოც. უცნობია, თუ რამდენ გვერდს შეიცავდა წიგნი მთლიანად.

რას წარმოადგენს ეს კრებული?

კრებულის შემდგენელი ხელნაწერის ანდერძში წერს:

„შეწვენითა, დიდად სახიერისა ღმერთისაათა, მე — მიქაელ მოღრე-

ცილმან ვიღვაწე და შევერიბენ საგალობელნი ესე, რომელნი ვპოვენი ენითა ქართველთაათა, სრულნი ყოვლითა განგებითა, სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოსათა და უცთომელობითა ნიშნისაათა“.

ამრიგად, მიქაელ მოღრეცილის კრებულში შეტანილი ყოფილა მუსიკალური სანოტო ნიშნებით აღმკვედილი საგალობლები. მაგრამ როგორ უნდა ამოიკითხოთ ეს ნიშნები? როგორ უნდა მიუღგე ამ თავისებურ ნიშანთა გაშიფვრას?

„პატიული მაცნეობის მოწვევა“

ძველქართული მუსიკის შესანიშნავ აღმოჩენას წინ უძღოდა მეორე, არა ნაკლებ საყვირველი აღმოჩენა ძველქართული პოეზიის დარგში. ორივე აღმოჩენა ევთენის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს — ისტორიკოსს, ფილოლოგსა და ლიტერატურათმცოდნეს პავლე ინგოროყვას.

აი ამ აღმოჩენათა მოკლე ისტორია.

ძველქართულ ხელნაწერებში მრავალი ჰიმნია შემონახული. მეცნიერები იცნობდნენ ჰიმნებს. მაგრამ კითხულობდნენ, როგორც პროზაულ ნაწარმოებებს.

ჰიმნების შემცველი ძველი ხელნაწერების შესწავლისას ინგოროყვამ ყურადღება მიაქცია ერთ გარემოებას: მეცნიერის აზრით ტექსტში დასმული წერტილები არ წარმოადგენდა ჩვეულებრივ სასვეს ნიშანს. მეცნიერმა ივარაუდა, რომ ისინი ასრულებენ რაღაც სხვა ფუნქციას. იანვარიშა მარცვა-

ი. ანდრონიკაშვილის წერილი „საუკუნოვანი საგალობლის ამოცნობა“ დაბეჭდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ორგანოში „Новый мир“, 1962 წ., № 9.

ლთა რაოდენობა წერტილებს შორის და აღმოაჩინა გარკვეული კანონზომიერება: 7, 7,7, 11, 7, 7, 5. შემდეგ აბრეშვილი იგივე თანმიმდევრობა იყო დაკვირვდა. ეს თანმიმდევრობა ჰიშნის ბოლომდე გაჰყვა. ახლა ინგოროყვამ აიღო მეორე ტექსტი და იქაც ასეთი ლექსის საზომი აღმოაჩინა: 5, 10, 5, 11, 5, 8, 10 — იქაც ბოლომდე მეორედ ჰიშნა მარცვალთა რაოდენობა. მკვლევარი დარწმუნდა, რომ ეს იყო ურთიბო ლექსები, რომელთაც ჰქონდათ ზუსტი სტროფული წყობა. მან განაგრძო ახალიზი და თვლა. როდესაც დაშთავრდა მუშაობა ჰიშნების ყველა კრებულზე, შესაძლებელი გახდა შედეგების შეჯამება: აღმოჩენილი და დადგენილი იქნა ძველი ქართული სტროფიკის 1217 ნაირსახეობა... ასე გაიხსნა ჰიშნების სალექსო სტრუქტურა. გამოარკვია რა მათი მეტრული საფუძველი, პავლე ინგოროყვამ აღმოაჩინა პოეტურ საზომთა მთელი სისტემა, შეისწავლა ძველქართული ლექსთა წყობა, გამოარკვია, რომ ლექსის წყობა სტროფებად და პარალელურ ანტი-სტროფებად დაკავშირებულია ანტიკური ხანის გუნდურ ლირიკასთან და იმ ლექსთა ფორმასთან, რომელსაც ანტიკურ ტრაგედიაში წარმოსთქვამს ხორო. უფრო მეტიც. ინგოროყვამ აღმოაჩინა რამდენიმე ასეული უცნობი ქართული ჰიშნი აღმოაჩინა ახალი პოეტები თა მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც იყვნენ ჰიშნოგრაფები გრიგოლ ხანძთელი და გიორგი მერჩულე. დაადგინა, რომ უძველესი ჰიშნები განეკუთვნებიან მეხუთე საუკუნეს.

ამ აღმოჩენას ერთ-ერთმა ინგლისელმა ისტორიკოსმა უწოდა „თანამედროვე ქართული მეცნიერების მონუმენტი“. თავისი შრომის შედეგები პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა წიგნში „გიორგი მერჩულე“ ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტო-

რიიდან“. ეს დიდტანიანი შრომა (ათონ-გვერდზე მეტი) გამოქვეყნდა 1955 წ. და მიიპყრო ყურადღება. არა მარტო საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერული წრეებისა, არამედ ფართო პოპულარობა მოიპოვა ქართველ მეცნიერულთა შორისაც. საერთაშორისო ფილოლოგიურმა ორგანომ „Oriens christiana“ (ტ. 41, 1957) მოათავსა მეტად დადებითი და დაწვრილებითი განხილვა ამ შესანიშნავი წიგნისა.

გ ა ნ ა

ჰიშნების მეტრული და რიტმული საფუძვლის დადგენა, არა მარტო უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენა იყო ძველი ქართული პოეზიის შესწავლისა და გაგების თვალსაზრისით, ამ აღმოჩენით პავლე ინგოროყვამ მუსიკალურ ნიშანთა გამოცნობის ერთგვარ გასაღებს მიაკვლია. ნათელი გახდა, რომ არსებობს განუყრელი კავშირი პოეტურ და მუსიკალურ ტექსტებს შორის. საქართველოში ამ კავშირის გამოვლინება.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით დაიდო სიმონიძეს არ წარმოადგენდა: შავ წერტილს პოეტურ ტექსტში შეესაბამებოდა წითელი წერტილი მუსიკალურ ნიშანთა შორის. ეს იყო მეტრის ნიშანი.

შემდეგ პავლე ინგოროყვა შეუდგა ყველა იმ ძველქართული ხელნაწერის შესწავლას, სადაც კი იყო სანოტო ნიშნები. ჩვენამდე მოაღწია ცხრა ასეთმა მანუსკრიპტმა. ხუთი მათგანი დაცულია საქართველოში, ერთი საბერძნეთში, ქართველთა მიერ მეათე საუკუნეში დაარსებულ ათონის მონასტერში, რომელიც შორეულ წარსულში ქართული ლიტერატურული სკოლის ცენტრი იყო. სამი ხელნაწერი კი ინახება სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს საფანეში. სადაც მერვე საუკუნიდან ქართული სამონასტრო კოლონია იყო და სადაც ყვაოდა ქართული მწიგნობრობა. სოლ. ცხრავე ხელნაწერი 1300-მდე ძლისპირ-საგალობელს ითვლიდა.

ქართულ მუხეუმებში დაცული ხელ-

ნაწერების შედარებამ სიანურ ნოტირებულ მანუსკრიპტების მიკროფილმებთან ინგოროყვა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მათში ერთი და იგივე სანოტო ნიშანთა სისტემაა დაკული მაგრამ მას არაფერი ჰქონდა საერთო უცხოეთის ცნობილ სანოტო დამწერლობასთან. კერძოდ, ნეემებთან, რომლებიც საყოველთაოდ მიღებული იყო შუა საუკუნეებში ევროპისა და აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროს ხალხებს შორის.

პველ ინგოროყვამ ამოიწერა ქართული მუსიკალური ნიშნები. სულ თვრამეტი ასეთი ნიშანი აღმოჩნდა. მკვლევარმა დაინახა, რომ ეს არ იყო იეროგლიფური ტიპის დამწერლობა — იეროგლიფები ხომ ბევრად მეტი იყო ძველ დამწერლობაში, ვიდრე ასოები ანბანური დამწერლობაში. აშკარა გახდა, რომ აქ ნიშანი გადმოსცემს არა ბგერათა ჯგუფს, არამედ უპირატესად ცალკეულ ბგერას, ე. ი. თვრამეტი ნიშანი უნდა წარმოადგენდეს მუსიკალურ ანბანს.

ხოლო რა სიხშირით მეორდებიან ეს ნიშნები?

ინგოროყვა შეუდგა გამოთვლას. ამას დასჭირდა რამდენიმე თვე. საბოლოოდ აშკარა გახდა, რომ თვრამეტიდან მთავარია რვა ნიშანი. ეკვი არ იყო, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ოქტავის რვა საფეხურს.

ეს პირველი დიდი წარმატება იყო, რომელმაც მეცნიერი დაარწმუნა არჩეული გზის სისწორეში. მაგრამ ჯერ ნიშანთა თანამიმდევრობა არ იყო დადგენილთა გაურკვეველი რჩებოდა თვითვეული ნიშნის მნიშვნელობაც. თუ ეს არ დადგინდა, მეცნიერის შრომა ხომ ამაოდ ჩაივლის.

მკვლევარი შეუდგა ნიშანთა შედარებას.

ოთხი მათგანი სტრიქონს ქვემოთ იწერება, ოთხი კი — ზემოთ. ამავე დროს მეცნიერმა შენიშნა ზემო და ქვემო ნიშნებს შორის ერთგვარი პარალელიზმი. ასე, ჩვიზო ნიშნებში ერთი ყველაზე მცირე ნიშანია — პატარა ხაზი, მაგრამ

ზემო ნიშნებშიც ერთი ნიშანი სხვებზე პატარაა: იგი ტექსტში დასმულ ფრჩხილს მოგვაგონებს. მკვლევარმა ნიშანთაგანი კი — ზომით ყველაზე დიდი — გაფრენილ თოლიას წააგავს. ზედა ნიშნებში კი იგივე ნიშანი გადაბრუნებულია და ხაზი აქვს მიმატებული. ამასთან ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ქვემო ნიშნები სტრიქონთან მიახლოებისას მცირდებიან, ხოლო ზემო ნიშნები პირიქით, იზრდებიან. კიდევ ერთი გარემოება: ქვემო ნიშნებს სტრიქონთან მიახლოებისას ახასიათებთ ნოტის მოხაზულობის გაუბრალოების ტენდენცია, ხოლო ზემო ნიშნები, პირუკუა, სულ უფრო რთულდებიან სტრიქონიდან დაშორებისას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ შორის არსებობს თავისებური „სარკისებური თანაფარდობა“.

მკვლევარმა ისე განაღვა ნიშნები, რომ ერთმანეთთან მიახლოებისას ისინი მცირდებოდნენ. გამოვიდა ერთგვარი შკალა. ნათელი გახდა, რომ ეს ოთხნიშნაანი ჯგუფები წარმოადგენდა დიატონური გამის ქვემო და ზემო ტეტრაქორდებს.

მაგრამ სწორი თუა ის თანამიმდევრობა, რომლითაც მკვლევარმა განაღვა თვით ნიშნები? მეცნიერს კვლავ ანგარიში დაეხმარა. ყველაზე მცირე ნიშანი, ფრჩხილს რომ წააგავდა, დანარჩენ ნიშნებზე ოთხჯერ ხშირად გვხვდება. გასაგებია, რომ სწორედ ეს არის ე. წ. „დომინანტა“ — ოქტავის მეხუთე — მთავარი საფეხური. შემდეგ კი, რადგან საგალობელის უკანასკნელ ტაქტში ტონიკა უნდა ქლერდეს, ცხადია, რომ აქ დასმული უნდა იყოს ოქტავის ორ ნიშანთაგან თუნდაც ერთი ნიშანი. ასეც გამოვიდა მასშასადამე გადმოზრუნებული თოლია და მისი მსგავსი ხვეული ნიშანი — ოქტავის ბორჯელ და მერვე საფეხურებს აღნიშნვენ.

ასე გახდა შესაძლებელი სანოტო ნიშანთა თანამიმდევრობის ამოხსნა და დადგენა. ეს მეორე მნიშვნელოვანი წა-

რმატება იყო, მაგრამ ჯერ გაურკვეველი რჩებოდა, თუ რა ბგერას აღნიშნავდა თვითველი ნოტა.

ჯერ კიდევ მუშაობის დასაწყისში მი-
აქცია ინგოროყვამ ყურადღება იმას,
რომ ყოველი საგალობელის პირველ
სტრიქონს მიწერილი აქვს, თუ რომელ
„ხმაში“ უნდა იყოს შესრულებული სა-
გალობელი: „ხმა პირველი“, „ხმა მეო-
თხე“, „პირველი გვერდითი“ (მეხუთე),
„მესამე გვერდითი“ (მეშვიდე). სულ
რვა ასეთი „ხმა“ აღმოჩნდა. ცხადი გახ-
და, რომ ეს იყო მითითება ე. წ. „საეკ-
ლესიო“ დიატონურ კილოებზე (მოდუ-
სებზე), რომელიც საფუძვლად ედო
ძველქრისტიანულ სამყაროს მუსიკას.
„ხმები“ მიუთითებდნენ, თუ რა ბგერა-
თა მწკრივი იგულისხმებოდა საგალობ-
ელში.

ეს იყო მესამე მნიშვნელოვანი ნაბიჯი
ძველქართული მუსიკალური დამწერ-
ლობის საიდუმლოების ამოხსნის გზაზე.

ახლა, მთავარი საკითხების გადაჭრის
შემდეგ. შესაძლებელი გახდა დამატე-
შითი ნიშნების ამოხსნაც. ექვსი მათ-
განი აღნიშნავდა თურმე „იუბილაციას“,
— გარკვეული ხასიათის მუსიკალურ
ორნამენტს. სხვა ნიშნებით აღინიშნე-
ბოდა ქრომატიზმი — ნახევარტონები,
რომლებსაც ქართულ საეკლესიო გა-
ლობაში მეტად იშვიათად შიშართავდ-
ნენ ხოლმე.

ამგვარად შეიქმნა სრული შესაძლებ-
ლობა ძველი მუსიკალური დამწერლო-
ბის თანამედროვე სანოტო ნიშნებზე
გადაყვანისა. ისე, როგორც რომაულ-კა-
თოლიკური ეკლესიის საეკლესიო ვალო-
ზაში, სიდაც XII საუკუნემდე აღი-
ნიშნებოდა მხოლოდ წამყვანი ხმა, ე. წ.
„კანტუს ფირმუსი“, ასევე ქართულ ხე-
ლანაწერებშიც ნოტირებული აღმოჩნდა
წამყვანი მელოდია — „ძლისპირი“. თან-
მხლები ხმები ძირითადი მელოდიის
შებანებას იძლეოდა და მას ასრულებ-
დნენ მიღებული ნორმების თანახმად,
ქართული ხალხური პარამონიის შესაბა-
მისად.

ამრიგად, კვლევის პირველი ნაწილი

დამთავრებული აღმოჩნდა: მუსიკალურ
ნიშანთა სისტემა და ამასთან შეათუ სა-
უკუნის ხელნაწერში შემონახული ქარ-
თული მუსიკალური დამწერლობის სა-
იდუმლო ამოცნობილი იქნა.

საქართველოში წილიდან

ახლა მკვლევარს შეეძლო თვით მუ-
სიკალური ტექსტების წაკითხვას შესდ-
გომოდა. შეათუ საუკუნის ჩანაწერები
ინგოროყვამ თანამედროვე სანოტო ნი-
შნებზე გადაიყვანა. პირველად მან
ღვთისშობლისადმი მიძღვნილი ჰიმნის
(„გებაროდენ“) ტრანსკრიპცია გააკეთა.

— ძნელი გადმოსაცემია, — იგონებს
მკვლევარი, — განუმეორებელი განც-
და იმ წუთებისა, როდესაც პირველად
მოვისმინე საუკუნეთა წილიდან შე-
მოდწეული ხმები, ჩვენგან ათეული სა-
უკუნით დამორებული ბგერები.

სანოტო სისტემის ამოხსნაში ოდნავი
შეცდომაც კი რომ ყოფილიყო დაშვე-
ბული, საბოლოოდ ბგერათა შემთხვე-
ვითსა და უზრო წყებას მივიღებდით.
აქ კი ჟღერდა მშვენიერი ამაღლებუ-
ლი მელოდია.

პირველი ჰიმნის შემდეგ პავლე ინ-
გოროყვამ გაშიფრა კიდევ ოთხმოცი სა-
გალობელი. ყველა შემთხვევაში იზადე-
ბოდა დიდებული მუსიკა, საკვირველი
თავისი შინაგანი ლოგიკითა და მუსიკა-
ლური აზრის-სიღრმით.

დადგა ის წუთიც, როცა პავლე ინ-
გოროყვამ გადაწყვიტა, გაეცნო თავისი
აღმოჩენის შედეგები და კვლევის პრო-
ცესი მუსიკოსთათვის. იგი გაემართა სა-
ქართველოს კომპოზიტორთა კავშირში
და გადასცა კავშირის მდივნებს, ცნო-
ბილ ქართველ კომპოზიტორებს ანდრია
ბლანჩივაძესა და ალექსი მაჭავარიანს
თავისი ამოხსნის „გასაღები“. მეცნიე-
რის ნაამბობმა განაცვიფრა კომპოზი-
ტორები. ა. მაჭავარიანმა გამოთქვა სუ-
რვილი გაცნობოდა პავლე ინგოროყვას
ყველა დებულებას და თვით გაშიფ-
რულ მუსიკალურ ტექსტებს.

ყველა მასალის გაცნობისა და შესწა-
ვლის შემდეგ ა. მაჭავარიანმა გამოაქვე-

ყნა წერილები ამ საკითხზე. იგი წერდა, რომ „გამიფრული ნიშნები შეადგენს საეკლესიო ორგანიზებულ მელოდიას“, ბასიათდება ღრმა ეროვნულობით და აელენს „მკვიდრო კავშირს სახალხო-გუნდურ მუსიკასთან“. „ყველა შემთხვევაში“, — აღნიშნავდა კომპოზიტორი მის მიერ შესრულებულ ოთხმოცივე საგალობელის შესახებ — „უღერდა დიდებული ძველქართულ მუსიკა“.

კომპოზიტორის ეს წერილები დაიბეჭდა ქართულ და რუსულ პრესაში.

მკაბალსაქუნოვანი ჰიმნები

ახალმა საკითხმა დააინტერესა მკვლევარი. ზომ არ შემოინახეს XIX-XX საუკუნის საეკლესიო საგალობლებმა ძველქართულ საგალობელთა კვალი.

კომპოზიტორთა კავშირში სტუმრობის შემდეგ სამი დღე გავიდა პავლე ინგოროყვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს ეწვია და მოითხოვა იქ არსებული ქართული საეკლესიო მუსიკის ყველა ჩანაწერთა. მას გადასცეს ვასილი საუკუნის ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებში ძველქართული სასულიერო მუსიკის საუკეთესო მკვლევართაგან ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლების კრებულები. ეს მასალები უკანასკნელ დრომდე ხელთ ჰქონდა საეკლესიო საგალობლების ერთერთ შემკრებელს და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ხელნაწერთა ინსტიტუტის კუთვნილებად. არავის არ უმუშავნია, არავინ არ დაინტერესებულა ამ ჩანაწერებით.

ბაილი ინგოროყვამ გადაშალა კრებულების სარჩევი და უმაღლეს შენიშნა მრავალ სხვა თხზულებათა შორის მისთვის კარგად ცნობილი ლექსების პირველი სტრიქონები. სწორედ ეს ლექსები დაედო საფუძვლად რამდენიმე ძველ საგალობელს. ეს ლექსები ინგოროყვას მანამდე ჰქონდა გამოქვეყნებული თავის „გიორგი მერჩულეში“.

ეს სასიხარულო ამბავი იყო. მაშასადამე მეათე საუკუნის პოეტური ტექსტები არც თუ ისე დიდი ხანია, რაც სრულდებოდა კვლავინდებურად. ხოლო მუსიკა?

მკვლევარმა აიღო ერთერთი ჭორალი „სასწაულითა“, რომლითაც იხსნებოდა მეათე საუკუნის საგალობელთა კრებული, მოიძია ოთხმოციანი წლების ჩანაწერშიც, შეადარა ერთერთს და საოცრად აღელვებულმა დაინახა უდიდესი მსგავსება — ნიშანთა დიდი ნაწილი დაემთხვა ერთმანეთს. მეცხრამეტე საუკუნის ჩანაწერები შედარებით უფრო რთული იყო, მაგრამ ისე ემსგავსებოდა ძველ ჩანაწერს, როგორც მხოლოდ ქალიშვილი შეიძლება ჰგავდეს დედას! პავლე ინგოროყვამ კინაღამ გრძნობა არ დაკარგა ასეთი განსაკვირებელი დამთხვევით გაოგნებულმა. ინსტიტუტში დღემდე იგონებენ, როგორ ითხოვა მან დასუსტებული ხმით ჭიქა წყალი..

პავლე ინგოროყვას მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიების ამ მომენტს მე შევედარებდი უკანასკნელ დროის აღმოჩენას ზეთური-ფინიქური ბილინგვისას, ორენოვანი ჩანაწერისას, რომელმაც დაიბასტურა ზეთური იეროგლიფური დამწერლობის მერიჯის, გროზნისა და ბონერტიკეული გამოფერის სისწორე.

ინგოროყვა განაგრძობდა მუსიკალური ტექსტების შედარებას.. აი ვიორე ჰიმნი: ლექსი იგივეა, მაგრამ მუსიკის ტექსტებს არაფერი არა აქვთ საერთო! მესამე ჭორალი — იგივე მოვლენაა. მეოთხე... მეხუთე... მერვე... ძლისპირი „მტვირთველმან“ — საოცარი მსგავსებაა.

პავლე ინგოროყვამ შეადარა ერთმანეთს თითქმის სამასამდე ჰიმნი. ამ რიცხვიდან 31 ჰიმნი ამჟღავნებდა დიდ მსგავსებას მეცხრამეტე საუკუნის ჩანაწერებთან. მაგრამ განსაკუთრებული მსგავსება გამოვლენდა შეიღ საგალობელში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველა დანარჩენ ტექსტებს გვიანდელ ხანაში — გასული ათი საუკუნის მანძილზე —

შეუთხზეს და მიუსადაგეს ახალი მუსიკა.

სხვაგვარად არქეოლოგია, ინგოროყვამ ამობელტა ათასწლოვანი ისტორიული ფენა და აღმოაჩინა 31 ჰიმნი, რომელთაც იცოცხლეს ათი საუკუნე. აღმოაჩინა ათასობის საგალობლებზე მეტი, რომლებიც თითქმის სამუდამოდ გაქრა, ეამთაგან დაინთქა. მაგრამ მეცნიერის შრომით სულჩადგმული აღსდგა მკვდრეთით.

პაველ ინგოროყვამ გააცოცხლა შემოქმედება ძველი საქართველოს დიდი მუსიკოსებისა — ივანე მინჩხის, იოანე მტებეარის, მიქაელ მოდრეკილისა და პირველ რიგში გრიგოლ ხანძთელისა, რომელმაც, როგორც ახლა აშკარა გახდა, ძველ-ქართული მუსიკის ისტორიაში ითამაშა დაახლოებით ისეთივე როლი, როგორც იოანე დამასკელმა — საბერძნეთის, ხოლო პაპმა გრიგოლ II — რომაულ-კათოლიკური მუსიკის ისტორიაში.

და ბოლოს — ეს მოხდა 1956 წლის 26 ნოემბერს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ვაჟართობულ სხდომაზე პაველ ინგოროყვამ გააკეთა მოხსენება თავისი აღმოჩენის შესახებ. როდესაც მეცნიერი ტრიბუნას ტოვებდა, დარბაზში შიშოვიდნენ ქართული-კაპელის არტისტები. როიალს მიუჯდა კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი. ლოტბარმა აიქნია ხელი... არა, შეუძლებელია იმ პირველი შთაბეჭდილების ძალის გადმოცემა, როდესაც დიდებულად, მწყობრად და საზეიმოდ აჟღერდა „გალობანი სინანულისანი“ შექმნილი, დავით აღმაშენებლის სიტყვებზე:

ჟამი რა წელითა და ხმელთა
აღმოდგენითა წარმოდგეს,
ხარი მეფობისა წარხდეს
და დიდება დასრტეს,
შეხანი უკმ იქმნეს,
ვეფილენება დაქანეს,
სხვამან შიღოს სვიტრამ,
სხვისა შეუდგნენ სანი,
შამინ შემწყალე, მსაყულო ჩემო!

ქართული და ბერძნული მუსიკალური დაწინაურება

დღეს უკვე არა მარტო ქართველმა მეცნიერებმა იცინან, თუ როგორ ეღერდნენ ძველი ქართული საგალობლები. 1962 წლის 22 აგვისტოს იუნესკომ პარიზიდან პაველ ინგოროყვას აღმოჩენისადმი მიძღვნილი რადიოგადაცემა მოაწყო: მთელი მსოფლიოს გასაჯონად ახმოვანდა ძველი ქართული მუსიკა უფრო ადრე, „კურიერ იუნესკოს“ 1962 წლის მაისის ნომერში რედაქციამ გამოაქვეყნა პაველ ინგოროყვას წერილი, რომელშიც გადმოცემული იყო მისი შესანიშნავი აღმოჩენის მთავარი არსი ამ ნაშრომში გამოიწვია დიდი ინტერესი საფრანგეთშიც, იტალიაშიც, იაპონიაშიც. სოციალისტურ ქვეყნებშიც.

განეგარძოთ საუბარი და ვაუწყობთ მკითხველს იმაზე მეტი, რაც მოთხრობილი იყო „კურიერ იუნესკოში“.

სად და როგორ შეიქმნა ქართული მუსიკალური დამწერლობა? რა ურთიერთკავშირშია იგი სხვა უძველეს კულტურათა სანოტო დამწერლობასთან?

პაველ ინგოროყვა კვლავ და კვლავ აკვირდება „ნეუმებს“, რომლებშიც სარგებლობდნენ შუა საუკუნეებში ევროპისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხები. არა, ისინი არ იყვნენ ქართულ ნიშნებს არც მოხაზულობითა და არც ხასიათით — ნეუმები ხომ არა თვით ბგერების, არამედ ბგერათა შორისი ინტერვალების აღმნიშვნელი ნიშნებია.

მეცნიერი აკვირდება ანტიური ხანის ბერძნების სანოტო ნიშნებს... ისინი ბერძნულად უფრო ახლო დგანან ქართულ ნიშნებთან: ბერძნულა დამწერლობა აღნიშნავს არა ინტერვალებს, არამედ ბგერებს. მაგრამ სხვა მხრივ მათ შორის, თითქმის არაფერი უნდა იყოს საერთო. ბერძნული სანოტო ნიშნები ასოსებურია და იწერება სტრიქონად, როგორც წიგნში. ქართული ნიშნები კი ემსგავსება სტენოგრაფიულ ჩანაწერს და მო-

ძრობს ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ: ხმის მოძრაობა აქ შეთანხმებულია თვალთ მიღვევებისათვის, ეს სისტემა მუსიკის თავისუფალი წაკითხვისათვის არის გათვალისწინებული. ბერძნებს 23 სანოტო ნიშანი აქვთ. აქედან — ხუთმეტი მთავარი ნიშანია და მათ საფუძვლად უდევს ორი ოქტავის ბეგრათა მწკრივი, რაც შეადგენს ე. წ.—სისტემა „ტელიონ“-ს. ქართველებს რვა ნიშანი აქვთ. მათი სისტემა, მასასადავ, უფრო სრულყოფილია, ვინაიდან ერთ ოქტავის სტრუქტურას ემყარება. მაგრამ ეს რაღა? ქართული სანოტო ნიშანი, რომელიც პატარა ალამს წააგავს და ოქტავის მეექვსე საფეხურის აღსანიშნავადაა მიღებული, ზუსტად ემთხვევა ბერძნულ ნიშანს! და რაც ყველაზე გასაკვირია, ამ ნიშანს ბერძნულ დამწერლობაშიც პირველ ოქტავის მეექვსე ადგილი უყავია! ესე იგი დემთხვევა არა მარტო ნიშნების მოხაზულობა, არამედ მათი ფუნქციაც! ისეთივე მსგავსება თუ აღმოაჩნდა სხვა ნიშნებსაც... არა, მეხუთე ბერძნული ნიშანი „გამა“ — „Γ“ — არ წააგავს ქართულს. მიუხედავად ამისა კავშირი უეჭველია: მეხუთე ქართული ნიშანი — ეს იგივე ბერძნული „გამა“-ა როგორც მას გამარტივებულად წერდნენ ძველი ბერძნები („C“). მეშვიდე ნიშანიც ბერძნულს ენათესავება. იგი გამარტივებული აღნიშნაა ბერძნული ასოსი „დიგამა“ (F). ქართული დამწერლობის მეორე ნიშანი იმეორებს ბერძნულის მეორე ოქტავის მეორე ნიშანს, ოღონდ გადმობრუნებული სახით. სამაგიეროდ ლათინურ დამწერლობაში ეს ნიშანი — „პრესუს მაიორ“ — სავსებით ემთხვევა ქართული ნიშნის მოხაზულობას. ხოლო ლათინური სანოტონიშნები ხომ ბერძნულში იღებენ სათავეს!

ასე გამოირკვა, რომ ქართული სანოტო ნიშნების ზემო რივი დაკავშირებულია ძველი საბერძნეთის მუსიკალურ დამწერლობასთან. სტრიქონსქვედა ნიშ-

ნებში კი მკვლევარმა ვერაფერითაღიგება ვერ აღმოაჩინა ბერძნულთან.

ამ სტრიქონსქვედა ნიშნების წარმოშობის კვლევამ და თვით ამ ნიშნების „სარკისებურმა“ მსგავსებამ ზემო რივის ნიშნებთან, მიიყვანა ინგოროყვა იმ ვარაუდად, რომ ეს ნიშნები საქართველოში იყო შექმნილი ზემო რივის ნიშნების მიხედვით.

ეს ვარაუდი მხოლოდ ნაწილობრივ აღმოჩნდა სწორი. მაგრამ სანამ რაიმეს ვიტყვოდეთ ქვემო ტეტრაქორდის ნიშნების წარმოშობის შესახებ, ჩვენ კიდევ ერთ აღმოჩენას უნდა შევეხოთ.

VII საუკუნის სახელმძღვანელო

პირველი შეხედვით არავითარ ახალ აღმოჩენას არ ქონია ადგილი: ხელნაწერი, რომელიც პავლე ინგოროყვამ მოიხიბოვა, უკვე ეკავათ ხელში მეცნიერებს, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გაერკვა მის შინაარსში.

ეს იყო გალობის ძველი სახელმძღვანელო, დასათარებელი — „ნუსხა ჭრელისა სრული და მართალი“. აქ შეკრებილ ლექსებს თან ახლავდა არა სანოტო ნიშნები, არამედ ლექსის ყოველ სტრიქონთან დართული მითითება ნომოსზე, რომლის მიხედვითაც უნდა შესრულებულიყო გალობა. ამრიგად გალობა შედგებოდა მზა მუსიკალურ „ფორმულთაგან“, უკვე არსებული მელიდიების კომბინაციისაგან. ნომოსთა მიხედვით ამგვარი გალობა შეიძლება შევადაროთ მზა მსხვილბლოკიან პანელებისაგან შენობის აგებას. თვით ნომოსები კი აღებულ იყო უკვე არსებული საგალობლების ვრცელ რეპერტუარიდან.

საგალობლები ამ სახელმძღვანელოში განლაგებულია V—VIII საუკუნეთა ქართული საეკლესიო კალენდარის მიხედვით.

სახელმძღვანელოს ტექსტის შესწავლამ და საქართველოს ისტორიის მონაცემებთან შემოწმებამ ინგოროყვა მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს სახელმ-

ძღვანელო შედგენილ იქნა VII საუკუნის ოცდაათიან წლებში, მცხეთაში — საქართველოს პატრიარქის ცენტრში. ამ დროისათვის საქართველოში ქრისტიანული ღვთისმსახურების პირველი სამი საუკუნის მანძილზე გამოუმუშავებული ნომოსები კლასიფიცირებული და სისტემატიზირებული იყო. გარდა ამისა სახელმძღვანელოში შეტანილ იქნა უძველესი ნომოსებიც, რომლებიც ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ, ანტიკურ ხანაში იმღერებოდნენ საქართველოში.

სახელმძღვანელოში ეს უძველესი ნომოსები არა მარტო ნიმუშებადაა გამოყენებული, არამედ ცალკეც კი არის წარმოდგენილი წიგნის ბოლოში საგანგებო დამატების სახით, სათაურით „გვარნი ქრელთანი 24“.

ამ ნომოსთა სათაურებზე დაკვირვებისას მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ აქედან რვა-რვა ნომოსთა სამი ჯგუფი იქმნება და რომ ამ სამ „ჯგუფს“ შორის არსებობს უშუალო კავშირი. ამ სისტემამ მოაგონა ინგოროყვას ბერძნული სისტემა „ტელეიონი“ ანუ ბერძნული ოროქტავიანი ბგერათა მწკრივი. მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ქართულ სახელმძღვანელოში რვა ნომოსისაგან შესდგებოდა ყოველი ამ ჯგუფთაგანი, მკვლევარს აფიქრებინა, რომ ისინი ერთმანეთთან საოქტავო სისტემით არიან დაკავშირებულნი. ინგოროყვამ გადაწყვიტა, რომ ნომოსები შეესაბამებოდა ბგერათა მწკრივს. ეს დაადასტურა ნომოსთა სახელწოდების ანალიზმა. ასე მაგალითად ყოველი ჯგუფის პირველი ნომოსის სათაური ნიშნავს — „მთავარს“, „გაბატონებულს“, „დაბალს“, ეს კი მიუთითებდა მათს პირდაპირ კავშირზე ოქტავის პირველ საფეხურთან.

მერვე ნომოსებს ქართულად ეწოდება „ოღია“, „ზაია“, და „დასადებელი“. ამ ფანასკნელმა სახელწოდებამ მოაგონა ინგოროყვას სისტემა „ტელეიონის“ დასკვნითი ბოლო ტერმინი — „პროს-ლამბანომენოს“, რაც საკვებით

ემთხვევა ქართული ტერმინის აზრს და აღნიშნავს ოქტავის ბგერათა შესაბამისობას.

ანტიკური გრამატიკის ერთ ნაწილს „პროსოდია“ ეწოდება; „პროსოდია-პირდაპირი მნიშვნელობით „მინამ-ლერს“ ნიშნავს. ეს ტერმინი გრამატიკაში მუსიკიდან შემოიჭრა.

„პროს-ლამბანომენოსის“ ანალოგიით პავლე ინგოროყვამ ივარაუდა, რომ ნომოსი „ოღიაც“ მერვე საფეხურის შეხებაშიოსებას აღნიშნავს, რომ ტერმინი „ოღია“ „პროს-ოღიისაგან“ წარმოიშვა... იმ წუთში მკვლევარმა არც კი იცოდა, თუ რამდენად მართალი იყო იგი!

საშხანი მხარე

იოანე პეტრიწონელის შრომაში და სხვა ძველქართულ წყაროებში მოყვანილია პროსოდიის ნიშანთა ბერძნული და მათი შესაბამისი ქართული სახელწოდებანი. ბერძნული „ბრაქია“ — აღნიშნულია წყაროებში, — ქართულად ნიშნავს: „საბრუნავი“. „ფსილე“ ქართულად ნიშნავს: „წვილი“.

მაგრამ ეს ხომ ნომოსთა სახელწოდებანია! სწორედ იმ ნომოსთა, რომლებიც VII საუკუნის სახელმძღვანელოში დამატებით განყოფილებას შეადგენენ — „გვარნი ქრელთანი 24“.

ინგოროყვამ გადაფურცლა ბერძნული ცნობარი, რომ შეემოწმებია, როგორ გამოიყურებოდა პროსოდიის ნიშნები... და დაინახა: ნიშანი „ბრაქია“ საკვებით ემთხვევა ქართული ოქტავის მეორე სანოტო ნიშანს. ეს კიდევ არაფერი! ნომოსთა სიაშიც ნომოსი „საბრუნავი“, ან როგორც ქართული წყაროები აღნიშნავენ „ბრაქია“ — მეორე ადგილზეა.

ეს არ განაცვიფრებდა ეს ორმხრივი დამთხვევა!

მაგრამ ესეც ცოტა იყო! ნიშანი „ფსილე“ შეეფარდება ოქტავის მესამე ნიშანს. ხოლო ამის შესაბამისად ნომოსთა სიაშიც „წვილს“ ანუ როგორც წყაროებში ეწოდება

„ფსილეს“, ზუსტად მესამე ადგილი უკავია!

ამგვარად, იმ წუთში, როდესაც პავლე ინგოროყვამ დაადასტურა რომ ქართულ დამწერლობაში ორი სანოტო ნიშანი პროსოდის ნიშნებს წარმოადგენს, გამოირკვა და ნათელი გახდა:

სტრიქონს ქვემოთ განლაგებული ქვემო ტეტრაქორდის ქართულ სანოტო ნიშანთა წარმოშობა;

ორი სანოტო ნიშნის ძველქართული სახელწოდება;

ოქტავის საფეხურთა შორის სანოტო ნიშანთა განლაგებასა და სამ-ოქტავიან სისტემაში ოცდაოთხი ნომოსის მდგომარეობას შორის შესაბამისობა. და რაც მთავარია, დადგენილ იქნა, პროსოდის ნიშანს, სანოტო ნიშანს და ნომოსს შორის ღრმა კავშირი, მათი განლაგების ზუსტი და სისტემატიზირებული ხასიათი, მსგავსი ტაბულის უჭრედებისა.

ახლა დანარჩენი სანოტო ნიშნების წარმოშობის გარკვევის ჯერიც დადგა.

სახარების დახმარებით

ზოგადად უკვე ყველაფერი ნათელი იყო: ქართული სანოტო სისტემის მეოთხე ნიშანი უნდა შეესაბამებოდეს მეოთხე ნომოსის სახელწოდება — „ოინი“, მეხუთე ნიშანს მეხუთე ნომოსის სახელწოდება „ნოინი“. მაგრამ საიდან წარმოსდგებოდა თვით ეს სახელწოდებანი?

მეოთხე ნოტის აღმნიშვნელი პროსოდის ნიშანი — მცირე ხაზისა! აქ ინგოროყვას გაახსენდა სახარების ტექსტი:

„სანამ არ წარხდეს ცა და ქვეყანა. უმცირესი ხაზებიც კი დამწერლობისა, — არც, ერთი იოტი და არცა ერთი რქა (კერაია) არ წარხდეს კანონისაგან (საღმრთო წერალისაგან)“.

იოტი „I“ იწერებოდა ისე, როგორც რიცხვი „ერთი“. „ოინი“ — „ერთია“ ბერძნულად. ე. ი. იოტი“ და „ოინი“ — სინონიმებია.

მეორე ნიშანს სახარების ტექსტში „კერაია“ ანუ „რქა“ ეწოდება, პროსოდიაში კი იგი ვადმოცემულია რქის მოხაზულობის მქონე პატარა მსგავსი ნიშნით. ეს ნიშანი ქართულ მუსიკალურ დამწერლობაში ემთხვევა მეხუთე საფეხურს. პროსოდულ ნიშნებში ყველაზე პატარაა „კერაია“ (რქა) და „იოტი“. ქართულ სანოტო სისტემაშიც ისინი ზემო და ქვემო ტეტრაქორდების ნიშნებში ყველაზე მცირენი არიან.

მაგრამ რაღას ნიშნავს სახელწოდება „ნოინი“?

იგი ნიშნავს „არა ოინს“, ე. ი. ნიშანს, რომელიც „ოინს“ უპირისპირდება. ქართული სანოტო გრაფიკაშიც ხომ ეს ნიშნებიც სწორედ ასე შეესაბამისება ურთიერთს: „ოინი“ ქვემო მწკრივშია და უპირისპირდება „კერაიას“ ზემოში.

ინგოროყვამ სხვა მხრივაც შეამოწმა თავისი ოასკენა. პიკრიწი პროსოდის ნიშანთა ჩამოთვლისას „კერაიას“ ხაზს უწოდებს, ხოლო „იოტს“ ანუ „ოინს“ — ქვემო ხაზს და შეაქვს ხელნაწერში ორივე ნიშნის მოხაზულობა. ეს კი ქართული ოქტავის სწორედ მეოთხე და მეხუთე ნიშნებია!

ის, რომ ქართულ მუსიკალურ დამწერლობას საფუძვლად ბერძნული პროსოდის ნიშნები დაედო — ვასაკვირველი არ არის. ჩვენამდე მოაღწია უამრავმა ფაქტმა, რომლებიც მოწმობენ რომ ანტიკური ხანის საქართველოში ქართულთან ერთად ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნული დამწერლობაც.

ახლა ქვემო რიგის ყველაზე ქვემო ნიშნის წარმოშობადა დარჩა გასარკვევი. მაგრამ, რადგანაც ინგოროყვას დაკვირვებით, ყველა ქვემო სანოტო ნიშანი პროსოდის ნიშნებისაგან იყო წარმომდგარი, ცხადი გახდა, რომ ეს ნიშანიც პროსოდულ მოხაზულობათა

შორის უნდა ყოფილიყო საძიებელი. ასეც აღმოჩნდა სინამდვილეში.

ბერძნულად ამ ნიშანს „იო-დაისტოლ“ ეწოდებოდა, როდესაც VI ან VII საუკუნეებში ბერძენი მშენებელი ებიფანე კვიპროსელს თხზულებანი ითარგმნებოდა, ქართველმა მთარგმნელმა ამ ნიშნის სახელწოდება თარგმნა, როგორც „ქვეშე-სენილი“. ქართულ სანოტო დამშენებლობაშიც ხომ ამ ნიშანს სწორედ ასეთი ადგილი უკავია! აქედან ძნელი დასასკვნელი არ არის, რომ VII საუკუნეში ქართველები არ განასხვავებდნენ პროსოდიისა და სამუსიკო დამშენებლობის ქვემო რიგის ნიშნებს. და აი, კვლავ დამთხვევაა ნომოსთან: ამ ნიშნის შესაბამის ნომოსს, „ხელმწიფე“ ეწოდება, რაც განპირობებული იყო ოქტავაში მისი წამყვანი მდგომარეობით.

ეს ვასაოცარი არგუმენტაცია, რომელიც მრავალმხრივად და მრავალკუთხედად აღსატურებს სანოტო სისტემას, კილოხმებისა და ნომოსების მწყობრ ერთიანობას, გვაგონებს ჩვენი ეპოქის გამოჩენილი მეცნიერის ვენტრისის განთქმულ „ცხრილს“. — ვენტრისის კრეტამიკენის დამშენებლობის საიდუმლოება გახსნა. როგორც ცნობილია, ვენტრისის არგუმენტაციის ლოგიკურმა წყობამ, რაც გრაფიკულად ტაბულაში — სამხვე „ცხრილში“ იყო განხორციელებული, მთავრდებოდა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მათზე, ვინც კი თვალს ადევნებდა მის აღმოჩენას.

მეორე რიგი

ყოველივე, რაც ჩვენ აქ გვიამბოვს, საკმაოდ ხათელ წარმოდგენას გვაძლევს ძველ საქართველოში მუსიკალურ-თეორიული შეხედულებებისა და საერთოდ მუსიკალური აზროვნების მაღალი დონის შესახებ. კერძოდ ქართული მუსიკალური დამშენებლობის წარმოშობას პავლე ინგოროყვა წვლთადრიცხვის პირველ ორ საუკუნეს მიაკუთვნებს, არც თუ ისე ბევრმა ეგზომ ძველმა მუსიკალურმა ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე, როგორცია ახლად აღმოჩენილი ძველ ქართული ჰიმნები. როგორც ცნობილია, ძველბერძნული მუსიკის ძეგლები მეტად მცირე რიცხვით არის შემონახული. ევროპული მუსიკის ყველაზე ადრინდელი ჩანაწერები უმთავრესად საშუალო საუ-

კუნეებს განეკუთვნება. მათგან ყველაზე ადრინდელია რომულ-კათოლიკური და ბერძნულ-ბიზანტიური კელუსიების რეპერტუარი, რომელიც VII—X საუკუნეებით თარიღდება და რომლებაც წარმოდგენილია IX—X საუკუნის ხელნაწერებში. უკვე აქედანაც ცხადია, რომ ძველმა ქართულმა მუსიკამ, რომელიც აღბეჭდილია X საუკუნის ხელნაწერებში, და რომელიც შეიცავს ძირითადში VII საუკუნეთა რეპერტუარს, უნდა დაიკავოს ადგილი მსოფლიოს უძველეს მუსიკალურ კულტურათა რიგში. ეს მთელის სიცხადით გამოძინარეობს პავლე ინგოროყვას აღმოჩენილს.

ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო მის ნაშრომში — ეს იყო ნომოსთა რეალური ეტიმოლოგია. თითქოსდა არცერთმა მათგანმა არ მოაღწია ჩვენამდე თითქოსდა ისანი „გათიქვიფენი“ საგალობლებში და უკვე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მათი „წმინდა სახით“ გამოყოფა და აუღერება.

მაგრამ ეს ასე როდი იყო სინამდვილეში. მანამდე, სანამ ამოხსნებოდა ძველი სანოტო დამშენებლობა, ნომოსთა სისტემა თავისთავად არ იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ამავე დროს XX საუკუნის დასაწყისში ხუთი ნომოსი — „ჩაბანება“, „უღბინე“, „ქრელსადაგი“, „ოინი“ და „ნოინი“ — ჩაწერილ იქნა ძველ-ქართულ გალობის საუკეთესო მცოდნის ვასილ კარბელაშვილის მიერ.

ნომოსთა სახელმძღვანელოში პავლე ინგოროყვამ მიაგნო მითითებას, რომ საგალობელი „ნათელი მოხვედ“ იმღერება, როგორც ნომოსი „ქრელსადაგი“, ხოლო პირველი ტიპი საგალობლისა „ქრისტე აღსდგა“ — როგორც ნომოსი „უღბინე“.

ეს ტექსტები მოინახა მიქაელ მოდრეკილის შეათე საუკუნის ჩანაწერთა კრებულში. ინგოროყვამ შეადარა ამოხსნილი ჰიმნები ნომოსებს... და კვლავ მოხდა საკვირველი დამთხვევა!..

ეს იყო ახალი და მეტად დამაჯერებელი არგუმენტი მკვლევარის სასარგებლოდ, მაგრამ...

მაგრამ უამისოდაც ნათელია შესანიშნავი საბჭოთა მეცნიერის აღმოჩენის უდიდესი მნიშვნელობა.

ბიოგრაფიული

დავა საბჭოთა ეროვნული კულტურის შემდგომი
განვითარების გზების შესახებ*

სადავო აზრებს იცავს გ. შანინაროვი წე-
რილი — „დაახლოება აუცილებელია სწრაფად“
(გაზეთი „იზვესტია“, 1962 წლის 22 მარტი). გ.
შანინაროვი ენება კერძოსა და ზოგადის, ნაცი-
ონალურისა და ინტერნაციონალურის პრობლე-
მებს ხელოვნებაში და წერს: „რასაკვირველია,
ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებები
ნებას ვაძლევენ უფრო ღრმად და ზედმიწევ-
ნით ვაფიქროთ ამა თუ იმ ხალხის სულიერებაზე,
მისი ეროვნული ცხოვრების თავისებურებანი.
მეორე იმავე დროს მხატვრულ ნაწარმოებებში
ჩვენ ვეძებთ ადამიანს, მის ამაღლებულ სასი-
ცოცხლო პრობლემებს. და ვაულოებთ არაფე-
რის რომანებში — სამართლიანობისათვის შამაც
მეზარალო — კომუნისტებს (არა მარტო ფრან-
გებს), ნერუდის ლექსებში — მგზნებარე მოწო-
ლებას იმპერიალიზმისაგან დამონებული ხალხე-
ბის (არა მარტო ჩილელების) გათავისუფლე-
ბისათვის, კენტის სურათებში — ბუნების სი-
დიდეს და მის დამპირილიებულ ადამიანთა
(არა მარტო ამერიკის კონტინენტზე) სიღამე-
ზე“... ცხადია, ადამიანთა ცხოვრებას და თვით
ადამიანს, როგორც უმაღლეს გონიერ არსებას,
ახასიათებს მრავალი საერთო, შემაჯავებირე-
ლი მხარე. რომ არ ყოფილიყო ეს საერთო, და-
მახლოებული მხარეები ადამიანთა შორის, სულ
ერთია რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ
ისინი, რომელ მატერიაზედაც არ უნდა ეცხოვე-
რათ, შეუძლებელი იქნებოდა კაცობრიობის ის-
ტორიის არსებობა, ხალხთა შორის ურთიერ-
კავშირი და ერთმანეთის ვაცება. გ. შანინარო-
ვი ამ ჭოხილებიდან კი არ განიხილავს კაცობ-
რიობის ერთიანობის პრობლემას. იგი, ზოგი-
ერთ თეორეტიკოსთა მსგავსად, მოუწოდებს ნა-
ციონალურს დამატოს ერთობის განსაზღვრე-
ლი დოზა. დაბა, ლდი არაფონის რომანებში, გან-
საკუთრებით მის ეპოპეაში — „კომუნისტები“
— ჩვენ ვხედავთ არა მარტო ფრანგ კომუნის-
ტებს, არამედ სხვა ერის კომუნისტებსაც. რი-
თა ეს გამოწვეული? იგი გამოწვეულია არა-
ფონის ეპოპეის მასშტაბურობით, ნაწარმოების

აგებულობის კომპოზიციური თავისებურებით,
რაც მოთხოვდა მრავალფეროვანი სოციალური
და ეროვნული პრობლემების მოცეას და ამის
შესაბამისად თხრობის ფარგალთა გაფართოე-
ბას. ეთქვან, მარტო ფრანგი კომუნისტები გა-
მოყვანა თავის რომანში ლდი არაფონს, განა
ამით მისი რომანი ეროვნულად შესუდუდილი
მხატვრული შიგნითა და მხოლოდ ფრანგი ში-
თხელისათვის საჭირო და გასაგები ნაწარმოე-
ბი იქნებოდა? არა გვეოხნა. თითოეული ხალ-
ხის, თითოეული ერის ბედი ასე თუ ისე დაეე-
შირებოდა მთელი კაცობრიობის ბედ-იღბალ-
თან. ყოველი ერის ცხოვრებაში, ყოველ ერო-
ვნულ კულტურაში არის კაცობრიობის ისტორი-
ის ნაწილი, შით ვმეტებს, როცა შწირალი თავის
ნაწარმოებებში ეხება ეროვნული ცხოვრებისა
და განვითარების არა მერეგზარისხოვან და წარ-
მეალ, არამედ მთავარ საკითხებს. ასე რომ, თუ
არაფონი დასწერდა უპირატესად ფრანგებზე,
ხოლო წერდა — ჩილელებზე, სულ ერთია,
ისინი — როგორც დიდი პროგრესული შწირ-
ლები — თუეიანთი ერის ისტორიაში აღმოაჩენ-
დნენ სხვა ხალხებისათვისაც დამახასიათებელ
მრავალ სოციალურ, საზოგადოებრივ და ზნეო-
ბრივ მხარეს. ვადაეფერცლოთ წარსულის კა-
ბალონები, ბაირონის „ჩაილდ პაროლში“ მოქ-
მედებენ მარტო ინგლისელები, შილერის „ყაჩა-
ლებში“ — გერმანელები, ფლობერის „გრანო-
ბათა აღზრდაში“ — ფრანგები, დე კოსტერის
„ტილ ულენშაიგელში“ — ნიდერლანდელები,
მეშკინის „ბრიწყაის მხედარში“, ვოგოლის
„რევიზორში“, გონჩაროვის „ობლომოვი“,
ტურგენევის „მამებსა და შვილებში“, ტოლ-
ტოის „ნა კარენინში“, დოსტოევის „იდიო-
ტი“ — მარტოოდნ ერსეები, ი. ჰეკევიადის
„გლახის ნამბობსა“ და „ოთარაანთ ქერივი“,
ეეა-ფშიეილას „გველის მშამელში“, ყახბევის
„ხევისბერი გომასა“ და „ელგუფაში — ქართე-
ლები, და მაინც მსოფლიო ლიტერატურის ამ
და ამით მსგავს ცნობილ ნაწარმოებებში ერთი
ერის, ერთი ხალხის ცხოვრების შიგალონზე
წამოყენებულია კაცობრიობის ცხოვრების უდი-
დესი პრობლემები, რომლებსაც აქამდე არ
უქარაგავთ თავიანთი ძლიერება და მნიშვნელო-
ბა. ზოგადკაცობრიულისკენ მიმეალი გზა აქ

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 10.

მიემართება ეროვნულ მოთხოვნებთან, ეროვნულ ბედ-იბაბთან დაკავშირებით. ამიტომაც ხასიათდება, რომ ვაჭრობის ხასიათებში, მათ გარემომცველ ვითარებებში, მათ ფიქრ-ოცნებებში, ძიებებში, ტრაგიკულ ბრძოლებში, აღმოჩენებში და ჩაერთვებაში ჩვენ ვინახავდებით ეროვნულსა და საყოველთაოს, ზოგადკაცობრიულს. დიდოსტატის ხელით აყენებულ ეროვნულ გაანჩინა საუკუნოთა თვისება: იგი, თავისი ეროვნული ფიზიონომიისა და ეროვნული თავისებურების დაუკარგავად, შეუქმნევლად, თანდათანობით, რაიმე დაპატრონობით დაძაბულობის უმისოდ, იძენს მსოფლიო ელვარდობას და იქცევა ზოგადკაცობრილად ღირებულად. ასე იყო ეს წიხით, ასე ზღვდა აქცენაცია.

ინტერნაციონალიზმის ვაჭრობა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით: აღმართა ინტერნაციონალური ერთიანობის ასახვით (როცა ნაწარმოებში არიან სხვადასხვა ხალხთა წარმომადგენლები), და, პირთადად რომ ვთქვათ, „წმინდა“ ეროვნული წინაარსის მოვლენათა ასახვით, როცა ნაწარმოებში არ არიან სხვა ხალხთა წარმომადგენლები, მაგრამ თითონ იგი თავისი სულისკეთებით, აზრით, პათოსით უაღრესად ინტერნაციონალურია და პუმანისტური. ჩვენ იმდენად ვართ ვართ, ვართხელ დაუბრუნდეთ ამ თეზისს, რადგან, როგორც ადგილად დავრწმუნდით, უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ზოგიერთ თეორიულ წერილში ყველაზე მეტი უთაბოლოება და დაბნეულობა ვგვხვდება სწორედ ამ საქითვის განხილვისას.

ჩვენი აზრით, მთლად ზუსტი ჩოლია გ. შამნახაროვის ასეთი აზრით. ის ელაგება ვ. სოლოუხინს: „გუშარქოს, წერს ვ. სოლოუხინი... უზბეკურად მოცეკვავე ვალია იზმალოვას, სომხურად მომღერალ ვოსარ გასპარიანს, ავარულად დამწერ რასულ ჰამბატოვს“. მაგრამ მოსკოვში გამოსვლისას ვოსარ გასპარიანი ხომ მღერის იტალიურად, და რუსულადაც სწორედ იტალია, რომ სურს ფართო აუდიტორიაში დაიფანოს არათა სიტყვები, მათი პარმონიული ერთიანობა. ვალია იზმალოვა, უზბეკურ ელაგებთან ერთად, ხომ ოსტატურად ასრულებს ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა ცეკვებსაც. და, რა საყვირებია, თუმა არაფერი მოეწოდება რასულ ჰამბატოვს წეროს არა ავარულ ენაზე, მაგრამ მისი ლექსები ხელმისაწვდომი ზღვება მრავალმილიონიანი მეთოხველისათვის სწორედ თარგმანებში, ზოლო მის ლექსებს სრულიად არ კითხულობენ მთის ევზოტიკისაში ცნობის-მოყვარულბობით, არამედ ფაქტში ფსიქოლოგიზმის გამო, პოეტური ენის სიტხადისათვის, სიახლისა და გონებამახვილობის გამო. რატომ უნდა გავხადოთ ვ. სოლოუხინი ესოდენ გულუბრყვლო და ნაკლებადმოცოდნე აღმართა ვ. სოლოუხინი სულ სხვა რაიმეს იყავს: ეროვნულ კულტურის მოღვაწე, უწინარეს ყოვლისა,

თავის შემოქმედებაში ასახავს ამ კულტურის თავისებურებებსა და განუყოფებელ მხარეებს. მაგალითად, უკრაინის, ბელორუსისა და უზბეკების განის, უზბეკეთის, საქართველოს, სომხეთის, პოლონეთისა და ა. შ. სიმღერისა და ცეკვის ასახვებში, ვფიქრობთ, მოწოდებულნი არიან, პირველ რიგში, შეასრულონ უკრაინული, ბელორუსული, აზერბაიჯანული, უზბეკური, ქართული, სომხური და პოლონური სიმღერები და ცეკვები და არა არგენტინული, ბრაზილიური და ფრანგული. ეს სრულიად არ ნიშნავს იმის, თითქმის მათთვის მიუწვდომელი იყოს სხვა ხალხთა სიმღერები და ცეკვები, თითქმის მათ არ უნდა ათვისდონ და შეასრულონ ისინი. ვ. სოლოუხინი სრულიად არ იმარტვის ეროვნული შეზღუდულობისა და იზოლირებისათვის. იგი მხატვრული შემოქმედების განსაზღვრულობის მომხრეა და ამაში ის მართალია. გ. შამნახაროვი ანტიცეკვს: „მოსკოვში გამოსვლისას ვოსარ გასპარიანი ხომ მღერის იტალიურად და რუსულადაც სწორედ იტალია, რომ სურს ფართო აუდიტორიაში დაიფანოს არიების სიტყვები, ბელორუსთან მათი პარმონიული ერთიანობა“. უცნაურად ვფიქროვთ ეს სიტყვები. ვანა გ. გასპარიანს ვინახავდებით სომხური სიმღერები და არიები რომ ემღერა, ნეთე ბელორუსთან მათი პარმონიული ერთიანობა არ დაელოდა ფართო აუდიტორიაში? იტალიური და რუსული არიები, რომლებსაც თითქმის დაპყებით ფართო მსმენელბადის ბელორუსთან პარმონიული ერთიანობა, ხომ ვარკვეული ეროვნული ბელორუსების მოვლენას წარმოადგენს? ვანა ასე არაა? რა საქითა რუსულისა და იტალიურის სომხურთან, თუმა უნებლისა, მაგრამ მაინც ასეთი შეპირისპირება? ყველა ქვეშარტად ხალხური სიმღერა და არია, სულ ერთია რომელი ხალხის წიაღში წარმოიშენენ ისინი, ესაბტიკურად მისაწვდომია აუდიტორიისათვის. კანონიერი იქნებოდა მარტაკი სხვადასხვა ეროვნული კულტურის განვითარებისა და სრულყოფის არათანაბარი ხარისხის შესახებ. არაფისათვის არაა საიდუმლოება ის, რომ არსებობენ ისეთი კულტურები, რომელთაც მრავალი საუკუნის მანძილზე დაბეჭვითა და სრულყოფით მი-აღწერს მალად დონეს, და არსებობენ ნორჩი კულტურები, რომლებშიც შედარებით ახლახან გაისწორეს ფრთები გასაფრენად. შეუძლებელია მათი ურთიერთგათანაბრება, მათ შორის ტოლობის ნიშნის დადება. მაგრამ მუდარი იქნებოდა მსჯელობა იმაზე, რომ ზოგიერთი ეროვნული ღირებულება ხელმისაწვდომია ფართო მეთოხველისათვის, მსმენელისა და ამ მუდარებისათვის, სხვები კი — არა. ფართო აუდიტორიის მალაიან კარგად ესმის ყველაფერი ხალხურად ლაშაში და ორიგინალურია... არ შეიძლება ერთმანეთს შეეჯახოთ ეროვნული კულტურები და ერთის ღირსებით დაწინაურდოთ მეორის

ღირებულება და სიციხეველი. თითოეული ეროვნული კულტურა მოითხოვს აღიარებასა და ყოველმხრივ პატივისცემას.

რაც შეეხება რასულ ქაშატაძეს, ე. სოლოუხინს, ალბათ, მხედველობაში ჰქონდა არა მთის ევზოტიკა, არამედ ის, რომ რ. ქაშატაძე საბჭოთა ავარული პოეტია. რ. ქაშატაძე წერს ავარულ ენაზე, და ეს ხელს როდი უშლის მას იყოს საყოველთაოდ აღიარებულ ენობრივი საბჭოთა პოეტი. ავარული ხალხის სოციალური ფსიქოლოგია, მისი ფიქრები და აზრები როდითი შეზღავნება და არც შეიძლება გამოეთქვინოს სხვა საბჭოთა ხალხების ფიქრებსა და აზრებს. განა საჭიროა დავიფიქსოთ ახალი სოციალური ინიციატივისა ეროვნული შევწებისა, რომელშიც ორგანიზებულია შერწყმული კერძო და ზოგადი ავარულის დაკავშირება მარტოოდენ მთის ევზოტიკასთან, როგორც ამას ჩათის გ. შანაზაროვი, ნიშნავს წარსულის პოზიციიდან, ეთნოგრაფიზმის პოზიციიდან დაეინახათ ავარულთა ერთი. რატომ არ შეიძლება ახალი ეროვნული ფსიქოლოგიისა და ზნეობაში იყოს ეროვნული სინთეზი ზოგად კომუნისტურთან, რატომ არ შეუძლია ეროვნულს ეროვნული თვითშეფთვების ნიშანთვისებათა და თავისებურებათა დეტალურად გამოვლენის ერთსა და იმავე დროს როგორც ზოგადკომუნისტური?

1962 წლის შარტში, სსრ კავშირის კომპოზიტორთა ყრილობაზე წაითხულ მოხსენებაში ტ. ზრნეიკოვი ლაბარაკობდა ეროვნული მუსიკალური კულტურების სულ უფრო და უფრო გაფართოებულ კავშირის შესახებ, მათი დაახლოებისა და ურთიერთგაფორმების პროცესის შესახებ, ახალ მხატვრულ ტრადიციათა შექმნაზე, იმ ხალხთათვის მრავალშანაშობის წარმოქმნაზე, რომლებიც წინააღიარებენ არ იცნობდნენ მას, ბალეტის შექმნაზე იქ, სადაც არასოდეს არ ყოფილა ბალეტი. მაგრამ ტ. ზრნეიკოვმა საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა ეროვნულ კულტურათა ერთობლივი სოციალისტური მოძრაობის ამ პროცესის თავისებურება. მოხსენებაში მან თქვა: „კომუნისტური მშენებლობის პროცესში სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უმეგობრდებიან ერთმანეთს სოციალისტური ერები და უახლოვდებიან ურთიერთს მათი კულტურები. მივისწრაფიან რა ყველა საბჭოთა ერის საერთო კულტურისაკენ, ჩვენ მასთან ერთად ვიცავთ ეროვნულ საწყისს მუსიკაში, ეპიკოლოდით და ეპიკოლოდებში ბურჟუაზიული ხელოვნებისათვის ტიპური კომპოზიტორი ტენდენციების წინააღმდეგ“ (ვახუთი „იხვესტია“, 1961 წ. 26 მარტი).

მაბატოს და მოპიტეოს ჩემი დოკუმენტში პატივცემულმა ახანავამ შანაზაროვმა, ეროვნულ მუსიკალურ კულტურათა განვითარების საკითხში მე უფრო მეორე ისეთი დიდი ავტორიტეტისა როგორც ტომონ ზრნეიკოვია, და არა

მისი, შანაზაროვის, ეს რაღა დისპონა, ხომ არ დაიფინებს ჩვენს ლარწმუნებას გ. შანაზაროვი, თითქოს ხრენიკოვზე უფრო ურყვევად ის ეროვნული მუსიკალურ მემკვიდრეობის კულტივაცია?

ვიდეც ერთ მდებარე მოსაზრებას გამოთქვამს ა. ავაივი ის ამბობს: „ჩემს წერალებში ლაბარაკი იმხელა იყო, რომ ჯერ ვიდეც არიან ჩვენს ცალკეული შემოქმედნი — მწერლები, მოჭანდაკენი თუ მხატვრები, რომლებიც ამტკიცებენ მხოლოდ ჩვენი საყუთარი ხალხისთვის ექმნი. თო. რომ ჩვენი ნაწარმოებები, განსაკუთრებულ ეროვნული ღირსებების გამო, ხშირად კვლავინ მხოლოდ და მხოლოდ შემოხლოვნი ენაზე და, ამიტომაც ისინი მღვთაგანი არიან სხვა ეროვნებათა მკითხველებისა და მწერებლებისათვის“. უდავოა: მდებარე თეორია ლიტერატურული ნაწარმოების უთარგმნელობაზე. ხელოვნების იტალიური ბურჟუაზიული თეორიებისა ბ. კაროე ამტკიცებდა რაღაც ამგვარს. იგი ლაბარაკობდა იმის შესახებ, რომ ერთი ეროვნული ენის საშუალებით შექმნილი ესთეტიკური ფორმები არ შეიძლება გადმოიყვანოს მეორე ენის ლექსიკურ საშუალებათა დახმარებით. მისი აზრით, ლიტერატურული ნაწარმოები თავისთავში ჩაერთო ესთეტიკური მოვლენა, და როგორც კი იგი იწყებს ეროვნული ზღვრების გადალახვას და ვახდება სხვა ენაზე მოლაპარაკე მკითხველის ხელმისაწვდომი, მაშინვე ჰკარგავს თავის პირველქმნილ სილამაზეს, ჩვენ კი სხვაგვარად გვაგონია. ლიტერატურული ნაწარმოები თარგმნილია. მაგრამ გვაქვს თუ არა უფლება ვილაპარაკოთ ეროვნული ხატოვანი აზრების შესახებ? უკანასკნელ წელთა მრავალრიცხოვანი დისკუსიები უცილობლად ადასტურებენ: მთარგმნელობით საქმეში ჯერ ვიდეც ბევრია არსებითი და სამწუხარო ხარვეზი, მრავალი მხატვრული წესი და უბრალოდ — ხალტურა. როცა ვუმხრობით მოსაზრებას ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნის შესახებ, გვერდს ვერ აუვლით ყველა სხვა ვარაუდობას. სჯობს სომართლე ვილაპარაკოთ. არსებობენ ფაქტები, და ისინი ცოტანი როდი არიან, როცა შალანოვიკი პოეტები, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს თავიანთი ხალხის სულიერ აღზრდაში, მეორე ენაზე გადათარგმნისას განიცდიან სერიოზულ, ზოგჯერ აუნახადურებელ დანაკარგს, თარგმნების მიხედვით შეუძლებელი ექიმნიით თუნდ შორეული წარმოდგენა მათს მნიშვნელობაზე ერის კულტურის განვითარებისათვის. რაშია აქ საქმე? იქნებ, თარგმნის დროს შეუძლებელია შენარჩუნებულ იქნას ზღვრებულად პოეზიის (და არა მარტო პოეზიის!) მუსიკალურობა და მომხიბვლელობა? არიან ადვილად სათარგმნი პოეტები და მწერ-

ლები, არიან ძნელი სათარგმნელიც. ზოგჯერ ძნელადგადასათარგმნელსა და ძალზე თავისებურს, კოლორიტულ მწერალს შევრჩევენ ხოლმე ყველა ვადასათარგმნელ ნაწარმოებისათვის საერთო „განაღებს“ და სწორედ ამით აუბიროვნებენ და აუფერულევენ მას. და მაშინ ლამაზად და პარმონიულად შექმნილი ნაწარმოები განადგურდება. დარჩება მარტო ნაშესვრეები და უხადრეკი მსგავსება იშისა, რაც ეროვნულ ენაზე დიდებული იყო და იწვევდა აღტაცებასა და გაოცებას. აბა, ერთი თქვით, ხომ ხდება ასე? ასეთი ამბავი ხდება და არც ისე მკითრ რაოდენობით. მოიგონეთ ვალაკტიონ ტაბიძე — ერთ-ერთი უღრესად ნატივო პოეტი, უხადო, ნამღვილი არტიტული სმენით და სიტყვის არაჩვეულებრივად გამაზვილებული გრძობით. „ღურჯა ცხენები! ხშირად ჩლივი აღმოჩენე ასეთ მარგალიტს არა მარტო ქართულ, არამედ — ბებრადეთ ამის თქმას — მსოფლიო პოეზიაშიც. „ღურჯა ცხენები“ ვერატიტებენ ზვედ თავისი დანაშობით, ქარბუქისებური, სწრაფდმსრბოლი გაქანებით, ვადოსნური მუსიკალობით. როგორაა თარგმნილი ეს ლექსი რუსულად? „ღურჯა ცხენების“ რუსული თარგმანი ახლოა ირავინალთან. იგი შესრულებულია ცნობილი საბჭოთა პოეტის პ. ანტოკოლსკის მიერ, რომელიც მათეობოდ გრძობს ქართული სიტყვის ძვრადობას. და მაინც, თარგმანში, სამწუხაროდ, დაკარგულია ძლიერ ბეერი რამ. ვ. ტაბიძის ლექსმა ჩამდინამედ „მოხატა“ წონაში, გაქრა მისი სიმსუბუქე და გაქანებითი დინამიკობა, რაც ასე ახასიათებდა მას, შესუსტდა რიტმიული ულესობა, ლექსის გული ახლა ისე თანაბრად და განხირკებით აღარ ძვერს. და გამოჩენილი ქარბუქული პოეტის სხვა ლექსებსაც არცა და ეს სამწუხარი ხვედრი. მათში ძლივსა თუ დინახავთ ვალაკტიონის ნამდვილ სახეს. შესაძლოა, მომავალში აღმოჩნდნენ მთარგმნელები, რომლებიც მოახერხებენ ვ. ტაბიძის ძლიერი, დაუცველი ნიჭის საიდუმლოს ამოხსნას. მაგრამ ვერატიტობით ვ. ტაბიძე თარგმანებში მეტისმეტად ვადარბებულა, რაც ძალზე გულსატყნო ამბავია. მაშასადამე, არის შემთხვევები, როცა თავის ხალხთან უღრმესი უყვებით დაკავშირებულა ესა თუ ის მწერალი, რომელიც ეროვნული სიღირის შთაგანდელია მისილი, არა ისეთი ძლიერებით ეღრე და მთარგმნელის ხალხისთვის და არა იმიტომ, რომ მისი ახტებო, ფიტრები, მისი წარმოდგენებისა და შეგარმნებოთა წრე ეროვნულ ჩარჩოებშია მომწყვედილი.

გადავიდეთ სხვა საკითხებზე. ვიღებთ 1960 წლის 28 ივლისის „ლიტერატურისათვის გაზეტას“. მასში გამოქვეყნებულა მეთაური — „ერთიანი და მრავალფეროვანი“. წუნს ვერ დასდებ — ძალიან კარგა სათაურია. წერილში ბევრი სწორ

რი აზრი და მოსაზრებაა გამოთქმული. აღარ ვკვირვობთ მას. მაგრამ .თი ციოტუქვლებოთა ტერატურის ეროვნული სპეციფიკისა და მისი სისხლერის: „აზრისა და გამოშახველ საშუალებოთა მიხედვით ორიგინალური ახალი ნაწარმოებების წარმოსაქმნელად უმკველად ნაყოფიერი იქნება ნაწარმოების ეროვნული თავისებურების. ეროვნული თავისთავადობის გაგება“. ამ თეზისის წინააღმდეგ ვერ გაილაშტრებ. შემდეგ კი მიყვება ფორმულირება, რომელიც გარეგნულად უხადოა, მაგრამ ყურადღების იმერობს თავისი კატეგორიულობით. ვითხვლობთ: „ეროვნული თავისებურება როდია ის, რაც გამოითხოვებს, ნახვავებს ერთ ხალხს მეორისაგან, არამედ ის, რომ ორგანულად შეესაბამება ხალხის ცხოვრებას. და მნიშვნელოვანია ჩავწვდეთ და განვსაზღვროთ ამ ორგანულს, ხალხისათვის ამ არსებობის“. უნდა ვლიაროთ, რომ არც თუ ისე ნათელია ამ მოსაზრების შინაარსი. მაინც შევეცადოთ მასში გარკვევას. ფორმულირების პირველი ნაწილი, თითქოს, სწორია. დაბ, ზვედ თანახმა ვართ: ეროვნული თავისებურება არ უნდა გახდეს ბარიერი, რომელიც ვასთიშავს და ერთმანეთს დაუპირისპირებს ხალხებს. მეორე, ბევრი არ დაიწვევს კამათს ამაზე. მაგრამ ზვედ ვერატიტებენ სულ სხვა რამეში: ეროვნული თავისებურება ის კი არაა, რაც ერთ ხალხს მეორისგან განასხვავებსო. დამახასიათებელია: ხალხისთვისა სიტყვა „გამოთიშავს“ კი არა, არამედ — „განასხვავებს“. შეიძლება თუ არა ვიკითხოთ: თუ ეროვნული თავისებურების ცნობიდან მთლიანად გამოირიცხება კულტურათა გარკვეული სხვაობის მომენტი, მაშინ ამ შემთხვევაში რაღა ჩიება ეროვნული თავისებურების წილად? და რატომ მინცლდამინც რაღაც მანკიერად ვგეგმვება და იწვევს შიშს კულტურათა და ხალხთა სხვაობა, არამსგავსობა, უერთგვარობა? ზვედ ვერატიტებენ: ეროვნული თავისებურება ისაა, რაც „ორგანულად შეესაბამება ხალხის ცხოვრებასო“. ხალხი ზოგადისტრიუიული და კონკრეტულ-ნაციონალური ცნებაა. და ის ვარემება, რომ საბჭოთა ხალხები, მსოფლმხედველობის ერთიანობის, მიზნებისა და იდეალის ერთიანობის მიუხედავად, მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარკვეული სპეციფიკური თავისებურებებით. — ეს ფაქტია, რომელსაც აგრე ადვილად ვერ ავუვლოთ ვერარს. სწორედ გავგებაზია, თუ, არსებობდა, რატომ გამოირიცხავენ ეროვნული თავისებურებებიდან განსხვავობის მომენტი. თუ კულტურებს შორის არავითარი სხვაობა არ არსებობს, მაშინ ღმერთმანი, არცეი ყოფილა არავითარი ეროვნული თავისებურება. არ შეიძლება ეროვნული თავისებურება, არ შეიძლება ეროვნული თავისებურება, არ შეიძლება ეროვნული თავისებურება.

ვისებურებად ჩივთვალთ ის, რაც ერთგვაროვნულია ყველა საბჭოთა ხალხის კულტურებში! ეს უახრობა იქნებოდა.

სხვა თეორეტიკოსები გამოთქამენ რამდენიმედ სხვაანარი შინაარსის მოსაზრებებს. ისინი იღებენ ერთგვარ ცალკეულ ფაქტებს და ცდილობენ ამ ცალკეულ ფაქტებიდან ჩამოაყალიბონ ყველასათვის საყვარელად ფართო კონსოშიერებაანი. ერთგულ ლიტერატურათა ურთიერთგაშორისა და ურთიერთმოქმედების შესახებ. 1960 წლის 11-15 იანვარს მოსკოვში შემდგარ სრულად საკავშირო დისკუსიაზე შეუყვ მიხედვითა კამათი ერთ-ერთ თანამომხსენებელთან — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ო. ს. ბრაგინსკისთან ზოგიერთი მცდარი და წინაღობადეი მოსაზრების გამო, რასაც შეიცავდა მისი თანამოსხსენება. თანამოსხსენებას საბოლოო ტექსტში, რომელიც შემდეგ წიგნში შევიდა, ო. ს. ბრაგინსკამ შეიტანა გარკვეული კორექტივები. შეცდომა მიიღ დაჩა. რა არის ამ შეცდომის არის? ო. ს. ბრაგინსკი წერს: „განვითარების ახალ საფეხურზე ჩვენს წინაშე ახლებურად წამოიჭრება დიდი საკითხი ლიტერატურის ერთგულ სპეციფიკაზე.“

როცა ლაპარაკობენ ლიტერატურის ერთგულ სპეციფიკაზე, ჩვეულებრივად განსაზღვრავენ მის სხვადასხვა კომპონენტს. მაგრამ როგორ განვსაზღვროთ, მაგალითად, აინის ნაწარმოების ერთგული სპეციფიკა? ტაქტიკა არაა ეს ნაწარმოებები თუ უზბეკური? აინი წერდა რამანებს უზბეკური და ტაჯიკური ცხოვრებიდან თრავე ლიტერატურის ენებზე. ეს რომენები ასახვენ უზბეკურ და ტაჯიკურ სინამდვილეს. როგორ მოვიქცეთ, როცა ვკითხულობთ აინის რომანებს უზბეკურ ენაზე. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მისი გმირები ერთგუებით უზბეკები არიან, ხოლო როცა კითხულობთ მის ნაწარმოებებს ტაჯიკურ ენაზე, გექმნებათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი ტაჯიკები არიან: მათ ერთი აქვთ ბუნებაც და პეიზაჟიც, იერიც ერთგვარი ვაინიათ და ბედ-იბაღიც.

ფიქტობ, რომ ერთგული სპეციფიკის საკითხში ჩვეულებრივად ვერ ვაფასებთ ისეთ გადამწყვეტ კომპონენტს, როგორცაა ენა.

არის კიდევ საკითხის ერთი მხარე. ხომ არ უნდა ელამარაკობ — არა მარტო ერთგული, არამედ რეგიონალური სპეციფიკის შესახებაც, მაგალითად, „შუაზიური“ სპეციფიკის შესახებ? ეს რეგიონალური სპეციფიკა ადვილად შეიძლება განესაზღვროთ, მაგალითად, „ბალტიისპირულიდან“, მაგრამ უკვე რეგიონალურად აღობეღ ლიტერატურათა ფარგლებში ერთგული სპეციფიკის განსაზღვრისას პირველ რიგში წამოიჭრება სწორედ ისეთი კომპონენტი, როგორცაა ენა.¹

ასეთია პატრიცემულ ამხანაგ ტრადიციული მერტივი, რამდენიმედ პრიმიტიული თეორიული მსჯელობა. ცოცხალ ლომიერი წერილმან უზუსტობათა მიმართ, მაგალითად, ტაჯიკებსა და უზბეკებზე ის წერს: მათ ერთი აქვთ ბუნება და პეიზაჟიცა. ვთვებარია, რატომბა სხვადასხვა ცნება ბუნება და პეიზაჟი? ვანა არის არსებითი განსხვავება ბუნებასა და პეიზაჟს შორის? ეს სწავლულის სინდისზე იყოს. საქმე სულ სხვაგვარადა. ო. ბრაგინსკის მიერ შემოთავაზებული პრინციპის მიხედვით, რეგიონალურად სპეციფიკურებად შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ბალტიისპირული და შუაზიური, არამედ ამერიკაჯასის ხალხთა ლიტერატურებიც. არსებობდა თუ არა ამ ხალხთა შორის ისტორიული ბედ-იბაღის ერთობა და სიახლოვე? რასაკვირველია, არსებობდა. მაგრამ ამ ერთობას სრულადაც არ მოყოლია ის გარემოება, რომ ხალხები ვითქვეფილიყუნენ ერთმანეთში. ყახახი ხალხი ყახახალად დარჩა, ყირგიზები ყირგიზებად, თურქმენი თურქმენად, თუმცა მათ ჰქონდათ და აქვთ ბევრი რამ საერთო. აგრეთვე ქართველ ხალხს არ შეუწყვეტია ქართველობა, სომეხს სომეხობა, აზერბაიჯანელს აზერბაიჯანლობა, ბერის ხალხის რეგიონალური სპეციფიკის ცნება ამჟღავნებს ერთ ხალხად, ერთგვაროვან ხდის მათი კულტურების მრავალფეროვნებას, განმასხვავებელნიშნად ჩაჩება მხოლოდ ენა. ერთგული სპეციფიკის დანარჩენი კომპონენტი ნაქართველ უძმდება. ვასაოცარია ო. ს. ბრაგინსკის შემწყნარებლური დამოკიდებულება შუა აზიის ხალხთა ერთგული ენებისადმი. ვთურქვეფილია, რასაფუძვლას მიხედვით დატოვა მან ენა ერთ-ერთი განმასხვავებელ ნიშანთვისებად შუა-აზიის ლიტერატურებისათვის. მისი ლოგიკის მიხედვით სპირო იყო ენების გაუქმებაც. ირანულ ენათა გვეფში შემაველ ტაჯიკური ენის ვარდა, დანარჩენები — ყახახური, ყირგიზული, თურქმენული, უზბეკური, ყარა-კალპაკური — ხომ თურქული ენებია, რომლებიც ძლიერ აღლოდგანან ერთმანეთთან სემანტიკათა. ლექსიკონათა და გრამატიკონათა. ამ შემთხვევაში ხელი უნდა აგველო ენის კატეგორიაზეც. ო. ს. ბრაგინსკის თეორიული აბლა-უბლა არ ეთანხმება პრაქტიკას. მისი თეორია აშკარად უნიდავგა. იგი უსარგებლო ჰქვინს ჰყუღერის ნაყოფთან. ვერ უძლებს კრიტიკას ო. ს. ბრაგინსკის თვალსაზრისით მეორე ბუნქტშიც. დიახ, ვეტიკით მას: ჩვენ ვეთანხმებით იმას, რასაც სწერთ აინის შესახებ.

1. ერთგულ ლიტერატურათა ურთიერთგაშორისი და ურთიერთმოქმედების. სსრ კვების მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. მოსკოვი, 1961, გვ. 208.

ს. აინი მართლაც იყო უზბეკური და ტაჯიკური ლიტერატურის ფუძემდებელი. მან სრულყოფილად იცოდა ტაჯიკური და უზბეკური ენები, სწავრა ტაჯიკთა და უზბეკთა ცხოვრებაზე. შეკრდა რა მოხდა? განა შეიძლება განსაკუთრებულ მოვლენაზე ნაჩქარევად ავაგოთ თეორიული კომუნი? ასეთ მწერლებზე, როგორცაა ს. აინი, უნდა ვილაპარაკოთ კონკრეტულად, ვაეგრკეთ ამ ისტორიულ-კულტურულ ფაქტორთა თავისებურ დამახვევებში, რომლებშიც განსაზღვრეს აინის განსაკუთრებული ადგილი ტაჯიკური და უზბეკური ლიტერატურების ისტორიაში.

ლიტერატურის მეორე თეორეტიკოსი — შ. პარხომენკო წერდა — „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროში“ ცრებული „ადამიანთა გმირის სახე სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურაში“, მოსკოვი, საკვ. ც. კ-სთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის გამოსცემა, 1962 წელი, გამოთქვამს აზრებს, რომლებიც რამდენიმედ მოგვაგონებს ი. ს. შარხომენკოს მსჯელობებს. შ. პარხომენკოს წერილში ვკითხულობთ: „ესთეტიკური იდეალი პოეტურ ენაში პოეზობს თავის გამოხატულებას. და აქ მკვლევანება პირდაპირი და უშუალო კავშირი ერთისა მეორესთან. ხალხის აზრით, თვალში სულის საჩქაჟ ასევე ასრულებს პოეტური ენა ესთეტიკურ იდეალთა ცოცხალი სარკის როლს. სხვაგვარად რომ უთვლიყო, პოეტურ ენასა და ესთეტიკურ იდეალს შორის არ იქნებოდა ის ბუნებრივი, სადა. უზრალო კავშირი, რასაც აუცილებლად ვამჩნევთ ხელოვნების ნაწარმოებში“ (გვ. 18). ამ წერილის მეორე ადგილას არის ასეთი თეზისი: „შამსადღე, სწორედ აქ, ესთეტიკური იდეალში თავმოყრილია ერთენივე სპეციფიკის, მის შორის ხელოვნების ყველა სახეობის ერთენი თავისთავადობის წყაროები, რადგან, უწინარეს ყოვლისა, მისგანღებულობს ესთეტიკურ გარკვეულობას სულიერი ცხოვრების შინაარსი“ (გვ. 21). რაღაც ძალზე ბუნდოვანია და უცნაური. ვინ უარყოფს ენის, როგორც ლიტერატურის მთავარი ელემენტის, უდიდეს როლს? მაგრამ, სომართოდ უნდა ითქვას, საესეგებით გაუგებარია, რანართად ზღვება ენაში ესთეტიკური იდეალის გადასვლა? შ. პარხომენკო იყენებს კიდევ ხატოვან შედარებას, შიანინა რა პოეტური ენა ესთეტიკურ იდეალთა ცოცხალ საჩქად. ზედმეტად ხომ არ გამოუღო? შამსადღე, ყველაფერი ენაა, ყველაფერა განისაზღვრება პოეტური ენის თვისებით! საღ გაქრა აზრი, იდეური მისშტაბერობა და ლიტერატურული შემოქმედების მშენიერება? განა არ არსებობენ საუცხოო პოეტური ენით დაწერილი. მაგრამ შინაარსით ლარბი და უზადრეკი მხატვრული ნაწარმოებები! რამდენიც გნებავთ. მამ ასეთ

შემთხვევაში როგორ უნდა ეძიოს ენაში თავისი გამოხატულება ესთეტიკურმა იდეალმა, მით უმეტეს, რომ, როგორც ვაჩქმენკის მკვლევარია, სწორედ ესთეტიკურ იდეალშია თავმოყრილი ერთენი სპეციფიკის, მით შორის ხელოვნების ყველა სახეობის ფორმის ერთენი თავისთავადობის წყაროები! კიდევ მტერი ესთეტიკურ იდეალში ესთეტიკურ გარკვეულობასღებულობს ნაკის სულიერი ცხოვრების შინაარსი, საკითხის ასე დაყენებისას მთლიანად იხსნება მსოფლმხედველობის პრობლემა, საზოგადოებრივი იდეალის პრობლემა, მწერლის პროგრესულობა ანდა რეაქციულობა. საკმაოა ვკვირდეს პოეტური ენა და, ესთეტიკური იდეალი, ჯერბი ნუ ვაქვით, მოვა თავისთავად და თავისი ფეხით, რადგან პოეტური ენა ვერ იარსებებს ესთეტიკური იდეალის გარეშე, ხოლო ესთეტიკური იდეალი — პოეტური ენის უმისოდ. რა უზრალოდ იქნებოდა ეს, საჭმე რომ სწორედ ასე წარმართულიყო. მაშინ ყველა ნიჭიერი მწერალი (ხოლო ნიჭი არ არსებობს პოეტური ენის გარეშე!) მიჯნეიკრად გახდებოდა სახალხო საქმისათვის მორჩენავე მებრძოლი. შ. პარხომენკოს მტკიცებით, პოეტურმა ენამ უნდა მიიყვანოს ისინი ერთთანობასთან, ესთეტიკურ იდეალთან, ხოლო ესთეტიკურ იდეალი, როგორც ჩვენ უკვე ვაგიგონეთ ამას შესახებ, გამოხატავს ერის სულიერი ცხოვრების განისაზღვრულობას.

შედარებით ახლანდ მოსკოვი რუსულ ენაზე გამოვიდა საინტერესო კრებული სათაურით — „სოციალისტური კულტურის განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში“ (მოსკოვი, სახალხო-გამოცემლობა, 1962 წელი). კრებულში მოთავსებულა 15 ავტორის წერილები, რომლებიც ეძლეება მოკავშირე რესპუბლიკებში ნაციონალური კულტურების აყვავებას. კრებულში თავმოყრილია და განზოგადებულა უძლიერესი ფაქტობრივი მასალა, რაც ადასტურებს ერთენი კულტურების მძლავრ გაქანებას საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის პირობებში. წერილების ავტორების უმრავლესობა, ბუნებრივია, თავის ნაწარმოებში ეძლეება თანამედროვე პირობებში ერთენი კულტურების ჩამოყალიბებასა და გრმდგომ გაფურჩქინა-აყვავებას. და ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომლებიც საესეგებით საშარლიანად გვეჩვენება. ჩვენ, მავალითად, მთლიანად ვიზიარებთ ბ. ი. ბოსენაიასა და რ. ბ. სულეიმანოვის მოსაზრებას მათი წერალიდან — „შესაბუთოებრივი ჩამორჩენილობიდან სოციალისტური კულტურის მწვერეკილიბისაკენ“. ისინი ამტკიცებენ: „ყაზახთა კულტურასა და ყოფაში სხვი ხალხების ხელოვნების ფართოდ შეჭარასრულიდაც არ ნიშნავს ერთენი თავისებურბობთა ნიელირებას. საბჭოთა ყაზახურ ლიტერატურას თავისი ფესვები მშობლიურ ნი-

დაგვი აქვს გადგმული, იკვებება თავისი ხალხური სიტყვიერების წყნით, უხვად იყენებს მის პოეტურ ხერხებს და სახეებს ააღი ცხოვრების ასახაზე (გვ. 188). რ. ხ. აბულშეურაოვის თავის წერილში მოკლეც ცნობილი ფრაზები მწერლის ეს პოლ სარტრის გამოანათებაში, როგორც ცნობილია, ე. პ. სარტრმა 1957 წელს იწახელა უზბეკეთის საბჭოთა რესპუბლიკა. გაზეთ „პრავდა ვოსტოკაში“ 1957 წლის 15 იანვარს გამოქვეყნებული იყო მწერლის საუბარი ვაზენტის კონგრესში. სარტრმა განაცხადა: „როცა ეს მოვალეობა განვიზრახავ, ვიმედოვნებდი მენახა ბეჭი საინტერესო რამ, და მე ეს იმედი არ გამტრუნებია. ვისაოცარია ის, რომ კულტურა არ ჩამოაჩება ეკონომიკის ზრდას. მეორე, რამაც განსაკუთრებულად გამოიკვამე — ესაა განუყრელი კავშირი წარსულის ხალხური წესმებისა და უკანასკნელ ხანებში ხალხის მიერ წყმნილ კულტურას შორის. ვინაიდან ფოლკლორული მასალა მჭიდროდ იყო დაკავშირებული შრომის პრაქტიკულ იარაღებთან, მე ვწმინდობდი, რომ მეტრეობის მექანიზმის ახლანდელ მაღალ დონეზე წარსულის ხალხური ტრადიციები გაქრებიან მუთი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირში მაღალ შეფასებას აძლევენ ხალხურ ტრადიციებს, იმდენად მარჯვდ და მოვრჩებულად ეხამება აქ ფოლკლორული მემკვიდრეობა ხალხის თანამედროვე კულტურას. უნდა ვთქვა, რომ გაოცებულ ვარ უზბეკური მუსიკისა და დრამით, რომელიც შექმნეს უზბეკეთმა კომპოზიტორებმა და დრამატურგებმა; მოახერხებს რა თავიანი ნაწარმოებში შეინარჩუნებიათ ნაციონალური კოლორიტი და მათი შინაარსი გავხადათ ღრმა და საინტერესო“.

ესან პოლ სარტრი ლაპარაკობს წარსულის მოწინავე ხალხური ტრადიციების უკუდავ ძალაზე. იმაზე, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი საზოგადოებებს წიაღში წარმოქმნილი ხალხური ტრადიციები არ შეიძლება გავაიგიოვოთ ამ ეკონომიკის დონესთან და უარი ვთქვათ მათზე საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მეტად განვითარებულ პირობებში. ხალხურ ტრადიციათა ესტაბლირება ბუნება იცდარებიან მყარია და მრავალფეროვანი. როცა შედარებთან მათი წარმოქმნილი სასიცოცხლო პირობები, ხალხური ტრადიციები ერთმანადაც როცა ისპობიან. კულტურის ფორმებს შორის არსებობს მემკვიდრეობითობის კავშირი, რომელიც როდინიწახს. რასაკვირველია, ყველაფერ ძველის შენარჩუნებას, თუნდაც იგი პროგრესული იყოს თავისი შინაარსით. ძველი მეტისმეტად როდულ ურთიერთობაშია ახალთან, ამასთან ვარდაიქმნება და განახლებება მასთან შეხვედრით. მაგრამ ეროვნული კულტურის ტრადიციები მარცხ რჩებთან. ისინი მთლიანად როდულ უქმნიან,

თუმცა მათი წარმოქმნილი და აღმოჩენილი ნიადაგი ვარჯა ხანი ვაქრა და მოიწილა. ესტაბლირებული ფორმათა ცვლის და ურთიერთშეცვლამას აქვთ მრავალი მენა და სახეობა, რომელთა ვათვალისწინებლად არ შეგვიძლია სწორად ვადაუწყებოთ საკითხი კულტურული მემკვიდრეობითობის ხასიათის შესახებ. ამ საკითხებს კვლავ ვადაუბრუნებდით. ასეა ეს აღნიშნით ჩვენი სრული სოლიდარობა იმ ვითარებასთან, რომელიც წამოყენებულია ე. პ. კალანდაშის წერილში — „კულტურული რევოლუცია და კულტურის აღმავლობა საქართველოში“. ეს წერილიც ჩვენს მიერ შემოხსენებულ კრებულშია მოთავსებული. აი ამონაწერი ამ წერილიდან: „საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, შრომა, სულაერი სამყარო, მისი აზრის მოწოდებლობა, მისწრალებათა ეკთილშობილება საფუძვლად უდევს საქართველოს ახლანდელ ლიტერატურას. ესაა ის საერთო, რაც ანათესავებს მას მთელი ჩვენი ქვეყნის დიდ ლიტერატურასთან. მაგრამ მას ვახანია მდიდარი ეროვნული კოლორიტი, რომელიც ივრანობა ყველაფერში — პოეტური აზრის თავისებურ მოზრუნებში. მისი გმირების ფსიქოლოგიურ იტორშიც, გამოხასხველობით საშუალებათა სისტემაშიც, წარმოსახული ყოფის თავისებურებანიც. ფართო ნიადაგთან შედის იგი მსოფლიოს კულტურის საგანძურში“ (გვ. 381—382). მსგავსი მტიკეებანი ვაგვხვდება სხვა წერილებშიც. ავტორებანი თათქმის ერთსელოვანდ მიდიან დასკვლამდე: ნაციონალური თავისებურება, ნაციონალური კოლორიტი — კულტურის დიდი ღირსებაა და ღირებულება, და ისინი, ეს თავისებურებანი სრულიად არ უწილან ხელს კულტურებს იყონ ინტერნაციონალური თეანთი არსებით, თეანთი ხასიათით. სწორად წყვეტენ თე ირი წერილების ავტორები ერთნულ კულტურათა პრობლემას, მათი ბედ-იბლის პრობლემას უახლოეს მომავალში? ჩემი აზრით, სწორად. მოუთმენულ მეთხველს უფლება აქვს იეთხოს: რა მიზნით ვადავირდა ციტატები ამ კრებულის წერილებიდან? ამაქრად უნდა ვალიართ: ეს შემთხვევით როდელ ჩავუდგინია. ის, რაც ნათქვამია წერილთა უმრავლესობაში, და ისიც, რაც გამოკვალბებულია კრებულის ხელმოწერილ წინასიტყვაობაში, ამაქრად ეწინააღმდეგებთან ერთმანეთს. ხოლო წინასიტყვაობაში თე რა წერია:

„საბჭოთა კულტურაში შემორჩენილია ეროვნული ვანსხვაებანი. ისინი, უწინარეს ყოვლისა, არსებობენ ენაში, რომელიც წარმოადგენს ეროვნული კულტურის ფორმას. არსებობენ ყოფისა და ადამიანთა ხასიათის ეროვნული თავისებურებანი. თეინი ისტორიულად ჩამოყალიბებული და ჩეული ზერბები, სახეები და ვამოსახვის საშუალებები არსებობენ ეროვნულ

ხელოვნებაში, მუსიკაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, ცხველებსა და ხელოვნების სხვა სახეობებში. ისინი თავიანთი ფესვებით დაკავშირებული არიან ხალხურ შემოქმედებასთან და წარმოადგენენ იმის თანამედროვე სივრცის ნაწილს. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამჟამად მკვლევარების პირობებში, ჩვენ ქვეყნის სოციალისტური ერების განვითარებასთან დაკავშირებით და ურთიერთდახმარების პროცესში, მათი კვლევების ურთიერთშემდეგობის პროცესში ეს განსხვავებანი თანდათან ქრებიან და მათი კვლევები სულ უფრო და უფრო მდებარეობენ ინტერნაციონალურ ხასიათის ქმნილებებით. ჩვენ ქვეყნის ხალხები ასე მივიღიან მომავალი კომუნისტური საზოგადოების ერთიან ზოგადფაქტობრივ კულტურას (გვ. 14).

ნებას მივცემთ თავს დავასახელოთ კიდევ ერთი ციტატი ა. მ. ბოგოტოვნიკის, ზ. ხ. იგარტაილის, მ. დ. კამარისა და კ. ხ. ხანაზაროვის ბროშურიდან — „საბჭოთა ერების განვითარებისა და შემდგომი დაახლოების ზოგიერთი საკითხი კომუნისმის ვაშლიანი მშენებლობის პერიოდში“. ამ ბროშურაში სრულიად საპირისპირო პოზიციებიდან წყდება წინასიტყვაობაში წამოჭრილი პრობლემა. ითხის საბჭოთა მეცნიერი მართლმადიდებელი გეგმარებიანი ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხებისადმი, ერთდროულ კომუნისმის მშენებლობის ეპოქაში ერებისა და ეროვნული კულტურების ურთიერთდახმარების საკითხისადმი ცალმხრივ, ვიწრო-სექტანტური მიდგომის წინააღმდეგ. მოკლევადიან მათ: „ამასთან ერთად ყოველგვარი ცდა განვიხილოთ ერების დაახლოების პროცესი როგორც ერებისა და მათი კულტურებისა და ერთდროულად მართლმადიდებელი, იქნებოდა უღრესად ანტიმეცნიერული და კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სულელებსთვის საწინააღმდეგო. ერებისა და მათი კულტურების შემდგომი აყვავების გარეშე შეუძლებელია კომუნისმის მშენებლობა. მაგრამ კომუნისმის მშენებლობას იმიტომაც მოჰქვია ერების აყვავება, რომ თითოეული ერისა და ეროვნული კულტურის განვითარების ინტერესთა საშინაურში აყვავების მრავალეროვნობიანი საბჭოთა საზოგადოების სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ყველა მონაპოვანს. სწორედ ეს უწყობს ხელს თავის მხრივ ერთა დახლოებას“ (გვ. 11). ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ლენინური ამხანაგების შეხედულებებს. ხოლო „წინასიტყვაობაში“, როგორც ამასი ადვილად დაგვიჩვენდით, სულ სხვა რამეა თქმული. სადავთა უკვე პირველი აზრი, თითქოს ეროვნული განსხვავებები თავიანთ გამოხატულებას პოულობენ ენაში, რომელიც თითქოს წარმოადგენს „ეროვნული კულტურის ფორმას“. ვინ

თქვა ეს, საიდან აიღეს ასეთი აზრი? რატომ? ენა ეროვნული კულტურის ფორმა? ენა ფორმის ერთეული უმთავრესი ფუნქციონირების ნაწილია, მხოლოდ თითქმის ყველაფერს ახსენებს მისი მნიშვნელობა. მაგრამ მივიყვანოთ სრულ ამსურვამდე, მაგალითად, იმ აზრამდე, რომ მეორე ხალხის ენაზე გადათარგმნილი ლიტერატურული, თუნდაც გენიალური ნაწარმოები თითქოს მაშინვე დაკარგავს ყველა თავის ეროვნულ თავისებურებას. მაგრამ დავინებოთ ამის თავი. სავსის არსი სულ სხვაგვარია. „მოწინავე“, რბილად რომ ვთქვათ, რამდენიმედ ცალმხრივად და გაუბრალოებულად განიხილავს ეროვნულ კულტურათა ურთიერთშემდეგობის პროცესს, კულტურული შექცევადობის თანხა დაღმარება. ჯერ ერთი, მთლად უსწრებლად არა ნათქვამი იმის შესახებ, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული და ჩვეული ხერხები, სახეები და გამოხატვის საშუალებები თავიანთი ფესვებით დაკავშირებული არიან ხალხურ შემოქმედებასთან და წარმოადგენენ მისი მხატვრული სიმდიდრის ნაწილს. რატომ მაინც და მაინც მართლმადიდებელი ხალხურ შემოქმედებასთან, და არა ეროვნული ესთეტიკის თავისებურებებთან მთლიანად? განა ეროვნული წყაროები განსაკუთრებით ხალხურ შემოქმედებაში მდებარეობენ? ხოლო საბჭოთა საზოგადოებრივი განვითარების პირობებში განა წყდება ეროვნული საწყისის მართლმადიდებლობაში და შექცევადობა იმანება ეროვნული პრობლემა? კულტურათა ურთიერთშემდეგობის უნდა მოხდეს ურთიერთგამდობად. ასე გვეუბნებოდნენ ჩვენ. და ჩვენც ასე ვუპასუხობდით. აქ კი საწინააღმდეგო ვლუბულობა: ირკვევა, რომ ურთიერთშემდეგობის მოყვება პროცესული თავისებურებების მხოლოდ და მხოლოდ გაქრობა და მოსაზრება. სადა ვაქნა მეორე ახანაგებ მნიშვნელოვანი ცნება — ურთიერთგამდობადობა? რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ურთიერთგამდობების ზანა ზომ კულტურის არაერთგვარობა, ე. ი. ურთიერთგამდობადობა ხდება მაშინ, როცა ერთი კულტურა მეორე კულტურაიდან აღიქვამს რაღაც ახალს თავისთვის, და სანაცვლოდ სთავაზობს მას რაღაც თავისას, რომელიც აქლია იმ მეორეს. თუკი ყველა კულტურა თავისი დონით, თავისი მხატვრული და ეროვნულ-ესთეტიკური თვისებებით ერთნაირია, მაშინ, ასეთ შემთხვევაში როგორ მოხდება ურთიერთშემდეგობა და ურთიერთგამდობადობა? ვინ ვის და რა საფუძვლებზე გამდობდრებს ერთმანეთს? და რათა ურთიერთშემდეგობის ღებდაზრის არის ეროვნულ განსხვავებათა სრული გაქრობა, და არა ეროვნული კულტურების, როგორც ერთნაირ კულტურათა განვითარება და სრულყოფა?

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მეორე

მნიშვნელოვან მხარეს — ეროვნულ კულტურათა განვითარების მათი დაახლოების საფუძველზე — ამ საესეებით არ შეხებთან. „მორწინავის“ მიხედვით გამოდის: კულტურათა შორის ეროვნულ განსხვავებების გაქრობა წინადადგენს ბაზის ინტერნაციონალური ხასიათის კმნიშვნელობა შესაქმნელად. სწორედ ასე წერია ამის შესახებ: „...მათი კულტურების ერთიანობაში შედგენის პროცესში თანდათან ქრებთან ეს განსხვავებანი, მათი კულტურები სულ უფრო და უფრო მდიდრდებიან ინტერნაციონალური ხასიათის ქმნილებებით“. აქ უნებურად ეჩახებთან ერთმანეთს ინტერნაციონალური და ნაციონალური. ინტერნაციონალური გაგებულია როგორც ნაციონალურის უქონლობა. ხოლო ქმნილების ინტერნაციონალური ხასიათი (გვიხდება ამ კუთხითების მრავალჯერ გამოვრება) განსახლებრება ამ ქმნილებაში ეროვნულის უქონლობით კი არა, არამედ მასში წამოჭრილი პრობლემების შინაარსით, მასტაბურობით, საყოველთაო მნიშვნელოვნობით. „წინასიტყვაობის“ უსახელო ავტორი თითქმის გამოდის საკმ პროგრამის მიითებებთან. პროგრამის ნაწილში — „პარტიის ამოცანები ნაციონალურ ერთეობობათა დარგში“ არის ასეთი აზრი: „ვიითარდება ყველა საბჭოთა ერისათვის საერთო ინტერნაციონალური კულტურა. თითოეული ერის კულტურული სავანებრი სულ უფრო მეტად მდიდრდება ქმნილებებით, რომლებიც ინტერნაციონალურ ხასიათს იძენენ. მაგრამ საკმ პროგრამაში არსად არაა ნათქვამი იმის შესახებ, თითქმის ზელოვნების ქმნილების ინტერნაციონალური ხასიათი წამოიქმნება უერონებო შიშველ ნიადაგზე. იმავე ნაწილის სხვა ადგილებში მკაფიოდ და პირდაპირაა ნათქვამი: „პარტია არ დაუშვებს ეროვნულ თავისებურებათა არც უფლებმელოფას, არც გაზვიადებას“. და კიდევ: „კომუნისმის გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დაახლოვნილებთან ერებო, ვაზარდება მათი ეკონომიური და იდეური ერთობა, განვითარდება მათი სულიერი ხასის საერთო კომუნისტური ნიშნები, მაგრამ ეროვნულ განსხვავებათა, განსაკუთრებით ენობრივ განსხვავებათა წაშლა მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე კლასობრივი საზღვრების წაშლა“.

პარტიის პროგრამაში მიითებებულა: კომუნისმის გამარჯვების შემდეგაც კი განსხვავებები კვლავ დარბებთან, განსაკუთრებით ენობრივი განსხვავებანი. და თუ ენა ეროვნული კულტურის ფორმაა, როგორც ეს ნათქვამია „წინასიტყვაობაში“, მაშინ, ელემენტარული ლოკიკით, უნდა გამოვრწინოთ დასკვნა: საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპზე რჩებთან კულტურის ეროვნული თავისებურებები, და ქერქრობით ფრიად ნიაღვრეია ამ ეროვნულ განსხვავებათა გაქრობაზე უსაზრგო.

ერონული კულტურების ბედ-იღბალი ახლობლურად ეხება და აწუხებს ყველას. ამიტომ შემთხვევითი როდია, როცა ამ თემაზე თავთავიანი აზრთა და შეხედულებას გამოთქვამს ჩვენი კულტურის მრავალი ენობილი მოღვაწე-ჩვენ გვირდა მკითხველს გაგაცნოთ ერთ-ერთი მათგანის ფრიად საუერადღებო შეხედულებები.

ეურონალ „სოვეტსკია მუზიკაში“ (№ 3, 1962 წელი) გამოქვეყნებულია სპეცენოდ ენობილი საბჭოთა კომპოზიტორის დმიტრი შოსტაკოვიჩის დღეი წერილი სათაურით — „ჩვენ შთავიგონებს პარტია“, რომელშიც თანამელოვე მუსიკალური ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან სხვა პრობლემებთან ერთად, დ. შოსტაკოვიჩი ეხება ეროვნული თავისებურების პრობლემებსაც. დ. შოსტაკოვიჩის შეხედულებების მოკლედ გადმოცემა შეადლება ასე: ამსოლტურად არაა სწორი წარმოვადგინოთ კულტურათა ერთეობობაში შედგენის პროცესი, როგორც მუსიკალური ენის გაუპროვება ანდა როგორც ყველა მისი ელემენტის უწესიგოდ არეუ-დარევა; კომპოზიტორი გზით ეროვნულის მოსოობით კი არა, არამედ ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცების, ფორმათა ერთეობობაში გამიღრების შედეგად განვითარდება ეროვნული კულტურები. და ასეთი ცხოველყოფილი ვაცილა-გამოცელის შედეგად კიდევ უფრო ბრწინაულად გაიფრჩინებთან და განვითარდებთან მუსიკალური კულტურები. საერთო სახალხო, როგორც წესი, ვახდება იხ ნაწარმოებები, რომელთა ავტორებმა მოახერხეს ზიარებოდნენ სხვა ხალხთა მუსიკალური კულტურების მიღწევებს და ამისთან ერთად არ დაპარაგეს საკუთარი ანდა კულტურა და ეროვნული ნიადაგი. მავალითსათვის დ. შოსტაკოვიჩი ახალეებს აზრთაიანად კომპოზიტორ ყარა ფარავის (ბალტი კუქა-ქუხილის ბილიკო) და თითართა კომპოზიტორ ნაზიმ ჟოგანოვის (ოპერა „კალილი“) საუცთესო ნაწარმოებებს. იმ სიის ჩვენ თამამად დავებატებდით ქართული კომპოზიტორის თ. თაქაქიშვილის ოპერასაც „მინდია“, სადაც შენარჩუნებულია ქართული გროვნული მუსიკალური ესთეტიკის საფუძველები და მისთან ერთად შემოქმედურად გამოყენებულია საბჭოთა მუსიკალური კულტურის მიღწევები.

დ. შოსტაკოვიჩი თავის წერილში საესეებით-სამართლიანად ილაშქრებს ცდების წინააღმდეგ.

ერთმანეთს შეეგახონ ინტერნაციონალური და ეროვნული. ის აღნიშნავს, რომ მრავალეროვნებიაი საბჭოთა კულტურა პირობადებულია არა ეროვნულის ნიველირებთ, არამედ საზოგადოებრივი მიზნებისა და ამოცანების, მისწრაფებათა და იდეალების ერთობით, ერთიანი წარმოდგენით შვენიერების შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იდეალთა ერთობა. მიზნებისა და შვენიერებაზე წარმოდგენის ერთიანობა სრულიადაც არ უშლის ხელს იდეალთა კონკრეტულად ხორცშესხმას, ამ შვენიერების მხატვრულად ასახვის საშუალებათა და ხერხთა ნაირგვაროვნობას. დ. შოსტაკოვიჩი, როგორადაც უცნაურად უნდა მოეჩვენოს ეს დოგმატიკოსებსა და ზენიტერნაციონალისტებს, შიშობს, რომ ზოგიერთ თანამედროვე რუს კომპოზიტორთა შემოქმედებაში ყოველივეს მკაფიოდ როდუდებურ რუსული თვითმყოფელი ეროვნული მეროდები. ის ასახელებს გამოჩენილ რუს კომპოზიტორ ს. პროკოფიევს, რომელმაც შექმნა ეროვნულ სახეთა ნათელი სამყარო ოპერებში „ალექსანდრე ნეველი“, „სემიონ კოტკო“, „ქვის ფავილი“, „ომი და შვილიშა“, „მოთხრობა ნამდვილი ადამიანის შესახებ“, მესტიდე სიმფონია. დ. შოსტაკოვიჩი მოვეწოდებს ხელკაშლათ დაეწწათ ფსალდეზული ხალხური მელთისის ცხოველმყოფელ და უკვდავ წყაროს, გავიფთხარდ და სრულყოთ იგი ახალ პირობებში. ის რუს საბჭოთა კომპოზიტორებს საზოგადოებრივ უსახავს ოპერაკეჟასისა და ბალეტისპირთის რესპუბლიკათა კომპოზიტორების მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებშიც მძლავრად და მკაფიოდ აღერს ხალხურ-თვითმყოფელი ეროვნული საწყისი. უველადურ თქმულიდან დ. შოსტაკოვიჩის გამოაქვს ასეთი დსკენა: „და ვინა შეიძლება ლაპარაკი კომუნიზმის დროს, მუდარბით მორბულ ამონიე ეი, ეროვნულის საესებით გაქრობაზე! არა, დრო და ეამი არასოდეს არ მოსპობს როგორც რუსული ხელოვნების, ისე სხვა ხალხთა ხელოვნების დიად ტრადიციებს“.¹

გვფრობ, რომ დ. შოსტაკოვიჩის უფრო კარგად ესმის ეროვნულ კულტურათა განვითარების კანონზომიერება, ედრე ცალკეულ უსაზომოდ თავკამოდებულ თეორეტიკოსებს, რომლებიც ცდილობენ გააკეთონ თავბრუდამხვევი ნახტომი და რამდენიმედ წინ გაუსწრონ ისტორიას. დიბ, უნდა გვეყვარდეს ჩვენი ერი, შიხი კულტურა, მასთან უნდა ვიყოთ დეკავშინებულთა ყოველნაირად და უველადობით. და იმადეროდულ დავინახოთ და შევამჩნიოთ საბჭოთა და მსოფლიო კულტურის ყველა საუ-

კეთესო მიღწევა. და არა მარტო დავინახოთ და შეეფასოთ, არამედ ვისარგებლოთ მისი ნაყოფით, გავიმდიდროთ საკეთარი გრძეება, გულო, მესხიერება ყველა მშვენიერებასა და დიადობა, რაც შეუქმნია კაცობრიობის თავისი ასახეობის საუვერეთა. მანძილზე. სახითოთა ორივე უკიდურესობა კოსმოპოლიტიზმიც, საკეთარი ხალხის სახელ-დიდების უველადებულყოფაც, და ნაციონალური ყოყობაც, კარნაკეტილობა, თვითმყოფილება. გვაგონდება ლიტველი პოეტის ენაბრდის მუქელიატიზის საუცხოო სიტყვები, წარმოთქმული ლენინური პრემიის მიღებისას: — ჩემი ფესვები ლიტვერ პოეზიაშია. მე იგი მიყვარდა, მიუყარს და მუყეარება. მაგრამ მე ვაიგე, რომ არ შეიძლება კარნაკეტილად ცხოვრება თვით ყველაზე შესანიშნავ ეროვნულ ლირიკაში, სიმღერებში, ლეკვებში. მოძებ ხალხთა პოეტური ხმები გასაოცარი სიმფონიაა. ჩვენი ინტერნაციონალური ხელოვნება აერთიანებს და რაზრავს ხალხებს პროგრესისათვის, მშვიდობისა და მედნიერებისათვის საბაძოლეულად, — ამბობდა იგი. გვინდა მოვავროთ მეთხველ პოეტ ირაკლი აბაშიძის საინტერესო სიტყვებიც ხელოვნებაში ეროვნული მომენტის შესახებ. „...და რაც უფრო მეტად და მრავალმხრივად ვადმოგვიშლის ხალხი თვალწინ თავის ნაციონალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას, მით უფრო ძვირფასი წელია შეაქვს მას საკაცობრიო კულტურის სავანძრში, ავსებს და ამდიდრებს მას ახალი მტრებით. ყოველ ჩვენი მოძებ ლიტერატურას შექმნილი აქვს პირობები ამ გზით განვითარებისათვის და სწორედ ამით აბსუნება მთელი მსოფლიოს კულტურის ისტორიაში უმადლითო ზრდა და გაქანება ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნული ლიტერატურებისა... ნაციონალური ფორმის გარეშე, ნაციონალური ხასიათის გარეშე მხატვრული სახე ვადამიქვე უსხველო, ხორცშეუსხმელ საქმედ, მიშველ იდეად, რომელიც მოკლებული იქნება სიცოცხლეს და დამაყვრებლობას“.¹

როგორც ვხედავთ, ცალკეული ლიტერატორამციოდენი სხვაგვარად წყვიტენ ხელოვნებაში ნაციონალურებას და ინტერნაციონალურების თანაფარდობის პრობლემას, ვიდრე კულტურის მოღვეწენი. ვის მხარეზეა სიმართლე? ჩვენი ღრმა რწმენით, სიმართლე უკანასკნელთა მხარეზეა, დ. შოსტაკოვიჩის, ე. მეველიატიზის, ტ. ხრენიკოვის, ირ. აბაშიძის მხარეზეა, რადგან მათი გამოანთქმეველი ნაქარნხევი საბჭოთა კულტურის გულწრფელი და ნამდვილი სიყვარულით, და არა რალე კანექტურულ მოსახრებათა ნაყოფა.

1. ეურნალი „სოვეტსკიაი მუზიკა“, № 3, 1962 წ., გვ. 5.

1. ირაკლი აბაშიძე. მაღალი ოსტატობისათვის. „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1959, გვ. 6. 8.



ნიმუში გაგზავნილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაგვის გაგზავნისათვის

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 25 მარტის ნომერში გამქვეყნდა აკადემიკოს ალ. ბარამიძის წერილი ვეფხისტყაოსნის პირველი ნაბეჭდი გამოცემის 250 წლისთავთან დაკავშირებით. ძველი ქართული საერთაშორისო ლიტერატურის მკვლევარი სინტერესო ცნობებს აწვდის მკითხველს ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის და მისი რედაქტორის ვახტანგ შვეციკის შესახებ.

ამ წერილში იმ დღეებზედაც მოგვითხრობენ, რომელთა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის (1937 წ.) ტექსტის დამდგენ კომისიის მიუძღვის.

წერილის ავტორი საესებთ ავრებს მკითხველებს იმ დღეების დიდ მნიშვნელობაში, რომელიც ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის რედაქტორის ვახტანგ შვეციკის მიუძღვის ამ უკუდავო ნაწარმოების ტექსტის დამდგენისათვის, მაგრამ, ეტყობოდა, რომ მკვლევარმა საეტყოდ ვახტანგ საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისიის ანგარიშზე შეშაობა, რადგან ვერ გვარწმუნებს იმ ერთდერითი ტაგვის სწორად დამდგენში, რომელზედაც მივეითობებს, როგორც საუკეთესო ნიმუშზე ხსენებული კომისიის შემოაბის დანახაობათებულად.

ის ტაგვი, რომლის გამართვისაც კომისიის ალ. ბარამიძე დიდ მიღწევად უთვლის, ვახტანგის ვეფხისტყაოსანში ასე იკითხება:

ენახე, ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა.

ამ ტაგვთან დაკავშირებით ალ. ბარამიძე ამბობს: „პოემის მიხედვით ტარტლი იხმეს სასახლეში, იგი დაუყოვნებლივ ეახლა მეფე-დედოფალს. „ენახე, ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა“, —უამბობდა ტარტლი შემდეგ ათანდალს. ასე იკითხება უმრავლეს ზღაპრებში, თუმცა აშკარა უპარობა გამოდის. დარბაზში თათქოს ყოფილა ორი პირი სამი სახით“. რაკი ამ ტაგვის მიხედვით მოთხრობაღი ამბავი საიუბილეო გამოცემის ტექსტის

დამდგენ კომისიის, ალ. ბარამიძის სიტყვით რომ ვთქვათ, აშკარა უპარობად მიუჩნევი, ამგვარად „გამართავს“:

ენახე ორნივე ერთგან სხდეს, ხასითა ოდენ სამითა.

ალ. ბარამიძე გვიმტკიცებს, რომ ხასი დიდებულს, წარჩინებულ პირს ნიშნავს და ამის გამო ეს ტაგვი ისე უნდა გავიგოთ, რომ ტარტლს სასახლეში მეფე-დედოფალი სამი დიდებულთა დახვდნენო. და ამ ვითარება უპარობ ტაგვისათვის ამგვარი აზრი მიუციათ. ამ ტაგვის მეორე ვარიანტთან დაკავშირებით, ალ. ბარამიძე ასევენი: „არავითარი ეჭვი არ არის, რომ პოემის თავდაპირველ დედანში იყო სწორედ სიტყვა — „ხასითა“. ხასი ვეფხისტყაოსანში ხშირად გვხვდება, ნიშნავს დიდებულს, წარჩინებულს. მაშასადამე, ტარტლს დარბაზში დახვედრია მეფე და დედოფალი სამი დიდებულთორთა“.

სანამ მკითხველს მოგახსენებდეთ, თუ როგორ გვეხმის და რატომ მიგვანია ამ ტაგვის პირველი ვარიანტი ვეფხისტყაოსნის ორგანულ ნაწილად, მანამდე შეგნაშნაეთ, რომ ხასი არ მიგვანია დიდებულის სინონიმად, ყოველ შემთხვევაში ამგვარი დასკვნისათვის ვერ გამოვიყენებთ ვეფხისტყაოსნის იმ ტაგვებს, სადაც ხასებზე არის მოთხრობილი, ეინაიდან იქ ხასები უმთავრესად თიზოტობილ და იერ კაბუტყებზე გვევლინებიან და არა ისეთ ინტელექტუალურ აღმანიებად, რომ, დიდებულებისა და ვეზირების მსგავსად, ზოგჯერ თათბირებში მიიღონ მონაწილეობა. გვიახსენოთ ტაგვი:

შეიქნა ვახელა შიგანთა, ჭარია მუნ ხახებისა. ან:

ათი ათასი კაბუტი დგას ყველაქი ხახებო. მართალია, ვეფხისტყაოსანში გვაქვს მგავლითი, რომლის მიხედვით შეიძლება დიდებულებისაგანაც შედგეს ჭარი, მაგრამ იმდენად მრავალრიცხოვანი, რომ ათი ათასს კაცს აღ-

წილებს? დიდებულები ხომ დიდად წარჩინებული პირნი არიან და ამის გამო მათი რიცხვი მცირეა. ვანა კიდევ რამდენი უნდა ყოფილიყვნენ ქაეჭბის ციხეში დიდებულები, თუკი ის თთი ათასი კაცი ყველანი ახალგაზრდა დიდებულები იყვნენ?

რუსთაველი რომ ხასებს დიდებულებად არ მიიჩნევს, იქიდან ჩანს, რომ სწორედ იმ თთი ათას კაცზე სხვა აღწილას („ტარიელისა და აეთაღილისაგან წასვლა ფრიდონისასა“) ნათქვამი აქვს:

გვირბაძს კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია. დიდებულნი ციხის გვირაბის მცველების როლი? დაუჭებელი!

ნ. ჩუბინიშვილის განმარტებით, რომელიც სწორედ ვეფხისტყაოსნის სტრიქონებს იშოუმებს, ხასი არის — „თამაძი, გამხუდავი (საბატონო, ბატონის საყუთარი)“.

ხასი უთუოდ ნიშნავს რჩეულს, შეიძლება, წარმონებულ პირსაც, მაგრამ არა დიდებულს.

